

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ა.ნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

წიგნი
მეთერთმეტე

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მორიგ, XI წიგნში შესულ 20-ზე მეტ სტატიას აერთიანებს სამი ძირითადი თემა: პირველია ნორმალიზაციის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები; მეორე ნაწილში გაშუქებულია ლუნიცონალური სტილისტიკის საკითხები — ერთი მხრით, მწერლის ენა და სტილი, აგრეთვე ლექსიკური პარადიგმატიკის ერთეულთა გამოყენება სტილისტიკური თვალსაზრისით, მეორე მხრით კი — მეცნიერების ენის, კერძოდ, მისი სინტაქსისა და დარგობრივი (სამედიცინო, ჭიმოის) ტერმინოლოგიის საკითხები. უკანასკნელი, მესამე ნაწილი ეთმობა არაქართული (რუსული, ესპანური) ონომასტიკური მასალის ქართულად გადმოცემის საკითხებს. წარმოდგენილია ვრცელი სია რუსული პირთა სახელებისა ქართული ეკვივალენტებითურთ.

წიგნი განკუთვნილია, გარდა ქართული ენის სპეციალისტებისა, უცრნალისტებისა და მოსწაულე ახალგაზრდობისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის, ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულნი ყველა პირისათვის.

ბედეკოლეგია: შუქია აფრიდონიძე (რედაქტორი), თამარ ზურაბიშვილი, ანა კალანდანიძე, გურია კვარაცხელია, ალექსანდრე კობახიძე, ლია ლეყავა (მდივანი), ქეთევან ლომთათიძე. მიხეილ ჭაბაშვილი

წიგნისიტიყვობა

კრებულ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ წინამდებარე XI წიგნი თემატიკური მრავალფეროვნებითა და თვისებრივი თვალსაზრისითაც არსებითად არ განსხვავდება წინამორბედი ტომებისაგან. ავტორთა კოლექტივი ძირითად ბირთვთან — ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეცყველების კულტურის განყოფილების წევრებთან ერთად კვლავინდებურად თავს უყრის როგორც ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებს, ასევე საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებს.

და მაინც, ამ ტომში შემავალი 22 წერილის თემატიკამ რამდენადმე სახეცვლილი კომპოზიცია მოითხოვა, რის გათვალისწინებითაც კრებული სამ ნაწილად დაიყო.

პირველ ნაწილში გაერთიანდა სტატიები, რომლებშიც განხილულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, თეორიისა და პრაქტიკის საჭირობოროტო საკითხები. ღია ლეჟავას სტატია გაგრძელებაა ავტორის მიერ წამოწყებული სერიისა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიისა და პრინციპების შესახებ. ამჯერად ეს საკითხები მიმოხილულია გაზ. „კვალის“ გარშემო თავმოყრილ მოღვაწეთა ნაშრომების მიხედვით. ამ სტატიის ორგანული გაგრძელებაა ზუსსუდან საღინამბის წერილი, რომელშიც გაშუქებულია სალიტერატურო ენის მოამაგეთა დასავლური ფრთის წარმომადგენელთა ნააზრევი ქუთაისური პრესის მიხედვით. აღნიშნულ წერილებს მოსდევს პრაქტიკული ხასიათის სტატიები. კერძოდ, ალექსანდრე კობახიძის წერილში აღნუსხულია ის ტიპობრივი ორთოგრაფიულ-გრამატიკული შეცდომები, რომლებიც ესოდენ ხშირად გვხვდება თანამედროვე პრესასა და მხატვრულ ლიტერატურაში, დაწყებული XX საუკუნის 20—30-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე. მარინე კერესელიძის სტატიაში დადგენილია საერთაშორისო სიტყვებში სონორი თანხმოვნებისა და ხმოვნების უმართებულო

სმარტების ზოგი კანონზომიერება (ვაჩენის, დაკარგვისა თუ შენაცვლების დროს). ქართული სახელური ფუძეებისათვის არაბუნებრივი ი-ფუძეხმოვნიანი დაბოლოება სპეციფიკურ სიძნელეს უქმნის სახელთა ბრუნებას, მრავლობითის წარმოებასა და თანდებულების დართვას. ეს საკითხებია გაანალიზებული მშეჟალა შანიძის საგანგებო წერილში. დიდი, მრავალნიშნა რიცხვების (ათასები, მილიონები და ა. შ.) აღმნიშვნელ რაოდენობით რიცხვით სახელთაგან რიგობითი პარადიგმების საკითხი აქვს განხილული და სათანადოდ გადაწყვეტილი ქეთევან დათუკიშვილს. თავისებური რედუქციური კომპოზიციები (გულის-გული, მეფეთმეფე ტიპისა) გაანალიზებულია ნურმან სუხიშვილის წერილში, რომელშიც ამ ერთეულთა სემანტიკური კვალიფიკაციის მიხედვით წყდება მათი ორთოგრაფიული (და პუნქტუაციური) გაფორმების საკითხიც.

მიუხედავად იმისა, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების საკითხი ქართულში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, მსაზღვრელის ცალკე ბრუნების საკითხი კვლავაც მოუგვარებელია. ამ საკითხს ეძღვნება — ზოგი მომიჯნავე საკითხის მოხმობითა და გათვალისწინებით — ასმათ პაპიძის სტატია. სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -გან-თანდებულებიანი კონსტრუქციები ალტერნატიული (უშართებულო) ვარიანტებითურთ გამოწყლილვით არის გაანალიზებული ვიოლა კალანდაძის ვრცელ წერილში. თანამედროვე სიტყვათხმარებაში დამკვიდრებული გადა- /გადმო-ზმნისწინიანი კალკირებული ზმნა „გადაურევავს“ (გადმორევავს) ზმნურ ფორმას კვლავ უბრუნდება ლეილა გეგუნიანე, რომელიც სათანადო არგუმენტაციის მოხმობით ასაბუთებს ამ ფორმის დამკვიდრებას კანონზომიერებას.

კრებულის მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა სტილისტიკის საკითხებს. ამ ნაწილში გაშუქებულია, ერთი მხრივ, ლექსიკური პარადიგმატიკის, მეორე მხრივ კი — ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ მწერლის ენისა და სტილის, აგრეთვე სამეცნიერო ენის სინტაქსისა და ტერმინოლოგიის საკითხებს.

ივანე გიგინეიშვილას სტატიაში ისტორიული რომანების მასალის მიხედვით დაწერილებითაა განხილული არქაიზმების საკითხი და მათი შესწავლის სფეროდ მიჩნეულია სტილი. როგორც ცნობილია, არქაიზმების დეფინიცია ტრადიციულად ნეოლოგიზმებთან დაპირისპირებას ეყრდნობა, რაც ამ ნაშრომში უარყოფილია. რიტორიკული კითხვის სტრუქტურა ქართულში წმინდა ენობრივი

თვალსაზრისით არ შესწავლილა და ამ ხარვეზის შედეგების ცდაა მოცემული შუქია აფრიდონიძის სტატიკაში. პოლისტორიის, ომონი-მიისა და პარონიმიის მოვლენები, რისთვისაც უხვ მასალას იძლევა საილუსტრაციოდ მოხმობილი ნიმუშები ტარიელ ჭანტურის პოე-ტური ნაწარმოებებიდან. გაშუქებულია სალომე ანაბაძის წერილში.

რამდენიმე სპეციალური წერილი ეძღვნება საკუთრივ მწერლის ენისა და სტილის საკითხებს. მელიტა კობალაძის ნაშრომში დახასიათებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ სტილი; ელენე კოშორიძის წერილში მოცემულია თამაზ ბიბილუ-რის ბოლო ხანებში გახმაურებული წიგნის — „წელიწადის დრო-ნის“ — ენობრივ-სტილისტიკური ანალიზი. ილია ჭავჭავაძის პირა-დი წერილების ზოგი ენობრივი თავისებურება აქვს განხილული ნინო ჯორბენაძეს, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკის კონკრე-ტულ საკითხებს ეძღვნება რამაზ ქურდაძის ნაშრომი.

კრებულის არსებობის მანძილზე პირველად ქვეყნდება სპეცია-ლური ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურის ენისა და სტილის შე-სახებ, კერძოდ, თამარ ზურაბიშვილისა და ნელი ცქიტიშვილის წერილში ყურადღება გამახვილებულია სამეცნიერო ენის სინტაქსის საკითხებზე. პრობლემის მეორე მხარე — სამეცნიერო ტერმინოლო-გიის, მისი სტრუქტურა და სემანტიკური ასპექტები შესწავლილია ორ წერილში: მანანა ტაბიძის სტატიაში ამ თვალსაზრისით გან-ხილულია სამედიცინო ტერმინოლოგია, ხოლო მაია კიკვაძის წერილში — ქიმიის ტერმინოლოგია.

კრებულის მესამე, დასკვნითი ნაწილი ტრადიციულად ეძღვნება არაქართული ონომასტიკონის ქართულად გადმოცემის საკითხებს, მიხეილ ჭაბაშვილს გაშუქებული აქვს რუსული პირთა სახელების ქართულად გადმოცემის საკითხები, რომელთაც ავტორი ურთავს ამ სახელთა ვრცელ სიას ქართული ეკვივალენტებითურთ; ესპანური ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემის საკი-თხებს ეხება ნინო ცქიტიშვილის წერილი, რომლისთვისაც სა-ილუსტრაციო მასალად კვლავ საკუთარი სახელებია გამოყენებული.

კრებულს ტრადიციულად ერთვის საილუსტრაციო მასალის წყაროთა შემოკლებები.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის
ნორმალიზაციის ისტორიიდან

(ნორმალიზაციის პრინციპები გაზ. „კვალში“)

სალიტერატურო ენა ნორმირებული ენაა. ნორმათა შესამუშავებლად, მართლწერის სავალდებულო წესების დასადგენად აუცილებელია მეცნიერული წანამძღვრები, ამოსავალი პრინციპები. ასეთი პრინციპები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა მიღებულ იქნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რუსპუბლიკური კომისიის მიერ 1935 წ. (შემუშავდა არნ. ჩიქობავას მოხსენების საფუძველზე), გამოქვეყნდა 1936 წ. გამოცემულ წიგნში: „სალიტერატურო ქართულის ნორმები, I“. 1970 წელს გამოცემულ ნორმათა კრებულშიც¹ ეს პრინციპები უცვლელადაა დატოვებული და დღემდე მათზე დაყრდნობით ხდება სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა. ამ სანგრძლივ გამოცდას მან იმის წყალობით გაუძლო, რომ სახელმძღვანელო დებულებები შემუშავებულია არა ერთი პიროვნების მოსაზრებათა და შეხედულებათა მისხედვით, არამედ რამდენიმე თაობის დიდი მეცადინეობით, ქართველი ხალხის უკეთეს შვილთა ნაჯაფისა და ნააზრვეის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ XIX ს-ის შუა წლებიდან აქტიურად იწყება ახალი ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია, მისი დახვეწა და სათანადო კალაპოტის ძიება. პრესაში ფართო დისკუსიები იმართება ჯერ ერთი და ერთიანი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად, ხალხურ მეტყველებასთან მის დასაახლოებლად, შემდეგ კი მის დასახვეწად, პარალელურ ფორმათაგან გასაწმენდად. ქარ-

¹ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

თულ პრესაში XIX ს-ის II ნახევარში გამართული დავა ძირითადად გრამატიკულ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ კონკრეტულ საკითხთა შესახებ მსჯელობისას თანდათან ნათელი ხდებოდა საყრდენი პრინციპების აუცილებლობა და ნელ-ნელა იკვეთებოდა ზოგადთეორიული მოსაზრებანი, ამოსავალი დებულებები. ჯერ კიდევ „ცისკარში“, შემდეგ — „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“, „დროებასა“ და „კვალში“, „თეატრსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულია მრავალი საინტერესო მოსაზრება. ენის თეორეტიკოსთა ბევრი შეხედულება ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ ენის ნორმალისაციისთვის მნიშვნელოვანი ზოგი საკითხი სხვადასხვაგვარად ესმოდათ, სხვადასხვაგვარად გაიაზრებოდა ფაქტები... იყო აზრთა ჭიდილი, კამათი, ხშირად საკმაოდ ცხარეც... რამდენიმე საკითხის შესახებ განსხვავებული აზრი ჰქონდათ ჯერ კიდევ „ცისკრის“ თანამშრომლებსა და „თერგდალეულებს“, შემდეგ, ერთი მხრივ, „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიის“ თანამშრომლებს, მეორე მხრივ კი — „კვალის“ მოღვაწეებს. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ეს ორი „ბანაკი“ — ამერლები და იმერლები — მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

„ივერიელთა“ მიერ წამოყენებული დებულებები ჩვენ უკვე მიმოხილული გვაქვს². ამჯერად ვეცადეთ თავი მოგვეყარა „კვალში“ მოღვაწე პირთა შეხედულებებისათვის, რომლებიც სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებშია გაბნეული. შედარება-შეჯერება რომ გადავიღებულებიყო, დებულებების სახით წარმოვადგინეთ თითოეული ავტორის აზრი და იქვე სიზუსტისათვის ციტატიც სრულად მოვიყვანეთ.

„კვალი“ — სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი — გამოდიოდა 1893—1904 წლებში ქ. თბილისში ყოველ კვირა დღეს. 1893—1900 წლებში გაზეთის რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი.

„კვალში“ მოღვაწეობდნენ სალიტერატურო ენის თავდადებული მუშაკები: სილოვან ხუნდაძე, აკაკი წერეთელი, კოტე დოდაშვილი, გიორგი წერეთელი...

როგორც ცნობილია, აკაკიმ, კოტე დოდაშვილმა და გიორგი წერეთელმა „კვალს“ საგანგებოდ დაუმატეს ახალი განყოფილება —

² ლ. ლევაია, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიკანი (ნორმალისაციის პრინციპებია „ივერიაში“): ქსკს. წიგნი მეცხრე, თბ., 1989, გვ. 88—127.

„სასწორმეტყველო“, რომელშიც სამშუოზე გამოქონდათ ჩვენს მწერლობაში შემჩნეული ენობრივი შეცდომები. მათ შენიშვნებს ხშირად ცხარე კამათი მოჰყვებოდა ხოლმე.

„კვალის“ პოზიცია სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის თაობაზე პირველ რიგში ს. ხუნდაძისა და კ. დოდაშვილის დებულებებში გამჟღავნდა.

1. სილოვან ხუნდაძე (1860—1928) პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1884) ორმოცი წელი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ ქუთაისში. სანიმუშო პედაგოგი, დიდად ერუდირებული პიროვნება, ენათმეცნიერული ალლოთი დაჯილდოებული დაკვირვებული მკვლევარი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი თავისი დიდი ავტორიტეტით, პრინციპულობითა და სისპეტაკით დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე. მის მიერ დადგენილ მართლწერის წესებს იცავდნენ გიმნაზიაშიც და გამომცემლობებშიც. ს. ხუნდაძე თავაკცობდა ყოველგვარ კულტურულ საქმეს ქუთაისში, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ენთუზიაზმით მოღვაწეობდა სკოლების გაეროვნულებისათვის.

საენათმეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობა ს. ხუნდაძემ დაიწყო ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიის შედგენით³. მან თავი მოუყარა მაშინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყენებულ გრამატიკულ ტერმინებს, ბევრიც სანიმუშოდ თარგმნა და მარჯვედაც მიუსადაგა სხვა ენათა მასალას. მრავალი მისი ტერმინი დღესაც იხმარება.

შემდეგი ნაშრომი ს. ხუნდაძემ ქართული გრამატიკის ურთულეს ნაწილს — ზმნას — მიუძღვნა⁴. გასაოცარი ალლოთი მიუკვლევი მას ბევრი საინტერესო ფაქტისთვის. სამწუხაროდ, აქ ამ წიგნზე ვერ შევჩერდებით, რადგან ჩვენი მიზანია, თავი მოვუყაროთ ს. ხუნდაძის შეხედულებებს სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითად დებულებათა, ამოსავალ პრინციპთა შესახებ. სილოვანის გრამატიკულ ნააზრევზე არსებობს საინტერესო, სოლიდური გამოკვლევა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებული არ არის

³ ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, ქართული სიტყვიერების მოყვარეთაგან შედგენილი და გამოცემული. ქუთაისი, 1887.

⁴ ს. ხუნდაძე, ქართული ზმნები, ქუთაისი, 1891.

(ხელნაწერი ინახება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში)⁵.

ს. ხუნდაძემ ბევრი რამ გააკეთა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის. სალიტერატურო ენის იმდროინდელ თეორეტიკოსთა შორის იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო, პრინციპული, თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწე იყო; შეუპოვრად (ზოგჯერ საკმაოდ მკაცრად, არაკორექტულადაც კი) იბრძოდა თავისი მრწამსის დასაცავად და დასანერგავად. გ. ახვლედიანმა მას უწოდა „ტიპიური და კლასიკური ნიმუში სალიტერატურო ენის დამცველისა“⁶.

ს. ხუნდაძემ გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი და მრავალი სტატია (სხვადასხვა ჟურნალებსა თუ გაზეთებში), სადაც კონკრეტულ სადავო საკითხთა მოგვარებასაც ცდილობდა და სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საყრდენ, ამოსავალ დებულებებსაც ეძიებდა და აყალიბებდა, ნორმალიზაციის პრინციპებზე მსჯელობდა.

1894 წ. „კვალში“ (№ 32) დაიბეჭდა ს. ხუნდაძის წერილი „ახალი თუ ძველი ენა“, რომელიც სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითად პრინციპთა ჩამოყალიბების ცდას წარმოადგენს.

1901 წ. ეს პრინციპები უფრო სრულად წარმოჩნდა წიგნში „სალიტერატურო ქართული“, რომლის მიზანი — ხელის შეწყობა სალიტერატურო ენის დახვეწის საქმისათვის — ნაკარნახევი იყო ღიალექტიზმებითა და უცხოენოვანი სიტყვებით აჭრელებული და დამძიმებული სალიტერატურო ენის მდგომარეობით. „ძველათ ჩვენი მწერლების ენა თითქმის არ ყოფილა ერთმანეთისაგან განსხვავებული, — წერდა ს. ხუნდაძე, — დღეს კი რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმა და სიტყვებისა და წინადადებათა ახვადასხვაგვარი წყობილება... ჩემი შრომის მიზანიც ის არის, რომ შეძლებისდაგვარად გამოვიკვლიო, თუ ჩვენს მწერლობაში უპირატესობა რა და რა ფორმებს უნდა მიეცეს“...⁷. ამ უპირატესი ფორმის შემოთავაზებისას იგი ყოველთვის ცდილობდა დაესაბუთებინა, თუ რატომ არის ეს ფორმა უმჯობესი, მისაღები, რისთვისაც, მისივე თქმით, შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: სადავო ფორმის სიმარ-

⁵ გულისათვალ მადლობას მოგახსენებ ლ. კვანტალიანს, რომელმაც საშუალება მომცა გაცნობოდი მის ხელნაწერ ნაშრომს „ს. ხუნდაძის გრამატიკული შრომები“.

⁶ გ. ახვლედიანი. სილოვან ხუნდაძის დამსახურება სალიტერატურო ქართულის წინაშე: ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928, №№ 6-7, გვ. 220-224.

⁷ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901.

ტივე, წარმოების სისწორე, ისტორიულად გამართლებულობა, კეთილხმოვანება.

1902 წ. № 161-ში „ივერია“ იუწყება, რომ გამოვიდა წიგნი, რომელიც ძირითადად აანალიზებს უმართებულო, სადავო ფორმებს, რომლებიც ჩვენს გრამატიკას ჯერ არ გადაუწყვეტია. ამ შრომით ს. ხუნდაძემ დიდი ღვაწლი დასდო ქართული გრამატიკის მომავალს (ცნობის ავტორია კ. დოდაშვილი).

ამავე პრინციპებზეა აგებული ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“, რომელიც პირველად 1904 წ. გამოქვეყნდა, სულ კი შვიდჯერ გამოიცა და ათეული წლების მანძილზე სახელმძღვანელოდ იხმარებოდა სკოლებში.

1911 წ. დაიბეჭდა თოთხმეტკვერდიანი წიგნაკი-სახელმძღვანელო „ქართული მართლწერა“ გაზეთ „კოლხიდის“ თანამშრომელთა საყურადღებოდ“ (ს. ხუნდაძე ამ გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყო).

წიგნაკმა ქართული ენის ბედით დაინტერესებული ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

1927 წ. გამოვიდა ს. ხუნდაძის წიგნი „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“, რომელიც „თავს უყრიდა სალიტერატურო ენაზე ავტორის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგებს. ამდენად, მას შემაჯამებელი ხასიათი ჰქონდა“⁸. რეცენზენტები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ს. ხუნდაძემ დიდი ამაგი დასდო სალიტერატურო ქართულს, არაერთი სწორი მოსაზრება წარმოადგინა და რომ ავტორის საქმიანი შენიშვნები და ათეული წლების მუშაობით მიღებული აღმოჩენები მართლწერის მოწესრიგების საქმეს უსათუოდ დიდ სამსახურს გაუწევდა. მაგრამ იქვე შენიშნავდნენ, რომ მიუღებლად მიაჩნდათ ს. ხუნდაძის წაიანდა ფონეტიკური პრინციპები⁹.

დიდი განათლების, გრამატიკული ალღოსა და ათეული წლების მანძილზე თავდადებული მუშაობის წყალობით ს. ხუნდაძემ ამ წიგნში სწორად გადაჭრა ბევრი საკითხი, დაადგინა მრავალი მართებული ფორმა (მაგ.: შევიტყვე და არა შევიტყე, გამიბედავს და არა გამიბედნია, მეშინია და არა მეშინიან, ღირსებები და არა ღირსებაები, დავიწყებოდა და არა დავიწყებიყო, ახლა და არა ეხლა და

⁸ ლ. კვანტალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 65—66.

⁹ რეცენზენტ-დაიბეჭდა: ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 11—12 და 1928, № 6—7.

სხვ.). საკმარისია კაცი გაეცნოს ამ ნაშრომს, რომ ნათელი გახდეს ს. ხუნდაძის შეხედულებები, მისი დიდი მუშაობის შედეგები.

ყველა ამ წიგნსა და პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებულ მრავალ წერილში ს. ხუნდაძეს გაცხადებული აქვს თავისი მრწამსი სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითად საკითხებზე, ამოსავალ პრინციპებზე.

ს. ხუნდაძის ზოგადთეორიული შეხედულებები ასეთია:

1. ენა ცვალებადია: „როგორც ხალხის ცხოვრება, სოციალური წყობილება დროის ბრუნვის მიხედვით იცვლება, ისე იცვლება ხალხის ენა“¹⁰. „ენა ახლდება, იცვლება, მაგრამ ისე კი, რომ საძირკვლავთ ანუ სარჩულათ მაინც ძველია“¹¹ (ხაზგასმა აქაც და შემდეგაც ჩემია, — ლ. ლ.).

2. სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა ეყრდნობოდეს: „საზოგადოთ სამწერლო ენას საფუძვლავთ და საძირკვლავთ ხალხის ენა უნდა ედვას“¹².

3. „ენის სიკეთე თუ სიცუდე ერის აკვარგვიანობაზეა დამოკიდებული“¹³.

4. ენის სიმარტივე ამ ენის ღირსების, მაღალი დონის მანივენებულია. რაც უფრო წარმატებულია ენა, მით უფრო მარტივია იგი: „ენის წარმატება სიმარტივეში უნდა გამოსტკვიოდეს. ამის დამამტკიცებელი საბუთი ყოველთვის უნდა ვეძიოთ ცოცხალ ენაში, პროგრესი ყოველთვის სიმარტივისკენ მისწრაფვის, ასეთია ცხოვრების და ენის კანონი“¹⁴.

5. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სალიტერატურო ენისათვის უჩვეულო, მიუღებელი ვითარებაა — ენა ჭრელია, დამძიმებულია ნაირგვარი ფორმებით: „არცერთ ლიტერატურულ ენაში არ არის ფორმების იმისთანა მრავალგვარობა, როგორც დღეს ქართულში არსებობს“¹⁵. ეს სიჭრელე გამოიწვია, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის კონსერვატიულობამ (ხალხურ ენაში უფრო სწრაფად ხდება ცვლილებები, სალიტერატურო ენა კი მას ვერ მისდევს: „ხალხს ენის ფორმები თანდათან შეუცვლია, მწერალნი კი ამ თან-

¹⁰ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. 111.

¹¹ მისივე, ახალი თუ ძველი ენა, „კვალი“, 1894, № 32.

¹² მისივე, სალიტერატურო ქართული, გვ. 97-98.

¹³ იქვე, გვ. VII.

¹⁴ სილოვან, გორგოძის ჩვენობა, „კვალი“, 1894, № 25.

¹⁵ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, გვ. 111.

დათანობას არ მიყოლიან: ზოგი ძველს ფორმაზე შეჩერებულა, ზოგს კი უახლესი ფორმები შეუთვისებია“¹⁶. მეორე მხრივ კი — სალიტერატურო ენაში სხვადასხვა კუთხის მეტყველებისათვის გზის გახსნამ: „ჩვენი მწერალნიც თავის თხზულებებში ხშირათ ხმარობენ ...თავისი კუთხის ენას... დღეს რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმა“¹⁷.

6. სალიტერატურო ენის მოწესრიგება საშური, გადაუდებელი საქმეა. საამისოდ აუცილებელია ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო კანონების შემუშავება. ეს კანონები უნდა შეიქმნას არა ერთი რომელიმე პიროვნების მოსაზრებათა მიხედვით, არამედ სალიტერატურო ენის მოღვაწეთა შეთანხმებით. ამისთვის „ჩვენი მწერლები აუცილებლათ უნდა შეთანხმდნენ და ერთგვარი ფორმები იხმარონ, ერთგვარი კანონებით იხელმძღვანელონ სიტყვების ცვალებასა და წინადადებათა წყობილებაში“¹⁸.

7. მწერალი არ უნდა იფარგლებოდეს თავისი კუთხის მეტყველებით. იგი უნდა ფლობდეს საერთო-სასაუბრო ენას მთლიანად, ყველა კუთხის მეტყველებას, რათა ხელეწიფებოდეს სიტყვებისა და ფორმების შერჩევა: „ქართული ლიტერატორი რომელსამე ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ ყურადღებას საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს და იმათგან უსაჭიროესი სიტყვები უნდა გამოკრიფოს და უკეთილხმოვანესი ფორმები იხმაროს“¹⁹.

8. ნორმების შემუშავებისას უნდა დავეყრდნოთ ძველი ენის მონაცემებსა და კლასიკოსთა ენას. ყველა ენა ახლდება, მაგრამ ისე კი, რომ საძირკვლად ძველი ენა რჩება. ეს სულაც არ გულისხმობს ორიენტაციის აღებას ძველ ენაზე. ახალი სალიტერატურო ენისათვის საორიენტაციოდ არც მხოლოდ ძველი ენა გამოდგება, არც მხოლოდ ახალი. „...უნდა ვიხელმძღვანელოთ ენის უცვლელი კანონებით, ძველი ენის შესწავლით და ძველთა და ახალ სახელოვანთა ენის მცოდნე მწერალთა მაგალითებით“²⁰. მწერალმა ძველსა და ახალს შორის უნდა აირჩიოს ის, რომელიც ენის საზოგადო კანონებს არ ეწინააღმდეგება და თან კეთილხმოვანია: „მწერალი ბრმათ

¹⁶ ს. სუნდაძე, სალიტერატურო ქართული, გვ. III, IV, V.

¹⁷ იქვე, გვ. III.

¹⁸ იქვე, გვ. VII.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

არ უნდა ემორჩილებოდეს არც ძველსა და არც ახალ ფორმებს, არამედ მათ შორის ერთ-ერთი აირჩიოს, რომელიც კეთილხმოვანი იყოს და ენის ზოგად კანონებსაც არ ეწინააღმდეგებოდეს²¹.

ამავე აზრს დაბეჯითებით იმეორებს ს. ხუნდაძე სხვა წერილში:

„ენის კანონების კვლევაში არც მარტო ძველი მწერლობის ენით უნდა ვიხელმძღვანელოთ, არც მარტო ხალხური ენით, არამედ ორივე უნდა მივიღოთ მხედველობაში და მრავალ ფორმათა შორის უკეთილხმოვანესი ავიარჩიოთ. ამისთვის ცოდნის გარდა საჭიროა კარგი მუსიკალური სმენა და ვანეითარებული ლიტერატურული გემოვნება“²².

9. მართალია, ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ქართულია, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს სხვა დიალექტების როლის უგულვებელყოფას: „სადაც ხალხის ცხოვრება უპირველესად განვითარდა, პირველი ჩვენი მოღვაწეებიც იქ გაჩნდნენ და სამწერლო ენის საფუძვლადაც იქაური კილო დადგინდა. ისტორია მოგვითხრობს, რომ ქართველების ცხოვრება მცხეთაში დაწყებულა და „იქიდან შემდეგ... ქართველი ტომები ნელ-ნელა ყოველ მხარეს გაფრცვლელბულა“²³. მაგრამ „ქართლმა შექმნა ჩვენი კულტურა და ამიტომ იქაურ ფორმებს უნდა მივსცეთ უპირატესობაო... ეს შემცდარი აზრია. როგორც დედა-მდინარეს აღონიერებს და აძლიერებს სსედასსხვა მხრიდან შიგ მიმდინარე პაწია ნაკადულები, ისე ამდიდრებს და ამშვენიერებს დედა-ენას მისი შტოების საუკეთესო ფორმები, სიტყვები, გამოთქმები“²⁴.

10. რაღვან სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობს მთელი ხალხი, მთელი ერი და არა ერთი რომელიმე კუთხე, სალიტერატურო ქართულში წმინდა ქართლურთან ერთად სხვა კუთხის სიტყვები და ფორმებიც უნდა შევიდეს²⁵.

სალიტერატურო ენაში დიალექტების როლისა და ადგილის შესახებ ს. ხუნდაძე იმთავითვე საკმაოდ გამოკვეთილ პოზიციას იჭერს და ერთ მტკიცე აზრს ადგას. ჯერ კიდევ 1886 წ. გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „ავერია“ და მისი ენა“ ავტორი პრინ-

²¹ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, გვ. VII.

²² მისივე, ვაზეთ „ივერიის“ რედაქციის საპურადლებოდ. „ვეალი“, 1894, № 44.

²³ მისივე, სალიტერატურო ქართული, გვ. VI.

²⁴ მისივე, ბ-ნი კლდის მსჯელობას გამო. „ვერია“, 1903, № 174, გვ. 2

²⁵ ს. ხუნდაძე, ქართული თუ ქართლური ენა. ვაზ. „სახალხო საქმე“, 1929, № 856.

ციპულად აყენებს სალიტერატურო ენაში დიალექტების (კერძოდ, იმერული დიალექტის) ადგილის საკითხს: „ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამერულ კილოს მეტი ადგილი სჭერია და უნდა ეჭიროს ჩვენს ლიტერატურულ ენაში, მინამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო, იმერული ელემენტი ისე აუცილებელი საჭიროა ჩვენის ლიტერატურული ენისათვის, როგორც თევზისთვის წყალი, ცხოველისთვის ჰაერი... იმერული კილო ამსუბუქებს ჩვენს ენას, აკეკლუცებს მას და პოეტურ სილამაზეს აძლევს... ჩვენ გვწამს, რომ ცალკე არც იმერული ვარკა და არც ამერული. ლიტერატურული ენა უნდა იყოს შემუშავებული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის ბშეკენიერი ფორმებისა და სიტყვებისაგან — და მხოლოდ მაშინ იქნება იგი ლამაზი, მშვენიერი, კეთილხმოვანი. მაგრამ, ამისათვის საჭიროა კარგი ინსტინქტი, კარგი გემოვნება“²⁶.

11. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა შენუშავებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა კუთხის წარმომადგენელი: „ერთი რომელიმე კუთხის წარმომადგენელს არ შეუძლია ენობრივი ნორმების შემუშავება“²⁷.

12. დიალექტური ფორმების გამოყენება მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაშია დასაშვები: „ხალხური ენის ფორმები მწერლობაში მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა მწერალი ხალხის ტიპს ალაპარაკებს; წმინდა ლიტერატურულ ენაში კი, როცა მწერალი ამბავს თავისი საკუთარი ენით გადმოგვცემს, ლიტერატურული ენის საწინააღმდეგო ფორმების ხმარება, როგორც განსაკუთრებით ფშაველი მგოსნები ხმარობენ, — დიდი შეცდომაა“²⁸.

13. უცხო სიტყვების შემოტანა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი ბადალი სიტყვა არა გვაქვს ქართულში: „დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანით ჩვენი ენა არ დავამახინჯოთ. მაგრამ აქაც უკიდურესობა არ ვარგა. შეუძლებელია რომელიმე ენაში უცხო სიტყვა არ შევიდეს, მაგრამ ეს სიტყვა უთუოდ იმისთანა ტექნიკური. განსაკუთრებული მნიშვნელობის მექანი უნდა იყოს, რომლის მზგავსიც ამ ენაში არასოდეს არ ყოფილა. ამისთანა სიტყვების კატეგორიას ეკუთვნის, მაგალითად, რუსული სიტყვა «სამოვარი»“²⁹.

²⁶ სილოვან, გაზეთი „ივერია“ და მისი ენა, „თეატრი“, 1886, №№ 13, 14.

²⁷ მსიცივე, ქართული ენის სწავლადე, გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 9, გვ. 2-3.

²⁸ ს. ხუცედაძე, ქართული მართლწერის და სწორების ძირითადი საკითხები, ქუთაისი, 1927. გვ. 78.

²⁹ იქვე, გვ. 77.

14. რაც შეეხება უცხო გრამატიკულ კატეგორიას, ასეთი არ უნდა შემოვიტანოთ ენაში: „რუსული ენის გაულენით, ზოგიერთი ჩვენი მწერალი, ვითომდა მდებარეობითი სქესის აღსანიშნავათ, რამდენიმე სიტყვას რუსული დაბოლოებით ხმარობს: ღმერთა, მეუა, ბატონა, ხელმწიფა და სხვ. ქართულ ენაში სქესი არ არსებობს და, მაშასადამე, მის აღსანიშნავათ განსაკუთრებული დაბოლოება ჩვენს ენაში სრულიად შეუფერებელია“³⁰.

15. „როცა რომელიმე სიტყვა უცხო ენიდან შემოგვაქვს, უცხო ენის მართლწერა კი არ დავიცვათ, არამედ — ჩვენი ენისა“ (ეკლესია, გრამატიკა, პროგრამა, კომისია, ანა, იოანე... და არა: ეკკლესია, გრამმატიკა, ანნა, კომმისია...)“³¹.

16. მისაღები ფორმის შერჩევისას შემდეგ პრინციპებს უნდა ვეყრდნობოდეთ: ფორმის სიმარტივე, წარმოების სისწორე, ისტორიულად გამართლებულობა, გავრცელებულობა, კეთილხმოვანება.

17. რადგან სიმარტივე ენის წარმატებაა („ენის წარმატება სიმარტივეშიც უნდა გამოსჭვიოდეს“³²), ამიტომ ენის განვითარებისა და წინსვლისათვის უნდა დავიცვათ გამარტივების პრინციპი:

გავამარტივოთ ძველი ენის მძიმე ფორმები (აღვედი, განვაგდე... კი არა: ავედი, გაუაგდე...);

ვებრძოლოთ რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრას. ეს გააადვილებს გამოთქმას, ე. ი. გააკეთილხმოვნებს კიდეც ენას (მიბრძანე, წავიდნენ, სცდილობს... კი არა: მიბძანე, წავიდენ, ცდილობს...);

წინადადებაში სიტყვები დავაწყოთ მარტივად (მაგ.: „ქვეყნის დიდი საქმე თავგანწირვას ითხოვს“, და არა: „თავგანწირვას ითხოვს დიდი საქმე ქვეყნისა“).

18. სალიტერატურო ენის დასახვეწად ასევე გადაწყვეტია კეთილხმოვანების პრინციპის დაცვა, რაც აუსცილებელია იმისთვის, რომ სიტყვა ადვილად გამოსათქმელი და სასიამოვნო მოსასმენი იყოს. „კეთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელათ ადვილია და სმენისთვის სასიამოვნო“³³. „კეთილხმოვანობა ენის სიკეთის პირობათაგანია“³⁴ — წერს ს. ხუნდაძე და ქართული ფონე-

³⁰ იქვე, გვ. 73.

³¹ იქვე, გვ. 52.

³² სილოვან. გორგოძის ჩიქორთული, „ქალი“, 1894. № 35.

³³ მისივე, ჩემი ქართული გრამატიკა, გვ. „სახალხო განათლება“, 1919.

³⁴ მისივე, სალიტერატურო ქართული, 1901, გვ. 102.

ტიკის მთელ რიგ კანონებს „კეთილხმოვანობის“ სამსახურში აყენებს:

„ქართული ენა კეთილხმოვანობისათვის შემდეგ კანონებით ხელმძღვანელობს“³⁵:

1) თანხმონის გამოკლება და ამით გამოთქმის გაადვილება (ბ(რ)ძანება, (მ)კვდარი, ცი(ს)სარტყულა...);

2) თანხმონის ჩართვა (შევიტყვე, დავაწყვე, გავაძვრე, მისცა, სძინავს...);

3) მეტათეზისი (ცარიელი, ხვნა, კვლა, სხელა, სურაელი, მაღჩიელი...);

4) თანხმონის შეცვლა (წრუევანდელი, მზგავსი, ბარბალე, ლერწამი...);

5) ს და შ-ს შენაცვლება (ტაშტი, შკოლა, შინჯვა, ფოშტა, შიმშილი...);

6) მარცვლის შემოკლება (ხალხური ენის -ოვა, -უა > -ვა: ცხოვარი > ცხვარი, საშუალეა > საშვალეა);

7) ორი ერთგვარი თანხმონისათვის გვერდის ავლა (გრამ(მ)ატიკა, ეკ(კ)ლესია, თ(თ)ვე, ჩ(ჩ)ვილი...);

8) უცხო სიტყვებში ო-ს გამოთქმა რუსული ა-სგან განსხვავებით (კომიტეტი, ოდესა, მოსკოვი...);

9) ბოლო მარცვლის გახმოვანება (თუ სიტყვის ბოლოს და მეორე სიტყვის დასაწყისში ერთი და იგივე თანხმოვანია, წინა სიტყვას დაერთვის ა: წყალსა სვამს, ხელითა სთხრის...);

10) ნაცვალსახელებისა და „რომ“ კავშირის იშვიათი გამოყენება („არ უნდა ვიხმართ ისინი არსად, სადაც უიშათოდ აზრი გასაგები იქნება“);

11) მსაზღვრელ-საზღვრულის დაბოლოების გამარტივება. (ძველი ფორმები: საქმესა კაცისასა, საქმითა კაცისათა, ან შევამოკლოთ: საქმეს კაცისა, საქმემ კაცისამ, ან წყობა შევცვალოთ: კაცის საქმე, კაცის საქმეს...).

სილოვან ხუნდაძემ ორთოგრაფიას საფუძვლად დაუდვა „კეთილხმოვანობის“ პრინციპი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ სიტყვა ადვილად გამოსათქმელი და სასიამოვნო მოსასმენი იყოს... „კეთილხმოვანობის“ პრინციპს ძირს უმაგრებს შემდეგი ფონეტიკური კანონ-

³⁵ ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 48.

ნები: სიტყვის ძირში არ შეიძლება ერთად მოიყაროს თავი ერთგვარი წარმოების ბგერებმა („ერთი ორგანოს ხმებმა“); მაგ.: ბბ, ბფ, გკ, ყკ, გქ, გლ, დტ, დთ... გამონაკლისს წარმოადგენს მ, რომელიც ძირში შეგვესდება სხვა ბაგისმიერ ბგერათა გვერდით („რომელიც უერთდება თავისსავე ორგანოს ხმებს“), მაგ.: ბამბა, ფომფო, ლამპარი, ლამბი...

12) საზოგადო კანონია, ერთად მსოლოდ მონათესავე ბგერები იყრის თავს.

მონათესავე ბგერებია, ერთი მხრივ, „მაგარი ხმები“: ბ, გ, დ, პ, ტ, კ. მეორე მხრივ კი — „რბილი ხმები“: ფ, თ, ქ, ც, ყ, ხ, ლ¹⁶. ძირეულ სიტყვაში მაგარი თანხმოვანი (ბ, გ, დ, პ, კ, წ) რბილი თანხმოვნის (ფ, თ, ქ, ს, ც) მეზობლად არასოდეს არ გვესდება (თკ, გც, ბფ და მსგავსი ბგერათშეერთებანი ძირებში შეუძლებელია). გვესდება მსოლოდ ასეთი კომბინაციები: მაგართან — მაგარი, რბილთან — რბილი, რაც კეთილსმოვანებას ქმნის (მაგ.: ტკბილი, კბილი, ტბა(1), დგომა..., მაგრამ: თქმა, ფქვილი, თფილი...).

გამონაკლისია რბილი ბგერა ს, რომელთან რბილი ბგერაც გვესდება და მაგარიც (თხელი, ცხელი, ფხალი, ჩხა... მაგრამ ასევე: ხტომა, კოხტა, ტახტი... ხბო, სხდომა...).

უფრო ადრეც, 1889 წელს, მიუთითებს ავტორი ამ ფაქტზე: ტ ფ ი ლ ი ს ი ძნელი გამოსათქმელია, რადგან ტ და ფ სხვადასხვა ხასიათის ხმებია: ტ მაგარია და წმინდა, ფ რბილია და მომსხო, ერთად კი მსოლოდ მონათესავე ასოები იყრის თავს. ეს საზოგადო კანონია. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: რედაქცია, მაგრამ რედაქტორი და ა. შ. ხმები თ, ფ, ქ, ც, ხ, ერთი მხრივ, და დ, ბ, კ, წ, ყ, გ, მეორე მხრივ, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისა არიან და იმათი შეერთება არ შეიძლება, თორემ კეთილსმოვანებას დაარღვევს³⁷.

ამ კანონს არ ემორჩილება სისინა და შიშინა ბგერები და აგრეთვე ვ, მ, ლ, ნ, რ, ღ, ყ თანხმოვნები — ისინი ერთნაირად იხმარებიან როგორც რბილ, ისე მაგარ ბგერებთან. მაგ.: ტყე, ყბა, დღე.

¹⁶ ს. ხუნდაძე ბგერებს ახასიათებს აუსტრაული შობებულების მიხედვით: მაგარი და მსხვილი (ბ, გ, დ, ქ, კ), მაგარი და წმინდა (პ, კ, ტ, ძ, წ). რბილი და წმინდა (მ, ნ, ლ, ხ, ს).

³⁷ ს. ხუნდაძე, ბიბლიოგრაფია. პირველ-დაწყებითი ქართული კრიტიკის, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, „ივერია“, 1889, №№ 12, 14, 15

ხმა, გმირი... ს. ხუნდაძე გახაზავს, რომ ამ ფონეტიკურ კანონს (მაგართან — მაგარი, რბილთან — რბილი) მტკიცე საფუძველი აქვს ხალხის გამოთქმაში. „საზოგადოთ სამწერლო ენას ხალხის ენა უნდა ედვას, მაგრამ განსაკუთრებით გამოთქმაში უნდა მიექცეს ყურადღება ხალხის ენას, მეტადრე ქართულში, სადაც სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის. ამიტომ სწორია და უნდა იწერებოდეს: თფილისი, შეცთომა, მსთალი, მოხთა, ერდგული, ქვიტიკირი“³⁸.

19. სალიტერატურო ენის განახლებისა და გამდიდრებისათვის, ე. ი. ნორმალიზაციისათვის, მართლწერაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფონეტიკურ პრინციპს. „რადგან ქართულში სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის, ე. ი. უნდა ვწეროთ ისე, როგორც გამოთქვამს ხალხი... საზოგადოთ სამწერლო ენას საფუძველად და საძირკველად ხომ ხალხის ენა უნდა ედვას, მაგრამ განსაკუთრებით გამოთქმაში უნდა მიექცეს ყურადღება ხალხის ენას, მეტადრე ქართულში, სადაც, ვიმეორებ, სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის“³⁹. ამიტომ:

ვითარებით ბრუნვასა და ზმნისართებში უნდა ვწეროთ თ (ქვათ, კარგათ...).

ც-სა და ხ-ს მეზობლად უნდა ვწეროთ თ (გამოცთა, წასთენა...)⁴⁰.

3 არც ერთ ქართულ ძირში არა გვაქვს, ძნელი გამოსათქმელია და ხორცმეგია ზმნებშიც (ჭბრძანდები...), არ გამოვთქვამთ და არც უნდა ვწეროთ. ს კი შეიძლება ვიხმართო (სთქვა, სტირის, სწუხს, მისცა) საკეთილსმოვნოთ“⁴¹.

ერთ თავის წერილში ს. ხუნდაძე განმარტავს, რომ მის „ქართულ გრამატიკაში“ ორთოგრაფია რამდენადმე განსხვავებულია: ზმნისართებსა და ვითარებით ბრუნვაში დ-ს მაგივრად ხმარობს თ-ს (კარგათ, კაცათ...), ასევე თ-ს ხმარობს დ-ს მაგივრად ც-სა და ხ-სთან (გამოცთა, გადახთა) და ა. შ. იგი მიუთითებს, რომ ეს მართლწერა არ არის ფანტაზიის ნაყოფი და მისი საფუძველები მოხსენიებული აქვს წიგნში „სალიტერატურო ქართული“⁴².

³⁸ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, გვ. 97—98.

³⁹ იქვე.

⁴⁰ თავისი გრამატიკის VII გამოცემაში (1920 წ.) ს. ხუნდაძე დ-ს ხმარობს (იხ. კვანტალიანის დასახელებული ნაშრომი).

⁴¹ ს. ხუნდაძე, გიორგიძის ჩიქორთული, „კვალი“, 1894, № 35, გვ. 13—15.

⁴² ს. ხუნდაძე, მცირე შენიშვნა ჩემი „ქართული გრამატიკის“ გამო, „ივერია“, 1903, № 137, გვ. 3.

პრინციპებში, რომლებიც დღეს სახელმძღვანელოდაა მიღებული. დადგენილია, რომ სალიტერატურო ენის ნორმის შემუშავების დროს საკითხი გადაწყდება იმ ფორმის სასარგებლოდ, რომელიც უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში, გრამატიკულად სწორია (დღევანდელი გრამატიკული სისტემით გამართლებულია). წარმოების მიხედვით მარტივია, ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას.

ამ პრინციპების სიახლოვე ს. ხუნდაძის შესაბამის პრინციპებთან აშკარაა. რაც შეეხება კეთილხმოვანებას, რომელიც ს. ხუნდაძისთვის ყველაზე მყარი საბუთი იყო, რომელსაც იგი იყენებდა და თანმიმდევრულად იცავდა, სუბიექტური პრინციპია და ამდენად მისი შეტანა ნორმალისაციის პრინციპებში გაუმართლებელია, რადგან ენის ფაქტების შეფასებისას სანდო შედეგი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ ობიექტური ანალიზის მეთოდმა, ენობრივი მოვლენის ახსნამ და არა პირადი გემოვნების მიხედვით შეფასებამ. კეთილხმოვანება ნორმის დასადგენად უტყუარი საყრდენი ვერ იქნება, რამდენადაც ამა თუ იმ ენობრივ ფაქტს აფასებს იმის მიხედვით, არის თუ არა ბუნებრივი ეს ფაქტი მავანისათვის, ყურს უცხოოდ თუ არ სვდება, სასიამოვნო მოსასმენია (ეს არის ამ მეთოდის კრიტერიუმი). მაგრამ ის, რაც ერთისთვის კეთილხმოვანია, მეორეს შეიძლება არაკეთილხმოვნად ეჩვენოს (ამას განსაკუთრებით სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები ივრძნობენ). ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ს. ხუნდაძის კეთილხმოვანების პრინციპმა საკმაოდ მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა (არნ. ჩიქობავა).

ჯერ კიდევ 1895 წელს პეტრე ჭარაიამ განაცხადა, მართლწერის პრინციპად კეთილხმოვანების პრინციპი არ გამოდგებაო. ენის განვითარება არ მიიმართება კეთილხმოვანების მოთხოვნილებათა მიხედვით, ის სუბიექტური მეთოდია და არ წარმოადგენს მეცნიერულ ცნებას⁴³.

კეთილხმოვანების პრინციპს წინ აღუდგა პ. მირიანაშვილი⁴⁴. ხუნდაძისებურად გაგებულ კეთილხმოვანებას იწუნებდა ა. შანიძეც და სხვ.

ს. ხუნდაძე ასე იცავდა და აზუსტებდა თავის აზრს: „დინჯ მოკამათეს არ შეეძლო ეთქვა, თითქოს მე, ქართული ენის სხვადასხვა ფორმის არჩევის დროს, მხოლოდ პირადი გემოვნებით ვხელ-

⁴³ პ. ჭარაია, ქართული ენა და ქართული მართლწერა, „მოამბე“, 1895, № 9.

⁴⁴ პ. მირიანაშვილი, „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

მსღვანელობდნენ. მაგრამ იშის უარყოფა შეუძლებელია, რომ ყოველის კულტურულის ერის სალიტერატურო ენაში კეთილსმოვანობას, როგორც მუსიკაში ჰარმონიას, მცირე ადგილი არ უჭირავს და თუ რომ განვითარებულ მსმენელს კი აქვს ნება რომელიმე მუსიკალური თუ სასიმღერო ჰანგი ჰარმონიულათ ან დისჰარმონიულათ აღიაროს, ენის მკვლევარსაც ვერაფერს დაუშლის, მეცნიერულ დასაბუთებასთან ერთად კეთილსმოვანობაც იმოწმოს“⁴⁵.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსმოვანების პრინციპს მომხრეებიც ჰყავდა. მაგ.: აკაკი, გ. წერეთელი (იხ. ქვემოთ), ს. გორგაძე (ერთ-ერთ პრინციპად მიიჩნევდა), ი. გოგებაშვილიც კი ვადიარებ ფორმის უპირატესობის ერთ-ერთ საბუთად იმასაც ასახელებს, რომ აღვიარებ უფრო ძნელი გამოსათქმელია, ე. ი. არაკეთილსმოვანიაო...

ს. ხუნდაძის მიერ წამოყენებული ფონეტიკური პრინციპის წინააღმდეგ გაილაშქრა იუსტ. აბულაძემ. მისი აზრით, არ არის სწოთი ფონეტიკური დაწერილობის პრინციპის განუხრეულად, სწორხაზოვნად გატარება. გვაქვს სიტყვები, რომელთა გამოთქმა და წერა ერთნაირად შეუძლებელია (გქონია — ისმის: ქქონია). გამოთქმის კანონი სხვა აქვს ენას, წერისა კი — სხვა. მართლწერის წესის დასადგენად საჭიროა ენობრივი ანალიზის ჩატარება. გადამწყვეტი როლი უნდა მიიღიჭოს არა ხალხის გამოთქმას, არამედ სიტყვისა და აფიქსის წარმომავლობას, წერაში მეცნიერული კანონის მიხედვით უნდა მოვიქცეთ. მაგ.: ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -ად წარმოშობილია სად მოქმედების სართისაგან. ქალაქად ← ქალაქ-სად (ქალაქის მიმართ), კაცად ← კაც-სად (კაცის მიმართ) (შდრ.: მიიქცა ქალაქად). ასევე, თუმც ისმის ტკბილი, კბილი, ტბა... უნდა ვწერთ: ტკბილი, კბილი, ტბა... გამოითქმის: სახტარი, ხეთის... უნდა ვწერთ: საყდარი, ღეთის...⁴⁶.

ფონეტიკურ პრინციპსაც ჰყავდა მხარდამჭერი. მაგ., პეტრე ჭარაია, რომელმაც კეთილსმოვანების პრინციპის წინააღმდეგ გაილაშქრა, ფონეტიკური პრინციპის მომხრე აღმოჩნდა — ენის სიტყვის, მისი განვითარების დასტურს იგი სწორედ ბგერათა ცვალებადობაში ხედავს. პ. ჭარაიას აზრით, სხვაობა ერთი სიტყვის

⁴⁵ ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 5.

⁴⁶ იუსტ. აბულაძე, ბიბლიოგრაფია, სალიტერატურო ქართული (სილ. ხუნდაძის გამოკვლევა, ქუთაისი, 1901), „მოგზაური“, 1902, № 6.

დაწერილობაში იქიდან წარმოდგება, რომ მართლწერის საკითხებში სხვადასხვა გზას ადგანან, მაგალითად, „ივერია“ ისტორიულ პრინციპს იცავს (იცავენ იმ დაწერილობას, რომელიც გვსკდება საღვთო და საერო ძეგლებში), „კვალი“ კი ფონეტიკურ თრთოგრაფიას მისდევს — წერენ ისე, როგორც გამოითქმის თანამედროვე სახალხო და სალიტერატურო ენაში. პ. ჭარაია მხარს უჭერს „კვალის“ პოზიციას: ძველად იწერებოდა: მწუხარედ, პირველად, ტკბილად... დღეს დ აღარ იშვის, გვაქვს თ. დ-ს აღდგენა შეუძლებელია, უნდა ეწეროთ თ. ასევე ვერ დაუბრუნდებით თვე სიტყვის ძველ მართლწერას თხვე. ასე რომ, ძველი ფორმების შენარჩუნებაზე ფიქრი უშედეგოა.

ესეც კია, რომ, პ. ჭარაიას აზრით, ისტორიული მართლწერის დაცვას „ზოგ შემთხვევაში თავისი მნიშვნელობა აქვს“⁴⁷.

ცნობილია ს. ხუნდაძისა და ა. შანიძის პაექრობა. ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

ამ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ს. ხუნდაძის დიდ ღვაწლს ხედავდნენ და აფასებდნენ მისი თანამედროვენი. იუსტ. აბულაძე, აღნიშნავს რა ქართული გრამატიკული ლიტერატურის სიღარიბეს, წერს: „ამისთანა მდგომარეობაში სწორედ გაჭირვების ტალკვესია ისეთი კეთილსინდისიერი შრომა, როგორიც არის ს. ხუნდაძის „სალიტერატურო ქართული“... ავტორი ცდილობს გაამარტივოს და გააკეთილხმოვანოს სალიტერატურო ენა, ამისთვის გვაწვდის საბუთებს“⁴⁸.

ს. ხუნდაძის წიგნს მაღალ შეფასებას აძლევს ა. ხასანაშვილი: „ჩვენ დიდი ვაფასებთ ს. ხუნდაძის ღირსეულ შრომას და თითქმის ყოველს მის სტრიქონს ქვეშ სელს მოვაწერთ თანხმობის ნიშნათ“⁴⁹.

გარდა უამრავი სადავო ფაქტის განხილვისა და მისაღები ვარიანტების დადგენისა, ს. ხუნდაძემ ზოგადთეორიული ხასიათის მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბა ნორმალიზაციის პრინციპები, ბევრ შემთხვევაში მართებული პოზიცია შეარჩია და თავდადებით იბრძოდა ამ დიდი ეროვნული საქმისათვის.

⁴⁷ პ. ჭარაია, ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა, „მომანტი“, 1905, № 9.

⁴⁸ იუსტ. აბულაძე, სალიტერატურო ქართული (სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა, ქუთაისი, 1902), „ნოვოსტრო“, 1902, № 6.

⁴⁹ ა. ხასანაშვილი, სალიტერატურო ქართული, სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა, ქუთაისი, 1901, „კვალი“, 1902, № 18.

ტრადიციული შეხედულების (ანტონ I და სსე.) საწინააღმდეგოდ, ს. ხუნდაძეც ენის ცვალებადობას აღიარებს; უერთდება მოსაზრებას, რომ სალიტერატურო ენამ ორიენტაცია ხალხის მეტყველებაზე უნდა აიღოს; ხედავს მჭიდრო კავშირს ენისა და მისი მფლობელი ერის მდგომარეობას შორის; სალიტერატურო ენის მძიმე ვითარებიდან გამოსავალს ხედავს ყველასთვის სავალდებულო მართლწერის წესების შემუშავებაში, კანონების დადგენაში სასჯელმწიფოებრივ დონეზე; თვლის, რომ ნორმების შემუშავებისას უნდა დავყვარდნოთ ძველი ენის მონაცემებს, კლასიკოსთა ენას და ხალხურ მეტყველებას; ცდილობს, რომ სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს საქართველოს ყველა კუთხის, ყველა დიალექტის მონაცემები; ნორმების შემუშავებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა კუთხის წარმომადგენელი; მისი აზრით, დიალექტური მასალის განუკითხავად შემოტანა დაუშვებელია; დიალექტიზმების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში; უცხო სიტყვების შემოტანა ზოგჯერ აუცილებელია (თუ ბადალი სიტყვა არ გააჩნია ქართულს), მაგრამ უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოტანა არამც და არამც არ შეიძლება; უცხო სიტყვებში ჩვენი ენის მართლწერის წესები უნდა დავიცვათ; სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად ამოსავალია შემდეგი პრინციპები: ფორმის სიმარტივე, წარმოების სისწორე, ისტორიული გამართლებულობა, გავრცელებულობა და კეთილხმოვანება; ორთოგრაფიას საფუძვლად უნდა დაედოს კეთილხმოვანება, ფონეტიკური პრინციპი.

II. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის მოღვაწეობისას ს. ხუნდაძეს მხარში ედგა მეტად ნიჭიერი, ერუდირებული ენათმეცნიერი, ენების მცოდნე, სერიოზული მკვლევარი კოტე დოდაშვილი (დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1919 წ. მოღვაწეობდა XIX ს-ის 80-იან და XX ს-ის 10-იან წლებში). მისი კვლევის საგანი იყო ქართული ენის გრამატიკული წყობა და ქართული ლექსთწყობა⁵⁰. კ. დოდაშვილი თავის მოღვაწეობაში დიდ ადგილს უთმობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებს. მისი შრომების ნაწილი ცალკე წიგნად გამოვიდა 1914 წ.

⁵⁰ კ. დოდაშვილის საენათმეცნიერო ნაშრომები ვრცლად აქვს მიმოხილული არნ. ჩიქობავას ს. ხელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანაშრომელს მურმან სუხიშვილს. ხელნაწერი ინახება ინსტიტუტის არქივში.

კ. დოდაშვილმა ჯერ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა სალიტერატურო ენის სადავო საკითხებს. შემდეგ კი „კვალის“ პოზიციების ნათელსაყოფად 1894 წ. № 39-ში წარმოადგინა პრინციპები, რედაქციის მოსაზრებანი ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით⁵¹.

აქ ჩამოყალიბებულია გარკვეული თვალსაზრისი შემდეგ სადავო საკითხთა შესახებ: სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია; განიღვენოს თუ არა ზედმეტი ასოები; მივიჩნიოთ თუ არა სალიტერატურო ენის ბაზისად ხალხის მეტყველება; სწორია თუ არა სალიტერატურო ენაში დასავლური დიალექტების გამოყენება; შეიძლება თუ არა ახალი სალიტერატურო ენა შეიქმნას ძველი და თანამედროვე ქართულის შეჯვარებით და სხვ.

კ. დოდაშვილის მიერ წარმოდგენილ პრინციპებში აშკარად იგრძნობა ავტორის ენათმეცნიერული განათლება, ქართული გრამატიკის ღრმა ცოდნა, ნორმალიზაციის საკითხების ნათელი ხედვა.

„აი, რა პროგრამით აპირებს „კვალის“ რედაქცია მუშაობას სალიტერატურო ენის შემუშავებისთვის“, — აცხადებს კ. დოდაშვილი და წარმოადგენს პრინციპებს, რომლებიც 9 პუნქტისაგან შედგება:

1. თანამედროვე სასაუბრო სახალხო ენის გამოყენება სალიტერატურო ენის საყრდენად: „ლიტერატურაში ბატონობდეს ჩვენი თანადროული სასაუბრო ენა, ნამდვილი ქართული და არა შერეული“;

2. ძველი და ახალი ენის შერევით მიღებული მექანიკური ენის განდევნა: „განიღვენოს ის მექანიკური ენა, რომელიც შექმნეს ზოგიერთმა მწერლებმა ძველისა და ახალი ფორმების ერთი ერთმანეთში არევით“;

3. წერისა და კითხვის თანხედრობა. ორთოგრაფიისათვის გვერდის ავლა: „აშორდეს ქართულ ენას ორთოგრაფია, ანუ არ მოხდეს განსხვავება წერასა და კითხვას შორის“;

4. ზედმეტი ბგერების განდევნა: „განიღვენოს სიტყვებიდან ის ზედმეტი ბგერები, რომელნიც არავითარ ახალ კილოს არ აძლევენ სიტყვების დედა-აზრს და ამიტომ ენისათვის გამოთქმაში შეადგენენ მეტ საწვალბელს“;

5. პარალელური დიალექტური ფორმებისაგან უფრო კანონიერი, ქართული ენის ბუნებას მისადაგებული ფორმების შერჩევა: „შესა-

⁵¹ კ. დოდაშვილი, ბ-ს იაკობ სამსონიძეს, „კვალი“, 1894, № 39, გვ. 10.

ძლებელია საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებოდეს რომელიმე დამასინჯებული ფორმები (პროვინციალიზმები), მაგრამ მათ შეტანა სალიტერატურო ენაში მოუსურხებელია, რადგანაც დანარჩენ კუთხეებში იხმარება კანონიერი ფორმები, ქართული ენის ბუნება-სასიათზე შედგამოჭრილი“;

6. გურია-იმერეთ-სამეგრელოში შემორჩენილი ბუნებრივი ქართული სიტყვების გამოყენება: „სასურველია შეწყნარება და შეთვისება იმ ბუნებრივ ივერიელ ენათა სიტყვებისა, რომელნიც გაფანტულ არიან გურია-იმერეთ-სამეგრელოში. ხოლო მათ მაგიერ ქართლ-კახეთში გაბატონებულია სიტყვები: სპარსული, თათრული, სომხური და რუსული“;

7. ხალხის მეტყველებაში შემოკლებული სიტყვების მიღება სალიტერატურო ენაში: „მიღება სალიტერატურო ენაში ზოგიერთ სიტყვებისა იმ სასით, რა სახითაც იგინი შეუმოკლებია ხალხს თავის გამოთქმაში, თუ ეს შემოკლება არ იწვევს ცნებათა არევას“;

8. ზმნაში ასახული სიტყვების (\neq ნაცვალსახელების) ამოღება წინადადებიდან: „გამოტოვება საზოგადოთ წინადადებიდან იმ სიტყვებისა, რომელთა აღმნიშვნელ ზმნებს აქვთ ხოლმე ჩართული“;

9. უღვლილების გამარტივება: „შემოკლება რთული უღვლებისა ისე, როგორც ამას მოითხოვს ხალხის გენიოსობა — (геній народа)“.

სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში გვხვდება კ. დოდაშვილის ზოგი სხვა შეხედულებაც ზოგადპრინციპულ საკითხთა შესახებ. მაგ.:

1. ენას თავისი კანონები აქვს. თავს მოხვეულ კანონს ენა არ მიიღებს: „ყოველი ენა, თვით დაბალ ფორმაციაში მყოფიც კი, თავის ასაკში მოსული ბრძენია და არა ბალლი და მაგრე ადვილად არ დაჰნებდება კრიჭის ასაკრავათ ძალად მაცხოვნებს“⁵².

2. არ არსებობს გრამატიკული კანონი გამონაკლისის გარეშე: „ენაში არ არსებობს რაიმე სწორთქმა, რომელსაც არ ჰქონდეს გამოსაკლები“⁵³.

3. ენის გრამატიკული აგებულება მყარია, ნაკლებად ემორჩილება ცვლილებებს, მაშინ, როცა სხვა მხარე ენისა (ლექსიკა, ზოგჯერ ფორმანტებიც კი...) უცხო ენათა გავლენით ან ზოგჯერ თვით

⁵² კ. დოდაშვილი, საგრამატიკო კანონები, „კვლევა“, 1894, № 37.

⁵³ იქვე.

ენაში მომხდარი პროცესების შედეგად (შემოკლება, ფონეტიკური ცვლილებები...) შეიძლება სახეს იცვლიდეს:

„რომელიმე ენა შეიძლება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გაირყენას სხვადასხვა ენებიდან შეტანილი სიტყვებით, აგრეთვე შეიძლება მან შეითვისოს უცხო ენების რომელიმე შემადგენელი ელემენტები... აგრეთვე შესაძლებელია, მის საკუთარმა შემადგენელმა ელემენტებმა იცვალონ სახე ან უბრალო შემოკლებით, ან ფონეტიკური გადაგვარებით, ხოლო ამ ენის ფორმების ანატომიურ წეს-წყობილება, ანუ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ენის გრამატიკა, უხსოვარ დროიდან დაყოლილი და დაკანონებული ამ ენასთან, შეუშლელი და საუკუნო იქმნება ყოველთვის, ვიდრე რაიმე უღვთო ძალა არ შემუსრავეს და წალეკავეს იმ ერს, რომელიც ლაპარაკობს ამ ენაზე“⁵⁴.

4. ორთოგრაფია ქართულში არ არსებობს: „ჩვენი წერა-კითხვის ერთად-ერთი ბედნიერება ისაა, რომ ორთოგრაფია ჩვენში არც არსებობს და არც გაგონილა. ამითი ცვიფრდებიან უცხოელები“⁵⁵.

5. ქართულისთვის ბუნებრივი არ არის ორი ერთგვარი თანხმოვნის თავმოყრა: „ქართული ენა ერიდება ორ თანაბარ თანხმოვანთა შეხვედრას სიტყვებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე თანაბარი თანხმოვანი აძლევს მთელს სიტყვას რაიმე განსხვავებულ მნიშვნელობას. მაგ.: გაუდიდ-დები, წერილმან-ნი...“⁵⁶.

III. აკაკი წერეთელი. ახალი სალიტერატურო ქართულის წარმატება ორგანულადაა დაკავშირებული ილიასა და აკაკის სახელებთან. ეს ორი უდიდესი პიროვნება თავიანთი მოღვაწეობითა და მრწამსით თავდადებით იღვწოდა და უძღვებოდა ბრძოლას ქართველი ერის, მისი ენის საკეთილდღეოდ, ამ ენის ღირსების დასაცავად, უფლებების აღსადგენად, მის დასახეწვად...

აკაკი თავისი შეხედულებებით არაფრით არ ჩამორჩებოდა იმდროინდელი ენათმეცნიერული აზროვნების დონეს. მის ნაწერებში გვხვდება მსჯელობა ენის რაობის, მისი ისტორიული სასიათის, ენის შინაგანი კანონების სელშეუხებლობის შესახებ, ქართველი ერის, მისი ენისა და მწერლობის სიძველის, ძველი ქართული სალიტერატურო ენის დასვეწილობის თაობაზე, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საღესურების, ახალი სალიტერატურო ქარ-

⁵⁴ კ. დ. ბაქრაძის „საქართველოს ენაობა“, 1894, 26-37.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე.

თულის ჩამოყალიბებისა და იმჟამინდელი მდგომარეობის, სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში მწერლობისა და თეატრის როლის შესახებ...

გულმსურვალედ მსჯელობდა და კამათობდა აკაკი სალიტერატურო ენის საჭირობოროტო საკითხებზე, ეძიებდა უფრო მარჯვე ლექსიკურ ერთეულებს, დევნისაგან იცავდა ცოცხალ ენაში ხმარებულ სიტყვებს, გარკვეულ შემთხვევაში მხარს უჭერდა დიალექტურ პაპალელიზმებსაც, როგორც ენის სიმდიდრის ერთ-ერთ ნიშანს.

აკაკი თავდაუზოგავად იბრძოდა დახვეწილი და მდიდარი სალიტერატურო ენისათვის. იბრძოდა თავისი მხატვრული შემოქმედებით, მასწავლებელი პუბლიცისტიკით, ქართულ თეატრში დაუღალავი მოღვაწეობით... იბრძოდა იმ რწმენით, რომ სალიტერატურო ენა თავისი მათრგანიზებული უნარით, თავისი ერთიანობითა და სიძლიერით ერის ერთობას, მის შეკავშირებას შეუწყობდა ხელს.

აკაკი გაზ. „კვალის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო. მაგრამ ვარდა ორიოდუ საკითხისა, იგი თავისი შესედულებებით იმავე პოზიციებზე იდგა, რომლებზეც ილია, დავით ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვები.

ამის ნათელსაყოფად შევეცდებით მუხლებად ჩამოვყალიბოთ აკაკის მრავალ წერილში გაბნეული ზოგადთეორიული შეხედულებები სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის შესახებ, რათა გაადვილდეს სხვა ავტორთა შეხედულებებთან შედარება. აკაკის აზრით:

1. „ენა... ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღია“⁵⁷.

2. ენა ისტორიული მოვლენაა, ცვალებადია, „ადამიანის განვითარებას თან მიჰყვება და ამიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება, ახალი ძველს აღარა ჰგავს და დღევანდელისაგან მომავალი უნდა განსხვავდეს, უნდა გაიზარდოს“⁵⁸.

3. ენას თავისი განვითარების კანონები აქვს, გარედან რისაჟე ოაჟეზე ნოსვევა შეუძლებელია: „ამ კანონების გადახვევა ყინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება“⁵⁹.

4. ქართული ენა (ისევე, როგორც ქართველი ხალხი) ძველისძველია: „სათავე ქართველობის და ქართული ენის ჯერ არა აქვს

⁵⁷ აკაკი წერეთელი, ნაღლი, „თგმი“, 1911, № 12; თსზ. სრ. კრებ. XIV, 1951, გვ. 312.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე.

ისტორიას გამოკვეთილი, მაგრამ ნიმუშებს კი ძალიან შორს მიყვარათ“⁶⁰.

5. ძველიძველია ქართული დამწერლობაც (მსედრული უფრო ძველია, ხუცური — უფრო ახალი)⁶¹: „აქამდე გამოტყვეული არ არის, როდის არის შემოღებული ქართული მწერლობა — ქრისტიანობის დროს თუ წინათვე, კერპობისას. მართალია, ისტორიული ზღაპარი გადმოგვცემს, რომ სომხის ტერტერამ, მესროპმა, გამოუგონა ქართველებს ანბანიო, მაგრამ ეს დამაჯერებელი არ არის“⁶².

6. ძველი ქართული სალიტერატურო ენა დახვეწილი, სრულყოფილი ენაა: „ძველი ქართული ენა ისე კარგათ არის ძველთაგანვე შემუშავებული, შეესებული, რომ მისი ზედმიწევნით ცოდნა ძნელია“⁶³. „აიღეთ უცხო ენებიდან ნათარგმნი წიგნები საერო თუ საღვთო-სასულიერო და მაშინ დარწმუნდებით, თუ რამდენად სრულია და შემუშავებული ქართული ენა“⁶⁴.

7. შუა საუკუნეებში სანიმუშოდ დახვეწილი იყო არა მხოლოდ სალიტერატურო, არამედ ასევე სასაუბრო ქართული ენაც, ხალხის მეტყველება. რუსთაველი ამ საერთო-სახალხო ენას იყენებდა: „მეათე საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა დამთავრებული იყო არა მარტო ქალაღღზე, ხალხშიც კი სასაუბროდ... რუსთაველს ენა კი არ შეუქმნია, მან მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტნაკლებოდ, რადგანაც... რუსთაველის დროს ქართული ენა გაწმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი ერიც“⁶⁵.

8. ენისა და ერის ასეთი სიმდიერე, სიმტკიცე, ერთიანობა შეპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური სიმდიერით, სიმტკიცით, ერთიანობით. ხოლო შემდეგ, საქართველოს ავტოდობის დროს, „მონგოლებმა რომ მუსრი გაავლეს საქართველოს და თათრობამ

⁶⁰ აკაკი, ნაღლი, „თემი“, 1911, № 12; თხზ. სრ. კრებ. XIV, გვ. 489—490.

⁶¹ როგორც ა. შანიძე წერს, ეს აზრი გამოთქმული აქვს ილია თქალმწველი-შეილს (ა. შანიძე, სალიტერატურო ქართულის საკირობოროტო საკითხებო, თბ., 1979, გვ. 195).

⁶² აკაკი, მოხსენება, წაკითხული 30 მარტს ს. აბაშელის საღამოზე, „თემი“, 1913, თხზ. ტ. XI, გვ. 542.

⁶³ აკაკი, არ ცოდნა არ ცოდვათ, „ქვალი“, 1894, № 30. თხზ. XIII, გვ. 144.

⁶⁴ მისივე, შენიშვნა, „ქვალი“, 1890, № 5; თხზ. XIII, გვ. 36.

⁶⁵ იქვე, გვ. 340.

ნაწილ-ნაწილ დაჰყო, მაშინ ენაც დაკნინდა, მთელი ერის ენა იმჟღანად დაიყო, რომ ერთ კუთხეს მეორის ენა ეჩოთირებოდა⁶⁶.

9. მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ბრძოლა ერთი და ერთიანი სალიტერატურო ენისათვის. შედარებით ადვილად გადაწყდა საკითხი, რომ სალიტერატურო ენა ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უმაღლეს დადგა სხვა საკითხი — რომელი უნდა იყოს ეს ერთი ენა. რა ენით ვწერთ — ძველით თუ ახლით. საქმე ვერ გადაწყდა, სანამ არ გაიმარჯვა თერგდალეულთა აზრმა: უნდა ვწერთ ხალხის ენით. და ასე „ნელ-ნელა ქართულ მწერლობაში ახადმა ენამ დაიჭირა ადგილი“⁶⁷.

როგორც შემოთქმულიდან ჩანს, აკაკიმ საკმაოდ სწორად და ნათლად წარმოადგინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი საფეხურები, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც იყო იმდროინდელი სალიტერატურო ენის სავალალო მდგომარეობა, რაც გამოიწვია, ერთი მხრივ, დამპყრობთა მიერ ქართული ენის სამოქმედო ასპარეზისა და უფლებების შეზღუდვამ, მეორე მხრივ, ენის დემოკრატიზაციის პროცესის არასწორად გაგებამ. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, მოჰყვა დიალექტიზმების უხვად შემოჭრა სალიტერატურო ენაში.

10. ლექსიკის სიუხვე ენის სიმდიდრეა; მდიდარია ქართული, რადგან მას „დიდი სიტყვის კონა აქვს“⁶⁸.

11. აუცილებელია სხვადასხვა კუთხეში შენახული ლექსიკის შეკრება და ამით სალიტერატურო ენის გამდიდრება. ძველ მწერლობასთან ერთად ხალხური მეტყველება სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის დაუსრუტელი წყაროა. „სხვადასხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მით ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შეკრება საჭიროა“⁶⁹.

ზოგ კუთხეში დამპყრობთა ენის ზეგავლენით ქართული სიტყვები იკარგებოდა, სხვაგან კი რჩებოდა. „ჩვენი ვალია, რომ ის სიტყ-

⁶⁶ აკაკი, შენიშვნა „ადგილს“, 1890, № 6, თხ. X III, გვ. 340.

⁶⁷ აკაკი, სიტყვის „ადგილს“, 1911, № 12, თხ. X IV, 1961, გვ. 389.

⁶⁸ აკაკი, სიტყვის „ადგილს“, 1890, № 6, თხ. ტ. X III, გვ. 36.

⁶⁹ აკაკი, „მთა ადგილებში მწერლობის შენახვა“, „აკაკის კრებული“, 1899, № 2, თხ. ტ. X II, გვ. 426.

ვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არა გავედევნოთ მხოლოდ მისთვის, რომ იმ ლექსს ქალაქში... არ ხმარობენო"⁷⁰.

12. ამ სიტყვების შეკრების ერთ-ერთი კარგი საშუალება არის ხალხური შეპირისიტყვიერების შეკრება, „მაგრამ ისე კი უნდა ჩაეწეროთ, როგორც თვითონ ხალხი ამბობს“⁷¹.

13. სხვადასხვა დიალექტში არსებული ლექსიკური პარალელიზმი (რთველი || სთველი) ყველა ერთგვარად კანონიერია და არ შეიძლება რომელიმე მათგანს წარგონი ვუწოდოთ და ამით სალიტერატურო ენაში შემოსასვლელი გზა გადაეუჭრათ და სალიტერატურო ენის სინონიმებით გამდიდრებასაც ხელი შევეშალოთ“⁷².

14. რაც შეეხება დიალექტურ გრამატიკულ ფორმებს (მაგ.: ჩაუხოცავის, გაეხედნებ, შუუკიდოთ ცეხს, ჯილარიენ, წავასხვი...), მათი შემოტანა სალიტერატურო ენაში დაუშვებელია, რადგან ისინი არღვევენ ენის კანონებს: „ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სხვა-დასხვა მხარეებში, პროვინციებში გადაუმახინჯებიან, ხელმოსაკიდები კი არა, გასადევნია“⁷³.

15. ასევე უმართებულოა უცხო ენის სიტყვებისა და გამოთქმების შემოტანა სალიტერატურო ენაში, თუ ეს აუცილებელი არ არის.

16. არ არის გამართლებული სალიტერატურო ენისათვის საყრდენად ერთი რომელიმე დიალექტის გამოცხადება და მასზე ორიენტაციის აღება. სალიტერატურო ენა მთელი ქართველი ხალხის ენაა, ის საერთოა მთელი საქართველოსათვის, ამიტომ ყველა კილოს თანაბარი უფლება გააჩნია და ნორმების შემუშავების დროს ერთ რომელიმე კუთხეს არ უნდა მიეცეს უპირატესობა: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დავემორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი“⁷⁴. არ შეიძლება ქართლურს ყოველთვის მიეცეს უპირატესობა, რადგან სხვა კუთხეებში ზოგჯერ შენახულია უკეთესი ქართული სიტყვა (მაგ.: ქართლურში იხმარება უცხო ენიდან შემოსული სიტყვა „ქუჩა“, იმერულში კი ცოცხალია ქართული „შუკა“; „არტაშანი“ სომხურია, მეგრულში შემონახულია ქართული „ხერკალი“ და სხვ.).

⁷⁰ აკაკი, ენების გასამართლება, „დროება“, 1894, № 452; თხზ., ტ. IX, გვ. 111.

⁷¹ აკაკი, შენიშვნა, „კვალი“, 1890, № 6.

⁷² მისივე, ენების გასამართლება, „დროება“, 1894; თხზ., ტ. IX, გვ. 111.

⁷³ მისივე, კრებული, 1899, II, გვ. 101.

⁷⁴ მისივე, სადღეო, „თემი“, 1911, № 12; თხზ., ტ. XIV, გვ. 393.

არც ქართლურ უმართებულო ფორმებს უნდა დავუჭიროთ მხარი (როგორცაა, მაგ.: ვდგევარ, უთაოდ, წაასხი და სხვ.).

აკაკის მსჯელობა ჟარგონებისა და ფუძე დიალექტის შესახებ სულაც არ ნიშნავს ქართლურის წინააღმდეგ გალაშქრებას ან იმერულის პრიორიტეტისათვის ბრძოლას. აკაკი ცდილობს ყველა კუთხის ინტერესი თანაბრად დაიცვას. აცხადებს რა, რომ ყველა დიალექტის ლექსიკური მასალა თანაბარი უფლებისაა, თანაბრად საინტერესო და გამოსადეგი სალიტერატურო ენისათვის, ამით იგი კუთხური დაპირისპირების წინააღმდეგ იბრძვის.

საესეებით სამართლიანად აფასებს აკაკის ამ პოზიციას კ. დანელია: „ეს «მწიგნობრობის» კუთხურობის საწინააღმდეგოდ მიმართული პრინციპული მნიშვნელობის დებულება იყო“⁷⁵.

17. ქართული ენის სიწმინდისა და ღირსების შელახვაში დანაშაული მიუძღვით ქართველ მწერლებს. მწერლისათვის აუცილებელია ძველი ქართული ენის ცოდნა, ძველი ლიტერატურის კითხვა, ასევე ხალხის სიტყვა-პასუხისათვის ყურის მიდგება, ენის ხასიათზე დაკვირვება, მისი გრამატიკული კანონების შესწავლა⁷⁶. მწერლად არ ჩაითვლება ის, ვინც არ იცის თავისი ენა: „ეთქმის მწერალი მისთანა თავხედსა და მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა, არც განვითარებულია და არც თავის ქვეყანასა და ხალხს იცნობს? — რასაკვირველია, არა!“⁷⁷.

მწერლობა მოვალეა იბრძოდეს სალიტერატურო ენის საკეთილდღეოდ. ამისთვის მწერალს ევალება მოიაროს საქართველოს ყველა კუთხე, ყური მიუგდოს ყოველი კუთხის მცხოვრებთა ლაპარაკს, ამოკრიბოს აქა-იქ გაბნეული ლექსიკური მარგალიტები. ასევე გამოყოს, გამოაცალკეოს ქართულისათვის მიუღებელი უცხო სიტყვები⁷⁸.

18. ქართული სალიტერატურო ენის მაღალი დონისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქართველ მთარგმნელებსაც. ქართული ენის შეზღუდვა-დაკნინების გამო ახალგაზრდობამ აღარ იცის რიგიანად თავისი მშობლიური ენა, აღარ არიან ქართული ენის ღრმად

⁷⁵ კ. დანელია, აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე, „ციცქარი“, № 4, 1991, გვ. 114.

⁷⁶ აკაკი, უბრალო საუბარი, „აკაკის კრებული“, 1886, № 6, თხზ., ტ. XIII, გვ. 344.

⁷⁷ იქვე, გვ. 342.

⁷⁸ მისივე, ნადუღი, „თემი“, 1911, № 12; თხზ., ტ. XII, გვ. 390.

მცოდნე ლიტერატორები. ენის უცოდინარობის გამო მთარგმნელები თითქმის აღარ გვყავს⁷⁹.

ძველი მთარგმნელები, კარგად ფლობდნენ რა დედაენას, თავიანთ თარგმანებში მარჯვედ იყენებდნენ ქართული ენის სიმდიდრეს, მისი ლექსიკის სიუხვეს და მაღალი დონის თარგმანებს ქმნიდნენ. ვანც რიგიანად იცის ქართული ენა, მისი ლექსიკა, თარგმანი არ გაუჭირდება. მთარგმნელმა ასევე ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, რომლიდანაც თარგმნის ისე, რომ წვრილმანიც რამ არ უნდა გამოეპაროს. თავის საკუთარ ენაში... რაღა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს და, ამის გარდა, კიდევ ნიჭითაც თანაბარი დედნის დამწერისა⁸⁰.

19. ქართული სალიტერატურო ენის ინტერესების დაცვა ეკისრება ქართულ თეატრსაც. სცენიდან კარგი ქართული ენა უნდა ისმოდეს და არა ბაზაზხანური. „დღეს ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე დედაენა განსაცდელშია ჩაყარდნილი“, — წუხდა აკაკი და მსახიობებს ასე მიმართავდა: „მე თქვენგან მოვითხოვ შემდეგს: გამტკიცებულ-გასპექტაკებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს“⁸¹. ქართველ დრამატურგთა ქართულიც არ მოსწონდა აკაკის, — ორიგინალური პიესები ჩიქორთული ენით არის დაწერილი⁸².

გამოსავალი შეიძლება იყოს სპეციალური სკოლისა თუ დრამატული კურსების დაარსება, სადაც თავისუფლად ასწავლიან დედაენას, სხვადასხვა ხელოვნებას, სამშობლოს ისტორიას, ლიტერატურას⁸³.

20. აკაკი მხარს უჭერდა კეთილხმოვანების პრინციპს: „კეთილხმოვანება დიდ საქმეს სჩადის ქართულ ენაში. ხშირად კეთილხმოვანება გრამატიკას ეწინააღმდეგება და არღვევს ფორმებს. მაგ.: -ურ (აფხაზური, კახური), სადაც ფუძეში არის რ, -ულ-ად გადადის იმიტომ, რომ კეთილხმოვანება მოითხოვს, რომ ერთ სიტყვაში ორი ერთი და იგივე ასო არ განმეორდეს (მეგრ-ულ-ი, იმერ-ულ-ი...)“.

⁷⁹ აკაკი, „შენიშვნა, „კვალი“, 1893, № 6; თხზ., ტ. XIII, 1961, გვ. 36.

⁸⁰ მისივე, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, „აკაკის კრებული“, 1889, № 2; თხზ. ტ. XIII, გვ. 312.

⁸¹ მისივე, მცირე რამ შენიშვნა (დაწერილია 1908—1914 წლებს შორის), თხზ., ტ. XI, გვ. 591.

⁸² მისივე, ქართული თეატრი, „ივერია“, 1904, № 111; თხზ., ტ. XIV, გვ. 232.

⁸³ იქვე, გვ. 240.

კეთილხმოვანებით ხსნის აკაკი თავის ფორმაში ერთი ს-ს მხარებას: „თავის დღეში (არ დაივიწყებს)... უნდა თავისს იყოსო, ვ. ი. ორი სანით უნდა დაიწეროსო... მართალია ეს ჩვენც კარგათ ვიცით, მაგრამ ერთი ს კეთილხმოვნებისათვის არის გამოტოვებული, რომ „სსს“-ი არ გამოგვივიდეს და ყურში არ გვისინდნოსო“⁸⁴.

IV. გაზ. „კვალის“ პირველი რედაქტორი გიორგი წერეთელი (1842—1900) მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში: ილია ჭავჭავაძესთან, სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად მე-19 ს-ის მეორე ნახევრის პრესისა და პუბლიცისტიკის შექმნა-განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ბურჟი, დამფუძსებელი და რედაქტორი გაზეთებისა და ჟურნალებისა: „დროება“ (1866), „კვალი“ (1893), „სასოფლო გაზეთი“ (1868), „კრებული“ (1871)⁸⁵... ახალი სალიტერატურო ენისთვის ბრძოლაში გ. წერეთელი იმთავითვე „ზეილთა“ პოზიციებზე დადგა. 1863 წ. მან მკაფიოდ გამოხატა თავისი თვალსაზრისი ძველის, კონსერვატიულის წინააღმდეგ, როდესაც მტკიცედ განაცხადა: საზოგადოებაში აღორძინებული ახალი სული ახალ სიტყვას და ახალ საქმეს მოითხოვს. ჟურნ. „ცისკარი“ მოვალეა, მხარი აუბას ამ სიახლეს, დაძლიოს მოძველებული შეხედულებები და ძველი ენობრივი ნორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაილუპებო⁸⁶.

გ. წერეთელს აინტერესებდა მშობლიური ენის მრავალი ასპექტი (ქართული ენის წარმოშობა, ქართული ანბანის გენეზისი, დიალექტების მიმართება სალიტერატურო ენასთან, გრამატიკა, პალეოგრაფია...), მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისა და ნორმალიზაციის საკითხი აწუხებდა და ეს ბუნებრივიცაა — სალიტერატურო ენის ნორმები, საერთო, ყველასათვის სავალდებულო წესები ჯერ კიდევ დადგენილი

⁸⁴ აკაკი, არცოდნა არცოდნაო „კვალი“, 1894, № 30; თსზ., ტ. XIII, გვ. 146.

⁸⁵ „კრებულს“ პირველ რედაქტორად გ. წერეთელს მიიხვეწნ: ზ. ჭიჭინაძე, არჩ. ჟორჯიძე, გ. მაქარაძე, ს. ხუნდაძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. რაღისა, დ. გამეზარდი-შვილი, ა. მახარაძე, ი. ნოცვაძე... მაგრამ ალ. კვლანდაძე ამტკიცებს, რომ ამ ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე არისო. იმ. მისი „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, III, 1985, გვ. 343—349.

⁸⁶ გ. წერეთელი, „ცისკარს“ რა აკაკიანებდა, „საქართველოს მოამბე“, 1868, № 5.

და დაკანონებული რომ არ იყო, ამას ყველაზე მწვავედ ჟურნალისტების სფეროში მოღვაწე გრძნობდა.

გ. წერეთელი მოითხოვდა, რომ პერიოდულ გამოცემებში წერილები ხალხისათვის გასაგები ენით, ხალხური ენით ყოფილიყო დაწერილი. რედაქტორის განცხადებაში გაზ. „დროების“ 1866 წ. № 1-ში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ „სტატიები... შედგენილნი იქნებიან ადვილ-გასაგონის ენით“⁸⁷. „დროების“ გამოცემის მესამე წლის დასაწყისში კი იგი შენიშნავდა, რომ ამ ორი წლის მანძილზე ქართული საზოგადოება თანაგრძნობას არ აკლებდა გაზეთს, მხოლოდ ცოტა უკმაყოფილებას გამოხატავდა („ცოტაოდნათ დრტინავდა“) დიალექტიზმების გამო: „თუ გამოერეოდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართულებს ერითირობოდათ და თუ ქართლური ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ერითირობოდათ“. ეს გ. წერეთელს იმის მაჩვენებლად მიაჩნია, რომ საერთო ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას ჯერ კიდევ ბევრი დრო და ძალისხმევა სჭირდებოდა⁸⁸.

ამიტომ იგი, როგორც რედაქტორი, დაუღალავად მუშაობდა თავისი გაზეთების ენის დასახვეწად. შემთხვევითი როდია ნიკო ნიკოლაძის შეფასება: „გ. წერეთელმა განავითარა გაზეთის ლიტერატურული იარაღი — ენა და სტილი“⁸⁹.

მაგრამ ამ მაღალი შეფასების გვერდით გ. წერეთელს მხატვრული ნაწარმოებების ენასა და სტილს უწუნებენ. იხსენებენ რა გრ. ორბელიანის მკაცრ კრიტიკას გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ ენისა და სტილის გამო, კიდევ ერთხელ შენიშნავენ, რომ „ნაწარმოები დამძიმებულია დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით, უმართებულო სტილისტურ-სინტაქსური გამონათქვამებით...“ ამ ნაწარმოებს „ისე, როგორც საერთოდ გ. წერეთლის მხატვრულ ნაწერებს, უდავოდ აკლია მხატვრული დამუშავება. ენობრივ-სტილისტური დახვეწა, მას ნაჩქარევი შრომის დალი აჭდევია“⁹⁰.

მართლაც, ის ტიტანური შრომა რომ არა, გ. წერეთელი, უდავოა, მეტს იმუშავებდა თავის მხატვრულ თხზულებათა ენასა და

⁸⁷ გ. წერეთელი, განცხადება გაზ. „დროების“ გამოცემაზე, 1866 წ. „დროება“, 1866, № 1. აგრეთვე: თხზ. სრ. კრებ., ტ. I, 1931, გვ. 386.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ ნ. ნიკოლაძე, „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875.

⁹⁰ ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბლისი, 1985, გვ. 526.

სტილზე. მაგრამ მისი ენის თავისებურებანი მარტო ნაჩქარეობით არ უნდა იყოს შეპირობებული. კაცს, რომელიც ამდენს ზრუნავდა და იღვწოდა სალიტერატურო ენისათვის, თავდადებით მუშაობდა ჟურნალისტიკაში, იმდროინდელი ქართული პერიოდიკის ერთ-ერთი მეთაური იყო, არ შეიძლება ბუნებრივად ასეთი მეტყველება ჰქონოდა და სიჩქარის გამო მის ნაწერებში ამ ბუნებრივ მეტყველებას ეჩინა თავი. აქ მწერლის შეხედულებებსაც უნდა ედოს წილი. იგი, წინააღმდეგ ფსევდოკლასიციზმისა, ლიტერატურის მთავარ დანიშნულებას ხედავს ხალხის სამსახურში, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში⁹¹. ამიტომ, ბუნებრივია, ეცდებოდა, მისი ნაწერების ენა ახლოს ყოფილიყო ხალხის ენასთან.

ნატურალიზმამდე მიყვანა პერსონაჟებისა თუ ავტორის ენისა შესაძლოა ასევე შემთხვევითი არ იყოს.

მაგრამ ამაზე მსჯელობა აქ შორს წაგვიყვანდა.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა გ. წერეთლის თეორიული შეხედულებანი სალიტერატურო ენის უნიფიცირების პრინციპულ საკითხებზე. მისი აზრით:

1. ენა ადამიანის ნააზრევის, მისი აზრის გამოხატვის საშუალებაა: „სოფლის დასაბამიდან რაც აზრი ჰქუას მოუშკია, ენა არის იმის წარმომთქმელი და იმის გადმომცემი ერთი შთამომავლობიდან მეორე შთამომავლობამდე“⁹².

2. ენა ხალხისგან განუყოფელია, ხალხის განვითარებას, მისი აზროვნების დონეს ასასავს. ყველა ხალხს თავისი ენა აქვს. „ეს ენა არის მისი მიუცილებელი საკუთრება, სული და ჰქუა-გონება. ენა არის ხალხის სულიერი ნაყოფი, იმის ჰქუა-გონების გამომხატველი, და ვიდრე ეს ხალხი სცნობრობს, როგორც ჰქუა-გონების წართმევა არ შეიძლება, ისე არც ენის წართმევა შეიძლება“⁹³.

3. ენა ისტორიულად ცვალებადია. იგი ბუნების კანონების შესაბამისად იცვლება, იზრდება, ზოგჯერ კვდება კიდევც.

4. ენის ზრდას შეაპირობებს, ერთი მხრივ, „დიალექტური განახლება“ (ე. ი. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა სხვადასხვა კილოში. მაგ.: იმერული „ყაზახი“ და ქართლური „გლეხი“) და, მეორე მხრივ,

⁹¹ ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბილისი, 1985, გვ. 526.

⁹² გ. წერეთელი, უჩინაინის ქუდოსანი და იმისი საუბარი მკითხველებთან, „დროება“, 1868, № 20. აგრეთვე თსზ. სრ. კრებ. I, 1931, გვ. 228.

⁹³ იქვე.

ბგერათა ცვლილება, მაგ.: -ში თანდებული ადრე დამოუკიდებელი სიტყვა იყო: შიგან და აღნიშნავედა „შუაალაგობას“, შემდეგ ფორმა იცვალა, დაკარგა დამოუკიდებლობა და მნიშვნელობაც და სხვა სიტყვას მიეკედლა⁹⁴.

5. სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან მის კავშირზე. იგი დიალექტებისაგან განუწყვეტლივ იღებს ახალ სიტყვებს, გამოთქმებს, სიტყვათწარმოებას.

6. ძველი ქართული ენა „ძალიან შემუშავებული ენაა“, მაგრამ დღეს ამ ენით აღარავინ სარგებლობს, რადგან ის არ ემყარებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, ჯავახეთის ცოცხალ მეტყველებას და დროთა განმავლობაში ხალხისთვის ძნელი გასაგები გახდა. ე. ი. დახვეწილი ძველი ქართული სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებას მოსწყდა და სიცოცხლის უნარი დაკარგა.

7. ახლა იქმნება ახალი ენა, რომელშიც ყველა კუთხის („მაზრის“) მეტყველება იქნება შერთული — ქართლისაც, კახეთისაც, იმერეთისაც... ეს ენა ყველას ესმის და ჩქარათაც იზრდება⁹⁵.

8. „როდესაც ეს ახალი ენა ლიტერატურულად კარგად შემუშავდება, ის არასოდეს არ უნდა დავაცილოთ ჩვენს სათემო ენებს, კილოებს ანუ დიალექტებს („ენაცულებს“). თუ რომ გვინდა, მუდამ ცოცხალი ლიტერატურული ენა გვექონდეს და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი სალიტერატურო ენა მოკვდა“⁹⁶.

9. ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლურ დიალექტებსაც. რადგან ცოცხალ მეტყველებაში საერთოდ და ზოგიერთ კუთხეში კერძოდ — ჩაჭაში, გლოლასა და ზემო იმერეთში — „ყველაზე უფრო წმინდათ შენახულა ქართული ენა და იგი უნდა შეიქმნეს ცხოველი ბუნებითი წყარო ჩვენი სალიტერატურო ენისა“⁹⁷.

10. ხალხის მეტყველებაზე დაყრდნობა დიალექტიზმებს, პარალელურ ფორმებს აჩენს სალიტერატურო ენაში. საჭიროა საერთო

⁹⁴ გორისელი, ფილოლოგიური განხილვა ქართულის ენისა, „კრებული“, 1872, № 7.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ მასიძე, „ქალის“ ფოსტა, „კვალი“, 1894, № 50.

ქართული სალიტერატურო ენის დახვეწა, რაც ხანგრძლივი, შრომატევადი პროცესია.

„საზოგადო, ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა, რამდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლად საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს, თავისი შესაფერისი ლიტერატურული ფორმა მიიღოს“⁹⁸.

11. უცხოური ლექსიკის შემოტანა გარდაუვალია. ახალი აზრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებათა შესაბამისად უცხოური სიტყვები ზოგჯერ უთარგმნელადაც შეიძლება შემოვიტანოთ, ზოგჯერ კი ქართულ ნიადაგზე უნდა შეექმნათ შესაბამისი სიტყვა, მაგრამ განუკითხავად, დიდი რაოდენობით უცხო სიტყვებით ენის აჭრელება მიუღებელია. ახალ სიტყვათა უკეთ ასათვისებლად საჭიროა ლექსიკონის შედგენა⁹⁹.

12. გ. წერეთელი შეხება სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ბევრ კონკრეტულ საკითხს, ასე, მაგ.: ა) უმართებულოა ორმაგი მრავლობითის ფორმები (კარებები, კაცებთა, ქალებთა...), რომელთა ხმარებას „კვალიც“ ვერ უვლის გვერდსო; ბ) არ ვარგა ფორმები: ეხლა, გეთაყვა, შეიშენეს, შეუძლიან... მართებულია: ახლა, გეთაყვანე, შეიშნობს, შეუძლია...; გ) მართებულია: დის, ცდილობს, ცხოვრებს, წერს... ფორმები და არა სდის, სცდილობს, სცხოვრებს..., რადგანაც სახელმწიფოში ს არ არის: დენა, ცდა, ცხოვრება¹⁰⁰.

გ. წერეთელი, როგორც რედაქტორი, „კვალის“ წამყვანი თანამშრომლების შესედულებებს იზიარებს. მაგ.: ეთანხმება აკაკის აზრს აღვიარებ ფორმის მართებულობის შესახებ; მხარს უჭერს სილ. ხუნდაძის ბრძოლას ქ, ს თავსართების წინააღმდეგ და „კვალში“ მათ არ ხმარობს¹⁰¹; იზიარებს კეთილხმოვანების პრინციპს, ასე, მაგ.: უმართებულოდ მიაჩნია სცდილობენ, სცხოვრობენ... ფორმები, რადგან ორი ერთგვაროვანი ბგერის თავმოყრა კეთილხმოვანების პრინციპს არ მიესადაგება¹⁰². ასევე, მისი აზრით, ლექ-

⁹⁸ „განცხადება „დროებს“ გამოცემაზე 1868 წელში“, „დროება“, 1868, № 1. *ტრეტევე: თხზ. სრ. კრებ. ტ. I, გვ. 389.

⁹⁹ გ. წერეთელი, ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კოკრები, „დროება“, 1867, № 3.

¹⁰⁰ მისივე, მცირე შენიშვნა, „კვალი“, 1894, № 43, გვ. 6—7.

¹⁰¹ მისივე, „კვალის“ ფოსტა, „კვალი“, 1894, № 50.

¹⁰² მაზაქვალი (გ. წერეთელი), კრიტიკული შენიშვნები, „კვალი“, 1898, № 23.

სიკონში შესატანი ტერმინის თარგმანი „მოკლე უნდა იყოს და მკვახედ არ გამოითქმოდეს... მოკლე, ენახსნილი გამოთქმა უნდა ჰქონდესო“, ან: თარგმნილი ტერმინი „მუნჯი გამოსათქმელია და არ არის კარგი გასაგონიო“ და სხვ.¹⁰³.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ გ. წერეთლის შეხედულებები და დებულებები ზემოგანხილულ ავტორებთან შედარებით არსებით სხვაობას არ გვიჩვენებს. მისი აზრით, ენა ადამიანის ნააზრვეის გადმოცემის საშუალებაა. იგი ისტორიულად ცვალებადია, ხალხისგან განუყოფელია, მისი მეობის არსებითი ნაწილია. ძველი ქართული დახვეწილი („ძალიან შემუშავებული“) ენაა, მაგრამ, რადგან ცოცხალ სასაუბრო ენას, ხალხურ მეტყველებას მოსწყდა, ხმარებიდანაც გამოვიდა. ახალი ენა ყველა დიალექტთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული, არ უნდა დასცილდეს ხალხურ მეტყველებას — ისაა მისი სასიცოცხლო წყარო... დიალექტიზმების განუკითხავად, უხვად შემოტანა სალიტერატურო ენაში არ შეიძლება. ასევე ფრთხილად და ზომიერად უნდა შემოვიტანოთ უცხოური ლექსიკაც. დღის წესრიგში დგას თანამედროვე სალიტერატურო ენის დახვეწის, პარალელურ ფორმათაგან განთავისუფლების საკითხი, მაგრამ ეს ხანგრძლივი, შრომატევადი საქმეა, რამდენიმე ათეული წლის სამუშაოა...

* * *

წარმოვადგინეთ რა, ერთი მხრივ, „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“, ხოლო, მეორე მხრივ, „კვალში“ მოღვაწეთა ძირითადი მოსაზრებანი სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ამოსავალ დებულებათა შესახებ, ამით ვეცადეთ მკითხველისთვის მიგვეცა საშუალება ერთად თავმოყრილ მოსაზრებათა თვალის გადვენებისა, შედარებისა და იმის დანახვისაც, რომ ე. წ. „ორ ბანაკს“ შორის დაპირისპირება არც ისე ღრმა და ყოვლისმომცველი ყოფილა.

როგორც ცნობილია, „ივერიასა“ და „კვალს“ შორის დავის მიზეზი გახდა ერთი კერძო საკითხი, სახელდობრ, აღვიარებ — ვალიარებ ფორმათაგან უფრო სწორი, მართებული ფორმის დადგენა-

¹⁰³ გ. წერეთლის შეხედულებებს ქართული ენის საკითხთა შესახებ ვრცლად განიხილავს ე. ნიკოლაიშვილი წერილში: „გიორგი წერეთელი და ქართული ენის საკითხები“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981, გვ. 182—193.

იყო კამათი აგრეთვე სხვა კონკრეტულ თუ თეორიულ საკითხთა თაობაზეც. მაგალითად: 1. როგორი უნდა იყოს დასავლური დიალექტების ადგილი და როლი ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებაში; 2. რამდენად მისაღებია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის კეთილხმოვანების პრინციპი...

პირველ საკითხზე წინააღმდეგობა არც ისე შორს წასულა. დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის, რაზიკაშვილების, ა. ყაზბეგის დიდებულმა თხზულებებმა უდავო გახადა დიალექტების მნიშვნელობა სალიტერატურო ენისათვის, დიალექტური მასალის უფლებებიცა და მისი გამოყენების ფარგლებიც. „ივერიის“ ბევრმა მოღვაწემ სიმართლეს თვალეში შეხედა და ამ აზრს მიემხრო. ი. გოგებაშვილი წერდა, დასავლურ დიალექტებს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სალიტერატურო ენის ფორმირებაში. 1911 წ. ჟურნ. „განათლებაში“ (№ 8, გვ. 569) გრ. ყიფშიძე წერს: სალიტერატურო ენაში „სხვა პროვინციის კილოებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟის დასახასიათებლად, ლექსიკის გასამდიდრებლად, ენის ისტორიისთვის“. პ. მირიანაშვილიც კი, რომელიც თავგამოდებით იცავდა აღმოსავლური დიალექტების პრიორიტეტს, 1919 წ. (გაზ. „სახალხო საქმე“) განაცხადებს: „უნდა ვწერთ, როგორც ილაპარაკება ქართლში და გავამდიდროთ იმ გურულ-იმერული სიტყვებით, რომლებიც დედა-ქართლში აღარ დარჩენილათ“ და იქვე ამბობს: „ქარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთში და ზემო იმერეთში“.

რაც შეეხება კეთილხმოვანების პრინციპს, ცნობილია, რომ ის სუბიექტური პრინციპია და მოულოდნელიც არ იყო, რომ მიუღებლად მიიჩნიეს იგი „ივერიელებმაც“ და „არაივერიელებმაც“.

პ. ჭარაიამ 1895 წ. განაცხადა, მართლწერის პრინციპად კეთილხმოვანების პრინციპი არ გამოდგება¹⁰⁴. გრ. ყიფშიძის აზრითაც, კეთილხმოვანება სუბიექტური კრიტერიუმი და საბუთად არ გამოდგება¹⁰⁵. პ. მირიანაშვილი საკმაოდ მწარედ შენიშნავდა: „იმერელი გრამატიკოსები ცდილობენ იმერული შეტყველების გაბა-

¹⁰⁴ პ. ჭარაია, ქართული ენა და ქართული მართლწერა, „მოამბე“, 1895, № 9.

¹⁰⁵ გრ. ყიფშიძე, ბიბლიოგრაფია, „ქართული მწერლობა“, ჟურნ. „განათლება“, 1911, № 8.

ტონებას სალიტერატურო ენაში და კეთილხმოვანების მოტივით თავს ესხმიან სწორ ფორმებს. ის, რასაც იმერელი ავტორები კეთილხმოვანებას უწოდებენ (ცთა, თათფირი...), ამერულად ჩიფჩიფს უდრისო¹⁰⁶.

ცოტა უფრო გვიან სერგი გორგაძე ასეთ შეფასებას იძლევა: სილ. ხუნდაძის პრინციპები იყო „მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საკმაოდ ფართოდ განზრახული, მაგრამ... ვიწრო სუბიექტური ხასიათის პრინციპებზე დამყარებული პროექტი სამწერლო ქართულის მოწესრიგებისა“¹⁰⁷.

კეთილხმოვანების პრინციპს სუბიექტურ პრინციპად მიიჩნევენ გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერები (ა. შანიძე, არნ. ჩიქობაია...): „კეთილხმოვანება“, უკეთ ვთქვათ, სიტყვის ბგერითი სახე უაღრესად ანგარიშგასაწევია პოეტური სტილის თვალსაზრისით, მაგრამ მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას შეუძლებელია მით ვიხელმძღვანელოთ. ყოველ პირს კეთილხმოვანად ის მიიჩნია, რომლის ხმარებასაც თვითონ არის მიჩვეული“ („თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული“, თბილისი, 1970, გვ. 2). ამრიგად, საერთო აზრია, რომ კეთილხმოვანების პრინციპი ნორმათა დასადგენად უვარგისია.

ამა თუ იმ კონკრეტულ თუ თეორიულ საკითხზე განსხვავებული აზრი ხშირად ჰქონდათ არა მარტო ამ ორი „დაპირისპირებული ბანაკის“ წარმომადგენლებს, არამედ ერთი და იმავე ბანაკის წარმომადგენლებსაც. ასე, მაგ., იდგა საკითხი, თუ რომელია უფრო მისაღები სალიტერატურო ენისათვის: უკვე სახმარად გამოყენებული გენიალური, სოციალური, ადმინისტრაციული, თუ: გენიალი, სოციალი, ადმინისტრატივი (პ. მირიანაშვილი). ან: გენიოსებური, სოციალებური, ადმინისტრატებური, დემოკრატებური (ილია); ან კიდევ: ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების საწინდარს სხვადასხვაგვარად ხედავდნენ „ივერიის“ მოღვაწენი: ალ. ნანეიშვილის აზრით, ენის წინსვლა შესაძლებელია ძველისა და ახალი ენის შეერთებით, შეკავშირებით. ამ შეხედულებას წინ აღუდგა ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი): ძველისა და ახლის ბრძოლა იმის მიზეზი, რომ აქამდე ჩვენს მწერლებს სა-

¹⁰⁶ პ. მირიანაშვილი, „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

¹⁰⁷ ს. გორგაძე, ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან, ეურნ. „შნათობი“, 1929, № 5—6.

ერთო ლიტერატურული კილო არა აქვთ... „ივერიაში“ აზრთა სხვაობა იყო ქართული სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტის შესახებაც: გრ. ყიფშიძე, ნ. ურბნელი, ალ. ხახანაშვილი და სხვები ქართულ კილოს მიიჩნევდნენ ასეთად, პ. მირიანაშვილი კი ცდილობდა, მესხურისათვის მიენიჭებინა პრიორიტეტი...

ასე რომ, აზრთა სხვაობა, საკამათო საკითხი არა მარტო „ორ ბანაკს“ შორის, არამედ თითოეულ „ბანაკშიც“ ბევრი იყო და დავაც (ზოგჯერ ცხარეც) ბევრჯერ გამართულა. უფრო საგულისხმო ფაქტია, რომ ამ ბანაკთა წარმომადგენლებს შორის საერთო მეტი იყო. თითქმის ყველა პრინციპულ საკითხში ეს მოღვაწენი ერთი აზრისანი იყვნენ. ასე, მაგალითად: ორივე ბანაკი მტკიცედ აღიარებდა, რომ:

1. ენა ისტორიული ხასიათის მოვლენაა, ცვალებადია, (ილია, დავ. ყიფიანი, ვაჟა-ფშაველა, პ. მირიანაშვილი, ალ. ნანეიშვილი, აკაკი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

2. ენა ერის არსებითი ნიშანია (ილია, დავ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...);

3. ენას აქვს თავისი შინაგანი კანონები და გარედან ვერაფერს მოახვევ თავს (ნ. ხიზანიშვილი, აკაკი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი);

4. სალიტერატურო ენა ერის შემაკავშირებელი ძალაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის უნიფიცირებას, სადავო ფორმათა მოწესრიგებას, დახვეწას (დავ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე...);

5. ახალი სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა ემყარებოდეს, ახლოს უნდა იყოს სასაუბრო მეტყველებასთან (ილია, დავ. ყიფიანი, დიმ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ს. ხუნდაძე, აკაკი, გ. წერეთელი...);

6. ცოცხალი მეტყველება მუდმივი უშრეტი წყაროა სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად (ვაჟა, აკაკი, პ. მირიანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, გ. წერეთელი...);

7. მარჯვე კუთხური სიტყვები და გამოთქმები უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში (ი. გოგებაშვილი, ვაჟა, აკაკი...);

8. დიალექტური მეტყველების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟთა ენაში (პ. მირიანაშვილი, ვაჟა, ს. ხუნდაძე...);

9. ახალი სალიტერატურო ენა ჭრელია, დამძიმებულია დიალექტიზმებით, უცხო სიტყვებით (გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

10. სალიტერატურო ენის უნიფიცირებას სჭირდება ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო ნორმების შემუშავება (გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...);

11. ნორმების შემუშავებისას დაუშვებელია რომელიმე კუთხის მეტყველებისათვის უპირატესობის მინიჭება (დავ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე...);

12. ძველი ქართული მდიდარი, დახვეწილი, მაღალი დონისენაა (ილია, დიმ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, აკაკი...);

13. უცხო სიტყვა შეიძლება შემოვიტანოთ, თუ ბადალი სიტყვა არა გვაქვს (დავ. ყიფიანი, პ. მირიანაშვილი, გრ. ყიფშიძე...), მაგრამ დაუშვებელია უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოტანაენაში.

14. უცხო სიტყვის მართლწერა უნდა დაექვემდებაროს ქართული მართლწერის წესებს (პ. მირიანაშვილი, ს. ხუნდაძე...);

15. ქართული ანბანი სრულყოფილია — ასოსა და ბგერას შორის სრული შესაბამისობაა (ილია, დიმ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე...);

16. მართლწერა (ორთოგრაფია), როგორც გრამატიკის დარგი, ქართულში არ არსებობს (პ. მირიანაშვილი, ს. ხუნდაძე...);

17. სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში, გამდიდრებასა და დაცვაში დიდი როლი ენიჭება მწერლობას (ილია, ვაჟა, პ. მირიანაშვილი, აკაკი...);

18. სალიტერატურო ენის საკითხთა ერთპიროვნულად გადაწყვეტა შეუძლებელია (ილია), სასურველია ენის მცოდნე პირთა შეკრება და ამ კრებაზე ყველასათვის სავალდებულო წესების დადგენა (ილია, გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...) და სხვ.

ზემოხსენებულთაგან გამომდინარე, გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ქართულ პერიოდიკაში გაშლილი ფართო მსჯელობა სალიტერატურო ენის საკითხებზე წარმოგვიდგება, როგორც ქართული გრამატიკული აზრის დუღილის პროცესი, ქართველი ინტელიგენციის ერთობლივი ბრძოლა ისეთი დიდი ეროვნული საქმისათვის, როგორიც იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება, დახვეწა-ნორმირება, სრულყოფა. „ივერიელთა“ და „კვალელთა“ კამათი — ეს იყო კამათი რამდენიმე საკითხის შესახებ, დავა განსხვავებულ შეხედულებების გამო (ზოგჯერ ცოტა გამწვავებულიც, რასაც ხელს უწყობდა ს. ხუნდაძისთვის ჩვეული მკაცრი, დაუზოგავი, ხანდახან არაკორექტული ტონი) და არა გათიშულობა, პრინციპული დაპირისპირება. ეს იყო ძიება ჭეშმარიტებისა, ამ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზებისა. ცხადია, ამ ძიებასა და ფიქრში სხვა-

დასხვა აზრი იბადებოდა, ამ აზრთა აწონ-დაწონა, შეფასება (ხანდა-
ხან მკაცრიც), ზოგჯერ შეჯახებაც კი ბუნებრივ მოვლენად უნდა
ჩაითვალოს. ისიც ბუნებრივია, რომ ხშირად რამდენიმე მოღვაწის
აზრი თუ შეხედულება უახლოვდებოდა და ემთხვეოდა კიდევ ერთ-
მანეთს.

შეუძლებელია ღრმა, პრინციპულ დაპირისპირებას ვხედავდეთ
მათ შორის, რადგან ქართველი ერის კეთილდღეობისთვის თავდა-
დებული მოღვაწენი ერთი შეგნებით იღვწოდნენ: ენის ერთობა ერის
ერთობააო.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესა მშობლიური ენის საკითხების შესახებ

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქუთაისში გამოდიოდა მრავალი დასახელების სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის პერიოდული ორგანო. მათი მიმოხილვა გვიქმნის მაშინდელი ყოფის რეალურ სურათს, ამავე დროს გვაცნობს საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენისადმი.

რევოლუციამდელი ქუთაისის პრესის ყურადღების ცენტრში იდგა მშობლიური ენა. გაზეთის ფურცლებზე შუქდებოდა ქართული ენის შენარჩუნების, გავრცელებისა და სიწმინდის დაცვისადმი მიძღვნილი საკითხები.

საუკუნის დასაწყისის პრესა კრიტიკულად ასახავს მშობლიური ენის ფუნქციონირებას მაშინდელ საზოგადოებაში. გაზეთების საშუალებით ვიგებთ, რომ საჯარო ლექციები უმრავლეს შემთხვევაში რუსულ ენაზე იკითხებოდა. ქართულენოვანი ლექციები, ქართული წარმოდგენები ფართო საზოგადოებრიობას ნაკლებ აინტერესებდა. მაგალითად, გაზეთ „შრომის“ ქრონიკა იუწყება, რომ ს. ა. ქვარიანმა ქალაქის თეატრში ქართულ ენაზე წაიკითხა საინტერესო ლექცია „საქართველოს უძველესი კულტურა ევროპის წყაროების მიხედვით“. ცუდი ამინდის გამო ლექციას საზოგადოების მცირე ნაწილი დასწრებია. აქვეა კრიტიკული შენიშვნაც: „არ ჩანდა განსაკუთრებით ჩვენი არისტოკრატია, რომელსაც ქართულ წარმოდგენაზე თუ ლექციაზე დასწრება სასირცხლოთ მიაჩნია“ (1908 წ., № 8).

საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა სახელმწიფო სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხი. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა კატეგორიულად მოითხოვდა, რომ სასწავლებელს კურსდამთავრებულთათვის ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა მიეცა.

„მასწავლებელი — აი, რა წოდების მატარებელი ხართ თქვენ. პატივცემულო სევერიანე!“ — ასე იწყებს გ. ა-ნი თავის წერილს „აბედათის შკოლის გამგის სევერიანე ბახტაძის საყურადღებოთ“ („იმერეთი“, 1913 წ., № 13). „თქვენთვის ხალხს მიუნდვია დიდი საქმე — ყრმათა აღზრდა. ჩვენი ხალხი, ქვეყანა შევლას მხოლოდ ადამიანურათ აღზრდილი შვილებისაგან მოელის, — აგრძელებს იგი, — ცხადია, ასეთ აღზრდაში უპირატესი ადგილი ბავშვის სულში სამშობლოს სიყვარულის განვითარებას უნდა ეჭიროს. საჭიროა ვასწავლიდეთ მას ჩვენ სამშობლოს ცხოვრებას, მის მდგომარეობას, ჭირს, ვარამს და იმედს“.

სამშობლოს სიყვარული, ავტორის აზრით, დედაენამ უნდა ჩაუნერგოს მოზარდს: „მხოლოდ „დედაენა“-ზე წარმოთქმული სიტყვები გამოხატავს სამშობლოს სულისკვეთებას და მხოლოდ ეს სიტყვები მძლავრათ და სინამდვილით ებეჭდება ნორჩ გულს ბავშვისას“.

გ. ა-ნი იმასაც შენიშნავს, რომ არსებულ პირობებში ძნელია ამ აზრების განმახორციელებელი სკოლების მოწყობა, თუმცა „ჩვენს შკოლებს აქვს ცოტათი მაინც დედა-ენის ხმარების უფლება... ჩვენი უალია, პირნათლად ვიშრომით და ჩვენს შკოლებს ეროვნული სხივის ელფერი გაეულამაზოთ და გაეუფურჩქნოთ“, — დასძენს იგი. ავტორს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ ს. ბახტაძე არათუ მოლვაწობს ამ მცირე უფლებათა გასაფართოებლად, არამედ, პირიქით, დაეიწყებისათვის მიუცია წინაპრის ოფლით მონაპოვარი. იგი დაუფარავად მიმართავს მას: „ბავშვების ნორჩი გულიდან უღმობელათ გლეჯთ იმ ენას, რომელიც მათ შესისხლხორცებია დედის რძესთან ერთად. არ ვიცი, რა გაიძულეთ თქვენ ასე მოიქცეთ?“.

წერილის ბოლოს რედაქცია შენიშნავს, რომ „ამ სამართლიან შეკითხვაზე, გარდა ბ-ნი ბახტაძისა, სხვა ბევრ მასწავლებელსაც მართებს დღეს პასუხის გაცემა, იმ მასწავლებელთ, რომელთაც უფროსების გულის მოსაგებათ გზა მრუდე აურჩევიათ“.

გ. ა-ნის წერილი მოგვაგონებს დღევანდელ ვითარებას, კერძოდ, იმ ქართველი მშობლების საქციელს, რომელთაც შვილები არაქართულ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში შეჰყავთ.

მშობლიური ენის საკითხებს შეუწელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს სასულიერო ხასიათის გაზეთი „შინაური საქმეები“ (გამოდიოდა 1908—1916 წწ.). რედაქცია მოითხოვდა და ასაბუთებდა სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლების შემოღების აუცილებლობას, ამისთვის

საჭირო სახელმძღვანელოების თარგმნას; აკრიტიკებდა სასულიერო პირებს, რომელთა ცოლებმა ქართული ენა არ იცოდნენ კარგად, რადგან მიაჩნდა, რომ მშობლიური ენის ცოდნის გარეშე დედა რიგიანად ვერ გაზრდიდა შვილს და ა. შ.

ეს პრობლემებია ასახული სარკინელის სტატიაში „საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში“. წერილი ეხება 1907 წ. დეკემბერში თბილისში ჩატარებულ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებას, რომელმაც განიხილა საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ. უწმინდეს სინოდს არ დაუმტკიცებია სამღვდელოების დადგენილება იმ საბაბით, რომ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები არ არსებობდა.

ავტორი ადასტურებს ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოების უქონლობას. იგი ფიქრობს, რომ შეუძლებელი არ არის ამ ნაკლის თავიდან აცილება, და მოითხოვს თარგმნის აუცილებლობას. საამისოდ ასახელებს მდიდარ რუსულ საღვთისმეტყველო ლიტერატურას, რომლის ქართულ ენაზე გადმოღება შეუძლიათ სასულიერო აკადემიების კურსდამთავრებულ პირებს. „დიდებული მეცნიერი ანტონ კათალიკოზი რომ სთარგმნიდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებს, რას აშავებდა?“ — კითხულობს იგი.

სათარგმნი ლიტერატურის წყაროდ წერილის ავტორს მიაჩნია საეკლესიო მუზეუმის, სემინარიისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავები. მისი აზრით, ძველი ქართული ხელნაწერებიც დიდად დაეხმარება მთარგმნელს საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის გარკვევასა და შექმნაში. იგი იქვე შენიშნავს, რომ გაზეთ „მწყემსის“ 1907 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა სტატია ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ, თუმცა „ხმა ჯერ არავის აუბამს“.

„ღმერთმა იმ დროსაც მოგვასწრო, რომ თვითონ მთავრობა გვეკითხება, საჭიროთ სცნობთ თუ არა საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლებასაო, და სირცხვილი და სიკვდილი არ იქნება ჩვენთვის ამის შემდეგ გაჭირდეთ და უარი ვთქვათ სწავლებაზე „უნებნიკების“ უქონლობის გამო?“ — კითხულობს ავტორი.

.....თუ არ მიექცა ჩვენში საღვთისმეტყველო საგნების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება, — აგრძელებს იგი, — მაშინ უმჯობესია მივიდეთ საეკლესიო მუზეუმში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, მოუყაროთ ერთად თავი საღვთისმეტყველო წიგნებს, რომლებიც დაწერილი არიან ჩვენ წინაპართა სისხლით და ოფლით

და წავუკითხოთ მათ სულმობრძავის ლოცვა, მერე ზედ პანაშვიდიც მოვაბათი თუ შეიძლება ქართულ ენაზე შედგენა სახელმძღვანელოებისა სიტყვიერების, მათემატიკის, ისტორიის და სხვა საგნების შესასწავლად, ღვთისმეტყველება რაღა არის?".

ასე სისხლხორცეულად განიცდის პრობლემას ავტორი. იგი ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო საგნების სწავლების მოუხერხებლობის მეორე მიზეზსაც ასახელებს: ქართველი ერის „არამკითხე ჭირისუფლებს“ უწოდებს მათ, რომლებიც თვლიან, რომ ქართულად სწავლება სემინარიაში ქართველ ახალგაზრდობას დაუხშობს უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლების, აკადემიების კარებს.

ამ აზრის გასაბათილებლად სტატიის ავტორს დამოწმებული აქვს წესდება, რომლის თანახმადაც სასულიერო აკადემიაში შემსვლელი უნდა იყოს მართლმადიდებელი, რუსეთის იმპერიის საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული, კეთილსაიმედო, ხოლო რა ენაზე ექნება მას შექმნილი ცოდნა — სულ ერთია. ამის ნიმუშად იგი ასახელებს რუსეთის სასულიერო აკადემიებში აღმოსავლეთიდან (საბერძნეთი, სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი...) უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოსულ ახალგაზრდებს. თუ მათ არ ეხშობათ აკადემიების კარები, რატომ უნდა დაეხშოთ ისინი ქართველებს, რომლებიც ქართულად მხოლოდ საღვთისმეტყველო საგნებს ისწავლიან, დანარჩენებს კი — რუსულად და, მაშასადამე, რუსული ენაც კარგად ეცოდინებათ? — ასე მსჯელობს ავტორი.

„უკიდურესის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი სასულიერო სასწავლებლები“ გაკრიტიკებულია ქუთაისის ქალთა სასწავლებელი, კერძოდ, სწავლა-განათლების დონე. ავტორი ენის უცოდინარობაზე ლაპარაკობს. მისი აზრით, პროგრამა ვრცელია, ქალებიც უნიჭოები არ არიან, მაგრამ რუსული ენა ხომ არ იციან და ქართულსაც ვერ ლაპარაკობენ: „ძმანები“, „დანები“, „აქანეი“, „მაქანეი“, „მითინ“, „მაგითინ“ და სხვა ამის მსგავს ენის მარგალიტებს ხშირად გაიგონებთ ჩვენი მომავალი დედებისაგან“ („შინაური საქმეები“, 1908, № 7).

საინტერესოა „შინაური საქმეების“ 1908 წლის № 13-ში გამოქვეყნებული „რამდენიმე დღე ზუგდიდის მაზრაში“, რომელსაც ხელს აწერს „გულშემატიკივარი მოკეთე“.

ზუგდიდის მაზრის თვალწარმატცი ბუნების აღწერის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს მის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. გზადაგზა მისი ყურადღება მიუზიდავს ზოგიერთ სახლს, რომლებზედაც გამოეკრათ ფიცრები რუსული წარწერით — აქ სასწავლებე-

ლიათ. ავტორი გაუოცებია იქაურ სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის დაბალ დონეს, კერძოდ, მშობლიური ენის უცოდინარობას. რამდენიმე შეკითხვის შემდეგ იგი დარწმუნებულია, რომ რუსული ენის სწავლებასთან შედარებით არც მშობლიური ენის სწავლება ყოფილა უკეთეს ნიადაგზე დაყენებული. ბავშვები მოთხრობებს შეუგნებლად სწავლობდნენ, ლექსებს უაზროდ იზეპირებდნენ. მოწაფე, რომელსაც ოთხი წელიწადი გაეტარებინა სასწავლებელში, ვერ გასცილებოდა „დედაენას“ (იგულისხმება მეგრული ენა) და უცნობ ტექსტს ისე ვერ წაიკითხავდა, თუ ასობეს არ ჩათვლიდა. ქართული მოთხრობების შინაარსის შეგნებული გადმოცემა იმდენადვე ეძნელებოდათ ბავშვებს, როგორც რუსულსა. „ჩვენმა მგოსნებმა რომ თავიანთი ბედნიერი ყურით მოისმინონ, რა უღეთოდ და შეუბრალებლად ქსჯიჯგინან და აწამებენ მათ ნაწერებს, — წერს ავტორი, — დარწმუნებული ვარ, დიდის ხვეწნა-მუდარით შეევედრებოდნენ სკოლების ხელმძღვანელებს: იწამეთ თქვენი გამჩენი ღმერთი, დაეხსენით ჩვენს ნაწერებს, დეე სრულებით ნუ იქნება ჩვენი და ჩვენი ნაწერების ხსენება სასწავლებელში, იქნება შემდეგში აქედან გასულებმა მართლა ხალისით და შეგნებით მოჰკიდონ ხელი ჩვენს ქმნილებებს, ეხლა კი თქვენი დამტანჯავი სწავლების მეოხებით მარტო ზიზღი ემატებათ ბოვშებს ჩვენდამი და ვაი თუ ეს გრძნობა საბოლოოთ ჩარჩეთ მათ გულში“.

ავტორი აკრიტიკებს სამღვდლოებას: „მათებრ ქართული ლაპარაკი მეძროხესთვისაც კი სათაკილოა“, აგრეთვე მღვდლების ცოლებს, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა: „რა შვილები უნდა აღუზარდოს მამულს და ეკლესიას იმისთანადედამ, რომლის გული და გონება დახშულია წმ. სახარებისა, ლოცვისა და ქართველ გამოჩენილ მწერალთა უკვდავი ქმნილებების ზეგავლენისათვის!“.

ეს სიტყვები დღევანდლობის საყურადღებოდაც ელერს!

გაზეთი „შინაური საქმეები“ ორთოგრაფიულსა და ტერმინოლოგიურ საკითხებსაც უთმობს გარკვეულ ადგილს. რედაქტორი ს. მჭედლიძე თავის წერილში „ბ. ახელის მოკლე შენიშვნის პასუხად“ (1910 წ., № 27) უყურადღებოდ არ ტოვებს შენიშვნას ტერმინ „ვიწროს“ შესახებ და მას ასე განმარტავს: „ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნახმარია: ვიწროც და იწროც. ამიტომ, მიუხედავად ახელის კითხვითი ნიშნისა, ორივე ფორმას განურჩევლად ვხმარობთ“.

რუბრიკაში „სასულიერო ბიბლიოთეკა“ („შინაური საქმე-
ბი“, 1910 წ., № 27) ჩანს საგანგებო ზრუნვა ქართული ტერმინების
დასაცავად. რეცენზია გვამცნობს ახლად გამოცემული წიგნის, არ-
ქიმანდრიტ ნესტორის „ახალი აღთქმის ისტორიის“ ღირსებას.
იქვე მოცემულია ავტორის კრიტიკული შენიშვნებიც. დასახელებუ-
ლია სიტყვები „იუდიელი“, „იუდეა“, „იუდიელთა ქვეყანა“, რომლე-
ბიც ხშირადაა გამოყენებული როგორც საღმრთო ისტორიის სხვა
სახელმძღვანელოებში, ისე დასახელებულ გამოცემაშიც. ავტორის
აზრით, ეს სიტყვები ქართულ სახელმძღვანელოებში გაერცვლდა
რუსულის გავლენით. იგი მოითხოვს, დაცულ იქნეს ქართული სახა-
რების ტერმინები. ქართულ სახარებაში ვკითხულობთ: „პრქუა
უფალმან მოსრულთა მათ მისსა მიმართ ურიათა; ჰკითხვიდეს მას
ურიანი; მოვიდა იესო ურიასტანს“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ახალ გამოცემაში „შესაკრებლის“
მაგიერ წერია „თორა“. „რასაკვირველია, სიტყვა „თორა“ უფრო მი-
სახვედრია და გასაგებია ქართველისთვის, ვიდრე „სინაგოგა“, რო-
მელიც იხმარება სხვა სახელმძღვანელოებში, — წერს იგი, — მაგ-
რამ, ჩვენი აზრით, სახარებაში ნახმარი „შესაკრებელი“ აჯობებდა“.

ტერმინოლოგიურ საკითხებს ეხება გაზეთ „იმერეთის“ 1912
წლის № 16-ში „კვირიკეს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი
„კვირიკე“. მასში საუბარია სიტყვის ფორმის მნიშვნელობაზე:
„ფორმა — იგივე სიტყვაა, სიტყვა ლამაზი, მომხიბლავი და მომჯა-
დოებელი წამისად... სიტყვა გულია, სიტყვა სულია... უკეთუ სულსა
და გულში არ მოგხვდა იგი, რაც გინდა ლამაზსა და კოხტა ფორმა-
შიც არ უნდა ჩამოაყალიბო, ბოლოს ყალბი გამოვა, რაკი ამ სულსა
და გულს საბოლოოთ ვერ მონადირებს... ხალხი დიდი გულისა და
სულის პატრონია, ცუდ მონადირეს მალე იცნობს და სულ კუდით
ქვას ასროლინებს“, — დასძენს ავტორი. ბოლოს იგი მკითხველს
სთავაზობს ახალ ტერმინს „ვიგნიტიკური“, რომლის მსგავსი „არც
ჩუბინაშვილის ლექსიკონში და არც ბ. ბ. ილ. ჭყონიასა და არც
ვ. ბერიძის იკლიკანტურ „სიტყვათა კონაში“ ამოუკითხავს“.

საუკუნის დასაწყისში ქუთაისის პრესის ფურცლებზე აისახე-
ბოდა მიღწევები ენათმეცნიერებაში. კ. ჯორჯიკიამ წერილების
სერია მიუძღვნა ნ. მარის იაფეტურ თეორიას. გაზეთ „იმერეთის“
1912 წლის რამდენიმე ნომერი (43, 44) დაეთმო კ. ჯორჯიკიას
საკმაოდ ვრცელ წერილს „იაფეტური თეორია და მესხ-აფსაზთა
ვინაობა“, რომელშიც განხილულია ნ. მარის თეორია, მოცემულია
მისი შეფასება, აღნუსხულია იაფეტური ენების ის ფონეტიკური და

მორფოლოგიური კანონები, რომელთაც ეყრდნობა მეცნიერის ნაშრომი.

იაფეტურ მასალებს ეძღვნება „იმერეთის“ 1913 წ. №№ 26, 28-ში გამოქვეყნებული „ფონეტიკური ეტიუდები“ კ. ჯორჯიკიასი.

ახლად გამოცემული წიგნების რეცენზირებისას პრესა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენობრივ ანალიზს. გაზეთ „იმერეთში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში (ავტორია „სულსანი“), რომელიც ეძღვნება ს. რობაქიძის მიერ შედგენილი წიგნის („სამშობლოს აღწერა“) მიმოხილვას, საგანგებოდაა შეფასებული გამოცემის ენა. ავტორი წერს, რომ წიგნის ენა მარტივი, მსუბუქი და ადვილად გასაგებია. გრამატიკულადაც „სწორი და კანონიერია“, თუმცა შეცდომებიც გვხვდება. წერილში დასახელებულია ეს შეცდომები და იქვე მითითებულია ავტორის აზრით ენობრივად მართებული ფორმები. მაგალითად. „განაგებს ყოველგვარ საქმეს, როგორც მაგალ.: გზების კეთება, ქალაქის განათება“. ავტორის აზრით, უნდა იყოს: „კეთებას, განათებას (რას განაგებს?), სინოტიეს მიხედვით (= სინოტივის), კათოლიკები (= კათოლიკეები); ყველა ქუთაისის მახლობლათ მდებარე სოფლებს (ქუთაისის მახლობლათ მდებარე ყველა სოფელს); „ხილით ვაჭრობს“ არ ითქმის, — წერს ავტორი, — არამედ „ხილს ვაჭრობს“; აგრეთვე, „ვაჭრობენ ყოველგვარი საქონლით“, — უნდა იყოს: „ვაჭრობენ ყოველგვარ საქონელს“; „ტანსაცმელში გამოწყობილი“, — უნდა იყოს: „ტანსაცმლით გამოწყობილი“; „მონასტრები ვარძია, საფარა და ზარზმა“; — უნდა იყოს: „ვარძიის, საფარისა და ზარზმის მონასტრები“.

ავტორს მართებულად არ მიაჩნია შემდეგი ფორმები და გაზოტქმები: ყველა ქალაქები, ყველა ქუჩები, რამდენიმე დაწესებულებანი, ყველა სასწავლებლები, ეკლესიები მართაუნ და სხვ.

„რუკაშიც (= ქარტა) რამდენიმე შეცთომაა, — შენიშნავს იგი. — კარსი (= ყარსი), ალექსანდროპოლი (ქართ. გუმბარი), ელიზავეტოლი (ქართ. განჯა) და სხვ.“. ავტორი მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში, ორივე სახელწოდება მაინც იქნეს მოხსენებული (1912 წ., № 37).

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში აისახებოდა ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. გაზეთების ფურცლებზე ხშირად იმართებოდა პაექრობა ენობრივ ნორმებზე. მათი გაცნობა ნაწილობრივ მაინც გვიქმნის წარმოდგენას, რა მიაჩნდათ მაშინ ქართული სალიტერატურო ენის ნორმად და რა — არა.

მწვავე პოლემიკის ნიმუშია სილოვან ხუნდაძის წერილი „უტი-ფარი შიკრიკი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „იმერეთის“ პირველსავე ნომერში რუბრიკით „შინაური მტრები“. ავტორი დაუნდობლად აკრიტიკებს თავად ვლადიმერ მიქელაძეს, რომელსაც დაუწერია, „სილოვანი ილია ჭავჭავაძეს და გოგებაშვილს ენას უწუნებდაო-და თვითონ ოლასყურული ქართულის მცოდნეაო“.

„რა უნდა ველაპარაკო იმისთანა ვაჟბატონებს, — წერს ს. ხუნდაძე, — რომელნაც სილოვანს ენის უცოდინრობას ეწამებიან და თვითონ კი თავის მკითხველებს ამგვარი „ქარტულით“ უმასპინძლდებიან: „ზდანოვიჩმა ქარხნის კეთებას შეუდგა“, „მაგისანა“, „ამისანა“, „რომელშიდაც“... ზოგს ხუთსტრიქონიან ალმანახში ამდენ სიმახინჯეს რომ კაცი ვერ შეამჩნევს, იმას განა ნება აქვს — ქართული ენის სიწმინდეზე ილაპარაკოს? იმას განა შეუძლია — ასწონ-დასწონოს, თუ სილოვანი რამდენათ სამართლიანათ უწუნებს ვისმე ენას?“.

ს. ხუნდაძესა და ვლ. მიქელაძეს შორის ასეთი მწვავე პოლემიკის საფუძველი გაზეთ „ფარის“ 1908 წლის № 3-ში გამოქვეყნებულ წერილში „შინაური მიმოხილვა“ უნდა ვეძებოთ. იგი ხელმოწერილია ფსევდონიმით „ს“ (სილოვან ხუნდაძის სახელის ინიციალი უნდა იყოს).

წერილის დასაწყისში ავტორი ერის განვითარებაში მშობლიური ენის განსაკუთრებულ როლზე საუბრობს: „თითოეული ერის პროგრესიულ წინსვლაში დედაენა განსაკუთრებულ როლს ასრულებს. თუ ენა იმდენათ განვითარებულია, რომ ყოველი აზრი იმის საშვალებით სავსებით და ლამაზათ შეიძლება გამოხატო, მკითხველი მეტი ხალისით დაეწაფება ამგვარი ენით დაწერილ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებს“.

იმის უტყუარ საბუთად, რომ რვა საუკუნის წინათ ქართული ენა ისე დახვეწილი და პოეტური იყო, არაფრით ჩამოუვარდებოდა სპარსულს, ბერძნულსა და ლათინურ ენებს, ავტორი ასახელებს „ვისრამიანს“, „ამირან-დარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“. აქვე დამოწმებული აქვს პროფესორ დავით ჩუბინაშვილის სიტყვები: „ქართული ენა მე-12 საუკუნეში დამდოვრდაო“, ე. ი. სავსებით შემუშავდა და განმტკიცდაო.

„მაგრამ ენა ცოცხალ არსებასა გავს, — წერს ავტორი, — ერთ წერტილზე არასოდეს არ იერდება, — მოძრაობს, იფურჩქნება, წინ მიდის, თუ ხელს არაფერი უშლის, მაგრამ უკანაც იწევს, თუ დამაბრკოლებელი გარემოება წინ ელობება...“.

წარსულ საუკუნეებში ჩვენი ენა, ისტორიულ გარემოებათა მიხედვით, ხან წინ მიდიოდა (თამარის, აგრეთვე ვახტანგ VI-ის ეპოქა), ხან ქვეითდებოდა (მე-13 საუკუნიდან მე-18-მდე). ავტორს მიაჩნია, რომ მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 10-იან წლებამდე ქართულ ენას წინსვლა არ დასტყობია. თუმცა ახალმა დრომ ბევრი სახელოვანი ნიჭიერი პოეტი და მწერალი შვა, მათ ნაწერებში მაღალი პოეზიაც მოიპოვება, ღრმა აზრებიცა და კეთილშობილური გრძნობაც, მაგრამ ენა, ე. ი. აზრის გამოსახატავი ფორმა, მეტად შეუფერებელი, ხშირად დამახინჯებულიცაა. ასეთია პოეტ-მწერალთა ენა და საზოგადოების, მასის, უბრალო მოკვდაეთა ენა ხომ „თვისი სიმახინჯით ჩაქვესკნელებულა...“.

უთუოდ სახელოვან შემოქმედთა ასეთმა მკაცრმა შეფასებამ წარმოშვა შემოხსენებული პოლემიკა.

ამავე წერილში ავტორი ამხელს ინტელიგენციას, რომელმაც, თუ ქართულად იკადრა ლაპარაკი, „იმისთანა ენით დაგიწყებს საუბარს, რომ ყური თითით უნდა დაიციოთ“, თუ არა და — სულ არ ილაპარაკებს ქართულად, „უკეთ ვსთქვათ — ვერ ილაპარაკებს, რადგან მის გონებას აზროვნების სფეროში ქართულათ არ უმუშავია, მის ენას ქართულათ არ უეარჯიშებია“.

ავტორი აქვე ასახელებს ინტელიგენციის ენობრივად გაუმართავი მეტყველების ნიმუშებს: „ჩვენ ყველას იმდენათ შერჩეული გვაქვს სმენა მახინჯი ქართულისთვის, — წერს იგი, — რომ არაფრათ არ ვაგდებთ, როცა ინტელიგენტი იმერლისაგან გვესმის იმისთანა მარგალიტები, როგორიც არის, მაგალ., „ლაპარაკი, იმგენმა წვილენ, კაცმა წვევიდაო“ და სხვა“, ან ამერლისაგან — „შაიძლება, აქამდისინ, ვნასევი, წამიკითხნიაო და სხვ.“ (მსგავსი სენისაგან ზოგჯერ არც დღევანდელი ინტელიგენციაა დაზღვეული).

ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად ავტორი საჭიროდ თვლის შეგნებასა და ენერგიას. „გარეშე მიზუზებს რათ ვასახელებთ, როცა იქ, სადაც თითქმის სავსებით დამოუკიდებელი ვართ, სრულ გულგრილობას ვიჩენთ ჩვენი ენისა და ჩვენი მწერლობის განვითარებასა და გაავრცელებაში? აბა შევიხედოთ ჩვენს ოჯახებში, რა სურათებს ვხედავთ ჩვენ იქ?“.

წერილს დართული აქვს ლექსი, რომელიც კრიტიკულად ასახავს მაშინდელი ოჯახების ყოფას. „ქართულ ოჯახში გაბატონებულა უცხო ხალხის მოწყობილობა, ჩაცმა-დახსურვა, ცუკვა-თამაში, მღერა-მოლხენა“, სასაუბრო ენაც უცხოა. „უცხო წიგნები, ჟურნალ-გაზეთი ყოველნაირი აქ იშოვება... დახეთ, რა რიგათ განათლებულან:

ქართული წამლათ არ იპოება" ამ „ქართველთა“ განათლებულ წრეში იწვრთნება პაწია მამულიშვილი. „წინ წავა ჩვენი ენა, მწერლობა პროგრესიულათ, მაშ რა იქნება?!“ — ირონიულად ამთავრებს ავტორი.

სილოვან ხუნდაძის ამგვარი პოზიციის საჩვენებლად მოვიყვანთ ნაწყვეტს გაზეთ „ფარის“ 1908 წლის № 2-ში დაბეჭდილი ლექსიდან „ქართველ მოსწავლეებს“. ავტორი მიმართავს მომავალ თაობას:

ცოდნით უნდა აღიკურვით...
მაგრამ ცოდნის თქვენ შეძენა
განა ისე შეგიძლიათ,
თუ არ იცით კარგათ ენა?!..
და რა ენა? — თი საქმე,
მხოლოდ ჩვენში საკითხავი!..
ოხ, სამშობლო ჩემო ენა,
რამდენი გყავს გამკიცხავი!
გარეთ მტერი რას დაგაკლებს,
შინაურიც რომ არ გყავდეს,
და თვით შენი ლეიძლი შეილი
რომ მოყვარეს რითმე გავდეს?!

სხვის ენაზე წერაკითხვა,
სხვისი ენით ყრმათ სწავლება!..
განა კრდე შეიძლება
მეტე ტანჯვა და წვალება?!
კერ ნაენობი და ადვილი,
მერე უცხო, უფრო ძნელი: —
აი, სწავლის უტუჯარი,
კემმარტი საფუძველი
მამ პირველათ დედაენა
და სამშობლო შეისწავლეთ,
და მერე კი უცხოთათვის
პოეზადეთ, მოიცალეთ.

ლექსი დაწერილია 1906 წლის 9 ივნისს ქუთაისში.

გაზეთ „ფარში“ (1908 წ., № 4) გამოქვეყნებულ წერილში „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ საუბარია მშრომელ კლასთა ცხოვრებაში ენის მრავალმხრივ მნიშვნელობაზე.

„ენა გონებრივი განვითარების ცენტრალური იარაღია. მუშა მხოლოდ მაშინ იგნებს ყოველივე გარემოს, როდესაც მას საშვალება აქვს — სამშობლო ენაზე იკითხოს თუ სწეროს... მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება მისთვის უსილავი ხილია. როდესაც ყოველ ამას აწვდიან მისთვის გაუგებარ ენაზე“. — ვკითხულობთ წერილში. ავტორის აზრით, ენა მუშის ნივთიერი ცხოვრების სახსარიც კია: იგი სამუშაოს, ჩვეულებრივ, იქ შოულობს, სადაც მის ენას გასაგალი აქვს. ენა აძლევს მას საშუალებას, გამოუცხადოს სოლიდარობა მშობელი ქვეყნის მუშებს. ამიტომ მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან მედგრად იბრძოლონ ენის უფლებისათვის მანამ, ვიდრე იგი არ დაიპყრობს თანაბარ ადგილს სკოლაში, ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და, საზოგადოდ, ყველგან. საშინაო ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ამავე წერილში ფრანგული მწერლობიდან მოხმობილია პოეტ მისტრალის გამონათქვამი ენის შესახებ: „ვინც თავის ენას იცავს,

მას ხელთ აქვს კლიტე, თავისი ბორკილის გამღები და თავისუფლების მიმნიჭებელი”.

გაზეთ „ფარის“ პირველსავე ნომერში (1908 წ.) დაბეჭდილია რ. საჯავახოელის (რ. ხუნდაძე) ლექსი „ფარი“. ჩვენს მიმოხილვას დავასრულებთ ამ ლექსიდან ამოღებული სტროფით, რომელიც ავტორის დიდი სურვილისა და იმედის გამომხატველია:

ეგებ შერჩეს ქართველს მისი
მამა-პაპის მონაგარი:
თერსი ენა, თვისი ნიჭი,
თერსი მიწა და სახლქარი...

საუკუნის დასაწყისში ქართულ ენას აშკარა გადაგვარების საფრთხე დაემუქრა, რაც შეიგრძნო და შეიგნო ქართველმა ინტელიგენციამ. ყოველივე ეს კი ნათლად აისახა იმდროინდელ პრესაში.

რვა ათეული წელი გვაშორებს რევოლუციამდელ პერიოდს, მაგრამ მრავალი ნაკლისა და სენისათვის თავი დღემდე ვერ დაგვიღწევია. ჩვენსა და იმ ეპოქას შორის მანძილიც დიდია და მსგავსებაც. ბევრი მაშინდელი ფაქტი თუ მოვლენა იმდენად საცნაურია, რომ ძნელია ანალოგიებისაგან თავის შეკავება: დღესაც ისევე მწვავედ დგას მშობლიური ენის საკითხები, როგორც მაშინ იდგა.

ჩვენი ერის ცხოვრებაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესები ენის აღორძინების უტყუარი საწინდარია.

როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს?

ქართული სალიტერატურო ენის ამა თუ იმ მოსაგვარებელ საკითხებზე პერიოდულ პრესაში სხვადასხვა დროს მრავალი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნებული. მაგრამ სალიტერატურო ენის სიწმინდის ბევრი საკითხი კვლავაც მოუგვარებელია და მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება ჯერაც არ ჩანს. ათეული წლების მანძილზე საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი იყო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელმაც დიდძალი სამუშაო შეასრულა. პერიოდულად განიხილებოდა ნორმათა პროექტები, დადგენილია სალიტერატურო ქართულის ორთოგრაფიისა და მორფოლოგია-სინტაქსის, აგრეთვე სტილისტიკის არაერთი საკითხი. ორჯერ გამოქვეყნდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებული და ამავე „ნორმების“ ბიულეტენები № № 1—2 და № 3. ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სამუშაო ბაზა — ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელიც კომისიისათვის ამზადებს ნორმათა პროექტებს. განყოფილება რეგულარულად აქვეყნებს პერიოდულ კრებულს — „ქართული სიტყვის კულტურის საკითხებს“ (უკვე გამოცემულია ამ კრებულის ათი წიგნი).

მაგრამ სახელმწიფო კომისიის ძალისხმევა უფრო მეტად ორიენტირებული იყო ენის სადავო საკითხების მოგვარებაზე, ნორმების დადგენასა და სათანადო ლიტერატურის გამოცემაზე, ხოლო ენის სიწმინდის დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი არ იყო საქმათ დეჟეტინი. ენაში კი მოცილე და უმართებულო ფორმების რაოდენობა ძალზე დიდია. ბოლო ხანებში კონტროლი (გასაგები მიზეზების გამო) საერთოდ მოიშალა. ენის საკითხებში საჭირო წესრიგის დასამყარებლად ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომე-

ბი. ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვის, ენის ნორმების დადგენისა და დანერგვის, ენის ფუნქციონირების სათანადო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან (ამიერიდან — პრეზიდენტთან) შეიქმნა სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის დებულებაში ნათქვამია, რომ კომისია (სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან, კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასა და დანერგვასთან ერთად) „კონტროლს უწესებს ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას; უზრუნველყოფს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კომისიაში შემავალი ფუნქციონირების მაკონტროლებელი სამსახური საჭირო წესრიგს დაამყარებს ქართული სალიტერატურო ენის მეურნეობაში.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმები თუმცა დიდი ხანია არსებობს და მათი დაცვა ყველასათვის სავალდებულოა, სამწუხაროდ, მეტად ხშირია შემთხვევები დადგენილი ნორმების დარღვევისა როგორც პერიოდულ პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში, ისე (რაც უფრო სავალალოა) მხატვრულ ნაწარმოებებში. დარღვევები მრავალგვარია. უმეტესობა მოდის ზმნაში პირის ნიშნების (ჰ და ს) უმართებულო ხმარებაზე (წერენ იქ, სადაც არ უნდა, და არ წერენ იქ, სადაც საჭიროა). არაიშვიათად გვხვდება ზმნისართების მცდარი დაწერილობა; ირღვევა წესები -ვე ნაწილაკის შემცველ ნაცვალსახელთა ხმარებისა. ლათინურიდან მომდინარე კვ-ს ნაცვლად ქვ იხმარება; ერთმანეთში ურევენ კამპანიას და კომპანიას, ანსამბლს და ასამბლუას, ოდესმე და ოდესღაც ზმნისართებს; კვლავ გვხვდება დარღვევები თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ხმარებისას და სხვ.

აი, რამდენიმე მაგალითი (ამჯერად ვიმოწმებთ ბოლო ათეული წლების მწერალთა ნაწარმოებებს, თუმცა დარღვევები გვხვდება XX ს-ის უფრო ადრინდელ მწერალთა ნაწერებშიც, მათ შორის, ისეთ მწერლებთანაც, როგორებიც არიან: მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე. ზოგიერთი ნორმა კი იმხანადაც არსებობდა).

ლაღობით მოკლეს (რ. ჭაფარ.). მას სახელად გოტეალდოვი ქეია (იქვე). ზონაპარტემ... პირი რუსეთისკენ ჰქნა (იქვე). გულნაქლულს შიინც არავის სტოვებდა (იქვე). კარი ღია დასტოვეს (იქვე). თუთაშხიამ პასუხი არ გაცა (ვ. ამირეჯ.) დაკრეს როზგები აბრაგს (იქვე). კითხა თუთაშხიას (იქვე). წინო კვლავ სღუმდა (იქვე). შეადიებს მიცა სამეოთხედოდ (იქვე). ცას

პირი ჩამოტროდა (რ. ჰეიშე). მოწვეული თელებით მიჩერებოდა ექიმს (იქვე). წარბები აწია კვლე (იქვე). კარის სახელურს მოკიდა ხელი (იქვე). კარგ ცხოვრებას... ყაედა გადაგვარებული (იქვე). ეშმაკს არ ძინავს (რ. მიწე). ეს ყოველზე სიტყვას მოყვა (იქვე). გეზობელს ქათამი მოპარა და რესტორნის მზარეულს მიყიდა (იქვე). ლუარას წამოცდა ეს კითხვა (იქვე). ნუ მომსდევ ამ ქუჩაში (იქვე). არ ვიცი სცდება, არ ვიცი სტყუის (მ. ლებან). სთქვა მარგანმა... სთქვა ნონეშვილმა (იქვე). მოსტოპავს ბოლიებს ეკლიან წაგებით (იქვე). აკაი მოყვდა, მოყვდა ევაჟი, ილია მოპკლეს (იქვე). რა ჰქნას კრიტიკა?! (იქვე). გზას არ დაჰკარგავს სანთელსაქმელი (მ. შაქვე). ვინც სდუმს, ის უფრო სტყუის (იქვე). მერაბს ძალიან წყდებოდა ხელი (გ. გეგეშ). ძალი ადგა, კოქლობით გამოყვა და ფეხებთან დაუწვა (ნ. ლეშე).

მის სულში აქვარიუმის ოქროს თევზის ფარდლივით შერხა ბუნდოვანი საბოება (ჟ. ამრეჟ). მგოსანი ღიდაღ განიცდიდა თურმე კვირიკეს საყდარში შენასული რელიქვიებისათვის თავისებური განმარტების მიცემას („სახ. გან.“). რელიქვიები ძმისათვის (ტ. ჰანტ). ეს ოდა იყო ყველაზე ძვირფასი რელიქვია (რ. მიშე). ეროვნული თანხმობის ქვორუმი („ლიტ. საქ.“). ქვალიტატური თესებები (რეპორტაჟი პარლამენტიდან).

კონსტანტინე სავარსამიძე... მე-20 საუკუნის ახალგაზრდა კაცის იგივე ტრადიციას განასახიერებს, როგორც განცილიდნენ მე-19 საუკუნის ე. წ. ზედმეტი ადამიანები (გ. ჯიბლა). იგივე მდგომარეობაში არიან დეპუტატები (რეპორტაჟი პარლამენტიდან). საფიქრებელია, რომ ერთსა და იგივე ახალშობლს ყველა ზნეობრივი თვისებას ჩანასახი ტოლი სილიდისა ვერ ექნება (ჟ. ამირეჟ). ერთი დიდი იგივეს იმეორებდა (რ. ჰეიშე). მოწყინდა ერთი და იგივეს მოსმენალპარაკი (რ. მიშე).

ერთ-ერთი მოუგვარებელი საკითხია უცხოური (ევროპული) წარმოშობის ზედსართავეების გაფორმება. სწორედ ამაზე გვინდა შეგჩრდეთ. აღნიშნული საკითხი შესწავლილი აქვს ს. ჯანაშიას, რომელიც მიუთითებს, რომ ევროპული ენებიდან მომდინარე ამ სიტყვების სესხება ჩვენში რუსულის გზით იწყება მე-18 საუკუნიდან და სისტემატურ ხასიათს იღებს ანტონ პირველისა და მისი სკოლის მეოხებით. „გაფორმება ხდება შემდეგი წესით: ნასესხები არსებითი სახელის ნათესაობით-მოქმედებითი ბრუნვის... ფუძეს მხოლოდობით რიცხვში ერთვის ქართული მორფოლოგიური ელემენტები სათანადო კატეგორიისა: -ებრ-ი // -ებრივ-ი (განსაკუთრებით ხშირად), -ურ-ი // -ულ-ი, -ელ-ი, სა — ო“¹. გვხვდება ასეთი ზედსართავეები: თეორიტიკებრი, პრაკტიკებრი, ითიკებრი, ლოლიკებრი, მეხანიკებრი, სხოლასტიკებრი, დოლმატიკებრი, ისტორიებრი,

¹ ს. ჯანაშია, დუქენასესხები ზედსართავეების გაფორმებისათვის ქართულში: შრომები, ტ. III. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1959, გვ. 285.

იპოტეტიკები, მეტაფიზიკები, პოლიტიკები², ჭრანციული, გერმანიული³, დეოდრაფიული, მეთოდოლოგიური, ჭიჭიკური, საღრამ-მატიკოსო, საასტროლოგიო და სხვ.

საზოგადოდ უცხო ენებიდან სესხება ხდება, ჩვეულებრივ, არსებითი სახელებისა. მეტყველების სხვა ნაწილების სესხება შედარებით იშვიათი მოვლენაა. და მაინც, არსებითის შემდეგ, როგორც ჩანს, ზედსართავეების სესხება უფრო ხშირია, ვიდრე მეტყველების სხვა ნაწილებისა.

ძველ ქართულში სესხება უპირატესად აღმოსავლური ენებიდან ხდებოდა. ამასთან, ნასესხები ზედსართავეები მასესხებელი ენის მიხედვით იყო გაფორმებული, მცირე ფონეტიკური ცვლილებებით. ასეთებია, მაგ.: ვერაგი, სასტიკი, სპეტაკი, ჭარმაგი, ჭემშარიტი, ხალასი და მისთ. ამ პერიოდისათვის იშვიათია ნასესხები სიტყვების გაფორმება ქართული აფიქსებით, როგორც, მაგ.: ებრაელებრი, რომაელებრი, ბარბაროზებრი, ანგელოზებრი...

ასალ ქართულში ლექსიკის სესხება, კერძოდ — ინტერნაციონალური ზედსართავეებისა, ძირითადად ევროპული ენებიდან ხდება, თანაც, უმთავრესად — რუსულის გზით. სწორედ ეს შუალობითი სესხება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ნასესხები ზედსართავეების ერთ ნაწილში, რომელიც -ურ- (-ულ-) სუფიქსით არის გაფორმებული, ადრევე გავრცელდა უმართებულო წარმოება. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება. გააანალიზა რა მცდარი წარმოების მიზეზები, მან ჩამოაყალიბა ამ ზედსართავეების გაფორმების ენათმეცნიერულად სწორი წესები. ს. ჯანაშიას

² ასეთი წარმოება XIX ს-შიც გვხვდება. მაგ., იოანე ბატონიშვილის „კილმასობაში“ (დაწერილია 1813-28 წლებში) ნახშირია: ფილოსოფოსებრი (გრთხელ — ფილოსოფიურიც), ანალიტიკებრი, ლირიკებრი, დრამატიკებრი. გვხვდება ორმაგი სუფიქსაციის ასეთი წარმოებაც: ლოთინურებრი, ელინურებრი, ქრისტიანულებრი. იხ. აგრეთვე დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში (1887 წ.): თეორეტიკებრი.

³ ანტონის სკოლის მიერ ნახშირი ფორმა გერმანიული და გერმანიელი პრინციპში უფრო სწორად არის წარმოებული, ვიდრე აშუამინდელი გერმანული, გერმანელი (აგრეთვე იაპონური, იაპონელი და ზოგჯერ ხმარებული შეეიყარული და ლაკონური).

მოსხენების ძირითადი დებულებები გამოქვეყნდა 1932 წელს⁴. შემდეგ ეს წესები შევიდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“, რომელიც 1936 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა, ხოლო ამჟამად მოქმედი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებულში ს. ჯანაშიას ნაშრომის საფუძველზე ჩამოყალიბებულია უცხოურ ზედსართავ სახელთა ქართულად გაფორმების წესები. მათი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ნასესხებ სიტყვებში საყრდენი ფუძის სწორად გამოყოფა. „ნასესხები სიტყვებისგან ზედსართავის წარმოებისათვის დასაყრდენია ან არსებითი, ან ზედსართავი სახელის ფუძე“⁵, რომელსაც დაერთვის ქართული თავსართბოლოსართები: -ურ (-ულ), -ობრივ, სა — თ. იმ შემთხვევაში, როცა ქართულში არ მოიპოვება ნასესხები არსებითი სახელი, ზედსართავის საწარმოებლად ქართული აფიქსები დაერთვის უცხოური ენის ადიექტიურ ფუძეს: *специаль-н-ый* — სპეციალ-ურ-ი, *конкрет-н-ый* — კონკრეტ-ულ-ი, *актуаль-н-ый* — აქტუალ-ურ-ი და მისთ. როცა არსებითი სახელია ნასესხები, ქართული აფიქსები ერთვის არსებითის ფუძეს (რომელსაც მივიღებთ ნათესაობითი ბრუნვის -ის დაბოლოების ჩამოცილებით): *хим-ическ-ий* — ქიმი-ის — ქიმი-ურ-ი, *стандарт-н-ый* — სტანდარტ-ის — სტანდარტ-ულ-ი, *класс-ов-ый* — კლას-ის — კლას-ობრივ-ი, *транспорт-н-ый* — ტრანსპორტ-ის — სა-ტრანსპორტ-ო.

მაგრამ ფუძის გამოყოფა ყოველთვის არ ხერხდება ასე მარტივად. ზოგჯერ სიტყვები ისეა სახეშეცვლილი, რომ საყრდენი ფუძის გამოყოფა ძნელდება. ასეთებია, მაგ., *коматозный*, *экстатичный*, *каталептический* და მისთ. (აქ ფუძეებია: *кома-*, *ექსტაზ-*, *კატალეფს-*). რომ ავიღოთ ზედსართავები: *каузативный*, *иллюстративный*, *флексивный*, შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ყველას ერთი და იგივე ბოლოსართი აქვს (-ივნიყ) და მისი ჩამოცილების შემდეგ ფუძეებად დაგვჩვენებდნენ შესაბამისად: *каузат*, *иллюстрат* და *флект*. სინამდვილეში კი სხვა ვითარებაა: *каузативный*-ში ფუძეა *каузатив*, *иллюстративный*-ში — *иллюстрац*, ხოლო *флексивный*-ში — *флекс*. ამის კვალობაზე ეს ზედსართავები ასე გადმოიცემა:

⁴ ს. ჯანაშია, -ურ და -იურ ბოლოსართთა ხმარებისათვის ნასესხებ სიტყვებში (მოსხენების თეზისები), „კურს-კონფერენცია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“. ენისა და ტერმინოლოგიის კომისიისა და სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემა, ტფილისი, 1932.

⁵ თქსენ, I, 1970, გვ. 126.

каузатив-н-ый — კაუზატივ-ის — კაუზატივ-ურ-ი → კაუზატი-ურ-ი, иллюстрат-ивн-ый — ილუსტრაცი-ის — ილუსტრაცი-ულ-ი // სა-ილუსტრაცი-ო, флект-ивн-ый — ფლექსი-ის — ფლექსი-ურ-ი. ამ თავისებურებათა მიზეზი ისაა, რომ ბევრი ინტერნაციონალური არსებითი სახელის ფუძე ზედსართაული სუფიქსის დართვის შედეგად ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის (ზოგი ვეროპულსავე ენებში, ზოგიც — რუსულში). ამიტომ ხსენებული ზედსართავების ქართულად გადმოღებისას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვის ფუძეში მომხდარ ცვლილებებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა :

1. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში უცხოური წარმოშობის ზოგ ზედსართავს იმავე -იურ- (-იულ-) სუფიქსით გადმოსცემენ, რომელიც გვაქვს ქართულ ზედსართავებში: წლიური, ქვეყნიური, მზიური, ციური და მისთ.: აქტ-იურ-ი, პას-იურ-ი, პოზიტ-იურ-ი, იმპერატ-იულ-ი... (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 129).

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს არ მიაჩნდა მიზანშეწონილად -იურ სუფიქსის გამოყენება უცხოური წარმოშობის ზედსართავი სახელების საწარმოებლად (იხ. მისი შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 292). ასეთივე პოზიცია უჭირავს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებსაც“.

-იურ სუფიქსი ცნობილია როგორც -ივ და -ურ სუფიქსების შერწყმით მიღებული რთული სუფიქსი (დღ-ივ-ურ-ი → დღი-ური).

მაგრამ რამდენად საფუძვლიანია უცხოური წარმოშობის ზედსართავების ქართულ შესატყვისებში -იურ- (-იულ-) სუფიქსის გამოყენება? ვეროპული ენებიდან (რუსულის გზით) შემოსულია ქართულში ზედსართავები, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ ივ (ინგლ., გერმ. iv, ფრანგ. if, რუს. ив). ეს ივ (ე. ი. iv, if, ив) ადიექტიური ფუძის კუთვნილებაა და, თუმცა ვ იკარგება -ურ- სუფიქსის წინ (როგორც ჩვეულებრივად ხდება ქართულში). მაგრამ მის წინ ი, თავისთავად ცხადია, როგორც იყო, კვლავ ფუძისავე კუთვნილებად რჩება. მისი -ურ- (-ულ-) სუფიქსთან გაერთიანება, ჩვენი აზრით, არაა გამართლებული.

ეს ივ რომ ფუძისეულია, ამას შემდეგი მაგალითიც გვიჩვენებს; ზოგი ზედსართავი, მაგ.:

meliorative
vegetative
communicative
constructive

мелиоративный
вегетативный
коммуникативный
конструктивный

ქართულში ორგვარადაა გაფორმებული: მელიორაცი-ულ-ი და სა-მელიორაცი-ო, ვეგეტაცი-ურ-ი და სა-ვეგეტაცი-ო, კომუნიკაცი-ურ-ი და სა-კომუნიკაცი-ო. ორივე ვარიანტიში ფუძე, რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა სა — ო აფიქსებით გაფორმებული ზედსართავეები, სადაც ფუძე: სრულიად აშკარადაა გამოკვეთილი და -ო ბოლოსართის წინა -ი-ს ფუძისეულობა ყოველგვარი ეჭვის გარეშეა.

ამგვარად, სიტყვებში: აქტიური, პასიური, პოზიტიური, იმპერატიული, კაუზატიური, კოლექტიური, ინტენსიური, ადმინისტრაციული და მისთ. ყველგან სუფიქსად უნდა გამოვყოთ -ურ- (-ულ-) და არა -იურ- (-იულ-). წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა უცხოური ზედსართავეების ქართულად გაფორმების ძირითადი პრინციპი, კერძოდ ის, რომ ქართული საწარმოებელი აფიქსები უნდა დაერთოს საყრდენ ფუძეს (აქტი-ურ-ის, პოზიტი-ურ-ის, იმპერატი-ულ-ის და მისთ. შემთხვევებში საყრდენ ფუძედ გამოვა აქტი-, პოზიტი-, იმპერატი-..., რაც არაა სწორი).

2. უცხოური წარმოშობის რამდენიმე ზედსართავი ისეთი ფორმით დამკვიდრდა ქართულში, რომ ფუძისეული ივ საერთოდ გაუჩინარდა. მაგ., импункт-ивн-ый-ს შესატყვისად გვაქვს ინსტინქტი-ურ-ი (მოსალოდნელი ინსტინქტი-ურ-ის ნაცვლად). ასევე: импульс-ивн-ый — იმპულს-ურ-ი, дефект-ивн-ый — დეფექტი-ურ-ი, зфдект-ивн-ый — ეფექტი-ურ-ი.

აღვნიშნავთ ჩვენს საკითხთან დაკავშირებულ ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთ შემთხვევას.

3 — 7

გვაქვს ასეთი შესატყვისობანი: анабиоз — анабиот-ическ-ий, анестезия — анестет-ическ-ий, гидролиз — гидролит-ическ-ий, гипноз — гипнот-ическ-ий, гипотеза — гипотет-ическ-ий, катализ — каталит-ическ-ий, онтогенез — онтогенет-ическ-ий, партеногенез — партеногенет-ическ-ий, склероз — склерот-ическ-

к-ი, ელექტროლიზ — ელექტროლიტ-იჩესკ-იი და მისთ., რომლებშიც ბგერათმონაცვლეობა (s — t) ევროპულ (ინგლ., ფრანგ., გერმ.) ენებშივეა მომხდარი. შდრ., ინგლ. hypothesis — hypothetic, ფრანგ. hypothèse — hypothétique, გერმ. Hypothese — hypothetisch.

ამ და მსგავსი ზედსართავების ქართულად გადმოღებისას ქართული საწარმოებელი აფიქსები უნდა დაევრთოთ სათანადო რუსული არსებითის შესატყვისი ქართული არსებითის ფუძეს: ананнот-иჩესკ-იი — ანაბიოზ-ურ-ი, аnнестет-иჩესკ-იი — ანესთეზი-ურ-ი, гидролит-иჩესკ-იი — ჰიდროლიზ-ურ-ი, гипнот-иჩესკ-იი — ჰიპნოზ-ურ-ი, гипотет-иჩესკ-იი — ჰიპოთეზ-ურ-ი, каталит-иჩესკ-იი — კატალიზ-ურ-ი, онтогенет-иჩესკ-იი — ონტოგენეზ-ურ-ი, партоногенет-иჩესკ-იი — პარტენოგენეზ-ურ-ი, склерот-иჩესკ-იი — სკლეროზ-ულ-ი, элсктролит-иჩესკ-იი — ელექტროლიზ-ურ-ი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა :

რუსულში გვაქვს მსგავსი ბგერათმონაცვლეობა სიტყვებში: эмфаза (эмфазис) — эмфат-иჩესკ-იი. ქართულს შესატყვისი არსებითი არ გააჩნია. ჩანს, ემფატიკური უშუალოდ ფრანგულიდან არის გადმოღებული, როგორც აღნიშნავენ, ნ. მარის მიერ (შდრ. ფრანგ. emphalique).

с — т

ანალოგიური ვითარება გვაქვს с — т ბგერათმონაცვლეობის შემთხვევაშიც: вакансия — вакант-и-ый, гипотакс(ис) — гипотакт-иჩესკ-იი, катаlepsия — каталепт-иჩესკ-იი, паралилакс — паралилакт-иჩესკ-იი, рефлекс — рефлект-ивн-иი, хаос — хаот-иჩესკ-იი, эллипс — эллипт-иჩესკ-იი, энцефалия — энцефал-иჩესკ-იი... ეს ბგერათმონაცვლეობა ზედსართავთა უმეტესობაში ევროპულსავე ენებში მომხდარა (s — t).

აღნიშნული და მსგავსი ზედსართავების ქართულად გადმოღებისას ქართული აფიქსები აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, უნდა დაევრთოთ რუსული არსებითის შესატყვისი ქართული არსებითის ფუძეს: гипотакт-иჩესკ-იი — ჰიპოტაქს-ურ-ი, каталепт-иჩესკ-იი — კატალექსი-ურ-ი, паралилакт-иჩესკ-იი — პარალაქს-ურ-ი, рефлект-ивн-иი — რეფლექს-ურ-ი, хаот-иჩესკ-იი — ქაოს-ურ-ი, эллипт-иჩესკ-იი — ელიფს-ურ-ი, энцефал-иჩესკ-იი — ეპილეფსი-ურ-ი...

ამ წესის მიხედვით вакантнн-ის შესატყვისად უნდა გვქონოდა ვაკანსი-ურ-ი, გავრცელებული კია ვაკანტ-ურ-ი.

ასეთი ბგერათმონაცვლეობა აღინიშნება ზედსართავეებში: **альтруизм** — альтруист-ическ-ий, **атавизм** — атавист-ическ-ий, **афоризм** — афорист-ическ-ий, **оптимизм** — оптимист-ическ-ий, **пессимизм** — пессимист-ическ-ий, **плеоназм** — плеонаст-ическ-ий, **сарказм** — саркаст-ическ-ий, **силлогизм** — силлогист-ическ-ий, **софизм** — софист-ическ-ий, **спазма** — спаст-ическ-ий⁶, **футуризм** — футурист-ическ-ий, **эвфемизм** — эвфемист-ическ-ий, **эгонизм** — эгонст-ическ-ий, **эллинизм** — эллинист-ическ-ий...

ამ ზედსართავთა უმეტესობაში ბგერათმონაცვლეობა (sm — st) ევროპულ ენებშივეა მომხდარი. ქართულად ამ (და მსგავსი) ზედსართავეების გადმოღება ხდება ზედსართავული ფუძით: **альтруист-ическ-ий** — ალტრუისტ-ულ-ი, **атавист-ическ-ий** — ატავისტ-ურ-ი, **оптимист-ическ-ий** — ოპტიმისტ-ურ-ი და ა. შ. გამონაკლისს შეადგენს აფორистический-ს შესატყვისი აფორიზმული (თუმცა აფორისტულიც არის დადასტურებული, კერძოდ, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ა და ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რუსულ-ქართულ ლექსიკონში).

Ц — Т

ეს ბგერათმონაცვლეობა რუსულ ენაში ხდება -ция დაბოლოების მქონე არსებითებისაგან ზედსართავეების წარმოების შემთხვევაში. მაგ.: **ассоциация** — ассоциат-ивн-ый, **иллюстрация** — иллюстрат-ивн-ый, **инерция** — инерт-н-ый, **интуиция** — интуит-ивн-ый, **коммуникация** — коммуникат-ивн-ый, **компетенция** — компетент-н-ый, **консистенция** — консистент-н-ый, **консультация** — консултат-ивн-ый, **корреляция** — коррелят-ивн-ый, **субстанция** — субстант-ивн-ый...

ამ ზედსართავეების ქართულად გადმოცემა, როგორც წესი, არსებითის ფუძის მიხედვით ხდება: **ассоциат-ивн-ый** — ასოციაცი-ის — ასოციაცი-ურ-ი, **иллюстрат-ивн-ый** — ილუსტრაცი-ის — ილუსტრაცი-ულ-ი // სა-ილუსტრაცი-ო. მსგავსად ამისა: **интуй-ცი-ურ-ი**, **კომუნიკაცი-ურ-ი** // სა-კომუნიკაცი-ო, **კონსულტაცი-ურ-ი** // სა-კონსულტაცი-ო, **კორელაცი-ურ-ი**, **სუბსტანცი-ურ-ი**. გვაქვს

⁶ გვხვდება спазматический-ც.

გამონაკლისები, სადაც გაფორმება ხდება ზედსართავის მიხედვით, ე. ი. ბგერათმონაცვლეობას ეწევა ანგარიში: инерт-н-ыñ — ინერტ-ულ-ი, компетент-н-ыñ — კომპეტენტ-ურ-ი.

к — ყ

ამ ბგერათმონაცვლეობასთან დაკავშირებით საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს -еск- და -ическ- სუფიქსების გამოყენებას ნასესხები ზედსართავების გასაფორმებლად. რუსულში -еск- სუფიქსის წინ ხდება к — ყ ბგერათმონაცვლეობა. იგი ძალიან გავრცელებულია და რუსული ენის ისტორიაში ცნობილია „უკანაენისმიერთა პირველი დარბილების“ სახელწოდებით (г, ж, х > ж, ч, ш). აღნიშნულ სუფიქსებზე ყურადღების გამახვილება იმით არის გამოწვეული, რომ სწორედ მათი (უპირატესად -еск- სუფიქსის) შემცველი უცხოური ზედსართავების ქართულად გადმოღებისას დიდი არეუ-დარევა და სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის მრავალი შემთხვევა გვაქვს.

-еск- და -ическ- სუფიქსების შემცველ ზედსართავებს გარეგნულად მსგავსი დაბოლოება აქვთ (-ический), მაგრამ ეს სუფიქსები სხვადასხვა ფუძეს ერთიან და მათი შემცველი ზედსართავების გარეგნულად მსგავსი ბოლოსართები სტრუქტურულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

-ическ- სუფიქსი იხმარება უმთავრესად ინტერნაციონალური ხასიათის არსებითი სახელებისაგან ზედსართავების საწარმოებლად. ამოსავალ ფუძეში გვხვდება როგორც ტერმინები მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მსოფლმხედველობითი და, საერთოდ, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს აღმნიშვნელი ლექსიკა: биология — биолог-ическ-ий, история — истор-ическ-ий, металлургия — металлург-ическ-ий... агроном-ическ-ий, симфон-ическ-ий, хирург-ическ-ий, гигиен-ическ-ий, социалист-ическ-ий, идеалист-ическ-ий, диалог-ическ-ий და მისთ.

ასეთი ზედსართავების ქართულად გადმოცემა სირთულეს არ წარმოადგენს. საკმარისია სათანადო ინტერნაციონალური არსებითის ფუძეს დაერთოს ქართული აფიქსები: -ურ- (-ულ), -ობრივ-, სა — თ. მაგ.: биолог-ическ-ий ბიოლოგი-ის — ბიოლოგი-ურ-ი, истор-ическ-ий ისტორი-ის — ისტორი-ულ-ი და მსგავსად: металлург-ическ-ий მეტალურგი-ულ-ი, агроном-ическ-ий აგრონომი-

-ულ-ი... სიმფონი-ურ-ი, ქირურგი-ულ-ი, ჰიგიენ-ურ-ი, სოციალისტ-ურ-ი, დიალოგ-ურ-ი და ა. შ.

-еск- სუფიქსი იხმარება იმ ინტერნაციონალური ზედსართავების საწარმოებლად, რომელთაც ამოსავლად აქვთ -ика (-ик) ფინალის მქონე არსებითი სახელები: ботаника, грамматика, критика, лирика, логика, оптика, политика, специфика, фонетика, эстетика და მისთ. ამ და მსგავსი სახელების ფუძეზე -еск-სუფიქსის დართვისას, როგორც აღნიშნული იყო, ხდება к — ч ბგერათმონაცვლეობა: ботаника — *ботаник-еск-ий — ботанич-еск-ий. ასევე გვექნება: грамматич-еск-ий, критич-еск-ий, лирич-еск-ий, логич-еск-ий, политич-еск-ий, специфич-еск-ий...

-еск- სუფიქსიანი ზედსართავების ქართულად გადმოცემა იმავე საერთო წესით ხდება: ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითის ფუძეს ერთვის ქართული აფიქსები, მაგრამ ზოგჯერ გაუგებრობის შედეგად ზედსართავების ბოლოსართების გარეგნული მსგავსების გამო (შდრ. логический და биологический, ან графический და географический) არსებითის საყრდენი ფუძე არ იქნა სწორად გამოყოფილი, -еск- სუფიქსი გაუთანაბრეს -ическ- სუფიქსს და ბიოლოგიურის, ისტორიულის, აგრონომიულისა და მისთ. გვერდით გაჩნდა (და, სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელდა) უმართებულო ფორმები: ტრაგიული, ფსიქიური, ლირიული, მისტიური, დინამიური და მისთ. ნაცვლად სწორი ფორმებისა: ტრაგიკული, ფსიქიკური, ლირიკული, მისტიკური, დინამიკური, ლოგიკური, ფონეტიკური და მისთ.

-ическ- და -еск- სუფიქსებიანი ზედსართავების შესახებ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ანალოგიური სემანტიკის ზოგ ზედსართავს აწარმოებს -ичн- სუფიქსიც. შდრ.:

синоним-ическ-ий	და	синоним-ичн-ый
символ-ическ-ий	და	символ-ичн-ый
цикл-ическ-ий	და	цикл-ичн-ый
аромат-ическ-ий	და	аромат-ичн-ый
гигиен-ическ-ий	და	гигиен-ичн-ый
демократ-ическ-ий	და	демократ-ичн-ый
фанатич-еск-ий	და	фанат-ичн-ый
практич-еск-ий	და	практ-ичн-ый
критич-еск-ий	და	крит-ичн-ый
динамич-еск-ий	და	динам-ичн-ый

ичи- სუფიქსიანი ზედსართავეები, ჩვეულებრივ, უმნიშვნელო ნიუანსით განსხვავდებიან **-ическ-** და **-еск-** სუფიქსებიანთაგან და ერთი და იგივე ქართული შესატყვისი აქვთ. მაგ.:

синоним-ическ-ий	}	სინონიმური
синоним-ичн-ый		

гигиен-ическ-ий	}	ჰიგიენური
гигиен-ичн-ый		

фанатич-еск-ий	}	ფანატიკური
фанат-ичн-ый		

экзотич-еск-ий	}	ეგზოტიკური
экзот-ичн-ый		

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამ სუფიქსების შემცველ ზედსართავეებს განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ და ქართულადაც სხვადასხვაგვარად გადმოიცემიან. შდრ.:

симпат-ическ-ий	სიმპათიკური (მედ.)
тактич-еск-ий	ტაქტიკური
экономич-еск-ий	ეკონომიკური
технич-еск-ий	ტექნიკური

და:

симпат-ичн-ый	სიმპათიური
такт-ичн-ый	ტაქტიანი
эконом-ичн-ый	ეკონომიური
техн-ичн-ый	(გადატ. მაღალტექნიკური — სპორტში, ხელოვნებაში).

შეიძლება ისიც აღვნიშნოთ, რომ **-ичн-** სუფიქსიანი ზედსართავეები (**-еск-** და **-ическ-** სუფიქსებიანებისაგან განსხვავებით) ვითარებითი ზედსართავეების თვისებებს ამჟღავნებენ ხოლმე.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ფართოდ არის გავრცელებული და რა შორს არის წასული ენის ნორმების დარღვევის პროცესი ინტერნაციონალური ზედსართავეების გადმოცემისას, მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს:

დინამიური:

ჩენი საუკუნე ისეთი რთული, ისეთი დინამიური და მრავალგეროვანი გახდა, რომ ის აღარ ეტევა ნამდვილად წმინდა პოეზიის ფარგლებში (ჯ. გამს.). რა უშლის ხელს რუსეთთან კავშირების უფრო დინამიურ განვითარებას? („საქ. რესპ.“). სალიფსიტე მებურნეობასთან შექმნილია... ლაბორატორია, რომელიც თვეზის დინამიურ წონასწორობას იცავს („ლიტ. საქ.“). მაგრამ... ამ ქვეყნების რიცხვს დღეს უკვე ემატება ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკა და ეს პროცესი დინამიურია („სახ. გან.“). მოვლენების ყოველდღიური განვითარების ტემპი იმდენად დინამიურია, რომ დაყოვნება და ლოდინი კარგსა და კეთილს არაფერს მოგვიტანს („თბილ.“). ვიზიტი იყო დინამიური (რადიოგაღ.). თამაში დინამიურად მიმდინარეობდა („ლელო“).

სპეციფიური:

სპეციფიური ოღოშური სუნი, ცეცხლის სუნი (ჯ. გამს.). შესვლის უმაღლესი სპეციფიური საყდრის სუნი მეცა (იქვე). დღემდე არ მესმის, რა... სპეციფიურმა პირობებმა გამოუმუშავეს... ლაპარაკის ზემომოყვანილი მეთოდი (ჯ. ამირეჯ.). ანაწი შეიძლება გამოიწვიოს ჩენი სპეციფიური დანტერესება (რადიოგაღ.). სრულიად უგულებელყოფილია შუა საუკუნეების საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობის სპეციფიურობა („ლიტ. საქ.“). თქმა არ უნდა; წერითი გამოცდა გეოგრაფიაში სპეციფიურობით ხასიათდება („სახ. გან.“).

ფანტასტიური:

გაოცებული შეესტკერი ბნელი საუკუნეების საშოში უთაროლოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს (ჯ. გამს.). ფანტასტიური საყრალური ქალაქები გაუშენება უხილავ ყოვლისშემძლე ხელს (იქვე). იგი მეტად ფანტასტიური კაცი უნდა ყოფილიყო (ლ. ქიაჩ.). ვაჟის ჩაქოლვას წინ უსწრობდა ერთი ლამის ფანტასტიური ამბავი (იქვე). მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური (გ. ტაბ.). ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი (იქვე). ეტიმოლოგიური დაკავშირებანი და რეკონსტრუირებული ფორმები სრულიად ფანტასტიურია („სახ. გან.“). განსაკუთრებული ინერცია აიღო მევენახეობამ, რაღაც ფანტასტიურ ციფრებს გამოედევნენ („განათ.“). ამ სრულიად ფანტასტიურმა პერსპექტივამ შინც გამაბრუა (ჯ. ამირეჯ.). იქაურობა ერთ მთლიან მოფუთვით ფანტასტიურ ორგანიზმს... ჰგავდა (იქვე). სწორედ მაგას ინახავს ზოლმე ბოთლში ფანტასტიური ნოე საკაცობრიო კატაკლიზმების წინ (იქვე).

ტრაგიული:

ზოგ მწერალს არ ესმის, რომ ტრაგიულს, სწორედ ტრაგიულს უნდა ზოპირად და დღეად აღწერა (ჯ. გამს.). ასეთი ტრაგიული ფინალის მიუხედავად გოგბე ვეცლარში გატარებულ თვეებს... დედამ ტემბლად იხსენიებდა (იქვე). დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შენაშნადა, თუ როგორ ტრაგიულად განიცდის კონსტანტრე საყარსამიძე თავის აზნაურობას (იქვე).

ფონეტიური:

საქმე აქ ფონეტიურ სიზუსტეში როდია (ყ. გამს.). პინდოთა ფონეტიური ნიშნები ფინიკურ-ქანანურ ასონიშნებიდანაა ნასესხები (იქვე). ჩემს ცნობებებში მყოფ ენათა შორის არც ერთს ასეთი მარტივი, თანაც ფონეტიურად ასე ზუსტი აღფაბები არ მოეპოვება (იქვე). ან, ასეთ არეუ-დარევის ასაყდენად და ფონეტიურ ტრანსკრიფციის დაყვისთვის ეხმარებ ზემოხსენებულ [მ, ჭ] ასოებს (მ. ჭავახ.).

ფსიქიური:

[ილიას სისხლით მოსერილი ბალიში] კაკლის ქვეშ წყაროსთან დაედ, სადაც.— ფსიქიურად დატანჯულმა... ძლივს ჩავიძინე (მ. ჭავახ.). ასეთი ტერმინით აღიწინებდა ფსიქიური დაავადების ერთ-ერთი ფორმა (გ. წერეთ). ფსიქიურად სწორედ ასეთი შემეყიდრება გამზადებულ სოციალისტის მისაღებად („სახ. გან.“). ფსიქიურად იყო დაავადებული (ტელეგად.). ჭერ ჩავატარეთ ფსიქიური შემოწმება (რეპორტაჟი პარლამენტიდან).

მისტიური:

დაბალი ტონით დაიწყო და რაღაც უცნაური მისტიური რხევით თანდათანობით უმალღესზე გადავიდა (ლ. ქიაჩ.). მისი ხმა მისტიურ შიშს გამოხატავდა (იქვე). მისტიური რაღაც ამბავია (იქვე). მალა, დაბნეულ თაღებს ქვეშ საოცარ მისტიურ გარინდებს დაუსადგურებია (ყ. გამს.). მას არ აქვს ვანყენებული აზროვნება, მისტიური განზრა (ტ. ტაბ.). შეეცარიიდან ახლადდაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობა (იქვე). ამ „რწმენაში“ იგულისხმება... ის აგნოსტიციზმი, რაც დამახასიათებელი ნიშანია კანტის კრიტიციზმისა, რომელიც გზას უხშობს ყოველგვარ მისტიურ წვდომას სულიერ ზესფეროებში („სახ. გან.“). ძველი გერმანელები იხედებოდნენ ყოფის მისტიურ უფსკრულში („ლიტ. საქ.“). სიტყვა არ არის მარტო ბევრათა ერთიანობა. მასში განსაკუთრებული მისტიური ძალაა ჩადებული („საქ. რესპ.“). გამორჩეული სიამაყით გვესაუბრება [ჟამთაღმწერელი] მისტიური კვრებით, ნათელმხილველის ღვთაებრივი ნიჭით დაჭილღობულ ბასილ მონაზონზე (რ. ბარამ.). მისტიური საუკუნეები მიტკეროდნენ კედლებიდან დაღარული სახეებით (ნ. დუმბ.).

პათეტური // პათეთური:

ასე დონდლოდ, უსისხლოდ, ლირიულად აღწერს ავტორი თითქმის ყველა პათეტურ-დრამატულ ამბებს (მ. ჭავახ.). ჩემი ოდნავ პათეთური, აწეული ტონი პროზაულ თხრობისა, უცილოდ ვერ აიტანდა კომიურ ტონს (ყ. გამს.). ძლიერ პათეთური სიტყვით მიჰკვამრთე იტალიელებს (იქვე). თამადა ვრძელსა და პათეთური სიტყვას ამბობდა (იქვე). ორატორმა ხელი პათეტურად შემართა (ვ. ამირეჯ.).

რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ ი :

სტეფან გეორგეს რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ ი მისტიკა თალხით მოსილია და სასოწარ-კვეთილი (ჟ. გამს.). ვინ იცის, რამდენი ათასი შეყვარებული ევარება ამ რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ მთის კალთებსა და უბეებს (იქვე). ვის სჭირდება ამ საუკუნეში კაპულეტისა და მონტეკის რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ ი ამბვის ნაგვიანევი განმეორება (იქვე). ეს აზნაურები შთამომავალი არიან იმ გულზეიადი ღეოდალებისა, რომელთა რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ ი თავგადასავლით საესე იყო წინათ იმერეთი (ტ. ტაბ.).

ღ ი რ ი უ ლ ი :

სოფლის ორმა-სამმა ღ ი რ ი უ ლ მა სურათმა გამირბინა თვალწინ (ლ. ქიაჩ.). მგ ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვეფა გალაკტიონის უფაიზესხ ღ ი რ ი უ ლ შედეერებს ვერ დასწერდნენ (ჟ. გამს.). არც აკაის, არც ვაჟას ლირას გალაკტიონისღარი ღ ი რ ი უ ლ ი შედეერები არ მოუციათ (იქვე). ღ ი რ ი უ ლ ი ზანდგომის სიმებს დევხარბები (გ. ტაბ.). აუარა არც შიამიტი კაცი იყო და არც ღ ი რ ი უ ლ - ნერვიულად მგრძნობიარე (რ. მიშვ.). ღ ი რ ი უ ლ ი პოეზიის მოყვარული (რადიოგად.).

ე ს თ ე ტ ი უ რ ი :

შტობრიანმა რელოგია გამოაცხადა ე ს თ ე ტ ი უ რ ი ტუბობის საგნად (ჟ. გამს.). გერმანულ ნატურალიზმში, მაგ., გერპარტ ჰაუპტმანის „ფეიქრებში“ საოცრად გადაინასკეა ორი მომენტი: ე ს თ ე ტ ი უ რ ი და ეთიური (იქვე). ასომთაერულის შემოღება სპირითა არა მარტო ე ს თ ე ტ ი უ რ ი შნოიანობის თვალსაზრისით (იქვე). დანაწეერებაშ შემაიარადა ქვესტერეოტიპებით, რომელთა წყალობით ეახერხებდი ამა თუ იმ წრის ე ს თ ე ტ ი უ რ მოთხოვნილებათა დონის დადგენას (ჟ. ამირეჯ.).

ე ლ ა ს ტ ი უ რ ი :

ინგლისური ენა ერთი უღამაზესი ენათაგანია მთელს ქვეყანაზე და თავის ე ლ ა ს ტ ი უ რ ო ბ ი თ, მათემატიკური პრეციზობით მეტყველებაში ინგლისური უსწრებშ გერმანულსა და ფრანგულს (ჟ. გამს.). ძაბულის სხეულში არ იყო არც ხაზების გრაცია, არც ფორმების ე ლ ა ს ტ ი უ რ ი მოქნილობა (იქვე). თამარსავით გრძელი და ჭიშინი ფეხები ჰქონდა არაბიას, მსაავით ე ლ ა ს ტ ი უ რ ი სახსრები (იქვე). ცენტრალიზებულ გეგმიურ ეკონომიკაში მოქმედი ფასები ნაკლებ ე ლ ა ს ტ ი უ რ ი და ნაკლებ მგრძნობიარეა, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის პირობებში („სახ. გან.“). გვაკლია მოვლენათა სწრაფად შეფასების უნარი, პოლიტიკური ე ლ ა ს ტ ი უ რ ო ბ ა და სიმკერცხლე (-ლტ. საქ.“). ზოგი პოლიტიკოსი დღეს უციეინებს ჩვენს საზოგადოებას არასამარის ე ლ ა ს ტ ი უ რ ო ბ ა ს („საქ. რესპ.“).

⁷ ჟ. გამსახურდია კატეგორიულად მოითხოვდა ზედსართავეებში -იკ- სუფიქსის აღკვეთას, მაგრამ თვითონ ყოველთვის ვერ იცავდა საკუთარ მოთხოვნას და მის საწერებში მათ შორის ენის სიწმინდის შესახებ დაწერალ სტატიებშიც კი) ხმარობდა მას მერვე უარყოფილ (საწამდეილემი სწორ) ფორმებს: პოლიტიკურს, სპეციალურს, პრაქტიკულს, მექანიკურს, ტრაგიკულს, ეგზოტიკურს, ლირიკულს, მათემატიკურს, კლას(ს)იკურს...

სინთეტიკური:

ავტორს სინთეტიკური ჩვენების უნარი აკლია (ქ. გამს.). ქართული ენის სინთეტიკური ქმედობის პროცესი დიდი ხანია დაწყებულია (იქვე). ქართული ენის სინთეტიკური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი (იქვე). ეს სინთეტიკური მისწრაფება მუდამ გროტესკულ კარიკატურებად იქცეოდა ჩვენს ისტორიულ ეოფაში (იქვე). მხოლოდ კნუტ ჰამსუნი ასცდა ამ გადაგარების გზას და შექმნა სინთეტიკური რომანი (ტ. ტაბ.). სატელევიზიო გამოსვლა ტელევიზიის ხელოვნების ნაწილია და ამგვარად თავისი ბუნებით სინთეტიკურია („საქ. რესპ.“).

დამატებითი საილუსტრაციო მასალის მოყვანა, ალბათ, აღარცაა საჭირო, თუმცა სავსებით ანალოგიური ვითარება გვაქვს ანტიურის, პანიურის, ეგზოტიურის, მექანიურის, სკეპტიურის, არითმეტიკულის, გრამატიკულის, გოტიურის, დიდაქტიურის, კომიურისა და მისთ. ხმარებაში.

მოყვანილი მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა სავალალო მდგომარეობაშია. აბსოლუტურად „წმინდა ენა“ თეორიულადაც ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ საზოგადოება მუდამ უნდა ზრუნავდეს, რომ სალიტერატურო ენა იყოს მონოლითური და ყველა პატივისცემს ცემდეს ენის დადგენილ ნორმებს. ენის სიწმინდე, ენის კულტურა, შეიძლება ითქვას, უკუფენაა საზოგადოების საერთო კულტურული დონისა. რაც უფრო მაღალია საზოგადოების კულტურული განვითარების დონე, მით უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოება ენის კულტურას და, პირიქით, დაბალი კულტურული დონის საზოგადოება ენის სიწმინდის დაცვაზე ნაკლებად (ან სულაც არ) ზრუნავს.

ენაში ამჟამად დიდი სიჭრელეა. სწორი ფორმების გვერდით ბევრია უმართებულო ფორმებიც და მათ გარდა კიდევ ე. წ. ვარიანტული, პარალელური ფორმებიც, როგორცაა, მაგ., კალათი და კალათა, შინდი და შეინდი, შავგერემანი და შავგერემანი, პაიჭი და პაჭიჭი, ქვიტიკირი და ქვითკირი, პამიდორი და პომიდორი, თითქოს და თითქო, სადავო და სადაო (უდავო // უდაო), მტერობა და მტრობა, ეჭვი და იჭვი და მისთ^რ. ვარიანტული ფორმები ენის ლექსიკის სიმდიდრეს არ წარმოადგე-

* ამას უნდა დავუმატოთ ცნობილი ენათმეცნიერული ტერმინები: მხოლოობითი და მხოლოობითი, მიმართულებითი და ვითარებითი (ბრუნვა), ზმნისართი და ზმნისზედა, მწკრივი და ნაკეთი და სხვ.

ნენ. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორთოგრაფიული ლიბერალიზმის შედეგია. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ერთ-ერთი სელ-შემწყობი მიზეზი ენის ნორმების დარღვევისა ამ ვარიანტული ფორმების არსებობაცაა, ვინაიდან მათი ფაკულტატიური, ნე-ბისმიერი ხმარება შეიძლება გახდეს მიზეზი ენის ნორმების დაც-ვაზე პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებისა.

ენის ნორმების დაცვა პირველ რიგში მოითხოვს წერის ნორ-მების, ორთოგრაფიის ზუსტად დაცვას. წერის კულტურა იმიტო-მაა განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომ ყოველი ახალი თაობა წიგნის მეშვეობით ეუფლება სალიტერატურო ენას.

აკად. ვ. თოფურიას სალიტერატურო ენის ნორმების დამახინ-ჯების ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნდა „ჩვენი დაუდევარი, უყურად-ღებო მოპყრობა ლიტერატურული ენის ნორმათა დაცვისათვის. ოღონდ აზრი გადმოვცემ და ზოგს სულ ერთი ჰგონია, როგორ გადმოვცემთ მას — სწორად, მართებულად თუ არასწორად, უმართებულად“⁹.

როგორც უკვე ითქვა, ენის ნორმების დაცვა ყველას მოეთხო-ვება, ხოლო მწერალს — მეტი სიმკაცრით. სამწუხაროდ, ბევრი მწერალი არღვევს ენის ნორმებს და, რაც უფრო სავალალოა, ზოგი მათგანი — შეგნებულად. წერილში „ისევ ქართული მართლ-წერის გამო“ ცნობილი მწერალი კ. გამსახურდია წერდა: „კატე-გორიულად უნდა აღვეკეთოთ ფრანგული სუფიქსის „ალ“-ისა და „იკ“-ის ხმარება... ლირიკულის ნაცვლად უნდა დაიწეროს — ლირიული, ეპიკურის ნაცვლად ეპიური, სანტიმენტალურის ნაცვ-ლად სანტიმენტური, სიმბოლიურის ნაცვლად სიმბოლური, გო-ტიურის ნაცვლად გოტური“...¹⁰. ანალოგიური აზრი სხვა წერილ-შიც აქვს გამოთქმული: „სხვადასხვა დროს პოლემიკა გვქონდა ჩვენს ენათმეცნიერებთან ფრანგული სუფიქსების ქართულში მე-ქანიკურად გადმოტანის გამოც. ლირიდან უნდა იწარმოებოდეს ლირიული და არა ლირიკული; უნდა დაიწეროს გრამმატიული და არა გრამმატიკული, ლოგიური და არა ლოგიკური; გერმა-ნულ „გრამმატიშ“-ს შეესაბამება რუსული „გრამმატინესკიი“, „ლოგიშ“-ს — „ლოგიჩესკიი“. აგრეთვე უნდა წარმოითქვას და დაიწეროს: ესთეტიკა — ესთეტიური, კომმედია (sic!) — კომი-

⁹ ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ. 1965, გვ. 45.

¹⁰ კ. გამსახურდია, რჩ. თხზ., ტ. VIII, თბ., 1967, გვ. 257-58.

ური, ტექნიკა — ტექნიური, მექანიკა — მექანიური, ანტიკა — ანტიური, ეთიკა — ეთიური, რომანტიკა — რომანტიული, ტრაგედია — ტრაგიული, მასსა — მასსური, რასსა — რასსული, კლასსი — კლასსური და არა მასობრივი, რასობრივი, კლასობრივი და ა. შ.¹¹ (ხაზგასმა ციტატისეულია. აღ. კ.).

რა შეიძლება ითქვას კ. გამსახურდიას ამ კატეგორიულ მოთხოვნებზე? — ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ქართული სალიტერატურო ენის დადგენილ ნორმებს. -იკ- სუფიქსის აღკვეთასთან დაკავშირებული არგუმენტაცია ენათმეცნიერულად უსაფუძვლოა და ალოგიკური. გერმანულ grammatisch-სა და logisch-ს რომ შეესატყვისება რუსული грамматический და логический, ამას ქართულისათვის რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს? გერმანული რატომ უნდა ავიღოთ ნიმუშად, მას მივბაძოთ და მისი მოდელი გავხადოთ ჩვენი ენისათვის სავალდებულოდ? ყველა ენასათვისი საკუთარი სისტემა აქვს და ის, რაც ერთი ენისათვის ბუნებრივია, სხვა ენისათვის შეიძლება სრულიად მიუღებელი გამოდგეს.

შევეუდაროთ გერმანული თუნდაც ინგლისურს:

გერმანული

ინგლისური

logisch

logical

technisch

technical

dynamisch

dynamical

physisch

physical და ა შ.

როგორც ვხედავთ, ინგლისურში არსად -იკ- სუფიქსი არაა დაკარგული („აღკვეთილი“). საერთოდ კი „რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი?“ მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ისტორიის მქონე ქართულ სალიტერატურო ენას არაფერი სჭირს ისეთი, რომ სხვა ენის გრამატიკულ მოდელს დაესესხოს. იმავე გერმანულის მოდელს რომ გავყვეთ. ამერიკულის, აფრიკულის, მექსიკურის, შოტლანდიურის, ირლანდიურის ნაცვლად უნდა ვწეროთ: ამერიკანული, აფრიკანული, მექსიკანური; შოტიური, ირიული (გერმ. amerikanisch, afrikanisch, mexikanisch; schottisch, irisch).

-იკ- სუფიქსის შემცველი ნასესხები ზედსართავები: ლოგიკური, ფიზიკური, დინამიკური, ტექნიკური და მისთ. ისევე ბუნებრივია ქართულისათვის, როგორც ლატაკური, ეშმაკური, კუდაბზიკური და მისთ.

¹¹ კ. გამსახურდია, რჩ. თხზ., ტ. VI, თბ., 1963, გვ. 588.

-ალ- სუფიქსის შესახებ ვითარება სხვაგვარია. ნასესხებ ზედსართავებში არის ისეთები, რომლებშიც -ალ- სუფიქსი შეიძლება მართლაც არ ყოფილიყო (და აქ სწორია კ. გამსახურდიას მოსაზრება): დოკუმენტალური, მონუმენტალური, პროვინციალური, რეგიონალური და მისთ. მაგრამ მათ გვერდით გვაქვს ისეთებიც, რომლებიც უამსუფიქსოდ ძნელი წარმოსადგენია: აქტუალური, ვიზუალური, კაუზალური, კოლოსალური, მუსიკალური, კომუნალური, ნეიტრალური, ნომინალური, რიტუალური, უნივერსალური და მისთ.¹².

* * *

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ქართული სალიტერატურო ენის ამჟამინდელი მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. ენის ნორმების დარღვევები თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა და ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ენაში ქაოსი დაისადგურებს. რაც ენის დამღუპველია. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა რადიკალური ზომების მიღება. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ შეექმნათ სრული შეურიგებლობის ატმოსფერო ენის ნორმების დარღვევებისადმი. პირველ რიგში აუცილებელია წერის კულტურის ამაღლება. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ენის ნორმების დარღვევებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. ენობრივი შეცდომები ნაბეჭდ პროდუქციაში კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც დანაშაული ენის წინაშე, რაზედაც კონკრეტულმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. წესრიგი უნდა დამყარდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც (რადიო, ტელევიზია), რომლებშიც იშვიათი როდია ენის ნორმების დარღვევის შემთხვევები.

ჩვენი თაობის ვალია იზრუნოს ქართული სალიტერატურო ენის ხვალისდელი დღისათვის, ხოლო ხვალისდელი დღის ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლები დღევანდელ სკოლაში ეყრება. სალიტერატურო ენის დაუფლება, ჩვეულებრივ, სკოლაში ხდება. „სკოლა მოწოდებულია მოსწავლე ახალგაზრდობა დააუფლოს სალი-

¹² ცნობილია, რომ კ. გამსახურდია ქართული ენის სხვა საკითხებშიც ეღაპებოდა. განთქმენიერებს და არცთუ პროფესიულ დონეზე. ამაზე ყურადღების გამახვილება არცაა საჭირო. მაგრამ მის ნაწერებში მრავალი უმართებულო ფორმა გვხვდება. (როგორცაა: ს ჩ ა ნ ს, ს თ ქ ე ა, წ ი ნ ა დ, თ ა ე ა თ, ტ რ ა გ ი უ ლ ი, ს კ ე ე ო - ჟ ი უ რ ი და მისთ.). ამას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია (და მოიტანა კიდევაც); რადგანაც მის თხზულებებს მასობრივი მკითხველი ჰყავს, რაც უმართებულო ფორმების გავრცელებას უწყობს ხელს. უმართებულო ფორმათა აღმოფხვრას კი დიდი და ხანგრძლივი შრომა სჭირდება.

ტერატურო ენას¹³. სკოლაში ასწავლიან ენის გრამატიკასა და მშობლიურ ლიტერატურას.

სკოლა რომ წესიერად ასრულებდეს თავის მოვალეობას სალიტერატურო ენის დაუფლების საქმეში, აღარ გვექნებოდა ენაში ისეთი ლაფსუსები, რომელთა ნიმუშებიც ზემოთ იყო მოყვანილი. ქართული ენის გრამატიკა (სასკოლოც კი) არ არის იოლად შესასწავლი საგანი. მისი წესების მექანიკური დაზვიერება, რა თქმაუნდა, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. გრამატიკაში შესწავლილი წესების მოსწავლეთა მეხსიერებაში განმტკიცებას და საიმედოდ დამკვიდრებას ხელს უნდა უწყობდეს მშობლიური ლიტერატურის შესწავლა. ჩვენი მწერლების ენიდან შერჩეული ნიმუშების მოყვანამ თანდათანობით უნდა აზიაროს მოსწავლეები სალიტერატურო ენას. ამისათვის კი საჭირო და აუცილებელია, რომ ლიტერატურის სახელმძღვანელოში (ქრესტომათიაში) შეტანილი მასალა სანიმუშო იყოს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის თვალსაზრისით. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ გრამატიკის წესები მოითხოვდნენ ერთს, ხოლო ქრესტომათიის მასალა პრაქტიკულად უგულვებელყოფდეს ამ წესებს, ან პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს მათ. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში მოსწავლემ, ვის დაუჯეროს? აი, რამდენიმე მაგალითი:

„მშობლიურ ლიტერატურაში“ (VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1994) ასეთი ენობრივი შეცდომები გვხვდება:

ქარი ჰქრის (გვ. 34). ხმა არ დაჰკარგო (36). შემომხედა და სთქვა (34). მერმე რთგორა სთქვა? (36). ეინა სთქვა (79). ერთხელ სთქვა (131). ეს რომ სთქვა (154). სთლომონმა სთქვა (159). ნიბლიას მიბაძა (37). ძინავს ყველა მცენარეს (123). იმას უხარია (62). უხარია საციოდავს (63). ვაზს ეხეოდა, ჰკოცნიდა (68). საუფლო ღღეს არ გამოსტოვებდა (71). წარსულზე ოცნებითაც სცხოვრობდა (72). ჩვენი წილი სიმდიდრე... დახარჯეთ, არ გაუფრთხილით (73). ბევრჯერ კიდევაც ვადასწავიბა (75). დახედე ამ პატარა წყალს (75). მიმართავდა მეზობლებს (76). მტერი არ მოჰშლის მტრობასო (77). რათა ვართ ღარიბები (78).

ამას დავეუმატოთ კიდევ სათაურად გამოყოფილი და ყოვლად გაუმართლებელი „ლირიული ინტერმეცო“.

V კლასის „მშობლიურ ლიტერატურაში“ გვაქვს:

შურდულივით მოწყდებოდა ადვილს (გვ. 75). ბაღრია მეთუთუნე მოადგა ჰიმ-კარს და თოფი თხოვა ბაბუას (77). სპირტით მობანა კრილობა (79). ძალლი ადგა კოქლობით გამოუვა და ფეხებთან დაუწვა (79). აწია თავი ძალღმა (80). სოფელსოფელ არ იარო, ასე აუევი კალაშისპირს (80). წამოვაციხე და გარშემო ბალიშები შემოვუწეე (82).

¹³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 117.

მშობლიური ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. მასში შეტანილი მასალა, ვიმეორებთ, ენის სიწმინდის თვალსაზრისით სანიმუშო უნდა იყოს. ფაქტია, რომ XIX ს-ის ჩვენი კლასიკოსების (ილიას, აკაკის, ვაჟას, ი. გოგებაშვილის...) ენა თანამედროვე ორთოგრაფიის მიხედვით ბევრ შემთხვევაში სანიმუშოდ ვერ გამოდგება. ვერ გამოდგება იმიტომ, რომ იმ დროს ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბების პროცესში იყო და მკვიდრდებოდა ცოცხალი ხალხური მეტყველების ინტენსიური მონაწილეობით, თანაც, ენის ნორმები სულაც არ არსებობდა. ჩვენი თანამედროვე ენის ნორმების მიხედვით კლასიკოსების ენის შეფასება უაზრობა და უსამართლობა იქნებოდა. არადა, კლასიკოსების ენის ნიმუშები საჭიროა ქრესტომათიაში. როგორღა მოვიქცეთ? ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დავუჯეროთ მწერალ-აკადემიკოს კ. გამსახურდიას. აი, რას წერს იგი: „ფრანგებს ხომ ვერავენ დასწამებს საკუთარი მწერლობისადმი გულგრილობას. როცა ისინი საყმაწვილო და პოპულარული სერიების სახით სცემენ თავიანთ უდიდეს კლასიკოსებსაც, მათი მართლწერის უნიფიკაციას ახდენენ ხოლმე. ყოვლად დაუშვებელია ქრესტომათიაში შეუსწორებლად მოთავსება ჩვენი ლიტერატურის უახლესი წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, რადგან ნორჩი თაობის ფაქიზ მხესიერებაში ყოველი ზადიც ისევე აღიბეჭდება, როგორც ხელზე საგომამანებელი სამკაულები მხატვრული სიტყვისა“¹⁴.

„არც ერთი მწერლის ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა დაიბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთვნილ ქრესტომათიაში“¹⁵.

ეს აზრი სავსებით მისაღები და გასაზიარებელია. ჩვენი დიდი პედაგოგი და სასკოლო სახელმძღვანელოების შემდგენელი, უკვდავი „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი სწორედ ასე იქცეოდა და საჭირო შემთხვევაში ახდენდა ტექსტის ადაპტაციას, ცვლიდა დიალექტურ და მოსწავლეთათვის ძნელად გასაგებ სიტყვებს, რომ ტექსტი მარტივი და ადვილად ასათვისებელი გაეხადა. სამწუხაროდ, დღევანდელი ჩვენი სახელმძღვანელოები არ მიჰყვებიან ი. გოგებაშვილის კვალს. იმავე VI კლასის „მშობლიურ ლიტერატურაში“ გვხვდება გიორგი ლეონიძის მშვენიერი მოთხრობა „ჩირიკი და ჩიკოტელა“. სულ 15 გვერდია, სქოლიოებში კი 53 სიტყვა და გამო-

¹⁴ კ. გამსახურდია, რჩული თხზულებანი (რეკომენდი), ტ. VIII, გვ. 255.

¹⁵ იქვე, გვ. 252.

თქმა არის ჩამოტანილი — ძირითადად დიალექტური. VI კლასის მოსწავლეთა ქრესტომათიაში არ მიგვაჩნია გამართლებულად ისეთი სიტყვების შეტანა, როგორცაა: გაყინწული, თარფეული, კაპწალები, შეყელთებული, ჩანაბასრი, ჭირდებული და მისთ.

სწორი ლიტერატურული ენის დასაწერგავად საჭიროა გულდასმით შეირჩეს ტექსტები ქრესტომათიისათვის. ყველა საჭირო შემთხვევაში გაბედულად უნდა მოვასწინოთ მათი ადაპტაცია.

* * *

დასასრულ, ორიოდ სიტყვა თანამედროვე ენის ნორმების შესახებ.

1. ზემოთ საუბარი გვექონდა ენაში არსებულ ვარიანტულ, პარალელურ ფორმებზე (კალათი // კალათა...). სასურველია, რომ ამ ვარიანტული ფორმიებიდან ერთ-ერთს მიეცეს უპირატესობა, მოცილე ფორმა კი ჩაითვალოს ნორმის დარღვევად (ან დარჩეს დროებით სასმარად). ყოველ შემთხვევაში სასურველია მოცილე ფორმათა მაქსიმალურად შემცირება.

2. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ რეკომენდებულია როგორც თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმები:

შეეცილებივარ	და	შევეცილებივარ
მივჩერებივარ	და	მივეჩერებივარ
ვკითხე	და	ვკვითხე
მოვწონვარ	და	მოვეწონვარ
ვძულვარ	და	ვეძულვარ
ვგავარ	და	ვეგავარ და მისთ.

აღბათ, დადგა დრო, რომ უპირატესობა მიეცეს პირველ ვარიანტს, ხოლო მეორე უკუვადგოს.

3. მოსაგვარებელია -ია დაბოლოების მქონე სახელებზე -იან სუფიქსის დართვის შემთხვევაში მართლწერის საკითხი. რა ვწეროთ: არშიიანი თუ არშიანი, ემულსიიანი თუ ემულსიანი, სექციიანი თუ სექციანი, სერიიანი თუ სერიანი, ფლექსიიანი თუ ფლექსიანი?.. ჩვენი აზრით, მორფოლოგიური თვალსაზრისით გამართლება არშიიანის ტიპს უნდა ჰქონდეს (თუმცა არშიანს ზოგი გამოჩენილი ენათმეცნიერი უჭერს მხარს).

სონორი თანხმომავისა და ხმომავის უმართებულ
ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში

დღევანდელ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ჩანს, ყოველთვის ვერ ხერხდება სათანადო კონტროლის გაწევა ტექსტის ენობრივი მხარისათვის. ამის შედეგია არნახული მომრავლება ყველა სახის ენობრივი შეცდომისა თუ სტილისტიკური გაუმართაობისა. აღარაფერს ვამბობთ სრულ განუკითხაობაზე კორექტურულ შეცდომებთან დაკავშირებით.

ორთოგრაფიულ შეცდომათა ერთ-ერთი მთავარი წყაროა ნასესხობანი, განსაკუთრებით — ინტერნაციონალიზმები, ანუ საერთაშორისო სიტყვები. ამ შეცდომათაგან ზოგი კანონზომიერ ხასიათს ატარებს. აქ შეუწერდებით ერთ კანონზომიერ შეცდომაზე ინტერნაციონალიზმების ხმარებისას. ეს შეცდომა სონორების, განსაკუთრებით კი ნ ასო-ბგერის ხმარებასთან არის დაკავშირებული.

1. შეინიშნება სამი შემთხვევა, როცა: ა) ნ აკლია; ბ) ნ ზედმეტია ან გ) ნ-ს მ ენაცვლება. განვიხილოთ თითოეული შემთხვევა.

ა) ნ აკლია, უმეტესწილად, ნარიანი აფიქსების შემცველ სიტყვებში, კერძოდ, იმ სიტყვებში, რომელთაც ძირში აქვთ ნ ბგერა, ხოლო ფუძე ეწყებათ კონ-, ინ- პრეფიქსებზე ან უთავდებათ -ენტ/-ანტ ან -ენცია/-ანცია კომპლექსებზე, მაშასადამე, იქ, სადაც სიტყვაში ორი ან მეტი ნ უნდა დაიწეროს. ზოგჯერ ორივე აფიქსი ერთდროულად გვხვდება, რაც ზრდის შეცდომის ალბათობას. ნ-ს დაკლების ტიპობრივი შემთხვევებია შემდეგ სიტყვებში: კონტი(ნ)გენტი, რესპო(ნ)დენტი, კორესპო(ნ)დენტი, კორესპო(ნ)დენცია, ინსტი(ნ)ქტი, კომენდა(ნ)ტი, ან კომე(ნ)დანტი; პრეტე(ნ)დენტი, სეკუ(ნ)დანტი, კონსე(ნ)სუსი, კონიუ(ნ)ქტივი; კონიუ(ნ)ქტურა, კონცე(ნ)ტრატი, კონცე(ნ)ტრაცია, ი(ნ)სტანცია; კონდე(ნ)საცია, კონდე(ნ)სატორი... მაგალითად:

უკვე არსებული კონტიგენტი მაინც დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას ექიმებზეო („დრონი“, 18/IV, 1992, გვ. 7). რუსეთის წარების კონტიგენტი; რუსული კონტიგენტი („ქართ. ფილმი“, 1993, 19/VIII, გვ. 1), დასავლეთის კორესპოდენტებისათვის გადაცემულ... განცხადებებში... ექსტრემალურ ბრალდებებს აყენებს... („მამ.“, № 1 (60), აპრილი, 1992, გვ. 3). ...ინტერვიუს ავტორია არა რესპოდენტი, არამედ კორესპოდენტი. („7 დღე“, 1992, სექტ., გვ. 1). ინტერვიუ ურესპოდენტოდ („ვ. ჯვ.“, 1992, № 1, 25. XII, გვ. 2). გაფორმდა ინსტიტუტი ხელშეკრულებით ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის („საქ. რგსბ.“, 26/III — 92, გვ. 2). ლეგი იბრძვის ძალაუფლებისათვის ინსტიტუტი, დაუოკებელი გააფორმებო („მამ.“, № 1, 1992, გვ. 3).

ბ) ნ შედმეგია. შემოადნიშნული ტენდენციის საპირისპიროდ, არის შემთხვევები (შედარებით მცირე), როდესაც ნ-ს ხმარობენ იქ, სადაც იგი არ არის საჭირო, და, ამრიგად, სიტყვაში ვიღებთ ორ ნ-ს. ამის ნიმუშებია: კომპენტენცია, კომპენტენტური, კონსტანტაცია, პრეტენდენტი (ალბათ, მართებული პრეტენდენტის ანალოგიით), ინცინდენტი, ინვენსტიცია, სტიპენდიანტი (ალბათ, კომედიანტის, სეკუნდანტისა და მისთ. ანალოგიით. საერთოდ, სტიპენდიანტი ლაურეატთან ერთად გამონაკლისს წარმოადგენს - უნტი / -ანტი-ზე დამთავრებულ სიტყვებს შორის). მაგალითად:

ეს იყო ჩვენს პრესაში პრეზიდენტის, ასე ვთქვათ, „ხელდადებით“ (!) კრიტიკის ერთ-ერთი პირველი პრეტენდენტი („საქართ.“ 25/IV, 1992, გვ. 4). მოდეს ინვესტიციები, მაგრამ მხოლოდ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში („დრონი“, 15/II, 1992, გვ. 4). უპრეტენდენტოა ის ორგანიზაცია... („ქართ. ფილმი“, 1993, 19. VIII, გვ. 4).

ცხადია, უნდა ვწეროთ: პრეტენდენტი, ინციდენტი, კონსტანტაცია, კომპეტენცია, კომპრომეტაცია, ინვესტიცია...

გ) ნ-ს ენაცვლება მ. ნ ბგერის არასწორი ხმარების მესამე შემთხვევა გულისხმობს ნ-ს უმართებულო შენაცვლებას მ ბგერით. ეს შეცდომაც კანონზომიერია, რადგან იგი ნებისმიერ შემთხვევაში კი არ გვხვდება, არამედ მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში: ფ ბგერის წინ, სადაც წყვილბაგისმიერი ფ ნაწილობრივ იმსგავსებს წინამაჟალ ნ-ს და მას მ-დ აქცევს. ამიტომ არასწორია: იმფანტილიზმი, კომფორმიზმი, კომფლიქტი, კომფრონტაცია, კომფედერაცია, იმფარქტი, იმფლაცია, იმფილტრატი და სხვ. მაგალითად:

ე. წ. ეთნოკომფლიქტები დღეს-ხვალ კავასიის ომად გადაიქცევა („მამ.“, № 4, 1992, გვ. 5).

აღნიშნული ნ > მ შენაცვლება, ისევე როგორც შემოადნიშნულ შემთხვევებში, ზეპირი მეტყველების გავლენით, კერძოდ, ძნელი წარმოთქმის გაადვილებისადმი ბუნებრივი მიდრეკილებით აიხსნე-

ბა. ამ პროცესს ხელს უნდა უწყობდეს პ, ფ, ბგერების წინ მ ბგერის მართებული ხმარების შემთხვევები: კომფორტი, კომფორტული, პრეზუმფცია, კომფრაქცია და სხვ.

მაშასადამე, ზემოთ ჩამოთვლილი არასწორი ფორმების ნაცვლად უნდა იხმარებოდეს: კონფლიქტი, კონფორმიზმი, კონფრონტაცია, ინფანტილიზმი, კონფედერაცია, ინფარქტი, ინფლაცია, ინფილტრატი...

* * *

სონორთა უმართებულო ხმარების კერძო შემთხვევებზე თუ ვილარაკებთ, არცთუ იშვიათად ვისმენთ მცდარ ფორმას — ტრამვა (შესაბამისად, ტრამვული, ტრამვატოლოგიური...). ეს ბგერათა გადასმის ნიმუშია და, სამწუხაროდ, თითქმის ისე იხმარება, როგორც წესი. ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ მეტათეზისი გამოწვეულია ხატვა, ხტუნვა, მარხვა, მალვა და მისთანათა ანალოგიით, საწყისის ჩამოთვლილ ფორმებში -ვ- თემის ნიშნისეულია. (საწყისის მაწარმოებელი ა-ს დართვით დაკარგულია. ვ-ს წინამავალი ა), ხოლო სიტყვაში ტრავმა ვ ფუძისეულია. მეორე მხრივ, აღნიშნულ შეცდომას ხელს უნდა უწყობდეს სიტყვა ტრამვის არსებობაც.

2. შეინიშნება ხმოვანთა არასწორად გამოთქმის შემთხვევებიც. სამწუხაროდ, ხშირად გვესმის ინტილიგენტი მართებული ინტილიგენტის ნაცვლად. ცხადია, აქ ი ბგერის გავლენით ხდება ე-ს ასიმილაცია. ზოგჯერ შეკუმშული ფორმითაც ხმარობენ ამ სიტყვას: ინტ(ი)ლიგენტი. ეს ლექსიკური ერთეული ნაწარმოებია სიტყვიდან ინტელექტი და, რასაკვირველია, უნდა ვწეროთ და გამოვთქვათ ინტილიგენტი.

ასეთივე მცდარი ე/ი მონაცვლეობაა სიტყვებში: ბიულეტენი, სტუპენდია. აქაც მომდევნო ხმოვნების გავლენით მივიღეთ ასიმილირებული ბგერები. უნდა იხმარებოდეს ბიულეტენი და სტიპენდია.

აქვე შეგვიძლია დავასახელოთ არასწორად ხმარებული აკომპანიმენტი, როგორც ჩანს, მართებული კომპანიის ანალოგიით (ორივე სიტყვის ძირეული მნიშვნელობა ხომ „თანხლება“, „შეწყობაა“). საჭიროა გვახსოვდეს, რომ გვაქვს აკომპანიმენტი.

ზემოაღნიშნული შემთხვევების საწინააღმდეგოდ, მოგვეძებნება ხმოვნის დისიმილაციით მიღებული არასწორი ფორმაც — აბსოლუტიური ნაცვლად აბსოლუტურისა, — ორი ერთნაირი ბგერიდან ერთი გადასხვაფერდა, რალა თქმა უნდა, შედარებით ადვილად წარმოთქმის მიზნით.

ამრიგად, საჭიროა ფხიზელი თვალი და ყურადღება იმისათვის, რომ მცდარი ფორმები სალიტერატურო ენაში არ დამკვიდრდეს.

მუხალა შანიძე

ი-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში

ი-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში, როგორც ენობილია, ცალკე ჯგუფად გამოყოფილი არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი სახელები საკუთრივ ქართული წარმოშობისა არაა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც სხვა ენადან შემოდის სიტყვა, რომელშიც ი ფუძის ბოლო ხმოვანს წარმოადგენს, ქართულში ეს ხმოვანი, გასაგები მიზეზის გამო, სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული. მაგალითებია: ბერძნული — მონასტერი, ოლარი, პარასკევი... არაბული — ყადი, მუშტარი... სპარსული — აბაზი, ზანგი... თურქული — ელჩი, გემი, ყუთი. იმ სიტყვების ნიმუშად, რომელთაც ფუძისეული ი შენარჩუნებული აქვთ, დასახელებულია: ჩაი, პაი, ტრამვაი¹. ამასთან, აღნუსხულია ფუძეუკვეცელთაგან მათი განსხვავებული, ფუძეუკვეცადებთან კი დამსგავსებული ფორმები (ნათ. და მოქმ.) ბრუნვებში².

მრავლადაა ქართულში ი-ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელებიც, რომლებშიც აგრეთვე ჩანს ტენდენცია ფუძისეული ი-ს მოკვეცისა. ამგვარი სახელების საგანგებოდ განხილვისას გაირკვა, რომ საკუთარ სახელებში ფუძისეული ი-ს დაკარგვა (ანტონ, ბასილ, გრიგოლ, მაკარ და სხვ.) ან გაჩენა (გივი, ვისი) გარკვეული ფონეტიკური თუ სტრუქტურული კანონზომიერებით არის შეპირობებული³.

ი-ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს გაკვრით რამდენჯერმე იხსენიებს ჰოვარდ არონსონი. ერთ-ერთ სტატილაში იგი აღნიშნავს,

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 66--67.

2 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქეგლ, ტ. I, 1950,

გვ. 039.

3 ა. შ. შანიძე, ი-ხმოვანფუძიან ანიროპონიმთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართულში, კრებული: თბილისის უნივერსიტეტი გორაკი ახელედანს, თბ., 1969, გვ. 131.

რომ ქართული სახელობითის ფორმა არ იძლევა საშუალებას გავარკვიოთ, ფუძისეულია თუ ბრუნვისეული სიტყვის ბოლოკიდური ი, გარდა ისეთი სიტყვებისა, სადაც ი-ს წინამავალი ბგერა ხმოვანია და შესაბამისად ი არ შეიძლება ბრუნვის ნიშანი იყოს (მსგეობა ახალ ქართულს ეხება): ჟოკვი, ჩაი, ტრამვაი. იმ შემთხვევაში კი, სადაც სიტყვის ბოლო ი-ს წინ თანხმოვანი მიუძღვის, ი-ს რაობა სახელობით ბრუნვაში არ ჩანს. შესადაარებლად მას დასახელებული აქვს, ერთი მხრივ, ტაქსი, ჩილი (გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც ამჟამად ჩილე ფორმითაც გვხვდება), ჟიური, იანკი, ვისკი, დენდი, ჟალუზი, მეორე მხრივ კი — ლექსი, ხილი და სხვ.⁴ იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ი-ხმოვან-ფუძიანი სახელები (ჩაი, ტრამვაი, ტაქსი) მცირერიცხოვან ნასესხობებს წარმოადგენს⁵.

უცხო წარმოშობის საზოგადო სახელები, რომლებიც ისტორიულად ი-ხმოვანფუძიანია, საკმაოდ მრავლად გვხვდება საშუალ ქართულში. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ფუძეებში ბოლოკიდური ი, სახ. ბრუნვის ნიშნად გაგებული, სხვა ბრუნვებში იკვეცება (ამგვარად რეულ ნასესხობათაგან ზოგიერთი თანამედროვე ქართულშიც არის შემონახული, — როგორც სამწერლობო ენაში, ისე დიალექტებში). მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: სოხასტერი, კრასოული, პიტაკი, პრეტორი⁶, კაწინი⁷ (ბერძნულიდან შემოსული). განსაკუთრებით ბევრია ასეთი სიტყვები ნასესხები აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) ენებიდან. მრავალი მათგანი დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონშია შეტანილი⁸. ასეთებია: ვალი (პროვინციის მმართველი), ქეთლი (წყლის ასადულებელი ჭურჭელი; ეს სიტყვა დღეს დადასტურებულია ქართლურში, ქიზიყურში, თუმურში...⁹), თუფუხნი (თურქ. თულუხით წყლის მზიდველი), ქეშიკი (მეკარე, კარის მცველი) და სხვ.

⁴ Howard J. Aronson, *Formal Correlates to Function in the Georgian Declension*, Bedi Karllisa, v. 35, Paris, 1977, გვ. 255.

⁵ Howard J. Aronson, *Georgian, A Reading Grammar*, Slavica, Columbus, Ohio, 1982, გვ. 121.

⁶ ა. შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*, თბ., 1971, იხ. ლექსიკონი.

⁷ იხ. შანიძე, *კაწინ სიტყვა გრიგოლ ბაქურიანის-ძის ტიპიკონში, კრებულში: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*, თბ., 1976, გვ. 140.

⁸ *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, ხელახლად შემუშავებული დავით ჩუბინაშვილისაგან, სააკტ-პეტერბურგი, 1887.

⁹ ალ. ლლოტი, *ქართულ სიტყვა-თქმათა სიტყვის კონა*, თბ., 1984.

ბოლო ხანებში ქართულში შეიმჩნევა დიდი რაოდენობის ახალი ნასესხობანი, რომლებიც ძირითადად რუსულის მეშვეობით არის შემოსული, თუმცა წარმოშობით სულ სხვადასხვა ენებიდან მოდის. მათი ერთი ნაწილი დღეს საკმაოდ ხშირად იხმარება: ბრენდი, ვისკი, კოვბოი, პენალტი, რალი, რეგბი (ან რაგბი), ჟიური, სპაგეტი, ტატამი, ტორი (პოლიტიკური პარტიის წევრი ინგლისში), პობი, პოკეი და სხვ.; მრავალი კი (შედარებით იშვიათად ხმარებული) დადასტურებულია ლექსიკონებში¹⁰.

ამიტომ ი-ხმოვანფუძიანი სახელების განხილვა მნიშვნელოვანია, როგორც ენის ისტორიის თვალსაზრისით, ისე მათი გრამატიკული ფორმისა და ხმარების ნორმათა განსასაზღვრავად თანამედროვე ხმარებაში. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს განსახილველ სიტყვათა წარმომავლობის კვლევა; ლექსიკონებში ხშირად მითითებულია პირველწყარო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მითითებები უმეტესად სრული არ არის; ამიტომ ზუსტ წარმოდგენას ამა თუ იმ სიტყვის თავდაპირველი ფორმისა თუ მნიშვნელობის შესახებ არ იძლევა¹¹. სიტყვის წარმომავლობისა თუ მისი თავდაპირველი ფორმის გარკვევას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს ქართულში მისი სწორად ხმარების დასადგენადაც. მაგალითად, რომელია სწორი: პარაკირი თუ სარაკირი (იაპონური), ატორნეი თუ ეთერნი (ინგლისური) და სხვ. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხისათვის ამ გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ი ფუძისეულად რჩება ამ განსხვავებულ ფორმებშიც.

ქვემოთ განხილულია ი-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები, რომლებიც სემანტიკურად საკმაოდ მრავალფეროვან ჯგუფებს ქმნის¹². მათ შორის შეიძლება დავასახელოთ:

¹⁰ იხ. ქეგლის რეატომეული, 1950—1964, აგრეთვე მ. ჰაბაშვილის შედგენილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989, საიდანაც ამოღებულია ჩვენ მიერ დამოწმებული მასალის ერთი ნაწილი.

¹¹ მაგ., კოლიბრი უსლ-ში განმარტებულია როგორც ესპანურიდან მომდინარე სიტყვა (colibri). ისტორიულად კი ეს სიტყვა ესპანურში შესულია ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის ერთ-ერთი ენიდან: ეს სახელი ჰქვია პატარა ფრინველს, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ბინადრობს.

¹² არ ვგულისხმობთ შორასდებულებს (მოიი, ვაიი), მიმართვის ფორმებს (დედი ბიძი), ცხოველთა მოსახმობს (ბული-ბული დოი-დოი ტუხი-ტუხი და სხვა).

ადამიანთა აღმნიშვნელი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (პროფესია, სოციალური მდგომარეობა, წარმომავლობა და სხვ.): ატორნეი (ინგლ. attorney — იურისტი, ვეკილი), აშქენაზი (ევროპელი ებრაელი), ბობი (ინგლ. bobby, საკუთარი სახელიდან — პოლიციელი), ბოი (ინგლ. boy „ბიჭი“, მსახური), დენდი (ინგლ. dandy — კაცი, რომელიც კარგად იცვამს), იანკი (ინგლ. yankee — ამერიკელი), კოვბოი (ინგლ. cowboy), კოკნი (cockney ლონდონის ისტ.-ენდის მკვიდრი — მდაბიო), (ლაცარონი იტალ. lazzaroni მრავლ. ფორმით — მაწანწალა, უსახლკარო), ლედი (ინგლ. lady), მაკი (ფრანგ. maquis — პარტიზანთა სახელი მეორე მსოფლიო ომში), მაფიოზი (იტალ., მრავლ. ფორმით — მაფიის წევრი), მუფთი (არაბ. mufti (მაჰმადიანი სასულიერო პირი), მილედი (ინგლ. milady), ნუნცი (ლათინურიდან, რომის პაპის წარმომადგენელი), პანი (პოლონ. ქალბატონი), პატრიცი (патриций, ლათინ. patricius), პიგმეი (ინგლ. pigmy, ფრანგ. pigmée, ბერძნულიდან — ერთ-ერთი აფრიკული ტომის წარმომადგენელი), პლუბეი (плебей, ლათინ. plebeius), ჟიური (ინგლ. jury), რანი (ინგლ. ranee, ინდური წარმომავლობისა), სამურაი (იაპონური), სიპაი ან სიფაპი (ინდოელი ჯარისკაცი), ტორი (ინგლ. tory, კონსერვატორთა პარტიის წევრი), ტრავესტი (ფრანგ. travesti „ტანისამოსგამოცვლილი“ — მამაკაცის როლის შემსრულებელი ქალი), ფინაჩი (სპარს.-თურქული — ხარაზი, მეჯღანე; ამავე წარმოებისაა მრავალი სიტყვა, რომელშიც თურქული მაწარმოებელი -ჩი ან -ჯი გამოიყოფა: თულუჩჩი, თოჩინი, თოფჩი, ქეშეჩჩი და სხვ.), ყული (coolie, ინდურ-ინგლ.), ამბალი, შავი მუშა), ჩიჩისბეი (იტალ. cicisbeo, ძველად — გათხოვილი ქალის მუდმივი თანამგზავრი, დღეს — მეგზური), სორუნჯი (პოლონ.-რუსული хорунжий ოფიცრის ჩინი), ჯენტრი (ინგლ. gentry ღარიბ მემამულეთა ფენა), ჰაჯი (არაბ. მექაში სალოცავად ნამყოფი კაცის ტიტული) და სხვ.

ცხოველებისა და ფრინველთა სახელები: აგუტი (მღორნელი ცხოველი სამხრეთ ამერიკაში), გრიზლი (ინგლ. grizzly ამერიკული დათვი), კივი (ფრინველია ავსტრალიაში), კოლი (ინგლ. collie შოტლანდიური ნაგაზი), კოლიბრი (ფრინველი), ლორი (ლემური სამხრეთ აზიიდან; თუთიყუშის ჯიში), მეპარი (არაბ. აქლემის ჯიში), ოკაპი (ჩლიქოსანი ცხოველი აფრიკაში), პონი (ინგლ. pony პატარა ცხენი), პული (უნგრ. puli ცხვრის ძაღლი), პუმი (უნგრ. pumi ძაღლის ჯიშია) და სხვ.

სპორტთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: ბატერფლაი (ინგლ. butterfly; ცურვის სახეობაა), ბობსლეი (ინგლ. bobsleigh სპორტული ციგა; ამ ციგით სრიალი), პენალტი (ინგლ. penalty დანაშაულის საზღაური), ჟოკეი (ინგლ. jockey), რალი (ინგლ. rally შეჯიბრება ავტობოლაში), რეგბი ან რაგბი (ინგლ. rugby ფეხბურთის სახეობა), რეფერი (ინგლ. referee მსაჯი), ტიფოზი (იტალ. tifosi „ტიფიანები“ — ფეხბურთის გულშემატკივრები), ტროფეი (ფრანგ. trophée, ინგლ. trophy — ნადავლი) და სხვ.

ნივთების სახელები: ბაგი (ინგლ. buggy — პატარა ეტლი; სპორტული ავტომობილი), ბიკინი (ინგლ. bikini), გეოგრაფ. სახელიდან — საბანაო ტანსაცმელი), ბუი (ინგლ. buoy, ჰოლანდ. boei სასიგნალო ტიფტია წყალზე), დინგი (ბენგალურ-ინგლ. dinghy პატარა ნაეი), დისპლეი (ინგლ. display გამოჩინება — კომპიუტერის ეკრანი), ვერკბლაი (გერმ. Werkblei — ქიმიური შენაერთი), კეპი (ფრანგ. képi ქუდის სახეობა), ობი (იაპონური კიმონოს სარტყელი), ორგანდი (ფრანგ. organdie ქსოვილის სახელია), ჟალუზი (ფრანგ. jalousie მზის საჩრდილობელი დარაბა), საბვეი (ინგლ. subway მეტროპოლიტენის სახელია), სარი (ინდურ-ინგლ. sari — ქალის ტანსაცმელი), სეძი (ქალაქის ტიხარი იაპონურ სახლებში), ტატამი (იაპონური საჭიდაო ხალიჩა), ტიპი (ინგლ. teepee ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ენიდან — ვიგვამი, კონუსისებრი კარავი), ტროლეი (ინგლ. trolley გორგოლაჭებიანი ტარი, შდრ.: ტროლეიბუსი), ფაი (ფრანგ. faille ქსოვილის სახელია), შასი (ფრანგ. chassis თვითმფრინავის ბორბლები), ჰობოი (გერმ. Oboe, Hoboe ძვ. ფრანგულიდან — მუსიკალური ინსტრუმენტი) და სხვ.

სასმელ-საჭმელთან დაკავშირებული სიტყვები: ასორტი (ფრანგ. assorti სხვადასხვა ნაზავის სახელად), ბრენდი (ინგლ. brandy), დაიკირი (ინგლ. daiquiri კოქტეილია; შერქმეულია გეოგრაფიული პუნქტის მიხედვით), ვისკი (ინგლ. whisky), ვიში (ფრანგ. vichy მინერალური წყალი; ადგილის სახელიდან), მარტინი (კოქტეილი; ფირმის მფლობელის გვარია), სალამი (იტალიურიდან; salami ძეხვის სახეობა), სპაგეტი (იტალ. spaghetti მრავლ. წვრილი თოკი — მაკარონის სახეობაა), ტოკაი (უნგრ. გეოგრაფიული სახელიდან — ღვინის სახელია), ფრი (ფრანგ. fri — შემწვარი), შაბლი (ფრანგული ღვინო, სახელი

მოდის ადგილის სახელწოდებიდან — Chablis), პასი (საჭმლის ასაღები ჩხირები იაპონიაში) და სხვ.

ფულის ერთეულთა სახელები: ავლანი (ავლანეთში), აშრაფი (ძველებური ოქროს მონეტა სპარსეთში), ზლოტი (პოლონეთში), ლეი (რუმინეთში), პენი (ინგლ. penny), სედი (განაში, აფრიკაში) და სხვ.

პოლიტიკური და იურიდიული ტერმინები: ალიბი (ინგლ. alibi ლათინურიდან), ლობი (ინგლ. lobby პოლიტიკოსებზე გავლენის მქონე წრე), პაბლისიტი (ინგლ. publicity სააშკარაოდ გამოტანა) და სხვ.

სხვა მაგალითებია: აპრიორი (ლათინ. a priori იმთავითვე, წინასწარ), კაბუკი (იაპონური თეატრი), კიური (რადიოაქტივობის ერთეული; ტერმინი შექმნილია გვარის მიხედვით), პაპატაჩი (იტალ. pappataci ავადმყოფობაა), საბანტუი (თათართა და ბაშკირთა დღესასწაული), სირტაკი (ბერძნული ცეკვა), სიტი (ლონდონის უბანი, გადატანით — ბიზნესის ცენტრი), შიმი (ინგლ. shimmy, 20-იან წლებში გავრცელებული ცეკვა), ცუნამი (მაღალი ტალღა წყნარ ოკეანეში), პარაკირი ან სარაკირი (თვითმკვლელობა გარკვეული წესით იაპონიაში) და სხვ.

ჩამონათვალიდან ჩანს, რომ ი-ხმოვანფუძიან საზოგადო სასკულთა რაოდენობა ქართულში დღეს საკმაოდ დიდია. მართალია, ბევრი მათგანი ხშირი სმარების სიტყვა არ არის (ზოგიერთი კი სპეციალური ტერმინია), მაგრამ მათი განხილვა ლინგვისტური და ბრაქტიკული თვალსაზრისითაც არ არის მნიშვნელობას მოკლებული.

ზემოჩამოთვლილ სიტყვათაგან ზოგი გვიან არის შემოსული. მაგალითად, ქეგლ-ში არ არის სიტყვები: ბოი, ბრენდი, კოვბოი, რალი, რანი, ტატამი, ცუნამი, პობი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ წყაროების მიხედვით, რომელთა მასალები გამოყენებულია ამ ლექსიკონში, ეს არც იყო მოსალოდნელი. ახლად ნასესხები სიტყვების უმეტესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულში რუსული ენის მეშვეობით არის შემოსული. რუსულის გავლენა ზოგჯერ ჩანს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში; ქეგლ-ის რვატომეულში ძირითად ერთეულებად ნაჩვენები იუბილეს, ლიცეუმისა და მავზოლეუმის გვერდით გვხვდება — მათზე მითითებით — იუბილეი (შდრ. юбилей), ლიცეი (შდრ. лицей) და მავზოლეი (შდრ. мавзолей). მოგვიანებით გამოცემულ ერთტომეულსა და უცხო სიტყვათა ლექსიკონში (უსლ) კი არის მხოლოდ იუბილე,

მავზოლეუმი და ლიცეუმი (უსლ-ში ლიცეუმი და ლიცეი). ნუნცი მხოლოდ ამ სახით არის ქველ-ში, ხოლო უსლ-ში არის ნუნციუსი და ნუნცი. რუსულის გავლენა ჩანს გინეა სიტყვის გადმოცემაშიც (უსლ): ინგლისური guinea (ფულის ერთეული — 21 შილინგი) გამოითქმის ასე: გინი. ქართული იმეორებს რუსულ ფორმას. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა შემოსვლისთანავე არარუსული (ლათინური ან ბერძნული) ფორმით იყო ხმარებული, ქართულში დამკვიდრდა რუსულისაგან განსხვავებული ფორმა: მუზეუმი (შდრ. музей), სანატორიუმი (შდრ. санаторий). ასეთივეა ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებისა და შენაერთის სახელი: კალციუმი (შდრ. кальций), ნატრიუმი (შდრ. натрий) და სხვ. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ზეპირი გზით გავრცელდა მორფი, უსლ კი უთითებს სხვა ფორმებსაც: მორფი, მორფიუმი (არ არის ძირითად სალექსიკონო ერთეულად მიჩნეული), მორფინი. ქართული სათვის, რა თქმა უნდა, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფუნქციისაა ი იმ ენაში, საიდანაც სიტყვა არის შემოსული: ფუძისეულია იგი (ვისკი) თუ მაწარმოებელი (თულუხჩი). ცოცხალ სამეცყველო ენაში (ძველდაც და ახლაც) ერთი და იგივე ტენდენცია მოქმედებს: სადაც კი შესაძლებელია, უცხო სიტყვის ფუძისეული ი აღიქმება ბრუნვის ნიშნად. ამიტომ მორფოლოგიურად გათანაბრებულია ისეთი სიტყვები, როგორცაა ობ-ი — სოკო და ობი — იაპონური ქამარი, დინგ-ი — ღორის ცხვირი და დინგი — პატარა ნავი, ლორ-ი — დამარილებული ხორცი და ლორი — აფრიკული მაიმუნი, სარ-ი — ჭიგო და სარი — ინდოელი ქალის სამოსი, ცორ-ი — ცხოველის თათი და ცორი — პოლიტიკური პარტიის წევრი ინგლისში. ამიტომაც, რომ დღეს ხშირად ისმის ასეთი ფორმები: ტაქს-მა არ გამოიარა“, „დედოფალი ამზადებს პონს“ (ითქვა ტელეგადაცემაში, სადაც ნაჩვენები იყო ინგლისის დედოფალი შვილი-შვილებთან ერთად ცხენებით სეირნობის დროს), „ჩემს პობს წარმოადგენს ხეზე კვეთა“ (ესეც ტელეგადაცემაშია გაგონილი), „ტა-ტამზე ჭიდაობა გაიმართა“. იგივე ტენდენცია ჩანს ი-ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ხმარებისას: „მაკიაველმა თქვა“, „პაგანინმა ვიოლინოზე დაუკრა“, „მარჩელო მასტროიანს ბევრი როლი შეუსრულებია“, „რაფსანჯანს აეროდრომზე დახვდნენ“. გეოგრაფიულ სახელებში: „დელში (ან: პელსინკში) ჩავიდა“, „მაიამში შეჯიბრება დამთავრდა“.

უნდა შეინიშნოს, რომ ერთიანობა ი-ხმოვანფუძიანი სახელების კვალიფიკაციისას არც სამეცნიერო ლიტერატურაშია; მაგალითად:

კოლიბრი — ი ბრ. ნიშანია ქეგლ-ში (თუმცა იქვეა მითითებული ესპანური ამოსავალი ფორმა colibri). ასევეა ინვერსიულ ლექსიკონში¹³, ხოლო ი ფუძისეულია უსლ-ში; ასევე: ჟიურ-ი (ქეგლ, ინვერს.) და ჟიური (ორთ.¹⁴ და უსლ); ჟალუზი (ქეგლ, ინვერს., უსლ) და ჟალუზ-ი (მაგალითად: ჟალუზზე — ორთ.); ეფენდ-ი (ქეგლ) და ეფენდი (ინვერს., ორთ., უსლ); ბრუნვისეულად მიიჩნევა ი სიტყვებში: ავღან-ი და აშრაფ-ი (უსლ), თუმცა ორივე სიტყვაში ფუძის ბოლოს გრძელი ხმოვანია იმ ენებში, საიდანაც ნასესხებია ეს სიტყვები (afgani ფულის ერთეულია ავღანეთში, ხოლო ashrafi ოქროს მონეტაა ირანში, იჭრებოდა 1932 წლამდე).

შემოთ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს ტენდენცია ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვნის ბრუნვისეულად მიჩნევისა მხოლ. რიცხვში; მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია ფუძისეული ხმოვნის შენარჩუნება საზოგადო სახელებში; საკუთარ და გეოგრაფიულ სახელებში ი-ს ფუძისეულად მიჩნევა აუცილებელია, რადგან ამგვარ სიტყვებში ამოსავალი ფორმის შეცვლამ შეიძლება ფორმის დამახინჯების გარდა პრაქტიკული გაუგებრობაც გამოიწვიოს.

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ან ხმოვნით დაწყებული სადერივაციო მაწარმოებლის დართვისას ფუძისეული ი, ჩვეულებრივ, იკვეცება: თულუხჩი სიტყვასთან ქეგლ-ში დამოწმებულია მაგალითი XIX ს. წყაროდან: „თულუხჩები და მებოჭკეები“ („ივერიიდან“). თანამედროვე ქართულშიც ანალოგიური ფორმები გვხვდება: „რისთვისღა სჭირდებათ კოლიბრებს, ხოხბებს ასეთი უნატიფესი ფორმები?“ („დროშა“ № 15, 1988); „ამას მოჰყვა პენალტების სერია“ (სატელევიზიო გადაცემიდან); „მაფიოზებს მოუკლავთ“ (გაგონილი). წარმომავლობის -ელ სუფიქსთან ი-ს შეკვეცის მაგალითია „პაიტელი დიქტატორი“ (სატელევიზიო გადაცემიდან); გეოგრაფიული სახელია პაიტი (Haiti, შდრ. Гаити). ფუძისეული ი-ს შენარჩუნება ხმოვნით დაწყებული მაწარმოებლის დართვისას შექმნიდა ქართულისათვის არაბუნებრივ ხმოვანთა კომპლექსს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ი-ს წინ სხვა ხმოვანი მიუძღვის (ბატერფლაი, სიპაი; პლებეი, პიგმეი; ბოი,

¹³ ინვერსიული ლექსიკონი, შედგენილი ბ. ფოჩხუას ხელმძღვანელობით, თბ., 1967.

¹⁴ ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.

პობოი). მაშინაც, როდესაც ფუძის ბოლოკიდური ი-ს წინამავალი ბგერა თანხმოვანია, მისი კვეცა მრავლობითის -ებ ფორმანტის დართვისას ქართულ ენაში კარგად ცნობილი მოვლენის — ერთ-ხმოვნობისაკენ მისწრაფების შესაბამისად ხდება¹⁵. ეს ვითარება ელინდება სხვადასხვა დაბოლოების მქონე ი-ხმოვანფუძიან სახელებში, ამიტომ მრავლობითის კანონზომიერი ფორმებია: პონები, ტატამები, მაფიოზები, პენალტები (და არა: პონიები, ტატამიები, მაფიოზიები, პენალტიები).

უნდა ითქვას, რომ დანიშნულების სა—ო და სა—ე სახელთა წარმოებისას ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ფუძისეული ი-ს შენარჩუნება: საჩაიე, საპაიო შესატანი, სატრამევაიო ხაზი¹⁶.

საბოლოოდ, ი-ხმოვანფუძიან საზოგადო სახელთა ბრუნების პარადიგმი ამგვარად წარმოგვიდგება: ისინი ფუძეუკვეცლებად უნდა მივიჩნიოთ მხოლ. რიცხვში (მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალ მეტყველებაში ჩანს ტენდენცია მათი თანხმოვანფუძიანად ქცევისა), ხოლო მრავლობით რიცხვში ამგვარი სახელები ფუძეკვეცადია. მაშასადამე, ისინი იმგვარად იბრუნება, როგორც ა-ხმოვანფუძიანი სახელები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ხმოვანი მაწარმოებელია: დედოფალა, ნიბლია¹⁷ (ნათ. დედოფალას კაბა, ნიბლიას ბუდე; მრავლ. დედოფალები, ნიბლიები). ეს დასკვნა შეესაბამება „ნორმების“ გატარებულ წესს, რომლის მიხედვითაც ი-ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები (პაი, ტრამევაი) და უცხოური გვარები მხოლ. რიცხვში ინარჩუნებს ფუძისეულ ი-ს, მრავლობითში კი (თუ მისი წარმოება შესაძლებელია) ი მოიკვეცება: გარიბალდები, ტოლსტოები. ი ჩამოშორდება წარმოების შემთხვევებშიც: გარიბალდ-ულ-ი. სხვა ვითარებაა გეოგრაფიული სახელების ლოკალურ ბრუნვებში ფუძისეული ი უნდა დარჩეს: დელიში ჩავიდა; ხიდი მისისიპიზე¹⁸.

¹⁵ შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველად ქართულ კოლოებსა და ზანურში, იკე, I, 1946, გვ. 19—33. ნ. აკრეთვე თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 26 და შმდ.

¹⁶ ცელობა განიცადა ტომობრძე სახელის უდი-ს მრავლობითისა და წარმომავლის ფორმებში: უდი-ებ-ი შეიცვალა უდი-ებ-ით, ხოლო უდი-ურ-ი უდი-ურ-ით. ფუძისეული ი ხმოვნის შენარჩუნება ამჟამად ნორმატიულადაა მიჩნეული; ეს მაგალითი მომწიდა დოქ. შუქია აფრიდონიძემ, რისთვისაც მაილობას მოვასხენებ.

¹⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 66.

¹⁸ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 77.

რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის ქართულში

როგორც ცნობილია, რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან მე- პრეფიქსისა და -ე სუფიქსის დართვით.

ა. შანიძე რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებას ამგვარად განმარტავს: „რიგობითი რიცხვითი სახელი ნაწარმოებია სათანადო რაოდენობითი სახელის ფუძისაგან თავში მე-ს და ბოლოში ე-ს დართვით (მე — ე): მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ათ-ე, მე-თერთმეტ-ე, მე-ორმოცე, მე-ას-ე და სხვ. წარმოების მხრით განკერძოებით დგას პირველი, რომელიც „მეერთე“-ს ნაცვლად იხმარება, მაგრამ რთულ რიცხვით სახელებთან ითქმის მეერთეც და პირველიც: ოცდამეერთე (ან: ოცდაპირველი), ორმოცდამეერთე (ან: ორმოცდაპირველი), ას მეერთე (ან: ას პირველი) და სხვ.

და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის ფორმები ერთეულებს, ათსა და ათმეტეულებს მოუდის; ითქმის: მეოცე, მაგრამ: ოცდამეხუთე (და არა: მეოცდახუთე), ოცდამეათე (და არა: მეოცდაათე); ითქმის: მესამოცე, მაგრამ: სამოცდამეთექვსმეტე (და არა: მესამოცდათექვსმეტე) და სხვ.; ითქმის: მეასე, მეორასე, მეათასე, მაგრამ: ას მეხუთე, ათას ცხრაას ორმოცდამეთორმეტე და სხვ.¹“.

რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება დაწვრილებით არის განხილული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“, სადაც ვკითხულობთ: „რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან, რომლებიც ოცეულებსა და ათეულ-ერთეულებს, ან ასეულებსა და ერთეულ-ათეულ-ოცეულებს, ან ათა-

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბზ., ტ. 3, თბ., 1980, გვ. 40—41.

სეულებსა და ასეულ-ოცეულ-ერთეულებს შეიცავს, რიგობითი რიცხვითი სახელები სხვადასხვაგვარად მიიღება: ოცეულების, ასეულების, ათასეულებისა და ა. შ. გამომხატველი რიცხვითი სახელები უცვლელი რჩება, საწარმოებელ ფუძედ აღებულია რიცხვითი სახელის ფუძე ერთიდან ოცამდე, აგრეთვე ასეულთა გამომხატველი რიცხვითი სახელები და მე- პრეფიქსი და -ე სუფიქსი მათ ემატება, ხოლო შემდეგ ამგვარად მიღებული რიგობითი რიცხვითი სახელი დაერთვის ოცეულების, ასეულების, ათასეულების, გამომხატველ არსებით სახელებს².

მაშასადამე, რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითის წარმოებისას მე — ე დაერთვის ბოლო სიტყვას, ყველა დანარჩენი კი უცვლელი რჩება. თუ რთული რიცხვითი სახელი თავდება სიტყვით, რომელიც აღნიშნავს რიცხვს 1-დან 1.000-მდე, მაშინ რიგობითი სახელის წარმოება აღნიშნული წესით ხდება: ას ოცი — ას მეოცე, ათას ექვსას თორმეტი — ათას ექვსას მეთორმეტე, ორი მილიონ ას ოცდაექვსი ათას ხუთასი — ორი მილიონ ას ოცდაექვსი ათას მეხუთასე და ა. შ.

რიგობით რიცხვით სახელებში საკამათოა გარკვეულ ფორმათა წარმოება, რაც ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებში არ არის განხილული. იგულისხმება რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ისეთი რთული რიცხვითი სახელებისაგან, რომელთა ბოლო კომპონენტს წარმოადგენს „ათასი“ ანდა ათასზე მეტი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: „მილიონი“, „მილიარდი“ და ა. შ. ეს ფორმები არც „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“³ დასტურდება.

თუ რთული შედგენილობის რიცხვითი სახელის ბოლო წევრია „ათასი“, „მილიონი“, „მილიარდი“ და ა. შ., მაშინ, განსხვავებით ზემოთ მოყვანილი რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან, რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისას მე — ე მხოლოდ ბოლო წევრს ვერ დაერთვება; სიტყვისგან „ორი ათასი“ რიგობით რიცხვით სახელს ვერ ვაწარმოებთ ასე: „ორი მეთათასე“, რადგან „ორი მეთათასე“ არ არის რიგობითი რიცხვითი სახელი 2.000-ისა. „ორი მეთათასე კაცი“ ნიშნავს ორ კაცს, რომლებიც რიგით მეთათასენი არიან, ჩვენ კი გვიინტერესებს აღვნიშნოთ ერთი კაცი.

² თქვენ, გვ. 71.

³ ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონი, თბ., 1968.

რომელიც რიგით მე-2.000-ა. ამიტომ მე- პრეფიქსი უნდა დაერთოს არა ბოლო სიტყვას, არამედ მის წინამავალს.

მაგრამ აქ დგება კიდევ ერთი საკითხი: ეს წინამავალი სიტყვა ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი თუ სახელობითის ფორმით: მეორათასე თუ მეორიათასე? მეშვიდმილიონე თუ მეშვიდმილიონე?

ამ ტიპის წარმოება ძალიან იშვიათია, ამიტომ მასალის მოძიება ტექსტებში თითქმის შეუძლებელია. საკითხი უნდა გადაწყდეს წარმოების ამა თუ იმ პრინციპის არჩევის გზით.

ჩვენი აზრით, განსხვავებულად უნდა მივუდგეთ საკითხს, ერთი მხრივ, ქართული ათასისათვის და, მეორე მხრივ, უცხოური წარმოშობის მილიონ, მილიარდ, ტრილიონ და მისთ. სიტყვებისათვის. ამგვარი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველს იძლევა „ნორმებში“ დაფიქსირებული ვითარება, რომ საკუთარი და ნასესხები რიცხვითი სახელები ბრუნებისას განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ: „მაშინ, როცა ათასთან სახელობითი ბრუნვის ფორმა შვიდროდაა დაკავშირებული და ათასის ბრუნვაში ცვლისაგან არაა დამოკიდებული, ყოველთვის სახელობითში გვხვდება, რომელ ბრუნვაშიც უნდა იყოს ათასი, — მილიონს, მილიარდს და ა. შ. მისი რაოდენობის გამომხატველი სახელი ისე შეეწყობა, როგორც მსაზღვრელი და მასთან ბრუნვაშია შეთანხმებული (შდრ. ორი ათასმა კაცმა და ორმა მილიონმა კაცმა, ორი ათას კაცს და ორ მილიონ კაცს და ა. შ.)“⁴.

მაშასადამე, „ათასის“ რაოდენობის განმსაზღვრელი სახელი ყველა ბრუნვაში -ი სუფიქსით არის წარმოდგენილი. ეს -ი თითქმის შესორცებულია ამ სახელთან, ამიტომ ბუნებრივი იქნება, რომ რიგობით რიცხვით სახელებშიც „ათასის“ მსაზღვრელი რიცხვითი სახელი -ი სუფიქსით იყოს წარმოდგენილი: მეორიათასე, მეშვიდიათასე და ა. შ. -ი უნდა ვიხმაროთ სხვადასხვა წარმოებლიან სახელებთანაც, კერძოდ, -იან სუფიქსიან ფორმებში: ორიათასიანი, შვიდიათასიანი და ა. შ. უცხოური წარმოშობის რიცხვითი სახელების (მილიონის, მილიარდის...) მსაზღვრელი კი, როგორც „ნორმებშია“ აღნიშნული, ჩვეულებრივ იბრუნვის, მას -ი ყველგან არ გადაჰყვება, ამიტომ ასეთი სახელებისაგან ნაწარმოებ რიგობით რიცხვით სახელებში მილიონის და მისთ. მსაზღვრელი სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი: მეორმილიონე,

⁴ თქვენ, გვ. 68.

მეხუთმილიარდე და ა. შ. იგივე წესი უნდა გატარდეს სხვა მანქარა-
მოებლიან სახელებშიც: ორმილიონიანი, ხუთმილიარდიანი
და ა. შ.

თუ ათასის, მილიონისა და მისთ. მსაზღვრელს წარმოად-
გენს არა მარტივი, არამედ რთული შედგენილობის რიცხვითი სა-
ხელი, მაშინ დგება საკითხი: რას დაერთოს მე- პრეფიქსი: ათა-
სის, მილიონისა და მისთ. განმსაზღვრელ მთელ რთულ რიცხვით
სახელს თუ მხოლოდ მის ბოლო წევრს: ას ორი ათასი — ას მეო-
რიათასე თუ მეასორიათასე? ოთხას თერთმეტი მილიონი —
ოთხას მეთერთმეტმილიონე თუ მეოთხასთერთმეტმილიონე?

როდესაც ათასს, მილიონს და მისთ. წინ უძღვის მსაზღვ-
რელი სახელი, მაშინ ისინი მთლიანად წარმოადგენენ ერთ ერთე-
ულს, როგორც მსაზღვრელ-საზღვრული, ამიტომ, როდესაც მსაზ-
ღვრელი რთული შედგენილობისაა, უმჯობესია მე- დაერთოს
მთელ რთულ რიცხვით სახელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს
მსაზღვრელი რთული რიცხვითი სახელი შეიძლება შედგებოდეს
მაქსიმუმ ორი წევრისაგან, რომელთაგან ერთი აღნიშნავს ასეუ-
ლებს, მეორე კი — ოცეულებს, ათეულებსა და ერთეულებს: ცხრაას
ჩვიდმეტი ათასი — მეცხრაასჩვიდმეტიათასე, ორას ათი მილიონი —
მეორასათმილიონე და ა. შ. მე — ე კონფიქსი ერთგვარად კრავს
მთელ რიცხვით სახელს. ამავე დროს ეს წესი მიჰყვება „ნორმებში“
მოცემულ შენიშვნას: „რი გ ო ბ ი თ ი და წ ი ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ-
ვ ი თ ი სა ხ ე ლ ე ბ ი ე რ თ ა დ, ე რ თ ს ი ტ ყ ვ ა დ და ი წ ე-
რ ე ბ ა“⁵.

თუ ათასის, მილიონისა და მისთ. მსაზღვრელად გვაქვს
დაწ-თი შეერთებული სახელი, ასეთ შემთხვევაშიც მე- თავში
დაერთვის რიცხვით სახელს: ოცდახუთი ათასი — მეოცდახუთი-
ათასე, ორმოცდაერთი მილიონი — მეორმოცდაერთმილიონე და
ა. შ. შდრ.: ოცდამეხუთე, ორმოცდამეერთე და ა. შ.

აქვე დგება რიგობითი რიცხვითი სახელების დაწერილობის
საკითხი. „ნორმებში“ მოცემული შენიშვნა, რომ რიგობითი და წი-
ლობითი რიცხვითი სახელები ერთად უნდა იწერებოდეს, ზოგადია
და მასში ზემოთ განხილულ ფორმებზე სპეციალურად არ არის
მსჯელობა. თუ მე — ე კონფიქსით ნაწარმოებ რიგობით რიცხ-
ვით სახელს წინ უძღვის უფრო მაღალი კლასის რიცხვის აღმნიშ-

⁵ თქვენ, გვ. 73.

უნელი სახელები, მაშინ ისინი უნდა დაიწეროს ცალ-ცალკე, როგორც ეს რაოდენობით რიცხვით სახელებში არის მიღებული, ერთად დაიწერება მხოლოდ მე — ე კონფიქსით შეერთებული სახელები: ორი მილიონ მეასოციათასე, ას ორი მილიარდ მეოცდაოთხმილიონე და ა. შ.

მაშასადამე, რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის ფორმების წარმოებისას უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება ისეთი რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან, რომლის პირველი, მსაზღვრელი კომპონენტია ერთ- ან ორსიტყვიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ხოლო მეორე, საზღვრული კომპონენტია ათასი, მილიონი, მილიარდი და ა. შ., მაშინ მე- პრეფიქსი დაერთვის მთელ მსაზღვრელ რიცხვით სახელს (მიუხედავად მისი შედგენილობისა), -ე სუფიქსი კი — საზღვრულს. ამასთან, ათასის წინამავალი რიცხვითი მსაზღვრელი სახელობითის -ი ნიშნით იქნება წარმოდგენილი, ნასესხები მილიონის, მილიარდისა და მისთ. წინამავალი მსაზღვრელი კი — ფუძის სახით: მეხუთიათასე, მეასოციათასე, მაგრამ: მეშვიდმილიონე, მეოცდაექსმილიარდე და ა. შ.

2. მე — ე კონფიქსით ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელი ერთ სიტყვად გაფორმდება, ხოლო თუ მას წინ უძღვის უფრო მაღალი კლასის რიცხვის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები, მაშინ ისინი ცალ-ცალკე დაიწერება: სამი მილიონ მეხუთიათასე, ორას ათი მილიარდ მეშვიდმილიონე და ა. შ.

ვინაიდან წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელების მსგავსად, ამიტომ მათი წარმოების დროსაც უნდა დავიცვათ აღნიშნული წესები. უსლ-ში დავადასტურეთ ამგვარი წილობითი რიცხვითი სახელის ერთი ფორმა: ანგსტრემი — (ფიზ.) სიგრძის ერთეული; უდრის სანტიმეტრის მ ე ა ს მ ი ლ ი ო ნ ე დ ს (ხაზი ჩვნია, — ქ. დ.).

მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ
საკითხები

საკამათო არ არის, რომ ყოველი გრამატიკული კატეგორია გარკვეული სემანტიკით არის შეპირობებული. რიცხვის კატეგორია შესაძლოა ვეძიოთ მხოლოდ მეტყველების იმ ნაწილებში, რომელთა შინაარსი იგუებს ერთისა და ერთზე მეტის გარჩევის აღნიშვნას, პირის კატეგორია პირთა მიხედვით დიფერენციაციის უნარს მოითხოვს და ა. შ. ასე რომ, ყოველი ფორმა შინაარსით არის განსაზღვრული.

ეს ვითარება შესაბამისად აისახება ლინგვისტურ ტერმინოლოგიაშიც. თვით მეტყველების ნაწილთა სახელწოდებები ამის ნათელი დასტურია. არსებითი სახელი, იგივე სუბსტანტივი, საგნის, სუბსტანციის აღმნიშვნელი სიტყვაა, ზედსართავი — ამ საგნის ნიშანთვისების, მისი მახასიათებლის, მასზე დართულის, ატრიბუტის აღმნიშვნელია, ნაცვალსახელი — ის, რაც სახელის ნაცვლად, მის ფარდად შეიძლება ვიგულოთ...

ამ უდავო ჭეშმარიტების გახსენება ახლა ერთი გრამატიკული მოვლენის ასახსნელად დაგვჭირდა. საკითხი ეხება ზედსართავ სახელთა, ან, უფრო ზუსტად — მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებულ სახელთა (ზედსართავის, რიცხვითის, ნაცვალსახელის, მიმღეობის) ბრუნებას.

* * *

ბუნებრივია, რომ ზედსართავი სახელი, როგორც სახელის ნიშან-თვისების გამომხატველი, მისი განმსაზღვრელი, არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს საგანი, განსასაზღვრი, ასახსნელი სახელი. ამაზე მიუთითებს თვითონ ტერმინიც — ზედსართავი, ე. ი. რალაცაზე დართული, прилагательный, adjective, attribute,

ატრიბუტი... მისი გრამატიკული კატეგორიებიც აღნიშნული სემანტიკით არის განსაზღვრული. სემანტიკაზე და მოკიდებული, რამატიკული კატეგორიები შეიძლება პოტენციურად ჰქონდეს სიტყვას და რა — არა.

რამდენადაც ძირითადად ზედსართავ სახელზე ვაპირებთ მსჯელობას, გვერდს ვერ ავუვლით მის ყველაზე გამოკვეთილ კატეგორიებს — ხარისხის აღნიშვნის სისტემას და ბრუნებას. არსებითად ეს უკანასკნელი (ბრუნება) წარმოადგენს ჩვენი განხილვის ძირითად ობიექტს.

* * *

სემანტიკური ნიშნიდან გამომდინარე, ზედსართავ სახელს არ უნდა (არ შეიძლება) ჰქონდეს რიცხვის კატეგორია. ნიშანი, თვისება არათვლადი აბსტრაქციაა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს გარკვეული ინტენსივობის, აგრეთვე დროსა და სივრცეში განფენილობის ფარგლებში (მწვანე კაბა, დიდი სახლი, მაღალი კაცი, ლამაზი სურათი... — ე. წ. ვითარებითი ზედსართავეები), ანდა — უბრალოდ, როგორც განსაზღვრული საგნობრიობა, რომელიც ორ სხვადასხვა საგანს შორის ამყარებს გარკვეულ მიმართებას (მქონებლობის, დანიშნულების, სადაურობისა და ა. შ. მიხედვით: უქუდო კაცი, ფოთლოვანი ტყე, სანადირო თოფი, მზიანი დღე. იმერული ყველი... ე. წ. მიმართებითი ზედსართავეები).

პირველი ჯგუფის ზედსართავეებს (ვითარებითს) ხარისხის ფორმები მოეპოვებათ, მეორე ჯგუფისას (მიმართებითს) — არა. მიზეზი მათ განსხვავებულ სემანტიკაშია. ვითარებითი ზედსართავეები საგანს ახასიათებენ ერთი განსაზღვრული ნიშნის გრადაციის ფარგლებში. ეს ნიშანი არ არის აბსოლუტური. იგი ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შეფარდებითია. შესიტყვება დიდი სახლი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვაძლევს საგნისა და ნიშნის შესახებ. შეიძლება ბევრი სახლი იყოს დიდი, მაგრამ ეს სიდიდე სხვადასხვანაირი იქნება. ასევე ლამაზი, მაღალი, თხელი... ბევრი რამე და ვინმე შეიძლება იყოს, მაგრამ სხვადასხვაა ეს ნიშანი, თუ ერთმანეთს შევუდარებთ ამ ნიშნით განსაზღვრულ საგნებს. ეს სხვადასხვაობა ქმნის ხარისხის კატეგორიის სემანტიკურ საფუძველს.

მიმართებითი ზედსართავები ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებენ, რადგანაც მოკლებულნი არიან ასეთი შეფარდებითობის სემანტიკას. აქ აქცენტი კეთდება ერთი საგნის სხვა საგანთან რაიმე ნიშნის მიხედვით მიმართებაზე (მქონებლობა, უქონლობა, წარმომავლობა, დანიშნულება და მისთ.). ქუდიანი ან უქუდო საგნის (ქუდის) მქონებლობა-უქონლობის მიხედვით ახასიათებს სხვა საგანს (კაცს), იმერული იმერეთიდან წარმომავლობის ნიშნით განსაზღვრავს საგანს (ვთქვათ, ყველს) და ა. შ. შეუძლებელია ქუდიანის ან უქუდოს, იმერულის ან სანადიროს მეტ-ნაკლები ინტენსივობით, სიგრძე-სიგანითა თუ დროის მიხედვით წარმოდგენა. თუ ასეთი რამ მოხერხდება, მაშინ ის ხარისხის ფორმასაც შეიგუებს. განვიხილოთ ვთქვათ, ფორმა მზიანი დღე. რამდენადაც შესაძლებელია მეტად ან ნაკლებად მზიანი დღე, ოთახი, პერიოდი..., იმდენად დასაშვებია უმზიანეს ფორმის წარმოების შესაძლებლობაც. ამგვარ ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება კიდევ მიმართებითი ზედსართავების მიერ ხარისხის ფორმათა წარმოება. ცნობილი ფაქტებია: ბედნიერი — უბედნიერესი, ღონიერი — უღონიერესი, გონიერი — უგონიერესი, ჭკვიანი — უჭკვიანესი და მისთ. ამ შემთხვევაში არსებითია არა ის, რომ მაწარმოებელი აფიქსი შეეზარდა ფუძეს (როგორც, ჩვეულებრივ, ხსნიან ამ მოვლენას), არამედ თვით ფუძე-სიტყვათა სემანტიკა. აბსტრაქტული სახელებით აღნიშნული ცნებები — ბედი, ღონე, გონი, ჭკუა... გაგებულია საგნის გარკვეულ ნიშან-თვისებად. ამგვარად, მაწარმოებელი აფიქსი კი არ შეზრდია ფუძეს (მისი გამოყოფა ძალიან იოლია), მან მხოლოდ ფორმობრივად „გააზედსართავა“ სიტყვა და შინაარსი და ფორმა ერთმანეთს დაუახლოვა (შდრ. მაგ., თითქმის ერთი და იმავე სემანტიკის ერთეულები — ჭკუა აქვს და ჭკვიანია, ღონე აქვს და ღონიერია...). ალბათ ამიტომაც, რომ ანალოგიური მნიშვნელობის მქონე ბევრი სიტყვა, რომელთაც თანამედროვე ქართულის ღონეზე მაწარმოებელი აფიქსი არ გამოეყოფათ (უცხოური წარმომავლობის ან „დაბნელებული“ ფორმობრივი სტრუქტურის გამო), მხოლოდ კონტექსტის მიხედვით შეიძლება გაირჩეს, ზედსართავია თუ არსებითი. ისინიც იწარმოებენ ხარისხის ფორმებს (ბრძენი — უბრძენესი, შტერი — უშტერესი, დებილი — უდებილესი...). არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ამ სიტყვათა ნაწილი სასაუბრო-ჟარგონული მეტყველების კუთვნილებაა. მთავარი ამ შემთხვევაში ენობრივი ტენდენციაა.

აღნიშნულ მსჯელობას უჭერს მხარს მიმღებობური წარმომავლობის ერთი რიგი ზედსართავების მიერ ხარისხის ფორმათა წარმოების უნარიც. ესენია: მძლავრი, მდარე, მკვეთრი, მწარე და მისთანანი. მათი მეორეულობა ისევე აშკარაა, როგორც უმძლავრესი, უმდარესი, უმკვეთრესი, უმწარესი... ფორმათა არსებობა. აქაც სემანტიკამ განსაზღვრა გრამატიკული კატეგორიის წარმოების შესაძლებლობა.

სხვათა შორის, სემანტიკური სპეციფიკა უნდა ედოს საფუძვლად ზოგიერთი ზედსართავის ხარისხის ფორმების ნაკლებუვან სისტემასაც (ეწარმოებათ ან მხოლოდ ე. წ. ოდნობითი ან მხოლოდ აღმატებითი (შეღარებითი) ხარისხის ფორმები)¹. მო — ო კონფიქსიანი ფორმები ხარისხის ფორმებად სწორედ სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გაიაზრება და ხარისხის ფორმებად მათ მიჩნევას ფორმა (კერძოდ, ფორმანტები) უფრო უშლის ხელს, ვიდრე სემანტიკა.

ხარისხის ფორმების წარმოების სემანტიკურ საფუძვლებზე მსჯელობას აღარ გაუკარძელებთ. ისევე რიცხვისა და ბრუნების კატეგორიებს დაუბრუნდეთ, რამდენადაც სახელის გრამატიკული კატეგორიებიდან არსებითი სწორედ ბრუნვა და რიცხვია.

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, საკუთრივ ზედსართავი სახელი რიცხვს მართლაც არ განარჩევს. მაშინაც, როდესაც გარკვეული საჭიროებისათვის ზედსართავი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, აღნიშვნა ფორმალურია და რიცხვზე (მრავლობითზე) მითითება არ ხდება. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სახელი, როგორც ატრიბუტი, ამხსნელი სიტყვა, სრულად ეთანხმება თავის ასახსნელს. მსაზღვრელ სიტყვას. ძველი ქართულისათვის ამგვარი შეთანხმება ჩვეულებრივი ნორმაა. მნიშვნელობა არა აქვს მსაზღვრელ-საზღვრულის რიგს, არც წინადადების სხვა წევრებით მათ გათიშულობას:

¹ ჩვენთვის ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს არც ტერმინებს, რომლებოთაც აღნიშნავენ ხარისხის ფორმებს, არც მათ წარმოშობას და რაოდენობას. აღნიშნული საკითხები საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი (იხ. თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართულ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 129-164.

უკეთეს სული ხელმწიფებისა მოვიდეს შენ ზედა, ადგილ-ნუ-სცემ, რამეთუ ლხონებაჲმან დააცხრუნის ცოდვანი დიდ-დიდნი (ეკლ.); და წარვიდა მათ თანა და თანაწარიტანა ევანგელს თუხი და წმიდანი იგი წიგნნი მონაშეთანი (-შუშან.); თქვენ ხართ სიწმიდისა ნაყოფნი, მკენარენი სულნელნი. ვარდნი შეენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთის ხილნი ნაყოფსავესენი („ხანძთ.“); დიდთა ხეთა მოერევს, მკირე დასწევს ნაპერწყალი (ვტ.).

ნიშანდობლივია, რომ შეთანხმება ნარ-თანინი მრავლობითის პრეროგატივია არა მარტო ძველ ქართულში, არამედ ახალშიც. თუმცა პოეზიის ენაში ებ-იან მრავლობითშიც გვხვდება შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული:

ღალამდა. წვრილნი ვარსკელაენი აყევედნენ, დასხდნენ ცაზედა (ვჯე); სატრდოს ცრემლის წილ მკედარსა ხებრსა დამეცემიან ცეარნი ციურნი. ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცულად მივალალებენ სევენი მყივეარნი (ნ. ბაათ); მოგროვილიყენენ ხახმატსა ზეესურთ ვაჟები ხმლიანნი (ვჯე); მე მათ მოყევი, მათ მოყევი ღრუბელთ შავოსახთ, სადაც ეხვევა სურო ღურჭი ქვართაც შავოსნებს (ა. კალანდ.); მე კი... ნიდავ მახსოვხარ: მთები მიხმობენ შენები (ა. კალანდ.); ქართლად იქპარიან, — მეტყველნი ქართულად. — შუამდინარეთთ შამანი ცამეტნი (მ. მაქ.).

შედარებისათვის: როცა სახელისა და ზმნის (ვთქვათ, ქვემდებარისა და შემასმენლის) შეთანხმებაზეა საუბარი, მაშინ ეს შეთანხმება არა მხოლოდ ფორმობრივია, არამედ შინაარსობრივც: ბავშვი თამაშობს — ბავშვები თამაშობენ. ორივე სიტყვა სიმრავლეზე მიუთითებს. შესიტყვებაში წვრილნი ვარსკელაენი სიმრავლეზე ოდენ საზღვრული (ვარსკელაენი) მიუთითებს და მსაზღვრელის (წვრილნი) მრავლობითის ფორმა მხოლოდ სიმბოლურია. ერთგვარად ორნამენტული.

* * *

ამავე კუთხით შეიძლება შევხედოთ ბრუნების პრობლემასაც.

ზედსართავ სახელთა (აგრეთვე რიცხვით სახელთა და მიმლეობათა) ბრუნების საკითხი, ჩვეულებრივ, ეჭვქვეშ არ დგება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ნებისმიერი ბრუნვის ფორმით შეიძლება დადასტურდეს წინადადებაში და, როდესაც ზედსართავის ბრუნებაზეა მსჯელობა, ყურადღება მახვილდება ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებზე, ზედსართავი სახე-

ლის ბრუნების სინტაქსურ თავისებურებებზე (მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება)².

აღნიშნულ საკითხს ამჯერად გვინდა შევხედოთ ფორმისა და შინაარსის აუცილებელი ერთიანობის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ ბრუნება სახელის სახელთან, ან სახელის ზმნასთან დამოკიდებულებას აწესრიგებს, წარმართავს. ბრუნვის ფორმა სიტყვათა სინტაქსური დაკავშირების მთავარი გრამატიკული საშუალებაა.

ბრუნება სუბსტანტივის ძირითადი მორფოლოგიური მახასიათებელია და ბრუნების სრულყოფილი სისტემატ ქართულში (თუმცა არა მარტო ქართულში!) მხოლოდ სუბსტანტივის მოეპოვება.

ფორმობრივად, ერთი შეხედვით, იბრუნვის ზედსართავიცა და რიცხვითი სახელიც (დიდი სახლი, დიდმა სახლმა, დიდ(ს) სახლს, დიდი(ს) სახლის...; ორი კაცი, ორმა კაცმა, ორ(ს) კაცს, ორი(ს) კაცის...), მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრუნება ფლექსიური სიტყვათხმარების სფეროს განეკუთვნება და ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი არ ცვლის ფუძის მნიშვნელობას, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ ზედსართავი თუ რიცხვითი სახელების ბრუნებაზე მსჯელობა ეფუძნება ამ მეტყველების ნაწილთა ოდენფორმობრივ ანალიზს და გათვალისწინებული არაა განსახილველი ფორმის სემანტიკური თავისებურებანი.

ამოსავალი დებულება ამ საკითხზე მსჯელობისათვის უნდა იყოს ის, რომ არც ზედსართავი და არც რიცხვითი სახელი დამოუკიდებლად, საზღვრულის გარეშე, ჩვეულებრივ, არ ფუნქციონირებენ. მათი სემანტიკური სპეციფიკა, აღნიშნონ საგნის ნიშან-თვისება თუ რაოდენობა-რიგი, გამოვლინდება საგნის აღმნიშვნელ სახელთან მიმართებაში (რისთვისება-რაოდენობასაც ისინი განსაზღვრავენ). მაღალი, დიდი, ლამაზი, თეთრი... ორი, ხუთი, მესამე... მაშინ ასრულებენ სრულყოფილად თავის ფუნქციას, როცა არსებით სახელთან არიან დაკავშირებულნი: მაღალი სახლი, დიდი მავიდა, ლამაზი ბავშვი, ორი წიგნი, მესამე კლასი... განსასაზღვრი საგნის გარეშე მათი სემანტიკური ფუნქცია იჩრდილება, ბუნდოვანდება. ამიტომ ის, რასაც დამოუკიდებელ ზედსართავს ან რიცხ-

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 57—59; 82—94; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, I, 1950, გვ. 46—49; ლ. კეკელიძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1969, გვ. 174—186.

ენთ სახელს უწოდებენ. სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე. იგი სუბსტანტივია. შდრ.:

შესს რქეს ეენაცელუ, ღიაცო, კარგი გაგიზდავ რწვეითა (ეაეა); ის ქგოდებს... ვი ჩემს თავსა, ყველასგან ვამბებულსა, კარვის არასდროს მნახველსა. უწწის, გარტებულსა (ეაეა); ქარი ფოთლით გააჭრელეს, თეითონ დარჩენ შადეები... ქარი მუხებს არიალებს, ტორტმანობენ ქმუხები (მ. ლებან); მწეხრი მოიცავს ჩემსა სასასლეს, სულსა მდაბალნი და-შკვიდრებენ (ა. კალანდა); ერთი გაგონებს, მეორე გაქებს, მესამე რატომღაც ვაროებს საეს (მ. ლებან); წუთისოფელი საესეა მწეხანით, საესეა წვიმით, საესეა ნაესით (მ. მკ.).

საზღვრულის გარეშე მსაზღვრელი არ არსებობს. გასუბსტანტივების შემთხვევაში ის ითავსებს საზღვრულის ფუნქციას და დამოუკიდებლად ამყარებს სინტაქსურ ურთიერთობას წინადადების სხვა წევრებთან. ამგვარად ტრანსფორმირებული სახელი ფორმობრუნებად უკვე სულ სხვა ყალიბისა სდება და იცვლება მისი გრამატიკული შესაძლებლობებიც. არსებითისაგან დამოუკიდებლად ბრუნებადი ზედსართავი ან არსებითის ფუნქციისაა, ან — ზმნისართისა. ამ თვალსაზრისით ბრუნვის ნიშნებს ზედსართავი ან რიცხვითი სახელისათვის ერთგვარი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვთ და დერივატიულობის ელემენტებს შეიცავენ. არსებით სახვლად ქცევა, გასუბსტანტივება ალბათ სიტყვაწარმოების კერძო შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ. ეს მოვლენა განსაკუთრებით გამოკვეთილია ვითარებითი ბრუნვის შემთხვევაში. „დამოუკიდებელი ზედსართავი“ ვითარებით ბრუნვაში მთლიანად ზმნისართული ბუნებისაა, უკავშირდება ზმნას და ფორმაუცვლელია. იხ.:

ღამაზად შვალს გამზრდელი დედა მიცენია ღმერთადა (ეაეა); ხშირად ეიგონებ ვერლენს, როგორც დღუბულ მამას (გ. ტამ.); ლურჯად დაბინდა, ლურჯი ეღო ანადღო ყანებს და მზე ჩაიღია ლურჯად საღდაც, ბათუმის მხარეს (ა. კალანდა); სიტყვა ქართული, ესოდენ მჭაფრად არ სწყურებია ღმნისს (მ. მკ.).

მასადადნე, ზედსართავი სახელის გრამატიკული და სემანტიკური ფუნქცია სრულყოფილად მხოლოდ მსაზღვრელად, ამსნულ სიტყვად მისი გამოყენებისას ელინდება. სხვა შემთხვევაში სდება ზედსართავისა და რიცხვითი სახელის ძირითადი ფუნქციის შეცვლა. შესაბამისად, სხვა მეტყველების ნაწილად მათი გარდაქმნა.

არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ზედსართავიცა და რიცხვითი სახელიც ცალკე მეტყველების ნაწილად საკმაოდ გვიან იქნა გამოყოფილი და ადრეულ გრამატიკულ ნაშრომებში ისინი სახელთა ერთ

ჯგუფში მოიაზრებოდნენ. არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი ზოგადად სახელის სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი მეტყველების ნაწილებია.

საგნის აღმნიშვნელი სახელის (ან მისი ფარდი ნაცვალსახელის) სემანტიკური ფუნქციის (საგნის აღნიშვნის) რეალიზაცია დამოკიდებული არ არის წინადადების სხვა წევრებზე. ამიტომ არის მისი გრამატიკული სტრუქტურაც მყარი და გამოკვეთილი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, აგრეთვე ზოგიერთი ჯგუფის ნაცვალსახელი³ კი აუცილებლობით არიან დაკავშირებულნი არსებით სახელთან როგორც სემანტიკურად (მას ახასიათებენ), ისე სინტაქსურად (სინტაქსურ წყვილს მხოლოდ მასთან ქმნიან).

გასუბსტანტივებული ზედსართავი სემანტიკურად მთლიანი სინტაგმის — მსაზღვრულ-საზღვრულის შესატყვისია. შესიტყვებაში „პატარამ გაიცინა“ პატარა გარკვეულ სუბსტანტივზე, საგანზედაც მიუთითებს და ამ სუბსტანტივის ნიშანზეც. გრამატიკული ფუნქციონირების მიხედვით, ასეთი სახელი არსებითის ყალიბს მისდევს და ყველა ნიშნის მიხედვით იგი უკვე არსებითი სახელია. ასეთი გასუბსტანტივებული ზედსართავები და მიმღობები — მსაზღვრულ-საზღვრულის სინტაგმის ეკვივალენტები — ტიპობრივია მიმართებში:

გაიღიძე, პატარავ, დილა მშვიდობისა! (მ. მრეელ.); მაგრე მოღვიწიო, ღამაზო, თავი რომ ავიღიო (ვაჟა); რა ღამაზია, წყეულო, შენს ზეირთა ღაღნი ჩქერანი (ვაჟა); დედიკოს რომ მოსწყდეს, დაქნები, სულელო! (მ. გელო).

იგივე შეიძლება ითქვას რიცხვითი სახელებისა და ზემოთ აღნიშნული ჯგუფის ნაცვალსახელთა შესახებაც.

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება გასუბსტანტივებული ფორმები ანდაზების ენაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ელიპტირებული კონსტრუქციები. ლაკონური ფრაზა და მაქსიმალურად გამარტივებული სინტაქსური კავშირები:

ობოლი გაზრდას შოელის, დარბი — გამდიდრებასა, ყმაწილი გიგო და ბიკი — ერთმანეთისა ხევენასა: სულელს გული ენაზე აუროს, ქვეიანს კი ენა გულზეო; ერთს მომგვარე ჰქეო, ორს — მომოსო; ერთს რომ იტანო, მეორეც უნდა თქვა: ჩემი არ გიოსრა, გული რით დაგწყვიტო? შენი სეი და შენი ჯამე, ჩემსას ჯვარი დამიწყე.

³ სიზუსტისათვის: ამ იგულისხმება განსაზღვრების ფუნქციის მქონე ყველა სახის ნაცვალსახელი: წყნებითი, კეთილდღეობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, ზოგიერთი უარყოფითი, გამოორიენტება პირის ნაცვალსახელები და მისი ფუნქციით გამოყენებული სხვა ნაცვალსახელები.

ნიშანდობლივია ერთი მომენტიც: ცნობილია, რომ ნებისმიერი მეტყველების ნაწილი შეიძლება იბრუნოს, უფრო სწორად, გარკვეული ბრუნვის ფორმით იქნეს წარმოდგენილი სპეციალურ კონტექსტში. ყველა ამ შემთხვევაში ეს სიტყვა (ზმნაც კი) არსებითის მნიშვნელობას იძენს, სუბსტანტივდება (იხ. ანდაზები „არმინდამ ცხრა ხანკალი შეჭამაო“; „ვიან გავეყარე, უის შეეყარეო“ და მისთ.).

ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ იბრუნვის ზმნა, შორისდებული თუ აღნიშნული ფუნქციით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილი. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ იბრუნვის ყველა და ყველაფერი, რასაც სუბსტანტივის ფუნქციით გამოვიყენებთ, რადგანაც ბრუნება სუბსტანტივის დამახასიათებელი მთავარი გრამატიკული ნიშანია. ზედსართავი სახელი იბრუნვის მაშინ, როდესაც იგი უკვე აღარ არის ზედსართავი ამ ტერმინის სრული და ზუსტი გაგებით. არსებითი სახელის სემანტიკას თავისთავად მოჰყვება შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურა.

* * *

რაც შეეხება არსებით სახელთან — როგორც საზღვრულთან — დაკავშირებული მსაზღვრელების (ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიწლეობა) ბრუნების საკითხს, იგი მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება. მსაზღვრელი სახელები იბრუნვიან იმდენად, რამდენადაც აქვთ უნარი, სინტაქსური ურთიერთობა (შეთანხმება) დაამყარონ სხვა (ბრუნებად) სიტყვასთან. მათი ბრუნვის ფორმა გამოწვეული ფორმაა. ისინი ერთგვარად „მორჩილი“, დამოკიდებული ფორმები არიან, რომლებიც სინტაგმის წამყვანი წევრის ნებას ექვემდებარებიან. შესაბამისად, მსაზღვრელი სიტყვის ბრუნვის ფორმა — ესაა არსებითთან, ასახსნელ სიტყვასთან ბრუნვაში შეთანხმების შედეგი. ეს შედეგები არაერთგვაროვანია. სხვაობის მიზეზები სხვადასხვაა: ერთ შემთხვევაში მსაზღვრელი სიტყვის ფუძის საკითხია გადამწყვეტი (განსხვავებულად იბრუნვის პაჭარა სახლი და დიდი სახლი), სხვა შემთხვევაში — მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის საკითხი (პრეპოზიციურია იგი თუ პოსტპოზიციური). განსხვავებულია ვითარება ჭველსა და ახალ ქართულშიც. ძველ ქართულში შეთანხმება სრული იყო. — ატრიბუტული მსაზღვრელი სრულად იღებდა საზღვრულის ბრუნვის ფორმას. შესაძლოა, ამას ხელს უწყობდა ძველი ქართული-სათვის უფრო ნიშანდობლივი პოსტპოზიციური წყობა მსაზღვრელ-

საზღვრულისა, მით უფრო, რომ პოსტპოზიციური წყობის შემთხვევაში თანამედროვე ქართულშიც ძველი ვითარებაა შენარჩუნებული. პრეპოზიციური წყობისას კი დღეს საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს. ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საერთოდ აღარ იბრუნვის, თანხმოვან-ფუძიანი კი — მხოლოდ ნაწილობრივ.

საეარაუდოა, რომ სინტაგმის წევრთა კავშირი პრეპოზიციური წყობისას უფრო მჭიდროა და შესიტყვებაც — უფრო შეკრული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტებსა და სასაუბრო მეტყველებებაში ტენდენცია აშკარად ბრუნვის ნიშანთა დაკარგვისაკენ არის მიმართული, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მსაზღვრელი, ამხსნელი სახელისათვის ბრუნვის ნიშანი არაა აუცილებლად საჭირო. გამოკვეთილი გრამატიკული ფუნქციის მქონე ფორმანტი, რომლის დაკარგვა გააბუნდოვანებდა სათქმელს, მით უფრო, შეცვლიდა შესიტყვების შინაარსს. ხოლო იქ, სადაც ამა თუ იმ ფორმანტს არა-არსებითი, მეორეხარისხოვანი ფუნქცია აქვს, დროთა განმავლობაში აუცილებლად სდება ფორმოზბრივი ცვლათა.

ცალკე საკითხია, რატომ არ იკარგება ბრუნვის ნიშანი პოსტპოზიციური წყობისას. ანდა გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში. ვფიქრობთ, აქ არსებითია მსაზღვრელისა და საზღვრულის განსხვავებული სემანტიკური კავშირის საკითხი, მათი ერთ მთლიან სემანტიკურ ოდენობად მოაზრების სირთულე.

მსაზღვრელი სიტყვა დამატებითი ინფორმაციის შემცველია როგორც საზღვრული სიტყვისათვის, ისე მთელი წინადადებისათვის. მთავარი სემანტიკური დატვირთვა (და ამიტომ გრამატიკულიც) აქვს ასახსნელ სიტყვას, სინტაგმის წამყვან წევრს. მსაზღვრელის პრეპოზიციის შემთხვევაში, თუ მას უშუალოდ მოსდევს საზღვრული (დიდი სახლი), სინტაგმატური კავშირი ძალიან მჭიდროა, რადგან სემანტიკური დატვირთვა, სინტაქსური ფუნქცია აღმავალია, პროგრესული — მცირედიდან, ნაკლებმნიშვნელოვანიდან — დიდისაკენ მიმართული. მსაზღვრელი თითქოს საზღვრულის ნაწილად, მისი გარკვეული სემანტიკური ნიშნის გამომხატველ ელემენტად აღიქმება. ამ თვალსაზრისით მსაზღვრელ-საზღვრული შეიძლება განვიხილოთ როგორც რთული ფუძე, რომელიც ბრუნვის ნიშნებს, ბუნებრივია, ბოლოში დაირთავს. საზღვრულისათვის მთავარია მსაზღვრელის ფუძისეული მნიშვნელობა, ხოლო მისი ფორმოზბრივი „არასრულყოფილების“ კონპენსაცია შესაძლებელია უშუალოდ მისი მომდევნო საზღვრულის ფორმით.

პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში სინტაქსის წევრთა სემანტიკურ-სინტაქსური კავშირი დამავალია, — მნიშვნელონიდან, დიდიდან — მცირისაკენ. ნაკლებმნიშვნელოვნი-საკენ. ასახსნელი სიტყვის პირველ რიგში დასახელება შედარებით ასუსტებს მსაზღვრელ-საზღვრულის ერთიან სემანტიკურ ერთობლიობად წარმოდგენის შესაძლებლობას. მსაზღვრელი დამოუკიდებელი მნიშვნელობის ჟღერადობას იძენს. გარდა ამისა, შეთანხმების წამყვანი წევრის პირველ რიგში წარმოდგენა მასზე დამოკიდებულისაგან, მასთან შეთანხმებულისაგან ამ შეთანხმების დასტურად ითხოვს შესაბამისი ფორმის გამეორებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სინტაქსატური კავშირი მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ვერ შეიკვრება. თუ მან არ მიიღო იგივე ფორმა, რაც მის საზღვრულს, მის წარმართავს აქვს, იგი ვერ „დაამტკიცებს“ მასთან სინტაქსურ „ახლობლობას“.

პოსტპოზიციური მსაზღვრელისათვის ბრუნვის ნიშნის დართვის აუცილებლობას კარგად დავინახავთ, თუ მასაც, პრეპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის მსგავსად, რთულ ფუძეს შევუდარებთ. სხვა სიტყვებთან დამოკიდებულების დასამყარებლად ან საერთოდ ფორმაცვალბად სიტყვად გასაფორმებლად ამ „რთულმა ფუძემ“ ბოლოში (ე. ი. მსაზღვრელზე) აუცილებლად უნდა დაირთოს ბრუნვის ნიშანი.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ხმოვანფუძიანმა პრეპოზიციურმა მსაზღვრელმა ძალიან ადვილად დაკარგა ბრუნვის ნიშნები (პატარა სახლი, პატარა სახლმა, პატარა სახლს, პატარა სახლის, პატარა სახლით, პატარა სახლად). მაშინ, როდესაც თანხმოვანფუძიანი პრეპოზიციური მსაზღვრელის მიერ ბრუნვის ნიშანზე უარის თქმა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესია და სხვადასხვა ბრუნვისათვის სურათიც არაერთგვაროვანია (სახელობითი, მოთხრობითი, წოდებითი ჯერ კიდევ ხელშეუხებელია, მიცემითსა და ვითარებითში სრულიად მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი, ნათესაობით-მოქმედებითში — მხოლოდ ნაწილობრივ: დიდი სახლი, დიდმა სახლმა, დიდ სახლს, დიდი სახლის, დიდი სახლით, დიდ სახლად, დიდო სახლი).

ვფიქრობთ, ხმოვანფუძიან მსაზღვრულს ბრუნვის ნიშნის დაკარგვა გაუადვილა ფუძისა და სახელობითი ბრუნვის ფორმათა იდენტურობამ. მსაზღვრელის სახელდება ემთხვევა ამავე სიტყვის ფუძეს და ამჟღავნად იგი გაფორმებული ფუძეა. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი კი თავისი გაუფორმებელი, ერთგვარად დაუმთავრებელი

ფორმის გამო (სახელდება და ფუძე განსხვავებულია: დიდ-ი, დიდ-) უფრო მეტად საჭიროებს ბრუნვის ნიშანს, როგორც ფუძის ფორმაცვლებადობის მანიჭებელს, ნიშანს იმისას, რომ იგი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვაა და არა მორფემოიდული ტენდენციის ელემენტი.

ამავე ნიშნით (ბრუნვის ნიშნის მქონებლობით) უპირისპირდებოდნენ საზოგადო სახელები ადამიანთა სახელებს ძველ ქართულში, რისი დანალექიც თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაშიც დასტურდება. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ერთი ენობრივი მოვლენა: თუ საგანგებო სტილურ დანიშნულებას არ ჩავთვლით, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი პოსტპოზიციური წყობა მსაზღვრელ-საზღვრულისა ახალ ქართულში შენარჩუნებული იქნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად ხელობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ზოგი სახელია, ხოლო საზღვრულად საკუთარი სახელი: თამარ მეფე, გიორგი მეფე. დამატებითი სპეციფიკური ატრიბუტის დართვისას მსაზღვრელი პრეპოზიციური ხდება, ახალი ატრიბუტი კი პოსტპოზიციამი ინაცვლებს: მეფე გიორგი ბრწყინვალე¹.

საინტერესოა, რომ ასეთი მსაზღვრელ-საზღვრულის (თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, სოლომონ ბრძენი, დიმიტრი თავდადებული, პიპინ მოკლე...) ბრუნების დროს ბრუნვის ნიშნებს იღებს მხოლოდ პოსტპოზიციური მსაზღვრელი, საზღვრული კი. მიუხედავად იმისა, რომ იგი სინტაგმის წამყვანი წევრია, უბრუნველია — სავარაუდოა მისი თავდაპირველი უბრუნველი ბუნების გამო: ძველ ქართულში ხომ ადამიანთა სახელები მთელ რიგ ბრუნვებში ფუძის სახით იყო წარმოდგენილი. ბრუნვის ნიშნის დართვა მხოლოდ მსაზღვრელ სახელზე მაჩვენებელია, ერთის მხრივ, ამ შესიტყვების ერთიან სემანტიკურ ოდენობად აღქმისა, მეორე მხრივ კი, მსაზღვრელის განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვისა.

მეფე, ბრძენი, აღმაშენებელი, ბრწყინვალე, თავდადებული, მოკლე... დამატებითი ატრიბუტები, დამატებითი ინფორმაციის მომცემი მსაზღვრელები კი არ არიან ასეთ გამოთქმებში. არამედ მოცემული საზღვრულის მიუცილებელი ნიშნები, ურთმდობისადაც აღნიშნული სახელდება უკვე წარმოდგენილია. ამ მხრივ შედარებით ზოგადია მეფე, რადგანაც იგი სხვა საკუთარ სახელებთანაც

¹ შ. აფრეონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986, გვ. 119.

(სხვა მეფეებთანაც) ქმნის სინტაქსურ წყვილს, მაგრამ აღმაშენებელი, ბრწყინვალე, თავდადებული... ტიპის მსაზღვრელები სემანტიკურად განსაკუთრებით აქცენტირებულნი არიან. რამდენადაც სწორედ მათი საშუალებით სდება შესიტყვების ადრესატის გამოჩენვა იმავე საკუთარი სახელის (საზღვრულის) მქონე სხვა პირებისაგან. ამავე ფუნქციისაა ერთი და იმავე სახელის მქონე მეფეთა და კათალიკოსთა ქრონოლოგიური რიგითობის მიხედვით კლასიფიკაცია: გიორგი I, გიორგი II... გიორგი XIII; ანტონ პირველი, ილია მეორე და ა. შ.

განხილულ შესიტყვებებში საკუთარ სახელად მიიჩნევა არა მხოლოდ საზღვრული, არამედ მთლიანად გამოთქმა: თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, სოლომონ ბრძენი... ამავე მიზეზით ზოგი აქ გამოთქმათაგანი დეფისით დაწერილიც შეიძლება შეგვხვდეს. არსებითად ამავე რიგისაა: თამარ-ქალი, ფატმან-ხათუნი, სასა-უბრო-მოფერებითი ზაზა-ბიჭი, ეკა-გოგო, თბილის-ქალაქი და მისთ. თუ ამგვარ გამოთქმებში რიგს შევცვლით, საზღვრული ხდება მაშინ ბრუნებადი, მსაზღვრელი კი მისდევს იმავე წესებს, რასაც საზოგადო სახელებთან სინტაგმატური კავშირისას: მეფე თამარი, მეფე თამარმა, მეფე თამარს... საინტერესოა, რომ ასეთ გამოთქმათა უმრავლესობის მყარი სემანტიკური განსაზღვრულობა პრეპოზიციის შემთხვევაში ირღვევა და, თუ პოსტპოზიციის დროს მთელი გამოთქმა იყო საკუთარი სახელი, პრეპოზიციისას ასეთი მხოლოდ საზღვრულია. შდრ.: სოლომონ ბრძენი და ბრძენი სოლომონი, დიმიტრი თავდადებული და თავდადებული დიმიტრი... სინტაგმის წყვილთა მყარი რიგის დარღვევა საზოგადო სახელთა რიგში აბრუნებს მსაზღვრელს და ამით საზღვრულის სემანტიკასაც აფართოებს. ბრძენი სოლომონი შეიძლება ითქვას არა მხოლოდ სოლომონ ბრძენის სახელით ცნობილი პირის მისამართით, არამედ მოსაუბრის თვალსაზრისით ნებისმიერი ჰქვეიანი კაცის შესახებაც, რომელსაც სოლომონი ჰქვია. განსაკუთრებით სპეციფიკური მსაზღვრელის შემთხვევაში კი საერთოდ შეუძლებელია სინტაგმის წევრთა რიგის შეცვლა (მაგ., პიპინ მოკლე), თუ რა თქმა უნდა, გამოთქმის ობიექტის მიმართ საგანგებო უპატივცემულობის, არათავაზიანობის ხაზგასმა არ გვინდა, რასაც, ისინი, ჩვეულებრივ, არ იმსახურებენ.

მსაზღვრელ-საზღვრულის წყობას ძირითადად სტილური დანიშნულება აქვს და ამ წყობის ინვერსიას ხშირად მსაზღვრელის მნიშვნელობის აქცენტირება, მისი მნიშვნელობის აღქმის სისრულის

საჭიროება უდევს საფუძვლად. როგორც შენიშნავენ, ასეთ შემთხვევაში სინტაგმის თითოეულ წევრს დამოუკიდებელი ჯღერადობა და თავისთავადი ღირებულება ეძლევა, რადგანაც, თუკი პრეპოზიციისას საზღვრულისაკენ მიმავალ გზაზე ნებისმიერი მსაზღვრელი მნიშვნელობა შთაინთქმის მათი აღქმის ერთიანობა-მთლიანობის ხარჯზე, პრეპოზიციისა და გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში სინტაგმის ღერძის — სუბსტანტივის მომდევნო ნებისმიერი წევრი თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობით წარმოდგება. ეს შედარებითი დამოუკიდებლობა ფორმობრივ „თვითდამკვიდრებაშიც“ აისახება.

პოსტპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკური კავშირი რომ სუსტია, ამაზე მეტყველებს განკერძოებული განსაზღვრებისა და დანართის შემთხვევები. ერთიკა და მეორეც არსებითად მსაზღვრელ-საზღვრულის შესუსტებული კავშირისა და დამოუკიდებელ ერთეულებად წარმოდგენისაკენ სწრაფვის შედეგია.

ზემოთქმულის საფუძველზე კიდევ უფრო მარტივია გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურების ახსნა. რაც უფრო შორდება ერთმანეთს საზღვრული და მსაზღვრელი, მით უფრო იზრდება მსაზღვრელის დამოუკიდებლობის ხარისხი. მსაზღვრელის ბრუნვის ფორმა ამ შემთხვევაში საზღვრულთან სემანტიკური და სინტაქსური კავშირის მანიშნებელი აუცილებელი ფორმობრივი რეალობაა:

იმავ დღეს, შეილო, ღედილამ, კრელს ჩაეცომებ კახასა (ვაჟა); კადეში შევალ სრულიად მარტო და ორს ავიყვებ სასძელით ქიქას (გ. ტაბ.); და ერთ ქრისტემ გალილეი აირჩია, მე ტფილისის ავირჩიე მეგბეო (გ. ტაბ.); ქუზაში საში საუბრობს ბიკი (მ. შავ.); იმ ხალხბოვით რღვეშაღო და ისე ძველი ასე კროლა და ცომცემბდა, ბრწყინავდა სპერა? (ა. კალანდია).

მაშასადამე, ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში ხმოვანფუძიანი პრეპოზიციური მსაზღვრელის გარდა ბრუნვის ნიშნებს სრულად ან ნაწილობრივ დაირთავს ყველა სახის მსაზღვრელი: პრეპოზიციური (თანხმოვანფუძიანი), პოსტპოზიციური, სხვა წევრით გათიშული, მაგრამ ამ ბრუნვის ნიშანთა ფუნქცია არაა იმგვარივე, როგორიც საზღვრულისა. მსაზღვრელი ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს და საჭიროების შემთხვევაში მეტ-ნაკლებად იმყო-

⁵ შ. აფრილონიძე, ინერსიის სტილისტიკური დანიშნულებისათვის, თსუ შრომები, B 4 (143), თბ., 1971, გვ. 60.

რებს მის ფორმას (ისევე, როგორც რიცხვში შეთანხმებისას გვაქვს. ვაიხსენებ: წვრილნი ვარსკვლავნი, დიდთა ხეთა და მისთ).

საინტერესოა ერთი მომენტი: თანხმობის ფუნქციური მსაზღვრელი მიცემითი ბრუნვის ნიშანს კარგავს ყოველთვის, ეგრეა ორი შემთხვევისა.

1. როდესაც მსაზღვრელის ფორმა მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვისაგან არის ნაწარმოები (დროებითი სამუშაო, პირველადი დასმარება, ფულადი კონპენსაცია...) და ფუძის სახით წარმოდგენისას არის ორაზროვნების საშიშროება — წარმოქმნილი ფუძე ზმნის მსაზღვრელად (ზმნისართად) იქნეს გაგებული თუ სახელისა. შდრ.: „დროებით(ს) სამუშაოს ვეძებ“. იმის მიხედვით, სამუშაოა დროებითი თუ ძებნა, სინტაქსური წყვილები იქნება: დროებით(ს) სამუშაოს ან დროებით ვეძებ. ამგვარი მსაზღვრელები ვითარებით ბრუნვაშიც კი -ს-ს დაირთავენ დღეისათვის მხოლოდ და ან თუ კავშირით შეერთებული ერთგვაროვანი მსაზღვრელების შემთხვევაში: „დროებითსა და ყველა სახის არასისტემატურ სამუშაოდ მიიჩნევა ისეთი საქმიანობა...“.

მიცემითის -ს-ს აღნიშნულ კონსტრუქციაში სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია უფრო აქვს, ვიდრე ფლექსიური. იგი ერთგვარად „აბათილებს“ მოქმედებითისა და ვითარებითის შემორჩენილ ფუნქციებს და ერთიან ფუძედ აქცევს სიტყვას. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საზღვრულისათვის არსებითია მსაზღვრელის ფუძისეული მნიშვნელობა, ბრუნვის ნიშნებს კი მისთვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს (ეს პრეპოზიციის შემთხვევაში, პოსტპოზიციისას კი — არსებითი, ოღონდ არა საზღვრულისათვის, არამედ მსაზღვრელისათვის). მიცემითის -ს ფონეტიკურად ყველაზე ნეიტრალურია სხვა ბრუნვის ნიშნებთან შედარებით (უხმოვნოა), მაღიან გავრცელებული ბგერაა საერთოდ სიტყვის ბოლოში: ეგრეა ამისა, თანხმობის ფუნქციური მსაზღვრელის დროს მიცემითი და ვითარებითი ერთნაირად, ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი. თუ მათ ზოგიერთ საერთო ფუნქციასაც გავითვალისწინებთ, არ უნდა ჩანდეს შემთხვევითად, რომ აღნიშნულ კონსტრუქციაში ვითარებითმა იმავე ფორმას მიმართა, რაც მიცემითთან ვითარებითს.

2. მიცემითის -ს შესარიხნებულაა აგრეთვე მ.შ.ან, როდესაც მ.შ.ან ნიშნის კუთვნილებითი ნაცვალსახელია მსაზღვრელად: ჩვენს (ჩვენს) ოთახს, შენს (თქვენს) საქმეს. ამავე ნაცვალსა-

ხელებთან -ს გვაქვს ვითარებით ბრუნვაშიც: ჩემს (ჩვენს) ოთახად, შენს (თქვენს) საკმედ⁶.

ფიქრობთ, ბრუნვის ნიშნის სიმყარე ამ შემთხვევაში განაპირობა მსაზღვრელის გამოკვეთილმა პერსონიფიკაციულმა სემანტიკამ, რის გამოც მას უფრო თავისთავადი და მყარი მნიშვნელობა აქვს და საზღვრულის ფუძესთან შერწყმისაკენ არ ისწრაფვის. ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი⁷ ორმაგი, დამატებითი ინფორმაციის შემცველი მსაზღვრელები არიან, — ერთი, რომ კუთვნილებას აღნიშნავენ, მეორე — ამ კუთვნილების პერსონიფიკაციას ახდენენ, პირზე მიუთითებენ.

ამგვარად, თუკი შევთანხმდებით, რომ დამოუკიდებლად, საზღვრულის გარეშე, არამსაზღვრელი ფუნქციით ზედსართავი სახელი არ არსებობს, მაშასადამე, არც მის ბრუნებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ბრუნება და რიცხვი არ არის საკუთრივ ზედსართავი სახელისათვის დამახასიათებელი კატეგორიები. ზედსართავი ღა რიცხვითი სახელები, როგორც ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები, იღებენ ბრუნვისა და რიგ შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ნიშნებს, როგორც საზღვრულთან შეთანხმებული სინტაქსური კავშირის მაჩვენებელს.

მსაზღვრელი სახელის გასუბსტანტივება არსებითად ელიფსისის შედეგია. წინადადების მოსალოდნელი წვერის გამოტოვება სტილური თუ სხვა დანიშნულებით თავის კვალს ტოვებს შესიტყვების სტრუქტურაზე. ფორმობრივად გაუჩინარებული წვერი სემანტიკურად ისევე წინადადებაში რჩება, მეტიც, მისი გრამატიკული შესაძლებლობანი შენარჩუნებულია რომელიმე წვერის ბაზაზე. (საზღვრული სიტყვის გამოტოვების შემთხვევაში ასეთი წვერი, რასაკვირველია, მსაზღვრელია).

საგანგებო აღნიშვნას ითხოვს მათემატიკური ოპერაციების დროს გამოყენებულ რიცხვით სახელთა ენობრივი ფუნქცია: „ერთს მიუვმატოთ ორი იქნება სამი“; „ოცი, გაყოფილი ხუთზე, ოთხია“ და მისთ. ფაქტია, რომ ერთი, ორი, სამი, ოცი, ხუთი, ოთხი აქ სუბსტანტივის ფუნქციით იხმარებიან (ამალაც იბრუნვიან) და სინტაქსური კვალიფიკაციით განსხვავდებიან რთული

⁶ მსაზღვრელი სახელს შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში. თანაგვ. ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. პარკელი კრებული. თბ., 1972, გვ. 10.

⁷ მესამე პირის კუთვნილებითი ნაყოფსახელების მეორე მ. ცნობით ბრუნვის ნიშნის დაკარგვა წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე ხდება: მის(ს) სახლს, მათ(ს) ნავსს.

რიცხვითი სახელების ფუძეში შემავალი ამავე ფორმებით წარმოდგენილი მსაზღვრელი ნაწილისაგან: ორი ათასი, სამ-ასი, ოცი მილიონი, სუთი ათასი...

სავარაუდოა, რომ მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ერთიდან ათამდე, აგრეთვე ოცი, ასი) ენაში იმთავითვე იზოლირებულად იხმარებოდა და სახელდების მომენტისთვისვე იქნა დაშვებული გარკვეული პირობითობა, აბსტრაქტირება და საჭიროდ არ ვახდა მათი სემანტიკის (რაოდენობის) საგნობრივი მიმართების დაზუსტება. ამიტომ მათემატიკური ოპერაციების დროს გამოყენებული რიცხვითი სახელების ფუნქცია აიხსნება არა ენობრივი კომპარისის, ელიფსისის საფუძველზე, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით.

* * *

სუბსტანტივაციის საპირისპირო მოვლენაა ადიექტივაცია, როცა საწყაოს, საზომი ერთეულის, საერთოდ, ზომა-ოდენობის აღმნიშვნელი არსებითი სახელია გამოყენებული ზედსართავის ფუნქციით: ურემი (შეშა), ქილა (ერბო), კილო (ვაშლი), მუჭა (ფეტვი)... ასეთ შემთხვევაში ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი ამხსნელი სიტყვაა, მსაზღვრელი და იგი ზუსტად ისე იქცევა, როგორც ანალოგიურ შემთხვევაში ზედსართავი სახელი, — მისი ბრუნვის ფორმები გამოწვეული ფორმებია და არამყარი — ზოგი იკარგება, ზოგიც — შენარჩუნებულია.

არსებითად ადიექტივაციური პროცესია მართულმსაზღვრელიან შესიტყვებაში არსებითის მონაწილეობის ფაქტი. შესიტყვებაში ხის სახლი შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთობა სემანტიკურად ისეთივეა, როგორიც დიდი სახლისა თუ კოხტა სახლისა. დასახელებულ შემთხვევებში სახლის ამა თუ იმ ნიშნით განსაზღვრა ხდება. წამყვანი სიტყვისათვის (სახლი) ამხსნელი ანუ მსაზღვრელი სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ფაქტობრივად ფუძის ტოლფასია. სასურველი სემანტიკური ნიშნისათვის საჭირო ფორმა ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვით გაფორმდა. აქ ნათესაობით ბრუნვას უფრო სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს, ვიდრე გრამატიკული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პოსტპოზიციური წყობისას ფუძედ აღებულია ნათესაობითის ფორმა და შემდეგ ხდება შეთანხმება ბრუნვაში (სახლი ხისა, სახლმა ხისამ, სახლს ხისას...), ზუსტად ისევე, როგორც კოხტა (ან პატარა) სახლის პოსტპოზი-

ციის შემთხვევაში (სახლი პატარა, სახლმა პატარამ, სახლს პატარას...), სინტაქსური დამოკიდებულება შესიტყვებისა პატარა სახლი და დიდი სახლი ერთ სიბრტყეზე განიხილება მხოლოდ დიაქრონიულ დონეზე. დღეისათვის პატარა სახლისა და ხის სახლის წევრებს შორის სინტაქსური კავშირი ერთნაირია.

* * *

საინტერესოა პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების საკითხიც. ცნობილია, რომ ეს, ეგ, ის, იგი პოლიფუნქციური ნაცვალსახელება და მათი გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ სინტაგმატურ დონეზე. სახელთან დაკავშირებისას მათ ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვთ, ზმნასთან — პირისა. ამასთან, პირის ნაცვალსახელი — ეს იგივე სუბსტანტივია, მისი ფარდი, არსებითი სახელის ნაცვალი. ჩვენებითი ნაცვალსახელი კი სინტაქსურად მუდამ განსაზღვრებაა.

პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებაზე მსჯელობისას — ისევე, როგორც ზედსართავი და რიცხვითი სახელების შემთხვევაში — განარჩევენ ბრუნების ორ სახეს: დამოუკიდებელსა და არსებით სახელთან ერთად. მაგრამ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ხომ იმის მიხედვით გაიჩევა, არსებითთან არის იგი ნახმარი, თუ — არა. მაშასადამე, შეუძლებელია აღნიშნულ ჩვენებით ნაცვალსახელებზე მსჯელობა, როგორც არსებითის გარეშე, დამოუკიდებლად ბრუნებად სახელებზე — ისევე, როგორც არ შეიძლება პირის ნაცვალსახელთა ბრუნების განხილვა არსებით სახელთან ერთად. არსებითის, ასახსნელის გარეშე ეს, ეგ, ის, იგი — პირის ნაცვალსახელები არიან და იბრუნვიან ისე, როგორც შესაბამისი სუბსტანტივები⁸. სოლო არსებითთან ერთად ნახმარი ეს, ეგ, ის, იგი ჩვენებითი ნაცვალსახელები არიან და მათი ბრუნვის ფორმა გამოწვეულია მისი ასახსნელი, წამყვანი სიტყვით (საზღვრულით).

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ჩვენებითი ნაცვალსახელები არსებით სახელთან (საზღვრულ სიტყვასთან) ბრუნებისას პრეპოზიციური წყობისას ბრუნვისნიშანშეკვეცილები, ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი (ეს კაცი, ამ კაცმა, ამ კაცს, ამ კაცის...), პოსტ-

⁸ მხედველობაში გვაქვს არა მთი ფორმობრევი იდენტურობა (აღნიშნული ნაცვალსახელები ორ ფუძეს იყენებენ ბრუნებისას, არსებითი — ერთს), არამედ გრამატიკული სისტემისა და ფუნქციების ერთგვარობა.

პოზიციური რიგისას კი ისინიც ისევე მიიღებენ ბრუნვის ნიშნებს, როგორც შესაბამის სტრუქტურაში ზედსართავი თუ რიცხვითი სახელები (კაცი იგი, კაცმა იმან, კაცს იმას...) თუმცა ძველი ქართული სათავის ნიშანდობლივი ეს ფორმები თანამედროვე ქართულში უკვე აღარ გვხვდება, ალბათ ამ ნაცვალსახელთა ნაწევრული ფუნქციის დაკარგვის გამო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსაზღვრელად გამოყენებულ ჩვენებით ნაცვალსახელთაგან (ეს, ეგ, ის, იგი) იგი მხოლოდ გარკვეული სტილური დანიშნულებითღა იხმარება, სხვაგვარად „ახალი ქართულის ადრინდელი პერიოდიდან მოკიდებული იგი მსაზღვრელის ფუნქციით აღარ იხმარება“⁹, მსაზღვრელის როლში ჩვეულებრივ ის ნაცვალსახელი გამოდის და არა იგი¹⁰. მიზეზი ალბათ მის ფუძემოვნიანობაშია საძიებელი. მართალია, XVIII საუკუნემდე სრული იგი-ს გვერდით დასტურდება მისი ბოლოსმოვანმოკვეცილი იგ ფორმაც¹¹, მაგრამ ეს პროცესი არ განვითარებულა და ენობრივ ნორმად არ ქცეულა, რამაც, ვფიქრობთ, შეზღუდა კიდევ იგი-ს გამოყენება მსაზღვრელი სახელის ფუნქციით. როგორც ვარაუდობენ, სწორედ პრეპოზიციურმა წყობამ, მსაზღვრელი ნაცვალსახელების გადმოწევამ საზღვრული სახელის წინ შეუწყო ხელი ჩვენებით ნაცვალსახელთა ბოლო ხმოვნის მოკვეცას (ესე კაცი — ეს კაცი) და მათ შემდგომ უბრუნველობას (ამ კაცმა, ამ კაცს...) ¹².

* * *

წარმოდგენილი მსჯელობა გვიბიძგებს იმისაკენ, რომ გადავსაინჯოთ სასკოლო თუ სტუდენტთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის, ჩვენებით და პირის ნაცვალსახელთა, მიმღობების ბრუნებასთან დაკავშირებუ-

⁹ „მარტივი რიგის, ნაცვალსახელი ქართულურ ენებში, თბ., 1941, გვ. 127.

¹⁰ არს. ჩიქობავა, ლიტერატურის საკითხ-სათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენის მოამბე, III, 1938, გვ. 216.

¹¹ ნ. ჩართოლანი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართულურ ენებთან შედარებით, თბ., 1985, გვ. 119.

¹² იქვე, გვ. 99, 119.

ლი საკითხები. დამაჯერებელი არ ჩანს მათი ბრუნების განხილვის საჭიროება ცალკე და არსებითთან ერთად (არგუმენტებს აღარ გავიმეორებთ). შედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის, მიმღეობისა და ზოგიერთი ჯგუფის ნაცვალსახელის ბრუნების განხილვა ყველაზე მოსახერხებელია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობისას.

მუშაან სუხრუველი

ერთი ტიპის გაორკეცებული სიტყვების შესახებ ქართულში

ფუძის გაორკეცება სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი მრავალ ენაშია გავრცელებული. მნიშვნელოვანია მისი წილი ქართული ენის სიტყვაწარმოებაშიც. ა. შანიძის, გ. დეეტერსის, ვ. თოფურიას, ფ. ნაისერის, ლ. კვაჭაძის, ივ. იმნაიშვილის, ვ. იმნაიშვილის, ფ. ერთელიშვილის, ლ. სანიკიძისა და სხვათა შრომებში შესწავლილია რედუპლიკაციის საკითხები ქართველურ ენებში, გამოვლენილია რედუპლიკაციის ტიპები. რედუპლიკაციის ამოსავალი მნიშვნელობა სიმრავლე-ინტენსივობა-განმეორადობის გამოსატყვავა; სხვა მნიშვნელობები აქედან უნდა მომდინარეობდეს¹.

როგორც სტილისტიკური საშუალება, ფუძის გაორკეცება ქართულში გამოიყენება ხარისხის (უფროობის) გადმოსაცემადაც. ამგვარი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები საგნის ამა თუ იმ ნიშანს მეტი ოდენობით გამოსატყავს: დიდ-დიდი, ცხელ-ცხელი, წვრილ-წვრილი...². ეს არის ფუძის გაორკეცების მარტივი შემთხვევები — ფუძეუცვლელი გაორკეცება. „უფროობას“ გადმოსცემენ იმგვარად გაორკეცებული სიტყვებიც, რომელთა შემადგენელი ნაწილები ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულის დამოკიდებულებაში არიან — რედუპლიკაციის ერთ-ერთი წევრი მართული მსაზღვრელია: ძველისძველი, მეტისმეტი, ახალთახალი, მოძღვართმოძღვარი... ფუძეუცვლელი მარტივი გაორკეცებული და მართულმსაზღვრელიანთ გაორკეცებული სიტყვები განსხვავებულნი არიან არა მხოლოდ წარმოებით, არამედ გამოყენების ზოგი თავისებურებითაც. მაგ.: არ

¹ ქ. ლომთათიძე, რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენიკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 134.

² თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 130.

დასტურდება არსებითი სახელების მარტივი გაორკეცება ხარისხის გამოსახატავად (შდრ.: მარტივად გაორკეცებული არსებითი სახელის ფუძე წყალ-წყალა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის „წყალივით თხელი, წყლიანი, წყალნარევი“)³. მართულმსაზღვრელიან გაორკეცებაში ფუძედ ზედსართავი სახელიც გვაქვს და არსებითიც (ძველისძველი... გულისგული); ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელად გვევლინება (ძველისძველი სახლი)...

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვისთვის მნიშვნელობა არა აქვს მსაზღვრელის რიცხვს; მხოლოდობით რიცხვში იქნება მსაზღვრელი, თუ მრავლობითში, მნიშვნელობა ერთი უჩანს: გულისგული || გულთაგული, ძველისძველი || ძველთაძველი... ოღონდ ამგვარი პარალელური ფორმები მხოლოდობით-მრავლობითისა იშვიათია.

მარტივად გაორკეცებული ფუძეები ხარისხს გამოხატავენ იმ შემთხვევაში, თუ ერთ საგანს მიემართებიან: შავ-შავი კაცი, ლამაზ-ლამაზი გოგო... მაგ.:

ბერძნულის მასწავლებელი შავ-შავი ხელი კაცი იყო (ეჟა).

თუ საზღვრული მრავლობითშია, მაშინ ამგვარი გაორკეცება, როგორც ჩანს, უფრო სიმრავლეს გამოხატავს:

ამარიგეს, ჩამარიგეს წერილ-წერილ ლამაზებზედაო (ხალხ.).

შდრ.:

უვლა ამ საქმელებს მოსდევდა... ცივ-ცივი... წითელი ღვინო (ნ. ლმ.).

[ზაქარამ] ცხელ-ცხელი გოქის თავი ქვაბიდან ამოაბრძანა (თ. რაზიკ.).

აი, ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო... მოვიდა (დ. კონქ.).

და:

სოფლის გარშემო ადგილები სულ საესე იყო ცივ-ცივი წყაროებითა (ი. გოგებ.).
ღედაკაცს გამოეტანა ხელად ხონჩა: კარგა ცხელ-ცხელი მკადები, ყველი და ღვინო (გ. წერეთ.).

მრავალი ლამაზ-ლამაზი ტიკინები, კამფეტებით საესე ყუთები მოქონდათ მასთან (ნ. ლმ.)...

გაორკეცების ეს სახეობები მნიშვნელობის ნიუანსითაც განსხვავდებიან (მართალია, ახალ-ახალი = ახალთახალი, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევაა). საინტერესოა, რომ ქველ-ში ხარისხის აღმნიშვნელი გაორკეცებული ფუძეები უმეტესად განსხვავებულად

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქველ-ი), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, თბ., 1950—1964 წწ.

არის განმარტებული: მაღალ-მაღალი „საკმაოდ მაღალი“, შავ-შავი „საკმაოდ შავი“, წვრილ-წვრილი „საკმაოდ წვრილი“, ლამაზ-ლამაზი „საკმაოდ ლამაზი“ (მაგრამ — ცხელ-ცხელი „ძალიან ცხელი“, დიდ-დიდი „დიდი და დიდი“ || მოდიდო...). შდრ.: მეტის-მეტი „ზომაზე მეტი, ნამეტანი“, ძველთაძველი „ძალიან ძველი“, ძველისძველი „უძველესი“, ძალთაძალი „მეტად დიდი, უდიდესი ძალა“ || ძალთაძალა:

[შეგვჩნა] ის, რაც ცხოვრების ძალთა-ძალას შეადგენს — დედა ენა (აკაკი). ბევრის-ბევრი „ძალიან ბევრი, უთვალავი, აურაცხელი, უამრავი“:

ნახეს ქალაქი მოცულ გარე ბლისა ტვერითა, გვარად უცხონი ყვაილნი, ფერი-თა ბევრის-ბევრიოთა (რუსთაველი)...

ერთცნებიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიციები, რომელთა პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში დგას, ძველ ქართულში განხილული აქვს ივ. იმნაიშვილს⁴. ეს ფორმებია: გარის-გარე, ზატიკის-ზატიკი, ზოგის-ზოგი, ზღუდის-ზღუდე, კიდის-კიდე, შიგნის-შიგანსა, ცისის-ციხე, კიდის-კიდი. მნიშვნელობის მიხედვით ზოგს არსებითი სახელის გაგება აქვს, ზოგს — ზედსართავისა, ზოგს კი — ზმნიზედისა. მსაზღვრელი შეიძლება მრავლობითშიც იდგეს და ამ დროს „მსაზღვრელი სიტყვის აზრი უფრო მკაფიოდ ჩანს“, უფრო მეტად „იგრძნობა კომპოზიციის შემადგენელ ნაწილთა დამოუკიდებელი მნიშვნელობა“⁵. ივ. იმნაიშვილი აღნიშნავს წარმოების იმ თავისებურებას, რაც ამგვარად გაორკეცებულ კომპოზიციებს ასასიათებს — მართივი ბრუნვის ნიშნები როგორც მხოლოობითში (-ის), ასევე მრავლობითში (-თ).

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები დასტურდება იოანე პეტრიწის თხზულებებშიც:

ხატნი ყოველნი იგავთანია ხატ, ვითარცა იტყეს პლატონ, არამედ მუნაჲ აღ-მკულა, ყოველი დაჰყრეს იგავთა და იგავის იგავთა, ხოლო აქაჲ-ესე ნა-ზიბლი დიოდასი — ხატთა და ხატისხატთა (II, § 50, გვ. 108, 22—25). იმედენ, რომელ ზრონოსა ეამი ვერ გარდამორტყრავს, არამედ ძალით ოდენ კეროსა, ხოლო კეროჲ — ნაწილი არს და ნაწილის ნაწილი ზრონოდასი (II, § 50, გვ. 108, 30). იგავთაჲან ხატთა და ხატის-ხატთა და ვიდრე აქა განნაჟეთებულისა

⁴ ივ. იმნაიშვილი, სახელ-ს ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქარ-თულში, თბ., 1957, გვ. 197.

⁵ იქვე, გვ. 198.

არსებდასადაში კპონე კერპნი და კერპის-კერპნი და ძალი და მოქმედება
ყოველი დამრუმებულად (11, § 18, გვ. 55, 16—18)⁶.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენთვის საინტერესო გაორკეცებული სი-
ტყეები გვხვდება როგორც მხოლოდობითის, ასევე მრავლობითის
ფორმით⁷:

მანყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხანს სული,
აზომ რომე გაგათრევე შენ, ეაზირი გულის-გული (814, 4).
იგი ნზენი მიეგებნეს, მოეხვიენეს გულის-გულად (1630, 4).
ქალსა ცრემლი გარდმოსციედა ას ნაკეცი, ბევრის-ბევრად (272, 1).
საჭურჭლენი გარდაუნახენ თავის-თავის, კიდის-კიდე (460, 1).
დააშენეთ ერთმანერთო, თავის-თავის წუ დასკნებით (1450, 4).
ათანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანთა,
ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ-მწვანითა,
ქვეშეთვე სრითა ტურფითა, კვლა ზედათ ბანის-ბანიითა,
დიდროვანითა ტურფითა მრავლთა თანის-თანიითა (1112).
სრულდა ნათლთა აივსო ზღუდე და ბანის-ბანია (1621, 2).
მას ათანდილ თაყვანის-სცა, ლომთა ლომმან მზეთა მზესა
(685, 1).

აჰა, მზეო, გეაჩება შენ, უძძლესთა მძლეთა მძლესა (951, 2).
დაწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო, მეფეთ-მეფეო (1218, 1)...

საილუსტრაციო მაგალითებში რიგ შემთხვევაში უფროობაა
წარმოდგენილი (გულის-გული, ბევრის-ბევრად...), სხვა შემთხვე-
ვებში — ინტენსივობა (თავის-თავის...) და სიმრავლე (ბანის-
ბანი...).

ხარისხის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“ გამოიხატება მსაზ-
ღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობითაც:

მე ლომი ლომთა დავისუა გვერდსა შენ, მზესა მზეთასა (1542, 4).
მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი მზენი მზეთანი (487, 3).
ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე, სწადიან ბრკეთა ბრკეთასა“ (1542, 2).

ნათესაობითმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები დასტურ-
დება „ქართლის ცხოვრებაში“: ცალკეული ფორმები გვხვდება არჩი-
ლის, დ. გურამიშვილის, ვახტანგ მეექვსისა და სხვა მწერალთა
თხზულებებში:

⁶ იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტებამ პროკლესათს დიადო-
ხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათს, ტექსტი გამოსცეს და გამოკლევა
დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937 (ამ მაგა-
ლითებზე მიგვიითთა ფილოლოგ. მეცნ. დოქტორმა დამანა მელიქიშვილმა).

⁷ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951.

მოვიდეს მეფეთა-მეფესა და მზეთა-მზესა და დედო-
ფალთ-დედოფილსა წინაშე (ქ. ცხ., 103, 2).

ამისთვისა მისცა გიორგისვე ძლევა, მძლეთა მძლესა (ქ. ცხ., 18, 20).
ესერა ესევეთარი საგოლი და მოსაწყევარი მოსაწყევართა... ესმა
სამ მნათობიერსა მეფეთ-მეფისაგან მეფედ ქმნულსა თამარს ქალაქსა
შინა ტფილისსა (ქ. ცხ., 24, 5).

შებრუნებული წყობა:

არა დამორჩილდა მკნე მკნეთა და გოლიათი გოლიათთა
გიორგი (ქ. ცხ., 7, 20).

სადაიგი იყო მზე მზეთა, ნათელი ნათელთა (ქ. ცხ., 51, 11—12)⁸.

შენებრ ბოზის-ბოზს მპეკაქალს ქალი ვის ეანაბრება (არჩ., 205, 585).

არე, უარე, ვერ დაუარე ამის სიბრძნესა კარის-კარისად (არჩ., 232, 28).

განა სუროდათ, თუ სთქეა, სწყუროდათ

თავთა წარკეთა ბევრის-ბევრებით (არჩ., 233, 40)⁹.

ბრმის თელს უხელდი ცის-ცისად არჩენდი ეშმაკიერსო

(გურ., 80, 127, 4)¹⁰.

კარგია კაი ამბავი, მოკლე იყოს თუ გრძელები,

კაცსა აამოს, ასწავლოს სიტყვანი ძველის-ძველები (ვახტ. 114).

გარე გვარტყია შაეი ზღვა, თეთრი ზღვა კიდის კიდითა (ბაქ., 19, 15—3)¹¹.

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები ფეხს იკი-
დებს ახალ ქართულშიც. ქეგლ-ში დამოწმებულია ბევრის-ბევრი,
მეტის-მეტი, კიდის-კიდე, ძველის-ძველი... მჯობნის-მჯობნი, მის-
ხის-მისხი, მძლეთა-მძლე, მოძღვართ-მოძღვარი, გმირთა-გმირი,
ჭირთა-ჭირი... წარმოვადგენთ სათანადო მასალას თანამედროვე
ქართული მწერლობიდან:

ყოველ ქართველში ომის ტრფობა

ძველისძველია (გალაქტიონი).

შენ არ იყი, ლექსო, დალა,

გინდ იარო კიდისკიდე (გ. ლეონ).

ტკბილმა მოგონებამ გული-გულში გაუარა და გაუღიმა (გ. ლეონ).

რასაც ჩვენ გულისგულით ვიგლოვებთ,

სხეების გულამდე თურმე არ დავა (მ. კახიძე).

რით ამოვიშანთავთ სირცხვილის ლაქას, ქართველის მისხის მისხი

(მ. კახიძე).

⁸ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959.

⁹ არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და
ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1936.

¹⁰ დავეით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, შემდგენელ
ს. ცაიშვილი, თბ., 1980.

¹¹ ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით,
თბ., 1975.

¹² იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეი-
შვილმა, თბ., 1962.

დიდი ვარ, შვილო, მოხუცის მოხუცი, ლამაზი ეყავ და აღარ ვარგევარ
(„იკომ.“, 1984, № 67).

ხოლო კრიტიკა, თუ შეიძლება ითქვას, ასლის ასლია, იგი ლიტერატურ-
რიდან გამოდის და არა ცხოვრებიდან („ლიტ. საქ.“, 1984, № 12).

უ. ფოლკნერმა და ა. კამიუმ საცნაური გახადეს ეს ძირისძირი, რომლის
ხილვა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუძლებელია („მნათ.“, 1984, № 5, 159).

ჩემმა გულის გულმა, ჩემმა სულის სულმა, ჩემმა სიხარუ-
ლის სიხარულმა უნდა დაიძიხოს (რ. ინან.).

შლიდა და ჰკრეფდა თეხსა. ახალთ ახალსა. ცოცხალის ცოც-
ხალსსა (ო. ჩხ.).

ეს ცხოვრება — მითია! უფრო სწორედ — მითის მითი (ტ. ჯანტ.).

არა! დღეიდან დიქტოფონით უნდა ვიარო —

როგორც შპიონმა, ან შპიონის შპიონმა, ანღა

შპიონთა შეფმა და რეზ-ლენტმა (ტ. ჯანტ.).

ეს მაინც ეშმაკის ეშმაკია (ო. ჩხ.).

ჩართო მანქანის რადიომიმღებიცა, უფროსმა, ცხადია, რო გადმოსცემდა

ისიც რო ჭაზსა, სხვასა და მსგავსსა, მსგავსის მსგავსსა (ო. ჩხ.).

მაგრამ მუნჯი ნიუთები, რომლებიც იმის იმან გამოგზავნა,

იმან რომ იმის ადგილზე დანიშნა... მოგონებებს ვერ აუშლის

(„თბილ.“, 1984, № 28, 2).

**სიტყვათა მართულმსაზღვრელიანი გაორკეცება დამახასიათე-
ბელია ხალხური სიტყვა-თქმებისთვის¹³:**

მეტის-მეტი მაძიებელი მოკვდა გუხარელიო (40, 285).

სიძის სიძეს წვენის წვენიო (157, 2008).

შვილმა გული გაიარა, შეილის შეილმა გულის გულიო
(236, 3215).

ამბის ამბავი კაცმა არ უნდა დაიჭეროსო (236, 3253).

კაცის კაცითაა ყველაფერიო (255, 3621).

მოციქულის მოციქული მატრაკვეცაო (260, 3721).

მომრეცის მომრეცი არ გამოილევო (261, 3741).

ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიო (278, 4114).

შოყვარეს შემოუთვლია: მოყვრის მოყვარე კვებო,

მოკედეს და ჩანი გაუარდეს, სხვა უკეთესი შრჩებო (357, 5464).

კინკარი კირის კირია, სატატური ბალაშია... (383, 5944).

ოდენი, ოდნის ოდენა, თავი აქვს გოდრის ოდენა... (498).

**ხშირად გაორკეცებული ფუძეები თანდებულს დაირთავს და
„ზმნიზედის ფუნქციით გვევლინება:**

გულიგულში რალაით ნასიაშოვნები დარჩა (რ. ინან.).

ძილის ძილშიაე მარტო არ მტოვებს („ლიტ. საქ.“, 1982, № 8, 8).

...ძირის-ძირში დარღვეულიყო („ლიტ. საქ.“, 1983, № 36, 13).

პოლიპტორი ქვეყნის ქვეყანაზე დადის

(„ლიტ. საქ.“, 1983, № 48, 9).

¹³ ხალხური სიბრძნე, V, ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები, თბ., 1964.

მასპინძლებმა კი დის-კიდემდე მოალიავეს კიშკარი
(„ლიტ. საქ.“, 1983, № 48, 9).

აბა, თქვენ წალით ტყეში, ტყის ტყეში, მინდვრის მინდორში,
კლდის კლდეზე, მე მანამდე მოვიფიქრებ და გაგიყოფთ ამ ნიუთებსო.
ღვეები წავიდნენ ტყის ტყეში, მინდვრის მინდორში,
კლდის კლდეზე¹⁴.

უფრობითობის გადმოსაცემად ახალ ქართულში არცთუ იშვიათად გამოიყენება ნართანინანი გაორკეცებული ფორმებიც, მაგ.:

უფრო მეტი შრომა საჭირო საწყისთა საწყისში — ბავშვთა ფეხბურთში („ახ. კომ.“, 1984, № 30, 4).

იგი, ჩემი აზრით, ჩემპიონთა ჩემპიონია („ახ. კომ.“, 1984, № 31, 4).
სამაგიეროდ, ნანობი და ძველია სხვა ყველაფერი: ჩემპიონის ნაბიჯ,
ათლეტური აღნაგობა, გამოსვლა და, საერთოდ, ჩემპიონთა ჩემპიონის მართლაცა ჩემპიონური იერი („ლელო“, 1984, № 52, 1).

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები სხვა ქართველური ენებისთვისაც არ არის უცხო; ლ. სანიკიძის სპეციალურ წერილში მოხმობილია მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები მეგრულიდან და ჭანურიდან¹⁵: მეგრ.: მუშმუში „თავთავისი“ (ზედმიწ. მის-მისი); შდრ. მუში „მისი“ (59); ჭან.: ხეში-სეში ქოდიობლაფთ ეშო „კონა-კონა ჯყრით ასე“ (65). ხეში-ხეში = „ხელისხელისად“; ასეთივე გაორკეცებაა მეგრ.: კილიშ-კილიშა „ძირისძირისად, ძირ-ფესვიანად“ (ზედმიწ. „ნაკლის-ნაკლისად“); სვან.: ხოშემიშ ხოშა „დიდის დიდი“, ჯეინლაშ ჯეინელ „ძველის-ძველი“, დოსკანეშ დოსკ „ადრინდელზე ადრე“ (ზედმიწ. „ადრეს ადრე“). მანკუტიშ მანკუტი „პირვანდელზე პირველი“...

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცება საერთო ქართული მოვლენა ჩანს, თუმცა ამგვარი წარმოების გენეზისის დადგენისას კალკირებაც არ უნდა გამოირიცხოს. განსაკუთრებით მრავლობითში დასმული მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვების მიმართ შეიძლება ამის თქმა. შდრ.: Тръ рѣн 'Ασφατος τῶν ἄβασμάτων „ქებათა ქება“ (შესაძლოა, ამგვარი გაორკეცება თავად ბერძნულისთვისაც კალკია).

მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებულ სიტყვებთან დაკავშირებით რიგი საკითხი ისმის. ერთ-ერთი მათგანი დაწერილობის საკითხია. ამგვარი წარმოების ფორმები (როგორც მხოლოობითის, ასე-

¹⁴ ხალხური სიბრძნე, II, ხალხური ზღაპრები, თბ., 1964, გვ. 152.

¹⁵ ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში, იქვე, IV, თბ.,

ვე მრავლობითისა) განსხვავებული დაწერილობით დასტურდება: იწერება ერთად. ცალ-ცალკე და დეფისითაც (გულისგული, გულის გული, გულის-გული). შეიძლება მსაზღვრელ სიტყვაში დაიკარგოს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი (ს) ელემენტი, ერთგვარობა დაწერილობაში ამ შემთხვევაშიც არ არის დაცული. შდრ.: გული-გულში (გ. ლეონ.) — გულიგულში (რ. ინან.). ერთგვარობა არ არის დაცული სათანადო ნორმატიულ ლიტერატურაშიც. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ანალოგიურ წარმოებას თუმცა დიდი ხნის ისტორია კი აქვს, მაგრამ სალიტერატურო ქართულში ჯერ კიდევ ნაკლებად არის ფეხმოკიდებული: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მეტისმეტი, პირისპირი ერთ სიტყვად არის დაწერილი, ბევრის-ბევრი — დეფისით, ჭირთაჭირი ერთი სიტყვაა, ძალთა-ძალი, მძლეთა-მძლე დეფისით არის გამოყოფილი, მეფეთ მეფე, მზეთა მზე ცალკ-ცალკეა დაწერილი. ისინი, როგორც იდიომატური გამოთქმები, შესულია სათანადო (მეფე, მზე) სალექსიკონო სიტყვათა რიგში.

განმარტებითი ლექსიკონისაგან განსხვავებით, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში¹⁶ ძალთაძალი ერთ სიტყვად არის წარმოდგენილი, მეფეთ მეფე, მზეთა მზე, მძლეთა მძლე კი ცალ-ცალკეა დაწერილი, მზეთა მზეს მნიშვნელობაც აქვს მიწერილი (= უმშვენიერესი).

ეს განსხვავებული დაწერილობანი რეალურ ვითარებას ასახავს — რიგ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ სიტყვად შერწყმის პროცესი დამთავრებულია, სხვა შემთხვევაში კი სიტყვათა შერწყმის პროცესი არ დასრულებულა და ჭირს იმის თქმა, შესიტყვებასთან გვაქვს საქმე, თუ ახალი მნიშვნელობის ფუძესთან, ან: შემადგენელ ნაწილთა პირდაპირ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე, თუ ახალ მნიშვნელობასთან. ცალკეულ შემთხვევებში ამგვარმა წარმოებამ შეიძლება ორივე მნიშვნელობა გამოხატოს. მაგ.: განმარტებით ლექსიკონში მეფეთ[ა] მეფე ორივე, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაა დამოწმებული.

1. მეფეთ[ა] მეფე ისტ. მეფეთა შორის უმთავრესი, მეფეთა შორის უძლიერესი, დიდი მეფე, რომელსაც ქვეშევრდომებად სხვა მეფეები ჰყავს. 2. გადატ. ყველაზე უკეთესი, ყველაზე ძლიერი.

¹⁶ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ი. გ. ი. ნ. ე. შ. ე. ლ. ი., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვარლამ თოფურიას რედაქციით, თბ., 1968.

განმარტებით ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია პაპისპაპა. ამ სიტყვას ახლავს განმარტება — შორეული წინაპარი. საილუსტრაციო მაგალითებიდან ეს მნიშვნელობა პირველშია გამოხატული („მამით არ მოდის ანდერძი, პაპით და პაპისპაპითა“), დანარჩენებში პაპისპაპა შემადგენელ სიტყვათა პირდაპირ, კონკრეტულ მნიშვნელობას გულისხმობს:

ღათას მამა, პაპა, პაპისპაპა სულ კუდიანები ყოფილან (მელან.).

თუთ არჩილის არა თუ მამას, არამედ პაპას და პაპისპაპასაც კი მოტყუებული ქალები ჰყავდათ შერთული ცოლად (ა. ბელ.).

„ძველისძველ“ ტიპის სახელთა მართლწერის საკითხი ორგანულად უკავშირდება ამგვარი წარმოების კვალიფიკაციის საკითხს: უნდა გაირკვეს, კომპოზიტია მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვები, თუ — შესიტყვება.

ჩვენი თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე ქართულში რთული სიტყვების დაწერილობის უკვე აღიარებულ ნორმებს ეფუძნება¹⁷:

1. თუ მართულმსაზღვრელიანი გაორკეცებული სიტყვებით შემადგენელ ნაწილთა პირდაპირი მნიშვნელობებია გადმოცემული, მაშინ საქმე გვაქვს შესიტყვებასთან და მსაზღვრელ-საზღვრული ცალ-ცალკე იწერება (სიძის სიძე, მტრის მტერი, მოციქულის მოციქული...). მეფეთ მეფე ცალ-ცალკე დაიწერება, თუკი მისი მნიშვნელობაა მეფე, რომელსაც ქვეშევრდომებად სხვა მეფეები ჰყავს, და ერთად დაიწერება — მეფეთმეფე — თუკი მას ხარისხის, უფროობის მნიშვნელობა აქვს: ყველაზე ძლიერი, ყველაზე უკეთესი მეფე.

ა. ადამიანის აღმნიშვნელი სახელის გაორკეცებით მიღებული მართულმსაზღვრელიანი სინტაგმები ხარისხის მნიშვნელობას ნაკლებად გვირვენებენ (მტრის მტერი, მჯობნის მჯობი); აქ შემადგენელ ნაწილთა პირდაპირი მნიშვნელობებია ასახული და ამიტომ ისინი ცალ-ცალკე დაიწერება:

ბ. რა ჯგუფის სახელთა გაორკეცებით მიღებული ანალოგიური სინტაგმები კი ხარისხის მნიშვნელობას იძენს: გულისგული = უფრო დიდი გული, სულისსული = უფრო დიდი

¹⁷ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970, გვ. 148—157.

სული, ჭირისჭირი = უფრო დიდი ჭირი, ძირისძირი = უფრო
ღრმა ძირი... ამიტომაც ეს სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს¹⁸.

დიალექტებში დადასტურებული ჭადის-ჭადი, პურის-პური,
ლომის ლომი სხვა ვითარების ამსახველია: ლომისლომი (იმერ.
გურ.) ლომის მარცვლისაგან გაკეთებული ლომი, ჭადისჭადი „მჭა-
დის ნამცხვარი“, პურისპური „კორკოტი. მსხვილმარცვალა პურს
(დოლის პურს ან თავთუსს) მოხალავენ, დაფქვავენ ხელსაფქვავე
და იმის შეჭამანდს ან ფაფას აკეთებენ“¹⁹. მსაზღვრელისა და საზ-
ღვრულის შერწყმით აქ ასალ მნიშვნელობებს ვიღებთ და ამიტომ
ეს სიტყვებიც ერთად დაიწერება.

2. ზედსართავ სახელთა მართულფუძიანი გაორკეცება ყველა
შემთხვევაში უფროობითი ხარისხის გაგებას იძლევა (ძველისძვე-
ლი, ძველთაძველი...) და ერთად უნდა დაიწეროს;

3. ერთად იწერება შეილიშეილი, ძველიძველი, გულიგულში...
ფორმები, რომელთაც მსაზღვრელის ნათ. ბრუნვის (-ის) ნიშნის
თანხმოვნითი ელემენტი ეკვეცებათ.

¹⁸ „პასუხის პასუხი“ (მაგ., ილია ჭავჭავაძისა) და მისთ. ცალ-ცალკე დაი-
წერება, რადგანაც ეს სინტაგმა შემადგენელი კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელო-
ბას გადმოგვცემს. მოულოდნელი არ იქნება მისი უფროობითი ხარისხის მნიშვნელო-
ბით დატვირთვა: პასუხისპასუხი = ძლიერი პასუხი, უკეთესი პასუხი.

¹⁹ ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912;
ა. მ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961; ა. დ. ლონტი, ქართულ
კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, მეორე გამოცემა; სტ. შენთეშაშვილი,
ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე
-გან-თანდებულებიანი კონსტრუქციები
თანამედროვე ქართულში

თანდებულებიანი კონსტრუქციითა გამოყენებას ენაში სინტაქსური თუ სემანტიკურ-სტილისტიკური თვალსაზრისით არცთუ იშვიათად გარკვეული სიძნელეები ახლავს. გამონაკლისი ამ მხრივ არც -გან-თანდებულებიანი შესიტყვებებია. ფუნქციურ ცვლას (იქნება ეს მნიშვნელობის გაფართოება თუ, პირიქით, გამოყენების სფეროს შეზღუდვა, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიულად და რაც ბუნებრივი და თანმსლები პროცესია ენის განვითარებისა) ისიც ემატება, რომ -გან თანდებული საერთო წარმომავლობის მქონე ორ ბრუნვას (ნათესაობითსა და მოქმედებითს) ერთვის და, რაც აგრეთვე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ძველსავე ქართულში დაწყებული ფუნქციური დიფერენციაცია ამ ბრუნვებისა დღესაც გრძელდება. ეს დამატებით საზრუნავს უჩენს ენის მომხმარებელს და ფორმათა კვალიფიკაციის საკითხს სვამს ნორმატიული თვალსაზრისით.

სანამ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ -გან თანდებულის ფუნქციებსა და იმ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ხდება თანდებულებიანი ფორმათა რეგულირება.

სამეცნიერო ლიტერატურისა და უმაღლესი თუ საშუალო სკოლის მოქმედი სახელმძღვანელოების მიხედვით, -გან თანდებულის სემანტიკური ფუნქციები თანამედროვე ქართულში ძირითადად ასეა წარმოდგენილი:

ნათესაობითში დასმული -გან-თანდებულებიანი სახელი აღნიშნავს: ლოგიკურად მოქმედს („მე თ ვ ი ს ტ ო მ თ ა გ ა ნ უღმერთობა სოფლად დამბრალდა“ — ი. აბაშ.), მიზეზს („როცა... ცხენი შემომხედავს. შ რ ო მ ი ს ა გ ა ნ წელში გადრეკილს, წინაპრების ჩემის უშრეტი ენერჯია კვლავ იღვიძებს ჩემში“ — კ. გამს.); მასალას

(„პირამიდების ახლოს მთლიანი კლდის აგან გამოკვეთილია სფინქსი“ — ძვ. მსოფ. ისტ.); რაიმესაგან დაშორებას, დაცილებას, თავის დაღწევას, განთავისუფლებას („ადამიანი იდეალები-საგან გაძარცვული აღმოჩნდა“ — ზ. კაკ.)¹.

-გან-თანდებულებიანი ნათესაობითისათვის ა. შანიძე კიდევ ერთ ფუნქციას ასახელებს: გამოყოფას, გამორჩევას². მასზე ქვემოთ სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

მოქმედებით ბრუნვაში დასმული -გან-თანდებულებიანი სახელი აღნიშნავს მოქმედების საწყისის სივრცესა („კივის სადგური-დან ზარი მეცამეტე“ — გ. ტაბ.) და დროში („სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტელ მე ერთ რეკვიემს“ — ტ. ტაბ.)³.

საილუსტრაციო მასალის საზგასმული სადგურიდან, სიყრმიდან ფორმები -გან-თანდებულებიანი მოქმედებითია (როგორც ცნობილია, -გან-თანდებულებიანი მოქმედებითი თანამედროვე ქართულში მოსალოდნელი -(ი)თგან დაბოლოების ნაცვლად -(ი)დან დაბოლოებით არის წარმოდგენილი, რაც მორფემათა ზღვარზე ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის ფონეტიკური ცვლით არის შეპირობებული, კერძოდ: -(ი)თ + გან > -(ი)დ + გან > > -(ი)დან. მაგ.: სახლ-ით-გან > სახლ-იდ-გან > სახლ-იდან; წყარო-თ-გან > წყარო-დ-გან > წყარო-დან)⁴.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 602; ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: ივ, I, თბ., 1946, გვ. 229; ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 117; ა. შანიძე, ლ. კვაკაძე, ქართული ენის გრამატიკა, II ნაწილი (VII—VIII კლ. სახელმძღვანელო), მე-13 გამოც., თბ., 1976, გვ. 33—34; ივ. გიგინეიშვილი, თანდებულთა და თანდებულებიანი სახელთა მართლწერა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970, გვ. 99; შ. კეკელია, ავ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973, გვ. 126.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, თბ., 1948, გვ. 41.

³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 74; ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულებიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძვ. ქართულში: ივ, I, თბ., 1946, გვ. 195; ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 230—231; ლ. კვაკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133—134; ივ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99; შ. კეკელია, ავ. დავითიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

⁴ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 21.

-(ი)დან დაბოლოება, რომლის დამოწმება ქვემოთ არაერთგზის მოგვიხდება, წმინდა ტექნიკური მოსაზრების გამო ფრჩხილების გარეშე — იდან სახით იქნება წარმოდგენილი.

ზემოთ დასახელებული მნიშვნელობები -გან თანდებულისა გენეტურად ახლოს დგას ერთმანეთთან. ერთ ზოგად მნიშვნელობად, რომელიც ამოსავლად ივარაუდება ყველა მათგანისათვის, გამოსვლითობაა დასახელებული: ნათესაობითი ბრუნვისათვის — შინაგანი, თვისებრივი, მოქმედებითი ბრუნვისათვის — გარეგანი⁵. შინაარსობრივი დიფერენციაცია (მოქმედის, მიზეზის, მასალის, ადგილისა და დროის... მიხედვით) კომპონენტების — თანდებულისა და სახელისა და შესიტყვების მეორე წევრის სემანტიკით არის შეპირობებული. სპეციალურ ლიტერატურაში ეგვევ სემანტიკური ფაქტორი უძვეს საფუძვლად სახელთა განაწილებას ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების მიხედვითაც, რაც, თავის მხრივ, თანდებულისა და სახელის სინტაქსურ ფუნქციასაც განსაზღვრავს. კერძოდ:

„როდის დაერთვის -გან თანდებული ნათესაობით ბრუნვას და როდის — მოქმედებითს? დამოკიდებულია ეს ზმნაზე და ზმნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე: ვისგან? რისგან? საიდან? პირველი ორი, ცხადია, ნათესაობითს მოითხოვს, უკანასკნელი კი — მოქმედებითს: ნინობი კეთდება ხისგან — კაცი ჩამოვარდა ხიდან“, — ვკითხულობთ არნ. ჩიქობავას ერთ-ერთ აღრიხედელ წერილში, რომელიც კონტექსტური მონაცემების მიხედვით -გან-თანდებულისა და ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციათა გამიჯვნას ისახავს მიზნად. წერილი ნორმატიული ხასიათისაა, გამოქვეყნებულია სერიით „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“ 1934 წელს⁶. ეგვევ აზრი ავტორს სხვაგანაც აქვს განვითარებული⁷. ეს შეხედულება გაზიარებულია ა. შანიძის მიერაც⁸. აღარაფერს ვამბობთ იმ მეცნიერთა შესახებ,

⁵ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მორფოლოგიის ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 74.

⁶ არნ. ჩიქობავა, გან თანდებულის ხმარებისათვის ნათესაობითთან და მოქმედებითთან: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1934, გვ. 14.

⁷ არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიკი-ს მოაზრება, თბ., 1937, ტ. I, გვ. 55; მისივე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 042.

⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), თბ., 1939, გვ. 35; მისივე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი (VII—VIII კლ. სახელმძღვ.), თბ., 1948, გვ. 40, 61—62.

რომელთაც უფრო გვიან პერიოდში მოუხდათ ამ საკითხებზე მსჯელობა.

წერილში მოწოდებული წესი ოფიციალურად დღესაც ძალაში რჩება⁹. მიღებული შეხედულების თანახმად, თანამედროვე ქართულში სახელი, რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, უპასუხებს კითხვებს ვისგან?, რისგან?, -გან-თანდებულიან ნათესაობითში დაისმის და წინადადებაში პირმიუმართავე (უბრალო) დამატების ფუნქციას ასრულებს (ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით ასეთი სახელებია: თვისტომთაგან, შრომისაგან, კლდისაგან, იდეალებისაგან); სახელი, რომელიც უპასუხებს კითხვებს საიდან?, რა დროიდან?, -გან-თანდებულიან მოქმედებითში დაისმის და წინადადებაში შესაბამისად ადგილისა და დროის გარემოების ფუნქციას ასრულებს (ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით ასეთი სახელებია: სადგურიდან, სიყრმიდან).

მაშასადამე, იმ წესის მიხედვით, რომელიც სამეცნიერო-ლიტერატურაშია შემოთავაზებული, ენის მომხმარებელი სათანადო სემანტიკური და სინტაქსური ანალიზის საფუძველზე ახდენს ფაქტის კვალიფიკაციას და აკეთებს არჩევანს: ობიექტურ მიმართებათა გადმოსაცემად თანდებულიან ნათესაობითს ირჩევს, ლოკალურ და დროულ მიმართებათა გადმოსაცემად — თანდებულიან მოქმედებითს (ზემოთქმულთან დაკავშირებით უკურჩვენებად არ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ ენის მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი პასიური მომხმარებელია და მზა კონსტრუქციებით სარგებლობს).

ნებისმიერ წესს, რომელიც ენაში არსებულ რეალურ კანონზომიერებებს ასახავს, უკუქმედების ძალაც აქვს — თავადაც სისტემაში მოჰყავს ფაქტები და მათ მოწესრიგებანორმალიზაციას ემსახურება. მაგრამ კითხვის დასმის საშუალებით სახელის ფორმის შერჩევისა და კვალიფიკაციის ამ წესს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა წესს, რომელიც არჩევანის წინაშე აყენებს ენის მომხმარებელს, გარკვეული სირთულეები ახლავს, მით უმეტეს, თუ იგი ძველებუ-

⁹ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 134—135; ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, მორფოლოგია (V—VI კლ. სახელმძღვანელო), თბ., 1975, გვ. 36; ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი (VII—VIII კლ. სახელმძღვ.), თბ., 1976, გვ. 33, 41—42; ივ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981, გვ. 166; ბ. ქორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

რად ველარ მუშაობს და მისგან გადახრებს სულ უფრო და უფრო მეტად სისტემატური ხასიათი ეძლევა. ამგვარი ვითარება ახალი ქართულის შენაძენი არაა — იგი ძველსავე ქართულში დაწყებული პროცესის ლოგიკური გაგრძელებაა.

ბრუნვის ფორმათა ფუნქციური განაწილების თვალსაზრისით ისტორიულად რამდენიმე განსხვავებული ვითარება გვქონდა. ძველ ქართულში -გან-თანდებულიან ბრუნვათაგან ძირითადი, ფუნქციურად დატვირთული ბრუნვა ნათესაობითი იყო. ამ ფორმით მრავალფეროვან ობიექტურ მიმართებებთან ერთად, ასალი ქართული-საგან განსხვავებით, ლოკალური მიმართებაც (კერძოდ, გამოსვლი-თობა, ანუ სივრცეში დაწყებითობა, აბლატივი) გადმოიცემოდა. შესაბამისად, სათანადო კონტექსტებში იგი (-გან-თანდებულიანი ნათესაობითი), უბრალო (პირმიუმართავი) დამატების გარდა, ადგილის გარემოების ფუნქციასაც ასრულებდა¹⁰. მაგ.: „გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან“ მ 24, 1 DE ნიშნავდა: გამოვიდა იესუ ტაძრიდან.

-გან-თანდებულიანი მოქმედებითის მოხმარების არე ძველ ქართულში, ახალთან შედარებით, ერთობ შეზღუდული იყო. მისი დანიშნულება, როგორც მასალები მოწმობს, თავდაპირველად მხოლოდ დროში დაწყებითობით შემოიფარგლებოდა¹¹.

დროთა განმავლობაში ფუნქციათა გადანაწილების შედეგად -გან-თანდებულიანმა მოქმედებებმა მოსმარების სფერო გაიფაროვა: დროში დაწყებითობასთან ერთად მან სივრცეში დაწყებითობის (გამოსვლითობის, აბლატივის) ფუნქციაც შეითავსა. -გან-თანდებულიანმა ნათესაობითმა კი ამ ფუნქციაზე საბოლოოდ აიღო ხელი. გამოვიდა ტაძრისა მისგან (ისევე როგორც ძველი ქართულის ამავე დანიშნულებით მოსახმარი უთანდებულო მოქმედებითით შედგენილი კონსტრუქცია გამოვიდა ტაძრით) დროთა ვითარებაში ტაძრიდან (< ტაძრითგან) გამოვიდა კონსტრუქციამ შეცვალა. დღეს ეს უკანასკნელი, ე. ი. -გან-თანდებულიანი მოქმედებითით შედგენილი -იდან-დაბოლოებიანი კონსტრუქცია, ძირითადი და გაბატონებული სინტაქსური კონსტრუქციაა.

¹⁰ ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 196; ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 230; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 713—714; ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 293—294.

¹¹ ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195—202.

ნათესაობით-მოქმედებითის ფუნქციური დიფერენციაციის (ფუნქციური გადაწვევის) პროცესი არ დამთავრებულა ზემოთ დასახელებული შემთხვევით. იგი დღესაც გრძელდება და, რაც მთავარია, გრძელდება ერთი მიმართულებით — უნიფიკაცია ხდება მოქმედებითის სასარგებლოდ. ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში აშკარად შეიმჩნევა -გან-თანდებულებიანი მოქმედებითების მომრავლება -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის ხარჯზე. მაგალითად, იდენტურ სინტაქსურსა და სემანტიკურ გარემოცვაში ერთი და იმავე ფუნქციით იხმარება: გამოჭრა ქალაღდისაგან („ფერადი ქალაღდი ს ა გ ა ნ გ ა მ ო ჭ ე რ ი თ თ ა ნ ა ბ ა რ ი ზ ო მ ი ს მ ა რ თ კ უ თ ხ ე დ ე ბ ი“ — „ნორჩ. ლენინ.“) და გამოჭრა ქალაღდიდან („[მამილო კარლომ] ყავისფერი ქალაღდი დ ა ნ ქ უ რ თ უ კ ი გ ა მ ო ჭ რ ა , ლ ი ა მ წ ვ ა ნ ე ქ ა ლ ა ლ დ ი დ ა ნ — შ ა რ ვ ა ლ ი“ — თ. ოქროშ., თარგმ.); დარჩა კოშკისაგან („ბროლის კოშკისაგან... ნამსხვრევებილა დარჩა“ — „ქალთა გაზ.“) და დარჩა კოშკიდან („ოცნების კოშკი დ ა ნ კ ი , ე რ თ ი მ შ ე ნ ე ი ე რ ი ფ ი ზ ი კ ო ს ი ს ა და მ წ ო რ ლ ი ს გ ა მ ო თ ქ მ ა რ ო მ ვ ი ხ მ ა რ ო თ , ნ ა ნ გ რ ე ე ბ ი ა რ რ ი ე ბ ა“ — გ. ფანჯ.); გამოდიოდა კონცეფციისაგან („შოპენჰაუერი გ ა მ ო დ ი ო დ ა თ ა ე ი ს ი პ ე ს ი მ ი ს ტ უ რ ი მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი კ ო ნ ც ე ფ ც ი ი ს ა გ ა ნ“ — ზ. კაკ.) და გამოდიოდა წანამძღვრებიდან („ამ წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ე ბ ი დ ა ნ რ ო მ გ ა მ ო დ ი ო დ ა , შ ო პ ე ნ ჰ ა უ ე რ მ ა და ა ს კ ე ნ ა“ — იქვე).

არცთუ იშვიათად პარალელური ხმარების შემთხვევები დასტურდება გვერდიგვერდ, ერთი და იმავე წინადადების ფარგლებშიც კი („ა რ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ ა რ ა ფ ე რ ი ა რ წ ა რ მ ო ი შ ო ბ ა . ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი წ ა რ მ ო ი შ ო ბ ა მ ა რ ა დ ი უ ლ ი , მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს უ ბ - ს ტ ა ნ ც ი ი დ ა ნ“ — ფილოსოფ. ისტ.; „ხელოვნების მუშაკები ისე შ ო რ ს ა რ ი ა ნ მ ე ც ნ ი ე რ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ე ბ ი დ ა ნ , რ ო - გ ო რ ც ნ ე ა ნ დ ე რ ტ ა ლ ე ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა - გ ა ნ“ — ე. კოდ.; „ამ დროს გ რ ა ნ ი ტ ი დ ა ნ და დანალექი ქ ა ნ ე ბ ი დ ა ნ წ ა რ მ ო ი ქ მ ნ ე ბ ა გ ნ ე ი ს ი , ფ ხ ვ ი ე რ ი ქ ვ ი შ ი - ს ა გ ა ნ კ ი — მ ე ტ ა დ მ კ ე რ ი ვ ი კ ვ ა რ ც ი დ ი“ — ფიზ. გეოგრ.).

მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგადი სურათის შესაქმნელად ესეც კმარა.

შემთხვევათა ერთი ნაწილის რეგულირება სალიტერატურო ენის პოზიციიდან სიძნელეს არ წარმოადგენს სპეციალურ ლიტერატურაში შემოთავაზებული საკონტროლო კითხვების დასმისა და, შესაბა-

მისად, თანდებულისანი სახელის წინადადების წვერად გააზრების გზით. მაგრამ ის, რაც ერთ შემთხვევაში სიძნელისაგან თავის დაღწევის საკმაოდ ეფექტური საშუალებაა, სხვა შემთხვევაში პირიქით, წინააღმდეგობის ხელაწინააღმდეგობად შექმნის საბაზი ხდება, რადგან არცთუ იშვიათად კითხვის დასმაც ჭირს და დამატება-გარემოებებს შორის სემანტიკური თუ გრამატიკული ზღვარის დადებაც სპეციალურ ლიტერატურაში წინადადების წვერთა გამოყოფის მყარი კრიტერიუმების უქონლობის გამო.

სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როცა დამატება-გარემოების ზღვარზე მდგომი სახელისათვის პარალელურად ხმარებული ფორმებიდან ერთ-ერთის შერჩევა ფაქტობრივად წინადადებაში მისი ფუნქციის განსაზღვრას ნიშნავს და პირიქით, წინადადების წვერად გააზრება — ამა თუ იმ ფორმისათვის იმთავითვე უპირატესობის მინიჭებას.

წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის ანალიზს ისახავს მიზნად. უფრო კონკრეტულად: წინადადების წვერთა პრობლემა გრამატიკის „მარადიულ“ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. მას, ცხადია, მსჯელობის საგნად ვერ გავხდით. ჩვენი მიზანმოკრძალებულია — ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აღვწეროთ ენაში არსებული რეალური ვითარება და ამით ნიადაგი შევამზადოთ საკითხის უფრო მაღალ დონეზე დასმისა და გადაწყვეტისათვის.

„ქართული ენის გრამატიკაში“ (ნაწილი II, სინტაქსი), რომელიც 1948 წელს გამოვიდა, ნათესაობით ბრუნვაში დასმულ -განთანდებულის უბრალო დამატებებსა და მათს სემანტიკურ ფუნქციებზე მსჯელობისას ა. შანიძე შენიშნავს: „გან“ დართული დამატება აღნიშნავს აგრეთვე გამოყოფას, გამორჩევას“¹². საილუსტრაციოდ მოსმობილია ორი წინადადება: „ოთხ წასულ ამხანაგთაგან ერთი დაბრუნდა“¹³ და „ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე მქმენ ანუ მათატი“ (რუსთ.).

¹² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, თბ., 1948, გვ. 41.

¹³ ჩვენთვის ამჟერად მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ სიტყვათშეკავშირება ოთხ ამხანაგთაგან ნორმატიული თვალსაზრისით ჩარევას საჭიროებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართულში რიცხვი არ შეიძლება ერთდროულად სემანტიკურად იყოს გამოხატული და გრამატიკულად (გუაკვს: ოთხი ამხანაგი ან ამხანაგები). შესაბამისად უნდა ყოფილიყო: ამხანაგთაგან ერთი ან ოთხი ამხანაგისაგან ერთი.

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალისა და აგრეთვე სხვა, ანალოგიურ შემთხვევათა მიხედვით, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის ფუნქციად ამგვარი შესიტყვებებისათვის სიმრავლიდან გამოყოფის (ე. ი. ბევრიდან გამორჩევის, გამოცალკეების) სემანტიკას მივიჩნევდით. სწორედ ასეთი, სახელდობრ, სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -გან-თანდებულებიანი კონსტრუქციები იქნება ჩვენი შემდგომი მსჯელობის საგანი.

თანდებულებიანი სახელის მნიშვნელობის შანიძისეული განმარტება თავისი ილუსტრაციებითურთ ავტორზე მითითებით უცვლელად, ციტატის სახით შევიდა 1966 წელს გამოცემულ ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“¹⁴.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ნაშრომი სალიტერატურო ენაში იმ დროს, სახელდობრ, ჩვენი საუკუნის 40—60-იან წლებში, არსებულ რეალურ ვითარებას ასახავს (ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომ ა. შანიძის მიერ მოხმობილი ერთ-ერთი მაგალითი XII საუკუნის ენობრივი სინამდვილის ფაქტია. პირიქით, მას შეიძლება სიმბოლური ხიდის ფუნქციაც კი ენიჭებოდეს ძველსა და ახალს შორის არსებული მემკვიდრეობითობის ხაზგასასმელად). ამსანაგთაგან ერთი და ორისაგან ერთი (ე. ი. სახელის -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის ფორმით შედგენილი კონსტრუქცია), თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია მაინც არის, რომლის მართებულობა ნორმირებული მეტყველების თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ძირითადი ფორმების გვერდით ენაში -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (ე. ი. -იდან-დაბოლოებიანი ამხანაგებიდან ერთი, ორიდან ერთი ტიპის) ფორმებიც იხმარება და, როგორც ჩანს, არც ისე იშვიათად, რომ იგი სპეციალისტთა ყურადღებას არ საჭიროებდეს. ამაზე მიგვანიშნებს, უწინარეს ყოვლისა, არნ. ჩიქობავას ზემოთ დასახელებული წერილი, რომელიც -გან-თანდებულებიანი ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციურ დიფერენციაციას, შესაბამისად, ამ ფორმათა მოხმარებისას ენაში არსებულ პრობლემათა მოგვარებას ისახავს მიზნად.

¹⁴ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 118. (ეს ადგილი უცვლელად დარჩა ამ ნაშრომის ახალ, 1968 წლის გამოცემაშიც. იხ. გვ. 120).

საკუთრივ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებით ამასვე გვაფიქრებინებს ლ. კვაჭაძის შენიშვნაც, გამოთქმული იმ სიტულეთა გამო, რომლებიც ზოგჯერ -გან-თანდებულიანი ნათესაობითისა და მოქმედებითის, შესაბამისად, უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების გამიჯვნასთან დაკავშირებით ისმის. კერძოდ: „გან თანდებული რის გან? (ან ვის გან?) კითხვაზე ნათესაობითს მოითხოვს და ასეთი სახელი უბრალო დამატებაა (ან მიზეზის გარემოება), კითხვაზე საიდან? მოქმედებითს დაერთვის და ადგილის გარემოებაა... მაგრამ არის შემთხვევა, როცა ძნელდება დადგენა, გან თანდებულიანი ნათესაობითი უნდა ვიხმართ, თუ მოქმედებითი“¹⁵. ნათქვამს თან ახლავს სათანადო საილუსტრაციო მასალა, რომლიდანაც ვიმოწმებთ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოს, სახელდობრ: „ტანკებთან ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ხუთი ვაჟკაციდან მარტო ორი დაბრუნდა“. ლ. კვაჭაძის აზრით, ხაზგასმული -გან-თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად აქ მოსალოდნელი იყო ნათესაობითი ბრუნვა¹⁶.

თუ კითხვების დასმის პრინციპს დავემყარებთ (როგორც ვიცით, სწორედ ამ პრინციპს ემყარება -გან-თანდებულიანი ბრუნვების — ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციური დიფერენციაცია), მკვლევრის დაბნეულობა სავსებით ბუნებრივია: -გან-თანდებულიანი მოქმედებითის ფორმას კითხვა საიდან? დაესმის და იგი წინადადებაში, სალიტერატურო ენის ნორმის თანახმად, გარემოებითს მიმართებას გამოხატავს. ვაჟკაცი ადამიანის აღმნიშვნელი სახელია, მისთვის ადგილის გარემოების კითხვაც შეუთავსებელია და ადგილის გარემოების ფუნქციაც. აქედან ლოგიკური დასკვნა: ფორმა ვაჟკაციდან გრამატიკულად მართებული ფორმა ვერ იქნება, უნდა ყოფილიყო ვაჟკაცისაგან, ე. ი. -გან-თანდებულიანი ნათესაობითი. როგორც ვხედავთ, ფორმასა და შინაარსს შორის დარღვეული წონასწორობის აღდგენა ხდება ზემოთ დასახელებული წესის მიხედვით. შდრ.: „ოთხ წასულ ამ ხანაგ თაგან ერთი დაბრუნდა“, „ორისაგან ერთი მიყავ“.

ზემოთქმულის დასტურად სხვა ფაქტის დასახელებაც შეიძლება, კერძოდ, სალიტერატურო ენაში -გან თანდებულის გამოყე-

¹⁵ ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134—135.

¹⁶ იქვე, გვ. 135.

ნების დროს გამოვლენილ უზუსტობათა ანალიზისას გ. შალამბერიძე შენიშნავს: „წესი ასეთია: თუ -გან თანდებულებიანი სიტყვა მიუგებს კითხვებს ვისგან?, რისგან?, მაშინ ეს თანდებულები ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სასელს უნდა დავეუროთო, ხოლო თუ უპასუხებს კითხვას საიდან?, მაშინ მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელს...“ „ამიტომ, — განაგრძობს ავტორი, — შეცდომაა ასეთი ფორმები: „შეჯიბრებაში მონაწილე 10400 კაციდან (უნდა იყოს — კაცისაგან) სპორტული თანრიგი შეასრულა მხოლოდ 137 კაცმა“; „ბრიგადის წევრებიდან (უნდა იყოს — წევრებისაგან) კარგი მუშაობით გამოირჩევიან ახალგაზრდები“¹⁷.

მიაქციეთ ყურადღება: 10400 კაცისაგან (და არა: კაციდან); ბრიგადის წევრებისაგან (და არა წევრებიდან), ხუთი ვაჟკაცი-საგან (და არა: ვაჟკაციდან).

დასახელებული (მსედველობაში გვაქვს ლ. კვაჭაძისა და გ. შალამბერიძის) ნაშრომები ჩვენი საუკუნის 60-იან წლებს განეკუთვნება, თითქმის 30 წლის წინათ არის გამოქვეყნებული. პირადად ჩვენთვის არ არის ცნობილი, რომ ვინმეს საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვას ამ საკითხზე ან ეჭვი შეეტანოს ამგვარი სწორების სიმართლეში.

შემოთქმულიდან გამომდინარე, სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად გამოყენებული -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის შემცველი კონსტრუქციები (-ისგან-დაბოლოებიანი ორისაგან ერთი ტიპისა) ოფიციალურად დღესაც ნორმად რჩება (ნორმად, რომელსაც არავენ იცავენ), ხოლო თუ ნორმაა, იგი ძირითადი და გაბატონებული სინტაქსური კონსტრუქცია უნდა იყოს. რაც შეეხება ამავე დანიშნულებით -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი ორიდან ერთი ტიპისა) გამოყენებას, იგი, როგორც გამონაკლისი, ერთეული შემთხვევებით უნდა ხასიათდებოდეს და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმისაგან გადახრად ფასდებოდეს.

როგორია რეალური ვითარება სალიტერატურო ენაში დღეს, XX საუკუნის მიწურულს? უნდა აღინიშნოს, რომ იმის რადიკალურად საწინააღმდეგო, რაც შემოთქმულის თანახმად უნდა იყოს. დღეს უკვე კონსტრუქციათა პარალელიზმზედაც (ნათესაობით-მოქმედებითის ერთი და იმავე ფუნქციით მონაცვლეობაზეც) კი აღარ

¹⁷ გ. შალამბერიძე, უტკების და უმწარესი, თბ., 1968, გვ. 125—126.

შეიძლება საუბარი (ეს უკვე განვლილი ეტაპია, გუშინდელი დღეა სალიტერატურო ენის განვითარებისა). სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში დღეს ერთადერთი სინტაქსური კონსტრუქცია -გან-თანდებულიანი მოქმედებით შედგენილი (ორიდან ერთი ტიპის) კონსტრუქციაა. ეს რეალობაა და მისი უგულებელყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ვერ თავსდება ტრადიციულ ჩარჩოში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

იმის საჩვენებლად, თუ რა იყო გუშინ და რა ტენდენციები შეინიშნება საერთოდ ენაში ამ საკითხთან დაკავშირებით, თვალი გაავადევნოთ ჩვენი უახლოესი წარსულის — 70—80-იანი წლების ბეჭდურ პროდუქციას, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ შეიძლება საუბარი პარალელურ (ორისაგან ერთი და ორიდან ერთი ტიპის) კონსტრუქციათა არსებობაზე. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ის ერთგვარი რაოდენობრივი თანაფარდობა, რომელიც ქვემოთ ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილ მასალაში შეინიშნება (და რომელმაც, თავის მხრივ, შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას ხსენებულ კონსტრუქციათა გამოყენების სიხშირეზე), ფაქტობრივ ვითარებას არ ასახავს. ჩვენ შეგნებულად შევეცადეთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, იშვიათად ხმარებული კონსტრუქციები (ესენი კი -გან-თანდებულიანი ნათესაობითები სათანადო კონტექსტებში) შეძლებისდაგვარად სრულად წარმოგვეჩინა, ხოლო ფართოდ გავრცელებული კონსტრუქციები კი (სახელდობრ, -გან-თანდებულიანი მოქმედებითების გამოყენების შემთხვევები, რომელთა მოძიებაც ენაში სირთულეს არ წარმოადგენს) შეგვეზღუდა. და კიდევ: კონტექსტებს, რომლებშიც იშვიათად ხმარებული ფორმებია წარმოდგენილი, მეტი დამაჯერებლობისათვის წყაროს სრულად მივუთითებთ. მასალის შერჩევისას ტრადიციულად უპირატესობას ვანიჭებთ სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მკაცრად ნორმირებულ სფეროებს — პრესას, სახელმძღვანელოებს და სამეცნიერო ლიტერატურას.

სანამ მასალის განხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებათა სახელური და ზმნური კომპონენტები სემანტიკურად. ეს აუცილებელია, რადგან, როგორც შესწავლილი მასალიდან ირკვევა, ამა თუ იმ დანიშნულებით ბრუნვათა შერჩევა გარკვეულწილად სუბიექტურ ფაქტორზედაც (სახელდობრ, ენის მომხმარებელსა და მოხმარების სფეროზედაც) არის დამოკიდებული და იმაზედაც, თუ რა გრამა-

ტიკულ-სემანტიკური საშუალებებით არის გადმოცემული საგანთა სიმრავლე.

1. საანალიზო შესიტყვებათა -გან-თანდებულიანი წევრი ერთი ნიშნით გაერთიანებულ ნებისმიერ საგანთა სიმრავლეა (გრამატიკაში სიმრავლედ ითვლება ყველაფერი, რაც რაოდენობრივად ერთ-ზე მეტია). საგანთა სიმრავლე კი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა გრამატიკული თუ ლექსიკურ-სემანტიკური საშუალებებით შეიძლება იყოს გადმოცემული, კერძოდ:

1. სახელის -ებ-სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით (მაგ.: „ქალები და ბევრი მოხდენილი და ძვირფასად ჩაცმული იყო“ — „საუნჯე“).

2. სახელის -თ-სუფიქსიანი¹⁸ მრავლობითის ფორმით (მაგ.: „სიცოცხლის ბოლომდე დიდი წინასწარმეტყველი უარყო თაგან არავის შეუწუხებია“ — „ახ. ივერ.“).

3. სახელს დართული სიმრავლის სემანტიკის მქონე მსაზღვრელი სახელებით. ჩვენი მასალის მიხედვით, ასეთ მსაზღვრელებად განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ცხადია, ერთ-ის გარდა), რომლებიც კონკრეტულად ასახელებენ ერთი ნიშნით გაერთიანებულ საგანთა რაოდენობას. ამავ დანიშნულებით იხმარება განუსაზღვრელი, დაუკონკრეტებელი სიმრავლის გამომხატველი სახელები (ბევრი, მრავალი, უამრავი...) და ნაცვალსახელები (ყველა, ამდენი, რამდენიმე...). დასახელებულ შემთხვევებში მსაზღვრელი სახელი „არსებითთან ერთად გრამატიკული მრავლობითობის შემცველ სიტყვათა შეკავშირებას“¹⁹ ქმნის. ამგვარი სიტყვათშეკავშირების არსებითი სახელი (საზღვრელი) შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მხოლოდობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი, რაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების უძველესი პერიოდიდან დღემდე ნორმად არის მიჩნეული²⁰ (მაგ.: „ეს ვარსკვლავი ადვილად მოიძებნება, თუ

¹⁸ შეგნებულად არ ვხმარობთ ტრადიციულ ტერმინს ნართიანი, რადგან -თ(ა) სუფიქსით ნაწარმოები ჩვენს მასალაში დადასტურებული მრავალი სახელი სახელობითში (ე. ი. -სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით) ენაში ან საერთოდ არ იხმარება, ან მას აშკარად გამოკვეთილი არქაული ელფერი აქვს.

¹⁹ ლ. კვაკაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981, გვ. 194.

²⁰ ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 160, 162.

ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ო. კალაძე, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღნიშვნელ მსაზღვრელებთან: ქსკს, IV, თბ., 1981, გვ. 215—236.

დიდი დათვის თანავარსკვლავედის შვიდი ვარსკვლავი-
დან გამოვყოფთ ორს" — ასტრ.; „უამრავი საგზაო შემ-
თხვევიდან შეგახსენებთ ერთს" — „საქ. რესპ.“; „პოლისემიური
სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთი ძირი-
თადი ანუ ნომინაციური მნიშვნელობაა" — რ. ლამბ.).

შვიდი ვარსკვლავი, უამრავი შემთხვევა, რამდენიმე მნიშვნე-
ლობა და მისთ. სიმრავლის სემანტიკის მქონე
შესიტყვებებია. ქვემოთ მათ ასეთი დასახელებითაც მოვიხ-
სენიებთ.

4. ლექსიკურად სიმრავლის სემანტიკის მქონე არსებითი სახე-
ლებით. შეიძლება დაგვესახელებინა: ფეხბურთელთა გუნდი,
მოცეკვავეთა ანსამბლი, თანამოაზრეთა ჯგუფი, კოლექტივი და
მისთ. (მაგ.: „გუნდიდან მაღალი ტექნიკითა და საზრიანო-
ბით გამოირჩეოდა პაოლო როსი" — „კომ.") (ივარაუდება გუნ-
დის წევრებიდან).

კონტექსტის მიხედვით ზმნური მოქმედება, რომელიც სემანტი-
კურად შეუზღუდავია, შეიძლება ეხებოდეს სიმრავლის ყველა
(„წინაპართაგან წავიდა ყველა" — გ. ტაბ.), ბევრ
(„ეს, ალბათ, არჩევნებში მონაწილეთაგან ბევრს ღირ-
სებას არ შემატებს" — „თბილ."), ზოგ, ზოგიერთ („ჩამოთვლილ
სახელთაგან ზოგიერთი რთულ ფუძეს ქმნის" — ქსკს),
ბირველ („უაზნოთაგან მე პირველმა იტალიურად
ავახშიანე ეოლიის საგალობელნი" — თ. ჩხენკ., თარგმ.), ერთ,
არც ერთ, ერთ-ერთ, რომელიმე, რამდენიმე წევრს („დაპირის-
პირებულ პირთაგან ერთ-ერთი სცოდავს" — „ახ. კომ."),
რომელიმე კონკრეტულ პირს თუ საგანს („ქართველურ ენა-
თაგან... ზანური მეტად ღარიბია თანდებულებით" — არნ.
ჩიქობ.), სიმრავლის წევრთა რიცხოზობივად განსაზღვრულ რაოდენობას
(„დახოცილთაგან 17 ლათინურამერიკული წარ-
მოშობისა იყო" — „კომ.).

II. ქვემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა დალაგე-
ბულია ოპოზიციური -გან-თანდებულებიანი ბრუნვების — ნათესაო-
ბითისა და მოქმედებითის მიხედვით, ხოლო პარალელურ კონსტრუქ-
ციათა შიგნით კი — იმის მიხედვით, თუ რა გრამატიკულ-სემანტი-
კური საშუალებებით არის გადმოცემული საგანთა სიმრავლე.

ალტერნატიულ ფორმათა უქონლობის გამო ამ ყალიბს მიღმარჩება და ამიტომ ცალკე იქნება განხილული ისეთი შემთხვევები, როცა საგანთა სიმრავლე -თ სუფიქსით არის გადმოცემული. (-თანთან მრავლობითს ახალ ქართულში ბრუნების ნაკლულევანობა პარადიგმის გამო მოქმედებითი ბრუნვის ფორმა არა აქვს).

როცა საილუსტრაციო მასალა ბევრია, დამოწმებისას სულიერთა და უსულო საგანთა სახელები ერთმანეთისაგან აბზაცით არის გამოიჯნული.

-გან-თანდებულისანი ნათესაობითი

1. თანდებულისანი სახელს მსაზღვრელად სიმრავლის სემანტიკის მქონე სახელი ახლავს.

— მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში ასეთ მსაზღვრელებად რაოდენობითი რიცხვითი სახელებია გამოყენებული:

ორმოცდაშვიდი კაცი საგან ათი დეპუტატობის კანდიდატ უნდა ავერჩია („თბილ.“, 2.03.89, გვ. 4). კრებას კოოპერატივის 88 წევრისაგან 80 ესწრებოდა („თბილ.“, 17.07.87, გვ. 3). 506 გამოკითხული ნარკომანი საგან 124 აღმოჩნდა რამდენჯერმე ნასამართლელი („თბილ.“, 14.01.87, გვ. 4). 24 ბავშვისაგან შეკრებაზე 10—12 მოდის („ნორჩ. ლენ.“, 16.02.79, გვ. 3). კოლეჯის 17 წევრისაგან 13-ისაგან მაინც... „უქარჯამო ხმლებზე“ ქება-დიდებას მეტი არაფერი მომისმენია („თბილ.“, 10.02.84, გვ. 3). სახელმწიფო განოცდაზე დაშვებული 5722 კურსდამთავრებულისაგან დიპლომი ვერ მიიღო 500-მა. გამოცდაზე გასული 17843 სტუდენტისაგან 45 პროცენტმა დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო („თბილ.“, 6.12.75, გვ. 2). როგორ შეიძლება რევუზ მდინარაძის ოთხი შვილისაგან ერთი მაინც ქართული ხალხური სიმღერის მოტრფილად არ გამოვიდეს („თბილ.“, 29.05.85, გვ. 3). [ან-სამბლ „ფაზისის“] ცხრა წევრისაგან პროფესიონალი მომღერალი ხომ მხოლოდ ორაი (იქვე). ...საოღო კომიტეტის ასეცხრა მემტი წევრისაგან აფხაზია ორმოცდაათორმეტი. ...შეიღი განყოფილება-ს გამგისაგან აფხაზია ხუთი. ...მთავრობის თორმეტი მინისტრისაგან აფხაზია რვა. რვა სახელმწიფო კომიტეტის თემქდომარის პოსტისაგან აფხაზებს უკავიათ ხუთი. ...რვა პროკურორისაგან ხუთი აფხაზი ყოფილა („თბილ.“, 7.07.89, გვ. 4). ამ ორი თოლიისაგან ერთი ცას მოსწყდა და გემისკენ დაქანდა („თბილ.“, 10.12.77, გვ. 3).

სალიტერატურო ქართულის ორი პერიოდიზაციისაგან ვერცერთს ვერ მივიჩნევთ დამაკმაყოფილებლად (ზ. სარჯე, გვ. 269). ამ ორი სიტყვისაგან [იგულისხმება ჩიბუხი და ყალიონი] ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში გვხვდება მხოლოდ ჩიბუხი (ქსკს, ტ. II, 1979, გვ. 246). კვების მრეწველობაში მსოფლიოში ხმარებული 900 ნივთიერებისაგან... ნებადართულია და იყენებენ მხოლოდ

150-ს. მსოფლიოში 15 ფართოდ გავრცელებული საღებავებისაგან საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორს ხმარობენ („თბილ.“, 7.03.77, გვ. 3).

ე. ი. აქ ფაქტობრივად ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, რაც ისტორიულად იყო. შესადარებლად დავიმოწმებთ ორიოდ მაგალითს კლასიკური მწერლობიდან:

სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა (ცტ). შეიდი შეილისაგან ერთი შეილია დარჩენიათ (ილია).

თანამედროვე ნეიტრალური სიტყვათხმარებისათვის უჩვეულო სინტაქსური კონსტრუქცია ორისაგან ერთი მარჯვედ არის შერჩეული არქაულობისა და მალაღმარდოვნების სტილისტიკური ეფექტის შესაქმნელად ასეთ კონტექსტში:

ზისი პირის მკერტს ორისაგან ერთი მიჰხვდება: ან გულმონყაულდ კეთილის ქმნა, ანდა სიკვდილი (თ. ჩხენკ., თარგმ.). შლრ.: ორისაგან ერთი ქმნეთ, ამის ნეტსა ლურას ჰლამით (ცტ).

— თანდებულიან სახელს მსაზღვრელად დაუკონკრეტებელი სიმრავლის სემანტიკის სახელი ახლავს:

იმ უამრავი კარგი ტრადიციისაგან, რომლებიც თანდათანობთ მყარად შევიდრდება ჩვენს დედაქალაქში, ერთ-ერთი ღირსშესანიშნაია... საშემოდგომო და საგაზაფხულო გამოფენები („თბილ.“, 11.05.87, გვ. 4). რამდენიმე შესაძლებელი სინონიმისაგან ამა თუ იმ საგნისათვის მართებულად ვერაა შერჩეული მსაზღვრელი სახელი (ქსკს, ტ. III, 1980, გვ. 63). ათასობით მოსწავლისაგან 60-მა პროცენტმა მაინც ნებაყოფლობით რომ შეიძინოს ერთჯერადი და ერთთვიური სამგზავრო ბილეთები... („თბილ.“, 20.08.87, გვ. 6).

2. თანდებულიანი სახელი -ებ-იანი მრავლობითით არის წარმოდგენილი:

თუმცა არც ის არის გამორიხებული, რომ ჩვენი სტრუქტურებისაგან რომელ-მე კარგი კალმოსანი დადგეს („კომ.“, 9.01.87, გვ. 4). ისტორიის გაკვეთილებზე არ უნდა აიხსნას ის ფაქტები, თუ წინანდელი პოლიტიკოსებისაგან ვინ ემსახურებოდა ან ცდილობდა ემსახურა საშობლოსათვის (გაზ. „მომავალი“, № 1, 1993, გვ. 3). ეგზისტენციალისტებისაგან ზოგიერთნი... მარადისობისადმი აღამიანის ზიარების შესაძლებლობას აღიარებდნენ (ზ. კაკაბაძე, ფილოს. საუბრ., 1988, გვ. 175). იმ... უწყებებისაგან, რომლებსაც საჩივრები მიუერთდა, ყველამ როდი გამოგზავნა დროული და ამომწურავი ინფორმაცია („კომ.“, 5.05.82, გვ. 2). სინონიმებისაგან ის სიტყვა უნდა ავირჩიოთ, რომელიც ყველაზე ცხადად გამოხატავს გადმოსაცემ აზრს („ნორჩ. ლენ.“, 5.12.86, გვ. 3). მომღერლებისაგან გამოყოფილი ილია ზაქაიძეს და ნუგზარ კურცხალის („თბილ.“, 15.04.87, გვ. 5). ...ეოლონიური ტერიტორიებისაგან ყველაზე დიდი ტერიტორიები მდებარეობენ სამხრეთ აფრიკაში („საქ. აგიტ.“, 1974, № 9, გვ. 24).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ზემოთ დასახელებული მაგალითების (შესაბამისად, -ისგან-დაბოლოებიანი ფორმების) დიდი უმრავლესობა გაზეთ „თბილისის“ პუბლიკაციებიდან არის დამოწმებული, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს სუბიექტური ფაქტორის უდიდეს მნიშვნელობას პარალელურ ფორმათა შერჩევისას.

-გან-თანდებულიანი მოქმედებითი

1. თანდებულიან სახელს მსაზღვრელად სიმრავლის სემანტიკის მქონე სახელი ახლავს.

— მსაზღვრელად რაოდენობითი რიცხვითი სახელია გამოყენებული:

ოთხი კაციდან ერთმაც ვერ შეიღერა ზრდილობიანი მიმართვა („ახ. საქრთვ.“). 12 გამოკითხული დელეგატიდან ამ გოგონას სიტყვის შინაარსა ბუნდოვნად ახსოვდა მხოლოდ ორს („საქ. რესპ.“). 360 ათასი ეკლესიის მსახურიდან 1919 წელს განდგურებულ იქნა 320 ათასი (ლს). ნუთუ ჩვენთან მოკაპანე 30 პედაგოგიდან ერთისთვის მაინც არ იყო ცნობილი მათივე ინსტიტუტის რექტორატის გადაწყვეტილება? („ახ. კომ.“). 50-ზე მეტი პირველკურსელიდან მხოლოდ შეიძინა თუ რვა აკანკალებული სტუდენტი გამოცხადებით ქართული ენის გამოცდაზე („ახ. კომ.“). თორმეტი ქართველი გენერლიდან, რომლებიც რუსეთში მსახურობდნენ, რვა 1912 წლს სამანულო ომის გმირი გახდა („კომ.“). თქვენი 30 მოსწაველიდან რამდენს შეუძლია ახალი მოთხოვნებით გამოცდის ჩაბარება? („თბილ.“).

„ეფეხიტყაოსნის“ ხელნაწერების 4 რედაქციიდან 3 რედაქციის ხელნაწერები ამ წაკითხვას უჭერენ მხარს („მატენ“). 60 ბილეთიდან სტუდენტმა 50 (ნამაზადა ალგებრა). ტრასაზე განლაგებული 15 დაბრკოლებიდან 12-ის სიმაღლე უჩვეულოდ დიდი იყო („ლელო“). მეკლერი მოსახლეობა ნახევარზე ნაკლებია თხუთმეტი მოკაპირე რესპუბლიკიდან ორში, ოცი ავტონომიური რესპუბლიკიდან თექვსმეტში, რვა ავტონომიური ოლქიდან ხუთში, ათი ავტონომიური ოკრუგიდან ცხრაში („თბილ.“). იგი [სიტყვა „ნიელონი“] ამ ბოქოს გამომშვეშავებელ ინგლისურ ფირმას შეურჩევია კონკურსზე წარმოდგენილი 350 დასახელებიდან (რ. ლამბ.). ორი ბორტებიდან უმცარესს ვირჩევთ („თბილ.“). ორი ვარაუდიდან არც ერთი არ გამართლდა (ლს). ორი მოსაზღვრე კუთხიდან ერთი მეორეზე 24°-ით მეტია (მათემ.).

შეიძლება რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით წინა პლანზე წამოიწიოს საგნის რაოდენობრივმა მხარემ, რის აქცენტირებაც თანდებულიანი რიცხვითი სახელით ხდება. მხედველობაში გვაქვს ასეთი შემთხვევები:

საზოგადოებრივი აზრის ინსტრუქტის ცნობით, ოთხიდან სამმა ამერიკელმა არ იცის, რა არის მეტრი („სკ. და ცხოვრ.“). ათიდან ცხრა შემთხვევაში ნაწარმოების ავტორი ცივად ან საერთოდ არ მომსალმებია („თბილ.“). მსხვილკალიბრიანმა ტყვიამ ორიდან ერთი ძრავა მწყობრიდან გამოიყვანა (ი. იაშვილი თარგმ.).

აქვე დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც ორიდან ერთი-ს ტიპის საზღვრულჩავარდნილი — ელიპტირებული შესიტყვებები გვხვდება. კერძოდ:

ამ ორიდან ერთი წერალთა კავშირის თავმჯდომარეა (ლს). იმ ორასიდან ნაყოფიერად მოწმუშავე მანც ოცია (ლს). როცა აღწრდელ-მასწავლებლების სიკეთეზე... ჩამოვარდება სიტყვა, თურნე ოცდაორიდან ერთი-ორიღა შეგვრჩება ზელში („ახ. კომ.“). იგი ერთ-ერთია იმ სამიდან, რომლებიც ჰიშალის ექსპედრიცის დაკომპლექტებაში თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას ამბობენ („ლელო“). მოქალაქეს უნდა აირჩიოს ორიდან ერთი (გზა, აზრი, აღამიანი...), მაგრამ ვერ გავუგია, როგორ უნდა აირჩიოს ასიდან — ერთი? („ახ. იურ.“). ორიდან ერთი — გამარჯვება ან სიკვდილი. სხვა გზა ჩვენ აღარ დავგრძენია („ახ. იურ.“).

— თანდებულიან სახელს დაუკონკრეტებელი სიმრავლის შემანტიკის სახელი ახლავს:

ყველა შემოწმებული ობიექტიდან... სამუშაოები მხოლოდ შეიღობიქტზე იყო დამთავრებული („კომ.“). ამ რამდენიმე მიზეზიდან, რომლებმაც ზემოაღნიშნული რაიონების მეცხოველეობა დააქვეითა, ჩვენ გვინდა უკრადება გავამახვილოთ მხოლოდ ერთზე („კომ.“). ათასობით მაგალითიდან მხოლოდ ერთს ნოვიყვან („თბილ.“). ლიშონის მრავალი ჭიშიდან ოთახის პირობებში კარვად ხარობს „მეიერი“ („სოფლ. ცხოვრ.“). უამრავი შესაძლო ვარიანტიდან... ნაკლებ ცნობილი უნდა აერჩია („სოფლ. ცხოვრ.“).

2. თანდებულიანი სახელი -ებ-იანი მრავლობითით არის წარმოდგენილი:

[ექვთიმე თაყაიშელის] მეტად მცირერიცხოვანი სამგლოვიარო მსვლელობის მონაწილეებიდან მხოლოდ ა. შანიძემ და ქრ. შარაშიძემ „გაბედეს“ მრავალკირანაული მეცნიერისათვის უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვათ (ლს). ტროელეებიდან ყველაზე ძლიერი და მამაცი პექტორი იყო (ძვ. მსოფლ. ისტ.). ცხრა აპრილის ღამეს. ქართული მწერლებიდან, ვინც მიადწია მიკროფონამდე, თქვა თავისი სიტყვა (რ. მიშვ.). ამ ბავშვებიდან ერთ-ერთმა თავის რვეულში ჩაწერა („სკ. და ცხოვრ.“). ვის ვაფასებ ფეხბურთელებიდან? („ლელო“). ამ წასული ახალგაზრდებიდან ერთი-ორი რომ დარჩეს საქართველოს გარეთ, ... აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება ჩვენთვის („ახ. კომ.“). სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ... („კომ.“). თქვენი მოთამაშვებიდან უნდა გამოვყო ყიფიანი („ლელო“). ეს ქავშანტრანსპორტორიქ ისეთი საქონელია, ფასი უფრო მოემატება. არ შეიძლება შენი ამხანაგებიდან ვინმეს არ პირდებოდესო (რ. მიშვ.). XX საუკუნის გრამატიკოსებიდან

შემასწავლებლობით გვხვდება იელ. კელენჯერიძის „ქართულ პრაქტიკულ გრამატიკაში“ (ლ. კვაკ.).

მოქმედებითი ბრუნვის ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ყველა თავისთავად არ არის (თ. შარაძ.). შენი ნათამაშევი პარტიებიდან რომელი გიყვარს გამორჩეულად? („თბილ.“). ერთგვარი წევრებიდან ერთი უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის ფორმითა წარმოდგენილი (იკე). დასაწყისში ჩამოთვლილი საკითხებიდან კიდევ ერთს მივადექით („ნათ.“). თუ ამ თვისებებიდან მკურნალში რომელინე ვერ იპოვა ავადმყოფმა, მაშინვე იზზარება რწენა („თბილ.“). მიღებული რიცხვებიდან რომელია უდიდესი? (მათმ.). მიღებული კუთხეებიდან უნდა ავირჩიოთ ის კუთხეები, რომლებიც ამოცანის პირობებს დააკმაყოფილებს (გეომეტრ.). თუ ამ რიცხვებიდან უმცირესს 1-ს გამოვაკლებთ... (ლ. მძინ). შესაყრებებიდან მსგავსი წევრების გამოყვანა (მათმ.).

ასევე იქნება: მიმდინარე პროცესებიდან, მოქმედი სტრუქტურებიდან, ამ კავშირებიდან, მიღებული შედეგებიდან, პარტიული ინტერესებიდან... შეიძლება გამოიყოს და მისთ.

აქ წარმოდგენილ სახელთა -ებ-იანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის ფორმები ენობრივად არაერთად უხერხულობას არ იწვევს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ბევრი ჩვენგანი, ალბათ, წმინდა სტილისტიკური მოსაზრებით, ზოგ შემთხვევაში -ებ-იან მრავლობითს -თანინს ამჯობინებდა (რადიც არცთუ მცირე მნიშვნელობა ენიჭება ფორმათა ტრადიციულ სმარებას).

— სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად, როგორც წესი, -გან-თანდებულის მოქმედებითს იყენებს აგრეთვე ერთი ნიშნით გაერთიანებულ საგანთა კლასების, ჯგუფების, სახეობების გადმოსაცემად მოხმობილი -ებ სუფიქსით გაფორმებული სიმრავლის გამომხატველი ბევრი ნივთიერებათა სახელი (მაგ.: ღვინოები, მინერალები, მინერალური წყლები, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვები, გაზები, მარილები, ეთერზეთები, ხილის წვენები, ფერმენტები, შხამები, პრეპარატები...). როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში მრავლობითობის -ებ-სუფიქსიანი ფორმები განსაკუთრებულ ფუნქციურსა და ინფორმაციულ დატვირთულობას იძენენ. მათი მოხმარების სფერო უპირატესად მეცნიერების ენაა. მაგალითები:

მიღებული მარილებიდან რომელია წყალში უხსნადი? (ამოც. კრ. ქ-შია-ში). ქვემოთ დასახელებული მეთაეებიდან რომელია ყველაზე ძლიერი? (იქვე). ჩამოთვლილი გაზებიდან ...რომელი შეიძლება გაძოვარდეს? (იქვე). ლიპიდებიდან ყველაზე გავრცელებული და ცნობილია ცხიმები

(ზოგ. ბოლ.). დისაქარიდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახმის შაქარი (რქვე).

ამვე რიგის ზოგ სხვა სახელთან -თანხანი მრავლობითის ფორმაც გვხვდება (შდრ.: ძუძუმწოვრებიდან / ძუძუმწოვართაგან, ცივისსხლიანებიდან / ცივისსხლიანთაგან, ქვეწარმავლებიდან / ქვეწარმავალთაგან, ფესსახსრიანებიდან / ფესსახსრიანთაგან, მცენარეებიდან / მცენარეთაგან, ცხოველებიდან / ცხოველთაგან, სითხეებიდან / სითხეთაგან და სხვათა ხმარების შემთხვევები შესაბამის კონტექსტებში). საერთო შთაბეჭდილებით, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობა აქაც -ებ-ით ნაწარმოებ მრავლობითსა (თუნდაც იმიტომ, რომ სემანტიკურად ნათელი ფორმები და ბრუნების სრული პარადიგმა აქვს) და, შესაბამისად, -იდან დაბოლოების მქონე ფორმებს ენიჭება. ეს შენიშვნა განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ლიტერატურის ენას ეხება.

აქვე უნდა დავასახელოთ -ებ-ით ნაწარმოები ისეთი სახელები, როგორცაა: წითლები, თეთრები, ცისფერჩაფსუტიანები, შავბერეტიანები, უფროსები (ასაკით, ჩინით, თანამდებობით)... სათანადო კონტექსტებში მათაც თანდებულიანი მოქმედებითის ფორმა აქვთ:

— უფროსებიდან შინ არაინა? — იკითხა მოსულმა („საქ. ქალი“).
...აეროდროზე მაღალი ჩინის უფროსებიდან არაინ არისო (ი. იაშვილი, თარგმ).

მოსმობილი მასალის მიხედვით, თანაბარ პირობებში ფუნქციონირებისას თანდებულიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი კონსტრუქციის) უპირატესობა თანდებულიან ნათესაობითთან (-ისგან-დაბოლოებიანი კონსტრუქციასთან) შედარებით, როგორც გავრცელებულობის, ისე გამოყენების სფეროს თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევს.

3. თანდებულიანი სახელი ლექსიკურად სიმრავლის სემანტიკის მქონე არსებითი სახელია.

— სათანადო კონტექსტებში -გან-თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი ლექსიკურად სიმრავლის სემანტიკის მქონე არსებით სახელთა დიდი ჯგუფი. შეიძლება დაგვესახელებინა: გუნდი (ერთი ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა კოლექტივი: მომღერალთა, ფეხბურთელთა... გუნდი), ანსამბლი, ჯგუფი, ოჯახი (ერთად მცხოვრებ უახლოეს ადამიანთა ჯგუფი), კოლექტივი, კონტინგენტი, (სამედიცინო, ტექნიკური) საზოგადოება, პერსონალი, (რიცხვთა) მიმდევრობა, სიმრავლე, წყება...

საგანთა სიმრავლე წარმოდგენილ შემთხვევაში ერთ მთლიანობად — მთელად აღიქმება, ყოველი ცალკეული საგანი კი მთელის, ერთიანის ნაწილად (შდრ.: ამ თვალსაზრისით: მთელიდან ნაწილის გამოყოფა).

მაგალითად:

ჩვენ აქ შევხვებთ ერთ კერძო საკითხს საკითხთა წყებოდან (არნ. ჩიქობ.). ამ შესანიშნავი ანსამბლიდან... მსურს გამოვეყოფოთ (..ლელი..). ვის გამოვყოფდით გუნდიდან? („ლელი“). ასეთ ღიას ყოველმხანაგს, რომელიც აქამდე არაფრით განიორჩეოდა ადამიანთა უსახელო ჯგუფიდან, ...უგრძენია, როგორ დღეობს მასში მბრკანებელი (თ. თარხნ., თარგმ.). ეპოქოთ ამ მიმდევრობიდან უკვეცი წილადების ქამი (ლ. მქინ.). ძნელია რიცხვთა უსასრულო სიმრავლიდან რომელიმე რიცხვის გამოყოფა (ა. ბენდ.).

ასევე იქნება: კოლექტივიდან, რგოლიდან, მოიერიშეთა რაზმიდან, ტექნიკური პერსონალიდან... ყურადღებას იქცევს, დამსწრე საზოგადოებიდან სიტყვა ითსოვა და მისთ.

ლექსიკურად სიმრავლის სემანტიკის სახელები (ზოგი გამოწინააღმდეგებელი გარდა) სხვა შემთხვევაში თავადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი მრავლობითი რიცხვის ფორმით. მაგ.: გუნდები, ანსამბლები, ჯგუფები, ოჯახები, შრომითი კოლექტივები, მოიერიშეთა რაზმები, რიცხვთა მიმდევრობები... ამ შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივი -ებ-იანი (იშვიათად -თან-იანი) მრავლობითის რიგში დგანან და რაიმე განსაკუთრებული პრობლემები მათთან დაკავშირებით არ ისმის — მათი ხმარება ჩვეულებრივი წესით ხდება (მაგ.: „დასახელებული გუნდებიდან ფინალში გასვლის შანსი მხოლოდ სამ გუნდს აქვს“ — „ლელი“. „ეოკალურინსტრუმენტული ანსამბლებიდან „ივერია“ ყოველთვის გამოირჩეოდა სტაბილურობით“ — „თბილ.“).

— სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად -განთანდებულნიან მოქმედებითს იყენებს აგრეთვე -ეულ სუფიქსით ნაწარმოები ზოგი კრებითი და რიცხვითი სახელი. მაგ.: ხილეული, ბაღჩეული, ბოსტნეული, ტკბილეული... ასევე: სამეული, ოცეული, დიდი (შესანიშნავი) შეიდეული... და მისთ.

ზემოთ სიმრავლის გადმოცემის სამი შემთხვევა განვიხილეთ: -ებ-იანი მრავლობითები, სიმრავლის სემანტიკის მქონე შესიტყვებები და ამავე სემანტიკის სახელები. სამივე შემთხვევა ნეიტრალური სიტყვათხმარებით ხასიათდება. აქ გაერთიანებულ სახელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ბრუნების სრული პარადიგმა აქვს, შესაბამისად, მათგან -გან-თანდებულნიანი ბრუნვების — ნათესაო-

ბითისა და მოქმედებითის ფორმათა წარმოება სირთულესთან არ არის დაკავშირებული. ამით იმის ხაზგასმა გვინდოდა, რომ ენის მომხმარებელს სასურველი შინაარსის გადმოსაცემად ალტერნატიულ (ნათესაობითი თუ მოქმედებითი ბრუნვის) ფორმებს შორის შეგნებული არჩევანის გაკეთების სრული თავისუფლება ჰქონდა.

სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად -განთანდებულებიანი ბრუნვების — ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციონირების ფარგლები განხილული ქვეჯგუფების მიხედვით ასე წარმოგვიდგება:

საგანთა სიმრავლე გადმოცემულია:

1. სახელითა და სიმრავლის სემანტიკის მქონე მსაზღვრელი სახელებით (მაგ.: 10 ამომრჩეველი, უამრავი შემთხვევა).

ერთი და იმავე ფუნქციით დადასტურებული ორი სინტაქსური კონსტრუქციიდან გაბატონებულია თანდებულებიანი მოქმედებითი (მაგ.: 10 ამომრჩევიდან ერთი, უამრავი შემთხვევიდან ერთი), იშვიათად იხმარება თანდებულებიანი ნათესაობითი (მაგ.: 10 ამომრჩევლისაგან ერთი, უამრავი შემთხვევისაგან ერთი).

2. სახელის -ებ-სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით (მაგ.: აქციის მონაწილეები, მარილები).

გაბატონებულია (ხოლო ზოგჯერ ამ დანიშნულებით მოსახმარი ერთადერთი სინტაქსური კონსტრუქციაა) თანდებულებიანი მოქმედებითი (მაგ.: აქციის მონაწილეებიდან ერთი, მარილებიდან ზოგი), იშვიათად იხმარება თანდებულებიანი ნათესაობითი (მაგ.: აქციის მონაწილეებისაგან ერთი).

3. ლექსიკურად სიმრავლის სემანტიკის მქონე სახელებით (მაგ.: გუნდი, ანსამბლი).

იხმარება მხოლოდ თანდებულებიანი მოქმედებითის ფორმით (მაგ.: გუნდიდან, ანსამბლიდან გამოიყოფა).

დასახელებული შემთხვევებიდან მესამეს პარალელური სინტაქსური კონსტრუქცია -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის სახით არა აქვს, თუმცა ფორმოზბრევად ამას ხელს არაფერი უშლიდა. როგორც ითქვა, იხმარება მხოლოდ -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (სახელის -იდან-დაბოლოებიანი) ფორმით (მაგ.: გუნდიდან, ანსამბლიდან გამოიყოფა).

თანაბარ პირობებში ფუნქციონირებისას (მხედველობაში გვაქვს პუნქტები 1 და 2) მოხმარების სიხშირისა და გამოყენების სფეროს მიხედვით -გან-თანდებულებიანი მოქმედებითი (სახელის -იდან-დაბოლოებიანი ფორმა) დიდად სჭარბობს თანდებულებიან

ნათესაობითს (სახელის -ისგან-დაბოლოებიან ფორმას). როგორც მასალიდან ჩანს, ნათესაობითიდან მოქმედებითზე ფუნქციური გადაწვევის პროცესი ფაქტობრივ დამთავრებულია. — ყოველ შემთხვევაში, მოცილე კონსტრუქციათა ადგილი სალიტერატურო ენაში არათრამზროვნად უკვე გარკვეულია. თანდებულიანი ნათესაობითის შემცველ კონსტრუქციებს, რომლებიც გამოყენების ერთეული შემთხვევებით ხასიათდებიან და ფაქტობრივად მეტოქეობას ვერ უწევენ მოქმედებით ბრუნვას, გადარჩენის პერსპექტივა არ უნანთ. რომელიმე 10 ამომრჩევლისაგან ერთი, ორისაგან ერთი, აქციის მონაწილეებისაგან ერთი და მისთ., მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად დღესაც ნორმირებული მეტყველების სფეროს განეკუთვნებიან, თანამედროვე სიტყვათსმარებაში სტილისტიკურად აშკარად მოძველებულნი ჩანან. მათი გამოყენება ენაში ძირითადად ემყარება ტრადიციას და ენის მომხმარებელთა ერთი ნაწილის შეგნებულ ძალისხმევას, შეინარჩუნონ ეს ტრადიცია.

ეს დასკვნები 70—80-იანი წლების სალიტერატურო ენის მონაცემებს ემყარება. დღეს, როცა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო კონტროლი სალიტერატურო ენაზე შესუსტებულია, ტრადიციის ამ დონეზე შენარჩუნებაც კი ვეღარ ხერხდება. სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად თანამედროვე სიტყვათსმარებაში -გან-თანდებულიანი მოქმედებითს (-იდან-დაბოლოებიან ფორმებს) ფაქტობრივად მეტოქე არ ჰყავს — იგი ამ დანიშნულებით მოსახმარი ერთადერთი სინტაქსური კონსტრუქციაა.

-გან-თანდებულიანი ნათესაობითის (-ისგან-დაბოლოებიანი) ფორმები სალიტერატურო ენაში ამავე დანიშნულებით გამოსაყენებლად ფუნქციონირებულნი ფორმებია. მათი საკითხი თანამედროვე სიტყვათსმარებაში იმდენად არააქტუალურია, რომ იგი არ შეიძლება სერიოზული მსჯელობის საგნად იქცეს.

III. ცალკე განვისილათ -თ-სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებს. სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად იბინი ფართოდ გამოიყენებიან როგორც ნეიტრალურ, ისე სტილიზებულ მეტყველებაში კონოტაციური ფუნქციით, მაგალითად:

[ლუკაია ლაბახუა იყო] უკანასკნელი მოპიკანი საქართველოს დასავლეთის დეოდალთა კარად მყოფ ლენითა და ბნელიანთაგან (ქ. გამს.). სხვას არას აღძრავს გრძნობათაგან ტალღათა შფოთვა, თუ არა იმას, რომ მოთ შეს თავს მაკარგვინებენ (თ. ჩხენკ., თარგმ.). არც ერთს არ ეყო იმ ხელმძღვანელთაგან კაცობა, მისულიყო ხალხთან და უბედურება ემცნო განწირულთათვის („საქ. რესპ.“). მეტოქეთაგან არც ერთი არ მიეუთვნება ევროპული ფეხბურთის ელტას („აბ. კომ.“). ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან თ-

ქმის აღარაინ დაგვრჩა („თბილ.“). მოწაფეთაგან უმრავლესობამ მოქანდაკის პროფესია აერჩიეთ („ახ. ივერ.“). [მან] ავსტრიელ სპორტსმენ ქალთაგან პირველმა მოიპოვა მსოფლიო თასი („ლელო“). თვით რედკოლეჯიის წევრთაგან ყველას როლი მიანდა სარწმუნოდ ავტორთა მოსაზრებანი („ქელ სკოლაში“).

ზოგი ამ სიტყვათაგან სალიტერატურო ენაში ფართოდ სახმარად დამკვიდრებულა („ქელ სკოლაში“). ვარაუდობენ, რომ ამ ფუნქციათაგან პირველადი უნდა იყოს თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა (ქსკს). სახელთაგან უმეტესად არსებითი სახელები და ნაკვალასხელებია გამოყენებულ, სახელზმნათაგან კი — საწყისები და... მიმდებანი (ლ. კვაკ.). დასახელებულ ბრუნვათაგან ჩვენს უფრადლებას იქცევს ნათესაობითი და მოქმედებითი (ე. თოფ.). ამა თუ იმ დარგში ხმარებულ ტერმინთაგან ზოგი ფართოდ არის გავრცელებული (ლ. კვაკ.). საფიქრებელია, რომ ამ მწიგნობრულ სკოლათაგან ზოგერთს მაინც საკმაოდ მტკიცედ შენუშაებული ენობრივი ნორმები ახასიათებდა (ზ. სარკე). განცდათაგან ერთნი მეორეთა მხრივ არიან მოტივირებული (ზ. კაკ.).

როდენ პარადოქსულადაც უნდა ქლერდეს, აქ. უპირველეს ყოვლისა, თანდებულიანი სახელის ბრუნვის ფორმისა და ფუნქციურსემანტიკური ეკვივალენტის საკითხი ისმის.

1. სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად -თან-იან მრავლობითს, -ებ-იანი მრავლობითისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი — -თაგან-დაბოლოებიანი სინტაქსური კონსტრუქცია აქვს. გრამატიკის საკითხებში გათვითცნობიერებული ადამიანისათვის იგი -გან-თანდებულიანი ნათესაობითია.

ალტერნატიული ფორმა -გან-თანდებულიანი მოქმედებითის სახით თითქოს არც არის მოსალოდნელი — სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული შეხედულების თანახმად, თანამედროვე ქართულში -თან-იანი მრავლობითი, რომელსაც ბრუნვის ნაკლებუვანი პარადიგმა აქვს, მოქმედებითი ბრუნვის ფორმით არ იხმარება. თუ ასეთი ფორმა ენაში იქნებოდა, იგი ნათესაობითს დაემთხვეოდა და ფორმობრივად მათ გამოიჯვანას ვერ მოვახერხებდით. ამის მიუხედავად, ამგვარი (-თან-იანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გამოყენების) შესაძლებლობის დაშვება საფუძველს მოკლებული არ არის.

რომელიმე მოწაფეთაგან, კურსდამთავრებულთაგან და მისთ. ჩვენთვის საინტერესო კონტექსტებში ისტორიულად რომ -გან-თან-დებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია, სადავო ვერ იქნება. ისიც ფაქტია, რომ ბევრისათვის ის დღესაც უკრიტიკოდ ნათესაობითია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამართლება არ ექნებოდა მის ასე ფართოდ და მრავალმხრივ მოხმარებას და განსაკუთრებით კი იმათი მხრიდან, ვისაც პროფესიულად თუ სამსახურებრივად აქტი-

ური შესვების წერტილები აქვს სალიტერატურო ენასთან. ეს ფორმები ხომ საუკეთესო საშუალებაა ნორმატიული თვალსაზრისით საკოჭმანო -გან-თანდებულებიანი მოქმედებებითებისაგან (-იდან-დაბოლოებიანი ფორმებისაგან) თავის დასაცავად.

და მაინც, -თ სუფიქსით მრავლობითის წარმოების წესიდან გამომდინარე, ალტერნატიულ ფორმათა უქონლობის გამო. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ნათესაობითი ბრუნვა -თანიანი მრავლობითის მქონე სახელებთან ინარჩუნებს თავის პოზიციებს. დღეს, ნათესაობითიდან მოქმედებითზე მასობრივი ფუნქციური გადაწვევის პირობებში, საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა დაგვეშვა ზემოხსენებულ ფორმათა მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობაც. რომელიმე -თაგან-დაბოლოებიანი ფორმა ამ შემთხვევაში ომოფორმა იქნებოდა და, კონტექსტის მიხედვით, მას ნათესაობითის მნიშვნელობაც ექნებოდა და მოქმედებითისაც. მაგ.: „წინაპართაგან (= წინაპრებისგან, წინაპრების მიერ) ნასათუთარი ენა, მამული, სარწმუნოება“, ერთი მხრივ, და „წინაპართაგან (= წინაპრებიდან) წავიდა ყველა“. მეორე მხრივ.

რა გვაძლევს ასეთი ვარაუდის დაშვების უფლებას?²¹.

ა. თეორიულად ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა ძველი ქართულის მასალა, მეცნიერულად შესწავლილი და დამუშავებული, რომელიც ადასტურებს ნათესაობით-მოქმედებითის გენეტურ და ფუნქციურ ერთიანობას და კონტექსტში მათ შეუზღუდავ მონაცვლეობას²²;

ბ. ეს ვარაუდი არ ეწინააღმდეგება -თ სუფიქსით სახელთა წარმოების წესს. -თ ისტორიულად მხოლოდ სიმრავლის მაწარმოებელია და არა საკუთრივ რომელიმე კონკრეტული ბრუნვის ფორმისა. ამა თუ იმ ბრუნვის ფორმად მისი კვალიფიკაცია კონტექსტური მონაცემების საფუძველზე ხდება ფორმათა ჩანაცვლების საშუალებით.

²¹ ქვემოთ გამოთქმული მოსაზრებანი ზოგადად გამოსვლათობის ფუნქციის მქონე -გან-თანდებულებიანი ნათესაობითისა და მოქმედებითის ურთიერთმიმართებას ეხება. ფუნქციონირებას ეს სდევრო, როგორც საერთო სისტემის ერთ რგოლს, თეორიულად ჩვენთვის საინტერესო სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე კონსტრუქციებისა და მოიცავს.

²² ერცლად ამის შესახებ იხ. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 215, 713—714.

გ. იმ სამ ბრუნვას (მოთხ., მიც., ნათ.), რომელთა ფუნქციონაც შეიძლება ახალ ქართულში -თანიანი მრავლობითის მოხმარება, ძველი ქართულისათვის მოქმედებითი და ეითარებითი ბრუნვის ფორმებიც ემატება. ძველ ქართულში გამოვლენილია საკუთრივ -გან-თანდებულიანი მოქმედებითის სმარების შემთხვევები. მაგ.: „იწყე უკანაჲსკნელთაგან (= დაიწყე უკანასკნელებით, უკანასკნელებიდან) ვიდრე პირველთამდე“ (მ 20, მ C)²³. ამ ფორმათა გამოყენების შესაძლებლობას ახალ ქართულში ადასტურებს „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“²⁴. ე. ი. პოტენციურად ენას აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში -თანიან მრავლობითთან გააცოცხლოს -გან-თანდებულიანი მოქმედებითის ფორმები;

დ. აღარაფერს ვამბობთ ისეთი -თაგან დაბოლოების მქონე ფორმების შესახებ, რომლებიც ძველსავე ქართულში ნათესაობითიც შეიძლებოდა ყოფილიყო და მოქმედებითიც. მაგ.: ვეფხისტყაოსნის კბილთაგან („კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა“) შეიძლება გავიგოთ როგორც კბილებისაგან, ისე კბილებიდან²⁵. უფრო ზუსტად, ენის განვითარების ერთ, ადრინდელ საფეხურზე მას ნათესაობითის მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო გვიანდელზე — მოქმედებითისა.

ამ ფორმათა შემკვიდრებას თანამედროვე ქართულში მხოლოდ თანდებულიანი მოქმედებითის მნიშვნელობა აქვთ. მაგ.: „ცრემლმა იწვიმა გიორგის თვალთაგან“ (კ. გამს.). ასევე: „დადამოსჩქეფს გულმოკლულ ვაჟს თვალთაგან ცრემლთა მდულარება“ (გ. ტაბ.). თვალთ(ა)გან დასახელებულ მაგალითებში -გან-თანდებულიანი მოქმედებითებია (= თვალებიდან);

ე. დასმული საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -თაგან-დაბოლოებიანი ფორმები კონტექსტში -ებ-იანი მრავლობითის -გან-თანდებულიანი მოქმედებითის (და არა ნათესაობითის!) ფორ-

²³ ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 272—276; თ. შარაძენიძე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარების ბრუნვებში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართულურ ენებში, თბ., 1956, გვ. 273.

²⁴ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 182 (მაგალითს ლექსიკონიდან არ ვიმოწმებთ, რადგან კონტექსტის უქონლობის გამო მისი მნიშვნელობის ცალსახად გაგება გამორიცხულია).

²⁵ თ. შარაძენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 278.

მებს ენაცვლებიან (შდრ. ამ თვალსაზრისით: წინაპართაგან და წინაპრებიდან, მოწაფეთაგან და მოწაფეებიდან, კურსდამთავრებულთაგან და კურსდამთავრებულებიდან და მისთ. სათანადო კონტექსტებში).

თუ გავიხსენებთ, რომ -თანთან ფორმათა გრამატიკული და სემანტიკური კვალიფიკაცია კონტექსტურ მონაცემებზე დამყარებით-ებ-იანი მრავლობითის ფორმებით ჩანაცვლების საშუალებით ხდება, საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა დაგვეშვა, რომ საქმე გვაქვს მოქმედებითი ბრუნვის ფორმებთან²⁶.

მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ენაში ომოფორმათა დაშვებას ემყარება, ხოლო:

ა. ტრადიციულ სიტყვათხმარებაში ჩვენთვის საინტერესო ფუნქციით უპირატესობა ნათესაობით ბრუნვას ენიჭება (-თანთან მრავლობითის სახით კი საქმე არქაულ, შესაბამისად, ტრადიციულ წარმოებასთან გვაქვს);

ბ. -თაგან დაბოლოებაში პირველყოფილი, ფონეტიკურად უცვლელი სახით წარმოდგენილი -გან თანდებული ასევე ტრადიციულად აშკარად ნათესაობითი ბრუნვის ილუზიას (და არა მარტო ილუზიას!) ქმნის (მოქმედებითი ბრუნვა თანამედროვე ქართულში -იდან დაბოლოებასთან ასოციირდება);

გ. ენაში არსებობს -თაგან-დაბოლოებიან ფორმათა საზიარო სემანტიკის მქონე -გან თანდებულით ნაწარმოები -თანთან მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები (მაგ.: მეცნიერთაგანი, მოკვდავთაგანი, ბურჯთაგანი და მისთ. ტიპისა), თავს შევიკავებთ -თაგან-დაბოლოებიან ფორმათა მოქმედებითი ბრუნვის ფორმებად მიჩნევისაგან და მათ ტრადიციულად ნათესაობითი ბრუნვის ფორმებად დავტოვებთ (თუმცა კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ ამ ფორმათა მოქმედებითი ბრუნვის ფორმებად მიჩნევას თეორიულად წინ არაფერი უდგას).

ამგვარ მსჯელობას იმითაც ვამართლებთ, რომ ნათესაობითად თუ მოქმედებითად ამ ფორმათა კვალიფიკაცია საბოლოო შედეგის

²⁶ სხვა სემანტიკურ გარემოცვაში იგივე -თაგან- დაბოლოებიანი ფორმები, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება ნათესაობითის ფუნქციითაც იხმარებოდეს. მაგ.: მტერთაგან (= მტრებისგან, მტრების მიერ) შევიწროებულო, შვილთაგან პატივყარილი, დედათაგან დაუტირებელი და მისთ. ხაზგასმული ფორმები ამ შემთხვევაში ლოგიკურად მოქმედის, აგენის ფუნქციას ასრულებენ და, ცხადია, ნათესაობითის ფორმით არიან წარმოდგენილი.

მიხედვით არაფერს არ ცვლის. როგორც ზემოთ არაერთგზის ითქვა, აქ მთავარი და გადამწყვეტი ისაა, რომ ეს ფორმები დღეს კონტექსტში მოქმედებითი (და არა ნათესაობითი, როგორც ეს არცთუ შორეულ წარსულში იყო) ბრუნვის ფორმებს ენაცვლებიან და მათი მნიშვნელობით იხმარებიან²⁷. თანამედროვე სიტყვათხმარებაში ფუნქციური ეკვივალენტები წინაპართაგან/წინაპრებიდან (და არა წინაპართაგან/წინაპრებისაგან) ფორმები არიან.

2. რამდენადაც -ებ და -თ გრამატიკული მრავლობითობის საწარმოებელი სინონიმური აფიქსებია, ბუნებრივია დაისვას ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით იმ ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხი, რომლებიც ამ აფიქსებით არიან ნაწარმოები. როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, ზემოთ წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში -თანინი მრავლობითის ხაზგასმული (-თაგან-დაბოლოებიანი) ფორმები -ებ-იანი მრავლობითის -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი) ფორმებს ენაცვლებიან, მათი ფუნქციური ეკვივალენტები არიან. მხედველობაში გვაქვს მწიგნობრულ სკოლათაგან და მწიგნობრული სკოლებიდან, მოწაფეთაგან და მოწაფეებიდან, კურსდამთავრებულთაგან და კურსდამთავრებულებიდან და მისთ. ფორმათა მონაცვლეობა სათანადო კონტექსტებში.

ამგვარ მონაცვლეობას შეიძლება ხელი შეუშალოს, ერთი მხრივ, იმ ფაქტმა, რომ -თ არქაულობისა და ზოგ თანხმოვანთან ფონეტიკურად შეუთავსებადობის გამო ყველა ფუძისაგან რიცხვის ფორმას ვერ აწარმოებს და, მეორე მხრივ, სტილისტიკურმა ფაქტორმა, რომელიც მთლიანად -ებ და -თ აფიქსთა ფუნქციონირების სფეროებით და სალიტერატურო ენაში მათი ადგილით არის შეპირობებული.

-ებ სტილისტიკურად ნეიტრალური ფორმანტია, -თ — სტილისტიკურად შეფერილი, თუმცა სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად ამ უკანასკნელის (-თ ფორმანტის) გააქტიურება სწორედ ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში მოხდა -იდან-და-

²⁷ ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ტრადიციული სიტყვათხმარებით შემავრებული ერთი სტერეოტიპული გამოთქმის „ალიგავა პირისაგან მიწისა“ (მაგ.: „ქართაგენი ალიგავა პირისაგან მიწისა“ — ძვ. მსოფ. ისტ.). კარგად გამოკვეთილ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას თანამედროვე ქართულში ერთადერთი — -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის მნიშვნელობა აქვს.

ბოლოებიან ფორმათაგან თავის დასაცავად. როგორც მოსახმარად მარტივ, სემანტიკურად ნათელ და გამჭვირვალე ფორმებს, ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლები, ჩვენთვის საინტერესო ფუნქციით, უპირატესობას ებიან მრავლობითებს ანიჭებენ. ჰუმანიტართა სიმპათიები კი, თუ მასალა არჩევანის საშუალებას იძლევა, აშკარად - თანიან ფორმათა სასარგებლოდ იხრება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ - თანიანი მრავლობითები ნეიტრალურ სიტყვათხმარებაშიც კი წიგნურობისა და არქაულობის ელფერს ატარებენ. აღარაფერს ვამბობთ ისეთ შემთხვევათა შესახებ, როცა ეს უკანასკნელნი სხვა ენობრივ და სტილურ საშუალებებთან ერთად ხაზგასმული მაღალფარდოვნებისა და არტისტიზმის სტილისტიკური ეფექტის შესაქმნელად არიან მოხმობილი (მაგ.: „უ ა ზ ნ ო თ ა გ ა ნ მე პირველმა იტალიურად ავახშიანე ეოლიის საგალობელი“ — თ. ჩხენკ., თარგმ.) და ამ დანიშნულებით მოსახმარ ერთადერთ ფორმებად რჩებიან.

კიდევ ერთი სემანტიკური ნიუანსი:

სინონიმური (მოწაფეთაგან / მოწაფეებიდან, კურსდამთავრებულთაგან / კურსდამთავრებულებიდან) ფორმებით შედგენილ კონსტრუქციებს შორის სტილისტიკურის გარდა სემანტიკური სხვაობაც უნდა იყოს, კერძოდ: თანდებულიანი ნათესაობითის (-თაგან-დაბოლოებიანი ფორმის) შემცველი კონსტრუქციით თითქოსდა სიმრავლის წევრის (როგორც სიმრავლეში შემავალი დამოუკიდებელი თვლადი ერთეულის) აქცენტირება უნდა ხდებოდეს, თანდებულიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი ფორმის) შემცველი კონსტრუქციით კი — თავად სიმრავლისა (აქ სიმრავლე აღიქმება გაუდიფერენცირებლად — მთლიანობად, მსგავსი საგნების ერთობლიობად, თავად საგანი კი — მთლიანობის, ერთობლიობის შემადგენელ ნაწილად).

-თაგან-დაბოლოებიანი ფორმათა ასეთი გაგება ნასაზრდოები უნდა იყოს ამავე დაბოლოების შემცველი ისეთი კარგად გამოკვეთილი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულებით, როგორიცაა მეცნიერთაგანი, მოკვდავთაგანი, ბურჯთაგანი და მისთ. (ნიშნავს ერთს, ერთ-ერთს სახელის ფუძით აღნიშნულ სიმრავლეში).

-იდან-დაბოლოებიანი ფორმების შემოაღნიშნული გააზრებისათვის კი ხელი უნდა შეეწყოს გუნდიდან, ანსამბლიდან გამოიყოფა ტიპის შესიტყვებებს, რომელთა სახელად ნაწილშიც საგანთა თვლადი სიმრავლე (სახელის ფუძეში ლექსიკურად თავისთავად ნაგუ-

ლისსმები და ხელშესახები) კონკრეტულ შემთხვევაში იჩრდილება ამ უკანასკნელთა (თვლად საგანთა) ერთობლიობად — გუნდად, ანსამბლად... აღქმის გამო. ზემოთ მოხმობილი მასალის მიხედვით ენაში ძალზე ხშირად წარმოიქმნება იმის საჭიროება, რომ საგანთა სიმრავლე არა მარტო მრავალი საგნის უბრალო კრებულად, არამედ თვისებრივად ახალ სიდიდედ — მრავალთა ერთიანობად, სწორედ სიმრავლედ იქნეს გაგებული. ასე გაგებული სიმრავლიდან (ერთის, ზოგის, მრავლის...) გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად თანდებუიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი) ფორმა ჩვენ სავესებით გამართლებულად გვესახება.

შდრ. ამ თვალსაზრისით: მოწაფეთაგან (= ცალკეული მოწაფეებისაგან შემდგარი სიმრავლიდან) გამოიყოფა და მოწაფეებიდან (= „მოწაფის“ ნიშნით გაერთიანებული სიმრავლიდან) გამოიყოფა.

ასე რომ, ენაში შეინიშნება ცდა ორი სხვადასხვა სისტემის — ებ-იანი და -თანიანი მრავლობითების სინონიმურ ფორმათა სემანტიკურად გამიჯვნისა და ამით ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში არსებული პარალელიზმის თავიდან აცილებისა.

3. ალტერნატიულ ფორმათა უქონლობის გამო ოდინდელი ვითარებაა შემორჩენილი და, შესაბამისად, -გან-თანდებუიანი ნათესაობითის ფორმით იხმარებიან (თუმცა ეს უკანასკნელნი კონტექსტში სახელის -იდან-დაბოლოებიანი ფორმის ფუნქციას ასრულებენ) სიმრავლის სემანტიკის მქონე პირის ნაცვალსახელები ჩვენგან, თქვენგან სათანადო კონტექსტებში. მაგალითად:

ჩვენგან (= ჩვენი თანატოლებიდან) შენ გერგო ლიდერად ყოფნის პატივ (აბ. ივერ.).
ზოცათობირეთ, თქვენგან (= თანამებრძოლებიდან) ორი მოხალსე იქნება საპირო („ქალთა გაზ.“).

მესამე პირის (ჩვენებითი) ნაცვალსახელების ამათგან, მათგან ფუნქციით კი ენაში აქედან ზმნისართიც იხმარება (შეენიშნავთ, რომ მოცემულ კონტექსტებში აქედან ზმნისართი თავდაპირველი სივრცობრივი მნიშვნელობისაგან დაცლილია). მაგალითად:

ქართულ ზეპირ მეტყველებაზე დაკვირება უამრავ საკითხს აჩენს: ამათგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ვეხებით (ლ. კვანტ.). იგი შედგება 13 კომპიუტერისაგან (ამათგან ერთი მასწავლებლისაა, დანარჩენი 12 — მოსწავლისა) („თბილ.“). მათი რიცხვი 1110 კაცს შეადგენს. მათგან ყველაზე მტრია ოცდაათ წლამდე ახალგაზრდა („თბილ.“). გეოგრაფია ისწავლება შვიდიოციგნით. მათგან მხოლოდ ორია ქართულად შედგენილი (ქსკს).

რძის დაწებებს დღიდან ერავმა 54 რაკეტა დაუშინა: საულის არაბეთს და ისრაელს. აქედან 33 რაკეტა პერსივე გაანადგურა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა

„პარტიოტმა“ („საქ. რესპ.“). მარტო გასული ყვირის მანძილზე თბილისში 16520 კაცი დაეკრებოდა. აქედან 134 კონსტრუქციულია („კომ.“). გრამატიკა... შეიცავს 133 გვერდს. აქედან 58 გვერდი ლექსიონია (ქსკ).

მოყვანილი მაგალითების მიხედვით²⁸, ცხადია, ამათგან და მათგან ფორმათა მართებულობის საკითხი სალიტერატურო ენისთვის ვალსაზრისით არ იმის. არც აქედან უნდა იყოს უარსაყოფი ფორმა. იგი განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსით უნდა უპირისპირდებოდეს ამათგან, მათგან ფორმებს. ჩვენი აზრით, მათ შორის ისეთივე მიმართება უნდა იყოს, როგორც სახელის -თაგან-და -იდან-დაბოლოებიანი ფორმებისათვის ვივარაუდეთ. კერძოდ, ამათგან, მათგან ნაცვალსახელებით სიმრავლის წევრის აქცენტირება უნდა ხდებოდეს, აქედან ზმნისართით — თავად სიმრავლისა.

თუ ჩვენი ვარაუდი არ არის მოკლებული რეალობას, მაშინ სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად ნათესაობითი (ამათგან, მათგან) და მოქმედებითი (აქედან) ბრუნვის ფორმათა ერთმანეთის გვერდით და თანაბარი უფლებით ფუნქციონირება სალიტერატურო ენის პოზიციით მისაღები და გამართლებული უნდა იყოს.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, როცა საგანთა სიმრავლე გადმოცემულია არქაული -თ სუფიქსით, სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მნიშვნელობით იხმარება ტრადიციული ნათესაობითი ბრუნვის -თაგან-დაბოლოებიანი ფორმა (მაგ.: დედათაგან, ფუნქციათაგან ერთ-ერთი).

-თანინი მრავლობითის ბრუნების პარადიგმატული რიგის ნაკლულევანებისა და, შესაბამისად, ალტერნატიულ (მოქმედებითი ბრუნვის) ფორმათა უქონლობის გამო დასახელებული ფუნქციით ნათესაობითი ბრუნვის ხმარების უპირატესობის ან პოზიციის შენარჩუნების საკითხი აქ, ცხადია, არ იმის — ერთი ბრუნვის ფორმის (ნათესაობითის) არსებობის პირობებში შესარჩევი არა-ფერია. ეს არის აუცილებლობით შეპირობებული ფორმა, რომელიც თანამედროვე ქართულში იმავე მნიშვნელობით იხმარება და იმავე:

²⁸ სალიტერატურო ენაში არცთუ იშვიათად ზემოთ დასახელებულ კონტექსტებში მათგან, ამათგან, აქედან ფორმათა გვერდით შორის თანდებულთ შედგენილი მათ შორის კონსტრუქციაც გვხვდება. როგორც განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსის მქონე კონსტრუქცია (ამ უკანასკნელთ სიმრავლეში მყოფობის სემანტიკა გადმოიცემა), იგი ამჟერად ჩვენი ინტერესების სფეროში არ შემოდის.

ფუნქციას ასრულებს, რასაც -ებ-იანი მრავლობითის -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი) ფორმა: დედა-თაგან, ფუნქციათაგან ერთ-ერთი და დედებიდან, ფუნქციებიდან ერთ-ერთი ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტები არიან.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის პარალელიზმი ერთი სისტემის შიგნით (მაგ.: დედებისაგან / დედებიდან ერთ-ერთი ტიპისა). ეს არის ორი სხვადასხვა სისტემის — ებ-იანი და -თან-იანი მრავლობითების სინონიმურ ფორმათა პარალელური ხმარება, შემაგრებული ფუნქციონირების საკუთარი სფეროებით (ერთი მხრივ, ნეიტრალური და, მეორე მხრივ, კონოტაციური სიტყვათხმარებით).

სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად ეს ორი სინტაქსური კონსტრუქცია, რომლებიც გაბატონებულია თანამედროვე სიტყვათხმარებაში, გამოყენების სფეროების შესაბამისად ერთმანეთს ავსებენ.

IV. თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად თანამედროვე ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში ძირითადი და გაბატონებული სინტაქსური კონსტრუქციები -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი) ფორმით შედგენილი კონსტრუქციებია. ამგვარ ვითარებას გვიჩვენებენ:

1. სიმრავლის სემანტიკის მქონე სახელები (მაგ.: გუნდიდან, ანსამბლიდან გამოიყოფა).

2. სიმრავლის სემანტიკის მქონე შესიტყვებები (მაგ.: 10 ამომრჩეველიდან ერთი, უამრავი შემთხვევიდან ერთი).

3. -ებ-სუფიქსიანი მრავლობითები (მაგ.: აქციის მონაწილეებიდან ერთი, მარილებიდან ზოგი).

ამავე ფუნქციის მქონე -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის (-ისგან-დაბოლოებიანი) ფორმით შედგენილი კონსტრუქციები, რომელთა მოხმარება ენაში ძირითადად ენობრივ ტრადიციას ემყარება, სერიოზულ მეტოქეობას ვერ უწევს -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი) ფორმებს. 10 ამომრჩეველისაგან ერთი, უამრავი შემთხვევისაგან ერთი, აქციის მონაწილეებისაგან ერთი, ორისაგან ერთი და მისთ. თანამედროვე ქართულში სტილისტიკურად მოძველებული ფორმებია.

ალტერნატიული (მოქმედებითი ბრუნვის) ფორმის უქონლობის გამო -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის (-თაგან-დაბოლოებიანი) ფორმით შედგენილი კონსტრუქციები „ინარჩუნებენ პოზიციას“ არ-

ქაულ -თანთან მრავლობითთან (მაგ.: დედათაგან, ფუნქციათაგან ერთი). ეს უკანასკნელი, როგორც არქაული წარმოების ფორმები, უპირატესად სტილისტიკურად შეფერილ კონტექსტებში იღებენ მონაწილეობას, და სწორედ ამ ნიშნით უპირისპირდებიან -ებ-იანი მრავლობითის -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის (-იდან-დაბოლოებიანი) ფორმებს²⁹.

ჩვენ საკამათოდ არ ვხდით -თანთან მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს (აქ, ერთი ფორმის არსებობის პირობებში, შესარჩევი არაფერია) და აქცენტს ვაკეთებთ ისეთ შემთხვევებზე, როცა ენაში რეალურად (ან თეორიულად) დადასტურებული ორი ალტერნატიული ფორმიდან — -გან-თანდებულებიანი ნათესაობითიდან (მაგ.: ორისაგან ერთი) და -გან-თანდებულებიანი მოქმედებითიდან (მაგ.: ორიდან ერთი) შეგნებული არჩევანი მოქმედებითი ბრუნვის სასარგებლოდ კეთდება. სალიტერატურო ენაში სწორედ ასეთი არჩევანი გაკეთდა.

ეს ფაქტი არ არის შემთხვევითი ხასიათისა. იგი სავსებით შეესაბამება ძველსავე ქართულში ჩასახულ საერთოენობრივ ტენდენციას, რომელიც ერთი — მოქმედებითი ბრუნვის ფარგლებში გამოსვლითობის ფუნქციის თავმოყრა-კონცენტრირებასა და, შესაბამისად, -გან თანდებულის ერთ — მოქმედებით ბრუნვასთან დამკვიდრებას გულისხმობს.

ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მეგრულის ჩვენება. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მეგრულის დაშორებითი (დაწყებითი) ბრუნვის ფორმით (ეს უკანასკნელი კი ქართულის -გან-თანდებულებიანი მოქმედებითის ფუნქციური ეკვივალენტია), ადგილისა და დროის გარემოებების გარდა, -გან-თანდებულებიანი პირმთუმართავი (უბრალო) დამატებებიც გადმოიცემა³⁰.

ასე რომ, ის ფუნქციები, რომლებიც ქართულში -გან-თანდებულებიან ბრუნვებზე — ნათესაობითსა (ობიექტურ მიმართებათა გა-

²⁹ შდრ. ამ თვალსაზრისით: „თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გაცნოთ ერთ-ერთს იმ ნეტარსნებულ დედათაგან, ვინც პირნათლად მოიხადა ვალს ქვეყნისა და ერის წინაშე“ („საქ. ქალი“) და: „შეკრების მონაწილე ახალგაზრდა დედებიდან ბევრს დიღხანს ემახსოვრება ეს საღამო და მისი მშენიერი დიახლისი“ („სოფლ. ცხოვრ.“).

³⁰ ა. ლომთაძე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში: მაცნე, № 4, 1973, გვ. 120; ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ წნებში, თბ., 1982, გვ. 165, 249.

მოსხატვა) და მოქმედებითზე (ლოკალურ და დროულ მიმართებათა გამოსხატვა) არის განაწილებული, მეგრულში ერთ — დაშორებით (დაწყებით) ბრუნვაშია თავმოყრილი.

ნათესაობითიდან მოქმედებითზე ფუნქციური გადაწვევის პროცესი მეგრულში, როგორც ჩანს, თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. ეს ქართულში ამჟამად მიმდინარე პროცესების ერთობ შორეული პერსპექტივაა.

ჯერჯერობით კი სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -გან-თანდებულისანი მოქმედებითის ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ ამ დანიშნულებით მოსასმარი ერთადერთი ფორმებია სალიტერატურო ენაში, სპეციალისტთა ყურადღების მიღმა რჩებიან. სანიშნოდ დავიმოწმებთ -გან თანდებულის ფუნქციურ დახასიათებას უახლესი საენათმეცნიერო ლიტერატურის ორი ავტორიტეტული ნაშრომიდან:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული, თბ., 1986): „გან თანდებული დაერთვის ნათესაობით ბრუნვას და წინამაჟალ სახელთან ერთად უპასუხებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? ამხანაგისაგან წერილი მიიღო“ (გვ. 122), „-იდან რთული დაბოლოება, მიღებული -ით მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებისა და -გან თანდებულისაგან; დაერთვის სახელს და მასთან ერთად უპასუხებს კითხვაზე: საიდან? წერილი მივიღე სოფლიდან. — მატარებელი გამოვიდა სადგურიდან. — ლექსი გადმოწერა წიგნიდან“ (გვ. 245).

2. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (თბ., 1988): „გან თანდებული დაერთვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთან იცვლება ფონეტიკურად. აღნიშნავს გამოსვლითობას: ნათესაობით ბრუნვასთან — შინაგანს, თვისებრივს: მეგობრ-ის-გან // მეგობრ-ის-ა-გან, საქმ-ის(ა)-გან... მოქმედებით ბრუნვასთან — გარეგანს: სახლ-იდ-ან (< სახლ-იდ-გან < სახლ-ით-გან). პირველ შემთხვევაში უბრალო დამატებაა, მეორე შემთხვევაში — ადგილის გარემოება“ (გვ. 74).

-გან თანდებულის ფუნქციურ დახასიათებას, რომელიც ბოლო დრომდე დომინირებს სპეციალურ ლიტერატურაში, საბოლოოდ საკონტროლო კითხვების დასმასა და თანდებულისანი სახელის წინადადების წევრად გააზრებამდე მივყავართ. ეს კი ფაქტობრივად არის „მოჯადოებული წრე“, ჩიხი, რომელშიც სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე ფორმებისათვის ადგილი არ რჩება, რადგან

მათვის ტრადიციულად გაგებული საიდან? კითხვაც უცხო და შეუთავსებელია და ის სინტაქსური ფუნქციაც ადგილის გარემოებისა, რომელიც -გან-თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმებისათვის არის იმთავითვე დაკანონებული.

ზემოთ დასასულებული ფორმები გამონაკლისს არ წარმოადგენს. ენაში მრავლად მოიპოვება მსგავსი წარმოების ისეთი ფორმა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში -გან-თანდებულიანი ბრუნვების — ნათესაობითისა და მოქმედებითის სადიფერენციაციოდ შემოთავაზებულ ყალიბში ვერ თავსდება, მაგრამ ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგნით შემოვიფარგლებით და მათზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

წინამდებარე ნაშრომი სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -გან-თანდებულიან კონსტრუქციებს ეძღვნება. ჩვენ ზემოთ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, თუ რა იყო ისტორიულად, რა არის დღეს და რა პერსპექტივები ჩანს სამომავლოდ — კერძოდ, რამდენად შეესაბამება ეს ფორმები პრობლემის განვითარების საერთო-ენობრივ ტენდენციებს. სამუშაოს შემდგომ ეტაპზე საჭირო იქნება ამ ფორმათა კვალიფიკაცია ნორმატიული თვალსაზრისით, უფრო ზუსტად, მათთვის იმ ადგილის დაკანონება, რომელიც მათ, როგორც ენის განვითარების საერთო კანონზომიერებით შეპირობებულ ფორმებს, სალიტერატურო ენაში ისედაც მოპოვებული აქვთ. ფაქტობრივ, საჭირო იქნება ნორმისა და ენაში არსებული რეალური ვითარების შესაბამისობაში მოყვანა.

ერთი კალკირებული ფორმის შესახებ
თანამედროვე ქართულში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გადა- ზმნისწინის ძირითად მნიშვნელობათა შორის აღნიშნულია: „...ხელმეორედ (რისამე) შესრულება — მოქმედების განმეორება“ (ქეგლ, II). ნიმუშებად დასახელებულია: „სახელმძღვანელოს გადა-მუშავება, მასწავლებელთა გადა-მზადება, სტატიის გადა-ბეჭდვა, თანხის გადა-ანგარიშება, ტანისამოსის (პალტოს, კაბის...) გადა-კეთება, პიესის გადა-კეთება“ (იქვე).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ გადა- ზმნისწინის განმეორებითი მოქმედების აღნიშვნის ფუნქცია ფაქტობრივად რუსული ენის გავლენით განუვითარდა¹. და რადგანაც რუსული пере- მრავალ შემთხვევაში უნაკლოდ ითარგმნება გადა- პრევერბით, ეს უკანასკნელი пере-სთან გაიგივების შედეგად გამოყენებულ იქნა მოქმედების განმეორების აღმნიშვნელი რუსული пере- ზმნისწინის გადმოსაცემად. როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში აქვს აღნიშნული ნ. ვაჩნაძეს, „ეს გადა- პრევერბიანი ფორმები სათანადო რუსული ზმნების კალკებს წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევათა რიცხვი არცთუ ისე მცირეა, რამაც განაპირობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გადა- პრევერბის ამ მნიშვნელობის ცალკე გამოყოფა“².

მოქმედების განმეორება, ხელმეორედ რისამე შესრულება ერთნაირად თვალსაჩინო არაა ყველა დასახელებულ მაგალითში. თუ გადამუშავება, გადაანგარიშება, გადაკეთება... მართლაც ვარაუდობს დამუშავებულის, დაანგარიშებულის, გაკეთებულის... ხელ-

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 258.

² ნ. ვაჩნაძე, რუსულ пере-პრევერბიან ზმნათა ქართულად გადმოცემის საშუალებანი: ქსკ, წ. I, 1972, გვ. 214.

მეორედ დამუშავებას, დაანგარიშებას, გაკეთებას, გადაბეჭდვა-
ხელახლა დაბეჭდვასაც ნიშნავს და ხელნაწერის საბეჭდ მანქანაზე
გადაწერასაც. შდრ.: „ერთხელ დაბეჭდილი ტექსტი გადასაბეჭდი
გამისდა“ და: „წერა დავამთავრე, ახლა გადავბეჭდავ (გადავა-
ბეჭდვინებ) და გადავცემ...“ (მოსალოდნელ დავბეჭდავ ფორმის
ხმარებას ალბათ ის უშლის ხელს, რომ ამ ზმნით, ჩვეულებრივ,
სტამბური წესით დამზადებული პროდუქცია ივარაუდება).

აღნიშნულ მნიშვნელობასთან (მოქმედების განმეორებით შეს-
რულებასთან) გარკვეული თვალსაზრისით ახლოსაა გადა- ზმნის-
წინის ის მნიშვნელობა, რომელიც განმარტებით ლექსიკონში ამგვა-
რადაა ფორმულირებული: „...ადგილის შეცვლა, მონაცვლეობა³.
მაგიდის გადა-დგმა. სიტყვაში ბგერის (ბგერების) გადა-სმა. ბინი-
დან გადა-სვლა. [მოწაფის] კლასიდან კლასში გადა-ყვანა“. ჩამო-
თვლილი მაგალითებიდან ზოგიერთი აშკარად ითავსებს მოქმედების
ხელმეორედ შესრულების, ზმნის ფუძის სემანტიკით ნავარაუდევ
მოქმედების განმეორების მნიშვნელობასაც. გადა-დგმა გადაადგი-
ლებასთან ერთად დადგმის განმეორებით შესრულებასაც გულის-
ხმობს, გადა-სმა — დასმის განმეორებასაც და ა. შ.

ამასთან ერთად, ყველა ფორმას, მეტ-ნაკლებად (ზოგს — მკა-
ფიოდ, ზოგს — ნაკლებ შესამჩნევად) მაინც ახლავს ზმნისწინის
უძველესი და უმთავრესი მნიშვნელობაც. შდრ.: (სტატიის) გადა-
ბეჭდვა — გადმო-ბეჭდვა; (პიესის) გადა-კეთება — გადმო-კეთება;
(მაგიდის) გადა-დგმა — გადმო-დგმა... იმის ნათელსაყოფად,
რომ გადა- ზმნისწინიან ფორმებს, მითითებულთან ერთად, ეს მნი-
შვნელობაც აქვს, დავასახელებთ რამდენიმე ზმნას ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონიდან:

გადააადგილებს — სხვა ადგილზე გადაიტანს; გადააკეთებს —
სხვაგვარად გააკეთებს; გადააკითხავს — კუთხ. იმერ. მოსაკი-
თხად გადავა, მიაკითხავს, მივა; გადაალაგებს — ერთი
ადგილიდან აიღებს და სხვაგან დაალაგებს, გადააადგილებს; გა-
დაარგვევინებს (გადაარგავს) — ერთი ადგილიდან მეორე ადგი-
ლას გადაატანინებს (გადაიტანს) და დაარგვევინებს (დარგავს);
გადაარჯულებს — სხვა რჯულს მიაღებინებს, რჯულს გამოუც-
ვლის; გადაასვენებს — ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანს და

³ შეიძლება დავემატებინა: შეცვლა, სახეცვლა საერთოდ, არა მხოლოდ
ადგილისა: გადა-ამუშავებს, გადა-აჩქევს, გადა-ასხვავებს...

დაასვენებს (მიცვალებულს); გადაასხამს — ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადაიღებს, ჩაასხამს; გადააყენებს — ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და დააყენებს (ცხენს, მანქანას...); გადააწყობს — ხელმეორედ, სხვა ადგილზე დააწყობს; გადათვლის — ხელმეორედ დათვლის და ა. შ.

შდრ.: გადმოადგილებს, გადმოაკეთებს, გადმოაკითხავს, გადმოალაგებს, გადმომარგვევინებს (გადმორგავს), გადმომარჯულებს, გადმოასვენებს, გადმოაყენებს, გადმოაწყობს, გადმოთვლის...

ზემოჩამოთვლილ ფორმებში გადა- ზმნისწინი სხვა ფუნქციებითაც არის აღჭურვილი: პრევერბიანი ფორმები, ჩვეულებრივ, მყოფალი დროისა და სრული ასპექტისანი არიან.

რისთვის გავამახვილეთ ამაზე ყურადღება? იმისათვის, რომ გვეჩვენებინა:

1. რამდენად ხშირია და თითქმის ჩვეულებრივად ქცეული თანამედროვე ქართულში გადა- ზმნისწინით განმეორებული მოქმედების გამოხატვა; 2. განმეორებითი მოქმედების აღმნიშვნელი *ძეპე-* პრევერბის შესატყვისი გადა- ზმნისწინიან ფორმებში ეს მნიშვნელობა (განმეორებითობა) „წმინდა“ სახით არ გვხვდება; გადა- ზმნისწინის სხვა მნიშვნელობებთან ერთად (რაც არც რუსული *ძეპე-* ზმნისწინიანი ფორმებისთვისაა უჩვეულო) თვალსაჩინოა გეზისა და ორიენტაციის ჩვენების უნარი, რასაც მოკლებულია მსესხებელი ენა, და, აქედან გამომდინარე: 3. კალკირებულ ფორმებში ორიენტაციის გაგების შეტანამ (რაც ასე ბუნებრივია ქართული ზმნისწინისათვის) ნოციერი ნიადაგი მოუმზადა ქართულ ენაში მათს დამკვიდრებას.

ასლა უშუალოდ გადაურეკავს ზმნის შესახებ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არ იცნობს ამ ფორმას: ეს არცაა გასაკვირი, რადგან „გადაურეკავს“ ზმნა ჩვენს თვალწინ გაჩენილი ფორმაა. იგი, ჩვენი აზრით, 70-იანი წლების შუა ხანებიდან ჩნდება რუსული *перезвонит* — განმეორებით დარეკვის მნიშვნელობით¹.

ცნობილია, რომ კალკების არმქონე ენა არ არსებობს. პროფ. ქ. ლომთათიძის აზრით, „სადმე ჯუნგლებში მცხოვრებთა ენა თუა ამ მხრივ შედარებით დაცული კალკები ენის ცვლილება-განვითარე-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის II ტომი 1954 წელს გამოვიდა.

ბის აუცილებელი თანამგზავრია. მით უმეტეს ითქმის ეს მაშინ, თუ ენას განვითარებული და ხანგრძლივი წერილობითი ტრადიცია აქვს⁵.

თუ ერთ შემთხვევაში კალკი მისაღებად და, გარკვეულწილად, სასარგებლოდაც ითვლება, სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება შეუგუებელი აღმოჩნდეს ენისათვის და ამდენად — უარსაყოფიც.

გადაურეკავს ზმნამ, სავსებით გასაგები მიზეზის გამო, თავიდან სპეციალისტთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია: ტელეფონის გამოყენების აღმნიშვნელი ზმნა და- ზმნის- წინით იყო დამკვიდრებული — დარეკავს, დაურეკავს, ღამირეკავს... განსმეორებითობის აღსანიშნავად კი აღწერითი საშუალება გამოიყენებოდა (და გამოიყენება): განსმეორებით (კვლავ, ისევ, ხელახლა, ხელმეორედ...) დაურეკავს⁶.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ VII წიგნში, რომელიც სიტყვათხმარების ლექსიკონის შექმნის პირველ და ნამდვილად წარმატებულ ცდას წარმოადგენს⁷, ობიექტურად აისახა ეს ვითარება: მასში საკმაოდ ვრცელადაა მსჯელობა გადაურეკავს ზმნის თაობაზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „უკანასკნელ ხანებში ზეპირ მეტყველებასა და — აქედან — სალიტერატურო ენაშიც თავი იჩინა ძველ- ზმნისწინიანი ზოგიერთი ზმნის კალკირებულმა ფორმებმა მსჯელების განსმეორების აღსანიშნავად. ერთ-ერთი ამგვარი ყველაზე გავრცელებული კალკია ზმნა გადაურეკავს (ტელეფონით). შდრ.: რუს. *перезвонить*, რომელიც ქმნის სხვადასხვა ვარიაციებს ირიბ ობიექტთა ცვლასთან დაკავშირებით: გადმოგირეკავს, გადაუურეკავს, გადმომირეკე, გადაურეკე, გადაურეკავს და ა. შ. და ეს კალკირებული ზმნური ფორმები დასტურდება არა მარტო პერსონაჟთა მეტყველებაში (რაც დასაშვებია გარკვეული სტილური მიზნებით), არამედ ავტორისეულ თხრობაშიც. შდრ.: „ნუ დამახრისევთ კაცი, ახლავე გადაურეკავს...“ („ახ. კომ.“) და: „არის ტელეფონებით რეკვა და გადარეკვა...“ ამგვარი ფორმების ხმარება სალი-

⁵ ქ. ლომოთიძე, კალკებთან დაკავშირებულ ზოგი საკითხი ქართულში: ქსკს, წ. VIII, 1988, გვ. 59.

⁶ სხვათა შორის, რეკ ძირი (იგი უთემისნიშნო იყო) სავსებით ბუნებრივად იგუებდა და იგუებს გადა- ზმნისწინს, ოღონდ რაიმე სიმრავლის (ცხოველთა, ქარის...) გადაადგილების მნიშვნელობით: საჯონელს გადარეკეს. მტრის წარი მთის იქით გადარეკეს...

⁷ ქსკს, წ. VII, „მეცნიერება“, 1985.

ტრატურო ქართულში (და ზეპირ მეტყველებაშიც!) შეუწყნარებელია, როგორც ენობრივი სისტემით გაუმართლებელი და სიტყვათ-ხმარების ტრადიციით განუმტკიცებელი”⁸.

დასახელებულ სიტყვა-სტატიაში შენიშნულია ის გარემოება, რომ ფორმები გადმოგირეკავ, გადმომირეკე და მისთ. აუცილებლად არ გამოხატავს განმეორებას: „უფრო ხშირად ისინი საურთიერთო მოქმედების— ერთმანეთთან დარეკვის აღსანიშნავად არიან მოწოდებულნი”⁹. ვფიქრობთ, სხვაგვარადაც შეიძლებოდა თქმულიყო; ამ რიგის მაგალითებში ზმნისწინისათვის არსებითი სწორედ ორიენტაციის გამოხატვაა.

ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ ფორმებში გადაურეკე, გადმომირეკე, გადმოგირეკავ... რეალიზებულია გადა-/გადმო- პრევერბთა უძველესი და უმთავრესი ფუნქცია მიმართულების ჩვენებისა. წარმოვადგენთ რამდენიმე სიტუაციას ახალგაზრდების საუბრებიდან:

1. — გაა, გადაურეკე მანანას და ნ საათზე ჩემთან მოდიტ...
2. — ხომ იცი, ჩემგან არ ირეკება, შენ თვითონ გადმომირეკე, ასე, მ საათისათვის...
3. — როცა ისინი მოვლენ, გადმოგირეკავ და შენც მოდიტ...
საუბრები ტელეფონით:
 1. — იმან იცის?
— არა მგონია.
— აბა, მე გადავურეკავ ახლავე და ვეტყვი...
 2. — სულ მე გირეკავ, ერთხელ შენ რომ გადმორეკო, არ შეიძლება?!

გამომშვიდობებისას:

— გადმორეკე რა..

— არ დაიკარგო, გადმომირეკე! და. ა. შ.

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ არც ერთ ამ ფორმაში არ ჩანს მოქმედების განმეორების მნიშვნელობა. მითითებულია და ხაზგასმული მხოლოდ ორიენტაცია (საიქეთო ან სააქეთო). ამის დასტურია ეს სტრიქონებიც მიხ. ქვლივიძის ლექსიდან: „გადარეკვა-გადმორეკვით აგვარებენ საქმეებს”...

ამგვარად, გადაურეკავს ზმნა, რა თქმა უნდა, კალკია და, მიუხედავად იმისა, რომ გადა- პრევერბი (როგორც ზემოთაც აღ-

⁸ ქსკს, წ. VII, გვ. 70—71.

⁹ იქვე, გვ. 71.

ენიშნეთ) თანამედროვე ქართულში ხშირად იხმარება (და საკმაოდ ბუნებრივადაც) განმეორებითი მოქმედების აღნიშვნის ფუნქციით. ამ ფორმამ ცალსახა — მხოლოდ და მხოლოდ ხელმეორედ დარეკვის — მნიშვნელობით ვერ მოიკიდა ფეხი და დღემდე არაბუნებრივ, ენის სისტემასთან შეუგუებელ ფორმად რჩება. იგი ვერ განმტკიცდა სიტყვათხმარების გრადიციით.

სამაგიეროდ, გადა-ზმნისწინიანი ფორმები ორიენტაციის გამოხატვის ფუნქციით ძალზე გავრცელდა თანამედროვე ქართულში. შემდგომი გავრცელების ტენდენციაც მკვეთრადაა გამოხატული. დღეს გადაურეკე დაახლოებით ისევე აღიქმება მომხმარებლის (ძირითადად — ახალგაზრდობის) მიერ, როგორც, მაგალითად, გადასძახე.

როგორც ვხედავთ, *перезвонить* მნიშვნელობის კალკირებულმა გადარეკვა ფორმამ გაიფართოვა ასპარეზი: ქართულში გადმორგულს, მას ნოყიერი ნიადაგი დასვდა ზმნისწინის უძველესი ფუნქციის სახით¹⁰. ამიტომ გადარეკავს ფორმაში დაიჩრდილა (ზოგჯერ საერთოდაც დაიკარგა) განმეორებით დარეკვის მნიშვნელობა და უმთავრესი გახდა მიმართულების ჩვენება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზმნას შესაძლებლობა მიეცა ირიბ ობიექტურ პირთა მონაცვლეობის გამოხატვისაც (რაც რუსული ფორმისათვის გამორიცხულია), ცხადი გახდება ამ ფორმათა „გაქართულების“ მიზეზები თუ საფუძვლები.

როგორ შეიძლება შეფასდეს ეს ფორმები ქართული სალიტერატურო ენის ნორმის თვალსაზრისით?

კალკის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, ენის ბუნების გათვალისწინებაა: კალკირებული ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ის შეეწყობა, შეეგუება მშობლიურ ენას, დაემყარება, დაეფუძნება მის პოტენციურ შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, საანალიზო ფორმამ ორიენტაციის ჩვენების მნიშვნელობით საკმაოდ განიმტკიცა პოზიციები და, თუ გავრცელების მკვეთრად გამოხატულ ტენდენციასაც გავითვალისწინებთ, გამორიცხულად არ გვეჩვენება ნორმის თვალსაზრისით დღეს უარყოფილ ამ ფორმათა მტკიცედ დამკვიდრება ენაში. ამის თქმის საფუძველს, გვაძლევს არა მხოლოდ ილიას სიტყვები: „ხალხია ენის:

¹⁰ როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი მნიშვნელობით ხმარებულ გადა-ზმნისწინიან ფორმას ქართულში თითქმის ყოველთვის თან სდევს ორიენტაციის გაგებაც.

კანონის დამდებია...“, არაშედ პროფ. არნოლდ ჩიქობავას ცნობი-
ლი გამონათქვამიც: „ენა, საერთოდ, სალიტერატურო ენა, კერძოდ
(თუ ის ხმარებაშია, თუ ცოცხალია), არ შეიძლება არ იცვლებო-
დეს, ცვალებად სალიტერატურო ენას ვერ ვქნება უცვლელი
ნორმა“¹¹.

¹¹ არნ. ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა: ქსკს, წ. II, ტბ., 1977, გვ. 14.

II

ივანე გიზინიძის მიხედვით

არქაიზმების საკითხისათვის*

ცნება „არქაიზმის“ განმარტებისას საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, ლექსიკით იფარგლებიან და მას მისი საწინააღმდეგო მნიშვნელობის შემცველ ცნებასთან — „ნეოლოგიზმთან“ შეპირისპირებით განიხილავენ. ცნობილია, რომ ენის ლექსიკური შემადგენლობა ენის სხვა მხარეებთან შედარებით ყველაზე მეტად და, ამასთან, ყველაზე სწრაფად იცვლება. საამისო საფუძველი არსებობს: ცხოვრების — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის საშუალებათა, მეცნიერების, ტექნიკის ზრდა-განვითარება იწვევს ენის ლექსიკური შემადგენლობის შევსებას ახალი ცნებების გამომხატველი ახალი სიტყვებით. ამასთან, ძველი ცნებების გამომხატველი, მოძველებული სიტყვები ხმარებიდან გამოდის. ახალი სიტყვები, რომლებიც შემოდის და მკვიდრდება ენაში, გაცილებით მეტია ხმარებიდან გასულზე. ენას გაცილებით მეტი ახალი სიტყვა ემატება იმასთან შედარებით, რასაც ის კარგავს. ეს ფაქტი განსაზღვრავს იმას, რომ ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მომხდარ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ლექსიკა განუწყვეტილად იზრდება და მდიდრდება. იმ სიტყვებს, რომლებიც ხმარებიდან გადის, არქაიზმებს უწოდებენ, იმ სიტყვებს კი, რომლებიც ასლად შემოდის ხმარებაში — ნეოლოგიზმებს.

ამრიგად, ცნება არქაიზმისა ლექსიკური შემადგენლობის ცვლასთანაა დაკავშირებული და წარმოადგენს ანტიონიმს ნეოლოგიზმისას.

* წყაროსთვის მოხსენებლად ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიულაზე 1950-იან წლებში (სოვალ).

ასე, მაგალითად, ა. ნ. გვოზდევი წერს: «Арханизмами называются устаревшие слова, переставшие употребляться в обычной речи»¹. ეს განმარტება სავსებით ლექსიკითაა შემოფარგლული: არქაიზმები მოძველებული სიტყვებია, რომლებიც ჩვეულებრივს მეტყველებაში აღარ იხმარებიან, ხმარებიდან გამოსული არიან.

რ. ა. ბუდაგოვი ოდნავ აფართოებს არქაიზმის ცნებას, მას არქაიზმის ცნებაში, ცალკეული სიტყვების გარდა, მთელი გამოთქმებიც შეაქვს: «...старинные слова или даже целые обороты речи, вышедшие или только выходящие из употребления, называются арханизмами»². ამასთან, ამ ავტორის აზრით, существуют не только архаические слова, но и архаические значения у неархаических слов»³.

ანალოგიური შესედულება აქვს გამოთქმული არნ. ჩიქობავას: „ხმარებიდან გამოსულ ძველ სიტყვას (თუ გამოთქმას) უწოდებენ არქაიზმს (ბერძ. archaios „ძველისძველი“). ხმარებაში ახლად შემოსული სიტყვა (გამოთქმა) იქნება ნეოლოგიზმი (ბერძნ. neos — „ახალი“, logos — „სიტყვა“)⁴.

არქაიზმის ცნების მსოლოდ ლექსიკით შემოფარგვლა, ჩვენი შესედულებით, გამართლებული არაა. იმის საფუძველი, რომ არქაიზმის ცნების მსოლოდ ლექსიკით შემოფარგვლა ხდება (მხროლოდ ზოგიერთი ავტორი აფართოებს ამ ფარგლებს და არქაიზმის ცნებაში გამოთქმებიც, ე. ი. გარკვეული მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც შეჰყავს), შემდეგია: არქაიზმები თითქმის ყოველთვის ნეოლოგიზმებთან შეპირისპირებით განიხილება. ნეოლოგიზმის ცნება კი, მართლაც, მსოლოდ ლექსიკით შეიძლება იყოს შემოფარგლული (ამას შეიძლება გამოთქმებილა დაემატოს): ახალ ცნებებს ახალი სიტყვები სჭირდება. ეს ახალი სიტყვები იქმნება სიტყვაწარმოებისა თუ თხზვის საშუალებათა გამოყენებით. ახალი გამოთქმები იქმნება ისეთი სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების გზით, რომლებიც შანამ არ ყოფილან დაკავშირებულნი ერთმანეთთან ენაში. არ იყო საამისო საჭიროება, არც ვისმე უცდია ასეთი დაკავშირება. ნეოლოგიზმები, დაკავშირებული ენის სხვა მხარესთან, კერ-

¹ А. Н. Гвоздев, Очерки по стилистике русского языка, Учпедгиз, Москва, 1955, гл. 113.

² Р. А. Будагов, Очерки по языкознанию, Москва, 1953, гл. 62.

³ იქვე, გვ. 64.

⁴ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 192.

ძოდ, ენის გრამატიკულ წყობასთან, შეუძლებელია. რაკი ნეოლოგიზმები მხოლოდ ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის დარგშია შესაძლებელი, არქაიზმებსაც, როგორც ნეოლოგიზმების საპირისპირო ცნებას, მხოლოდ ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის სფეროში განიხილავენ.

მაგრამ არქაიზმები და ნეოლოგიზმები პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნეოლოგიზმი ხმარებაში ახლად შემოსული სიტყვაა (ან გამოთქმა), გამოწვეული ახალი საჭიროებით. ნეოლოგიზმების ხმარება არ იფარგლება მხოლოდ ლიტერატურის ენით, ნეოლოგიზმები შეიძლება გვექნოდეს და გვაქვს მეცნიერების ენაში, ტექნიკის ენაში, პოლიტიკური და პუბლიცისტური ლიტერატურის ენაში... ამდენად, ნეოლოგიზმი არ არის მხოლოდ სტილისტიკური ხასიათის ცნება, თუმცა იგი სტილისტიკური ხასიათის ცნებაც შეიძლება იყოს (მწერლის ენისათვისაც გარკვეული სტილისტიკური მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება გვსვდებოდეს ნეოლოგიზმები, მწერალი მრავალ ახალ სიტყვას ქმნის ამ მიზნით). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ნეოლოგიზმი შეიძლება იყოს ჩვეულებრივს მეტყველებაში ხმარებული სიტყვა, არქაიზმი კი — არა. თუ სიტყვა ჯერ კიდევ იხმარება ჩვეულებრივს მეტყველებაში, იგი არაა არქაიზმი, რადგანაც ხმარებიდან არაა გასული, არაა მოძველებული, ჯერ კიდევ ასახავს სათანადო ცნებას, რომელიც ხმარებიდან არ გასულა. არქაიზმი იმის არქაიზმია, რომ სათანადო ცნების გაქრობასთან ერთად გაქრა ხმარებიდან. ამდენად იგი ისტორიას განეკუთვნება, ისტორიზმს წარმოადგენს. ასეა ეს ლექსიკის თვალსაზრისით. მაგრამ მწერალს შეუძლია სტილისტიკური საჭიროების შესაბამისად ეს მოძველებული, ხმარებიდან გასული სიტყვა (ან გამოთქმა), რომელიც აღარაა დამახასიათებელი ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მოძველებულია, რადგანაც აღარ გამოხატავს ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე საჭირო, აქტუალურ ცნებას, აღადგინოს და გამოიყენოს მხატვრულ ლიტერატურაში. ამდენად არქაიზმი შეიძლება მხოლოდ სტილისტიკური ცნება იყოს.

ნეოლოგიზმები მხოლოდ ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით შეიძლება შემოიღარგლოს. მართალია, ენის გრამატიკული წყობაც იცვლება, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც, ძველი ფორმები და სინტაქსური დამოკიდებულებები ქრება და მათ ადგილს ახალი იჭერს, მაგრამ ეს მოვლენები ენის განვითარების გარკვეული კანონზომიერების შედეგია და სტილისტიკის ფარგლებს სცილდება. მწერალს არ შეუძლია რაიმე ფორმა შექმნას ან რაიმე სინტაქსური ფორმა შემოი-

ტანოს. მწერალს შეუძლია მხოლოდ ასახოს ენის მორფოლოგიასა და სინტაქსში მომხდარი გარკვეული ცვლილებები. ამიტომაც შეუძლებელი, რომ მორფოლოგიური ან სინტაქსური ხასიათის ნეოლოგიზმები გვექნეს. ამიტომაც, რომ ნეოლოგიზმები მხოლოდ ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით შეიძლება შემოიფარგლოს. მაგრამ ეს ფაქტი არ გვაძლევს უფლებას ეს დებულება არქაიზმებზედაც გავავრცელოთ. რამდენადაც არქაიზმები მხოლოდ სტილისტიკური ხასიათის ცნებას შეიძლება წარმოადგენდეს, რამდენადაც არქაიზმი მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის ენისათვის დამახასიათებელი სტილისტიკური ხერხი შეიძლება იყოს, მისი ფარგლები გაცილებით ფართოა. მწერალს შეუძლია სტილისტიკური მიზნით არა მარტო მოძველებული, ხმარებიდან გამოსული სიტყვები (ან გამოთქმები) იხმაროს, არამედ ძველი, ხმარებიდან გამოსული, მკვდარი მორფოლოგიური ინვენტარი და სინტაქსური ნორმებიც გამოიყენოს ამავე მიზნით. და ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია მხატვრულ ლიტერატურაში. რა შეიძლება ეწოდოს ისეთ შემთხვევებს, როცა მწერალი ძველ ფორმებს იყენებს გარკვეული სტილისტიკური მიზნით სახელთა ბრუნებასა თუ ზმნათა უღვლილებაში, ან ამავე მიზნით ძველი სინტაქსური ნორმებით გამართულ წინადადებებს ხმარობს? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ეს მოვლენებიც არქაიზმებია ისევე, როგორც არქაიზმებია ძველი, ხმარებიდან გამოსული სიტყვების ხმარება.

ამრიგად, არქაიზმის ცნება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ლექსიკით (და გამოთქმებით). არქაიზმის ცნებაში უნდა შევიდეს ის მორფოლოგიური თუ სინტაქსური მოვლენებიც, რომლებიც ძველია, მკვდარი, ხმარებიდან გასული, მაგრამ რომელთაც მწერალი იყენებს გარკვეული სტილისტიკური მიზნით, თუმცა ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ისინი დამახასიათებელი არიან ენის გრამატიკული წყობისათვის.

ამისდა მიხედვით, ცნება არქაიზმისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სტილისტიკურ ცნებას შეიძლება წარმოადგენდეს, შეიძლება დაიყოს და უნდა დაიყოს რამდენიმე ქვეცნებად. ერთი მხრით, გვექნება ლექსიკური არქაიზმები. ამაში შემოვა არქაიზმები ამაჟამად საყოველთაოდ გავრცელებული გაგებით („ხმარებიდან გამოსული ძველი სიტყვა“). მეორე მხრით, გვექნება მორფოლოგიური არქაიზმები. ამაში შემოვა ენის განვითარების ძველი, განვლილი ეტაპისათვის დამახასიათებელი ფორმები სახელთა ბრუნებისა თუ ზმნათა უღვლილებისა, რომელთაც მწერალი გამოიყენებს გარკვეუ-

ლი სტილისტიკური მიზნით, გარკვეული სტილისტიკური ეფექტის მისაღებად. მესამე მხრით, გვექნება სინტაქსური არქაიზმები. აქ შემოვა ენის განვითარების ძველი, განვლილი ეტაპისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები, რომელთაც მწერალი გამოიყენებს ასევე გარკვეული სტილისტიკური მიზნით, გარკვეული სტილისტიკური ეფექტის მისაღებად.

რაც შეეხება არქაულ გამოთქმებს, მათთვის შეიძლება ფრაზეოლოგიური არქაიზმები გვეწოდებინა და ცალკე გამოგვეყო მიუხედავად იმისა, რომ ისინი ლექსიკურ არქაიზმებს ეკედლებიან. საქმე ისაა, რომ ენაში იხმარება გარკვეული გამოთქმები, მყარი ფრაზები, რომლებიც უეჭველად არქაულ იერს ატარებენ (ვთქვათ, ძველი სინტაქსური კონსტრუქციების შემცველნი არიან). მაგრამ კითხვა ისმის: არიან კი ასეთი გამოთქმები არქაიზმებს წარმოადგენენ ასეთი გამოთქმები იმდენად, რამდენადაც ან არქაული სინტაქსური ნორმების მიხედვით არიან აგებულნი, არქაულ კონსტრუქციებს შეიცავენ. ან კიდევ — იმდენად, რამდენადაც მათში არქაული ლექსიკა შედის. მაგრამ ჩვეულებრივი არქაიზმებისაგან მათ ერთი თვისება განასხვავებს: ისინი ყოველდღიურ, ჩვეულებრივს მეტყველებაში იხმარებიან, მაშასადამე. მათი ხმარება არ არის შეპირობებული სტილისტიკური მიზნებით. ასეთი გამოთქმები მხატვრული ლიტერატურის ენისათვის კი არ არიან დამახასიათებელნი, არამედ ჩვეულებრივი სალაპარაკო ენისათვის, დიალექტებშიც საკმაოდ გავრცელებულნი არიან. სალაპარაკო ენიდან და დიალექტებიდან ეს გამოთქმები მხატვრული ლიტერატურის ენაშიც სვდება, მაგრამ ხდება იმგვარადვე, როგორც ყველა სხვა მოვლენა სასაუბრო ენისა თუ დიალექტისა. ამიტომ ამ შემთხვევაშიც ერთგვარი სადემარკაციო ხაზი უნდა იქნეს გავლებული: ასეთი გამოთქმები არქაიზმებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ სასაუბრო ენასა და დიალექტებში არ გვსვდება, იყო ძველს ენაში (ენის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე) და ამჟამად მწერალი მას იყენებს გარკვეული სტილისტიკური ეფექტის მიღების მიზნით.

რა ურთიერთობაშია არქაიზმების საკითხი ენის ფონეტიკურ მხარესთან განვითარების მოცემულ ეტაპზე? ასეთი კითხვის დასმა კანონზომიერია და არცაა კანონზომიერი. კანონზომიერია იმდენად, რამდენადაც ენის ფონეტიკური მხარის ასახვა დამწერლობაში სალიტერატურო ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე შეიძლება არქაული სასიათისა იყოს. კერძოდ, ქართული სალიტერატურო

ენის ისტორიიდან ცნობილია ფაქტები, როდესაც ენის ფონეტიკური მხარის ასახვა არ შეესაბამებოდა იმ ვითარებას, რომელიც ფონეტიკაში გვეჩვენა სალიტერატურო ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. დამწერლობაში იხმარებოდა ასოები, რომელთა ბგერითი შესატყვისი სალიტერატურო ენას აღარ მოეპოვებოდა. მაგრამ საკითხის ასე დასმა არ არის კანონზომიერი იმიტომ, რომ საკითხი ეხება ენის ფონეტიკური სისტემის დამწერლობაში ასახვას, ე. ი. ორთოგრაფიის საკითხია. ამ შემთხვევაში ორთოგრაფიული მხარის მოუწესრიგებლობა, ორთოგრაფიის უკულმართობა არქაიზმის სამოსელში გასვეული გველინება. და მაინც გარკვეულ შემთხვევაში ასეთი საკითხები ერთგვარად მაინც შემოდინან არქაიზმების ფარგლებში. ასე იყო, მაგალითად, ანტონ კათალიკოსის სკოლის ბატონობის დროს. მიუსვდავად ამისა, თუ ჩვენს ამოსავალ დებულებას მოვიგონებთ, რომ არქაიზმი მხატვრული ლიტერატურის დამახასიათებელი სტილისტიკური ხერხია, და იმასაც გავიხსენებთ, რომ გარკვეული სტილისტიკური მიზნით არქაული ორთოგრაფიის გამოყენება არაუადრეს უცდია მხატვრულ ლიტერატურაში, ცხადი გახდება, რომ ფონეტიკაში არქაიზმების ძიება გამართლებული არაფრით შეიძლება იყოს.

არქაიზმი, როგორც სტილისტიკური ფაქტი, უნდა გაირჩეს არქაული მოვლენებისაგან ენაში. ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, მის გრამატიკულ წყობაში სხვადასხვა სწოვანების ფაქტები გამოირჩევა. გარკვეული სიტყვები ენის ლექსიკურ შემადგენლობას თან დაჰყვება უძველესი ეპოქებიდანვე, გარკვეული სიტყვები კიდევ უედარებით ახალია. ასევე ითქმის მორფოლოგიურ ფაქტებზე, სინტაქსურ კონსტრუქციებზე. ამდენად, ყოველი არქაული მოვლენა არ შეიძლება იყოს არქაიზმი ისევე, როგორც არქაიზმი ყოველთვის შეიძლება არ იყოს ძველისძველი მოვლენა. ეს დასკვნა გამომდინარეობს არქაიზმის, როგორც სტილისტიკური ხასიათის ცნების, გაგებისაგან.

არქაიზმების გამოყოფა მხატვრული ლიტერატურის ენაში, რომელიმე ფაქტის მიჩნევა არქაიზმად გულისხმობს გარკვეული სალიტერატურო ენის არსებობას, რომელსაც დაუპირისპირდება არქაიზმი, როგორც ძველი, სხვაგვარი სალიტერატურო ენის ფაქტი. იგულისხმება, რომ გვაქვს გარკვეული, ჩამოყალიბებული ნორმების მქონე სალიტერატურო ენა, რომლის ლექსიკური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა მონოლითური ხასიათისაა. ამას უპირისპირდება ძველი, სხვა ეპოქების სალიტერატურო ენა, რომლის ლექსი-

კური შემადგენლობა და გრამატიკული წყობა აგრეთვე ცნობილია. ისიც ივარაუდება, რომ ამ ორი ენობრივი ერთეულის ლექსიკურ შემადგენლობასა და გრამატიკულ წყობას შორის შესაძლებელია გარკვეული თვალსაზრისით ერთგვარი სადემარკაციო ხაზის გაღება. ე. ი. შესაძლებელია გარკვევა იმისა, თუ რა იყო ძველს ენაში ლექსიკური შემადგენლობისა და გრამატიკული წყობის მსრივ ისეთი, რაც აღარ არის დამახასიათებელი ახლისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ გადაჭრით, წარმოადგენს ესა თუ ის ლექსიკური ფაქტი ან მორფოლოგიური მოვლენა, ან კიდევ სინტაქსური კონსტრუქცია რომელიმე მწერლის ენაში არქაიზმს, თუ — არა. ასეთი ზღერის დადება ყოველთვის შესაძლებელი არაა და ამის შედეგად ყოველთვის ადვილი არაა არქაიზმის დადგენა. შედარებით მარტივია ასეთი ზღერის დადება იმ შემთხვევაში, როცა მორფოლოგიური ან სინტაქსური ხასიათის არქაიზმებთან გვაქვს საქმე. მაგრამ საქმე რთულდება ლექსიკური არქაიზმების შემთხვევაში და კიდევ უფრო რთული ხდება ფრაზეოლოგიის საკითხის გადაჭრისას.

არქაიზმების, როგორც გარკვეული სტილისტიკური ხერხის, გამოყენება ბევრ მწერალს ახასიათებს. საამისო ნიმუშები უხვად შეიძლება დაიძებნოს როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში. მაგრამ ამა თუ იმ მწერლის მიერ არქაიზმების, როგორც გარკვეული სტილისტიკური ხერხის, გამოყენება ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მწერლის პოზიციები სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებში არქაისტულია, რომ ეს მწერალი არქაისტია. სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებში შეიძლება არქაისტულ პოზიციებზე იდგეს ისეთი მწერალი, რომელიც არსად არ იყენებს არქაიზმებს, როგორც სტილისტიკურ ხერხს, და, პირიქით, შეიძლება მწერალი არქაიზმებს უხვად იყენებდეს, მაგრამ სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებში არქაისტულ პოზიციებზე არ იდგეს. გრიგოლ ორბელიანი სალიტერატურო ენის განვითარების საკითხებში ასე თუ ისე, არქაისტულ პოზიციებზე იდგა. არქაიზტი იყო, მაგრამ მის მხატვრულ შემოქმედებაში ამ ფაქტს არსებითი ხასიათის გამოხატულება არ უპოვია. რუსულ ლიტერატურაში არავის მოსვლია აზრად, არქაისტად გამოეცხადებინა ალ. პუშკინი იმიტომ, რომ იგი არქაიზმებს უხვად იყენებდა, როგორც სტილისტიკურ საშუალებას. საილუსტრაციოდ საქმარისია მოვიგონოთ მისი შესანიშნავი ლექსი „Пирок“, რომელიც სავსეა ლექსიკური არქაიზმებით:

Духовной жаждою томим,
 В пустыне мрачной я влачился, —
 И шестикрылый серафим
 На перепутьи мне явился.
 Перстами легкими, как сон,
 Моих зениц коснулся он:
 Отверзлись вещие зеницы,
 Как у испуганной орлицы.
 Моих ушей коснулся он, —
 И их наполнил шум и звон:
 И внял я неба содроганье,
 И горний ангелов полет,
 И гад морских подводный ход,
 И дольней лозы про яблание.
 И он к устам моим приник,
 И вырвал грешный мой язык,

И прадисловный, и лукавый,
 И жало мудрыя змеи
 В уста замершие мои
 Вложил десницею кровавой.
 И он мне грудь рассек мечом,
 И сердце трепетное вынул,
 И угль, пылающий огнем,
 Во грудь отверстую вдовнул.
 Как труп, в пустыне я лежал,
 И бога глас ко мне воззвал:
 «Восстань, пророк, и виждь,
 и внемли,
 Исполнись волею моей,
 И, обходя моря и земли,
 Глаголом жги сердца людей.»

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ეგების საჭიროც არ ყოფილიყო, ერთი ფაქტი რომ არა, ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული წესია, არქაისტად გამოაცხადონ ყველა მწერალი, რომელიც კი არქაიზმს გამოიყენებს, როგორც სტილისტიკურ საშუალებას, ხერხს გარკვეული მხატვრული ეფექტის მიღების მიზნით.

ერთი საკითხი კიდევ: რა მიმართებაშია ერთმანეთთან არქაიზმები და დიალექტიზმები? ამ საკითხის დასმაც არ ჩანს ერთი შესვლით კანონზომიერი. დიალექტიზმი ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკის ან მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ მოვლენათა გამოყენებას გულისხმობს მხატვრული ლიტერატურის ენაში, არქაიზმი კი — მოძველებული ლექსიკის ან ძველი სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენების გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ქართული მხატვრული ლიტერატურის ენაში არქაიზმებას საკითხის განხილვისას საკითხის ასე დასმა სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია. საქმე ისაა, რომ რიგ ქართულ დიალექტს შემონახული აქვს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური მოვლენები და სინტაქსური კონსტრუქციები. ამის გამო ზოგი დიალექტი ქართული ენისა გრამატიკული წყობის მხრივ გაცილებით ახლოს დგას ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან, ვინემ ახალ ქართულთან. ასეთია ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული კილოები ქართული ენისა. ამათგან ქართულ სალიტერატურო ენაზე

გავლენა არც ერთს არ მოუხდენია, მაგრამ ზოგიერთი მათგანის როლი ქართული ლიტერატურის ენაში მეტად საგრძნობი იყო. ვეგულისხმობთ მოხეურ-მთიულურის უხვად გამოყენებას ალ. ყაზბეგის მიერ თავის რომანებსა და მოთხრობებში, განსაკუთრებით კი ფშაური კილოს ლექსიკის, ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების არაჩვეულებრივ ფართოდ გამოყენებას უწინარეს ყოვლისა ვაჟა-ფშაველას და აგრეთვე მისი ძმის ბაჩანას მიერ. ცნობილი ფაქტია, რომ მოხეურს და აგრეთვე მთიულურს არაერთი მოვლენა აქვთ შემონახული ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიასა და სინტაქსში, იქნება ეს სახელთა ბრუნვა, ზმნათა უღვლილება თუ სინტაქსური კონსტრუქციები. ეს მოვლენები არქაული მოვლენებია, ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენები, უკეთ, არქაული მოვლენებია, რომლებიც აისახნენ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში და ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩვენამდე მოღწეულმა ძეგლებმა შემოგვინახეს, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, შემოგვინახეს მოხეურმა და მთიულურმა კილოებმა დღემდე. ალექსანდრე ყაზბეგს ეს არქაული ენობრივი ფაქტები ფართოდ აქვს გამოყენებული პერსონაჟთა მეტყველებაში⁵. თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ეს მოვლენები ისევე არქაულია, როგორც უშუალოდ ძველი ქართული სალიტერატურო ენისაგან მომდინარე და მწერლის მიერ სტილისტიკური მიზნით გამოყენებული ანალოგიური ფაქტები.

კიდევ უკრო თვალსაჩინო და საყურადღებო ფაქტებს გვაწვდის ამ თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას და ბაჩანას ენა. ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და პოემებში, პროზაული თხზულებების ერთ დიდ ნაწილში და დრამატულ ნაწერებში ჩვენ ფშაური კილიდან მომდინარე არაერთ მოვლენას ვსვდებით, რომლებიც ისევე დამახასიათებელი იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის, როგორც დამახასიათებელი იყო ვაჟასდროინდელი და დღევანდელი ფშაური კილოსათვის: სახელთა -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითი რიცხვის ფორმათა გაბატონება; ზმნების უღვლილებაში: ვნებითი გვარის ზმნების აწმყო დროის მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში ძველი ქართულისებური დაბოლოება; იმავე ვნებითი გვარის ზმნების მეორე სერის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ძველად

⁵ ივ. ქავეთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXV B, 1949, გვ. 81—100.

ქართულის მსგავსად -ენ სუფიქსის ჩართვა; ხოლმეობითის ფორმათა უხვი ხმარება როგორც აორისტის ფუძეზე დაყრდნობილი ფორმებისა, ისე ნამყო უსრულის ფუძეზე დაყრდნობილი ფორმებისა; -ნ სუფიქსიანი მრავლობითის სახელობითი ბრუნვის ფორმაში დასმული ობიექტის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება; მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღუნიშვნელობა ზმნაში (მათ შორის გარდამავალი ზმნების შესამე სერიის ფორმებშიც); -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმული სუბიექტის მიერ ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა; -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმული საზღვრული სახელის მიერ მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმება და მრავალი სხვა — ყველაფერი ეს ის მოვლენებია, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ენისათვის, არქაული მოვლენებია ენის ისტორიის თვალსაზრისით და, ამასთანავე, დამახასიათებელი მოვლენებია ფშაური კილოსათვის.

მაგრამ წარმოადგენენ თუ არა ეს მოვლენები არქაიზმებს ალ. ყაზბეგის ან ვაჟა-ფშაველას ენის თვალსაზრისით, ან — უფრო ფართოდ: წარმოადგენენ თუ არა ეს მოვლენები არქაიზმებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით? პასუხი ერთადერთი შეიძლება იყოს: რა თქმა უნდა, არა! ამ არქაული მოვლენების წყარო ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ენაში ძველი ქართული სალიტერატურო ენა კი არ არის, არამედ მათი მშობლიური მოხეური და ფშაური დიალექტებია. ეს არქაული მოვლენები მოხეურსა და ფშაურს ჰქონდა შემონახული და აქედან, ამ კილოებიდან შევიდა ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ენაში როგორც არქაიზმები კი არა, არამედ როგორც დიალექტიზმები. ეს მოვლენები თან შეჰყვნენ ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ენაში სხვა დიალექტურ მოვლენებს როგორც დიალექტიზმები და არაფრით არ განსხვავდებიან სხვა დიალექტური ფორმებისაგან, რომელთაც არქაულობის ბეჭედი არ აზის, პრინციპულად ისეთივე დიალექტიზმებია. თუნდაც რომ ამგვარ ფორმათა გამოყენება ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას მიერ განხილულ იქნეს როგორც გარკვეული სტილისტიკური ხერხი, ისინი დიალექტიზმები იქნებიან და არა არქაიზმები.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ენას მეტ-ნაკლებად არქაულობის ბეჭედი აზის. თავი რომ დავანებოთ ანტონ კათალიკოსის ენის (განსაკუთრებით ორთოგრაფიული სისტემის) გავლენას, რომელიც ჩვენი რომანტიკოსების (გან-

საკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძისა და, უფრო ნაკლებ, მაგრამ მაინც — ნიკოლოზ ბარათაშვილის) ენას ეტყობა, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახტანგ ორბელიანის ლექსებში უხვადაა წარმოდგენილი არქაული შოვლენები. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა თუნდაც მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან დაგვესახელებინა რამდენიმე მაგალითი.

სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები ნიკოლოზ ბარათაშვილს მეტწილად ძველი ქართულისებურად აქვს ნაწარმოები. მართალია, -ებ სუფიქსიან მრავლობითსაც ვხვდებით ნიკ. ბარათაშვილის ენაში, მაგრამ ასეთი ფაქტები ხომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაშიც დასტურდება — ნიკ. ბარათაშვილის ენაში -ნ და -თ(ა) სუფიქსებით ნაწარმოები გაბატონებული ფორმებია.

მ მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
დამათქმენი, ვერანანი და უდაბურნი,
ეთარაჲ შეენიან, როს მონამენ ცუარნი ციურნი,
ოდეს სალამოს დაჰმთენ ამოს, ციაგნი ნელნი!

(„შემოღამება მთაწმინდაზე“).

შენნი დალანი ყრილობენ ჯეულად.
მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომჩიბლუ, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?

წყეულიმც რყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივენდობდი, ეუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის დაუუკარგე მშვიდობა სულსა
და ვერც დელეანი ენებათანი მრევლენ წყურვილსა!

(„სულ ბოროტო“).

მ დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულცა თქვენი გამოჰყილოდათ!

(„ბედი ქართლისა“).

აკაკი შანიძემ საგანგებოდ დათვალა „ნარ-თანინი (ძველი) მრავლობითისა და -ებ-იანი (ახალი) მრავლობითის ხმარებულების შემთხვევები ნიკ. ბარათაშვილის პოემასა და ლექსებში და ასეთი სურათი მიიღო: „ქართლის ბედში“ ძველი მრავლობითის 104, ახლისა კი — 10, ლექსებში შესაბამისად: 164 და 27. საერთოდ ასეთი სურათია: ძველ ფორმათა რიცხვია სულ 268 და ახალ-

ასევე, ნიკ. ბარათაშვილის ენაში გაბატონებულია მოთსრობითი ბრუნვის ძველი ფორმა, -მან დაბოლოებიანი: ქ ა რ მ ა ნ ჩ რ დ ი ლ ო ს მ ა ნ ... აღავსო ე რ მ ა ნ კვალად ტფილისი... გაბატონებულია პრევერბების ძველ სახეობათა გამოყენება: აღ-, აღმო-, გან-, წარ-, ვარდ(ა)-, შთა-... ზმნის მთელი რიგი ფორმები ძველებურია, ძველი ქართულისებური: არს, მოვალს, რბიოდა, მარქვი („მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?“), განვედ, ატენდეთ... ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს მესამე პირის ფორმები მსოფლიოთი რიცხვისა ძველი ქართულისებურადაა ნაწარმოები, მსახვერელი საზღვრულთან შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში (-ნ და -თ(ა) სუუიქსებიან მრავლობითში) და სხვ. კიდევ ბევრი მავალითის დასახელება შეიძლებოდა იმის სამოწმოდ, რომ შორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები ნიკ. ბარათაშვილის ენაში ძველი ქართულისას მისდევს, არქაულია.

საესებით ანალოგიური მდგომარეობაა გრ. ორბელიანის ენაში. აქაც მსაჯალი არქაული, ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული წყობისათვის დამახასიათებელი ფაქტი გვსვდება. ანის კარგ ნიმუშებს იძლევა გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, „ჩემს ღას ფუქიას“, „ათამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო ვაშოსალმებისა“ („წყალნი, მითთ დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულ ცვივიან, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ფტანებთან“) და მრავალი სხვა ლექსი. ანალოგიურივე სურათი გვაქვს ვასტანგ ორბელიანის ენაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ.

ერთი სიტყვით, ჩვენი რომანტიკოსების ენაში, თუ ამოსავლად ახალ ქართულ სალიტერატურო ენას მივიჩნევთ, არქაული, ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული წყობისათვის დამახასიათებელი მოვლენები უხვადაა წარმოდგენილი. ეგვეე ითქმის მათი ლექსიკის შესახებაც: აღმოხდა (= ამოვიდა), გარნა, გლახ, დაშთენილი, უვისთ („კელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი“), ვითარი, ელტვიან (= გაურბიან), ამღერდეს (= ათამაშებდეს), მყის („მყის, ჩაიკეცეს ქუდები თურმე“), ჟამი, რეცა, როს, გან-

⁶ ა. შანიძე, ნიკ. ბარათაშვილის ენა: ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულში, ფედერაცია, თბილისი, 1939, გვ. 153.

მიტვობდა, უწყი, ფერკი, წილ, კელყრის, ჰაზრი, ჰუნე და მრავალი არქაული სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ.

და მაინც, ეს მოვლენები ჩვენი რომანტიკოსების ენაში არ შეიძლება დაფასებულ იქნეს როგორც არქაიზმები. ამ არქაულ ფორმათა გამოყენება რომანტიკოსების ენაში გარკვეული სტილისტიკური მიზნით გამოწვეული არ არის. ეს არქაული მოვლენები კი არ უპირისპირდება რომანტიკოსთა ენას, როგორც სტილისტიკური მიზნით გამოყენებული ძველი თუ მოძველებული, ხმარებიდან გამოსული ფორმები, არამედ ისინი მათი ენის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენენ, ეს ფორმები რომანტიკოსთა ლიტერატურული ენის ორგანული შემადგენელი ნაწილებია, სხვაგვარი ფორმები მათთვის არც არსებობს (თუ არსებობს, მათი წყარო სხვაგვარია, არა იმდენად ლიტერატურული, რამდენადაც დიალექტური ან, უკეთ — სასაუბრო მეტყველებიდან მომდინარე). რომანტიკოსთა ლიტერატურული ენა ასეთი შედგენილობისა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მათ მსატვრული ლიტერატურის სტილის შესახებ თავიანთი ლიტერატურული მიმართულების შესაბამისი თეორია ჰქონდათ შემუშავებული და ამ თეორიას (ძველისადმი მისწრაფებაში გამოხატულ შეხედულებებს) პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ, არამედ იმიტომ, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლიტერატურაში დამკვიდრება (რაც XI საუკუნის გასულიდან ელემენტების სახით იჩენდა თავს მწერლობაში, მაგრამ რაც მძლავრ ნაკადად იქცა საერო მწერლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების შემდეგ და განსაკუთრებით მკვეთრად რამაც „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ იჩინა თავი) დიდხანს გაგრძელდა. მას მრავალი დაბრკოლება ელოებოდა წინ. მიუხედავად ამისა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის მწერლობაში საბოლოოდ დამკვიდრების პროცესი XVIII საუკუნისათვის არსებითად დამთავრებული იყო. ამის მაუწყებელია XVII—XVIII საუკუნეების მწერალთა — არჩილის, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანისა და, განსაკუთრებით, დავით გურამიშვილის ენა. მაგრამ XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მოღვაწეობის შედეგად ეს ხაზი სალიტერატურო ენის განვითარებისა მკვეთრად გაიხარა, XVII—XVIII საუკუნეთა მწერლობის ენობრივი პრაქტიკა დავიწყებას მიეცა და მის ნაცვლად ანტონის ხელოვნური სტილი და ორთოგრაფია დამკვიდრდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, ქართველ რომანტიკოსთა ენაში

იგრძნობა დიდი მობრუნება ახალი ქართულისაკენ. მაგრამ ანტონის ტრადიციები ძლიერია და რომანტიკოსი მწერლები სავსებით ვერ აღწევენ თავს მის გავლენას. ამის გამოა, რომ „მერანისა“ და „ბედი ქართლისას“ ავტორი ან „მუშა ბოქულაძისა“ და „მუხამ-ბაზის“ ავტორი ბრწყინვალე ახალი ქართული ენის გვერდით ძველისათვის დამახასიათებელ ფორმებსაც ხმარობენ. ძველი, არქაული ფორმების არსებობა მათს ენაში შეგნებული მოქმედების შედეგი კი არ არის, ძველისადმი მისწრაფებით კი არ აიხსნება, არამედ მხოლოდ იმით, რომ მათ სავსებით ვერ დააღწიეს თავი ძველის გავლენას, თუმცა მთელი თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით ასლის მოციქულნი იყვნენ⁷.

მაშასადამე, არქაული მოვლენების დადასტურება ქართველ რომანტიკოსთა ენაში სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი თავიანთ პრაქტიკულ ენობრივ მოღვაწეობაში არქაისტები იყვნენ⁸ გარდა ამისა, ეს არქაული მოვლენები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სტილისტიკური თვალსაზრისით არქაიზმებად (სტილისტიკური არქაიზმების შესახებ იხ. ზემოთ). რომანტიკოსთა ენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთლიან პროცესში უნდა იქნეს განხილული. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოჩნდეს, თუ რაა მათ ენაში ძველი და რა — ახალი; რაც ძველია, რატომაა ძველი. მაშინ გამოჩნდება, რომ იმ საერთო შეფერხების ფონზე, რო-

⁷ ამის გამო მიუღებელია აკაკი შანიძის დებულება, რომ „ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არსებით, რომანტიკოსია არა მარტო გონებითა და გრძნობით, აზროვნებით და ემოციონობით, არამედ აგრეთვე მათი გარეგანი გამოხატულების საშუალებითაც, ენით: სიტყვების შარავით, მათი შეარჩევით, ერთმანეთთან შეხამებას ხერხით და, საზოგადოდ, ლექსიკურ-გრაფიკული საერთო ტონის მიხედვით (ა. შანიძე, ბარათაშვილის ენა, გვ. 160). „მერანისა“ და „ბედი ქართლისას“ ავტორის ვერც ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით შესწავლა და ვერც მისი ენის ანალიზი ვერ გამოგვატანინებს დასკვნას, თითქოს იგი წარსულისაკენ იხედებოდა, კერძოდ, თითქოს მას ძველი სალიტერატურო ენის აღდგენა სურდა. ანტონისეული დანალექის გამოყოფის შემდეგ ბარათაშვილის ენაში გვრჩება ისეთი ფაქტები, რაც ამ ენას ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთლიანი კავის ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად წარმოგვიდგენს.

⁸ თვის გრიგოლ ორბელიანის „არქაისტობაც“ მეთისმეტად საეჭვოა. მისი ლექსების ენის შესწავლის შედეგად გრ. ორბელიანი არქაისტად ვერ გამოცხადდება. რაც შეეხება მის ბრძოლას ილია ქაჭავაძესთან და საერთოდ ახალ თაობასთან, ამასაც სხვა საფუძველი აქვს და დამატებით შესწავლას საჭიროებს. მაინც დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მესამოცე წლებში იგი ილიას მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ ყოფილა.

მელიც ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მოღვაწეობამ შექმნა ქართულ სალიტერატურო ენაში, რომანტიკოსთა ენობრივი მოღვაწეობა გარკვეული მობრუნება იყო წინ, ახლისკენ, და არა უკან, ძველისკენ.

რა მიზანს ემსახურება არქაიზმების გამოყენება მწერლის მიერ? რა შემთხვევაში შეიძლება მიმართოს მწერალმა ამ სტილისტიკურ საშუალებას?

ჩვეულებრივად, არქაიზმებს მწერალი მიმართავს მაშინ, როცა ისტორიულ თემატიკაზე წერს. ისტორიული ხასიათის თემატიკა ფართო ასპარეზს იძლევა არქაიზმების გამოსაყენებლად. ისტორიული ხასიათის ნაწარმოებში საჭირო და სშირად აუცილებელი ხდება ეპოქის კოლორიტის დაცვა, ეპოქის ჩვენება, თუმცა ეს სრულიადც სავალდებულო არ არის და ბევრი მწერალი არქაიზმების გამოუყენებლადაც ახერხებს ისტორიული ხასიათის თემატიკაზე წერას. მაინც ყველაზე სშირად ისინი სწორედ ისტორიულ თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებებში გვხვდება. მაგრამ ისტორიული ხასიათის თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებები არ წარმოადგენს ერთადერთ სფეროს, სადაც არქაიზმების გამოყენება ხდება. არქაიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა მწერალს სურს ამაღლებული, საზეიმო სტილით დაწერილი ნაწარმოები შექმნას. ამის საილუსტრაციო მაგალითებს უხვად გვაწვდის XIX საუკუნის ქართული მწერლობა.

რომანტიკოსთა ენის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. გიორგი ერისთავის ლექსების ენა არსებითად იმავე სიბრტყეზე დგას, რომელზედაც რომანტიკოსების ენა (ოლონდ იმ განსხვავებით, რომ მხატვრული ღირსებებით უფრო დაბალ დონეს გვიჩვენებს). რაც შეეხება მის კომედიებს, ამაო იქნებოდა მათში სტილისტიკური არქაიზმები გვეძებნა. ერთადერთი დრამატულ-ნაწარმოები გიორგი ერისთავისა, რომელიც ისტორიულ თემატიკაზეა დაწერილი და რომელშიც მოსალოდნელი იყო არქაიზმები, არის „ყვარყვარე ათაბაგი“. მაგრამ ამ ნაწარმოებში არქაიზმები არ გვხვდება. „ყვარყვარე ათაბაგი“ გამოირჩევა გიორგი ერისთავის სხვა ნაწარმოებებისაგან თავისი საკმაოდ დახვეწილი ახალი ენით.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ ენა საკმაოდ დაუხვეწელია. მასში ძველი ფორმებიც გვხვდება და დიალექტიზმებიც. მიუხედავად ამისა, ეს ფორმები ვერ დაფასდება როგორც სტილისტიკური არქაიზმები და სტილისტიკური დიალექტიზმები. ასეთი ფორმების

არსებობა „სურამის ციხეში“ მხოლოდ და მხოლოდ ამ ნაწარმოების ენის დაუხვეწელობით, ჩამოუქნელობით შეიძლება აიხსნას. ნაწარმოები ისტორიულ თემატიკაზეა დაწერილი და თითქოს შესაძლო იყო მასში არქაიზმები ყოფილიყო, მაგრამ ძნელია საერთოდ „სურამის ციხის“ ენაში რაიმე სტილისტიკური სამკაულები ვეძიოთ. დანიელ ჭონქაძე წერს ნახევრად ლიტერატურული, ნახევრად სასაუბრო ენით. ამ ფაქტს უეჭველად გარკვეული მნიშვნელობა აქვს საერთოდ ახალი ქართული პროზის ენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მაგრამ არქაიზმების საკითხისათვის არსებითს არაფერს გვაძლევს. ამასთან, მართალია, „სურამის ციხის“ თემატიკა ისტორიული ხასიათისაა, მაგრამ ეს ნაწარმოები მაინც არაა ისტორიული ხასიათისა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ისტორიული ფონი აქ გამოყენებულია თანამედროვე საჭირობოტო პრობლემის საჩვენებლად.

ენობრივი თვალსაზრისით ამავე სიბრტყეზე დგას ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ენობრივად იგი თითქოს უფრო დახვეწილია. რაც შეეხება ამ ავტორის მეორე ნაწარმოებს — „მორჩილს“, მისი ენა ძალიან მდარეა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მწერალთაგან ზემოთ უკვე იყო საუბარი ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შესახებ. მათ მიერ სმარებული არქაული ფორმები დიალექტებიდან მომდინარეა და დიალექტიზმებად უნდა დაფასდეს, და არა არქაიზმებად. ვაჟა-ფშაველამ ისტორიული ხასიათის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოები „ბასტრიონი“ იმავე ენით დაწერა, რომლითაც „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“: ამ ნაწარმოების ენა სავსეა დიალექტიზმებით, მაგრამ კუშმარიტი სტილისტიკური არქაიზმები მასში არ გვხვდება.

ჩვენი ხალხოსნების — ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის, ვკატერინე გაბაშვილის — თემატიკა გამორიცხავდა არქაიზმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენებას. არქაიზმები არ გამოუყენებია ნიკო ლომოურს ისტორიული ხასიათის მოთხრობაშიც კი.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს გიორგი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში. მათ ნაწერებში უხვად გვხვდება დიალექტიზმები (განსაკუთრებით ეგნატე ნინოშვილთან), მაგრამ არქაიზმების გამოყენების საფუძველს მათ არც თემატიკა აძლევდა და არც მათი მხატვრული მიზანდასახულება.

ამრიგად, XIX საუკუნის მწერალთაგან რჩება ორი დიდი მწერალი — აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, რომელთა თემატიკა ფართო სარბიელს უქმნიდა არქაიზმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენებას.

აკაკი წერეთელს ისტორიულ თემატიკაზე მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები აქვს შექმნილი: მოთხრობა „ბაში-აჩუკი“, პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაგრატ დიდი“, „კიკოლას ნაამბობი“ და სხვები, დრამატული პოემები: „მედია“, „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“... ამ ნაწარმოებთა თემატიკა ფართო სარბიელს იძლეოდა არქაიზმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენებისათვის. მაგრამ აკაკი წერეთლის ამ ნაწარმოებებში ვერსად იპოვით ვერც ლექსიკური და ვერც მორფოლოგიურ-სინტაქსური სასიათის ვერც ერთ არქაიზმს. აკაკი წერეთელი ისტორიულ თემატიკას მისი თანამედროვეობის თვალსაზრისით უდგებოდა და ენობრივი სამოსელიც შესაფერისი, მისი თანამედროვე მოუნახა. „ბაში-აჩუკის“ ენა არაფრით არ განსხვავდება „ჩემი თავგადასავალის“ ენისაგან ისევე, როგორც „თორნიკე ერისთავის“ ან „ნათელას“ ენა არაფრით არ განსხვავდება „განთიადის“ ან „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“-ს ენისაგან. აი, რამდენიმე ნიმუში:

მესმის, ბიძაჩემო, მაგრამ მაინც მე ჩემდათავად გაზაფხულის მახარობლობის დროს სიკვდილი მიჩვენებოდა ზამთრის წინასწარმეტყველობაში მედიდურად სიციხულს ვიცი! განა არ ვიცი, რომ დღეცაღობა ტყბილია? სად თეირანი და სად ახმეტა?! იქ უოველიფერი თვალს რტაცებს, გრძნობა-გონებას ხობლავს და ეუქს ატკობს... მაგრამ კიდევ მაგისი მეშინია! არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გულიდან, რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს და ვეტრფოდე. აჰ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველიფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველო, ყველა ერთად ნათესაურის კავშირით გადაბმულა ჩემთან! ვგრძნობ რაღაც ერთ სისხლხორცობას მათთან! ვგრძნობ და ქირს ადვილად ვიტანს ამის სამავიეროს რას მომცემს უცხოეთი?! რად მინდა შენი გარეგანი თვალსაჩუქარი დიდკაცობა მაშინ, როდესაც დამალული გრძნობა-გონება იჩაგრება და სულს აჩიავებს?! ტყბილია თქვენი შარბათები, მაგრამ ვერ გავეცილი იმ ჩემ ლეინოზე, რომელიც ჩემი მამა-პაპის სისხლით არის წითლად შეფერილი გემრიელია თქვენი მურასა-ლაქაშები, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის პური მიჩვენებია, ის პური, რომელშიაც ჩვენი ძველების ნაწილები ურევია... დიახ, ნაწილები!.. ჩვენი საყანებები მათის ძვლებითა და ხორცით არიან დააოხიერებული მართალი არის ჩვენი გლეხკაცობა, როდესაც ღვინის დაღვეის დროს პირჯვარს იწერს და, პურის გატეხის წინეთ, ჯერ პურს ემთხვევა! ის წმიდა-წმიდათა ზიარებაა ჩვენთვის... და ჩემს სამშობლოს რომ გავმორდე, სადღა მივიღო?! არა, ბიძაჩემო, არა! ისინი ჩვენთვის უცხო არიან და ჩვენც იმათთვის! რაც ბუნებასა და საუკუნეებს არ შეუხორცებია, მისი შეწებება ტყუილია არა გამოეპარა! ან განმორება და ან სიკვდილი! ორში ერთი აუცილებელია!

ასე მეტყველებს ბიძინა ჩოლოყაშვილი, „ბაში-აჩუკის“. ერთ-ერთი მთავარი გმირი.

ახლა ვნახოთ, როგორ მეტყველებს თორნიკე ერისთავი.

მოახსენა: „აა, მეფე!
„გრამატა“ დედოფლისო,
მაგიერი სასყიდლო
ჩვენის სისხლის და ოფლისო.
ბასილი და კონსტანტინეც
ამოწმებენ ამ წერილსო
და უთმობენ ზემოქვეყნებს
თქვენს შვილსა და შვილიშვილსო.
მეც მიბოძეს მათ საკუთრად
საჩუქარი დიდძალიო:

სამკაული, ოქრო, ვერცხლი,
მარგალიტი და თვალიო.
მაგრამ, მეფე, მე რად მინდა
ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო?
თქვენს დიდებულ ბატონობას
შემოეწირავ ყოვლიფერსო:
ნახევარი თქვენი იყოს,
ნახევარი ქვრივ-ოხრებსო!
ამდენი ჭორკიდებულო
ორივესთვის იკმარებსო“.

სოლო ნათელას სიმღერაში ხომ ნიშანწყალიც არ არის არქაულობისა:

ჩანგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელო;
შეეუხმატბილე ერთმანეთს:
„ოდელა-დელა-დელაო!“
თავის პანგებზე, თავის ხმით
წყრიალობს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
„ოდელა-დელა-დელაო!“
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შეელო,
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური:
„ოდელა-დელა-დელაო!“
ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა-დელა-დელაო!“
ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სანათლე დაგვიბნელო!

ბნელში რა სასიმღეროა:
„ოდელა-დელა-დელაო!“
შორიდან შემოგვეპარა
ნტერი, ვით ტურა-მელო
და სულ სხვა სმაზე გვამღერებს,
არ მოსწონს „დელა-დელაო!“
წერიც კი ცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი, ჭიანჭველო!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე:
„ოდელა-დელა-დელაო?“
ერთობა ჩვენთვის ტასტია,
მტრებისთვის — სახრჩობელო!
მტრებს „ვაი-დელა“ ვაძახოთ
და ჩვენ ეთქვათ: „დელა-დელაო!“
კმარა! ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველო!
ვერც ვუკრავ! ველარცა ვმღერი:
„ოდელა-დელა-დელაო!“

აი, მგოსნის მეტყველებაც „თამარ ცბიერიდან“:

ის თამარია, ჩვენი ქვეყანა
რომ გაადიდა, გააძლიერა!
ის თამარია, ვისთვისაც შოთამ
საშეილიშვილოდ ჩანგი აუღერა.

ხოლო პატარა კახის სიტყვებია:

გამიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნეეთ, დამუქრებული
მალა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენის ქვეყნის
მწარე ამბავი და საჩივარი,
მაგრამ იმავ დროს, ეშმაკის სული,
დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,

.. გადელუნოს, გადმოელუნოს
და მოეთხაროს სულ ძირიანა,
მერე ენახოს მწვემს წაქცეული,
ხელში აელოს პატარა დანა
და გამოეჭრას მას სალაშური,
რომ მოწყენის დროს სული ჩაბეროს,
და მთა და ბარის დასატკობელად
ააკენსოსო და აატროს.

ჩვენ განზრახ ვრცლად მოვიყვანეთ საილუსტრაციო მასალა იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა, რამდენად თავისუფალია არქაიზმებისაგან აკაკის ისტორიულ თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებები. აქედან ჩანს, რომ, თუმცა ისტორიული თემატიკა ერთ-ერთი უმთავრეს საფუძველთაგანია არქაიზმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენებისა, მაგრამ ამ ხერხის გამოყენება ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებში სრულიადაც არ არის სავალდებულო და აუცილებელი. ეპოქის კოლორიტის გადმოცემა, ისტორიული განწყობილების შექმნა უიმისოდაცაა შესაძლებელი.

სავსებით ანალოგიური მდგომარეობაა ილია ჭავჭავაძესთანაც. ილიას „კაკო ყაჩაღში“, „კაცია-ადამიანში“, „გლახის ნამბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“ არქაიზმები არ გვხვდება და არც მოსალოდნელი იყო. ისტორიულ თემაზე ილია ჭავჭავაძეს დაწერილი აქვს პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. არქაიზმი, როგორც სტილისტიკური ხერხი, არც ამ ნაწარმოებშია გამოყენებული. ენა ამ ნაწარმოებისა ხალხურია, უაღრესად თანამედროვე. თანამედროვე ენით მეტყველებენ პოემის გმირებიც სავსებით ისევე, როგორც აკაკი წერეთლის ნაწარმოებებში. მეფე დიმიტრი ასეთი ენით მეტყველებს:

მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი, რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარის
სირცხვილს ამბობთ — რა სირცხვილი?
მე ვეწლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიციცხლეს, ჩემსა სისხლსა
თითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის,
მამ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს — მთელის ერისათვისი
არა! წვალ, არ დაედგები,
დე ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკედეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის ღმიტრისა.

მაგრამ არქაიზმები, როგორც სტილისტიკური ხერხი, ილია ჭავჭავაძის ენაში გვხვდება და იგი საკმაოდ ფართოდაც არის გამოყენებული. ყველაზე თვალსაჩინო და ხელშესახებია ეს ფაქტი

„აჩრდილსა“ და „განდეგილში“. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „აჩრდილში“ არქაიზმების გამოყენების საფუძველი თითქოს ის იყოს, რომ ეს პოემა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია, მაშინდელი, როდესაც ილიას თავისი საკუთარი პოეტური ენის ნორმები ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამომუშავებული და, მაშასადამე, ძველი ენის ძლიერ გავლენას განიცდიდაო. მაშასადამე, „აჩრდილში“ არქაიზმები კი არ გვაქვს, როგორც სტილისტიკური ხერხი, წარმოდგენილი, არამედ — არქაული ფორმები, როგორც ლიტერატურული ენის დამახასიათებელიო. ე. ი. შეიძლება იმის ანალოგიური მდგომარეობა გვექონდეს, რაც რომანტიკოსთა ენისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ ასეთი დაშვება არაფრით არ იქნებოდა გამართლებული. ჯერ ერთი, „აჩრდილთან“ ერთდროულად დაიწერა „კაკო ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი?“ მაშასადამე, „აჩრდილის“ დაწერისას ილიას მტკიცე პოეტური ენა ჰქონდა უკვე გამომუშავებული. მეორეცაა, „აჩრდილის“ საბოლოო რედაქცია სამოცდამეათე წლებში ჩამოყალიბდა და ამ საბოლოო რედაქციაში ილიამ ყველა არქაიზმი სელუსლებელი დატოვა. მესამე: „აჩრდილის“ მსგავსად „განდეგილშიც“ უხვადაა არქაიზმები წარმოდგენილი, ეს პოემა კი ილიას ერთ-ერთი უკანასკნელ ნაწარმოებთაგანია. მაშასადამე, „აჩრდილსა“ და „განდეგილში“ რომ არქაიზმები გვხვდება, ეს ილიას ლიტერატურული ენის საერთო დამახასიათებელ თვისებას კი არ წარმოადგენს, არამედ პოეტური ხერხია, გარკვეული სტილისტიკური საშუალებაა, რომლის მიზანს გარკვეული განწყობილების შექმნა შეადგენს.

რა ხასიათის არქაიზმები გვხვდება „აჩრდილსა“ და „განდეგილში?“ (მსგავსივე ვითარებაა „დედა და შვილშიაც“).

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ლექსიკური არქაიზმები:

ფ რ თ ე, ღ ა გ ი გ ღ ი ა (= ღაგბრეგბია); და და უ გ ღ ი ხ ა რ ვ ი თ ტ ა ძ ა რ ი გაუქმებულს; ა ჯ ე რ უ ფ ა ლ ი და მ ი ს ი მონა... უ ფ ა ლ ი პ ი ნ ა ს ზ ე ღ ა ღ ა მ ს ფ ე ს ა; დღეს შეილთ არ უღირთ არც ერთ ფ ლ უ რ ა და; ნ გ რ ე უ ლ ა ნ მ ი ს ნ ი დ ი დ ნ ი პ ა ლ ა ტ ნ ი; დ ე ე ნ უ ლ ე ბ ი ს და კ ი რ თ ე ბ ი ს ქ ე ე შ ქ ე დ ს ა ი ხ რ ი და; ზ ტ ა რ ვ ა ლ ს ა ღ უ ღ გ ა ქ ა რ თ ლ ი ს ქ ე ე ლ ო ბ ა (= მხნეობა, სიმაჰაცე); ჩ ა ვ რ უ ლ თ ა ს ა ს ო რ; ნ უ ა რ ი დ ე ბ მ ი წ ყ ა ლ ე თ ე ლ ს ა; ი კ მ ა რ ე სა ღ მ რ თ ო ღ მ ა თ პ ა ტ რ ი ე ნ ი და ს ი ს ხ ლ ი ს ძ ღ ვ ე ნ ი („აჩრდილა“). მ ტ ა რ ვ ა ლ თ ა თ ქ მ ი თ ა ო ღ ი თ ე ე ხ ა რ შ ე ნ ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი; ე გ რ ე თ ნ ა შ ო ვ ნ ი რ ა დ წ ა ვ ე რ ა თ ვ ი მ ე ს ა ვ თ ა შ ე ნ თ ა? („დედა და შვილი“). უ წ ი ნ დ ე ლ ს დ რ ო შ ი ღ ვ თ ი ს ა მ ო ს ა ვ თ ა გ ა მ ო უ ქ ე ბ ა ვ ე თ მ უ ნ მ ო ნ ა ს ტ ე რ ი; და მ უ ნ ი თ თ უ რ მ ე გ ა დ მ ო დ ე ნ ი ლ ა შ უ ქ ი მ ზ ი ს ა და მ თ ე ა რ ი ს ნ ა თ ე ლ ი; მ უ ნ დ ა ხ ე და მ წ ი რ ი; ვ ი თ ა მ მ ა რ ა ვ ე რ და ზ ტ ა ც ე ბ ე ლ ი („განდეგილი“).

**შეშდეგ აღსანიშნავია წრფელობითი ბრუნვის ხმარების შემ-
თხვევები:**

ყოფს იგი ძლიერ და ბედნიერი: რომ დაგიგლიათ უმწედ, უნუ გეშ
„აჩრდილი“); რათა წარუდგეს უფლსა მსჯავრსა სულით განწმენდილ და
განბანილი; არ იყო ხნიერ, მაგრამ ერთ წმინდანს... („განდეგილი“); აღმოჩნდა
წებობის შემოთ მყინვარი ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ, იგივე ზეადი, იგივე
მყინვარი, იგივე დიდებულ და დადუმებულ („აჩრდილი“).

ცალკეულ ზმნათა არქაული ფორმები:

რომელთაც წარაქეთ კაცთ გულისტმანი; და რისთვის დახეალ ამა
ქვეყნად პირისიხლიანი; შენ, დედაჩემო, რასაც მნუკავ, აგისრულებდა; მაშ-
ლის დახსნის დღე არის, ქვეყანა გენუკავს შევლასა („ოდა და შეილი“);
ეგრე ეილოდნენ დღენი და წელი, ჰგვანდნენ ერთ ელენილს რისხვას
ღვთისასა; ამოვედ, ვინ ხარ, იყავნ ნება ღვთის („განდეგილი“).

მასდარული კონსტრუქცია:

ხედავდ უცნაურ სახილველისა; სშენად ბუნების მეტყველებსა („განდეგილი“).

პრევერბთა ძველი სახეობები:

განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული; მას განაცოცხ-
ლებს სიმღერა ხალხთა; ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა
გრიგალის ქროლას, ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი... ესე ქვეყანა
კვლავ აღყვავდებოს; სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმალდებო; მზი-
არულ ხეზად გარდაგეცვლებოს; შენის ლენითა განიხარებენ; და
ერს დაცემულს ის აღამალდებოს; პოი სახიერო! ცისარტყელა განავლე
ცასა, რათა წარღვინსა მოლოდინი წარხოცო ხალხსა („აჩრდილი“).

**ვნებითი გვარის ზმნათა აწმყო დროის მხოლოდობითი რიცხვის-
მესამე პირის ძველებური ფორმები:**

მზიარულ ხეზად გარდაგეცვლებოს; ხოლო აქაკი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწყალი ზოგჯერა კრთებოს, ქვეყნის წარღვმას გული ზოგისა-
შეებრძვის და არ ემორჩილებოს („აჩრდილი“).

მოქმედებითი ბრუნვა დაწყებითის მნიშვნელობით:

და მუნით თურმე გადმოღვნილა... იმ სარკმლით თურმე („განდე-
გილი“).

კითხვითი ზმნისართი მიმართებითის მნიშვნელობით:

სადაც დიდებულს შთასა მყინვარსა ორბნი; არწიენი ვერ შეუხებთან, სად წვიმა-
თრვლნი; ყინულად კმნილი, მზისგან აროდეს არა დნებიან, სად უდაბურსა მას
მყუდროებას კაცთ ქრიაშული ვერ შესწევდენია, სად მეუფება ქვე-ქუხილსა.
ყინულს და ქართა მხოლოდ მშენია, უწინდელ დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვა-
ბათ მუნ მონასტერი („განდეგილი“).

ანუ ნაწილაკი ან ნაწილაკის მნიშვნელობით:

არ გაგონდება არც მამა, დედა, ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი? („განდეგილი“).

სახელთა მრავლობითის ძველი ფორმები:

კლდენი და მთანია... კავკასის მთების წვერთა მაღალთა ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი; და არაერთხელ ქაბუჯთა ყრმათა ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს; შინდორნი, ტყენი, ნახნაენი, ველნი შენის ლხენითა განიხარებენ; ნგრეულან მისინი დიდნი პალატანი („აჩრდილი“).

არქაიზმების სხვა შემთხვევების დასახელებაც შესაძლებელია და საილუსტრაციო მაგალითების გამრავლებაც, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ „აჩრდილში“, „განდეგილსა“ და „დედა და შვილში“ არქაიზმები საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. თუ ამას იმასაც დაუმატებთ, რომ სიტყვათა წყობა, სინტაქსური კონსტრუქციებიც მრავლად გვხვდება არქაული ხასიათისა, ცხადი გახდება, რომ ილია ჭავჭავაძე ამ პოემებში გარკვეულ სტილისტიკურ ხერხს მიმართავს გარკვეული მხატვრული ეფექტის მისაღებად. რამდენად განსხვავდება ყველაფერი ეს „კაკო ყაჩაღის“ ან „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ენისაგან!

როგორი სტილისტიკური მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ შემთხვევაში მწერალს? მართალია, „აჩრდილში“ საქართველოს წარსულია დაპირისპირებული ილიას თანამედროვე სინამდვილესთან, მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლებოდა განმსაზღვრელი ყოფილიყო ამ შემთხვევაში. აკი „დიმიტრი თავდადებული“ ისტორიულ თემაზეა დაწერილი, მაგრამ მასში არქაიზმები არ გვხვდება! განმსაზღვრელი აქ უნდა ყოფილიყო ამადლებული სტილის საჭიროება, პათეტიკური განწყობილების, ერთგვარი საზეიმო განწყობილების შექმნის საჭიროება. ამას მოითხოვდა „აჩრდილის“ მიზანდასახულება. ამის გამო მიმართა ილიამ არქაიზმებს. ანალოგიური ვითარება გვაქვს „განდეგილშიც“. უნდა ითქვას, რომ მიზანი ორსავე შემთხვევაში ბრწყინვალეა და მიღწეული და ამდენად არქაიზმების გამოყენებაც — სავსებით გამართლებული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე პირველია ქართულ ლიტერატურაში, ვინც არქაიზმებს მიმართა, როგორც სტილისტიკურ ხერხს, და ამ გზით ბრწყინვალე ეფექტიც მიიღო.

ჩვენს საუკუნეშიც არაერთხელ გამოუყენებიათ ისტორიული თემა. ისტორიულ თემატიკას გარკვეული ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიც.

ისტორიულ თემებზე წერდა და წერს სანდრო შანშიაშვილი (პოემები, დრამები), მაგრამ მისთვის არქაიზმების, როგორც სტილისტიკური საშუალების, გამოყენება დამახასიათებელი არ არის. გიორგი ლეონიძეს ისტორიულ თემაზე აქვს დაწერილი პოემა „სამგორი“. არც გ. ლეონიძეს უცდია მოეშველებინა არქაიზმები. „სამგორის“ ენა ამ მხრივ არაფრით განსხვავდება გ. ლეონიძის სხვა პოემებისა და ლექსების ენისაგან. არც ზოგი სხვა მწერალი (მაგ., პოლიკარპე კაკაბაძე) მიმართავდა ამ ხერხს.

ისტორიულ თემაზეა დაწერილი შალვა დადიანის „გიორგი რუსი“. მწერალი არქაიზმებს მიმართავს, მაგრამ მისთვის ჩვეული ზომიერებით და, ამასთან, თავისებურადაც. ალაგ-ალაგ, იშვიათად, ამ რომანში ლექსიკური არქაიზმებიც გვხვდება. მაგრამ ეს ფაქტი განმსაზღვრელი არ არის რომანის სტილისა, ეპოქის კოლორიტის გადმოცემას მწერალი ახდენს არა არქაიზმების უშუალოდ შემოტანის გზით, არამედ სტილიზაციით — მემატიანეთა სტილის მიბაძვით, მაგრამ ისე, რომ ყოველთვის თანამედროვე ენის ფარგლებში რჩება, არასოდეს არ გადის ამ ფარგლებიდან. ამიტომაც, რომ რომანში თითო-ორი სიტყვის გარდა (რომელიც დღესაც ცნობილია ასე თუ ისე განათლებული მკითხველისათვის) არქაიზმებს ვერც შენიშნავთ: მორფოლოგიური არქაიზმები სრულებით არ არის, სინტაქსურ არქაიზმებსაც ვერ ვხვდებით. გვრჩება არქაულობის მანერით დაწერილი, სტილიზებული მეტყველება.

ენის არქაულობით ცნობილია კონსტანტინე გამსახურდია. ყოველ შემთხვევაში ასეა კვალიფიცირებული მისი ენა სალიტერატურო კრიტიკაში და ეს კვალიფიკაცია არაერთხელ გაუზიარებია ზეპირად თუ წერილობით თვით ავტორს. მართლაც, განსაკუთრებით მის ისტორიულ რომანებში, არქაიზმები გვხვდება, უფრო — ლექსიკური ხასიათისა, მაგრამ ეს ლექსიკური არქაიზმებიც ტერმინოლოგიური ხასიათისაა მეტწილად. ისიც აღსანიშნავია, რომ უმთავრესად არსებითი სახელებია, კ. გამსახურდიას არქაიზმების ძირითად ბირთვის რომ ქმნის, ზმნები მას არა აქვს გამოყენებული. საქმე ისაა, რომ კ. გამსახურდიას ენაში ჩვენ ვერ ვხვდებით თითქმის ვერც ერთ არქაულ ფორმას: არც სახელთა მორფოლოგიიდან, არც ზმნებიდან. სახელები (ტერმინის მნიშვნელობით უმთავრესად) საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული ახალი ფორმით, არქაუ-

ლობას ზმნებში კი უმთავრესად ფორმები ქმნის. ამიტომაცაა, რომ არქაული ზმნები იშვიათად გვხვდება. სახელებში თუ სადმე „არქაული“ ფორმა გვხვდება, ნამდვილად ეს ფორმები არქაული არაა.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: კ. გამსახურდიას რომანების სტილი თავისებურია. მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი არქაიზმები არაა. არც მწერლის ენაში და არც პერსონაჟთა მეტყველებაში ჩვენ არ გვხვდება ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფორმები და, წარმოიდგინეთ, არც სინტაქსური კონსტრუქციები. არქაიზმები კ. გამსახურდიას რომანებში მოჩვენებითი ხასიათისაა.

ამის გამოა, რომ კ. გამსახურდიას რომანებთან დაკავშირებით საჭიროა დადგენილ იქნეს ცნება ც რ უ ა რ ქ ა ი ზ მ ე ბ ი ს ა . კ. გამსახურდიას რომანების სტილი თავისებურია, მაგრამ არა არქაული, ც რ უ ა რ ქ ა უ ლ ი ა .

კ. გამსახურდიას რომანებში გვხვდება ც რ უ ა რ ქ ა უ ლ ი ფორმებიც. ეს ეხება განსაკუთრებით ადამიანთა სახელებსა და მათს ბრუნებას.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ადამიანის სახელები სახელობითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავდნენ. საკუთარი სახელები შემდგომ ზოგად სახელებს გაუთანაბრდნენ და სახელობითი ბრუნვის ნიშანი მათაც გაუჩნდათ. მაგრამ გაუჩნდათ მხოლოდ სახელობითში! სახელობითი ბრუნვის ნიშანი საკუთარ სახელებს ისევე არ გადაჰყვებოდათ და არ გადაჰყვებათ სხვა ბრუნვებში, როგორც ზოგად სახელებს. კ. გამსახურდიას რომანებში კი, ჩვეულებრივად, სწორედ ამგვარ ფაქტთან გვაქვს საქმე: სახელობითის ი გადადის მოთხრობითში, მიცემითსა და სხვა ბრუნვებში.

„მისმინე“, უთხრა ნიკალამ შორტაის (დ. ა. 177)።

მოდი ერთი შენ გამოჰკითხე შორტაის (დ. ა. 177).

ვიათუ შორტაიმ დაქარგა სელის გეზი (დ. ა. 181).

კატაიმ ძელიცხოვლის ქვარი ჩამოიღო კედლიდან (დ. ა. 162).

მოაჭირითებდა ქუჯაის (დ. ა. 156).

ხახუტაიმ მუზარალი მეჩინიბეს გადასცა (დ. ა. 156).

። დ. ა. = „დავით აღმაშენებელი“.

ზახუტაიმ უზანებში დეხების ჩადგმაც ვერ მოასწრო (დ. ა. 156).

ბაღში გაჰყავდა ხახუტაის ეს მიმინო (დ. ა. 114).

ყურშიამ მხარ მარცხნით გაუხვია (დ. მ. 19)¹⁰.

ძალიან არ იუაყაყა ყურშიამ? (დ. მ. 21).

ყურშიაის სჯობდა კუდაი კოდევაც (დ. მ. 22).

თორმეტი ვაჟი ჰყავდა თაყაის (დ. მ. 18).

ამ დროს გააღვიძა არსაკიძე ნონაიმ (დ. მ. 187).

მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა. ეს მაგალითები ტიპიური ნიმუშებია ცრუ არქაიზმებისა.

სპეციალურად უნდა იქნეს განხილული არქაიზმების საკითხი ვასილ ბარნოვის ენაში. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ვასილ ბარნოვი მიჩნეულია მწერლად, რომლის სტილის ძირითად ნიშანთვისებად არქაიზმებით გატაცება უნდა ჩაითვალოს. კიდევ მეტი: მას გამოუსწორებელ არქაისტს უწოდებენ. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, არქაიზმების გამოყენება მწერლის მიერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს მწერალი არქაისტია. ამდენად, ამ შემთხვევაში ცნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით ვასილ ბარნოვის ენა და სტილი განხილული არ ყოფილა¹¹.

რა შედეგს გვაძლევს არქაიზმების ძიება ვასილ ბარნოვის ენაში, ერთი მხრით, და ბარნოვის სტილებრივ თავისებურებათა შესწავლა, მეორე მხრით?

ლექსიკური არქაიზმები ვასილ ბარნოვის ენაში, განსაკუთრებით, მისი ისტორიული რომანების ენაში მართლაც საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. მწერალი არ ერიდება მოძველებული, ხმარებიდან გასული სიტყვების აღდგენას და ფართოდ გამოყენებას. მაგრამ ლექსიკური არქაიზმების გამოყენება ვერ შექმნის მწერლის სტილის რაიმე თავისებურებას, თავისებურს, სპეციფიკურს ვერ გახდის მწერლის სტილს და ლექსიკურ არქაიზმებს არ განუსაზღვრავთ ვ. ბარნოვის სტილის თავისებურებაც. თავისებური კი ვ. ბარნოვის სტილი უსათუოდ არის. მისი რომანებისა და მოთხრობების უბრალო გადაკითხვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ამაში დავერწმუნდეთ. თუ ლექსიკური არქაიზმები ვერ გახდოდა მწერლის სტილს არქაულად, ეგების მორფოლოგიური ან სინტაქსური არქაიზმები

¹⁰ დ. მ. = „დიდიხატის (კონსტანტინეს) მარჯვენა“.

¹¹ ამ წერილის დაწერის დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული ელ. კოშობიძის მონოგრაფია „ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით“, თბ., 1966. (რედ.).

გვხვდება ჭარბად ვ. ბარნოვის ენაში და ამან აქცია ბარნოვის ენა არქაულად, ამან განსაზღვრა ბარნოვის სტილის არქაულობა? მაგრამ ვ. ბარნოვის ენაში ვერც მორფოლოგიური და სინტაქსური არქაიზმები დაიძებნება. საქმე ისაა, რომ ბარნოვის ენა და სტილი თავისებურია, ამ თავისებურებებს ამჩნევდნენ, რა ხასიათისა იყო ეს თავისებურებები, ეს კი არავის უძებნია და, რაკი განსხვავებული სტილი შეამჩნიეს, მას არქაული უწოდეს. აქედან გავრცელდა შემდგომ მითი ბარნოვის სტილის არქაულობისა.

ვ. ბარნოვის ენის შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ ენას რიგი თავისებურება ახასიათებს.

მსაზღვრელი სახელი, ჩვეულებრივ (უფრო ხშირად), პოსტპოზიციურადაა დასმული. ასე იყო ძველ ქართულშიც; ძველ ქართულშიც პოსტპოზიციურად დასმული მსაზღვრელი სჭარბობდა პრეპოზიციურად დასმულს. მაგრამ ეს არის და ეს. დანარჩენი თვისებებით მსაზღვრელი სახელი ბარნოვის ენაში არსებითად განსხვავდება ძველი ქართულისაგან: პოსტპოზიციურად დასმული ნათესაობითარი სახელი სახელობითში არათუ ბრუნვაში არაა შეთანხმებული საზღვრულთან, არამედ, მას ემფატიკური ა-ც კი არ დაერთვის (ე. ი. დარღვეულია ნორმა ახალი ქართულისაც). სხვა ბრუნვებში შეთანხმება არ არის: ემფატიკური ა-ღა დაერთვის მხოლოდ.

არ შეიმჩნევა სიტყვათა რაიმე გარკვეული მუდმივი, მყარი წყობა წინადადებაში. ზმნა-შემასმენელი ბევრ შემთხვევაში წინადადების დასაწყისშია გადასმული; საგარემოებო სიტყვა წინადადების ბოლოსაა მოქცეული; წინადადების ბოლოსვეა მოქცეული საზღვრული სახელიც თავისი პოსტპოზიციური მსაზღვრელითურთ.

მწერალი სრულიად გარკვევით ერიდება რთული დაქვემდებარებული წინადადებების გამოყენებას. როცა გამოიყენებს, ერიდება მაკავშირებელ ზმნისართებს, განსაკუთრებით ნაცვალსახელებს (რომელიც...); უკავშირო შეერთებას რჩეობს ან რომ კავშირის გამოყენებას. ბარნოვის ენაში ჭარბობს მარტივი და შერწყმული წინადადებები, რთული წინადადების შემთხვევაში — რთული შეკავშირებული წინადადება.

ძალიან ხშირია შემთხვევები უსრულო წინადადებების გამოყენებისა, ზოგჯერ შეიმჩნევა ერთგვარი გატაცება დაუმთავრებელი წინადადებებით, ე. ი. წინადადებების ნაწილიაა წარმოდგენილი.

წინადადებები წევრებით დატვირთული არაა. მწერალი უფრო მოკლე-მოკლე წინადადებებს აძლევს უპირატესობას..

რაკი რთული დაქვემდებარებული წინადადებების გამოყენების არე შედარებით შეზღუდულია (განსაკუთრებით გაურბის მწერალი ისეთ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებას, რომლის დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია), სამაგიეროდ, ფართო გასაქანი ეძლევა მიმღობურ კონსტრუქციებს.

დიალოგებში სშირია შემასმენლის გამოტოვება: უშემასმენლო ფრაზები დიალოგებში ძალიან ხშირია.

ხშირად გვხვდება ე. წ. სახელდებითი წინადადებები. ვასილ ბარნოვი პირველი იყო თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ვინც ამ ტიპის წინადადებათა გამოყენება დააკანონა.

არც ერთი ეს სტილური ნიშანი არაა არქაული, ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი. პირიქით, ეს სტილური ნიშნები დამახასიათებელი გახდა შემდეგ რიგი მოდერნისტული მიმართულებისათვის ლიტერატურაში. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს ნიშნები ის ნიშნებია, რომლებიც ლექსის ენას ახასიათებს. ლექსს ასეთი რამ სჭირდება ზომისა და რიტმის (და რითმისაც) დასაცავად. მართლაც, ვ. ბარნოვის მხატვრული პროზის გარკვეულ ადგილებს თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად გარკვეულად რიტმულ პროზასთან. ვ. ბარნოვის პროზას ქართული თოთხმეტმარცვლიანი ლექსის რიტმი ახასიათებს, ე. ი. იმ ზომისა, რომლითაც დაიწერა გრ. ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც გამოიყენეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა შექსპირის „მეფე ლირის“ ქართულად სათარგმნელად, რომლითაც თარგმნა შემდგომ ივანე მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიები.

ენახოთ რამდენიმე ნიმუში:

წარზოდგენდა თავის ირმას სხვის მკლავზედ ნაწოლს,
ბასრი ხანჯალი ტრიალებდა იმის გულედიძლში („ნანატრი ნადირი“, 119).
მედგრად ებრძოდა: მიდიოდა, თოვლს მიარღვევდა.
აღლოთი გრძნობდა, ახლო იყო ირემთა ჭოგი (120).
დაბდღენილოყო ქარისაგან ცის საბურველი.
ღრუბელთა ტალღებს ეფარვოდა მიმცხრალი მთვარე.
დაეტყო კაცს(ა) დაღლილობა: ძილი ხელს პრევდა.
ფხიზლობდა ძალად, თავს იმაგრებდა.
შეშას აყრიდა, არ ჩაქრესო ცეცხლი კეთილი (122).
შევიპყრობ ნადირს, რქაბუღდიან წინამძღვარს რემის (122).
და მისი ფოქრი გარდაფრინდა მის ირმასაკენ.
უაღერსებდა, უტკებებოდა ღიქრთა არეში.
მისი ოცნება ყვაივით ჰყრეფდა თოვლის ზეინებზედ,
ღერხთ ქვეშ უგებდა თავის სატრფოს სუნნად სუნნელებს (123).

ისე გარდიელის ზოგი არსი ცხოვრების არეს,
როგორც ვარსკვლავი მოწყვეტილი ცის კამარაზედ,
გაველებს კვალსა წამს გაშუქებულს და განქრება,
განქარდება საუკუნოდ;

არარად იქცევა მისი სახე ლამაზად ქმნილი („ყვავილი მიმომავალი“, 128).

მეც ოდესმე მილიძოდა წუთის ცხოვრება,

კიდევ ვეუბობდი მცირეხნობით შე მისსა ტალღებს;

მაგრამ ვერ ენახე მე სიყვით მუხთალ სოფელში

და დალახერული შეეფუარე წმინდა საფანეს („არხეოლოგიური ნაშთი“, 80).

არ შესციოდა მალხაზ მორბედს მკვიდრად დანაქეთულს („რკინის დევი“, 143).

დაფიქრებელი გააჟურებდა ვაჟაკი სივრცეს,

ანუღეშებდა მოჭირანსულეს ეს თოფი დიდი (144).

ღილი ზეიმი ყენის კარს ყარაყორუმში („თამარ მრწემი“, 382).

გარინდა კაცი, გაუქავდა გული, გონება („სულთა კეშირში“, 454).

ეს შიგ ტრიალებს, მიმომავალი ყვავილთ საშუალ,

და თავს იმაგრებს, თითქო კეკულეთ ვერა ჰხედავსო (455).

თუ გადაეჭრა ბნელის ზელით სიცოცხლის სირა?

დაიხარა და ჩააყირდა. ნეტა თუ სუნთქავს?

და მისმა თვალმა ბალღის შუბლზედ შენიშნა ცუარი; [...].

ხეირთქლში გაცურდა განწირული, ოფლის ნაკადში (470).

ჩაღით მიწაში, რულს მიეცით ბეჩავი თავი,

ძილს სიყვილის მსგავსს: მოღის წყვილიად, ისწრაფის ყინვა!

მზე ევლარ ვიშველთ, დაძლეული მნათობი თქვენი.

ჩად-თ მიწაში! თუ გაუძლოთ შავს ბედს მოწვეულს,

კვლავ პნახოთ მზის(ა) გამარჯვება და გაიხაროთ („გიორგი სააკაძე“, 24).

შენი აჩრდილნი აჰყოლოდნენ შეუღლებულთა.

გარს მოეცათ სამიზ ლანდებს მეფის სასახლე,

ბედნიერთა გალიაკი ტურფად მკობილი.

ყოველ კლთხიდან მოჩვენება ბოროტმეტყველი.

ღრო მიმავალი არ აქრობდა ბნელის სახეებს:

ხორცს თუ ისხადდნენ შესახედად შესახარენი,

გარს თუ ავლებდნენ ჩანუქებულ სისხლის წრებებსა;

შეად შეღებებს ყოველივე სახე საამო.

მაგრატიონთ(ა) პატარძალი უკვე შემკრთალი

თვალს ადევნებდა დაკვირვებით მის გარემო მყოფთ (105).

რა თქმა უნდა, ყველა რომანის თუ მოთხრობის ყველა ადგილზე
ამგვარად არაა გაკეთებული, მაგრამ ეს არაა მთავარი. ვ. ბარნოვის
სტილის თავისებურებას მხოლოდ ამგვარი ადგილები ქმნის. ის,
რაც ამნაირი რიტმული პროზით არაა დაწერილი, არ განსაზღვრავს
ვ. ბარნოვის ენისა და სტილის თავისებურებას. ამ შემთხვევაში
ჩვენ ჩუქულებრივი თხრობა გვაქვს, რომელიც ბევრით არაფრით
განირჩევა სხვა მსგავსი ნაწარმოებებისაგან. მაგრამ ისიც უნდა
აღინიშნოს, რომ ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში (განსაკუთ-
რებით) და რიც მოთხრობებშიც წამყვანი, სტილის განმსაზღვრელი
ამგვარი რიტმული პროზა არის. აქ ჩვენ რამდენიმე მაგალითი მო-

ვიყვანეთ ისეთი, სადაც, გარდა ლექსის რიტმისა, ზომაცაა ყველგან დაცული (14-მარცვლიანი ლექსი), მაგრამ რიტმული პროზისათვის მარცვალთა რაოდენობის დაცვა ხომ სავალდებულო ვერ იქნება. ხშირად მთელი სტრიქონი თუ არა გვაქვს, სტრიქონის ნაწილია წარმოდგენილი, ზოგჯერ ერთი მარცვალი მეტია ან ნაკლები... ყველაფერი ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ბარნოვის რომანები და მოთხრობები გამართული თოთხმეტმარცვლიანი ურითმო ლექსით არაა მთლიანად დაწერილი, და სხვაზე არაფერზე. ამოსავალი დებულება უცვლელი რჩება: ვ. ბარნოვის სტილის თავისებურებას ის განსაზღვრავს, რომ წამყვანი მის ნაწარმოებებში რიტმული პროზაა.

რა არის, მაშ, არქაული ვ. ბარნოვის პროზის ენაში? არც ერთი აქ დასახელებული მოვლენა არქაული არ არის. არქაული რჩება მხოლოდ ლექსიკა, დანარჩენი მხარეები ვ. ბარნოვის ენისა არქაული კი არ არის, პირიქით, ახალია, მოდერნისტულია. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ სახელდებითი წინადადებებით გატაცება რუსულ სალიტერატურო ენაში, უკეთ, რუსული მხატვრული მწერლობის ენაში XIX საუკუნის 90-ე წლებიდან დაიწყო და დაკავშირებულია ცნობილი რუსი სიმბოლისტების სახელთან, რომ საქართველოშიც ამ სტილურ ხერხს ხელი ჩაჰკიდეს სხვადასხვა მოდერნისტული მიმართულების წარმომადგენლებმა. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ რიტმული პროზის, როგორც გარკვეული სტილური ხერხის, გამოყენება აგრეთვე გამოჩენილი რუსი სიმბოლისტების სახელთანაა დაკავშირებული, რომ ასე წერდა, მაგალითად, ცნობილი რუსი სიმბოლისტი ანდრეი ბელი (კერძოდ, რიტმული პროზითაა დაწერილი მისი ცნობილი წიგნი „Ветер с Кавказа“), მაშინ ცხადი გახდება, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი ტენდენციები ვასილ ბარნოვის ენაში.

ასეთი ტენდენციების საფუძველს ვასილ ბარნოვის ენაში უსათუოდ მისი მოდერნისტული მიდრეკილებები უფრო წარმოდგენდა, ვიდრე არქაიზმისაკენ მისწრაფება. მაგრამ ვ. ბარნოვის ენაში ერთგვარი გადაჯაჭვა მოხდა არქაისტული და მოდერნისტული მიდრეკილებებისა, მისმა თემატიკამ არქაიზმებს ერთგვარი გასაქანი მისცა (კერძოდ, ლექსიკაში); არქაიზმებს ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ჩვენი მწერალი კარგი მცოდნე იყო ქართული ისტორიული წყაროებისა და ძველი ქართული მწერლობისა, ამას დაემატა ახალი, თავისებურად გაგებული მოდერნისტული ფორმა, რამაც შექმნა თავისებური სტილი, რომელსაც უსათუოდ აზის გარკვეული ხელოვნურობის ბეჭედი.

რიტორიკული კითხვები ქართულში:
სტრუქტურა და გამოყენება.

„ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“

საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე, აწ უკვე ქრესტომათიულად ქცეული ეს ფრაზა, იაკობ ხუცესმა რომ ათქმევინა თავისი უკვდავი ნაწარმოების მთავარ პერსონაჟს, დოკუმენტირებულად დადასტურებული პირველი რიტორიკული კითხვაა ქართულ ლიტერატურაში საერთოდ.

რაც შეეხება ქართულ ფოლკლორს, კერძოდ, ხალხურ ეპოსს, რიტორიკული კითხვა ორგანულ ნაწილად შედის ქართული ზღაპრის ალბათ ყველაზე პოპულარულ დამწყებ ფორმულაში, რომელიც ერთგვარი „ჩარჩოს“ როლს ასრულებს: „იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ (ამ ფორმულაში სინტაგმა „ღვთის უკეთესი“ განვითარებულ ქრისტიანობის ირიბ მიმანიშნებლად გვევლინება: კუმშვადი „ღვთის“ ფორმა ქართველ ქრისტიანთა ერთადერთ ღმერთს აღნიშნავს, მაშინ, როცა უკუმშველი „ღმერთის“ ფორმა ამ მხრივ მარკირებულად არ ჩაითვლება; შდრ. ასევე: ხარისხის გვიანდელი ფორმა „უკეთესი“ და ადრინდელი მოკლე ფორმები: უარე, უმჯობე და მისთ.).

(სხვა რიტორიკულ ფიგურებთან ერთად, რიტორიკული კითხვაც ორატორული ხელოვნების ერთი უმნიშვნელოვანეს კომპონენტთაგანია და, როგორც სიტყვაკაშმულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ სტილისტიკურ ხერხად არის მიჩნეული.)

რიტორიკული კითხვის არსი ზოგადად ცნობილია: იგი ისეთი კითხვაა, პასუხს რომ არ საჭიროებს. ამ შემთხვევაში კითხვა დაცლილია თავისი არსებითი ფუნქციისაგან. ამის კვალობაზე, რიტორიკული კითხვის განმარტებაც დიდი სიჭრელით არ გამოირ-

ჩვეა. სხვადასხვა ლექსიკონში¹ წარმოდგენილი ფორმულირებები რომ შევაჯამოთ: რიტორიკული კითხვა უარყოფითი მტკიცებაა იმ შინაარსისა, რომელიც შეკითხვის ფორმით არის გამოხატული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კითხვა ფორმაა, მტკიცება კი — შინაარსი.

რიტორიკულ კითხვას, როგორც რიტორიკული ფიგურის ერთ უძველეს სახეს, საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული (რაც ზემოთაც იყო ნაჩვენები ქართულის მაგალითზე). აქ არ შევეხებით მისი გენეზისის საკითხს². იკმარებს იმის აღნიშვნაც, რომ რიტორიკულ კითხვას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, როდესაც მეტყველების სტილის ღირსება მის დამაჯერებლობაში, დარწმუნების ძალაში შიშიდებოდა³. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა პლატონის ცნობილი ფორმულა — ირონიანარევი დეფინიცია თვით რიტორიკისა, როგორც „სიცრუის, ტყუილის თქმის ხელოვნებისა“. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს ექსპრესიული ფუნქციით ამ რიტორიკული ფიგურის ინტენსიური გამოყენება ისეთ ანტიკურ მიმდინარეობებში, როგორცაა პითაგორელობა, სოფისტისტიკა და მისთ.⁴

ზემოთქმულში ნაწილობრივ რიტორიკული კითხვის ჟანრობრივი გამოყენების შეზღუდულობაც გამოიკვეთება: რიტორიკული კითხვა ზეპირი მეტყველების წიაღშია აღმოცენებული და წერითს მეტყველებაში იმდენადაა ჩართული, რამდენადაც ეს უკანასკნელი ზეპირის ფიქსაციას წარმოადგენს. გარდა პუბლიცისტიკისა, რომლისთვისაც რიტორიკული კითხვა სპეციფიკურად დამახასიათებელია, ამ ფიგურის ხვედრი დიდია პოეზიაში, განსაკუთრებით — მედიტაციურ ლირიკაში. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ თავდაპირველად თვით პოეზიაც ზეპირი სახით არსებობდა¹.

¹ ქეგლ-ის რეატომული, თბ., 1950—1964, ტ. VI; ЛЭ, ტ. IX, 1935; EA, 1945; Webster, III, 1976.

² გრიგოლ კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 3—8.

³ ამის შესახებ იხ. ნ. კანდელაკი, ქართული მკვერმეტყველება, თბ., 1958.

⁴ შდრ.: რუსთველისეული გამოთქმები: „თქმა ლექსებისა ტკბილისა“; „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“; „შაირობა... საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდად მარგი!“; „მოშაირე არა ჰქეია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“... ამეამად კი მოსასმენად განკუთვნილი ყველა ჟანრის ნიმუში (ლექსი, სრტევა, მოხსენება, ადვოკატის გამოსვლა და მისთ.), თუ იმპროვიზაციულ გამოსვლებს არ ვიგულისხმებთ, ჯერ იწე-

(რიტორიკული კითხვა რომ ზეპირი მეტყველების სპეციფიკური ნიშანია, ამას შედეგობრივად ისიც მოწმობს, რომ იგი, როგორც, უწინარეს ყოვლისა, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ელემენტი, ენაში ტრადიციულ სიტყვის მასალადაა შესული. წარმომობით რიტორიკული კითხვებია ამჟამად ჩართულებად ცნობილი გამოთქმები ან სხვა სახის ფორმულები, როგორცაა, მაგალითად: რა თქმა უნდა (შდრ. არაკითხვითი ვარიანტი: თქმა არ უნდა), რასაკვირველია, რა სათქმელია, რა საკადრისია, რა ბრძანებაა, რა მოგახსენოთ, რა სახსენებელია, რა გაეწყობა, როგორ გეკადრებათ, რას ბრძანებთ, რას ამბობ, მეტი / სხვა რა გზა მაქვს (შდრ.: სხვა გზა არა მაქვს), რა ვიცი (შდრ.: არ ვიცი), რა ვქნა, რა თავში ვიხლი, რა მეშველება, რა / რის შუაა || რა შუაშია, რა წყალში ჩავეარდე, რა საჭიროა (შდრ.: არ არის საჭირო), რის მაქნისია (შდრ.: არაფრის მაქნისია), (შენ) რა კუჭი გეწვის, რა შენი საქმეა (შდრ.: შენი საქმე არ არის), აბა რა, მერე რა და სხვა მრავალი. ამიტომ სპონტანურ მეტყველებაში ამგვარი „რიტორიკული კითხვები“ დაუბრკოლებლად გამოიყენება სიტყვის მასალად.)

* * *

მიუხედავად რიტორიკული კითხვის ასეთ გავრცელებულობისა და პოპულარობისა, მისი აგებულება და სტრუქტურული სხვაობა ჩვეულებრივ კითხვათაგან საგანგებოდ და სათანადოდ შესწავლილი არ არის.

(ცნობილია კონტექსტის ყოვლისშემძლე როლი და ძალა. ამიტომ ყოველი ჩვეულებრივი, ინტერესით აღძრული კითხვა კონტექს-

რება, მათი შესრულება დეკლამაციის სახით კი მხოლოდ შემდგომ ეტაპზე ივარჯიშდება. ასე რომ, პოეტ ანდრეი ბელის გამომწვევ ფრაზას — ლექსის მკითხველს (ე. ი. თვალთ წამკითხველს. შ. ა.) შე ვერ დავეგზავრებო («не по пути мне» — ხელი არ შეუშლია მისი თანამედროვე და მომდევნო პოეტებისათვის, გაეგრძელებნათ ლექსის წერის უკვე განმტკიცებული ტრადიცია. ლექსის თქმა კი თავისი ბუნებრივი სახით აშეამდ მხოლოდ ფოლკლორის მონოპოლიადლა რჩება. ბუნებრივით, საზს ვუსეამთ, რათა მსჯელობიდან ამ ხელოვნური რეპროდუქციის — დეკლამაციის ფაქტი გამოერიცხოთ.

შეზღბევიით არც ის უნდა იყოს, რომ რუსული სიტყვები вопрос და ответ ქართულ კითხვა და იმავე ფუძეს — „კითხვას“ იყენებს, რომლისთვისაც ამოსავალს შეეიჭოს. ინტერესია უნდა იყოს (წაკითხვაც თავდაპირველად ალბათ ხმამაღლა კითხვის — და არა თვალთ კითხვას — გულისხმობდა).

ტიში შეიძლება რიტორიკულად იქცეს. ასეთ შემთხვევებს, ბუნებრივია, ჩვენ არ განვიხილავთ. წინამდებარე სტატიის მიზანია რიტორიკული კითხვის სპეციფიკური სტრუქტურული ნიშნების წარმოჩენა. იმისათვის, რომ რიტორიკული კითხვის ეს ნიშნები კარგად გამოიკვეთოს, უნდა გაიმიჯნოს ორი შემთხვევა მისი გამოყენებისა:

1. რიტორიკული კითხვის გამოყენება მონოლოგურ მეტყველებაში;

2. რიტორიკული კითხვის გამოყენება დიალოგურ მეტყველებაში.

პირველი შემთხვევის გამო უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ აქ მოჩვენებით დიალოგთან, ასე ვთქვათ, მონოლოგის დიალოგიზებასთან გვაქვს საქმე. ამ დროს კითხვის რიტორიკულობას განსაზღვრავს ადრესატის საერთოდ არარსებობა, სიშორე ანდა მირაჟული არსებობა, როგორც დიალოგის რეალიზების ხელისშემშლელი ფაქტორები⁵.

საერთო სტრუქტურის მიხედვით, რიტორიკული კითხვა შეიძლება დაემთხვეს როგორც ე. წ. „ზოგად“, ანუ „ალტერნატიულ“ კითხვას (რომელსაც ჰო-ს ან არა-ს უპასუხებენ), ისე „სპეციალურს“, ანუ კითხვითი სიტყვა-წევრის შემცველ კითხვას.

(რიტორიკული კითხვის სტრუქტურული ელემენტების სპეციფიკას განსაზღვრავს, უწინარეს ყოვლისა, რიტორიკული კითხვის მიზანდასახულობა — ექსპრესიულად გამოსატოს გაკვირვება, აღტაცება, სინანული და სხვა, ე. ი. ემოციები და არა ინტერესი, ცნობისწადილი.) რიტორიკული კითხვის წარმომთქმელს არ აინტერესებს, რაიმე შეიტყოს მოქმედების შესრულება-შეუსრულებლობის შესახებ, ან დაადგინოს მოქმედების ჩამდენის ვინაობა თუ მოქმედების დრო, ადგილი, ვითარება, მიზეზი ან მიზანი. სათქმელისათვის რიტორიკული ხასიათის მისანიჭებლად გამოყენებულია როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური საშუალებები.

1. როგორც უკვე აღინიშნა, კითხვის რიტორიკულობას, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს ადრესატის, მოპასუხის არარსებობა, რაც ორი გზითაა განხორციელებული:

⁵ შტრა.: ამერიკული ენციკლოპედიის განსაზღვრა ამგვარი კითხვებისა: ესაა „უბრალოდ მიმართვის ფორმა, რომელიც გამოიყენება მეტაფორასა და პერსონიფიკაციასთან ერთად და გულისხმობს მიმართვას იმისადმი, ვინც არ არსებობს, ან შეკდრისადმი, ვითარცა ცოცხლისადმი“ (EA, 1945).

ა) კითხვა ეხება პირველ პირს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი დიალოგი, რომლისთვისაც აუცილებელი და საკმაო პირობაა მინიმუმ ორი პირის არსებობა, განუხორციელებელია:

ვიტარ-მე შეეგაგინნე იგი? (მტეთის ბიბლია). რაა-სა-მე ვიშეე მე ძერ-ძერადისა ამისთვის შემოსუეისა? (ციმენი, I). რაა-ლა მაკლს მე? (მ 19, 20). ვიტარმე გაქებდე შენ, ლუაწლის-მძლეო წმიდაო მოწამეო? (ქ. მქ.). მის უკეთესი მოყვარე სად ეპოეო, სადა ეახელო? (ებ). უკეთუ დაედუმდე, ეილა უნდა ეაქო? (ქ. მქ.). რაც თქვენში მგლებმან დაქმოს, ჩვენ ვიტარ გიზლოთ ღორები? (დ. გურ.). ეინა მიოხებს საზარელსა ამას საქმესა, სადა ეეძიო შემწე წყალობისა ჩემისა? (საბა). ჟერ სამაგისო რა გეეშართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება! (ნ. ბარათ.). მე ეგ ყოველივ არ ეიცი განა? მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის რა მოვაგეარო უმჯობეს ამის? (ნ. ბარათ.). ეის რა წყალქალა გეისტუერებს, სად რა-რა დაეილეევითა? (ეჟა). რამ გამახაროს, რის თქვენ ტრიხართ, ჩემო კარებო? (ა. კალანდ.). გაქო, გაქო, როგორ გაქო? (ხალხ.). რად ვარ აწ სოფლად დაშთენილი, უსაგნოდ, მარტო! (ნ. ბარათ.).

ბ) კითხვის ადრესატია ირეალური, წარმოსახვითი პირი: ღმერთი, სული, ბუნების ძალნი, სამშობლო... აბსტრაქტული ცნებები, გარდაცვლილი ან შორს მყოფი მიჯნური... ყველა შემთხვევაში დიალოგი მოკლებულია რეალურ ფუნქციას და მოჩვენებითს, ილუზორულ ხასიათს იძენს. ამიტომაც, რომ რიტორიკულ კითხვას თან ახლავს კიდევ ამ ცნებათა გამომხატველი სიტყვები: ღმერთი, ღვთისმშობელი, ეშმაკი, სული (ჩვეულებრივ — ბოროტი, მაცდური, წყეული...), სოფელი/წუთისოფელი, საწუთრო (ცრუ, ამაო)... მამული, სამშობლო... ბედი (შავი), სიკვდილი, დრო, ბუნება და მისთ.:

სადა, სიკუდილო, საწერტელი შენი? (ათონის ივერიის მონასტრის ქართ. კოლექციის ხელნაწერ). ვა, სოფელო, რაშიგან ხარ... (ებ). მე რა ეიცი, ღვთის დედაე? (ქ. მქ.). რად მშვა დედამან, შეემან ბედამან, ეაი, საწუთრო, ცრუო სოფელო (დ. გურ.). სულო ბოროტო, ეინ მოვიხმო ჩემად წინამძღვრად? (ნ. ბარათ.). ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, სულ ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გავვიძება?! (ილია). დედაე ბუნებაე! იმ დროს მხოლოდ მე რისთვის გამირბის ნეტარი ძილი? (გ. ტაბ.). და რა ვუყოთ, ბედო ჩემო, თუ ყოველთვის, თუ ყოველთვის სამშობლოსთვის შენ უცხო ხარ და უცხოა იგი შენთვის? (გ. ტაბ.).

გარდა საკუთრივ ამ ლექსემებისა, რიტორიკულობას აძლიერებს და განამტკიცებს მიმართვის ფორმით წარმოდგენილი უარყოფითი ეპითეტების სიმრავლე, რაც გამოხატავს მთქმელის ნეგატიურ დამოკიდებულებას ადრესატისადმი ან სათქმელისადმი. ეს კი კითხვის ხასიათს აკლებს რიტორიკულ კითხვას:

რად დააქვრივე, უწყალოე, რად მოუკალ კელმწიფე ქმარი, უწყალოე?! (ქ. მკ.). რა დროს ძილია, ბედმწარეე, შე უღაეღათოს გვარისა?! (ეჟა). საღ მიხვალ, საღა, წყეულო, საითე მიეჩქარებე? (ეჟა). რას ამბობ, შტერო, რას ამბობ? რად არ მოღიხარ ცნებასა? (ეჟა).

მაგრამ რიტორიკულ კითხვაში არ არის აუცილებელი, ნეგატიური ეპითეტები მხოლოდ ადრესატის მსაზღვრელი იყოს. მათ შეიძლება განსაზღვრონ სუბიექტ-ობიექტი. მთავარია მოსაუბრის უარყოფითი დამოკიდებულება სათქმელისადმი, უკმაყოფილებისა და სამდურავის (ჩვეულებრივ, სოფლის სამდურავის) გამომხატვა:

რას ნიშნავს ამისთანა უბედური საღამო?! (ქ. მკ.). ვინა მოხებეს საზარელსა ამას საქმესა? (საბა). რა უგულისკობის შაესა და ბნელ ღრუბელს დაუბნელებია ჩვენი გონება! (ქ. მკ.). რაიგ ვაგრძელდა ეს ოხერი გზაო (ილია). რას დაგიკრებია გულზედ ეს დასაშიწი ხელები! (ილია). მე შენ იარაღნი რად მიწიდან, სიძრუდის გზაზე ნავეალი? (ეჟა). ვისა ჰმასპინძლობს ჳკვათხელი, ცნობაზე რად არ არია?! (ეჟა). ეს რა ეშმაქმა ააბორგა ამაღამ ქარი! (ლ. ასათ.). მითხარო: როგორ, როგორ ვანდო საიდუმლო აშარსა და მსტოვარს? (ა. კალანდ.).

ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს უარყოფითი ემოციების აღმძვრელი სემანტიკის მქონე სიტყვები, რომლებიც მთელს კონტექსტს უიმედობის, პესიმისტური გრძნობებით მსჭვალავს:

ოჰ, ვინ დამწყველა! ყველანი ეკენესით: ნეტარ რა ექნათ და რა გვეშველებათ? (ქ. მკ.). რატომ აგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შეგწყალები? (დ. გურ.). რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება? (ნ. ბარათ.). რად დამიქვენ მე ყვაელი... (ნ. ბარათ.). მოშორებთა და მოყვრისა გაყრა კაცისა შეკვლეღია, ვინ გაიგებს მომაკვდავის განუსაზღვრელ ბოღმა-ნაღველს? (გ. ტაბ.). გულამოსკენილი ეტიროდი: „საღა ხარ, ჩემო სულიკო?“ (აკაი). მანამდე მასთან მიწა ვეტირო, ოჰ, საღ... საღა მისი საფლაღი! (გ. ტაბ.).

მოსაუბრის უარყოფით ემოციებსა და ნეგატიურ დამოკიდებულებას სათქმელისადმი ხაზს უსვამს, გარდა წყევლის ფორმულებისა, უარყოფითი ემოციების გამომხატველი შორისდებულები: ვაი, ოჰ, გლახ, ფუ და მისთ.:

ფუ, შენ ცრუო საწუთროეო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი? (დ. გურ.). ოჰ, ვინ დამწყველა, გარეწარიოთ ტყის სიღრმეში რომ დაეხეტებოი (გ. ტაბ.). ვაი, ვაი, ვაი, რა ესტქვა? (ქ. მკ.). ვაჰმე, რა უგზოდ დაედივარ, ვაჰმე, როგორა ბნეღაოი (ეჟა). ვაი, რა ცოდვა დათესილ არს ჩვენში (ქ. მკ.). გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გულსა გული ეღია? (ეტ). რად შემეყარ მე, ჳღლახ, გული, უმანკო და უბრუნელი? (ნ. ბარათ.). აჰ, რად არ ძალუძს

განცობლება წმიდას აჩრდილსა (დ. გურ.). რა სიწყნარეა, ოჰ, ღმერთო ჩემო (გ. ტაბ.).

რიტორიკულობის ხარისხი იზრდება, როცა კითხვით სიტყვას დამატებითობის აღმნიშვნელი სიტყვები ან ნაწილაკები ერთვის: სხვა, მეორე, მეტი, კიდევ... მაშ, აბა, -ლა... ასევე შედარების აღმნიშვნელი სიტყვები: ამისთანა, ამაზე უკეთესი (უმჯობესი, უარესი...):

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? (გრ. ორბ.). მე სხვა სიმღერე რად მინდა? (ნ. ბარათ.). მაშლის საქლომი თუ იცის, მეტი რა უნდა მელასა? (ვჟა). და სიკაბუკეს რა უნდა მეტი, რა უნდა მეტი გაწვართულ თითებს (ს. ჩიქ.). იმის ფასი კიდევ საუწყე მის უკეთესი მოყვარე სად ვპოვო, სადა ვახელო? (დ. გურ.). ამრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არი? (ლ. ასათ.). ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიყოლოთ ჩვენ? (ქ. შქ.). ...რა მოვაგვარო უმჭობეს ამის? (ნ. ბარათ.). აბა, სად ჭოჭობეთამდე ივლისი (ო. იოს.). აბა, რა კაცის საკადრისია ეგ სახელი? (ილია). ჩენია, აბა ეისია ეს ბუმბერაზი მთები? (ა. კალანდ.). ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი მამულს ასული ახლა თქვენგვარი? (ნ. ბარათ.). რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია? (ეტ). რაა-ღა აზრი აქვს კრებას? (ქ. შქ.).

კითხვას რიტორიკულობას სძენს ან უძლიერებს ეჭვის გამომხატველი ნაწილაკები: განა, ნუთუ, ვითომ, ხომ და მისთ.::

განა თუ ღრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი? (ნ. ბარათ.). განა ყველა ლოთი არი? განა ყველა სიყვარულით დაინიშნა? (ლ. ასათ.). ნუთუ მამას არღა ჰქონდეს გულისტკივილი, ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი? (ნ. ბარათ.). ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოეედ, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ეწერო? ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას? (ლ. ასათ.). რის ქართველობა, რა ქართველობა, მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა? (ნ. ბარათ.). ნეტა რა ქარმან დააზრო მისის სიციხლის ყვაილი? (ნ. ბარათ.). ჟერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვებში, ჟერ ხომ საროს ფოთლები არ გასცენია (ლ. ასათ.). გული ძალუმად აძგერდეს, გული... სალი კლდე როღია? (ა. კალანდ.).

ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე კომპონენტი იყრის თავს. რაც რიტორიკულობის ხარისხს კიდევ უფრო ზრდის.

* * *

ახლა განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა ადრესატის არარსებობა სრულიადაც არ არის აუცილებელი რიტორიკული კითხვის მისაღებად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვის რიტორიკულობას დიდად განაპირობებს პირველი პირის ფორმები — როცა I პირი რეალურთ-სუბიექტია (აგენსია) — და მასთან მიმართების გამომხატველი ელემენტები: მაასლოებელი ორიენტაციის მო- ზმნისწინი (ცალ-კე და სხვა ზმნისწინებთან ერთად), შესაბამისი მითითებით, ე. წ. „დეიქტური“ ნაწილაკების შემცველი ნაცვალსახელები და ზმნისარ-თები (ეს, ასეთი, ამისთანა... აქ, აქეთ, აქედან... ასე, ამიტომ...), აგრეთვე, აწმყოს ფორმები ზმნისა. რიგ შემთხვევაში ცალკეული ნიშნები საკმარისია, სხვა შემთხვევაში კი ამ კომპონენტების თანა-არსებობა-ერთობლიობა შეაპირობებს კითხვისათვის რიტორიკული ხასიათის მინიჭებას.

რა მნიშვნელობა აქვს პირველ პირს რიტორიკული კითხვის მისაღებად?

ძირითადი სემანტიკური მექანიზმი ისაა, რომ პირველ პირს არავითარი ინფორმაცია არ ესაჭიროება საკუთარი თავის შესახებ, რამდენადაც მისი ამბავი მასზე უკეთ არავინ შეიძლება იცოდეს. ამ დროს კითხვა ორნამენტულ ხასიათს იძენს და ექსპრესიული მეტყველების სიბრტყისაკენ ინაცვლებს⁶.

შევუდაროთ ერთმანეთს ასეთი წყვილი: „სად მიდის ეს ბიჭი?“ და: „სად მოდის ეს ბიჭი?“.

პირველი კითხვა შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, ნეიტრალური კითხვაც და რიტორიკულიც, მეორე კი მხოლოდ რიტორი-კულია და არა ნეიტრალური, ვინაიდან აწმყოს ფორმით გამო-ხატული მოქმედება, რომელსაც სუბიექტი ასრულებს საუბრის პროცესში და რომელიც მოსაუბრისაკენაა მიმართული, თვალსა-ჩინოა, მოსაუბრე მას ისედაც კარგად ხედავს (ესმის, გრძნობს...)- ამდენად, კითხვა „სად მოდის (მოდისხარ)?“ შემკითხველს არაფერს ეუბნება, ვერაფერს უზუსტებს. მაშასადამე, კითხვა დაცლილია თავისი ფუნქციისაგან და ახალ შინაარსს იძენს. ფაქტობრივი ში-ნაარსი ფრაზისა იქნება: ცუდია (ან: არ მინდა), რომ მოდის (მო-ვიდეს) || ნუ მოდის!

მაასლოებელი ორიენტაციის მიმთითებელი დეიქტური ნაწილაკების შემცველი სიტყვები კითხვითი სიტყვების საპასუხო:

⁶ ამ მასალაში, ცხადია, ვერ ჩაერთავთ ე. წ. სასწავლო-სავარჯიშო კითხვებს: მაგ., მასწავლებლის კითხვას — „ახლა მე რას ვშვრებ?“ — მოსწავლე უპასუხებს: „თქვენ ახლა ლაპარაკობთ (წერთ, კითხულობთ...)“. ამგვარი კითხვები ძალღუტანე-ბულ, ბუნებრივ საუბარში არ გვხვდება.

პოზიტიური პარადიგმებია და ისინი სათანადო კითხვით სიტყვებს ბრუნვაშიც ეთანხმებიან: „ეს ვინ მოსულა?“ „ამას რას ვხედავ?“ „ეგ რა თქვი?“ და ა. შ.

მაგრამ, გარდა აქეთა ორიენტაციის ჩვენებითი ფუნქციის მქონე ნაცვალსახელ-ზმნისართებისა, კითხვით სიტყვებს სხვა შესაბამისი — პოზიტიური, ე. ი. აღმნიშვნელი სიტყვებიც ახლავს (შეიძლება ახლდეს), რაც კიდევ უფრო ზრდის რიტორიკულობის ხარისხს.

საგანგებოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პირველი პირი სუბიექტია და არა ობიექტი. შდრ.: „რას მიპირებ?“ და: „რას ვაპირებ?“ პირველი კითხვა შეიძლება იყოს ნამდვილი, ცნობისწადილისმიერი კითხვაც და რიტორიკულიც, მაშინ როცა მეორე კითხვა, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკულია. შდრ. აგრეთვე: „ექიმო, მითხარით, რა მჭირს?“ (კითხვა ინფორმაციის მიღებას ითხოვს) და: „რა გვჭირს ამისთანა, რომ ერთმანეთს ვერჩით?“ (კითხვა სათქმელისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს).

ნიშანდობლივია კითხვის რიტორიკული ხასიათი, როცა კითხვის ნეიტრალობას არღვევს ზმნის სემანტიკა. შდრ. ჩვეულებრივი კითხვა: „სად მიდის?“ და: „სად მიძვრება?“ პირველი კითხვა რიტორიკული მხოლოდ შეიძლება იყოს, მაშინ, როცა „სად მიძვრება/მოდვრება?“ მხოლოდ რიტორიკული კითხვაა. არანეიტრალური (სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით) ზმნური სემანტიკა მოსაუბრისათვის არასასურველ მოქმედებას გულისხმობს, მაშასადამე, გარკვეულ შეფასებასაც შეიცავს.

კითხვითი სიტყვების შემცველ რიტორიკულ კითხვებს შორის ყველაზე გავრცელებულ და მზა ფორმულებად ქცეულ რიტორიკულ კითხვებს ქმნის რა ნაცვალსახელს დართული მსაზღვრელი (ზედსართავი ან მიმღეობა, განსაკუთრებით — მომავალი დროისა) ან ვითარების გარემოება: რიტორიკულობის მექანიზმს ქმნის პოზიტიური მსაზღვრელისათვის უფუნქციო კითხვითი სიტყვის ახალ მსაზღვრელად დართვა. ფაქტობრივ ვიღებთ ორმსაზღვრელიან უსაზღვრულო გამოთქმებს, რომლებშიც კითხვითი ნაცვალსახელი (ან ზმნისართი) პოზიტიურ (ე. ი. ინფორმაციის შემცველ) მსაზღვრელს განსაზღვრავს და, ამრიგად, მას საზღვრულად აქცევს, თუმცა წარმოშობით ორივე მსაზღვრელია. ასეა ნაწარმოები ისეთი რიტორიკული ფრაზები, როგორცაა: რა კარგია, რა ლამაზია,

რა სამწუხაროა, რა დასანანიცა, რა საშიშია, რა საშინელია (საშინელებათა)... ანდა: რა კარგად აკეთებს, რა მალე მოვიდა, რა მშვენიერად უკრავს და მისთ. მაგალითად:

რა კარგი ხარ, რა კარგი, შუშპარა და მჩქეფარე! (ი. გრიშ.).
რა საბრალთა გავსილი მთვარე (ვტ). სმა-კამა დიდად შესარგი, დება რა
საეარგულია? (ვტ). კარგი რამ მპირდეს, გკვირდეს, ავი რა საკვირ-
ველია (ვტ). მოლექსესაერთ რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიაობა
(ილია). აბა, სად ჟოჯოხეთამდე ივლისი (ო. იოს.). ...ლხინი რა და-
სათმობია! (ვტ).

ზოგჯერ კითხვითი სიტყვა მთელ კომპლექსს „განსაზღვრავს“:

„აბა რა კაცის საკადრისია. ეგ სახელი?“ (ილია). წიგნი რა
ეპეკაცის ხელობაა? (ილია).

კითხვის რიტორიკულ და, მაშასადამე, ექსპრესიულ ძალას
ზრდის კითხვების გამეორება — ან მხოლოდ კითხვითი სიტყვისა,
ანდა მთელი სინტაგმისა:

სად მიხვალ, სადა, წყეულო, სათქე მიეჩქარები? (ეპე). რას ამ-
ბობ, შტერო, რას ამბობ? რად არ მოდიხარ ცნებასა? (ეპე). ოპ, ვის,
ვის ძალუძს განიცადოს ტანჯვა ესდენი? (გ. ტაბ.). მთები! როგორ შეენის
მთაზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი, როგორ შეენის ველზე ნაში გამკვირ-
ვალე, როგორც ბროლი! (გ. ტაბ.). ამაებს, ამ ენებაებს ჩვენთვის მოწყალების
კარი რად დაუქშავეს, რად დაუქშავეს? (ქ. მკ.).

კიდევ უფრო სასიერია ერთსა და იმავე კითხვით სიტყვასთან
ზმნებისა და მათთან დაკავშირებული სიტყვების ცვალება:

მე ვინ მილოცავეს, ან ვინ მიწირავეს, ან ვინ დამმარ-
ხავეს, ვინ დამიტირავეს?! (დ. გურ.). ვინ დასთვალოს ზღვაში
ქეიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად წინაპარ-
თა საფლავები? (აკაკი), მაგრამ აქ თვის ვინ გასწირავეს? ან მენავეს
ვინ უშველის? ვინ გაიგებს მომკვლეის განუსაზღვრელ ბოღმა-
ნაღველს? (გ. ტაბ.). რაა გიყავ შენ, ანუ რაა შეგაწუხებ შენ,
ანუ რაა გაურკვე შენ? (ბიბლია). როგორ შემთხოვდი: მიშვე-
ლე რამე! როგორ იწვოდდი და როგორ წუხდი! (ს. ჩიქ.).

მაგრამ ეფექტი შეუდარებლად დიდია, როცა კითხვები მიჯრით
მოსდევს ერთმანეთს და კითხვითი სიტყვები გარემომცველი კონ-
ტექსტებითურთ იცვლება:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე
გპირსა? (ვტ). რას მედავები! რა გინდა, რა მმართებს
შენი ელია; რად ცრულ საწუთროდ მახსენებ, რად დაგ-

ბრძობია თვლია? (დ. გურ.). რა გზა შეგეხვდა, რა გრიგალი, რას ეგალობდით, რა ვიყავით! (ს. ჩიქ.). ვინ არ ყოფილა მიჭნური, ვის არ სახილნი სდებიან? მოხარ, უსახო რა ქმნა, სულნი რად ამოგხდებიან? (ვტ), რომელი სცნობს შენს სახეს? ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს? ძახლს ვინ დაიჭერებს? (გ. ტაბ.).

ამგვარი „ტრიალი“ ერთ ადგილზე, კითხვების ზედიზედ, მიჯრით მიყრა — წინამავალ კითხვებზე პასუხის დალოდების გარეშე — ახშობს ინტერესს და მას სტილისტიკურ მიზანდასახულობას უცვლის. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, მოსაუბრე თვითონ იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე და ეს პასუხი მუდამ ერთადერთია, ამასთან — უარყოფითი, უფრო ზუსტად — საპირისპირო. თუ კითხვა წართქმითია, პასუხი უარყოფითი ნაცვალსახელ-შმინისართებით გამოხატულ სემანტიკას ვარაუდობს (მაგ.: „ვინ მოსთვლის?“ ნიშნავს: „ვერაინ მოსთვლის“). თუკი კითხვაში უარყოფითი ნაწილაკი მონაწილეობს, პასუხი ყოვლისმომცველ სემანტიკას გულისხმობს (მაგ.: „ვინ არ იცის?“ ნიშნავს: „ყველა იცის“; „რას არ ნახავდით აქ“ ნიშნავს: „ყველა იცის“; „სად არ ყოფილა“ ნიშნავს: „ყველგან ყოფილა“ და ა. შ.)

მაშასადამე, გამოდის, რომ რიტორიკული კითხვა პასუხს ან არ საჭიროებს, ანდა საჭიროებს, ოღონდ ეს პასუხი, უკეთ — რეაქცია — ერთადერთ პასუხსა და რეაქციას (დამოკიდებულებას) გულისხმობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა კითხვები მიყოლებით არის დასმული. მაგ., გ. ტაბიძის ცნობილ სტრიქონებს — „ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?“ — მოსდევს ნეგატიური პასუხის შემცველი დასკვნა: „დღეს ის წიგნი არვის ასსოვს, დღეს ის წიგნი არვინ იცის“. ანალოგიურია რიტორიკული კითხვისა და დასკვნის თანამიმდევრობის თვალსაზრისით ეს მაგალითებიც.

სად წავიდა, ველარ ენახე ჩემი სიყვარული (დ. გურ.). აბა რომელი ქვეყანა გინახავსთ და გაგიგონიათ სიმართლისაგანა და მალისაგან დაცემული და დამდაბლებული? არც ერთი და არასადა ქვემარტად (ქ. მქ.). რას მომცემს ისეთს ჩემი საშობლო და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?... ეწუხვარ, ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არავინ იძლევა პასუხს (გ. ტაბ.). გაგიგონიათ, კალმახი შედგეს? ვერ მოისვენებს, თუ არ გატურა (ლ. ასათ.). მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდი მშვენიერი, ვით გააღიშებს ჩემს შევენებას ხშული ჰაერი? არღა შეეღება

ჯარე წყარო, ცივი, კამკამა, არღა შეცემის დილით გულსა სიციხის ნაში (ნ. ბარათ.). რა არის კაცთა ქება-დიდება? იგი ფუქი და წარმავალი (გ. ტაბ.).

არცთუ იშვიათად რიტორიკული კითხვისა და მტკიცების ამგვარ თანამიმდევრობას ენაცვლება კითხვისა და ბრძანების თანამიმდევრობა:

ქმა მესმა ძილსა შინაო: „რას ხერინავ, რასა ფშინაო! აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ შინაო?.. ადრე, იარე, წავიდეთ, მე წაგიღებე წინაო“ (დ. გურ.). ბედიო ბნედა, სიყვდილი რა მიჭნურობა გგონია? სჯობს საყვარულსა უჩვენენე საქმენი საგმირონია (ვტ). რად გძინავს? აღსდევ, უფალო, აწ განიღვიძეო (დ. გურ.).

შეიძლება ბრძანებისა და კითხვის პირუკუ თანამიმდევრობა შეგვეხედეს:

ეშმაკს ნუ მისდევ! ეგ სიტყვა როგორ ამოგცდა ბაგითა?! (ვაჟა). მოკვდი, სიკვდილი გირჩენავ, რად ხარ სიცრუის მთქმელადა! (ვაჟა). დახედე ვარსკვლავს, რა სპეტაკია და რა კრიალა! (ს. ჩიქ).

რიტორიკული კითხვისა და მტკიცების ანდა ბრძანების მონაცვლეობა, მათი რიგის მიუხედავად, რიტმიკულ-ინტონაციურ მრავალფეროვნებას ქმნის. რიტორიკულ კითხვებში აქტიურად მონაწილეობენ ერთმანეთთან სემანტიკურად შეუთავსებელი ცნებების გაზომხატველი ერთეულები — სიტყვები, სინტაგმები და მთელი წინადადებები. ამის მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც ანტითეზის შექმნას ემსახურებიან:

ა) ანტითეზას ქმნიან ანტონიმები ან ანტონიმურად დაკავშირებული სხვადასხვა მეტყველების ნაწილები:

ხელი ვითა იქმს ბრძნობასა (ვტ). ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა! (იქვე). პატრონისა ეერ-მკვრეტელმან შმაშან რამცა გაიხარნა! (იქვე). რაღა იგი სინათლე, რასცა ახლავს ბნელია?! (ვტ). რკინა რბილი და ფოლადი, თქვი, განასწორა წინაო? (დ. გურ.).

ბ) ანტითეზას ქმნიან რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებშიც ჭარბობს პირობითი დამოკიდებული წინადადებები:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი? თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიშვილი? თუ ხარ სიციხელე, რა არს სიკვდილი? (დ. გურ.). საცა არ მიხნავ, ძმობილო, იქ ემკო — ეს საღაურია? (ვაჟა). სუმაწვილეს რად მილხენდი, თუ მოკლავდი

ასე უდროდ? (ნ. ბარათ.). არ იხმარებ, რა ხელსა მხდის საუნჯესა დაფარულსა? (ვტ). ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყვიდოს (ვტ). თუ ვერ მცნობდი, რად მტყუოდი: „მე შენი ვარ საუკუნოდ?“ (იქვე). გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ. თუ გულსა გული ელია? (ვტ). მაგრა თუ კირსა არ დასთობ, ლხინი რა დასათობია? (ვტ). სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უმპაგო, ცნობილი? (ვტ).

• როგორც ვხედავთ, ანტითეზის საილუსტრაციოდ უმეტესად აფორისტული და სენტენციური წინადადებებია გამოყენებული, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს რიტორიკული კითხვის მკაფიო სტილისტიკურ-ექსპრესიულ დანიშნულებას. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ანტითეზა არ კმაყოფილდება მცირე ენობრივ ერთეულებში რეალიზაციით და არცთუ იშვიათად ვრცელ კონტექსტებს მოითხოვს. ამდენად, რიტორიკული კითხვების ანალიზისას მხედველობაში უნდა გვექონდეს როგორც წინამავეალი კონტექსტი წინამძღვრის სახით, ისე მომდევნო — ლოგიკური დანასკვის სახით. აქ ერთმანეთს ეჯაჭვება ლოგიკური და ექსპრესიული პლანები, რომელთა სინთეზური განხილვაც აუცილებელ და სასურველ ფონად მიგვაჩნია რიტორიკული კითხვის სრულყოფილად შესწავლა-დახასიათებისათვის. •

* * *

• დასასრულ, ორიოდ სიტყვით უნდა შევჩერდეთ რიტორიკული კითხვის გამაფორმებელ პუნქტუაციაზე. თუმცა ილუსტრაციებში სასვენი ნიშნების ერთგვარი (თუმცა არა უსასრულო) სიჭრელე შეიმჩნევა, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, კითხვით-ძახილის ნიშანი და (იშვიათად) წერტილიც, ვფიქრობთ, რიტორიკული კითხვის სემანტიკურ-სტილისტიკურ ბუნებას შეეფერება ძახილის ნიშანი — ცალკე ან კითხვის ნიშანთან ერთად. სხვა სასვენი ნიშნების (მათ შორის ოდენ კითხვის ნიშნის) ხმარება გაუმართლებელია. •

პოლისემიის, ომონიმიისა და პარონიმიის
ფუნქციები მხატვრულ ტექსტში

(ტარიელ ჭანტურიას პოეზიის მიხედვით)

მხატვრული ლიტერატურა, პოეზია ორ დონეზე ფუნქციონირებს: როგორც თვით სინამდვილის სახე და როგორც სინამდვილის შესახებ შემოქმედის გამონათქვამი. ეს უკანასკნელი სინამდვილის ობიექტისადმი ცალსახა და სემანტიკურად გამჭვირვალე მიმართებას როდი გამოხატავს. პოეტური ტექსტი სინამდვილის თავისებური ასახვაა, შეფასებაა, ხოლო მხატვრული სემანტიკის ევოლუცია სამყაროს ხედვისა და ზეინდივიდუალურ სემანტიკურ სისტემათა გადაკვეთაზე ძვეს. აქ სემანტიკა იდეურ-ღირებულებითს ორიენტაციას ნიშნავს, რომელიც მხატვრულ აზრს ქმნის. ცნობიერებასა და სინამდვილეს შორის ჩნდება ე. წ. „მესამე რეალობა“, რომელიც გარესამყაროს შინაგან კანონებში შეღწევის სპეციფიკური ინსტრუმენტია და ამავე დროს ხედვისა და აზროვნების ხერხიც არის, რაც გარკვეულად ვლინდება სხვადასხვა ლექსიკურ ჯგუფებსა და სემანტიკურ კლასებში, რომლებსაც იყენებს ესა თუ ის პოეტი.

ტარიელ ჭანტურიას პოეზიაში პოლისემიურ სიტყვათა, ანტონიმთა, ომონიმთა და, აგრეთვე, თანაბგერად სიტყვათა ერთ კონტექსტში გამოყენების ტენდენცია შეიმჩნევა, რაც ენათმეცნიერულ ინტერესს იწვევს, რადგან უშუალოდ უკავშირდება მნიშვნელობისა და ნიშნადობის საკითხს.

ლექსიკური მნიშვნელობის გაგება, როგორც ნიშნის (აღმნიშვნელის) მიმართებისა ცნებასთან (აღსანიშნთან), ფერდინანდ დე სოსიურის მოძღვრებაში იღებს სათავეს. სტრუქტურალისტურ ენათმეცნიერებაში, რომელიც სოსიურის ნიშნადობის კონცეფციის გავლენას განიცდის, ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმადაც მნიშვნელობა განიხილება, როგორც ნიშნის მიმართება სხვა ნიშნებთან. მნიშვნელობის ამ სახეს სტრუქტურულს

(ანუ დიფერენციულს) უწოდებენ. მაგრამ სტრუქტურული მნიშვნელობის სხვადასხვა კონცეფციებია შესაძლებელი, ვინაიდან ენის ერთეულები პარადიგმატულსა და სინტაგმატურ მიმართებებში შედიან როგორც თავიანთი აღმნიშვნელებით (ფორმებით), ასევე თავიანთი აღსანიშნებით (მნიშვნელობებით). მაგალითად, დესკრიფციულ ლინგვისტიკაში, უწინარეს ყოვლისა, ვითარდებოდა მნიშვნელობის ისეთი გაგება, რომელიც გულისხმობდა ნიშნის აღმნიშვნელთა შორის მიმართებას. ამასთანავე, დესკრიფცივისტები უმეტესად სწავლობდნენ ნიშანთა (ლინგვისტურ ფორმათა) შორის სინტაგმატურ მიმართებებს, ე. ი. სინტაქსურ მნიშვნელობებს (ვალენტობებს), ჩრდილში რჩებოდათ რა მათი პარადიგმატული მიმართებანი, ე. ი. დიფერენციული ნიშნები (ნიშნადობები). ნიშნადობანი ყურადღების ცენტრში გლოსემატიკამ მოაქცია, რომელშიც იკვლევდნენ როგორც „ვალენტობებს“, ისე „ნიშნადობებსაც“. უფრო მეტიც, გლოსემატიკის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კორელაციასა და რელაციას არა მარტო გამოხატულების, არამედ შინაარსის პლანშიც¹. სტრუქტურალისტურ თეორიებში მნიშვნელობა ხშირად განმარტებული იყო როგორც პარადიგმის (სემანტიკური ველის) ან სინტაგმის (სიტყვათშეხამება, წინადადება) შემადგენელ ნაწილებს შორის მიმართება ან მიმართებათა თავმოყრა. პარადიგმატიკულსა და სინტაგმატიკურ რელატივიზმს სემანტიკაში მიეყავართ ლექსიკური მნიშვნელობის, როგორც ენის სისტემის დამოუკიდებელი ერთეულის, უარყოფამდე და ამიტომ ამ თვალსაზრისის ბევრი ენათმეცნიერი არ იზიარებს².

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც მნიშვნელობის ცნებაში შეჰყავთ სამი მიმართება: სიტყვისა საგნისადმი, სიტყვისა ცნებისადმი და სიტყვისა ენის სისტემისადმი.

მნიშვნელობის მრავალრიცხოვანი განსაზღვრებანი, რომლებიც სხვადასხვა ენათმეცნიერულ მიმდინარეობებშია წარმოდგენილი, შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ არსებით დეფინიციასზე:

1. მნიშვნელობა განმარტებულია როგორც ფსიქიკური, ამსახველი არსი, რომელიც ეთანადება ისეთ ფსიქიკურ მოვლენებს, როგორცაა წარმოდგენები, მოციები, ცნებები და ა. შ.; 2. მნიშ-

¹ Основные направления структурализма, М., 1964, гл. 85.

² Л. М. Васильев, Современная лингвистическая семантика, М., 1990, гл. 71.

ენებლობა რელატიური არსია. იგი გამოხატავს მიზართებას საგნი-სადმი (დენოტატიური მნიშვნელობა), ცნებისადმი (სიგნიფიკატიური მნიშვნელობა), სამეცყველო აქტის პირობებისა და მონაწილეებისადმი (პრაგმატული მნიშვნელობა), სხვა ენობრივი ნიშნებისადმი (სტრუქტურული მნიშვნელობა). ამ უკანასკნელს უკავშირდება სწორედ სიტყვის ნიშნადობა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ტექსტში, როგორც ჩაკეტილ სისტემაში, რადგანაც ნიშნის ნიშნადობა განისაზღვრება მისი მდგომარეობით მატერიალ სისტემაში³.

პოეტური ლექსიკის ანალიზისას ნაყოფიერი ჩანს სემანტიკური ნიშნადობის იმგვარი განმარტება, რომელიც სოსიუტის იდეებიდან მამდინარეობს: შინაარსობრივი ნიშნადობანი მნიშვნელობის სტრუქტურული კომპონენტებია, რომლებიც მის სტატუსს ადგენენ ენის სემანტიკურ სისტემაში (პარადიგმაში, სინტაგმაში და ა. შ.). ისევე, როგორც მნიშვნელობები, ისინიც ასახელებენ ექსტერი სინამდვილის რეალიებს, ე. ი. შეპირობებული არაა მათ მიერ დასწყლებული საგნების ბუნებითა და თვისებებით. მაგრამ მნიშვნელობათაგან განსხვავებით, სემანტიკური ნიშნადობები ჩვენს ცნობიერებაში (და ქვეცნობიერებაში) უფრო აქტიურად მუშაობენ და მათ ცოდნას უფრო ინტუიციური ხასიათი აქვს, ვიდრე ცნობიერება.

ენობრივი და არაენობრივი ცოდნის გამიჯვნის აუცილებლობის საკითხი დასმული იყო ბოდუენ დე კურტენესა და ა. პოტებნიას შორებში. ბოდუენ დე კურტენე წერდა: „ენაში, ანუ ადამიანის მეტყველებაში, აისახება სხვადასხვა მსოფლსედეა და განწყობილებანი როგორც ცალკეული ინდივიდებისა, ისე ადამიანთა მთელი ჯგუფებისა. ამიტომ ენა მკვეცილია ჩავთვალთ განსაკუთრებულ ცოდნად, ე. ი. შეიძლება ეცნოთ მესამე ცოდნა — ენობრივი ცოდნა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ინტუიციური, ფორტეითი, უშუალო ცოდნისა, და, მეორე მხრივ, მეცნიერული, თეორიული ცოდნის გვერდით“⁴. ა. პოტებნიას აზრით კი ენობრივი მნიშვნე-

³ Д. Н. Шмелев, Проблемы семантического анализа лексики, М., 1973, стр. 18.

⁴ Н. А. Бодуэн де Куртене, Избранные труды по общему языкознанию, М., 1968, т. 2, стр. 79.

ლობები „არაენობრივი შინაარსის წარმოდგენის საშუალებაა“⁵.

რას წარმოადგენს თვით ენობრივი ცოდნა? ასეთი ცოდნის, სულ ცოტა, სამი ტიპი მაინც არსებობს: მნიშვნელობათა ცოდნა, ნიშნადობათა ცოდნა და ენობრივ ერთეულთა ფუნქციების ცოდნა. მათ შორის ენობრივ მნიშვნელობათა ცოდნაა უმთავრესი სამეტყველო-სააზროვნო მოქმედებისა და ვერბალური ურთიერთობისათვის, მაგრამ იმისათვის, რომ პოეტი სრულყოფილად ფლობდეს ენას, აქტიურად და მოქნილად იყენებდეს მას, აუცილებელია ენის მთელი მექანიზმის, აგრეთვე მისი ფუნქციონირების წესებისა და ნორმების ცოდნა, ე. ი. ენობრივ ერთეულთა ნიშნადობათა და ფუნქციონირების ცოდნაც.

ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვება ტ. ჭანტურიას ლირიკაში გვიჩვენებს, რომ პოეტი ღრმად სწვდება მშობლიურ ენას, ფაქიზად გრძნობს მნიშვნელობათა ნიუანსებს, აგრეთვე ამჟღავნებს შესაშურ „ლინგვისტურ მეხსიერებას“, ვინაიდან ადვილად პოულობს საჭირო სიტყვებს — აგურებს ისეთი პოეტური სტრუქტურების ასაგებად, რომლებიც უხვადაა მის წარმოსახვაში და გამოსავალს, რეალიზაციას ეძებს.

დავიწყოთ პოლისემიური სიტყვის ფარგლებში ენობრივ მნიშვნელობათა მიმართებიდან.

როგორც ცნობილია, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა მიკროსისტემას წარმოადგენს, რომელშიც მნიშვნელობები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმეპირობებულა⁶. ისინი რაიმე საერთო აზრობრივი ღერძით უკავშირდებიან ერთმანეთს. სიტყვის ამ მნიშვნელობათა შორის სამი მიმართებაა დასაშვები: გადაკვეთა, ჩართვა და სემანტიკური ომონიმია⁷. მაგრამ ერთ სემანტიკურ ველში მათი გაერთიანება მხოლოდ გადაკვეთისა და ჩართვის მიმართებათა არსებობის დროს ხდება, სემანტიკური ომონიმია კი ამ მნიშვნელობებს სხვადასხვა სემანტიკურ ველებში გააბნევს.

⁵ А. А. Потсбия, Из записок по русской грамматике, М., 1958, тт. 1—2, гл. 47. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს იდეები ჰუმბოლდტის მოძღვრებიდან მომდინარეობს.

⁶ В. М. Прохорова, Полисемия и лексико-семантический способ словообразования в современном русском языке, М., 1980, гл. 32.

⁷ Ф. А. Литвин, Многозначность слова в языке и речи, М., 1984, гл. 14.

პოლისემიურ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის ჩართვის მიმართება ეფუძნება მათ თანამიმდევრულ დერივაციას. დერივაციული ჯაჭვის ცენტრი და ამოსავალი პუნქტი, ჩვეულებრივ, ძირითადი მნიშვნელობაა (შდრ.: აგებს „აშენებს“ — აგებს „აცვამს“ — აგებს „აფენს“). ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების გადაკვეთა ემყარება მათ პარალელურ, ანუ „რადიალურ“ დერივაციას. მაგალითად, სიტყვა „თვალის“ ძირითადი მნიშვნელობებისაგან (= მხედველობის ორგანო) პარალელურად იწარმოება შემდეგი მნიშვნელობები: 1. ბორბალი; 2. იშვიათი მინერალისაგან გამოთლილი ძვირფასი ქვა; 3. გადატ. ყველაზე კარგი, ყველაზე ძვირფასი; 4. ზოგი ჩასაბერი საკრავის ნახვრეტი; 5. საფქვავე მოწყობილობა წისქვილისა; 6. ფანჯრის თითოეული ნაწილი; 7. კუთხ. ქიზ. სკა; 8. ხურჯინის ორი განყოფილებიდან თითოეული; 9. ყულფი, რგოლი, უჯრედი; 10. თვალის ჩაჯარდნა — ნაქსოვის ყულფის, თვალის მოშლა-მორღევა; 11. კუთხ. თუშ. სართული.

აღნიშნულ მნიშვნელობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოლისემიური სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში შეიძლება ერთდროულად იყოს მოცემული მნიშვნელობათა შორის ჩართვისა და გადაკვეთის მიმართებები. მაგალითად, „იხდის“ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისაგან (= იძრობს, იცლის, იშორებს) იწარმოება მნიშვნელობა „ანაზღაურებს, აძლევს“, მისგან კი პარალელურად ჩნდება „ავადმყოფობას იხდის“ და ფრაზეოლოგიზმი „ბოდიშს იხდის“. *დაზღაურებს იხდის*.

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა როგორც ჩართვისას, ისე გადაკვეთისას მის მიერ შექმნილი სემანტიკური ველის ცენტრში ყოველთვის სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა, სხვა მნიშვნელობანი პირდაპირ თუ ირიბად მას ექვემდებარებიან. აქედან გამომდინარე, სიტყვის პოლისემიურობა მისი ძირითადი მნიშვნელობით განისაზღვრება. მაგრამ შეიძლება კი პოლისემიური სიტყვის საერთო, ინვარიანტული შინაარსი, როგორც სემანტიკური ველიდან პარადიგმა, დავიყვანოთ ძირითად მნიშვნელობაზე? ეს ჩვენ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ტ. ჭანტურიას ლექსიკაზე დაკვირვების პროცესში პოლისემიისა და ომონიმის გამიჯნვის აუცილებლობის წინაშე დავდექით. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა.

ზოგიერთ მეკლევარს⁸ პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები დაპყავს ე. წ. საერთო, ზოგად მნიშვნელობაზე, ან განიხილავს მათ როგორც ენობრივი ინვარიანტის სამეტყველო ვარიანტებს. ბოლო დროს საერთო მნიშვნელობის ახალი ინტერპრეტაციები უანდა. მაგალითად, ერთნი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის შინაარსის ინვარიანტად თვლიან სიტყვის ძირითად მნიშვნელობას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა გამოყენების თვალსაზრისით უფრო ხშირია და, ამავე დროს, სემანტიკუბადაც დამოუკიდებელია, ავტოსემანტიკურია, იგი სხვა მეკლევართ შიანც სიტყვის მხოლოდ ერთ-ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტად შიანჩიათ⁹. ი. სენტენბერგი ცდილობს იპოვოს გამოსავალი და გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას: პოლისემიური სიტყვას ზოგადი მნიშვნელობა მისი ძირითადი მნიშვნელობის ობიექტური შინაარსია, ე. ი. მისი საკუთრივ მნიშვნელობა და ინფორმაციული პოტენციალია. მნიშვნელობის ობიექტურ შინაარსს კი შეადგენს ყველა ის ცოდნა აღსანიშნა საგნის შესახებ, რომელიც ამა თუ იმ ენის მფლობელს აქვს და რომელთა რეალიზაციაც სდენა ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ აზრობრივ-სამეტყველო ქმედებისას¹⁰. მაგრამ ასეთი განმარტებაც ვერ მოხსნას სიამკლეს. ზოგადი მნიშვნელობის დაყვანა ძირითად მნიშვნელობაზე, როგორც ენობრივ ერთეულზე, არ არის ნაბთებული. ზოგადი მნიშვნელობა კი არ უნდა ნოვიაზრით ძირითად მნიშვნელობაში, არამედ ისეთი მნიშვნელობა, რომელიც პარადიგმატულად რაც შეიძლება მეტად. ჩაღლი სინტაქსიკურად რაც შეიძლება ნაკლებადია შეპარობებული¹¹.

ამგვარად, ზოგადი მნიშვნელობის პრობლემა საკამათო რჩება, მაგრამ ეს ვითარება, არ გვიშლის ხელს პოლისემიური სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა განვიხილოთ როგორც სემანტიკური

⁸ Р. Якобсон, Итоги девятого конгресса лингвистов: Новое в лингвистике, М., 1965, вып. 4; В. А. Звегинцев, Зарубежная лингвистическая семантика последних десятилетий: Новое в зарубежной лингвистике, М., 1981, вып. 10.

⁹ Л. В. Кузнецова, О статусах слова: Исследования по семантике, Уфа, 1983.

¹⁰ И. В. Сентенберг, Лексическая семантика английского языка, М., 1981, стр. 55.

¹¹ Д. Н. Шмелев, Проблемы семантического анализа лексики, М., 1973, стр. 212.

პარადიგმა, რომლის კომპონენტებიც (სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები) ასე თუ ისე ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობათაგან შედგენილი სემანტიკური ველების (პარადიგმის) სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული მნიშვნელობები მიემართებიან ერთსა და იმავე ლექსემას, როგორც გამოხატულების პლანის ერთეულს. მაგრამ გამოხატულების პლანის სასუალებებით ასე თუ ისე დიფერენცირებული უნდა იქნეს პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობებიც. როგორია ეს საშუალებები? რაში მდგომარეობს მათი თავისებურება? ამ კითხვებზე ენათმეცნიერები ერთმნიშვნელობიან პასუხს იძლევიან ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები შეიძლება სიტყვის სხვადასხვა გრამატიკული ფორმებით გამოიხატოს, მაგრამ მათი დიფერენციაციის ძირითადი საშუალება კონტექსტია.

კონტექსტთა ტიპები მრავალფეროვანია. არსებობს ლინგვისტური — ლექსიკური, სინტაქსური, სტილისტიკური... და ექსტრალინგვისტური — სიტუაციური, სოციალური, სპეციალიზებული და სხვა სახის კონტექსტები¹². პოლისემიური სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების გასამიჯნავად არსებითი მნიშვნელობა აქვს თემატურ, კონსტრუქციულსა და ფრაზულ ტიპობრივ კონტექსტებს. ტიპობრივი კონტექსტი, ერთი მხრივ, სიტყვის სამეტყველო გამოყენებათა (სემანტიკურ ვარიანტთა) სიმრავლის აბსტრაქტიზებაა, ხოლო მეორე მხრივ — ყოველი მოცემული ვარიანტის რეალიზაციის პოტენციური პირობა, რომელიც მას ახასიათებს, როგორც ენის ლექსიკურ-სემანტიკური დონის ერთეულს. ამგვარად, „ტიპობრივი კონტექსტი არის პ ი რ ო ბ ა, თუ მას განვიხილავთ ენის სისტემიდან ამოსვლით, და არის მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი, თუ მეტყველებიდან, უკვე მოცემული ტექსტიდან ამოვალთ“¹³.

* * *

ტ. ჭანტურიას პოეზიის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი ერთ ლექსში, ერთი კონტექსტის ფარგლებში წარმოაჩენს პოლისემიური სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებს, თვით ამ სიტყვას კი იყენებს სარიტმოდ ერთეულად იმგვარად, როგორც ეს ომონანტიური რითმებისა და მაჯამების შემთხვევაში გვაქვს:

¹² Л. М. Васильев, Современная семантика... გვ. 149.
¹³ Ф. А. Литвин, Многозначность слова... გვ. 21.

სულ არ მინდა, ფული ვაგო! (1)
მსურს, ოცნების კოშკი ვაგო! (2)
და ის კოშკი თუ დამემსხვრა,
მეც პასუხი მერე ვაგო! (3)

ოცნებაში მოგებულმა
შენთვის ფიანდაზი ვაგო! (4)
პური ვკამო — შევეუბერო:
შამფურებზე მწვადი, ვაგო (5)

(„წაგებული ლექსი“, გვ. 342)¹⁴.

მოყვანილი პოეტური ტექსტი „აგებს“ პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა კარგი ილუსტრაციაა. საერთო კონტექსტში (ტიპობრივი კონტექსტების ჩათვლით) მოცემულია ხუთი განსხვავებული მნიშვნელობა და, ამდენად, მოცემული ლექსიკური ერთეულის პოლისემიურობა სპეციფიკურადაა გამოყენებული. თუ რამდენადაა დამახასიათებელი პოეტისათვის ეს მოვლენა, სხვა ნიმუშებიდანაც კარგად ჩანს:

პიჯაკს ეიხდი (1), ხალათს ეიხდი (1)
და შარშანდელ ვალებს ეიხდი (2),
„გმადლობ, ძმაო!“
„გმადლობ, დაო!“ —
მალღობასაც იქით გიხდი (3) (*** გვ. 329).
მოსწყდა ვარსკვლავი — ჩულქს ქალისას გააქცა თვალი (1),

ქალს გაქცეული თვალისაკენ (1) გააქცა თვალი (2).

(„ფიქრი უწონობის პირობებში“, გვ. 198).

უკანასკნელ მაგალითში გამოთქმა, მყარი შესიტყვება „გააქცა თვალი“ მთლიანად პოლისემიურია და მისი მნიშვნელობების გარითმვა საგანგებო ეფექტს ახდენს. ფრაზეოლოგიზმების ამ დანიშნულებით გამოყენების სხვა ნიმუშიც შეიძლება მოვიყვანოთ:

ქურღს ქუღი ეწვის (1), თანაც ეწვის
ქეირფასი ბეწვის!
და მასზედ —
ქურღს რომ ქუღი ეწვის (1)
ქეირფასი ბეწვის —
რატომღაც გული არაეის ეწვის (2) (*** გვ. 274).

აქ ფრაზეოლოგიზმთა მხოლოდ საყრდენი სიტყვა „ეწვის“ მეორდება ლექსიკურად. წარმოაჩენს რა სემანტიკურად დიფერენცირებულ მნიშვნელობებს ტიპობრივ კონტექსტში. ასევეა ეს შემდეგ ნიმუშებშიც:

¹⁴ ტექსტები მოყვანილია ტ. ქანტურიას წიგნიდან „ბალიში — უატომო ზონა“. თბ., 1986.

ის, რაც ინტელექტს მოკლებულია,
ჩემთვის ინტერესს მოკლებულია
(„რეპლიკა“, გვ. 291).

მახინჯიკ კლავს
ლამაზიკ კლავს,
ლანარიკ კლავს,
მამაიკ კლავს...

და იღვრება მამათ სისხლი (1)

ნაგროვები მამასისხლად (2) (*** გვ. 311).

შეგვხვდა ისეთი შემთხვევებიც, სადაც ძნელად იმიჯნება პო-
ლისემიური სიტყვის მნიშვნელობები, მაგრამ მათი დიფერენცია-
ცია მაინც შესაძლებლად მივიჩნიეთ:

როგორც ობობა ძაფის ბოლოში (1)

ჩასაფრებული გიგდის იგი სიცოცხლის ბოლოს. (2)

რომ თავის ქსელში გაგახვიოს, დაგიმორჩილოს

და გაქცოს სიცოცხლის ძაფად.

(„გაწყვეტილი ძაფის ბალადა“, გვ. 297).

მართალია, განსხვავება (1) და (2) მნიშვნელობებს შორის
არ არის მკვეთრი, მაგრამ მაინც შეიგრძნობა, რასაც ადასტურებს
ქეგლ-ში მოცემული განმარტება სიტყვისა „ბოლო“: 1. რისამე
ზღვარი სივრცეში ან დროში, რითაც ან სადაც რამე თავდება. —
დასასრული, დამთავრება; კიდე || აღსასრული. || ნიშანი „ბოლო“
სიტყვის ქვემნიშვნელობაზე მიუთითებს. (1) მნიშვნელობა, მოცე-
მულ ტექსტში, სივრცეში ზღვარს აღნიშნავს („ძაფის ბოლოს“),
ხოლო (2) — დროში ზღვარს, დასასრულს („სიცოცხლის ბო-
ლოს“). ამ მნიშვნელობათა დიფერენცირებას ისიც უწყობს ხელს,
რომ „სიცოცხლის ბოლო“ ფრაზეოლოგიურად გამოხატავს იმ შინა-
არსს, რაც აღსასრულის მნიშვნელობაში ძვეს.

აქვე იმავე მხატვრული დანიშნულებითაა გამოყენებული
„ძაფი“ სიტყვის მნიშვნელობები: 1. „ქსელი“ (ძაფი, რომელსაც
გამოყოფს აბრეშუმის ჭია, ობობა და მისთ.) და 2. ფიგურალური
გამოთქმიდან — „სიცოცხლის ძაფი გაწყდა“ — აღებული მნიშვნე-
ლობა „სიცოცხლის ძაფისა“¹⁵. პოლისემიური სიტყვისა თუ გამო-
თქმის მნიშვნელობათა ამგვარი ხმარება ერთ კონტექსტში პოეტს

¹⁵ ამ მოსაზრების ერთ-ერთ საბუთად თვითონ ლექსის სათაურიც — „გაწყვე-
ტილი ძაფის ბალადა“ — გამოდგება.

შესაძლებლობას აძლევს გამოხატოს რთული მეტაფორული აზრი. ნათქვამის საილუსტრაციოდ მთლიანად მოგვეყავს ლექსი „გაწყვეტილი ძაფის ბალადა“:

როგორც ობობა ძაფის ბოლოში —
ჩასაფრებელი გაცდის რგი სიციხის ბოლოს,
რომ თავის ქსელში გაახვიოს, ღავზნორჩილოს
და გაქცოს სიციხის ძაფად,
რათა სულ მალე,
ერთ ობობა ძაფის ბოლოში —
კელავ დაელოდოს მსხვერპლს მოთმინებით
და გაახვიოს ქსელში ანაზად,
ზერე სიციხის ძაფად აქციოს,
რომ მალე ისევ, ერთ ობობა ძაფის ბოლოში —
მსხვერპლს მოთმინებით დაუფლოს ჩასაფრებელი,
დამორჩილოს და აქცოს სიციხის ძაფად,
რათა სულ მალე...

საინტერესო ჩანს პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა გამოყენების შემთხვევა ფრაზაში, სადაც გამოტოვებულია თვით პოლისემიური სიტყვა. აქ საქმე ეხება არა ენაში ფართოდ გავრცელებულ იმ მოვლენას, როცა პოლისემიის წარმოქმნა ელიფსითაა შეპირობებული¹⁶, არამედ სრულიად განსხვავებულ ენობრივ ფაქტს. ლექსში „პლიაჟი № 3“ ორჯერ გვხვდება სტრიქონები:

ფეთქავენ იზეღბა და
იშემიური გულბი (გვ. 262).

ორი სინტაგმიდან — „ფეთქავენ გულბი“ და „ფეთქავენ იზეღბი“ — პირველში „ფეთქავს“ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაა გამოხატული: „ძგერს, სცემს“ (გული), მეორეში კი ზმნის გადატანითი მნიშვნელობა, ფიგურალური მნიშვნელობა გვაქვს წარმოდგენილი (მსგავსად შემდეგი მაგალითისა: „მწვანე ფოთლებში მაისი ფეთქავს“). ამ ვითარებაში გამომსახველობით ეფექტს ქმნის „ფეთქავენ“ ლექსიკური ერთეულის გამოტოვება. იგი ელიფსად აღიქმება, რადგან ერთხელ ნახმარი ზმნის აღნიშნული ფორმა ორი მნიშვნელობით წარმოჩნდება იმისდა მიხედვით, თუ რომელ სიტყვასთან შედის წყვილში — „იმედთან“ თუ „გულთან“.

¹⁶ ელიფსისა და პოლისემიის მიმართების საკითხი განხილულია წიგნში: ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 254--257.

მაშასადამე, ტ. ჭანტურია სიტყვის პოლისემიურობას სპეციფიკურად იყენებს ტექსტში, იგი განსაკუთრებულ მხატვრულ დატვირთვას აძლევს მას, როცა განსხვავებულ მნიშვნელობებს ერთ კონტექსტში მოატყვევს. ამასთანავე, მრავალფეროვნად იყენებს დიფერენცირებულ მნიშვნელობათა პარადიგმატული და სინტაგმატური მოწესრიგების ინტუიციურ ცოდნას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ პოლისემიური სიტყვების, მათი მნიშვნელობების გამოყენების მაგალითზე ჩანს, თუ რამდენად სრულყოფილად ფლობს და იყენებს პოეტი ენას, როგორ ვრძნობს იგი სიტყვების არა მარტო მნიშვნელობის ნიუანსებს, არამედ მის ნიშნადობასაც ლექსიკურ სისტემაში.

* * *

როგორც ვნახეთ, პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები ერთ კონტექსტში უფრო ხშირად სარიტმოდ ერთეულებად გამოიყენება. ამავე დანიშნულებით გვხვდება ო მ ო ნ ი მ ე ბ ი ც. როგორც ცნობილია, პოლისემიისა და ომონიმის გარჩევა არ არის მარტივი. ერთნი ომონიმებად მიიჩნევენ ბგერითად იგივეობრივ, მაგრამ წარმოთქმით განსხვავებულ სიტყვებს¹⁷. ყოველთვის ხომ ვერ ხერხდება სიტყვის წარმოშობის დადგენა და, რაც მთავარია, ამგვარი მიდგომა ომონიმის ისტორიული ლექსიკოლოგიის სფეროში გადაიტანდა, მაშინ როცა თანამედროვე ენისათვის უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობები და ის მნიშვნელობები, რომლებიც, თუმცა გამოხატულია ერთი და იმავე ბგერითი ფორმით, მაგრამ სემანტიკურად მათ არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო¹⁸.

ზოგიერთი მკვლევარი ომონიმისა და პოლისემიის გასარჩევად წინ წამოსწევს ისეთ, თითქოსდა ობიექტურ, კრიტერიუმებს, როგორცაა სიტყვაწარმოებისა და სინტაქსის მახასიათებლები. მაგრამ არც ეს ჩანს საიმედო, რადგანაც დერივაციული რიგების ურთიერთდაშორება ყოველთვის და აუცილებლად არ უკავშირდება შესაბამისი მნიშვნელობების დაშორებას.

¹⁷ ბ. ფოჩუა, ქართულ ენის ლექსიკოლოგია... გვ. 40; მისივე, ონომსტია და პოლისემია: იკვ., IX—X, თბ., 1957.

¹⁸ Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, გვ. 344.

ომონიმიასა და პოლისემიას შორის ზღვარის გავლება ძნელდება ქვემომოყვანილ შემთხვევაში:

ყველგან — ქრილობები! —
ნაჩულებები! ნაბზარები!
მეტროპოლიდან
სიკვდილია ნაბრძანები!

ეს მახვილი, იციო? —
ვისკენაა მისამართი! (1)
რად ეშლება სიკვდილს
ასე სწორად მისამართი! (2)

(„სპარტაკი“, გვ. 337—338).

თუ გავიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ომონი-
მია იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც სიტყვის ცალკეული მნიშვნე-
ლობები საკმაოდ დასცილებიან მის ძირითად მნიშვნელობას, ში-
ნაარსს, დაუპარგავთ მასთან კავშირი და ერთმანეთს მხოლოდ ბგე-
რითი შედგენილობით ემთხვევიან, ხოლო პოლისემიასთან გვაქვს
საქმე, სანამ ყველა მნიშვნელობა ერთიანდება ერთი აზრობრივი
ღერძით და მხოლოდ მეტ-ნაკლებად შორდება მას¹⁹, მაშინ (1) და
(2) პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები ყოფილა. მაგრამ, თუ
იმას გავითვალისწინებთ, რომ (1) შედგენილი შემასმენლის სახე-
ლადი ნაწილია — „ვისკენაა მისამართი“ < ვისკენ არის მისამართი
(მისამართავი), ხოლო (2) მიმღეობად უკვე აღარ აღიქმება და
ქველ-ში განიმარტება, როგორც: 1. წარწერა საფოსტო გზა-
ნილზე, რომელშიც აღნიშნულია დანიშნულების ადგილი ან მიმ-
ღების ზუსტი ადგილსამყოფელი, სახელი და გვარი; 2. ზუსტი
ცნობა ვისიმე საცხოვრებელი ბინის ან დაწესებულების ადგილ-
სამყოფლისა, შეიძლება (1) და (2) ომონიმებად ჩავთვალოთ.

გასაზიარებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრება: მკვეთრი საზ-
ღერის გავლება ომონიმიასა და პოლისემიას შორის არ ხერხდება
იმიტომ, რომ „ომონიმიისა და პოლისემიის ცნებები სხვადასხვა
თვალსაზრისით გამოყოფილი ცნებებია.

სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა შექმნილი აქვს მისი გან-
ვითარების მანძილზე, მაშასადამე, პოლისემიის ცნება ისტორიული
ენათმეცნიერების ცნებაა, ხოლო სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელო-
ბის დადასტურება ნიშნავს ისტორიზმის პოზიციაზე დგომას. მეო-
რე მხრივ, თუ ომონიმებად მივიჩნევთ განსხვავებული მნიშვნელო-
ბის მქონე ერთგვარად მბგერ სიტყვებს მათი გენეზისური იგივეო-
ბის მიუხედავად, ამით უგულებელყოფთ ისტორიას. ამრიგად,

¹⁹ ე. ბაბუნაშვილი. ომონიმია და მისი ადგილი ქართულ ენაში, თბი-
ლისს ენაეკსპერტის შრომები, 93, თბ., 1960.

როდესაც ვცდილობთ მრავალმნიშვნელობიან სიტყვაში ომონიმიისა და პოლისემიის გარჩევას, ამით უკვე ვახდენთ ორი ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისის აღრევას... ომონიმიის აუცილებელი და საკმარისი პირობაა ჰეტეროგენულობა. ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან²⁰.

ომონიმიის თითქმის ყველა სახეობა შეგვხვდა ტ. ჭანტურიას პოეზიაში:

ა) სრული ლექსიკური ომონიმები, რომელთაც არა აქვთ საერთო სემა და არ არიან ერთმანეთთან ასოციაციურად დაკავშირებული:

მე ვარ გაათებული, მე ვარ გაოცებული (1)
მე ვარ გაკვირებული! — დიდად გაოცებული (2) (*** გვ. 335).

ბ) ნაწილობრივი ომონიმია, რომლის დროსაც სიტყვის მხოლოდ ცალკეული ფორმებია თანხედენილი. მორფოლოგიურად სხვადასხვა წარმოშობის ომონიმების, ანუ ომორფორმების მაგალითებია:

ხერხემალი: მალა (1), მალა (1),
მალა (1), მალა (1), მალა (1), მალა (1)...
ხორცმა მალა (2), მალა (2), მალა (2),
მალა (2), მალა (2), — ვერ დამალა... (*** გვ. 244).

„მალავს“ ზმნის მხოლოდ წყვეტილის უზმნისწინო ფორმა ემთხვევა სიტყვა „მალა“-ს (1).

დიად მარტოობისაკენ
მიდიან მთავარი ქუჩით (1),
მორთულია მათი ქუჩა
იით, ღეკით, ღეიით, ქუჩით (2).

(„ძმები რაზიკაშვილები ტფილისში“, გვ. 327).

აქაც ნაწილობრივი ომონიმიაა, რადგან სახელობით ბრუნვაში გვაქვს მორფოლოგიურად გარჩეული ქუჩა და ქუჩი. ასევეა ქვემოთ მოყვანილ ტექსტშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ომონიმურ წყვილში ერთ-ერთი ნასესხები სიტყვაა:

კმაყოფილი ხარ ალბათ ბინით —
ჩკინით და შინით (1).

²⁰ ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია... გვ. 42.

როგორც ეს გოგო — ქეყანაზე უმოკლეს მინით (2).
(„ასტორია, ამერიკა“, გვ. 427).

გ) იმგვარი ომოფორმები, რომლებიც შედგენილ მაჯამურ რითმებს ქმნიან, მაგრამ რომელთაც ლინგვისტური ინტერესი არ ასლავს:

სულ კლდეზე შაქაქეულს
რა ექნა აშირანს?
როგორ შორეოდა
ამ თურქებს!
ამ აშირანს! (** გვ. 257).

ნთელი თაქსი ცხოვრება
მხოლოდ წუცელი იყო რა! (1)
იყო და არა იყო რა (2),
იყო და არა იყო რა (2). (** გვ. 247).

დ) ომოფონები — სიტყვები ან, შესიტყვებები, რომლებიც ერთნაირად წარმოითქმება, მაგრამ განსხვავებულად იწერება. მართალია, ქართულ ენაში, სხვა ენებთან შედარებით, დაწერილობა წარმოთქმის ადეკვატურად ითვლება და აქ ომოფონები თითქმის მოსალოდნელი არ უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეიძლება პირობით ასეთი კვალიფიკაცია მიეცეს ქვემოთ დამოწმებულ ზოგიერთ ნიმუშს:

ბოლოს ბატონი მუცელა
სიყდილის ცელმა მოცელა. (** გვ. 247).

ტაშტს თხოულობს ხელმწიფე:
— ტაშტ-ტაშტ-ტაშტ-ტაშტ!
თქვენ კი, თქვენ კი — რა მოღრით:
— ტაშ-ტაშ-ტაშ-ტაშ!
(„აპლოდისმენტები“, გვ. 249).

უფრთხოვსად ვინც იშვა ქალად.
აუცრლებლად დასწამებს „ლაღატს“.
განდა პერანგის ანარა იქდე? -
აუცრლებლად ჩავაძმევს — „ხალატს!“
(„რომის ეპიკონი“, გვ. 293).

ბედი უნდა ყველაფერს.
ყველა ნახტა ყველა ფირს.
(** გვ. 332).

დარდს ასხივებს მოზაიკა — კედელს შობა ახატია!
აქ იმდენი ფირუზია, აქ იმდენი აქატია!

— ლეთისმშობელმა ყრმის ლოდნში დაჰე თურმე აქ ათაა!
მიხსნის წყნარად და მე მჭერა, რასაც ყველა ალათია...
(„ძველი მონასტერი ზოიანახულეთ“, გვ. 399).

გადასძახის ჭურა ჭურას,
ხიდი ხიდს და
დაბა დაბას
ულოცავენ ერთმანეთს
ღიღი ბუკის დაბადებას!
.

უსურუებენ კაი ღღის და
კაი ღღის დაბედებას,
ულოცავენ ერთმანეთს
ღომას — მხსნელის — დაბადებას!
(„ბიჭიააა“, გვ. 332).

მუდამ ძაძით მოსილი — ხარ ცრემლებს საცავეთ
ტორი ყველას გულისთვის, მტირალს ნახვე საცავეთ...
შენზე კარგი ვინ იცის კუპატი და საცავეთ —
იქ ხარ შენი წინაფრით, დასკრდება საცავეთ...
ჩნდება საჭიროება სხვადასხვა ღროს საცავეთ —
მოაქვთ შენი ქეიჯა და მოაქვთ შენი საცავეთი.
კრძალვა შენი ღიღი გვაქვს — მუდამ ძაძით მოსილი —
რაჲ კი ქვეყნად დარღია, ყველა ღარღო მოსილი...
(„მარიამ ჭიბლაძის ვახსენება“, გვ. 443).

ასევე პირობითად თუ შეიძლება ომოგრაფები ეწეოდნენ ქვე-
მოთ დამოუწმებულ ბგერათმომდევრობებს, რომელთაგან (1) ზმას
წარმოადგენს:

სწორია ეს? — პრემია დაუგეო ნო ბეღის!
არც აკაკის, არც ვარპეტს არ ქონიათ ნობელი!
(„ნობელის პრემია“, გვ. 250).

აღნიშნული ბგერათმომდევრობები გრაფიკულად ემთხვევა ერთ-
მანეთს, მაგრამ მახვილი აქვთ სხვადასხვა მარცვალზე (რაც ომო-
გრაფებისთვისაა დამახასიათებელი), თუმცა, თუ გავითვალისწი-
ნებთ იმას, რომ ქართულში მახვილი მკაცრად ფიქსირებული არ
არის და სალექსო სტრიქონში იგი შეიძლება ფაკულტატიური იყოს,
არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაცია
სადავოა.

აკუსტიკური შთაბეჭდილების თვალსაზრისით, პოლისემიური
სიტყვის მნიშვნელობები და ომონიმები, გამოყენებული სარიტმო

ერთულად, ძალიან წააგავს ლექსიკურ გამეორებას სართიმო პო-
ზიციაში:

ოგორც ხიდიდან მდინარეში,
საოკრად ცისფერ მდინარეში,
ცისფერზე ცისფერ მდინარეში,
მე შენს თვალებში ელუპები. (*** გვ. 29).

მაგრამ ეს მსგავსება გარეგნულია, რადგან გამეორების შემ-
თხვევაში სემანტიკური ერთგვაროვნება-ერთფეროვნება გვაქვს
(ცხადია, მხატვრული ფუნქციით). მაშინ როდესაც პოლისემიისა
და თვით ომონიმისას სიტყვის მნიშვნელობათა გამომსახველო-
ბითი მრავალფეროვნება შეიმჩნევა.

* * *

ტ. ჭანტურიას პოეტური მეტყველებისათვის საკმაოდ დამახა-
სიათებელია სტილისტიკური ფიგურა პ ა რ ო ნ ო მ ა ზ ი ა, რო-
მელიც მდგომარეობს თანაბგერადი, მაგრამ მნიშვნელობით გან-
სხვავებული სიტყვების კალამბურულ დაახლოებაში.

პარონომაზია პარონიმის ერთ-ერთი სახეა. როგორც ცნობი-
ლია, პარონიმია ზოგადად ორი სიტყვის (პარონიმების) ბგერათა
ნაწილობრივ დამთხვევას ნიშნავს, როცა მათი მნიშვნელობები
სრულიად განსხვავებულია ან ნაწილობრივია მსგავსი. პარონიმები
ჩნდება როგორც უნებლიეთ, ისე ნებისით. პირველ შემთხვევაში
გვექნება ენობრივი შეცდომა (ინფარქტი > ინფაქტი, რეანიმაცია <
> რეამინაცია, ნემსი < ნევსი...) და იგი მეტყველების კულტურის
საგანი იქნება, ხოლო მეორეში, როცა პარონიმთა ბგერითი დაახ-
ლოება განზრახ ხდება, რათა მეტი სახეობრიობა და ემოციური
ზეგავლენა ჰქონდეს მეტყველებას, ჩვენს წინაშეა სტილისტიკური
ხერხი და მას სტილისტიკა შეისწავლის.

განასხვავებენ სალექსიკონო პარონიმებსა და კონტექსტურ,
ანუ პოეტურ პარონიმებს. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება ნებისმიე-
რი ბგერითი მსგავსებით შექმნილი წყვილები (მაგ.: პარიზი —
პარეზი, სატინა — სატანა, ციდა და — ციტატა...). სწორედ ამას
უწოდებენ პარონომაზიას. პარონიმის ასეთი გაგება ანტიკური-
რიტორიკიდან მომდინარეობს, სადაც მას განიხილავენ მეტყველე-

ბაში, როგორც ორატორული ხელოვნების აქტში, ბგერათგამოტრე-
ბისა და თანაბგერადობის გვერდით²¹.

პარონიმიისა და პარონომაზიის გასარჩევად შეიძლება გამოდ-
გეს შემდეგი კრიტერიუმი: პარონომაზია მხოლოდ სხვადასხვა
ძირის (წარმოშობის) სიტყვათა ბგერითი დაახლოებაა. ეს
განმარტება გამორიცხავს „მეტყველების კულტურის“ ასპექტს და
მოიცავს ხალხურ ეტიმოლოგიასაც („ჭიათურა — ჭია თუ რა“,
„ბახმარო — ბახ, მარო“; ტ. ჭანტურიასთან: ექსპრომტი — ლექს-
პრომტი, შამპანური — შესამპანური, ექსპერიმენტი — ლექსპერი-
მენტი...). უნდა შევნიშნოთ, რომ პარონიმიის (resp. პარონომა-
ზიის) კერძო შემთხვევად თვლიან მეზობლობის ანალოგიას
(аналогия по смежности) — ე. წ. პარონიმულ ატრაქციას, რომე-
ლიც განიხილება ბგერათა სიმბოლიზმისადმი მიძღვნილ გამო-
კვლევებში.

პარონომაზია ხშირად გვხვდება ქართულ ფოლკლორში — ან-
დაზებში, აფორიზმებში, ენის გასატყეხებში, ზღაპრის დასაწყისებსა
და გამოცანებში („მულო — მუნო“, „ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა
ყელასა“, „ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდ-
ზედა ბალი გააქვს და გამოაქვს“...). ამდენად, იგი ბუნებრივი მოვ-
ლენაა ენაში, განსაკუთრებით კი — პოეტურ მეტყველებაში, თუმცა
ყველა როდი მიმართავს მას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით
საინტერესოა ტ. ჭანტურიას პოეზია, სადაც პარონომაზიული
სიტყვები ერთ ფრაზაში, უმეტესად, რითმების შემადგენელ ელემ-
ენტებად გვხვდება:

თოვლი — და დ ე ბ უ ლ ი ა!
თოვლი — დ ი დ ე ბ უ ლ ი ა!
თოვლი — ღ რ უ ბ ლ ის შ ე ი ლ ი ა!
წვიმის დ ე ღ ბ ი ლ ი ა!

(„როგორც იქნა, გათოვდა!“ გვ. 328).

მაბრმავებს სველი ფ ი ფ ქ ე ბ ის ბ ო ლ ი
და მაგონდება ფ ი ფ ქ ე ბ ის ბ ო ლ რ ...
(„თოვლი ღამით“, გვ. 98).

ქ რ ს ტ ე ს ი და ი უ დ ა ს,
მ ო ტ ა რ ტ ის და ს ა ლ ი ე რ ის
ტ ა ნ ჯ ვ ა! ტ ა ნ ჯ ვ ა — ხ ო რ ც ი ე ლ ი!
გ ე ე მ ა, გ ე ე მ ა — ს უ ლ ი ე რ ი!
(„ადამიანი“, გვ. 296).

²¹ Лингвистический энциклопедический словарь... გვ. 368.

დაირღვა ძველის-ძველის-ძველი
ულამაზესი პარმონია:
ყოველ მებხეთე მამაკაცი
ღღეს დედაცის პარმონია!
(„ირონიული“, გვ. 296).

წნობამიზღილს მერღზე რომ
ლომის სისხლი მასსო,
ვინ იყავი! რონელი!
აღბათ — ვისმე მესსო!
(*** გვ. 419).

ცა, დაწვლილი მერსლის კამარით,
რავი შიქრამ გავადო,
მადღებო (მე)თმა ფარულა კამეჩით
თასყურ
მაინც
ბეჭადო.
(*** გვ. 417).

სულ პერტული ვა ბავადლო! —
განა ვეღა ბინებო...
განს ცექინსება
საქარბელოს ბუნებო...
(„ვენკო“, გვ. 309).

ზოგჯერ პარონომასია ლექსის ყველა რითმზე ვრცელდება:

ს.ბოლოვი, საბუღამოდ
დამტყვევა ცამ ცემის!
ცემის ცაზე ღრუბელია
თუ კოშკია ცამცემის!
მიყვარს ცქერა ცემის ცაზე
ეჩსკელაეებოს ციმციმის.
საპულამოდ, საბოლოოდ
ღამიმონა ცამ ცემის!

სოო — ღაღასუღებია
ნაქვის მწვანე წამწამის
ცამცემის კოშკს ვამაშორა —
გამიტყუა ცამ ცემის!
უცაბედად საღამოსის
გულში ლასტრად ჩამცემი
მიყვარს ცემი... საპულამოდ
ღამიმონა ცამ ცემის.

(„ცემი“, გვ. 308).

ცამ ცემის — ცამ ცუმის — ციმციმის გვერდით გვაქვს წამ-
წამის და ჩამცემი. მათი ბგერითი სიახლოვე სარითმოდ ერთე-
ულთან ცამ ცემის შეპირობებულა ც, ჩ, წ ბგერების ფონეტი-
კური თავისებურებით — ისინი რთული თანხმოვნებია, აფრიკატი-

ბის არტიკულაცია კი აერთიანებს ხშულებისა და ნაპრალოვნების არტიკულაციათა. გარკვეულ მომენტებს. პირველი ორი მომენტი — ხშვა და დაყოვნება — აფრიკატის არტიკულაციაში გვხვდება ისევე, როგორც ეს ხშულებთანა გვაქვს; უკანასკნელი მომენტი — განხშვა — ხდება ისე, როგორც ნაპრალოვნებისა. ამგვარად, $ც = თ + ს$, $ჩ = თ + შ...$ $წ = ტ + ს^{22}$. აქედან გამომდინარე, ც და ჩ ბგერები ემსგავსებიან ერთმანეთს იმის გამო, რომ მათი ხშვა-დაყოვნება იდენტურად ხდება, ხოლო ც და წ ბგერებს განხშვის მომენტი აქვთ საერთო, რასაც ვერ ვიტყვიტ ჩ და წ ბგერებზე, ამიტომ „წამწამის“ და „ჩამცემი“ სიტყვებზე პარონომაზია არ ვრცელდება.

პარონომაზიის სხვა ბევრი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, დაკმაყოფილდებით რამდენიმეთი:

ლულ სხვაგვარად ტარდება პლანეტების პარადი,
 არც წინასწარ სუფრები,
 არც თამადა პურადი!
 თუმც ეს ჩემი აზრია, აზრი მხოლოდ პირადი!
 (*** გვ. 272).

მახსოვს ჩემი დაიკო —
 ჩემი ერთი ცილა და,
 როგორც დედაჩემისგან
 მოტანილი ციტატა!
 დინჯად დაბაჯბაჯებდა,
 განა ისე ცეტადა!
 (*** გვ. 318).

ბგერობრივად მსგავსი სიტყვების გამოყენებას რითმებად ზოგჯერ იმდენად კალამბურული ხასიათი აქვს, რომ იგი ხუმრობა-ონაწრობაა უფრო ხშირად:

ხანჯალზე უფრო საჭირო
 დღეს შენ ხარ, ბუზის საჭერო!
 მე არ მიყვარს ბორში და
 ყოფნა მიყვარს ბარში და...
 („პატარა სიმღერა“, გვ. 399).

მომწონს, მიყვარს მე პური!
 პურისთვის მაქვს მე პირი!
 (*** გვ. 314).

²² არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 155.

ნუ იკადრებს კაცი, თორემ საწყალ ტუნგუსს
სულ რაღად აკმევს — ხერმად აკმევს ტუნგოსი.

(*** გვ. 274).

ხოლო თუკი თვითონ ღმერთი

გადაიქცა სატიანადო,

შეიძლება აბრეშუმი გადაიქცეს სატიანადო!

(*** გვ. 249).

ტ. ჭანტურიას აქვს ლექსების ციკლი „ლექსპერიმენტი“, სადაც
სსსკ ხასიათის ექსპერიმენტებთან ერთად წარმოდგენილია ძიებები
ლექსის ბგერითსა და რიტმულ მხარესთან დაკავშირებით. ლექსში
„ისევ ხმოვნებზე სით მოხვალ!“ პოეტი პარონომაზიას ქმნის სართ-
მო ერთეულებში ხუთივე ხმოვნის — ა, ე, ი, ო, უ-ს ჩანაცვლებით:

როგორც ტყუპის ცალები —

ცოლებს აგვანან ცოლები!

დაუგროვდათ ცილები!

ქმრებს კი უყვართ ცელები!

სულ ხელში აქვთ ცულები!

ჩუჩუნებენ ცოლები!

„ფონეტიკურ შტუდიას“ უწოდებს ტ. ჭანტურია თავის ლექსს
„გამაღვიძე, მამალო...“, სადაც პოეტი წერს:

მხოლოდ ერთი ასოთი, ერთადერთი ასოთი

არი განსხვავებული აზატი და აზოტი.

(გვ. 220).

და შემდეგ ჩამოთვლის პარონომაზიულ წყვილებს: ფინელი —
ფანელი, ხახოლი — ხახული, შიბი — შუბი, კაცები — კეცები,
ბურღელი — ბორღელი, სახელი — სახელო, ორდენი — ორდერი,
ტირანი — ტირანი, ირანი — ურანი, მარანი — მერანი, ყორანი —
ყურანი, ასკეტი — ასკეცი, პარიზი — პარეზი, იონი — იოზი,
ერესი — არესი, თუთუნი — თათუნი, ასეთი — ას ათი, მამალო —
მიმალო, მამული — მამალი, ასოთი — ას ათი...

თუ რამდენად თვითმიზნურია პოეტის ამგვარი ცდები, მას
თავად კარგად აქვს გაცნობიერებული და არც მკითხველს უმაღლავს.
იგი ლექსში „რითმის კაპრიზი“ ამბობს:

ფოთში ჩაიყუანს რითმა „ფოთიშა!“

ბოღიშსაჲ გათქვეიერებს: „ბოღიში!“

ბაღეშიც გამოგამწყვდევს: „ბაღეში!“

ზუგდიდში ხარჩოს გაკმევს: „ოღიში!“

(გვ. 295).

ტ. ჭანტურიას ძინებები ლექსის ფონეტიკური წყობის სფეროში მოგვაგონებს ფუტურისტებისა და მათთან ახლოს მდგომი პოეტების ექსპერიმენტებს, ეს განსაკუთრებით ეხება ბგერითი ელემენტების აზრობრივი ასოციაციებით დატვირთვასა და გაჯერებას. გავიხსენოთ ვ. სლებნიკოვის, ნ. ასეევისა და ვლ. შაიაკოვსკის სტრიქონები, რომლებიც იმავე პრინციპითაა აგებული, როგორც თაყ ტ. ჭანტურიას შემოგანხილული ლექსები:

ვ. სლებნიკოვი:

Война и м е ч в ч а с т о т о л ь к о м я ч
Лаптою занятых морей

(«Хаджи-Тархан»)

Горе вам; горе вам, жители пазух
М и р а и м о р а г л у б о к и х м о р щ и н
(«Война в мышеловке»)

П л а х а п л о х а т о л ь к о т е м,
Что на ней рубят головы людям.
(«Манифест представителей земного шара»)

Бурного л ё т а л е т á
(«Каменная баба»)

ვ. შაიაკოვსკი:

Наш бог бег...
Зеленью ляг луг...
Лет быстролётным коням...
Радости пей. Пой.
(«Наш марш»)

ნ. ასეევი:

Когда земное склопит л е п ь,
Выходит легким шагом л а н ь,
С ветвей сорвется мягко л у н ь,
Плеснет струюю черной л и н ь...

ჩვენ არ შევხებივართ ტ. ჭანტურიას პალინდრომდნებს („ირა-ზება აბეზარი“... „საიდან ნადიას || ობლის სიღბო“... „სარკე ეკრას“...), რომლებიც აგრეთვე გვხვდება ვ. სლებნიკოვის პოე-

ზიაში, ცნობილია მისი ე. წ. Перевертень («Чин зван мечем
Навзничь», «Голод чем меч долог», «Мечи бичем!»...)²³.

გვაგონდება გ. ტაბიძის სტროფიც:

აი, რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია...
აი, დროშა, აშორდია,
აერების სიბერეა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში გავრცელებული გამო-
სახვის ეს ხერხი ფორმალისტთა შემოქმედებაშიც გაცოცხლდა.

ამგვარად, შეიძლება დაეასკვნათ, რომ ტ. ჭანტურია დიდ ყუ-
რადლებას უთმობს ლექსის ბგერითს მხარეს, იგი მრავალფეროვ-
ნად იყენებს ენის ფონეტიკურ შესაძლებლობებს და საინტერესო
მიგნებებით, ამავე დროს, პოეზიაში არსებული გარკვეული ტრადი-
ციების გამოყენებით, საკუთარ ბგერწერას ქმნის.

²³ რუსული პოეზიის ნიმუშები მოყვანილია რ. იაკობსონის მიხედვით:
Р. Якобсон, Новейшая русская поэзия: Работы по поэтике, М., 1987,
გვ. 272—316.

„სიბრძნე სიცრუისას“ სტილისათვის

„სიბრძნე სიცრუისას“ სტილის შესასწავლად აუცილებელია კრებულის შემადგენელი მასალის დიფერენცირებული ანალიზი, რაც ნათელყოფს თხზულებაში ორი სტილური ფენის არსებობას: ერთი მხრით, ე. წ. „ჩარჩოს“ და, მეორე მხრით, საკუთრივ იგავ-არაკების ფენას: „ჩარჩოს“ ენასა და სტილზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი სტილიზებულია. სულხან-საბა ორბელიანი საკმაოდ ჭარბად იყენებს ძველი ქართულის მორფოლოგიურ ინვენტარს, რამდენადმე მანერულია თხზულების ამ ნაწილის სინტაქსიც. ავტორი მიისწრაფვის მაღალფარდოვნებისაკენ, ეძიებს მეტყველების სინტაქსური ორგანიზაციის სპეციფიკურ ფორმებს, მიმართავს სტილიზებას პერსონაჟთა (ფინუზ მეფე, სედრაქი, რუქა, ჯუმბერი, ლეონი) ენობრივი ნიშნით დახასიათებისას¹.

სრულიად განსხვავებული სურათია იგავ-არაკების უმრავლესობაში. სისხარტე და ლაკონიურობა, რაც ოდითგანვე მოსდგამს ამ ჟანრის ნაწარმოებებს, მაქსიმალურად იჩენს თავს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულშიც.

ცნობილია, რომ არსებობს თხრობის ორი სახე: მონოლოგი და დიალოგი. ბუნებრივია, იგავ-არაკებსა თუ ამბებში, რომლებიც კრებულს შეადგენენ, თხრობის ორივე სახე თანაარსებობს. მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

1. მონოლოგი. საანალიზო მასალის ერთ ნაწილში თავად ავტორია მთხრობელი, მეორე ნაწილი კი იგავ-არაკის პერსონაჟის მონოლოგს წარმოადგენს და პირველ პირში მიმდინარეობს. ორსავე შემთხვევაში თხრობა ბუნებრივი და დინამიკურია, სტილი — გამჭვირვალე. მოგვეყავს რამდენიმე ნიმუში:

¹ მ. კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ სტილის შესწავლისათვის, თსუ შრომები, ენათმეცნიერება, № 174, 1974, გვ. 75—85.

კეისრის სპასპეტი

მე სპასპეტი კეისრისა ვიყავ. ლაშქარს გამგზავნა მეფემან. შეეიბენით. ჩემს ჟარს დამარცხებოდა. მე მარტო გამოვიქეცე. მოველ. მეფემან განრისხებულმან სასიკვდილოდ მიმცა. რბენაში ცხენი დამივარდა. უცხენო, მაშვრალი შინ მიველ. ცოლი ღუბჭირი, ყბელი და აყენა მყეა. მან ბეერი მაგინა. აღარც მუნ დავდეგ. აქ მოველ და აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე! (37)².

ბულდანელი დიდებული

მე ვიყავ დიდებული ბულდანი. ცხრა ძე მყვანდა და დიდებისა ჩემისა რიცხვი არ ეგებოდა. ერთი ციხე შედგა შეუვალი. ღეთის გარდა არას კაცს არ ევალებოდი. ეისგან შეგონებოდა შეძვრა ჩემი? რვანი ჩემნი ძენი მორჩილნი იყვნეს. ერთი დიდი ურჩი და ავი იყო. შემომიღდა სნეულება. ცოლი, ასული და რვანი ძენი მორჩილნი დამიხონნა და იგი ურჩი და წყველი ძე დამრჩა. შეილი იყო. არ მოიკვლოდა ჩემგან. სალარო ჩემი მისცა სხვათა, მიიხზრო და გამომაძო. ზუნ ველარ დავდეგ. მოველ აქა. აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე! (40).

თავტაფიანნი

მე ნადირობისა არა ვიცი რა და ეს ვიცი: მე სომხითის მეფის აქიმი ვიყავ. მასთან ვქე. ერთი შემცოდე კაცი მოიყვანეს. მეფემ მისის თავის წარკვეთა ბრძანა. მე მცირელი დავაყოვნე, მუნვე წამალი შევაგბე. რა თავი მოჰკვეთეს მას კაცს, იგი წამალი ყიას ჩაეასხი და ტაფა ყელზე დავაკარ. აღარ მოკვდა კაცი იგი და თავის ნაცვლად ტაფა ება. სიკვდილს უკან სამი-ოთხი შეილი ეყოლა და თავი არც ერთს არ ება და წერილი ტაფები ებნეს თავთა ნაცვლად (97).

ლაკონიურობის პრინციპი არც ავტორისეული თხრობისას ირღვევა:

ყარყატის თავგადასავალი

ერთს ადგილსა მრავალი თეთრი ყარყატი ბუღობდა. ერთმან კაცმან ღრთის ყარყატის კვერცხები დაიპარა და ბატის კვერცხები ბუღესა ჩაუწყყო. გამოიჩია მან ყარყატმან და დაზარდა. თვისი ბარტყი ეგონა. რა დაიზარდა, მაშალი ყარყატი მოვიდა, ნახა, მისი მსგავსი არ იყო. შეჰყარა მის თემის ყარყატნი და ყველაყას უჩვენა. დაიპირეს ეს უბრალო დედალი ყარყატი, მოკლეს და ტვინი ამოსწოვეს (78).

ძაღლები და მგელი

ერთი მძორი იღვა ადგილსა ერთსა და შეიღი-რვა ძაღლნი ეხეიენენ. სჭამდენ შძოერსა და იღრინებოდენ და შუღლობდენ და კბენდენ ერთმანერთსა. ნახეს მგელი მომავალი. მათი შუღლი, ღრენა და კბენა გაუშვეს და ყოველთა ერთად შეუტყიეს

² ს უ ლ ხ ა - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი, ო თ ხ ტ ო მ ა დ, ტ. I, თ ბ ი - ლ ის ი, 1959. ფ რ ა ხ ი ლ ე ბ შ ი მ ი თ ი თ ე ბ უ ლ ი ა ს ა თ ა ნ ა ლ ო გ ე ე რ დ ე ბ ი.

და მგელი გააძეს. მოიქცნენ და მასვე მძორზე შულლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს
ნახედენ, მას ერთპირ გაუხდიან და მერმე აგრევე შულლობიან (145).

გლაზაკი და ფლური

ერთი კაცი დია გლაზაკი იყო. დღე ყოველ ღმერთს გამდიდრებას ევედრებოდა.
გამოხდა ხანი და მას კაცს ზუცლის ტყიელი და ყვანა დემართა. რა კარში გავიღოს,
ტყიელი დაუწყოს. აზომ შეწუხდა, მიწას გლეჯა დაუწყო. რა მიწა მოგლიჯა, ერთი
ქილა ფლური ჰპოვა. მან კაცმან ღმერთს მადლი მისცა და თქვა: დიდად მოწყალე
ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცს სისხლს არ დაანთხეინებ, არას მისცემო (111).

როგორც დავინახეთ, მოხმობილი მასალა სინტაქსური კონ-
სტრუქციების მთელ სპექტრს გვიჩვენებს. აქ არის მარტივი წინა-
დადებები — გავრცობილიცა და გაუვრცობელიც, სრულიცა და
უსრულიც, შერწყმული წინადადებები — უკავშიროცა და კავში-
რიანიც, აგრეთვე რთული კონსტრუქციები — თანწყობილიცა და
ქვეწყობილიც, როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთებით.
მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის თხრობის სისხარტესა და
სისადავეს, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ყოველი წინადა-
დება წვერთა მინიმალურ რაოდენობას შეიცავს. ამის გამო თხრო-
ბის ტემპი სწრაფია და ბუნებრივი, რაც „ჩარჩოს“ მანერულობის
ფონზე მოულოდნელი და, ამასთან, ეფექტურია. აღსანიშნავია, რომ
დინამიკურობას ხელს არ უშლის თხრობის რთული კონსტრუქციე-
ბით წარმართვაც. მაგალითად:

სადაფი და კირჩხიბი

ზღვასა შინა რა სადაფი ვალს, პირამქული არის. ოდეს კირჩხიბს ნახავს, პირს
შეიკრავს კირჩხიბ ირა ახლოს მივა, პირთან ფერხს მიადგამს. რა პირს ცოტასაც
არის გააღებს, ფერხს შეუყოფს. ნელ-ნელა შევა შიგ. რაც სიცოცხლე ძევეს, შეს-
კამს (47).

2. დიალოგი. როგორც აღინიშნა, სულხან-საბას არაკების
ერთი ნაწილი დიალოგს წარმოადგენს. მათ მიეკუთვნება: „ბერი და
ყრმა“ (20), „უგუნური მცურავი“ (14), „მეფე და ავისიტყვა კაცი“
(32), „მეფე და მისი სამი ძე“ (51), „მუშა კაცი და ბედი“ (133),
„უტკბესი და უმწარესი“ (21), „სამნი ამხანაგნი“ (59)...

დიალოგი მწერლისაგან დიდ დახელოვნებას მოითხოვს. თუ
დიალოგის შემადგენელი რეპლიკები მოკლებულია ბუნებრიობას,
დუნეა და ძალდატანების მომენტს შეიცავს, დიალოგი კარგავს ზე-
მოქმედების ძალას და საუბრისადმი ინტერესი ნელდება. მით უმე-
ტეს, ეს ეხება იგავ-არაკს, სადაც თხრობის ტემპი ჟანრის სპეციფი-

კის გამო სწრაფი უნდა იყოს. სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაშიც დიდ ოსტატობას ავლენს. იგავ-არაკების პერსონაჟები მუდამ სხარტად და სწრაფი ტემპით საუბრობენ. ტემპს ვერ აფერხებს კითხვა-მიგების ფორმულებიც, რომლებიც დამახასიათებელია საბასეული დიალოგისათვის. დიალოგის შემადგენელი ფრაზები თუ რეპლიკები უმეტესწილად დაწურულია. ზედმეტ სიტყვას, — სიტყვას, რომლის ამოგდებასაც მოვისურვებთ (ცხადია, აზრის დაურღვევლად), ვერც კი ვიპოვით. ამ მხრივ ტიპურია იგავი „ობოლი და მისი დედა“:

იყო ერთი ობოლი მარტვილი. რა მოიზარდა, დედას ჰკითხა:

— დედა, ყოველს კაცს მამა უეის. მე რად არა მყავს?

დედამ უთხრა:

— შეილო, შენცა გყვანდა, მაგრა წყალმან დაარჩო.

შეილმან უთხრა:

— მას წყალზე ხიდი არ იდვა, მას ზედ გასულიყო?

დედამ უთხრა:

— იდვა, მაგრა შორს იყო.

შეილმან უთხრა:

— ასრე შორს იყო, რომ აქამდის ევლო, ვერ მოუარდა?

დედას გაუცინა და ეგრე უთხრა:

— თუ მაგდენი გაესიჩა, არც კი და-რჩობოდა (81).

საბას დიალოგი გარეგნულ ეფექტებს მოკლებულია. ენობრივი საშუალებები ერთი მიზნისთვის არის მობილიზებული: მიღწეულ იქნეს საუბრისათვის დამახასიათებელი ძალდაუტანებლობა და ბუნებრიობა. საბა რომ ამ მიზანს ბრწყინვალედ აღწევს, ჩანს ქვემოთ მოყვანილი ტექსტიდან, რომელიც წარმოადგენს ნაწყვეტს იგავიდან „მეფე და ავისიტყვა კაცი“:

...მოვიდა და მეფის წინ მიწას აკოცა.

ვაზირმან ჰკითხა: კაცთმაწყინარო, მეფის გომია რასა იქმსო?

მან უთხრა: მოკვდაო.

ვაზირმან ჰკითხა: რა სჭირდაო?

მან უთხრა: მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, მისი მძორი ჰამა და მით მოკვდაო-აქლემი რამ მოკლაო?

მან უთხრა: მეფის დედა ამ სოფლით გარდაიკვალა და იგი აეკიდეთ საფლავამდის და მან მოკლაო.

მეფეს გულთა ცეცხლი ზოედვა და ჰკითხა: იგი რამ მოკლაო, რა დაესენაო?

მან მოახსენა ტირილით: პირმზე დედოფალმან საწუთრო დასცალაო და მისმა ხალველმან მოკლაო.

მეფემ წვერგლეჯით ჰკითხა: მას რა დაესენაო?

მან მოახსენა: თქვენი ძენი და ასულნი ყვაილმან გაწყვიტნა და სიმწარეს ველარ გაუძლო.

მეფემ ჰკითხა თავში ცემით: მამ, შენობა აღარა დარჩებოდა რაო?

მოახსენა: მე რა იქ ვიყავ, თქვენს სასახლეში ბზესა ჰყრიდნენ და აწ აღარავიოი (32).

სხვათა შორის, დიალოგი უფრო ბუნებრივი და დინამიკურიც კია, თუ რეპლიკები სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკს შეიცავს. ის ნაწყვეტი იგავიდან „მოდლვარი მელი“:

ჰკითხა მელმან ოფოფსა: სამეფო თომარ-ჭილა ვინ მოგაყო?

ოფოფმან უთხრა: სოლომონ ბრძენმან თავისი ხელით დამხუარაო.

მელმან უთხრა: მოწამე ვინა გყავსო?

ოფოფმან უთხრა: ერთი მსუქანი ბატი და ერთი მსუქანი იხვიო (26).

როგორც ვხედავთ. საბასეული დიალოგის სისხარტე და, თუ შეიძლება ითქვას, მოქნილობა ფაქტია. სილაღეს, რომლითაც თხრობის ეს სახე მკითხველს ხიბლავს, ხელს არ უშლის მწერლის მიდრეკილება ენის არქაიზაციისაკენ, რასაც თავისი ახსნა აქვს³. მხედველობაში გვაქვს საბას ეპოქისათვის ალბათ უკვე არქაული გრამატიკული ინვენტარი (-მან დაბოლოება მოთხრობითში, -ის დაბოლოება დინამიკური ვნებითის აწმყოს მწკრივის მესამე პირში, ნართანიანი მრავლობითი, წრფელობითი ბრუნვა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისა...). ამ მხრივ ტიპურია იგავ-არაკო „მეფე და მისი სამი ძე“:

ერთი მეფე იყო დიდებული და სამი ძე ეყო.

თქვა მეფემან:

— გამოესცადო შეილნი ჩემნი, რომელსა აქვს სამეფო ჰქუა?

ჰკითხა სამთავე: რა უფრო კეკლუცია, რა უფრო მსუქანია და რა უფრო მალიაო?

უხუცესმან ძემან მოახსენა:

— ცოლი ჩემი კეკლუც არს, ცხენი ჩემი მსუქან და ქორი ჩემი მალ.

მათი მჯობი არსად იპოვების.

მამამან უთხრა: მეფობამან ვერ გიხილოს შენაო!

საშუალმან თქვა ფერობა მამისა და მოახსენა: დედოფლის ულამაზესი, მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შევარდნის უმაღესი არა იქნებისო.

მასცა უბრძანა მეფემან: სამეფო წილი არა გხედესო!

ჰკითხა უმცროსსა და თქვა: გაზაფხულის უკეკლუცესი, შემოდგომისაგან უფრო

³ ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, 1959, გვ. 38.

უმსუქნესი და თვალთავან უფრო უმაღლესი არა რა იქმნების პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო.

მოეწონა მამასა და სამეფოდ იგი შეინახა (51).

დიალოგი, სადაც საუბარი კითხვა-მიგების ფორმულების თანხლებით მიმდინარეობს, სწრაფი და დინამიკურია. ცხადია, კიდევ უფრო სწრაფი და დინამიკური უნდა იყოს იგი კითხვა-მიგების ფორმულების გარეშე. იხ., მაგალითად, ნაწყვეტი იგავ-არაკიდან „დარბანდელნი მთიბანნი“:

...ელის ტარს ჩააბრუნდინან:

— აქამომღე ჩემიაო!

— არა, ჩემია, სამანი ესე არისო! (73).

მაგრამ ამგვარი დიალოგი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში იშვიათობას წარმოადგენს.

3. მწერალი უფრო ხშირად შერეულ თხრობას მიმართავს. კერძოდ, საუბარში რთავს დიალოგს და იგავ-არაკის პერსონაჟებს ალაპარაკებს. თხრობის ეს სახე, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ ესადაგება იგავ-არაკის ბუნებას და ორგანულიც არის საბაბს სტილისათვის. იხ. ტიპური არაკები:

დათვი და მონადირენი

ორნი ამხანაგნი ნადირობდენ. ხევი იყო და ხეეს გაღმა-გამოღმა რონინებდენ. ერთს ამხანაგს დათვი შეშოეკიდა. ქვეშ ჩაიდვა. მეორე ამხანაგმან უყვილა: გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძსო. მან დაუძახა: დათვი არ მიშეებს, თეარა მე წელანეე გავუშეებლიო (81).

მეხილე და მწყემსი

ბაღდადის ქალაქსა წესი იყო. რა მეხილესთან კაცი მივიდის და ორი ფული მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შექამის. ერთი გარეთმყოფი მწყემსი მივიდა, განწყებული მისცა, დაჭდა და ნახევარ მარჩილისა ხურმა შესქამა. მეხილემ უთხრა: ძმო, ბერს ნუ სქამ, გულს დაგწყავსო. მწყემსმან უთხრა: შენ ნუ იურვი. ვისცა გული დაეწესი, მე ვიციო! (47).

სოფლის მამულებელი

ერთი ძალი და ერთი მამალი დაძმობილდენ: სოფელი ავაშენოთო!

ძალმა უთხრა: როგორ ავაშენოთო?

მამალმან უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.

წავიდენ ტყეში. ძალმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჭდა, უვილი დაიწყო. მელს ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა: მანდ რასა იქმო?

მამლმან უთხრა: სოდელს ეაშენებთო.

მელმან უთხრა: ჩამოდი, სახლის ალაგი მომიზომეო!

მამლმან უთხრა: მამასახლისი მანდა წეხს, გააღვიძე, ეგ მოგიზომსო!

მელი მამლის ნდომითა სცდა და ეელარა გაიგო რა. ძაღლთან მივიდა, მამასახლისობით უხმო: ადე, სახლის ალაგი მინდაო.

წამოდგა ძაღლი, მელს გამოუდგა, დაჩეჩკვა და კუდი მოსწყვიტა. დაკოდილი წაიქცა. გაგლეჯილი, ნათრევი გორაზე წამოდგა და დაუძახა: მე ხომ ჩემი კუცისა დამეპართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო! (28).

4. „სიბრძნე სიცრუისას“ გადაკითხვა საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ სულხან-საბა ორბელიანი ჩინებული მთხრობელია. ეს უნარი კი ყველა დროში იყო და ახლაც არის მწერლის ოსტატობისა და ნიჭიერების ერთ-ერთი საზომი. მკითხველის ცხოველ ინტერესს იწვევს თხზულების პერსონაჟთა პაექრობა და ის დასკვნები თუ შეგონებები, რომელთაც ისინი გვთავაზობენ, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველია თხზულების ვირტუოზული ფორმა. თქმული ეხება როგორც „ჩარჩოს“, ისე კრებულის ძირითად ნაწილს, იგავ-არაკებსა და სხვა მასალას, რომლებიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მათი ხიბლი, მარადიულ პრობლემურობასთან ერთად, უზადო ფორმითაც არის შეპირობებული და კიდევ თხრობის ბუნებრივი მანერითა და დინამიკურობით, რომლის ერთ-ერთი პირობა ზმნური ფორმების სიმრავლე და მრავალფეროვნებაა. ეს თავისებურება „ჩარჩოსთვისაც“ არის დამახასიათებელი. მაგალითისათვის დავასახელებთ ლეონის მსჯელობას მეფის მოვალეობის შესასებ უფლისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წინაშე (41). აქ მწერალი არა მარტო უხვად იყენებს ზმნებს, არამედ ვირტუოზულად არჩევს სინონიმურ, შინაარსით ახლოს მდგომ ფორმებს. დასახელებულ პასაჟში ავტორი ერთხელაც არ იმეორებს ზმნას, ყოველ ფრაზაში ახალ ზმნას გვთავაზობს, რაც მკითხველზე შემოქმედების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. ეს ზმნებია: უყვარან, დაიმადლებს, ინატრიან, იქენებენ, ნდომობენ, იღვწიან, ითხოვენ, ინდომებენ, ინებებენ, ინატრებენ, ივედრებიან, იხვეწებიან.

ამრიგად, თხრობის დინამიკურობის ერთ-ერთი პირობაა ზმნური ფორმების სიმრავლე. საბაას წინადადება მინიმალურად არის დატვირთული წევრებით, აქცენტი გადატანილია მოქმედებაზე, რომელიც თვალის დახამხამებაში იცვლება სწორედ ზმნური ფორმების მეშვეობით,

ა) ჩვენი დაკვირვებით, სულხან-საბა ორბელიანი განსაკუთრებულ მიდრეკილებას აკლენს მარტივი, ერთგვარშემასმენლიანი შერ-

წყმული და რთული თანწყობილი წინადადებებისადმი. იგი უმთავრესად სწორედ ასეთი წინადადებებით მოგვითხრობს. ზმნური ფორმების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით სწორედ ეს კონსტრუქციები გამოირჩევა. ამაზე ზემოთ საილუსტრაციოდ მოხმობილი იგავ-არაკებიც მეტყველებს. ამის დასტურია ეს მაგალითებიც:

უკავშირო შეერთება

ნოვადე ერთსა სახლსა. მარტო ღიაი იყო. კარი არ გამოლო, სახლად არ შე-
მიყვანა. ღამე მესწრა. ღონე არა მქონდა, კარზედ მიეყარდენ (100); ქუდი თავს
დაირქვა. სასანთლე უბეს ჩაიღვა, მაშია ჩაიკვა, ფერხი მიწას ჰკრა (100); აიყვანეს-
მაგისტროსი, შეიყვანეს, დააწვინეს, მკურნალნი დააყენეს. ეერა უწამლეს რა (121);
წამოველ მუნრთაჲ. დამხვდა ზღვა. ჩაეყე ნაჲად. ამიღვა ქარი. ხომალდი დაგვემ-
სხერა. ყოველნი მონაგებოთურთ დაინთქნენ. მე ერთ ფიცარს შეერჩი. შვიდი დღე
და ღამე მატარა (93); მან კაცმან არ დაიჭერა. წარყვანა, მოთხარეს, ნახეს, საფლავ-
ში არ იყო (90); ღიაცმან ცეცხლიდამ ფუნთუშის პურები ამოიღო, კიღობანში ჩა-
დვა. ცოტა ხანი გამოვიდა. მის სოფლის მამასახლისი მოვიდა, ღოქით ღვინო და-
ერთი ნაშაღი ბატი მოიტანა. ღვინო და ბატი სარკმელში შედვა. დასხდეს, მცირე
იალერეს. კარზე ერთი ცხენოსანი კაცი მოადგა (100).

- ზოგჯერ კონსტრუქცია ფაქტობრივად მხოლოდ ზმნებით არის
შედგენილი. იხ. ნიმუშები:

აბანეს, შემოსეს, გამოასვენეს (10); მიველ, ენახე, თავზარი დამეცა (39);
გაჲამთელე. მორჩა, გასუქდა, გაკეთდა (92); კარგა დამხვდენ. გამათბეს, მალხინეს,
გამანებოერეს (94); გაპრო, დასვა (104); გაბრუნდა, წაჲიდა (105); დამოყარდენ.
ღიღად გაიწყენენ (112).

და კავშირიანი შეერთება

არ დაუქერე. შეეყე, წაჲელ, ვირი აბანოს კარზე დავაბი და მე შინ შეველ-
(98); იამა სნეულსა, მოიხმო და მაჲა აჩენა, უწამლა და მორჩა (88); აზო-
ძრენენ ამდენი კაცი გოგრიდამ, ჩავსივნენ ქალაქს, ვირიცი და საფქველიცი წაარ-
თეეს და მომრტანეს (98); ეფუხი ნადირობად იყო. მოვიდა ნახა, ღიღად ეუცხო-
ვა და ღიღად შეშინდა (61); მერმე სიღედრი შინ წაჲიდა და სიძე აწჲი-
წაიყვანა. იგი ღიაიცი უცხენოდ მივიღოდა, მათი სანუზლე გოდორი ზურგზე ეჲიდა.
სიძე ცხენს მიჰკენებდა და ეერ მიეწია (104); სრედრმან მოიხედა, სიძე და-
ვარდნილი ნახა, დადვა, აიყვანა, ცხენით გოდორში ჩასვა, აიკიდა და წაგვასხა
(104).

ბ) თხრობის დინამიკურობას ვერ ანელებს თვით ქვეწყობაც კი-
ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის რა კავშირიანი დაქვემდებარების
შესახებ. ამ შემთხვევაში მთავარიცა და დამოკიდებულიც, რომე-
ლიც დროის გარემოებითა, მინიმალურად არის დატვირთული
წევრებით. აქცენტი აქაც ზმნურ ფორმებზე კეთდება. მაგალითად:

რა თხას ველზე დანა დააქირეს, დიდი დაიბლავლა (89); რა დაღამდა, შეიღა (146); რა გააღება, შევა (107); რა შეწუხდა, ხელი ხრმალს მიჰყო (55); რა შინ შევიდა, აიყარა და გარდაიხეწა (58); რა დათრო, თქვა ბრძან (55); რა დაღამდა, ერთი ცალთული კაცი მოვიდა (105); რა დაღამდა, ქალი ზეწარში გახვეული შემოვიდა (108); რა რიერაი შეიქმნა, ქალი აგრევ წავიდა (108); კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო (68); რა ყადს მისი წიგნი მოუვიდა, დია იწინა (150).

თქმული ვრცელდება სხვა ტიპის ქვეწყობაზედაც, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ყურადღება მოქმედებაზე მახვილდება. მაგალითად:

თუცა კამოს, მოკედეს და თავისუფალ ვიქმნაო (91); რადგან მეყმე, კარგად დაგარჩენ (62); თუცა მაძებარი მოვიდეს, სხვა სიტყვა უთხრან (63); თუ ზაფხული იყოს, ციდი ანული მოიხენისო (64); ეგოღენი კარ, რომ მიამკვდარო (132); ვინცა მასთან მივიდის, ხილი მარათვის (142); მე თუ მიბრძანო, გამსახუროო (143).

გ) ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოებაც: იგავ-არაკებში საკმაოდ ხშირია რთული ქვეწყობილი წინადადებები. ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ, ჯერ ერთი, საკმაოდ ხშირია უკავშირო შეერთება⁴. თანაც ბევრია ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადება, სადაც ან კორელატი აკლია, ან წევრ-კავშირი თუ საკუთრივ კავშირი. ცხადია, ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს იგავ-არაკების სინტაქსურ ქსოვილზე, აძლიერებს თხრობის სიმარტივის შთაბეჭდილებას და ტექსტს სასაუბრო მეტყველებასთან აახლოებს. იხ. ნიმუშები:

კორელატიანი, მაგრამ უკავშირო ქვეწყობა

მელი და მისი მოწამე ისე გახადეს, შარშანდელიც დაიფიწეს (132); ჩემი ვირი ასე კეკიანი იყო, კაცი არ უნდოდაო (137); ასრე სძულდა ქოსა კაცი, მის სახსენებლს ვერაინ ახსენებდა (141); ეგოღენი კარეს, შებნდა (141); ეგოღენი სცა კულითა, მედარსა დაამსგავსა (43); აზომ შეწუხდა, მიწას გლეჯა დაუწყო (111); ერთი მარჩილიც გეზოძა, იმასაც დაიშალეუბდი (115); ეგზომი განძი აჩვენა, მეფეს არა ჰქონდა იმღენი (114); მას ღამეს ასეთი თოული მოვიდა. მთა შეიკრა (117); სამი დღე ესეთი ღზინი აჩვენეს, უკეთესი არ ეგებოლა (35); მანამდის არბენინა, სადგომს მიიყვანა (27).

კავშირიანი, მაგრამ უკორელატო ქვეწყობა

ვირემდის მელი ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა... (132); ვირემდის შენთვისაც შინდის ჯოხს არ მოსკრიან, შენს მანკერს ენას ვერაინ დააღუებს

⁴ დ. გეწაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცურისას“ და „ვერობაში მოგზაურობის“ ზოგიერთი სტილური ნრშანი, თსუ შრომები, 6—7, 1974, გვ. 127.

(132); ვირემდის ხელი არა სტატეს, ვერა შერტო რა (116) [შდრ.: მუნამდინ შვილი კარში არ გამოუტევა, ვირე ვაქარი არ წავიდა (118); მუნამდის სცა, ვირემდის სულობას მიდგებოდა (132)]; ჰყვა კაცი ერთი ავსრცევა, რომე მისის პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდის (32); მივიდა, სადაც ტანი ებანა (119); ვინც მოუკლაობას ამბობს, ამას იტყვის (110); მე კრომელიც მნებაუს, გამოვარჩევო (119).

5. ამრიგად, საბას იგავ-არაკებში მოქმედება სწრაფად და დინამიკურად ვითარდება, რასაც რამდენიმე ზემოაღნიშნული ფაქტორი განაპირობებს. მაგრამ შეიმჩნევა ტემპის შენელების ტენდენციაც, რასაც ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ ან თანწყობილ წინადადებაში და კავშირის ხშირი გამოყენება, უკეთ, ყოველი შემასმენლის წინამავალ შემასმენელთან და კავშირით მიერთება უწყობს ხელს. წინადადების აგების ეს ხერხი ახალი არ არის. იგი დამახასიათებელია სასულიერო მწერლობის სტილისათვის. სულხან-საბა ორბელიანი მას თავის „სწავლანშიც“ მიმართავს⁵. ამ გზით მწერალი ანელებს თხრობის ტემპს და ერთგვარად საზეიმო განწყობილებას ქმნის. ამავე მიზნით იყენებს იგი და კავშირის „სიბრძნე სიცრუისას“ ე. წ. „ჩარჩოს“ ენაშიც. მაგრამ და კავშირის ამგვარივე გამოქნება არც სასაუბრო მეტყველებისათვის არის უცხო. ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოსაუბრეს გზადაგზა ახსენდება სათქმელი და უკვე თქმულს ახალ დეტალებით ავსებს. მაგრამ სულხან-საბას იგავ-არაკების ენაში და კავშირის სტილური ფუნქცია უფრო ეკისრება. აქ იგი თხრობის ტემპს ანელებს. მაგალითად:

შერწყმული წინადადება და კავშირით

შეუშვა აქიმი და გარეგან კარი დაკლიტა და საქმარზედ წავიდა (109); მოლამ ღორის ქაშანზე დიდი ორმო ჩათხარა და ლელი წაპხურა და წამოვიდა (73); ძე შენი დაკალ და მისი ღვიძლი ჰამე და მორჩებიო (89); შევიდა სახლად და ამოიღო სასანთლე და ანთო (99); ძველთაგან ვისმე ერთი კლდე გაუხერეტია შიგ დიდს მთაშია და შიგნით კამარებით... ერთი დიდი რკინის კარი შეუბამს და ასეთი ტილისმა დაუეს (107).

თანწყობილი წინადადება და კავშირით

თურე მამის აგებულება ჰქონდა და ძვირფასი წამალი არ იშენია და ამით ძორჩა და დედ-მამას მთელი მიპგვარა (90); ზღვაში ნავსა ჩამსვა და გამომი-

⁵ მ. კობალაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ სტილის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 1, გვ. 65.

სტუქია და წამოველ (95); აწ მე მუნ ვიყავ და ამბავი მივიდა და მე კი თვალთ არ მინახავს (107); დღესა ერთსა მეფის ასული აბანოდ შევიდოდა და სარკმლით დავინახე და მას ვეტრფიალე (108).

6. „სიბრძნე სიცრუისას“ სინტაქსურ ქსოვილში ყურადღებას იპყრობს ერთი თავისებური უკავშირო კონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს რთულ ქვეწყობილად. საქმე ისაა, რომ წინადადებაში, რომელსაც მთავრად მივიჩნევთ, არ არის წარმოდგენილი შეშასმენელი, რომელთანაც უშუალოდ იქნებოდა დაკავშირებული დამოკიდებული წინადადება, ამ შემთხვევაში — დამატებითი⁶. მაგალითად:

„წამოვიღე დაღონებულმან: „გამომადგება-მეთქი“ (98). სალიტერატურო ენის ნორმატიულობასა და მოწესრიგებულობას თუ გავითვალისწინებთ, მთავრად გაგებულ წინადადებას აკლია შეშასმენელი, რომლისთვისაც „გამომადგება-მეთქი“ დამატებითი დამოკიდებული წინადადების მნიშვნელობას შეიძენდა. ეს შეშასმენელი აქ შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, „ვიფიქრე“. მაშინ კონსტრუქცია ასეთ სახეს მიიღებდა:

წამოვიღე დაღონებულმან, ვიფიქრე: „გამომადგება-მეთქი“. გამოტოვებული ზმნა-შეშასმენელი, როგორც წესი, ან „მეტყველება-წრისაა“ (ვთქვი, ვუთხარი...), ანდა — „ცნობიერება-წრისა“ (ვიფიქრე, მივიჩნიე...). ქვეწყობის ასეთი თავისებური სახე იგავ-არაკებში საკმაოდ ხშირია. მას სასაუბრო მეტყველებების სურნელი შემოაქვს თხრობაში და, ამდენად, ძალზე ფასეულია. იხ. სხვა ნიმუშები:

ყოველმან ყსაბზან ნახეარი მარჩილი აძლიევს: ეგ თხა მე მომყრდელი (42); ცოლმან დამიშალა: ნუ იწვევო! (98); მე ბეერი მიზეზი დავიდევ: ვიდრე მარნის კლტეს არ მომცემ, არ იქნება-მეთქი (97); კლდე დამანახვა: მას კლდეს მიაყრდენ და კარი გაუღებო (97); ქორი წაეტანა: ამასაც დაეღუერო (148); ერთი ძალი და ერთი მამალი დაძმობილდენ: სოფელი ავაშენოთო (28); გასცა ყოველი თვისი მონაგები და პური იყიდა: მომავალსა წელსა უკეთუ დამკირდეს, ერთსა სამ-ოთხად გავეყიდიო (14); პირველადეე პური და ბრინჯი მოიპარა: არამც ცოტა მერგოსო (15); ცოლმან ზუზუნით ორი მკადი მოიღო და მოსცა: საკმელი ვინ მომცა, შუაღამეაო (101); ღვინის პატრონი ეშულეზოდა: სულ რატომ შემისვიო (104); მე ერთი ქორი მომცა, სამოსელი შემმოსა, ნუზლი მომცა, ინდოეთამდინ მიმიყვანა:

⁶ რთული წინადადების ეს ტიპი შემჩნეული და აღწერილი აქვს თ. ი ნ ქ ი ა ს. იხ. მისი „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ ენა და სტილი, საქანდილატო დისერტაცია, 1974, გვ. 153.

„არაინ ვაწყინოსო“ (106); სამკალად აწვიეს და არ წავიდა: სამუშაო შინ მისო, გარ რად ვიშეშაოო (112); შეუტყო მელმან, გაეკცა და თავსა აბრაღა: დაეაშავ, მოვარჩინო! (114); სხვა მათ კაცთ მისცა: მე ეს მეყოფაო (117).

იგავ-არაკების სტილისათვის დამახასიათებელია უკავშირო-რთული ქვეწყობილი წინადადების კიდევ ერთი ტიპი, რომელშიც დამოკიდებული მთავარში დაფიქსირებული აზრის მიზეზს, მიზანს ან შედეგს გამოსატყავს, ან კიდევ ავსებს, ხსნის და განმარტავს მთავარ წინადადებაში გამოთქმულ აზრს⁷. აქაც შემოადინებული სემანტიკის მქონე ზმნების ელიფსისი ივარაუდება. მაგალითად:

მერმე შტოებს დამამტრევენ, ზოგს დასწენ, ზოგს კოლოფებად აკეთებენ: ჭა კარგი ხეაო (113); ზამთარ-ზაფხულ სულ კაცთათვის ემუშაობ, დამაწვენენ, დამკლენ: რაო და, სტუმარი მოგვივიდაო (114); მერმე მან კაცმან ის მელა აღარ დაინდო და შუბის შეეცმა მოინდომა: კარგი რამ ბეწვი აქვსო (114); მასვე ღამეს წაუილდენ: ხეალ ჩვენმან ძმამ არ დაგვასწროსო (127).

ჩვენი შეხედულებით, ასეთი ელიპტირებული კონსტრუქციების რთულ ქვეწყობილ წინადადებად ჩათვლა არ იქნებოდა გამართლებული. მიზეზი ერთია: მთავრად და დამოკიდებულად მიჩნეულ წინადადებათა შორის არ არის სინტაქსური კავშირი, არ არსებობს ქვეწყობის ნიშნები და არც მათი აღდგენა ხერხდება. კავშირი მათ შორის მხოლოდ აზრობრივია, რაც არ არის სინტაქსური კატეგორია. ჩვენი აზრით, ამ კონსტრუქციების სახით საქმე უნდა გვქონდეს სხვათა სიტყვასთან. ეს არის პირდაპირი ნათქვამი მოსაუბრის ფორმულის გარეშე.

7. მეტყველების ეკონომია „სიბრძნე სიცრუისას“ სტილის დამახასიათებელი ნიშანია. ეს განსაკუთრებით ეხება იგავ-არაკებს, რომელთა უმრავლესობა ეკონომიური სტილით არის შესრულებული. ეკონომიურობა ვლინდება წინადადების წევრებით წინადადების მინიმალურ დატვირთვასა და დამოკიდებულ წინადადებათაგან თხრობის განტვირთვაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება:

ა) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაცვლად მარტივი წინადადების, კერძოდ, მასდარული კონსტრუქციის გამოყენება. შეინიშნება ორი შემთხვევა:

⁷ ა. შანიძე, ლ. კვაქაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, VII—VIII კლასების სახელმძღვანელო, 1982, გვ: 113—114.

თუ მთავარსა და დამოკიდებულში მოქმედება ერთდროულია, დამოკიდებული წინადადება ნანათესაობითარ მიცემითსა და უთანდებულო მიცემითში მდგარი თანა, ზედა/-ზე ან შინა/-ში თანდებულებანი მასდარით იცვლება. სწორედ ასეთი მასდარული კონსტრუქცია არის საკმაოდ ხშირი იგავ-არაკებში:

ღმერთმან ქათმის ყვილი გათენებისას ბრძანაო (26); გასრულებასა წლისასა მრავალი ქონება ზედა (15); დასრულებასა ლოცვისასა წარვილა ესეცა (22); განწმენდასა ჩემსა თანა შემიტა ხელი (37); თხოვნასავე თანა ზოკელა (39); სელასა შინა მეკობრენი შეხედენ (15); ბასრელს მედეს საქმლის კამასა შინა ყიას ძვალი დაეხირა (88); შეცილებასა ზედა გაელეიძა კაცსა მას (12).

ძველქართული თანდებულები ანელებს ამ კონსტრუქციების ხალხურობის აღქმას. შთაბეჭდილება სხვაგვარია, როცა მათ -ზე და -ში თანდებულები ცვლის. მაგალითად:

ბაღდადის ბალითამ ინაღირა და ცხენის ჭენებაში დიდებულთა მოსილდა (33); ...თუარა რა ჩვენს მზერაში თქვა ეს ამბავიო (127); რბენაში ცხენი დამიჯარდა (37); თურე შიტეეებაში ქულის საფხუწი ვერ მოუეფონე (96); გაგდებაში თავი მომეწყურტნა (96); ამ გულისტქმაში შეშა აუღვა (125); შეცილებაზე წავიდენ ყადთან კითხვად (43); წლის გასრულებაზე წამოვიდა თვისსა თემსა (119).

იხ. წინადადება, სადაც მასდარული კონსტრუქცია და დროის გარემოებითი დამოკიდებული ერთ წინადადებაშია მოქცეული:

ამოტანაში ხენეშოდის და, რა დააგორის ლოდი, იცინოდის (98).

იგავ-არაკებში იშვიათად გვხვდება -მდე/-მდის თანდებულებანი მასდარული კონსტრუქციაც. იგი ცვლის რთულ ქვეწყობილ წინადადებას, სადაც დროის გარემოებითი დამოკიდებულ უწინარესობას გამოხატავს:

ეგოდენსა მოგემ, დასასრულამდე გეყოს (97); გათენებამდის ძილი არ მომსელიაო (126); ვირე ლოცვის დასრულებამდე ნუ წახუალ (21).

უკანასკნელ შემთხვევაში შენარჩუნებულია ვირე კავშირი, თუმცა იგი აშკარად ზედმეტია.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მონაცვლეა მიმღებური კონსტრუქციაც. მაგალითად:

მიმავალმან ... ნახა (13); მიმავალსა ესმა რეკა (22).

მწერალი საკმაოდ ხშირად მიმართავს ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარის შემცველ კონსტრუქციას, რომელიც მიზნის გარემოებითი დამოკიდებულის მონაცვლეა. მასდარული კონსტრუქციის ეს სახე ძველი ქართულიდან არის ცნობილი. ცხადია, სულხან-საბას იგავ-არაკების ენაში ასეთი მასდარი პირმიმართ დამატებას ვეღარ შეიწყობს, მაგრამ დაქვემდებარებულ წინადადებათაგან ტექსტის განტიერთვას კი ხელს უწყობს. მაგალითად:

თელნი გამოიღო განსყიდვად (15); მე შეესძახე გაგდებად (36); თუა მეფე იყო, კაცობა ვაგზავნა პოვნად (41); შეცილებაზე წაიღენ ყაღ-თან კითხვად (43); შევიდა მარანსა თვისსა ნახვად ლენისა (70); მამა ჩემი შოვა ძებნად (97); წარვიდა მის კაცისა ნახვად (8); ...მეხრმლეთ მისსა სიყვდილად (9); გავიდა მეფე და ყოველი ერი ქერეტად მისა (19).

დასახელებული მასდარული კონსტრუქციის სინთონიმური ოდენობაა -თვის თანდებულისანი საწყისის შემცველი მარტივი წინადადება. მაგალითად:

მას კაცსა ვეღერა მისი სალაროს ჩვენებისათვის (33); შენ უწყვი, ჩემისა სიგლახაკისათვის კქმენ ესე (69); იცოდა, რომ სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა (31); ახლა უბრალობისათვის ქურქის დაშხამა ცნობა (127).

იგავ-არაკებში ავტორი ფართოდ უღებს კარს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მონაცვლე მიმღებურ კონსტრუქციასაც, რომელიც თანამედროვე ქართულში ფართოდაა გავრცელებული. მით უფრო ფასეულია იგავ-არაკებში მისი ხშირი გამოყენება. მაგალითად:

ჩემსა დასაწავად სხვათა ხარი, ანუ მუშა არა დაშერეს (18); წაიღო მთაში გასასუქებლად (137); მოსცა აქიმსა დასაკლავად (89); მე კიდე წაშლის მოსატანად მივალო (44); მას სახლს სევეტნი გამოუყარა თავს დასაქცევად (105); ვაზირმან მრავალი ხელარგოსანი კაცი შეყარა ხელის საძებრად (108); ყაზან-შაჰის სპასალარი თემის ასაწერად იარებოდა (140); თავისი გამზრდელი კატა შესაქმელად მოინდომა (135)...

გ) „სიბრძნე სიცრუისაში“, კერძოდ, იგავ-არაკებში ხდება სინტაქსური ქსოვილის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებათაგან განტიერთვაც. მათი მონაცვლეა განკერძოებული მიმღებური კონსტრუქცია, რომელსაც საბა საკმაოდ ხშირად მიმართავს. მაგალითად:

ერთი დიდი ფილოსოფოსი იყო, ყოველითა სიბრძნით შემკული (80); ერთი სხვა კარგი მხატვარი იყო, ხელოვნების მჩემებელი (84).

ნახა შვიდი აქლემი, აბრეშუქით დატვირთული... (56); ნახა ვინმე თათარმან გზირი, ხეზედ კიდეებული (47); ერთგნით ცხელარი ეგო, ერთგნით ტაბლა, ყოვლის სანოვაგით საესე (94); ნახეს კაცთა კაცი იგი, ღამე პატრონის ბედელსა მავალი (15); ვნახე, მონა ჩემი, მასთან მქდომი, ემღეროდა (37).

გვაქვს პარალელური კონსტრუქციებიც ერთ წინადადებაში:

თუცა პირელი, დამამკლობელი, დაუტეოს და, რომელმან გაასუქა, მას გაჰყვეს, ორგულ არს (11).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მონაცვლეა წინადადებაში მოქცეული, ე. ი. განუკერძოებელი, მიმღებობური კონსტრუქციაც, რომელიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება იგავ-არაკებში. მაგალითები:

მოვიდა კაცი იგი მომპარავეი (49); რა სხუთ დაქინათ, იგი მომპარავეი ფერხს მოეხვია (57); მის აქლემების მამებარი კაცი შემოეყარა (56); თქვა მან მრავლის მქონებელმან მდიდარმან (73); რა ეს ესმა გარემდგომსა მას ინდოსა (77); მეფე ვინმე იყო დიდებული, მოღბინე, უხვი და ყოველთა ურჩთა მისთა შემადრწუნებელი (35); დღესა ერთსა მოლა ნახეს სხვისა ღიაცისა თანამწოლი (24); ერთმან მათგანმა იცნა პატრონი მისი ქვეგავლილი (9).

მიმღებობური კონსტრუქციით ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებათაგან ტექსტის განტვირთვაც ხდება. მაგალითად:

მნახავს მღვარი წყალი ეგონებოდა (85); მწყემსი მოვიდა, განწესებული მისცა (47); მან ყოველივე ყოფილი მოახსენა (34); ყოველი ყოფილი შეიტყვეს (43); შეიღს მართებული ასწავლა (50); მან ყოველივე სათხოვარი მისცა (13); ესე ყოველი გარდასაველი თვისი უამბო (15); ყოველივე ნახული ათქმევინა (22); კაცი იგი ნახა და დაბარებული უამბო (133).

საინტერესო ჩანს დამატებითი დამოკიდებული წინადადების მონაცვლედ მასდარული კონსტრუქციის გამოყენებაც, რაც დამახასიათებელია „სიბრძნე სიცრუისას“ შემადგენელი იგავ-არაკების სტილისათვის. მაგალითად:

ბრძანა მეფემან კაცისა მის ჩამოშეება და პატიმრად შენახვა (109); ორისავე დახოცვა არჩიევს (110); ენებთ მეორეს დღეს ყალბს მბობა და დახოცვა მათი (150); ჩანთქმა ეგონა (105); მერმე მან კაცმან შუბის შეცემა მოინდომა (114); ახლა უბრალობისათვის კურკლის დაშხამეცა აცნობა (127); მათ ძმათა მის წახდენა მოინდომეს (127); რა ცოლმან თქმა

უთხრა... (132); ვინც მოუკლაობას ამბობს, ამას იტყვის (110); უშლიდა ვაზირი, არათქმასა ეტყოდა (28); ბრძანა ხალიფამ წასვლა მწერლისა და აღწერა (34); ენება ხილვა ჩემი და შეგონება (38); ჩემი წერაქვის დაჭერებას ეეცადე (38); მე შეგონა სხვის სყიდვა და მსგავსება (39); ვუთხარ მსგავსება მისი (39); ეფიციებოდა მრავლის მიცემასა (44); ამცნო შენახვა და შეილის არათქმა (50); მოახსენა... უცხოსა და შევენიერსა აღვილსა ნახვა შამისა მისისა, დათხოვა ვაზირისა და ეგრეთვე გამოშვება (18).

მასდარი საკმაოდ ხშირად აბსტრაქტული სახელით იცვლება. მაგალითად:

რა უბრალობა შეიტყო, სწორ თავისა ჰყო (22); სენა აქლემის პატრონობა (63); ჰითხა ეინაობა და ეითარობა (69); ვაზირი სიტყვას შეეცლა, თავისი დიაცობა და ყრმის შობა უამბო (110); შენ ამაზე უშვილობა ვითხრა (118); ყადმაყ თხოობა ბრძანა (43); მის კაცის სიბრძევე შეიგნა (137); რა შეიგნა მისი შეილობა, ყელს მოეხვია (141); იქ რომ შენ პატრონობა თქვა და მე ყმობა, არამც სირცხვილი იყოს... თუ შენ დამოყრებ, შენ ჩემი ყმობა თქვი და მე შენს პატრონობას ვეტყვიო (142); ჰითხა სადაურობა და ეინაობა (8); დააიწყადო სიმკლე და ზურგის სიმკლე მათი (54).

სხვათა შორის, მწერალი საწყისებს (resp. აბსტრაქტულ სახელებს) ძალიან ხშირად იყენებს ჩამოთვლისას, როცა საჭირო ხდება მოქმედების ან თვისებების მრავალფეროვნების წარმოჩენა. მაგალითად:

მათ ყოველივე მოახსენეს: მეფობისა ქება, დამე სიარული და ლამპრის უკან მიყოლა (147); მან ყველა უამბო: სახე მისი, ოთხფერხოება, ყურდილობა და ხმამაღლიობა (62); ყვაილთა ფშევანი, ხილთა ფხვრანი, მფრინველთა ხმანი, ლეინთა სმანი შეიწყობოდეს (35).

უეჭველია ასეთი კონსტრუქციების სტილური ღირებულება. ისინი ლაკონიური, ამასთან, გამომსახველი და ხატოვანია. თანაც, მათი მეშვეობით თხრობის ტემპი ჩქარდება, მოკლედ ითქმის ის, რასაც რამდენიმე წინადადება დასჭირდებოდა. ასე რომ, ამგვარად აგებული წინადადება აზრობრივად ტვეადია და არც სიმსუბუქე აკლია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სიმსუბუქეს, რაც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების სტილისათვის არის დამახასიათებელი, სახელწმინდეები მაინც უშლიან ხელს. ისინი აშკარად ამძიმებენ თხრობას, როცა საბა მათ ხელოვნურად აწარმოებს. მაგალითად:

ექვსთა ვაზრთა ფუცეს უსმენლობისათვის მსგავსისა მისისა (8); მან დღი სთხოვა მოუკლელობისათვის (8); ევედრა მცველთა მათ

მრუკლველობისათვის (9); ეედრებოდა უცნობობისათვის (8); მათ ვაქართა ფიცი უთხრეს მათგან მიცემულობისათვის (16); მე ვიყუ ბნელეთისა პირსა მსახლობელი კაცი (97).

სამაგიეროდ, მიმღობური და მასდარული კონსტრუქციები დაქვემდებარებულ წინადადებათაგან განტვირთავენ სინტაქსურ ქსოვილს და სწორედ ამით არიან ფასეული. ამასთან, მათი არსებობა რთული კონსტრუქციების პარალელურად, რასაც, ცხადია, ვერაინ აარიდებს თავს, თხრობის სტილურ და ენის სინტაქსურ შესაძლებლობათა მრავალფეროვნებაზე მეტყველებს, რომ არაფერი ვთქვათ თავად სულხან-საბა ორბელიანის ვირტუოზულობაზე სინტაქსური თუ სტილური შემოქმედების სფეროში.

ე) როგორც ითქვა, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების უმრავლესობის სინტაქსი მარტივია. სადაც კი შესაძლებელია (ცხადია, სათქმელის შესაბამისად, რადგანაც საბას სტილის გამახვილებული გრძობა აქვს), იგი მარტივ კონსტრუქციებს მიმართავს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებათა მთელი წყება:

თურე ერთი ცუდი წიგნი ეპონა და უბეთა შიგან ეპყრა (56); იყო ერთი უცხო მუშა კაცი სოფელსა ერთსა და ქონებისა მისისა რიცხვი არ იცოდა (133); ერთი საბრალო კაცი იყო, ერთი ანხელი ცოლი ჰყვა (56); ერთი გლაზაკი კაცი იყო, ერთი მკლე ვირი ჰყვანდა (137); მეფე ვინმე იყო ღიღებული, ოცდაათი ეპვი ჰყვა (45).

ყველა ეს წინადადება შეიძლება განსაზღვრებითი დამოკიდებულის შემცველ რთულ კონსტრუქციად მოგვევლინოს რომელწევრ-კავშირის ჩართვით. მაგალითად:

თურე ერთი ცუდი წიგნი ეპონა, რომელი უბეთა შიგან ეპყრა; იყო ერთი უცხო მუშა კაცი სოფელსა ერთსა, რომელმან ქონებისა მისისა რიცხვი არა იცოდა და ა. შ.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაშიც თხრობის მარტივ გზას ირჩევს. სწორედ ეს არის მისთვის ორგანული, თუმცა თხზულების სინტაქსური ქსოვილის სტატისტიკური ანალიზი რთულ კონსტრუქციათა, კერძოდ, დაქვემდებარებულ წინადადებათა სიმრავლეს ადასტურებს⁸.

როგორც დავინახეთ, „სიბრძნე სიცრუისაში“ შემავალი იგავ-არაკების სტილი თავისებურებათა მთელი წყებით ხასიათდება, მაგ-

⁸ იხ. დ. გეწაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

რამ მათი დამოუკიდებელ სტილურ ოდენობად მიჩნევა და ამის გამო თხზულებიდან გამოყოფა შეუძლებელია. შეხების წერტილები ე. წ. „ჩარჩოს“ სტილთან, რა თქმა უნდა, არის და, საერთოდ, „სიბრძნე სიცრუისას“ ცალკეული მონაკვეთების სტილისტიკური ანალიზი, ამა თუ იმ სტილური ხერხის დახასიათება არ შეიძლება დავაცილოთ საბას გენიალურ ქმნილებას, როგორც ერთ მთლიანს. „სიბრძნე სიცრუისას“ განუმეორებლობა, მის შინაარსობრივ მხარეს რომ არ შევეხოთ, სინტაქსურად რთული და მარტივი პასაჟების, ზოგჯერ დინჯი, ზოგჯერ კი სხარტი მონოლოგებისა და დიალოგების, საზეიმო, მაღალფარდოვანი, უხვსიტყვიანი, ბუნებით ექსპრესიული კონსტრუქციებისა და ლაპიდარული, უპრეტენზიო თხრობისა თუ საუბრის მონაცვლეობაშია.

თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი“
(ენობრივ-სტილისტიკური ანალიზი)

თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი“¹ სრულიად ახალი შოვლენაა ქართულ მწერლობაში. ძნელი სათქმელია, რომელ ჟანრს მიაკუთვნებენ მას ლიტერატურათმცოდნენი, მაგრამ სწორედ ის ფორმა, რომლითაც იგი დაიწერა, შესანიშნავად შეაგრძნობინებს მკითხველს ავტორის სათქმელს. სათქმელი კი ბევრი აქვს მწერალს: ბუნებისა და ადამიანის სიყვარული და მათი პარმონიული კავშირის ცხოველი განცდა, სევდა მიტოვებული სოფლების გამო, შიში ადამიანთა სულიერი გაღარიბებისა, რწმენა მშობელი ხალხის ტრადიციული თვისებებით — სიკეთითა და შემწყნარებლობით მისი დაძლევისა...

„წელიწადის დრონი“ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ შეტანილი მოთხრობით — „ოთხი სურვილით“ შთაგონებული წიგნია. თამაზ ბიბილური იაკობ გოგებაშვილის თვალით უყურებს არა მხოლოდ წელიწადის დროთა გარეგნულ სამოსს, არამედ ცხოვრების იმ წესსაც, ურომლისოდაც არ არსებობს წელიწადის დრონი არც ერთ ქვეყანაში. მაგრამ ავტორის აშკარად დიდაქტიკური მიზანდასახულობა თვალში საცემი არ არის: ნაცვლად მშრალი და განყენებული მსჯელობებისა, აქ ერთმანეთს ენაცვლება პატარ-პატარა ეპიზოდები, თანამედროვეობისა და ისტორიის ამსახველი, მთისა და ბარის ამბები, ტრადიციული დღესასწაულები და თამაშობანი, რომლებიც გადმოცემულია მიმზიდველი ძარღვიანი ქართული ენით და გაჯერებულია რბილი იუმორით.

„წელიწადის დრონი“, სათაურის შესაბამისად, ოთხი ნაწილისაგან შედგება. მკითხველის თვალწინ მთელი წელიწადი „გათამაშდება“: წლის ყოველ დროს მრავალი ტრადიცია, დღესასწაული და

¹ თ. ბიბილური, წელიწადის დრონი, „ნაკადული“, თბ., 1989.

რიტუალი უკავშირდება — უძველესი და ახალი, ნასესხები და საკუთარი.

ეს ტრადიციები და რიტუალები მიანიშნებს ქართველი ხალხის მიერ განვილი ისტორიულ გზას და ცხოვრების წესს, როგორც მისი მეობის, მისი თვითმყოფობის გამომხატველს.

თამაზ ბიბილური სწორედ ამ გზისაკენ მოუწოდებს მკითხველს: ეს გზა არ უნდა დაიკარგოს, არ უნდა გამრუდდეს „მამულისა ჩვეულებისამებრ სულაჲ“. მიუთითებს არა მშრალი განსჯითა და დიდაქტივით, არამედ როგორც თვითმხილველი და მონაწილე აღწერილი სანახაობებისა და ტრადიციული დღესასწაულებისა — პატარა-პატარა ამბების თხრობით, იუმორით სავსე ეპიზოდებით, შთამაგონებელი მხატვრული სახეებითა და დოკუმენტური მასალის უსვფ გამოყენებით.

მოვეუსმინოთ თვით ავტორს:

აღდგომა „ქრისტეს აღდგომის“ დღესასწაულია.

ხომ გახსოვთ ჭვარზე გაკრული, რწმენისათვის წამებული ქრისტე?

შემდეგ კი — ქრისტეს აღდგომა?

სწორედ ამ დღის ზეიმა აღდგომის დღესასწაულიც.

აღდგომის კვირა გაზაფხულის ერთ რომელიმე დღეს არ ემთხვევა, იგი მოძრაობს და გაზაფხულის ბუნიობას მოსდევს, ჩვეულებრივად ერთ რომელიმე კვირას, ოთხი აპრილიდან რვა მაისამდე.

დღესასწაული ერთ კვირას გრძელდებოდა და ეს „ნათელ კვირად“ ითვლებოდა, ეიდრე არ დადგებოდა ახალკვირა, ანუ „კვირაცხოველი“.

მზადება დიდი იყო, დიდი ცხოვა პასკებისა, წითლად ღებვა კვერცხებისა, წითლად იმიტომ, რომ ეს იყო დერი ქრისტეს მიერ დანთხეული სისხლისა. კვერცხი კი, ცხადია, იმიტომ, რომ კვერცხია მარადიული ნაყოფიერების სიმბოლო.

კვერცხებს ენდროთი ღებავდნენ. დაბალი მცენარეა, გაზაფხულზე ამოდის, გრძელი, ზორკლიანი ფოთლები მიწაზე აქვს გართხმული. ენდრო რომ ამოგლიჯოთ და ღერო გადატეხოთ, ხელები წითლად შეგვეღებებათ. ამ ენდროს ძირებს ხარშავენ და ნახარში ზუქ წითელ ფერს იღებს, მერე ამ ნახარში ავღებენ კვერცხებს და იმისაც კარგა ხანს ხარშავენ.

ამ კვერცხებით დადიოდით აღდგომა დღეს.

ამ კვერცხებით მოგვეჭონდა თავი...

რაი კვერცხებზე ჩამოეარდა სიტყვა, „ალილო“, ანუ „ქონა“ უნდა გაეჩხენოთ, ქონას ღამე... რაღა თქმა უნდა, ღამე თბალი და მთავარიანი უნდა იყოს, იღუმალი შუკით განათებული, რადგან მთელი შინაარსი „ქონასი“ იღუმალია. ეს წინასააღდგომო ღამეა, ჩამოელა სოფლისა, მილოცვისა და სიხარულის ღამე. ბიჭები იკრიბებიან, ათიოდენი, ზოგი რომელ უბანში, ზოგი რომელში და, რაც მთავარია, კარგი ხმისან. „ქონა“ სიმღერაცაა. მთელი რიტუალი სიმღერით სრულდება და, თუ ვინმემ აურიო, სილაშზე „ქონაობისა“ გაქრება.

ბიჭები მოუთმენლად ელიან დაღამებას. იწყება ჩამოვლა. ჰონას მონაწილეებს ჩვეულებრივად ნიღბებიც უნდა ეკეთათ და ნიღბები მრავალგვარ ხასიათს უნდა გამოხატავენ. ხასიათთა ეს მრავალგვარობა კი საშიხარულო და სახუმარო ელფერს სძენდა ჰონას.

სომერა კი მაინც სიმწყობრეს მოითხოვდა. დააგუგუნებდნენ ბანები და ორი ხმა დასტკებდა. ამ ხმებში ჯერ მილოცვა ისმოდა, აღდგომის მოსვლას ულოცავდნენ ოჯახს, რომლის კიშქართანაც მივიდოდნენ, ბარაქას, სიკეთეს და გამრავლებას უსურვებდნენ. ბოლოს კი ტექსტი იუმორითაც იღვრებოდა: „ალათასა, ბალათასა, ჩამოვკლებ კალათასა, გოგო, ერთი კვერცხი ჩაღე, ღმერთი მოგეცემს ბარაქასა“. და, რაღა თქმა უნდა, გახარებული მასპინძელი, რაკი მეგონებმა აღდგომა მრულოცეს, კალათაში წითელ კვერცხებს ჩაღებდა, თავადაც დალოცავდა და ახლა სხვა ოჯახისკენ გაისტუმრებდა.

იმ დამეს არ ეძინა სოფელს. ყველა ჰონას ელოდა, ყველას ყური იქით ჰქონდა მიპყრობილი, რომელ უბანში აიარეს და ვის კიშქართან მივიდნენ მომღერლები.

თუ ვინმეს მეგონეები უნებურად გვერდს აუვლიდნენ, მასპინძელი ნაწყენი რჩებოდა, რაღაც აკლდებოდა იმ წელიწადს მის „აღდგომას“.

და, რაღა თქმა უნდა, მთავრეც შუალამემდე კარდაკარ დასვენებოდა მეგონეებს.

აღდგომა დღე წითელი კვერცხებით იწყებოდა. კვერცხებს ერთმანეთს ვერტყამდით და, ვისი ჭილაკვერცხიც უფრო მაგარი გამოდგებოდა, ის იყო მაგარი ბიჭი. დამრეც ადგილას ამ კვერცხს ვაგორებდით და ვისი კვერცხიც უფრო შორს წაიდებოდა, გამარჯვებულიც, ცხადია, ის რჩებოდა. იყლებოდა სააღდგომო ბატკანი, იხდებოდა სააღდგომო ზედაზე, ანუ ღვინით საესე ქვევრი, რომელსაც პატრონმა საგანგებოდ ჩაუთქვა (ზოგმა რის გამო, ზოგმა — რისი, ზოგმა სიხარულს დაუკავშირა ეს ჩაუთქმა, ზოგმა მწუხარებას, ზოგმა თქვა, ოღონდ ჩემი ბიჭი ქარიდან სალსალამათი ჩამოვიდეს და ერთ ზედაშეს ჩაუთქვაამო, ზოგმა ვილაყის ხსოვნისთვის გადაინახა სუფთა, თავანკარა ღვინო). ახლა ამ ზედაშეს მოხდიან და საღვთაგანებოებიც, ცხადია, საღვთასასწაულო და საზეიმოა.

მეორე დღეს მივდივართ სასაფლაოზე.

თან მიგვაქვს ის წითელი კვერცხები.

ჩუმად ვართ. წინაპართა საფლავებს ღუმლით უნდა მიეახლოთ. ასევე ჩუმად ეღებთ წითელ კვერცხებს საფლავებზე.

აღდგომის დღესასწაული დასრულდა.

სვედიანად დასრულდა, მამა-პაპათა საფლავებზე...“ (გვ. 77—81).

არანაკლები სიზუსტითაა აღწერილი სოფლური შრომა-საქმიანობა. მაგალითად, პურის თესვა-მოყვანა-დაბინავენა, რასაც თავად ავტორი „პურის მოთხრობას“ უწოდებს, აგრეთვე — ვენახის მოვლა-პატრონობა, ყურძნის მოწვევა-დაბინავენა...

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

სწორედ ეს შინაარსობრივი მრავალფეროვნება განსაზღვრავს თამაზ ბიბილურის ლექსიკის სიმდიდრეს. წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა სახის დარგობრივი ლექსიკა. მაგალითად, პურის მოყვანასა და მის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით გვხვდება:

სახნავ-საკვეთი, პირველი ხნული, გუთნისდედა, ხელეური, ხვა-
ვი, ნამჯა, ულო, მეძნეური, ყანის თავდამძიმება, ნახნავი, გუთანი,
ყანა, ბზე, კვერი, კალო, ძნა, დოლი, თავთუხი, ალოობა, ფრთამოქ-
ცეული და ა. შ.

ოცდაათზე მეტი ყურძნის ჯიშია დასახელებული: ბროლა,
სანთელა, რქაწითელი, საფერავი, თავკვერი, კვირისტავა, მარცვალა,
ხარისთვალა, თითა, ცოლიკაური, სათვალიო, საჩურჩხლე, სამარხო,
ყორნისთვალა, არაგვისპირული, საადრეო, სამაჭრია, შავთხილა,
მტრედისფეხა, მხარგრძელა, მტევანდიდა, დევისთვალა, ჩიტისთვა-
ლა, ძველშავი, კაკნატელა, კრახუნა, მაისა, საღვინე და ა. შ.

...და აქვე ქართველთა კონსოლიდაციის სურვილია გამოთქმუ-
ლი (რადგან ქართველთა მეობის გამომხატველი ვაზის ჯვარი ერის
გაერთიანების სიმბოლო იყო ისტორიულად):

ნეტაე შეიძლებოდეს მათი ერთად თავშეყრა.

ეს იქნებოდა ყველაზე დიდებული საქმო.

ეს იქნებოდა ქართული ვაზის ყველაზე უფრო მრავალხმიანი სიმღერა (გვ. 182).

შინაარსობრივი თვალსაზრისით ეს სახელწოდებები მეტად გამ-
ჭვირვალეა. ამას თვით ავტორიც შენიშნავს:

სახელებში ცხადად იკითხება სადაურობა, დანიშნულება, ხასიათი, ფერი, სურ-
ნელი, გარეგნობა ყურძნისა... (გვ. 182).

გზადაგზა სიტყვათა განმარტებაცაა მოცემული, უფრო კი იმ
ადგილებისა, სადაც ეს ჯიშები ხარობს. მწერალი ტოპონიმებში
გაცხადებულ მნიშვნელობას განმარტავს და ამით მკითხველის ყუ-
რადლებას მიაქცევს საგნის სახელდების მოტივაციასაც:

...სახელებს, ისე როგორც ყოველგვარ სიტყვას, თავისი სიძველის იერი დაპ-
კრავს. რაც უფრო ძველისძველია სახელწოდება, მით უფრო დახვეწილია და ნატიფი
მისი ფორმა, მით უფრო ნათლად გამოხატავს იმ საგნის ან მოვლენის შინაარსს, რა-
საც ოდესღაც დაერქვა. ასეა ვენახების სახელებიც. ამა დააკვირდით: გ ო რ ი ე ე ნ ა
ხ ი — ანუ ის ვენახი, მაღლობზე რომ გაუშენებიათ; დ ი დ ე ე ნ ა ხ ი — ანუ ფარ-
თობით დიდი, რაც იმას ადასტურებს, რომ მის პატრონს მცირე, პატარა ვენახიც
ქონია, შეძლებული კაცი ყოფილა... ქ ა ლ ა ე ე ნ ა ხ ი — თავისთავად გვიმხელს
ადგილს, ქალაში გაშენებული ვენახი ვარო. ძ ი რ ე ე ნ ა ხ ი — ალბათ, ოჯახის მთა-
ვარი მარჩენალი ვენახი, რომლის პატრონსაც სხვა, წერილ-წერილი ვენახებიც ექნე-
ბოდა; ფ ე რ დ ა ე ე ნ ა ხ ი — დაფერდებულ ადგილას გაშენებული ვენახი...
(გვ. 182—183).

ასევე ფასეულია ავტორისეული კომენტარები, რომლებიც წმინ-
და ენობრივ-გრამატიკული და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის თვალსაზ-

ჩისით ამდიდრებს მოზარდის (და არა მარტო მოზარდის) ცოდნას, მის თვალსაწიერს. მაგალითად, მარნის აღწერილობას წინ უძღვის ასეთი ტექსტი:

მერე ამას მოსდევს მარანი. ღვინის საწური და დასაწმენდი, ღვინის ჩასახმელო და შესანახი კურკელი და აქაც იგრძნობა დახვეწილობა, ფერი და პეწი სიტყვისა, გრძნობა მშობლიური ენის სიღრმისა, ფორმისა და შინაარსისა. შეიძლება ზოგი სახელი უცხო იყოს, საიდანღაც შემოსული, ხალხები ხომ ერთმანეთს მუდამ ეხსებოდნენ სიტყვებს და ესეც არც ერთი ენისათვის არ ითვლებოდა საძრახსად. ენა იმ საგნის შესატყვის სახელს უფრო ქმნის, რომელი საგანიც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა თავად შექმნა ან სხვებზე უფრო მეტად სკირდებოდა. ვისაც ზღვა არ აკრავს, ზღვასთან დაკავშირებულ სახელებს ვერ შექმნის, ალბათ სხვისგან უნდა ისესოს. უდაბნოში ვერ დაიბადება სიტყვები: რეხილა, მუხა, შინდი, იფანი და სხვა. და ჩვენშიც, რაც მარანთან ან კურკელთან დაკავშირებით გვისესხია, ...ყველაფერი ერთად ქართული მარნის საძეაროს ქმნის (გვ. 183).

ან კიდევ:

ასკილოიანზე ნაკლები გოდორი გოდრად არ ითქმის, ზოგში კი ასოცი და ცოტა მტი ყურძენიც ჩადის. თუ ასიანზე პატარაა და თანაც გაცილებით პატარა, გოდრის საპატიო სახელს კარგავს და, როგორც პატარას შეშენის, ცოტა ალერსით, ალბათ ცოტა ღიმილითაც, გოდრულას დაუძახებენ (გვ. 156).

ავტორი ხშირად განმარტავს კონტექსტისეულ გაუგებარ სიტყვებს. მაგალითად:

„ხალხა“. გრძელი კოცია, ტყეში საგულდაგულოდ ნაძებნი და გამოთლილი. „ხალხა“ გრძელიც უნდა იყოს და მსუბუქიც, მარჯედ რომ მოიქნით და მალე არ დაგვალოს (გვ. 162).

ან კიდევ „საჩეხის“ განმარტება:

საჩეხს ერთსართულიანი სახლის აივანს ეძახდნენ, თიხა მიწით კობტად გავლესილს, ზაფხულში გრილს და ფეხშიშველად საამოდ სასიარულოს (გვ. 22).

განმარტებულია აგრეთვე: ლილო-ჭრილო, მზეკაბანი, საფრთხობელა, ჭინჭილა, გორგომიჭელა, კალტი, კვირისტავი, სარცხი, სარქველი, ქოცო და სხვ. მაგალითად:

თხელ თოვლზე, ოდნავ ცისფერი რომ დასდებია (ხალხი ლილო-ჭრილოს ეძახის), ალაგ-ალაგ რომ უკვე გამქრალა და მიწიდან თავწამოყოფილი ბალახი მწვანედ ხახხახებს, ალაგ კი თეთრად შერჩენია, ხო, სწორედ ამ თეთრად თუ მოცისფროდ შემორჩენილ სიფრთხანა თოვლში თავს ამოპყობენ ცისფერი, ყელმოღერებული ყვავილები... (გვ. 14).

ან კიდევ, აი, როგორაა განმარტებული „გორგომიჭელა“:

არსებობს თხელი ჩურჩხელა და არსებობს მსხვილიც, რომელსაც გორგოში-
ქელას ეძახიან. გორგოშიქელად ოთხად დაქრილ ნიგოზს კი არა, მთელ
ლებანს ასხამენ და, ცხალია, თათარაში ამოვლებული, თუ განსაკუთრებით ორპირადაც
აწიოვლე, მსხვილი და ყუთიანი გამოდის (გვ. 193).

საინტერესოა აგრეთვე მზეკაბანის განმარტება:

...ნიაზე ჭეჯილის ჩამოქროლებას ხალხი „მზეკაბანს“ უწოდებს. ამ დროს
ჭეჯილი თითქოს ზღვას ჰგავს, მღელვარე ზღვას კი არა, მშვიდს, რომლის სიმშვიდეც
მხოლოდ პატარა სიოს წამოქროლვამ დაარღვია და ლიევივა ტალღებმა წყალზე
უწყინარი, ძლივს გასაგონი შრიალით გადაიარეს. „მზეკაბანი“ — ამ სიტყვის
დაიწყება არ შეიძლება. აქ ბევრი რამაა ნაგულისხმევი. თითქოს ჩვენს ჭეჯილს მზემ
ახალი, საგზაფხულო კაბა ჩააცვა და გამოაწყო, რათა მოესულყოყავით და ბუნების
სილიადე ერთხელაც შეგვეგრძნო (გვ. 74).

მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ აქ
შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, რაკი დარგობრივ
ლექსიკასთან ერთად წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი სხვადასხვა
შრომითი საქმიანობა და დღესასწაულები, გართობა-თამაშობანი
და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ტრადიციები,
შეიძლება ითქვას, რომ თ. ბიბილურის „წელიწადის დრონი“ მცირე
ეთნოლინგვისტური ლექსიკონის მნიშვნელობასაც იძენს.

უფრო საგულისხმო ისაა, რომ ავტორი ცდილობს სიტყვის
სემანტიკური მხარე შეაგრძნობინოს მოზარდს და ამით აზიაროს
იგი სიტყვაში გაცხადებულ მსოფლხედვას ქართველი კაცისას: აი,
როგორაა განმარტებული სიტყვა „წუთისოფელი“:

მა დააკვირდით ამ ერთ სიტყვას: ადამიანის სიცოცხლეს მართლა ხანმოკლე,
საშუალოდ რაღაც სამოცდაათ ან, დიდი-დიდი, ოთხმოც წელიწადს, ხალხმა წუთ-
სოფელი, ანუ ერთ წუთში გავლილი სიცოცხლე უწოდა, ერთ წუთში გასავლელ
ცხოვრება (გვ. 18).

ანდა „ჭირნახული“:

ხალხმა წლის მოსაყალს „ჭირნახული“ უწოდა. სხვა სიტყვა უფრო ღრმად
აღბათ ვერც გამოხატავდა იმ დიდ შრომას, რასაც ადამიანები შეაღებენ ხოლმე
თავის მონაგარს, პირველი ხნულის გაულებიდან ალოობამდე (გვ. 101).

და სხვაგან:

მოსავალი კი ძნელზე ძნელი მოსაწყევია. კარგი მოსავალი მოგებულ ბრძოლას
ჰგავს (გვ. 102).

ავტორის ამავე აზრის განსამტკიცებლად მოჰყავს ხალხური
ლექსიც:

აზანბურელი მომკალი
მე მოკალ, უხარელმაო.
— არცა შენ მოკალ, არცა მე,
მინდორმა მოკლა გრძელმაო.

შესაბამისად ჩართული ფოლკლორული მასალა უხედაა მოხ-
მობილი. ციტირებულია აგრეთვე ქართული კლასიკური მწერლობის
ჩმეული ნიმუშები. ეს ილუსტრაციები არა მარტო შინაარსობრი-
ვად, ენობრივადაც ესადაგება მონაყოლს და პარმონიულად ერწყმის
ავტორისეულ თხრობას:

ზაფხული, პირველ ჭოვლისა, გარჯაა და, როგორც გითხარით, ამიტომ ჰქვია შე-
მოდგომის მოსაეალს „ქირნახული“. ხნულში მუდამ იღერებოდა გუთნისდედის ოფლი.
ოფლს ღერიდნენ მომკელები და მთიბაუბები. გლეხაყს მართლაც „ყოელის მხრი-
ღან“ სდარაჯობს საფრთხე მძიმე, მომქანცველი შრომის წყალში ჩაყრისა. „თუ წუთი-
სოფელს ერთის წუთით თვალი მოუხუქე, ისე გაგთელავს, როგორც დიღოელი ღეჟ
ნაბდსაო“, — ეს ოთარაანთ ქვრივის შეგონებაა და მთლიანად მიესადაგება გლეხ-
კაცისა და ბუნების კიდილსაც. აქ თვალის მოხუქვა არ შეიძლება (გვ. 143).

ან კიდევ:

სოფელი ერთი დიდი სკოლაა ბავშვისათვის. აყავი წერეთელი, როგორც კი
დახადებულა, სოფელში გაუძიძაუბებიათ. „ძიძაობა“ და ყმაწვილის სოფელში გაბარება
ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაშიო, — წერს შემდგომ აყავი თავის „ჩემ
აუგადასაეალში“ და განაგრძობს: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ
დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი
გაბარებული და გლეხის შეილებთან ერთად ვიზრდებოდი...“ (გვ. 11—12).

ამგვარი ჩართული პასაჟები ერთგვარი ხიდეა ავტორსა და
მკითხველს შორის, გამაერთიანებელი მათი ვინაობისა. გამაერთიან-
ებელია ნაცნობი ფონი, რომელსაც ქმნის დოკუმენტური მასალა:
„თინიას მამითადი“ და „ყაყიტას ქურდი“, „ონავარი სესე ბიჭი“
და „ოთარაანთ ქვრივი“, ვაჟას „შელის ნუკრის ნაამბობი“ და
აყავის „ჩემი თავგადასავალი...“.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენი მიზნისათვის მთავარი
მანინც ისაა, რომ თ. ბიბიღური ქართულ, კერძოდ, კახურ სოფელზე
მოგვითხრობს, ძველ სოფელზე, რომლის მკვიდრნიც უყოლედი,
უქონელი, უპოვარი, უბარაქო გლეხები არიან... მათ არც ხარ-კამენჯ
დაუდით, არც დიდი ხოდაბუნები გააჩნიათ, მაგრამ სოფლისთვის
მეტად საჭირონი არიან. ესენია: ტყაპუჭიანი და ბოხოხაქუდიანი
მენახირე, რომელსაც მთელი სოფლის ნახირი აბარია, ავი მეველე,
რომელიც ხან იქ ჩამოიქროლებს ქორივით, ხან აქ, მშვიდი და
უთქმელი ღამის მესრე, სოფელში მუდამ პატივით მოსილი

გუთნისდედა, პურის მომყვანი, მეღორე — ტყეში მოხეტიალე კაცი, მუდამ გაზინთული და ამიტომ სოფლისაგან ცოტა ათვალ-წუნებული... და ავტორი ამ სამყაროს ენობრივი ფორმებითაც აგრძნობინებს მკითხველს.

ლექსიკა-ფრაზეოლოგია და თხრობის სტილი აცოცხლებს სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტის მასაზრდოებელ აღმოსავლეთსაქართველოს ბარის მეტყველებას. ვგულისხმობთ ზომიერად, ძალზე ფრთხილად ნახმარ დიალექტიზმებს, რომელთაც მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა კუთხეში ხმარობენ. ესენია, კერძოდ, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ფორმები:

ხო (მ) ნაწილაკი (გვ. 181, 315, 317, 326, 328...), რო (მ) კაეშირი (გვ. 239, 318, 322...), აგე (რ) // ეგე ზმნისართი და ნაცვალსახელი (გვ. 165, 310, 334, 335...), არი (ს) ზმნა (გვ. 203, 217, 299, 314, 328), შე მო, მოგეე, მოიტა, დაიცათ, წაიყვათ, მამაოხრე, გეაქ, ავიტუ ზენით, დაგიხურამთ, გაუხეთქამდლო, ედგეეარ ზმნური ფორმები (გვ. 61, 217, 243, 245, 279, 312, 323), ანთროპონიმა ხალხური ფორმები: სახელობითისა — ნოდარა (გვ. 295), სვიმანა (გვ. 296), წოდებითისა — ნათელ (გვ. 63), ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ზოგი ასეთი ფორმა: ქელი (გვ. 130), ემანდ (გვ. 54, 205), დედო, მამი (გვ. 266) და მისთ.

იშვიათად გრამატიკული ფორმები ლოკალური შინაარსითაც არიან აღბეჭდილნი. მაგალითად, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში შეგვხვდება ს- II პირის პრეფიქსად: მისდიხარ (გვ. 335), ასევე მა-, გადმა- ზმნისწინიანი ფორმები: მამაშორეთ (გვ. 323), გადმამაწოდე (გვ. 313), მამაოხრე (გვ. 312) და ა. შ.

თხრობაში ჩართულია საერთო-სახალხო ენაში გავრცელებული იდიომატური გამოთქმები და წყევლის ფორმულები:

დანა პირს არ უხსნის (გვ. 273); გულის ჰია მოიკლა (გვ. 56), გაქირზე დადგა (გვ. 21); თაობითე ეგრე იცოდით, ყაპივით გააბამდით ხოლმეო (გვ. 316); თუ დროზე არ დააყარა გზას ბარაქა... (გვ. 273); შე ყურებდასავსებო (გვ. 323); მეხი ამასაც დასცემია (გვ. 319); შიაქეს პირი მიწისკენო (გვ. 246) და მისთ.

თუმცა მყარი შესიტყვებები სიაცხლით არ გამოირჩევა, მაგრამ ისინი ბუნებრივი სასაუბრო მეტყველების აუცილებელი ელემენტები.

ყოველივე ამას ემატება მეტყველებაში ფორმულებად ქცეული ფრაზების სიუხვე, კერძოდ:

მოდო და ამაღლებ დაიძინე (გვ. 204); მოდი და ნუ იქნები-
ავი (გვ. 96); ცოტა ხანიც და რაღაც კაქუნი გვესმის (გვ. 207); ცო-
ტაც და დიდედამ დასკუქა (გვ. 245).

ან კიდევ:

ყველაზე უფრო იმას უნდა ჰქონოდა ასი თვალი და ასი ყური.
(გვ. 105); გადავილიან ცხრა მთას და ცხრა მდინარეს, როგორც
ზღაპრებში იტყვიან ხოლმე (გვ. 142), —

დასძენს ავტორი და, მართლაც, ქართული ზღაპრებიდან შემოსული
სასაუბრო მეტყველების ჩამოთვლილი ნიმუშები ხელს უწყობს-
თხრობის ბუნებრიობას.

* * *

ბუნებრივი სასაუბრო მეტყველების კომპონენტებთან ერთად,
ავტორი სისტემატურად მიმართავს თვით ფორმას საუბრისას —
დიალოგს, უკეთ, დიალოგიზებულ მეტყველებას, რითაც მონოლო-
გურ თხრობასთან მონაცვლეობით ქმნის ინტონაციურ მრავალფე-
როვნებას და თავს აღწევს მოსალოდნელ მონოტონურობას.

დიალოგიზებული თხრობისას მწერალი სხვადასხვა ენობრივ-
სტილისტიკურ საშუალებებს იყენებს, კერძოდ:

1. კითხვით წინადადებებს, რომლებშიც ავტორთან ერთად
დიალოგის მონაწილედ მსმენელიც ივარაუდება:

გიყვართ ცხოველები და ფრინველები? გიყვართ ტყეები და ქალები? ძალღთან
თუ გითამაშოთ ან კატასთან? ცხენზე თუ მქდარხარს და ჰენებით ხეობაზე ჩაგო-
ქროლიათ?.. ცხვარი თუ გიმწყემსიათ, თხები თუ წაგიყვანიათ ნეკერზე? (გვ. 21).

ზოგჯერ მწერალი აშკარად მკითხველს მიმართავს და არა
მსმენელს, ასეთ შემთხვევაში ავტორი თითქოს იდუმალი თანმხლე-
ბია მკითხველისა:

არც ჩიტის ბუდე გინახათ? ამისი დაჭრება კი აღარ შეიძლება. ტყეში ერთხელ
შინც არ წაუყვანიხართ არც დედ-მამას, არც უფროს დაძმებს, არც პაპა-ბებიებს?
(გვ. 30—31).

ამ გზით ავტორი თითქოს უახლოვდება მკითხველს. მეტიც,
ზოგჯერ კონკრეტულ დავალებასაც კი აძლევს მას:

თუ არ წაუყვანიხართ, ახლავე გადადეთ ეს წიგნი და ხმაძალა თქვით, რომ
ხვალ ტყეში აპირებთ წასვლას... (გვ. 31).

ამგვარი პასაჟები გარკვეულწილად დიდაქტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობისაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი სახის წარმოსახვითი კითხვა-პასუხი:

ალბათ, გახსოვთ, იესო ქრისტეს ამბავზე რომ მოგითხრობდით... მართალია თუ არა ეს ამბავი?

მართალი ის არის, რომ ყოველ ძველთაძველ ამბავში თუ გადმოცემაში დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი და ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილებაა დაგროვილი (გვ. 77).

2. დიალოგიზებულ თხრობაში ხშირია მიმართვის ფორმები და ბრძანებითი წინადადებები. მაგალითად:

აბა, დააკვირდით შემოდგომის გამოშვებულ ტყეში ხეზე დარჩენილ ბუღეს (გვ. 31); აბა, იმ დროს ქარგად დააკვირდით თქვენი ეზოს ხეებს (გვ. 28); დაეიმახსოვროთ ის ჩირტი, საამო მოლოდინით შეპყრობილი... (გვ. 20); დაეიმახსოვროთ ის მარტივი, რაღაც დიდი სიხარულით გამთბარ მელოდია (გვ. 21)...

ამგვარი მიმართვები მხოლოდ თხრობის გამოცოცხლებას არ ემსახურება. ისინი ყურადღების მობილიზაციისა და მკითხველთან კონტაქტის მარჯვე საშუალებას წარმოადგენენ.

3. დიალოგიზებული თხრობის ელემენტია აგრეთვე თხრობის საგანგებო შეწყვეტა და ახალ ამბავზე გადასვლა. ასეთ შემთხვევაში ჩართული კომენტარი მკითხველთან თუ მსმენელთან კონტაქტის საშუალებაცაა და მოლოდინის მასტიმულირებელიც. მაგალითად:

ამ წიგნის დამწერისათვის რომ ეკითხათ, გაზაფხული მაშინ დგება, როცა საღაღაც ტყეში... თუმცა ჭერ, მოდით, ტყის გზას გაეუყუვეთ და იმ ტყეში, სადაც „გაზაფხული უნდა დადგეს“, ერთად წაივადეთ... (გვ. 19); ერთ მშვენიერ დღეს კი ისე ისწავლიან ფრენას, გაგიკვირდებთ, როდის მოასწრეს, რატომ ჩვენ ევრაფერი შევნიშნეთო. აგვისტოს ბოლოს კი... თუმცა ამბავზე მერე ვილაპარაკოთ, მერცხლები ბუღეს მერე დაეაკვირდეთ. ჭერ ხომ არც კი ჩამოსულან თბილი ქვეყნიდან... (გვ. 22).

ზოგჯერ ჩართულ კომენტარს ვრცელი ისტორიული ექსკურსი მოსდევს:

და ვიძრე ურემი (მაინც ზღაზენიაა ურემი) ვენახში ჩავა, გადავიხედოთ ათასწლეულთა იქით. გავიხსენოთ სამიათასი წლის ბრინჯაოს სასხლავი, ნამგლისებური დანები, კახეთში ნაპოვნი. სამი ათასი წლის წინ, თუ უფრო ადრეც აოა, ამ მიწაზე უხსლავთ, ყურძენი მოუყვანიათ, ღვინო ჩაუწურავთ. დოქები, ხელადები, ჯამბო, ფალბო, კახები — ესეც ამ მიწის წიაღშია ნაპოვნი, და მარტო აქ კი არა, საღაღაც, საქართველოს ბარის რომელ კუთხეში არ შეხვდებით ვაზის ნაკვალევს.

სამი ათასი წლის წინანდელი ყურძნის წიწები ჩვენს ღრობი ხაზეს უფლასტო-ს ახლომახლოს. ეტყობა, იმ დღისის ნარჩებებია, იქაურ კაცს სამსხვერპლოზე რომ მიუ-ტანია პატარა დოქით. იქვე, კლდეში ნაკვეთი სარწმუნოებები ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის ხნისა. ან გავხსენოთ უფრო ძველი დასტური „უაზის დიო-ბისა“ — ვინაში ნაპოვნი ქვევარი, იქვე, სამარეში ჩატარებული ბრინჯაოს ქამარი და ზედ ამოკეთილი ორი მდინაზე. ერთმანეთს რომ კრეის უქაზებებს. აქეთ, ქართლში, მცხე-თაში გათხრილი უძველესი მარხები, იქით — ვარძის სარწმუნოებები...

ქართველთა პირველი განმანათლებლის, წმინდა ნინოს გვარიც, ქრისტიანული რწმუნის ეს სემბოლო. „შერქმნა სასწავლებლად ეახრისა“, ანუ წაღმისაგან, ეახრის რტო-საგან. საქართველოში მრავლად გაბეულ მონასტერთა გარშემოც ეახრისში მოფეს-ფესე ბერებმა ვხედავდით. პოპერისის „ოღისეაში“ ოღისევს აიეტის სასახლეში, ანუ კოლხთა მეფის სასახლეში, ჩვენი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწაზე, უხუჯდ უმანქანდლებიან საამო სასამლოთ — ღვინით. ათლონის ოღისევს, ძველი ბერძენი ისტორიკოსი — ამავე სასახლეში ზედაც ეახრის ტაძარებს, სადაც „ღ-უწერტელი შადრეანი მოჩუხუხებდა“. მემპტიანეთა ცოტებში, სოფელ ათას-გვარი ქილდი, სისხლისგრა, შფოთი და ვენბათადლევა, მაინც ეხუჯებოთ ვახს, ვენახს, ღვინოს: და იყო ქართლსა შინა პუჩი და ღვინო ღრიალი: იყო კეთსე „ეე-ნასოეისი“, „ეენახ-ხილანა“, „ღვინო კეთილი და გემოიანა“; „ეენახი დაბლარი და ვენახი მალარა“...

და იქვე (ამას კარგად დაეკრძოთ, არც ამისი დაეწუება გემარტებმა: ექობა მენტორაღობისა, „ნადიშობასა შინა მოსწრადე შეფეებისა“, იონე ბოლქვას ქა-გება ღვინის სმის წესსა და ადათზე, სოფეთსა და სოფეზე, საბაჟ სწავლა სოპოკო-ლისათვის“, როგორც დაგმობა უზომო სმისა, ღვინით გამოთავაზებისა...

...საქართველოს მარჩენალი მეუღამ იყო ყანა, ვაზი და ტყე

აოსრების მახვილიც, პირველ ყოვლისა, ამ სამებას მუხრავდა.

ეახრის ფასი კარგად მოესხენებოდა თემურ-ლენგისა და შაჰ-ბასასა, ყველას, ვინც კი ჩვენკენ მახვილით დაპრულა. მათი მახვილი, სოფლებთან ერთად, ეახრს ახადგურებდა, წვადა და აჩანავებდა.

მამ ეახრი არ ყოფილა მარტო ეახრი, ანუ მენარე, რომელიც ყურძენს იძლევა. ეახრი ჩვენი დიდი ისტორიის ნაწილიც ყოფილა და მას ისევე სჭირდება გადრთილება და მოვლა, როგორც საუკუნეთა ცეცხლში გამოტარებულ ჩვენს ისტორიას.

და ეილრე ამას ეფიჭრობდით, ეილრე ვახზე შექმნილ წიგნებს ეიხსენებდით და საუკუნეთა იქით გადახედვას ედილობდით, ის სართელი დაქრულა. გოგო-ბიჭებთ დახუნძულე, გოდ-რებითა და კალათებით თავმობული ურმები რა ხარა ეენახებში ჩასულან. მზეც რა ხანია ამოსულა და ქარვისფერი მტევენები ახლა ოქროსფერად ბრწყინავენ.

რთველი დაწეებულა! (გვ. 174--179).

როგორც ვხედავთ, ამგვარი წიაღსვლები თავისებურად დასრუ-ლებული ეპიზოდებია, რომელთაც მწერალი გარკვეული ენობრივი საშუალებებით გამოყოფს, ლირიკული წიაღსვლების წინამავალ და მომდევნო მიმართებებს კი კომპოზიციური გამაერთიანებლის ფუნქ-ცია ეკისრება.

თავისთავად ლირიკული წიაღსვლების არსებობა თხოობის დინამიკურობას ემსახურება, რომლის გამოხატვის საშუალებათაგან

არსებითია რიტმის ფაქტორი. მისი ერთ-ერთი კომპონენტი გამეორებაა.

1. საანალიზო ტექსტში გამეორება გვხვდება სხვადასხვა დონეზე. მეორდება ბგერები, მარცვლები, სიტყვები, შესიტყვებები (ზოგჯერ ჩართულიც კი) და ერთსა და იმავე პასაჟში მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციები, რაც თ. ბიბლიურის პროზის შინაგან რიტმზე მიუთითებს. მაგალითად:

ღანარჩენი ადგილი კი მოსუფთავდება, მოიგება, მოირწყება, მოკამაშდება (გვ. 111).

ხშირად შერწყმულ წინადადებაში გამეორებულია ერთი და იმავე მარცვლით დაწყებული წყვილები:

საზრუნავი და ხაალერსო (გვ. 105); მაცნეცა და მახარობელიც (გვ. 105); ნაჭაფს და ნაოფლარს (გვ. 50), სიუხვის და სიკეთის (გვ. 45); მოქპრის და მოაქეს (გვ. 56); დაალო, დასკდა... (გვ. 113).

გამეორებულია სიტყვათშეხამება:

ეს ჩვენი ბავშვობის სოფელია. ჩვენი ბავშვობის სოფელი კი სხვა იყო (გვ. 10).

2. ხშირია სიტყვის გამეორება ახალ კონტექსტში — მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში:

ბიქები ახლა წნელებს გრებენ, მაგარ, სქელ წნელებს... (გვ. 38); ცისფერს კი, ალბათ, სიერცე ქმნის, ღრმა სიერცე... (გვ. 47); გარშემო სითეთრეა. პირველი თოელის სითეთრე (გვ. 260—261).

3. მსაზღვრელი უცვლელად მეორდება, საზღვრული კი იცვლება:

აი, წელსაც დიდი ზამთარი იყო, დიდი ყინვები და სიცივეებო გამოიარეთ (გვ. 13); თან პატარა შვილიც გამოჰყვება, პატარა ფუჩინა... (გვ. 64).

ორივე მაგალითში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილების შეპირისპირებისას

დიდი ზამთარი — დიდი ყინვები

პატარა შვილი — პატარა ფუჩინა

აშკარაა შეცვლილი საზღვრული სიტყვის ექსპრესიულობა.

ზოგჯერ პირიქითაც ხდება: საზღვრული მეორდება და მსაზღვრელი იცვლება. მაგალითად:

ფარას წინ რქაგადაგრეხილი ვაცი მოუძღვის, თეთრი, ქათ-
ქათა ვაცი (გვ. 70—72).

4. განსაკუთრებით ეფექტურია ზმნის გამეორება, რადგან ზმნა, როგორც მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა, ისედაც აქტიურია და გამეორებისას მისი აქტიურობაც გაორმაგებულია. გამეორებული ზმნების შესაერთებლად გამოყენებულია კავშირი, პაუზა ან ორივე ერთად:

ფრა კი ახლოვდება და ახლოვდება (გვ. 70); ...ვიარეთ, ვიარეთ და ბოლოსღა დავისვენეთ (გვ. 206); ...აღვიძა, აღვიძა ბებოშ და ველარ გააღვიძა (გვ. 333).

ზოგჯერ ინფორმაციის დასაკონკრეტებლად თუ დასაზუსტებლად შემასმენელს მსაზღვრელი სიტყვა ახლავს. მაგალითად:

საყა მოვა, მოვა უჩინრად (გვ. 13); ...სწოვს, სწოვს, გაშალებული სწოვს... (გვ. 65).

5. ხშირად მომდევნო წინადადება იწყება იმ სიტყვით ან შესიტყვებით, რომლითაც მთავრდება წინამავალი წინადადება:

ეს არხია. არხებიდან რუები გამოდიან (გვ. 118); მზის ჩასვლამდე გასტკეოდა შორეთს. შორეთში მოჩანდა ტყე (გვ. 221); ქალა საყე იყო ქაცვებით. ქაცვები გააყეოთლებულყო (გვ. 205).

6. უფრო ხშირად მარტივი წინადადება ზმნა-შემასმენლით ბოლოვდება. მომდევნო წინადადება კი, როგორც წესი, იწყება ზმნა-შემასმენლის წინ მდგომი სიტყვით, რომელიც აქტიურდება, რადგან ლოგიკური მახვილი მოუდის². ამიტომ ლოგიკურ-ინტონაციური თვალსაზრისით მის გამეორებას მეტი ძალა ენიჭება. მაგალითად:

მარცვალი ხეიშირაჟში იყრება. ხეიშირა ხისგანაა შეკრული (გვ. 231); სახლებიდან კეამლი ამოდის, კეამლი ნისლებში ირევა (გვ. 313); სოფლის თავზე მდინარე გადადის, მდინარიდან ერთი ტორი გადმოუყვანათ (გვ. 118); ...ახლა სასაფლაო გაჩნდა. სასაფლაოც უკან მოვიტოვეთ (გვ. 205).

ამგვარი გამეორებები თხრობის უწყვეტ ხაზს ქმნის, კრავს ამბავს.

7. ინტონაციურ-სემანტიკურად მსგავსი პასაჟების ანალოგიურ პოზიციებში სიტყვები თუ მთელი გამოთქმები ნაწილობრივ ან სრულად მეორდება:

² ს. გორგაძე, ქართული საღასიტყვაობა, თფილისი, 1915, გვ. 37.

რამდენი კეთილი საქმე გაუკეთებიათ იმ ფრინველებს და ცხოველებს, რამდენჯერ გამოსდგომიან ადამიანებს გასაკირში. ძალი ხომ თქმულა და თქმულა ადამიანის მეგობრად? ახლა კატა? აბა ის რა სახლია, კატა თუ არ კრუტუნებს, მზის გულზე თუ არ გაზმორება და თათთ პირს არ ლაბანს... ის რა ეზოა, მამალი თუ არ შეხტება შედიდურად ღობეზე და არ დაიყვლებს... (გვ. 22).

მ. გამეორება არცთუ იშვიათად გრაფიკულადაცაა გამკვეთრებული. ყოველი მომდევნო წინადადება აბზაცით, ამასთან, ერთი და იმავე სიტყვით იწყება:

პატარალი ერთხანობა დაიმორცხვებს.

მერე ცოტა მოშინაურდება და ეზოში გაეა.

მერე ღობის გადაღმაც გადაიხედავს და ღობილებს გაიჩენს.

მერე ყველაფერი თავისი გზით წაეა (გვ. 248).

როცა განმეორებული სიტყვა ზმნაა, თხრობა უფრო ცოცხალი და დინამიკური ხდება: ექსპრესიას კიდევ უფრო აძლიერებს შემასმენლის უჩვეულო — თავიკიდური პოზიცია. ცნობილია, რომ შემასმენლის ინვერსია ექსპრესიის ერთ-ერთი მთავარი პირობაა³.

მიჰქრიან ეარსკვლავები.

მიჰქრიან პლანეტები, ასტეროიდები, კომეტები...

მიჰქრის დედამეწა თავის მშობლიურ მზესთან ერთად (გვ. 336).

* * *

თამაზ ბიბილურის ენა და სტილი ხასიათდება ძალზე შთამბეჭდავი მსატვრული სახეებით, კერძოდ, მხედველობითი ხატებით, რომლებიც ვიზუალურად წარმოსახავენ საგნებს. მაგალითად:

რა მსხვილი ფანტელებია თითქოს ბებოს დაჩეჩილი მატყლის ფთილებიაო! (გვ. 264).

...მორიახლოს დგანან პაპასკბილა ბერიკაცები — გაფითრებული და სანთლის ფერები. მათი ძმა მოკვდა და ბერიკაცებს თავდაც შავი ფიქრი მორეეიათ (გვ. 335).

ზოგჯერ სურათის გამოსაკვეთად ყოველი წინადადება აბზაცით იწყება. ამრიგად დანაწევრებული წინადადებებით ხატები კიდევ უფრო შთამბეჭდავია, რადგანაც ყურადღება ყოველ წინადადებაზე.

³ შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., „მეცნიერება“, 1986, წგ. 86—90.

მახვილდება. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობისაა გრაფიკული საშუალება:

პაპა გამშრალი დგას.

ბებო ცრემლს რწუნდს.

ნენე ხან ერთს შესცქერის, ხან მეორეს.

ვეება ზეპქეპური თოვლში გულაღმა გდნა (გვ. 327).

ან კიდევ:

ბალები პირს იბანენ.

ქალები სანოეაგეს ალაგებენ.

ხარები მოთმინებით იცოხნებიან.

ცხენიე „ტაკკაშია“ შებმული.

არის ნამდვილი დილის ურიაშული (გვ. 173).

მხედველობითი ხატების გარდა, თ. ბიბილურის ენისთვის დამახასიათებელია მძაფრი სმენითი ეფექტები, რაც ძირითადად მხამბაძვითი სიტყვებით ხორციელდება. კერძოდ:

ტაკატაკუი (გვ. 161), ტყაპატყუპი (გვ. 250), ლაწალუწი (გვ. 219), უიუუივი (გვ. 211), შლიგინი (გვ. 219), ზრიალი (გვ. 269); ყმული (გვ. 220); ყმულიან (გვ. 220), დაგებლავის (გვ. 273), მორაკრაკებს (გვ. 219), დაიზმუვლებს (გვ. 325) და ა. შ.

თხრობას შთამბეჭდავსა და ექსპრესიულს ხდის სხვა „შეგრძნებითი ხატებიც“, რომლებიც სხვადასხვა განცდით მუხტავენ მკითხველს. კერძოდ, დამახასიათებელია სუნის „შეგრძნებები. მაგალითად:

როგორც კი ლაქაში ჩააკრეს, მთელ არემარეს მოედო ახალი პურის სუნი (გვ. 234); უბანში ახლა შემწვარი ხილის სურნელება დგება (გვ. 237); ...ნამდვილი წიწები ჰქონდა და სუნიც ნაძვისა ასდიოდა (გვ. 274); ყველანი მოხარულ სიმინდს ელიან. დვას სურნელება ახალი ტაროსი (გვ. 161); დამდგარა სურნელი ნივრისა, წიწაკისა, კიტრის და პამიდერის მწნილისა (გვ. 70).

ზოგი ეპიზოდი წარმოსახულია სხვადასხვა სახის მხატვრული ხატებით. მაგალითად:

ამგვარ დროს, შებინდებისას, სოფელში მუდამ დვას ახალი, ქაფქაფა რძის სუნი. კიშკრის გადაღმიდან კაი სმის: როგორ წველიან ძროხას, როგორ ჩხრიალებს კარდალაში რძე (გვ. 95).

ვიზუალური და აკუსტიკური ეფექტების შექმნას ემსახურება სხვადასხვა სახის ტროპებიც. განსაკუთრებით — მეტაფორები და შედარებები:

ფრინველთა ორკესტრი დილის მობრძანებას საყოველთაო გალობით ხელდება (გვ. 220); თუ პირი დაელეთ და სიმღერაც დაეწყეთ, ქვევრი იმოდენა ბანს გვეტყვის... (გვ. 187); ქოფაეები ისარიებით მოწყდებიან აღგის და ქვემოთ გაენტებიან (გვ. 133); ჩვენ ხელებს ვშლით და ნათელას წინ სარიებით ვშეშდებით (გვ. 63).

აქ წარმოდგენილი ყველა სტილური ნიშანი — დიალოგიზებული მეტყველება თუ საერთო-სახალხო ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგია, იდიომები და ფორმულებად ქცეული მიმართვები, მრავალფეროვნად გამოვლენილი გამეორების ხერხი, მხედველობითი ხატები და სმენითი ეფექტები — მშობლიურ, ეროვნულ კოლორიტს აგრძნობინებს მკითხველს ისევე, როგორც მასში აღწერილი ავტორისეული სოფელი.

ქართველი მოზარდის დასამოძღვრად დაწერილი ეს ნაწარმოები შესანიშნავად იგუებს ზემოთ მოყვანილ ენობრივ-სტილისტიკურ საშუალებებს, ბუნებრივ, ხალხში ფართოდ გავრცელებულ მეტყველების ნიმუშებს, რომლებიც განსაკუთრებულად შველის მოზარდს გადმოცემული ამბების დახსოვებაში, დასამახსოვრებელი კი ამ წიგნში ბევრია.

„წელიწადის დრონი“ წიგნია ცხოვრებისა, რომლის „ფერთა და ხმათა მრავალფეროვნება“ (ავტორის სიტყვებია) მწერალმა ამოიკითხა ბუნების უხილავი წიგნიდან და მკითხველიც აზიარა მის საიდუმლოებას. თამაზ ბიბილურის მიერ მოთხრობილი ეპიზოდები („პურის მოთხრობა“, „ჭირნახულის სიმღერა“ ან „შრომის სიმღერა“, „რთველი“, „შემოდგომის ეზო“, „ციგაობა“ და ა. შ.), რომლებიც ცალ-ცალკე დასრულებული მინიატურული მოთხრობების შთაბეჭდილებას ტოვებენ, დახატულია იმ ადამიანის უფლებით, რომელიც უხილავი, უთქმელი ძალით შეაგრძნობინებს კაცს „ზაფხულის მსურვალეებასა“ და „სივრილეს რიყრაჟისას“, „ზამთრის გამწკებავ სუსხსა“ და გაზაფხულის მიწის სურნელს, დაანახევებს „თოვას თეთრი, იისფერი და პირისფერი ყვავილებისას“ და, ვინ იცის, კიდევ რას აღარ!

თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი“ მარადიული ფასეულობებისკენ მიუთითებს დიდსა და პატარას, ახედებს იმისაკენ, რაც „წარუდინებელია და რაც მნიშვნელობას არასოდეს კარგავს“.

ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკიდან

აღ. ყაზბეგის ლექსიკა მრავალმხრივ იწვევს ინტერესს და დიდი ხანია შესწავლის საგნად იქცა. მის მიერ ნახმარი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულებიდან ბევრ სიტყვას მწერალი თავად განმარტავს. ზოგიერთის განმარტება მოცემულია სხვადასხვა გამოცემის შენიშვნებში¹.

აღ. ყაზბეგის ლექსიკის თავისებურებანი ძირითადად წარმოდგენილია შ. ძიძიგურის მიერ შედგენილ ლექსიკონში. მკვლევარმა ყაზბეგის ლექსიკა შეუდარა მწერლის მშობლიური კილოს —

¹ არსებობს აღ. ყაზბეგის ლექსიკონი, შედგენილი შ. ძიძიგურის მიერ, რომელიც დართული აქვს აღ. ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის ხუთტომეულს (1948—1950 წ.წ.). თავდაპირველად იეარაუდებოდა, რომ გამოიცემოდა მწერლის თხზულებათა ოთხტომეული, მაგრამ მოგვიანებით V ტომიც დაემატა (ამ უკანასკნელს ლექსიკონი არ დართო).

I და II ტომებში მოთხრობები და რომანებია წარმოდგენილი, III, IV, V ტომებში კი კვხეებით ლექსებს, პიესებს (ორიგინალურსა თუ გადმოკეთებულს), დაემთავრებულ მოთხრობებს, წერალებს სხვადასხვა საკითხზე, ავტობიოგრაფიულ ცნობებს.

შემდგომში ამ ხუთტომეულის საფუძველზე რამდენჯერმე (1955, 1962, 1968 წლებში) გამოიცა აღ. ყაზბეგის თხზულებათა ორტომეული (მოთხრობები და რომანები), რომელთაც აგრეთვე ერთვის შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რამდენადმე შესწორებული და შეესაბამებული სახით.

1976 წელს „საემაწილო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოიცა აღ. ყაზბეგის მოთხრობების კრებული, რომელსაც წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლ. მინაშვილმა. მისივე რედაქციით, შენიშვნებითა და ლექსიკონით ორჯერ (1984 წ., 1991 წ.) გამოიცა აგრეთვე აღ. ყაზბეგის „ელგუჯა“ და „ხევისბერი გოჩა“ ერთ წიგნად.

როგორც ლ. მინაშვილი აღნიშნავს, ლექსიკონის შედგენისას მას ძირითადად უხელმძღვანელია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონითა და შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონით. ლ. მინაშვილის ლექსიკონი ხელნაწერში წაუციოხავს და შემდგენლისათვის შენიშვნები მიუწოდებია აღ. კინკრაულს.

მოხეურის ლექსიკას, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ალ. ყაზბეგი შესანიშნავად იყენებს თავისი კუთხის მეტყველებას.

ცხადია, ამ ლექსიკონს დიდი მნიშვნელობა აქვს ალ. ყაზბეგის ლექსიკის შესწავლისათვის, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ლექსიკონი ხუთი ათეული წლის წინ არის შედგენილი. მას შემდეგ დასრულდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა, შედგა და გამოიცა მთელი რიგი დიალექტური ლექსიკონები (მათ შორის ო. ქაჯაიას „მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის“ და ივ. ქავთარაძის „მოხეური ლექსიკონი“)², რის შედეგადაც ალ. ყაზბეგის ლექსიკის მიმართება სალიტერატურო ენასა და დიალექტებთან უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა.

შ. ძიძიგურის მიერ შედგენილ ალ. ყაზბეგის ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი ზოგი სიტყვა არ არის განმარტებული. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ სიტყვათა მნიშვნელობებს.

დაჩუფრა :

...როგორ ხარ იმევენ ლამაზი ქალების . და ჩუფრისა და კაცების ღამორ-ჩილების შემდეგ? (IV, 445)².

ამ სიტყვის მნიშვნელობა მოცემულია ქველ-ში: დაჩუფ'ვ'რა (დაჩუფ'ვისა) კუთხ. (მოხევ.) — დაჩაგვრა.

დახიჩაკება :

ეგრე როგორ შეიძლება, თქვენი ქირიმეთ?... შეილს დამიხიჩაკებთ, სხვა რომ არა იყოს რა...? (III, 521).

ამ სიტყვას შესაძლებელია დაუკავშირდეს ქართლურში და კახურში დადასტურებული დახიჩაკებული, რაც დასახინჩებულს, დაშავებულს ნიშნავს⁴. თვით სიტყვა სა-ხინ-არ-იც, ჩანს, იმავე ძირს შეიცავს.

² ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, ცხინვალი, 1967 წ., გვ. 375—451; ივ. ქავთარაძე, „ქართული ენის მოხეური დიალექტი“, თბ., 1985 წ.

³ მაგალითები მოგვეყვას ხუთტომეულის მიხედვით: რომაული ციფრით აღინიშნება ტომი, არაბულით — გვერდი.

⁴ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 178, თბ., 1956; თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტის ლექსიკონი; მ. ქაბაშვილის რედაქციით. თბ., 1981. „დახიჩაკებული“ ყაზბეგის ტექსტში, შესაძლოა, კორექტურული შეცდომაა. უნდა იყოს „დახიჩავებული“.

ე მ წ ე წ ი ნ ა :

...წავედეთ, არავენ შეგაშინოს!.. (თრთებით უჩვენებს) ბავშვის ე მ წ ე წ ი ნ ა გულს განა ბერი შეუძლია, გენაცვალეთ! (IV, 323).

ეს სიტყვა სხვა ვარიანტებთან ერთად გვხვდება ქართლურში:

ემოწეწა, ემწეწა, ემწეწინა — ასე პატარა, ასე პაწაწინა. ემწეწინა ამოვილა კარაქი, ისიც არ ვარგოდა.

ყაზბეგის თხზულებათა IV ტომის ლექსიკონში გამოტანილია „კუნკულებიანი სახლი“ (გვ. 501), რაც აგრეთვე არ არის განმარტებული. ტექსტში კი ასეა: „ზალა იყო ვარაყიანი, ბრჭყვიალად მორთული და საკმაოდ გაჩაღებული. ადგილ-ადგილ იყო აყვანილი სვეტები და სათაურში თაღად შეკრული. ამის მიზეზით ეს დარბაზი მიემსგავსებოდა რამდენადმე კუნკულიანს სახლად, რომელიც შემდგარიყო რამდენსამე შეერთებულის ოთახისაგან“ (IV, 197-198).

ამ შემთხვევისათვის სალექსიკონო ერთეულად „კუნკულიანი სახლი“ უნდა გვქონდეს (და არა „კუნკულებიანი“). ქეგლ-ის მიხედვით, კუნკული // კუნკულა-ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ბერების თავსაბურავი — მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით...“ ყაზბეგთან ეს სიტყვა გადატანილი მნიშვნელობით არის ნახმარე და ერთგვარ წოპიან, კუნკულიან სახლს აღნიშნავს, რასაც ზემოთ მოყვანილი კონტექსტიც კარგად გამოხატავს.

მ ო წ ა რ მ ო ვ ე :

— მართალია, ეგ არ ვარგა მოწარმოვე ხასიათისათვის, — უთხრა იმან, — მე მხოლოდ მინდოდა მეთქო, რომ კაცს რამდენიც მომეტებულ გაჭირება უხდება ცხოვრების გზაზედ, იმდენად კაცი უფრო მაგრდება თავის ხასიათებში (IV, 117).

მოწარმოვე შესაძლებელია ნახმარი იყოს იმავე მნიშვნელობით, რაც მოხეურში გვაქვს: მოწარმოვე — ოჯახის უფროსი, მმართველი, წარმმართველი. (შდრ.: მაწალმართველი).

ოჯახის მოწარმოვე და უფროსი-მამაკაც იყო.

პ უ ჯ ლ უ ს :

წაველენ, წამოველენ, პუჯლუს იმ ტვინგამოთხლებულ შენს ბატონთან კენტინ, გენაცვალეთ, ვეღარ მოვიშორეთ კი თავითგან და... (III, 275).

⁵ ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

⁶ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი. გვ. 285. შდრ.: მაწალმართველი — ძველი დიდი ოჯახის უფროსი, კეთილი გზით წარმმართველი, იქვე, გვ. 274.

ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია: პუპლუზ, პუპლუც-სახელდობრ, ქართლური დიალექტის ლექსიკონში იკითხება:

პუპლუც! — ერთი ენახოთ! შეეხედოთ და!

ბალის ბოლოს ჩაველი და. პუპლუც, იქ არ ღამხვდა!⁷

როგორც ვხედავთ, ასეთივე მნიშვნელობით დასტურდება პუპლუს ალ. ყაზბეგთან.

შარამათი:

ბეჩაისთვის — ამოსუნთქეა შარი — შარამათიაო (III, 197);

თამასუქები?.. შართა და შარამათით დატყუენილი? (III, 426).

სიტყვა შარამათი ივ. ქავთარაძის მიერ მოხეურში განიმარტება, როგორც შარიანი კაცი⁸. ქართლურში შარამათი ჩხუბს, დავიდარაბას, აყალმაყალს აღნიშნავს⁹, ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს ალ. ყაზბეგის თხზულებებშიც.

ზოგიერთი სიტყვის განმარტება დაზუსტებას მოითხოვს როგორც შ. ძიძიგურის მიერ შედგენილ ლექსიკონში, ასევე ცალკეულ გამოცემათა შენიშვნებში. ასეთია, მაგალითად, სიტყვა დაღალი, რომელიც ალ. ყაზბეგის IV ტომის ლექსიკონში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „დაღალი (83, 35) — გრძელი ნაწნავი. მრავლ. დაღალები (16, 34). აქედან დაღალებიანი — გრძელნაწნავებიანი“ (IV, 498).

ამ განმარტებაში დამოწმებული ადგილები ალ. ყაზბეგის ტექსტში ასე იკითხება:

— აღარ გაათვა სიმონმა, რომელმაც სრულიად გამოიკვალა აპოლონთან საქ-
ცული და პირველის სიტყუედგანვე აგრძნობინა, რომ ის დაღალი იყო, სა-
დაღალოში ფულს იღებდა და, მამასადამე, რიგიან სამსახურს სთხოვდნენ
(IV, 83).

ამ წუთშიც ქალმა თითქმის ვეღარ მოითმინა, ორივე ხელით ხშირი დაღა-
ლები უეუ იყარა... (IV, 16).

დაღალის ზემოაღნიშნული განმარტება მეორე ნიმუშის-
თვისაა მართებული, ხოლო პირველი მნიშვნელობა სხვაა — შუა-
მავალი, მაჭანკალი, რომელიც ცალკე უნდა გამოიყოს.

მახაცი:

გათოშვილი არ ილეიქებდა, თითქოს სრულს განცხრომაში არისო და, როგორც
ეტობა, მახაციის შალით ხეხას სრულიად ეერა ჰგრძნობდა (II, 357).

⁷ ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

⁸ ივ. ქავთარაძე. ქართული ენის მოხეური დიალექტი, გვ. 356.

⁹ ქეგელი: აგრეთვე ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის
კონა, თბ., 1984.

ეს სიტყვა განმარტების გარეშეა შეტანილი 1948 წლის გამოცემის ლექსიკონში, ხოლო 1955 წლის გამოცემაში განიმარტება ასე: მახაცის შალი — ერთნაირი შალია (II, 567).

ამ სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება შესაძლებელია მოხეური კილოს მიხედვით. მ ა ხ ა ც ი მოხეურში უხემ, ძნელად დასამუშაებელ, მაგარ მატყლს ნიშნავს¹⁰.

აღ. ყაზბეგის თხზულებებში გვხვდება მახაცი ტანისამოსი, რაც, ცხადია, უხეში მატყლისაგან დამზადებულ ტანისამოსს ნიშნავს:

ბიჟები მოვიდნენ მასთან ზღაზენთა და ჩეულებსამებრ ხორცის მიხრემ-მოხრეშით, მ ა ხ ა ც ს ტანისამოსხედ (IV, 259).

„ მ ო ღ ი ს ტ კ ა “ :

ეს სიტყვა აღ. ყაზბეგთან რამდენჯერმე გვხვდება, იგი წარმოდგენილია III და IV ტომზე დართულ ლექსიკონებში და განიმარტება როგორც „ქალის ტანსაცმლის მკერავი ქალი“ (III, 654; IV, 503). ტექსტებში კი ასეა:

წარმოიდგინეთ მხოლოთ: გუეერანჯას მაგიერათ რაღაც მოღისტკა გამოუგზავნიათ, რომელიც მარტო თავის თმების ეარცხნას მოუნდება... (III, 503)

ამავე პერსონაჟზე სხვა ადგილას ნათქვამია:

სულ ის გუეერანჯა გახლამსთ რიგის დამწეობი. მოღნის ქალი გახლამსთ და მაშა?.. (III, 553).

სხვა მაგალითი:

წარმოიდგინე მხოლოთ, — უთხრა იმას: — პეტერბურლიდან რაღაცა მოღისტკა გამოუგზავნეს, რომელიც თავის თმების პომადას და ეარცხნას მოუნდება, მე ეთხოვე, რომ ხანში შესული პატრიცეშული ქალი ემოვით ჩემი ანდრიუშასათვის (IV, 109); სხვადასხვა მოღისტკები სხვადასხვაგვარად დაქრელებულ ტანისამოსებით დაქერებოდნენ სტოლებს შუა და დროს გასატარებლად მეგობრებს ეძებდნენ (IV, 42); ამ შენობის საერთო სახე, უზარმაზარი შუშის ფანჯრები, გაზით გაჩაღებული ოთახები და შიგ კეკლუცად მორთულ-მოკაზმული „მოღისტკები“ ყველას თვალს მიიზიდავდა (IV, 216).

ცხადია, ამ მაგალითების მიხედვით „მოღისტკა“ ყაზბეგის თხზულებებში უნდა განიმარტოს, როგორც მოღური ტანსაც-

¹⁰ ო. ქაჭაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის. გვ. 413; ივ. ქაეთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გვ. 275.

მლის ჩამცმელი, მოდის მიმდევარი — „მოღნიცა“ და არა მოდური ტანსაცმლის მკერავი ქალი.

ს ა ვ ა ნ ე :

ამ სიტყვასთან ალ. ყაზბეგის II ტომის ლექსიკონში დამოწმებულია ორი კონტექსტი:

მერე ცხოვრებას რითი აპირებ? — მკითხა იმან და დამაქქერდა: -- ეს ხომ იცი, რომ შენი სამშობლო არავითარს საეკანეს არ მოგეცმს? (II, 225).

ამ ადგილის დამოწმებით ალ. ყაზბეგის ლექსიკონში სავანე: განმარტებულია, როგორც ბინა (II, 551).

სხვა მაგალითი:

...ყოველ საეკანეს გაწყვეტილი ქერივი მარიამ მხოლოდ თავისი ძმის გრიგოლ დიაცვის შემწეობითლა სცხოვრობდა (IV, 248).

ამ ადგილის დამოწმებით ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც მონასტერი (IV, 505).

იგივე სიტყვა გვხვდება აგრეთვე ალ. ყაზბეგის თხზულებათა V ტომში, რომელსაც ლექსიკონი არ ახლავს:

მოძღვარმა ...ყოვლად დაურდომილი და საეკანეს მოსპობილი ქალი სახლში შეიყვანა (V, 150).

არც ერთ ამ მაგალითში, ჩვენი აზრით, „სავანე“ ძირითადი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. ვფიქრობთ, „სავანეს“ ალ. ყაზბეგი ხმარობს იმავე მნიშვნელობით, რაც მას აქვს ქართლურ დიალექტში:

„სავანი, სავანა — ქონება, ცხოვრების სახსარი, სიმდიდრე; შეძლება. მაგ.:

სუ გაწყვეტილი ხო არა აქ აღაშინასა საეკანე; მერე სავანა არა გვექონდა და, რა გვექნა, ბატარა სახლი ავაშენეთ¹¹.

ქართლურშივე გვხვდება აგრეთვე სავანგაწყვეტილი:

სავანგაწყვეტილი აი, რო არა აქთ რა თქანში. ღარიბები რო არიან; სავანგაწყვეტილი ხო არა ვარ, ცოტა მაინცა მაქ¹².

ალ. ყაზბეგთან გვხვდება „უსავანოც“.

...ის ხედავდა ყოვლად უსავანოს. უნუგეშო ქმნილებას, რომელსაც სულის მოსაბრუნებელი არა ქონდა და ლეკმას აწვლიდა (II, 348);

¹¹ თ. სალარიძე, ქართლური ლექსიკიდან, ივე, ტ. XVII, 1970, გვ. 315; ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

¹² თ. სალარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 315.

. მოძღვარმა უკანასკნელად შეაღწერა მეუღლეს ღარიბნი, ღატაენი და თავად-
მილნი სორცთა და სულით, ქვარეზნი, ობოლნი და უსაყვანონი (II, 427).

აღ. ყაზბეგის ლექსიკონში „უსაყვანო“ განმარტებულია, რო-
გორც „უბინაო, მიუსაფარი“, მრავლობითში: უსაყვანონი — 429,
12 (II, 555)¹³.

ამ შემთხვევაშიც კონტექსტს უფრო უღგება „უსაყვანო“ სიტყვის
ქართლურში დადასტურებული მნიშვნელობა: „უსაყვანო“ —
ღარიბი, უქონელი“.

იმახ როგორ მისცა ქალი, უსაყვანოსა¹⁴.

„ჩ ა ბ ა რ ვ ა ლ ე ბ უ ლ ი“:

გაილო ციხე და გამოვიდა თორმეტამლის შევარდენის მსგავსი, ჩ ა ბ ა რ ვ ა ლ ე -
ბ უ ლ ი და თავიღვან ფეხამდის შეიარაღებული ეეჯაკი (II, 339).

ლექსიკონში განმარტების გარეშე შეტანილია ჩ ა შ ა ლ ვ ა რ ე -
ბ უ ლ ი (II, 558) და დამოწმებულია სწორედ ზემოთ მოყვანილი
კონტექსტი. ამრიგად, შ. ძიძიგურის აზრით, აქ უნდა იყოს ჩაშალ-
ვარებული და არა „ჩაბარვალელებული“.

სიტყვა „ჩაბარვალელებული“ გაუგებარია. მიუხედავად ამისა, ამ
სასწიხთ იგი მრავალ გამოცემაში გვხვდება.

ხოლო ჩაშალვარებულს აღ. ყაზბეგი სხვა თხზულებაშიც
ხმარობს:

თეთონ სეკონიც, ჩაშალვარებულნი, მთლად შეიარაღებულნი, რაღაც
მღელვარებაში იყო¹⁵.

ამ სიტყვის განმარტებას ვსუდებით ლ. მინაშვილის ლექსი-
კონში ზემოთ მოყვანილი მაგალითის დამოწმებით: „ჩაშალვარე-
ბული — შარვალში ჩატანებული (ახალუხი), ვისაც შარვალში აქვს
ჩატანებული“¹⁶.

¹³ ასეთივე განმარტება გვხვდება 1939 წლის სასკოლო ეამოცემაშიც. აღ. ყაზ-
ბეგის, „მოძღვარი“, თბ., 1939, გვ. 9.

¹⁴ ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

¹⁵ ამ მაგალითიდან დამოწმებული სიტყვა ჩაშალვარებული შარვალში
ლია 1955 წლის ორტომეულის გამოცემაში, ოლონდ განმარტების ვარდში. იბ. იბ.,
გვ. 551.

¹⁶ აღ. ყაზბეგის, „მღელვა“, „ხევისბერი გონია“, თხუ ეამოცემლობ. თბ.,
1991, გვ. 350.

ლ. მინაშვილის განმარტება, რომელიც ქველ-ს ემყარება, სიტყვის წარმომავლობის თვალსაზრისით სწორია, მაგრამ ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს: ჩაშალვარებულ ი ალ. ყაზბეგის თხზულებებში საბრძოლოდ გამოზადებულ კაცს აღნიშნავს.

ჩვენი აზრით, სასურველია და საჭიროა ალ. ყაზბეგის ლექსიკონში შეტანილი იყოს მწერლის თხზულებებში ნახმარი ზოგიერთი სხვა სიტყვა თუ ხატოვანი გამოთქმაც, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ:

„ათას თოქს გამოსხლეტილი“, „ათასი თოქიდან გამომძვრალი“.

...ათას თოქს გამოსხლეტილი ქალებიც. ვალად არა რჩებოდნენ, ისინიც ეპასუხებოდნენ და ლანძღვისათვის ლანძღვიოთვე უხდიდნენ (IV, 198);

ამ ბიკს ფასიას ეძახდნენ და ათასის თოქიდგან გამომძვრენილს მთელი ქალაქი იცნობდა (IV, 252).

თ. სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში“ შეტანილია ათასი თოქიდან გამომძვრალი, რაც მეტად გამოცდილს, ბევრი გაჭირვების მნახველს და გადარჩენილს ნიშნავს¹⁷. ყაზბეგთან ეს გამოთქმა ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი.

„გაკვეთილი ბილიკი“ — ნიშნავს გაკვეთილ, გაკვალულ ბილიკს;

იენე იყო მშვეალი თაობის კაცი, რომელიც ადგა ჩვეულებრივ გაკვეთილს ბილიკს, უსწავლელი, სამხედრო სამსახურის კაცი გახლდათ, ჩინი და პატრიო მოზდიოდა გულადობისათვის და გასაოცარის ბრძოლისათვის შამილის ომში (IV, 177).

მ ო წ ლ უ კ უ ლ ი — პატარა:

...მაგრამ წარმოიდგინეთ საღაც ცაში ერთი მოწლუკული დაბალი ოთახი, საღაც ძლეს ემართებოდით (V, 183).

ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები სიტყვა გაწლუკვა, ხმის გაწლუკვა, რაც ხმის დაწვრილებას ნიშნავს. ყაზბეგის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტების გარეშეა შეტანილი:

ყმაწვილს სრულიადაც არ უხდება ფარისეულად ხმის გაწლუკვა, უმიზეზოდ დასუსტება და წამდაუწუმ გულის შემოყრა (IV, 253).

ე რ ძ ვ ი ვ ნ ე ბ ა — ერქმევა:

ღიღი საქირთა, სწორათ მოგახსენოთ — პეტრე ერქვიენება, თუ პაულე? (IV, 348).

¹⁷ თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბ., 1950.

მწერალი ამავე კონტექსტში ერქმევა-საც ხმარობს:

თქვენ შეიღებს პეტრე ერქმევა თუ პაულე, ეგ დილი საქირო არ არის.
(იქვე).

(ერქვივნება →) ექვივნება — ერქმევა გვხვდება მთიულურ-
შიც¹⁸.

ი ბ უ შ კ ე ბ ა :

ეს პირი მოხეტია, მზეს ცქრა ველარ გაეძლო საცოლაობისათვის, პაერი
გრგვინადა ქვეყანა იბუშკებოდა და მთანი მალანი ბარის საცოლაობით
დამწვარნი იდრიებოდნენ (IV, 258).

ეს სიტყვა გვხვდება მოხეური კილოს ლექსიკონში: ი ბ უ შ-
კ ე ბ ა — იღუშება, მ ა ი ბ უ შ კ ე ბ ა — მოიღუშება, დაღვრემილ
სახეს მიიღებს, დ ა ბ უ შ კ ი ლ ი — კუშტად მყოფი, წარბშეკრული,
გაბღვერილი, სიტყვაწუნძი¹⁹.

ი წ კ ლ ი ტ ე ბ ო დ ა : წკლეთას მოხეურში შემდეგი მნიშვნე-
ლობები აქვს: 1. წყალი რომ ცოტა-ცოტას მოდის, ხან შეწყდება და
ხან ისევ წამოვა, ე. ი. იწრიტება; 2. გაიქცევა. მოხეურშივე გვაქვს
აგრეთვე შ ა წ კ ლ ე ტ ა, რაც შეწყვეტას ნიშნავს²⁰. ალ. ყაზბეგ-
თან ი წ კ ლ ი ტ ე ბ ო დ ა შემდეგ კონტექსტშია:

ნიაიცი კი გაჭირებოდა და აღარ მოძრაობდა, გულო იწკლიტებოდა და
იწურებოდა, სული მიიბრძოდა, მაგრამ საით, ეისკენ? (V, 195).

ამ შემთხვევაში „გული იწკლიტებოდა“ შეიძლება ნიშნავდეს:
გული იწრიტებოდა, იწურებოდა (სისხლისაგან).

კ ა პ ი :

მოსკოვს ჩამოუღის ერთი მდინარე, რომლის კაპიცი არხით არის გატანილი²¹.
ის არხი იმდენად ღრმა არის, რომ იმაზედ ზაფხულში პატარა ნავებით დადიან სა-
სეირნოდ (IV, 281).

ეს სიტყვაც მოხეურის მიხედვით აიხსნება. კ ა პ ი — ხის
ტოტი, შტო, გადატანით — მდინარის ტოტი, რიყეზე ძლივს რომ
მოჩანს²².

¹⁸ ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 205.

¹⁹ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გვ. 213, 267.

²⁰ თ. ქაჭაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, გვ. 438, 444.

²¹ ნაბეჭდშია: გატენილი, რაც კორექტურული შეცდომაა — უნდა იყოს
გატანილი.

²² ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გვ. 252.

კუნტია:

...ამ ტერმინოთხელეულ შესს ბატონთან კუნტიან, გენაცალეთ, ველარ მოკიშორეთ კი თაეითგან და... (111, 275).

ეს სიტყვა (კუნტია//ყუნტია) გეხედება მოხეურში, ქართლურში, ფშაურში.

ჰყუნტია — აგდია, არის, ბოგინობს²³. ყუნტია (იყენ. ეყუნტია) გეხედება ქართლურშიც, ნიშნავს: ერთ ადგილას დგას, განერუბულია, არის (იხ. ქეგლ-ი): ყუნტვა ყოფნას, დგომას ნიშნავს ფშაურში²⁴.

მასკვენა:

მასკვენა მწერს... (V, 182).

ეს სიტყვა სხვა ქართულ დიალექტებშიც დასტურდება სხვადასხვა ვარიაციით. ინგილოურში: მასკან, მასკანი, მასკნი (თ) — მას უკან, მას შემდეგ²⁵, ქიზიყურში: მასკვან²⁶, ჯავახურში: მასკვან//მასკუან²⁷. ამ სიტყვათა გვერდით საინტერესოა ყაზბეგისეული „მასკვენა“ ფორმაც.

მორფეის ალერსი:

დაეყარენო ჩაის უკან და მივეცით თავი მორფეის ალერსს (V, 183).

„თავი მივეცით მორფეის ალერსს“ ნიშნავს: თავი მივეცით თვლემას, იგი უკავშირდება ძველი ბერძნული მითოლოგიის ძილის ღმერთს — მორფეესს.

სიტყვაწარმოებითი თვალსაზრისით საინტერესო ლექსიკური ერთეულია სთლური:

ნესურეობი კაცი ვერ მოყვანს სთლურს, სიმონდს, საზამბროს, ნესეს, უურძენს და სხვა (V, 54).

ძველი ქართული სთული დღემდე დაცულია მოხეურ კილოში: სთტელი — შემოდგომა, რთველი. სთტელის ჯერობა

²³ ივ. ქაეთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გვ. 352.

²⁴ ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

²⁵ ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978; რ. დამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კლოს ლექსიკონი, თბ., 1988.

²⁶ ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

²⁷ გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981, გვ. 82.

(← რთვლის ჯერობა) — შემოდგომაზე მიცვალებულის ხსენება და წირვა-ლოცვა პურმარილის გამართვით²⁸.

სთველ-ისაგანაა ნაწარმოები სთვლობა, აქედანაა სთლური (← სთველ-ური-ი), ე. ი. „შემოდგომური“, „რთველური“ — წლის მოსავლის მნიშვნელობით.

ამ წინადადებაში „სთლური“ ასახსნელი სიტყვაა. მას ხსნიან და აზუსტებენ ერთგვარი წევრები: სიმინდი, საზამთრო, ნესვი, ყურძენი.

სული შესტაცა:

ქალს სული შესტაცა, თვალთ დაუბნელდა და ჰაერის ამოსუნთქვის ნება აღარ მისცა (II, 354);

ონისეს სულმა შესტაცა, გულმა ძგერა მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი გაძაბული წინ წყნარად მოიპარებოდა (II, 377).

ეს სატოვანი გამოთქმა წარმოდგენილია რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში: „სულს შესტაცებს — სუნთქვა გაუჭირდება, გაჭირვებით ისუნთქებს, აღელვებისაგან, სიცვიისაგან ან ჩქარი მოძრაობისაგან“²⁹.

ფახის მოსავალი:

იქ, მთაში, არ მოდის ღვინო, ხილი, ფეხის მოსავალი (V, 76).

ეს სატოვანი გამოთქმა დასტურდება ქართლურსა და კახურში და ნიშნავს ნაბარში მოყვანილ ჭირნახულს, ბოსტნეულს³⁰.

ღალამდა — ღლიდა:

ასლან-გირეი ...ღამ-ღამობით თადაცემით ყოველგვარად აწუხებდა, და ღალამდა ისეც მძიმე გულების და უსურსათობის გამო მისუსტებულს შემორებს (IV, 247).

„ღალამს“ დასტურდება მთიულურშიც³¹.

წუკიობა:

...ეგ ხალხი წუკიობას არის დაჩეული და იმერტომ არ იღებს ფულებს, რომ ჩვენც მაგ ცხოვრებას უნდა შეგვაჩვიოს (IV, 469).

წუკიობა მომდინარეობს წუკი სიტყვისაგან. წუკი კუთხური სიტყვაა, გვხვდება ქართლურში, ბინძურის, ცუდის, უხეიროს

²⁸ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მობეჭვებული დიალექტი, გვ. 323.

²⁹ რუსულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1966.

³⁰ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 183; ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

³¹ ლ. კაიშაძე, მთიულურის დარგობლივი ლექსიკონი, გვ. 205.

აღსანიშნავად³². გვხვდება აგრეთვე კახურსა და ფშაურში ცუდის, უხეიროს მნიშვნელობით (იხ. ქეგლ-ი). გვხვდება „წუკია“ სიტყვაც. რაც კახურში, ქიზიყურში უჯიშო, უმსგავსო ადამიანს, წუნკალს ნიშნავს. (ქეგლ-ი).

ხ 3 0 რ 0 :

ამთ, რასაკერველია, მოამზადეს თეა, მაგრამ საუკეთესოდ დაინახეს, ეს ხალხისათვის სახელმწიფო ფულეზზედ მომზადებული თეა გაეყიდნათ მომავალ-მომავალ ფურგუნეზზედ და ხალხისთვის კი თუმცა ბარათები ერთეათ სრულის თეის³³ მიღებაში, მაგრამ საქმით ხეირიც არ ეძლიათ (V, 21).

ზეირი მოხეური სიტყვაა და გამხმარ ჩალის ან თეის ღეროს ნიშნავს³⁴.

ხ ლ ო ვ ა ნ 0 :

კლევ ხმარობენ ხაჭაპურს, ხ ლ ო ვ ა ნ ს, ხაბიზგინებს (V, 35).

ხ ლ ო ვ ა ნ ი, იგივე მ ხ ლ ო ვ ა ნ ი დადასტურებულია მოხეურში და ნიშნავს ჭინჭრის ხაჭაპურს, მხლისგულიან ნამცხვარს. გვხვდება ქართლურშიც შემდეგი ფორმებით: ხ ლ ო ვ ა ნ ი, ხ ლ ო ვ ა ნ ა, ხ ლ ო ვ ა ნ დ ი — ნამცხვარი ჭარხლის ფოთლისა და სხვადასხვა მხლის გულით³⁵.

ჯ ი გ ა რ 0 :

...დახ, მხოლოდ მე არც ჯ ი გ ა რ ი და არც მწვანე ბაშმაკები არა მაქვს (IV, 408).

სიტყვა ჯ ი გ ა რ ს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის — „თალხი ფერის ქსოვილი“, „სამგლოვიარო შავი სამოსი“. სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ჩანს ეს სიტყვა ნახმარი ალ. ყაზბეგის მიერ.

ალ. ყაზბეგის ლექსიკონში ვხვდებით უცხო სიტყვებსაც, რომელთა აღნუსხვა და თავმოყრა სასურველია მწერლის ლექსიკონის სისრულისათვის. მაგ.:

ქ ნ ი ქ ს ე ნ 0 — გერმ. იგივეა, რაც რევერანსი:

ქალი მოვიდეს, გამიეთოს კნიქსენი... (IV, 417).

³² ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

³³ ნაბუქდშია თაეისი, რაც კორექტურული შეცდომაა.

³⁴ იხ. ქეგლ, ტ. VIII.

³⁵ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, გვ. 288; ქართლური დიალექტის ლექსიკონი.

ტ ა რ ა ნ ტ ა ს ი — რუს. ოთხთვლიანი სამგზავრო ეტლი.

სავსო ტარანტასი გაჩერდა ლუდშაურის კარბთან (II, 42).

ტ ი უ რ ნ ი რ ი — ფრანგ. (იგივე ტურნური) პატარა ბალიში, რომელსაც იდებდნენ ქალები კაბის ქვეშ წელს ზემოთ.

ეს გახლდათ სამკერვალო ქალების ტანსაცმლისა, ის სამკერვალო, სადაც გამოყვადით თვალის მოსატყუებელი მკერდები და ტურნირები პეტერბურგის გამხდარ-გაქნაელის მანდილოსნებისათვის (IV, 216-217).

ტ უ ლ ი — ეს სიტყვა მოხუერი კილოს ლექსიკონში გვხვდება: ქსოვილია ერთგვარი, რომლისგანაც მზადდება მანდილი, ჩიქილა და სხვა³⁶. ამავე მნიშვნელობით იხმარება ყაზბეგთანაც:

თაზე შავი ხელსახოცი წაურული და ზეიდან ტულის ლეჩაქი (V, 34).
ზოგი ტულის მაგერად მერდინსა ხმარობს (ქვე).

აღსანიშნავია, რომ ტული არ არის მოხუერი ლექსიკონის კუთვნილება, იგი ფრანგული სიტყვაა და სწორედ ბადისებრ გამჭვირვალე ქსოვილს ნიშნავს³⁷.

ფ ო დ რ ი ა დ ე ბ ი — (რუს. фюдря). ეს არის რაიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულება, გარკვეული ანაზღაურების საფასურად³⁸. აქედანაა ფოდრიარიკი:

სტეფანშიდის ურიადნიც ლუქანი აქვს, შუღის ფოდრიადებში და სხვა (V, 19); იყო ვინმე ფოდრიარიკი ბ. ფ. (V, 23).

განხილული მაგალითების სიმცირის მიუხედავად, აშკარაა, რომ აღ. ყაზბეგის ლექსიკა ნასაზრდოებია არა მარტო მოხუერი კილოს მასალით, არამედ სხვა ქართული კილოებითაც: ქართლურით, კახურით, მთიულურით. ეს სიტყვები აღნიშნულ დიალექტებში ამჟამადაც იხმარება.

მწერლის თხზულებებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხატოვანი გამოთქმები თუ უცხო წარმომავლობის სიტყვები.

ამრიგად, აღ. ყაზბეგის ლექსიკა უფრო ფართო ასახვას მოითხოვს სპეციალურ ლიტერატურასა და ლექსიკონებში. ყაზბეგის ლექსიკონს ამ კუთხით შესწავლა ბევრად სრულყოფს ლექსიკონს, რომლის შევსება თუ დახვეწა შესაძლოა საჭირო გახდეს მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის.

³⁶ ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 330.

³⁷ კნიქსენი, ტარანტასი, ტურნური, ტული სიტყვების მნიშვნელობები მოყვანილია მ. ჰაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“, თბ., 1989.

³⁸ Словарь современного русского литературного языка, т. 10, М.-Л., 1960.

ილია ჭავჭავაძის ენისა და სტილის ზოგი
თავისებურება პირადი წერილების მიხედვით

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. მწერლის შემოქმედების ეს ნაწილი საინტერესოა მრავალმხრივ, მათ შორის — ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, ენაში გამოიყოფა რამდენიმე ფუნქციონალური სტილი¹. ესენია: 1) სამეცნიერო სტილი; 2) ოფიციალურ-საქმიანი სტილი; 3) საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი; 4) სასაუბრო-ყოველდღიური სტილი. ეს უკანასკნელი რეალიზდება როგორც დიალოგურ-მონოლოგურ, ასევე კერძო მიმონწერის ფორმებშიც².

ეპისტოლარული ხასიათის თხზულებათა სტილი განსხვავდება ყველა სხვა სტილისაგან. ყველაზე მეტად ის უახლოვდება ცოცხალ სამეტყველო-სასაუბრო ენას, მაგრამ, ვინაიდან ავტორს აქვს საშუალება ტექსტის გადასინჯვისა, არც მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ელემენტებია მასში გამორიცხული³. აქედან გამომდინარე, ეპისტოლარული ხასიათის თხზულებათა ენა მწიგნობრულსა და ზეპირ მეტყველებას შორის დგას. მასში შეინიშნება როგორც ერთი, ისე მეორე სტილის ელემენტები. სასაუბრო-ყოველდღიური სტილის (რომელშიც ეპისტოლარული ხასიათის თხზულებათა სტილიც შედის) ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია გადმოცემის არაოფიციალური ხასიათი და მისი ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა⁴. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის წერილებს, მისი ენა

¹ А. Н. Кожин, О. А. Крылова, В. В. Одинцов, Функциональные типы русской речи, М., 1982, гл. 91.

² იქვე, გვ. 117.

³ ლ. ქეცბა, ეპისტოლარული სტილის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგიერთი ტენდენცია გერმანულ ენაში, თსუ შრომები, 6—7, 1974, გვ. 221.

⁴ А. Н. Кожин, О. А. Крылова, В. В. Одинцов, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

და სტილი განხილულ უნდა იქნეს მხატვრული ნაწარმოებების ენასთან შედარებითაც.

ილიას წერილებისათვის ერთი თვალის გადავლებითაც შეინიშნება ენობრივი მსგავსება მწერლის ლიტერატურულ ნაწარმოებებთან. მისი ეპისტოლარული შემოქმედების შედარებისას მისსავე მხატვრულ თხზულებებთან კარგად ჩანს, თუ როგორ პირნათლად ასრულებდა ილია იმ პირობას, რომელიც თავად წაუყენა მხატვრულ ქმნილებათა ავტორებს, როდესაც განაცხადა: „ხალხია ენის კანონის დამდებო“⁵.

სანამ ილია ჭავჭავაძის წერილების უშუალოდ განხილვას შევუდგებოდეთ, ისინი წინასწარვე რამდენიმე ნაწილად უნდა დავეყოთ ადრესატების მიხედვით: I ჯგუფში გაერთიანდება ოფიციალური ხასიათის წერილები (მიმართვები, დეპეშები და ა. შ.), II-ში — წერილები ნაცნობ-მეგობრებისადმი, ხოლო III-ში კი — ილიას წერილები მეუღლის — ოლა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი.

I. ოფიციალური კორესპონდენცია

ილია ჭავჭავაძის ოფიციალური კორესპონდენცია რაოდენობრივად ძალზე მცირეა: დეპეშების უმრავლესობა, თუ ყველა არა, თბიქტური მიზნების გამო რუსულ ენაზეა შედგენილი. ოფიციალური წერილებიდან აღსანიშნავია:

დომიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის მიმართვა რაფიელ ერისთავისადმი;

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგ ილია ჭავჭავაძის ბარათი რაფიელ ერისთავისადმი;

წერილები:

გაზეთ „ივერიის“ მომავალ თანამშრომელთადმი;

ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძისადმი;

იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი;

პეტერბურგის ქართველი სტუდენტებისადმი;

ექვთიმე თაყაიშვილისადმი;

ლუარსაბ ბოცვაძისადმი და სხვ.

ილიას ოფიციალური წერილების ენა ძალზე შორს დგას მწერლის მხატვრული შემოქმედების ენისაგან. ეს ალბათ იმიტომ აიხსნება;

⁵ ილია ჭავჭავაძე, რეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986 („პასუხი“, გვ. 40).

რომ ასეთი ხასიათის წერილების ყალიბი დადგენილია, რაც ასე თუ ისე ბოჭავს შემდგენელს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ილიას ლალი ფანტაზია მაინც ასერხებს ამ მხრივ ფრთების გაშლას; მაგ., ტრადიციული დამშვიდობების მაგიერ მას ასეთი ხელის მოწერა გაუკეთებია. ეპისკოპოს ალ. ოქროპირიძისადმი მიწერილ წერილზე: „თქვენის მეუფების ლოცვა-კურთხევის მონატრული ილია ჭავჭავაძე“.

და მაინც, ილიას სიტყვის სიმძიმე განსაკუთრებით მის ოფიციალური წერილების ენაში გამოვლინდა. ზოგჯერ ვხვდებით ილიასათვის უცხო, არადამახასიათებელ ენობრივ მოვლენებსაც კი, იქნება ეს სიტყვათა წყობა, სტილი თუ სხვა რამ. მაგ., წერილში იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი ილია წერს:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთხმად აღიარა უღრმესი პატრიარქისა და გულთადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულს მწიგნობრობის გაერცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დადგინა უმორჩილესად გთხოვით მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატრიარქო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას“ გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიტყვათა წყობა, რომელიც რიგ შემთხვევებში ძველი ქართულისებურია და, ბუნებრივია, ილიას ენისათვის უჩვეულოა.

როგორც აღნიშნავენ, ილიას პროზაული ნაწარმოებებისათვის ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია: ენის სისადავე, ლაკონიურობა⁶. მწერალი ცდილობს ხალხისათვის გასაგები ენით წეროს, მაგრამ ისე კი, რომ არ შელახოს ქართული ენის სიწმინდე. ოფიციალურ წერილებში ეს პრინციპები რამდენადმე დარღვეულია, ვლინდება ხელოვნურად გართულებული ფრაზები, ძველი ქართულისათვის ჩვეული გრამატიკული მოვლენები. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ილიას ოფიციალური წერილები გამოირჩევა ენის სიწმინდით. ჩანს, მწერალს გარკვეული მუშაობა გაუწევია ამ წერილებზე.

სხვადასხვა გარემოებათა გამო და, მათ შორის, იმ მიზეზითაც, რომ ოფიციალური წერილების ადრესატები უმრავლეს შემთხვევაში ავტორთან ახლო ნაცნობობაში არ იმყოფებიან, აიხსნება ილია ჭავჭავაძის ამ ჯგუფის წერილთა სტილის ასეთი დაშორება მისი პროზისათვის დამახასიათებელი სტილისაგან. თვალსაჩინოებისა-

⁶ გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966, გვ. 139.

თვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ ილიას წერილიდან - ისევ გაბრიელ კიქოძისადმი:

უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვეღლოესობას ამ განაჩენს ჩვენის „საზოგადოებისას“, ვალად ერაცხ ზედ დაეძინო, რომ „საზოგადოებისა“ გულ-წრფელი ნატვრაა ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავ-მოსაწონებლად.

ოფიციალური წერილების უმეტესობა ტრადიციული მიმართვებით იწყება:

მოწყალეო ხელმწიდე, თქვენო მეუფებავ და ჩვენი სასიქადულო მღვდელთ-მათეარო, მოწყალეო ბატონებო...

და ტრადიციული გამოთხოვებითვე ბოლოვდება:

თქვენი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე; თქვენს ყოვლად უსამღვეღლოესობის უღრმესი და უგულთადეს პატივისცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა“ ილია ჭავჭავაძე; თქვენი გულთადი პატივისცემელი ილია ჭავჭავაძე. და სხვა.

II. წერილები ნათესავ-მეგობრებისადმი

ამ ჯგუფის წერილებში ილიას ენა უფრო თავისუფალია (I ჯგუფის წერილების ენასთან შედარებით) და დაახლოებულია ხალხურ მეტყველებას. არცთუ იშვიათია ბარბაროზმები და დიალექტიზმები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ილიას მხატვრულ ნაწარმოებებში არ შეინიშნება არც პერსონაჟებისა და არც თავად ავტორის მეტყველებაში. რაც უფრო ახლობლად მიაჩნია ადრესატი ილიას, მით უფრო თავისუფალია მისი ენა და მით უფრო დიდი რაოდენობით შეინიშნება დიალექტიზმები თუ ბარბაროზმები, როგორებიცაა: მუზიკა, ადრესი, მებელი, ჩლენი, ოტპუსკი... მამივი-და, მამიდნოს, მამიტევე და სხვ.

თავდაპირველად განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის წერილები ახლო ნათესავების მიმართ. დავიწყოთ მისი დის — ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი მიწერილი წერილებით.

პირველი წერილი, რომელიც ჩვენს ხელთაა, დაწერილია ილიას რუსეთში გამგზავრების წინ. ილიასა და მის უფროს დას რომ ჭეშმარიტად ღრმა, ნაზი და-ძმური სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი, ამას მარტო მიმართვებიც ადასტურებს:

ნინუცო; საყვარელო დაო ნინო; სულზედ უტრებსო დაო ნინო,
და სხვ.

ილიას ენა ამ წერილებში ძლიერ დაახლოებულია მწერლის ნაწარმოებების ენასთან. ამასთანავე, აქა-იქ შეიმჩნევა ბარბარიზმებიც, რომლებიც ილიას თხზულებებში არ გვხვდება: მაგ.: ადრესი, ხერუბიმი. ამ წერილების ენა რომ ძლიერ მსგავსებას ამჟღავნებს მწერლის თხზულებათა ენასთან, ამის საილუსტრაციოდ ერთი აბზაციც გამოდგება:

მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტბილი ნათესაური სიტყვა, საესე სიყვარულთა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არაენ მყოფობა ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული.

ან კიდევ:

ჩემ ჭიბეში ნეტავი ჩამოვახედა, რა ამბავია, რუსეთულ თავებს ისეთი ჭირთი გააქვსთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი, კრელ-კრელ მანეთებს წამოჰკრამენ ფებს, შენ ნუ მოუქედე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე.

სიტყვათა წყობა, შედარების ხერხი, ჩართულები ილიასეულია, რომლებიც უხვად გვხვდება მისსავე პროზაულ ნაწარმოებებში.

განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ენის თვალსაზრისით წერილი ილიას ნათესავი ქალის ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი. იგი სხვებთან შედარებით უფრო ლაღი ენით არის დაწერილი. ბარბარიზმებიდან, რომლებიც აქ თითო-ოროლა გვხვდება, აღსანიშნავია: ვეჩერი, ტიატრები. უფრო ხშირია დიალექტიზმები: შაშინდებით, მხედამდა, მარამ, თავ გავიქნევ, შავყურებ, მამივიდა, რაც იშვიათია ილიას წერილებში და, მით უმეტეს, მის მხატვრულ ნაწარმოებებში. მიუხედავად ასეთი თითქმის ფამილარული სტილისა, ილია თავის ნათესავ ქალს მაინც „თქვენობით“ მიმართავს, წერილებიც ტრადიციული მიმართვებით იწყება:

პატესაცემლო და საყვარელო დაო ნენე!

იმის დასტურად, თუ როგორ შეიცვალა აქ ილიას დარბაისლური ქართული, მოვიყვანთ ერთ მაგალითს მისი წერილიდან:

მეც თავ გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით შავყურებ პირლი ცას, თოქო იქილამ მოველოდე გაქილბულს კრელ-კრელ მანეთებს.

ილია ჭავჭავაძის წერილები დის — ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისადმი შინაურული სასაუბრო ენის სტილით გამოირჩევა. არის ბარბარიზმებიც, როგორებიცაა: ჩლენი, ოტპუსკი, მებელი, კლიონკა, მუზიკა (ფონეტიკური), ადრესი („მისამართის“ მნიშვნე-

ლობით), ეტაჟი. ყველაზე ხშირად ილია ხმარობს მებელსა და ადრესს. სხვათა შორის, ამ წერილებში გვაქვს ერთადერთი შემთხვევა, როცა ილია თავის მეუღლეს რუსული ფორმით — ოლგა-თი ახსენებს. თავის სიძეს — ელისაბედის მეუღლეს ილია მორიდებით მოიხსენიებს და ხმარობს თავაზიანობის გამომხატველ ზმნას — წამობრძანდეს (და არა „წამოვიდეს“).

ემ მაგერ შეეხებენ ალექსანდრეს ხელ წამობრძანდეს და შენც წამოგყვანოს უსათუოდ.

თვით მიმართვებსა და ხელის მოწერებშიც თავს იჩენს მწერლის ღრმა და ნაზი სიყვარული უმცროსი დისადმი. თითქმის ყველგან ილია მას თბილად მიმართავს: „საყვარელო დაო ლიზაჲ“, ხოლო წერილს უმრავლეს შემთხვევაში ასე ამთავრებს: „შენი ერთგული ძმა ილია ჭავჭავაძე“.

ენა ამ წერილებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისუფალია და ძლიერ ახლოს დგას ხალხურ, სამეტყველო ენასთან. ილია თავს არ იზღუდავს და უხვად ხმარობს დიალექტიზმებს და, არცთუ იშვიათად, ბარბარიზმებსაც კი.

ახლა განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები ნაცნობ-მეგობრებისადმი. დავიწყოთ ილია წინამძღვრიშვილისადმი მიწერილი წერილებით. თუ ამ წერილების ენას ილიას ნაწარმოებების ენას შევუდარებთ, შევამჩნევთ, რომ წერილების ენა გაცილებით უფრო ლალია და ბუნებრივი, სასაუბრო სტილისა, რომელიც ილიასთან პერსონაჟების მეტყველებაში უფრო შეგვხვდება, მაგრამ დიალექტიზმები და ბარბარიზმები არ შეინიშნება. განსხვავებით ახლო ნათესავებთან მიწერილი წერილებისაგან, აქ ენაც უფრო მსუბუქია, განსაკუთრებით ილიას ლექსების ენასთან შედარებით. მიმართებშიც ჩანს, რომ ილია წინამძღვრიშვილი ავტორის ახლო მეგობარია. მწერალი მას ასე მიმართავს: „საყვარელო ძმაო და მეგობარო ილიკო!“, და ასევე აბოლოებს: „შენი ძმა და მეგობარი ილიკო ჭავჭავაძე“.

ოდნავ უფრო ოფიციალური ხასიათისაა წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, რაც, ალბათ, იმიტაა შეპირობებული, რომ მასთან ილიას ახლო მეგობრობა არ აკავშირებდა, როგორც ილია წინამძღვრიშვილთან. სტილი არის სადა, დახვეწილი, როგორც საერთოდ ილიას ენა. სწორედ კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილი წერილების ენა დგას ყველაზე ახლოს ილიას ნაწარმოებებისეულ ენასთან. რაც უფრო ახლობლად მიაჩნია ავტორს წერილის ადრესატი, მით უფრო ფამილარულია მისი სტილიც და, მაშასადა-

მე. ასე თუ ისე დაშორებულიც მისი, როგორც მწერლის, ენისაგან (ისევე, როგორც დაშორებულია მისგან ოფიციალური წერილების ენა). ყველაზე მეტ სიახლოვეს ილიას პროზაული ნაწარმოებების ენასთან სწორედ კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილი წერილები ავლენენ და ამის დასტურად ერთი მაგალითის მოყვანაც იქმარება:

დიდი სიხარულით წაიკითხე შენი წიგნი ჩემთან მოწერილი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველს მაგისტანას საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. მეც ჩემის მხრით, მადლობას გეუბნები, რომ მაგისტანა კეთილ საქმეში ჩემი ხელიც გაუწიო: საკვლავად თუ ჩემი დახმარება რაშიმე იუარებს და დაგვირუდება, გთხოვ, ყოველთვის და ყველგან მიგულეო სულით და გულით გამზადებული.

ოდნავ განსხვავებულ სურათს გვაძლევს წერილები დავით ერისთავისა და პეტრე უმიკაშვილისადმი. აქ გვხვდება ისეთი დიალექტური ფორმები, როგორიცაა: მამივიდა, მამიდნოს, მამიტევე, მამდის, შაღავათი, თუმცა ჩვენ ხელთა გვაქვს კიდევ რამდენიმე წერილი. პეტრე უმიკაშვილისადმი მიწერილი, სადაც ილია ზემო-აღნიშნული ფორმების მაგიერ ხმარობს ფორმებს: მივილე, მომდის, მომიხდა და ა. შ. აქ უკვე, ალბათ, დროის ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს. საფიქრებელია, რომ პირველი წერილი ნაჩქარევად არის დაწერილი და ილიას დრო აღარ ჰქონდა, გადაეხედა და შეესწორებინა ნაწერი, რაც მხოლოდ რამდენიმე დიალექტური ფორმის ხმარებაში გამოვლინდა, ხოლო სტილი, სიტყვათა წყობა, ენა მაინც ილიასეულია, მისი თხზულებებისთვის დამახასიათებელი.

მეტად საინტერესო მასალას იძლევა, როგორც ენობრივი, ისე ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ილიას ერთი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი. ამ უკანასკნელმა ევროპაში გამგზავრებამდე „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი „მშვიდობით, მშვიდობით“, სადაც აცხადებდა, რომ მოჰპებურებოდა გაზეთის თანამშრომლის ერთ-ერთი და მოსაწყენი სამუშაო და მიდიოდა ევროპაში იმ იმედით, რომ ახალი წრე დაავიწყებდა მას, როგორც თავად ამბობს, „უთავბოლო ბრძოლის დაღლილობას“⁷.

ამ წერილმა დიდი გამოხმაურება პოვა ქართველ საზოგადოებრიობაში. ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, ნიკო ნიკოლაძეს წერილი გაუგზავნა და იგი მკვეთრად გამოიჩინა ილიას ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, როგორც მისი

⁷ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1961, გვ. 485.

ბრწყინვალე ნიმუში. აი, რას წერს პავლე ინგოროყვა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის შენიშვნებში: „ეს წერილი ილიასი არის წერილი ერის ნამდვილი ბელადისა“⁸. სტილი ილიასეულია, მკაცრად შემოზღუდული ყოველგვარი დიალექტური ფორმებისა თუ ბარბარიზმებისაგან. კარგად ჩანს, რომ ავტორს დიდხანს უმუშავია ამ წერილზე, ყოველი სიტყვა აუწონ-დაუწონია და ისე შეუდგენია იგი. წერილი თავისი შინაარსით, ენობრივი მონაცემებით ძლიერ ემსგავსება ილიას მსატერული პროზის სტილს და სცილდება ეპისტოლარული ჟანრის საზღვრებს. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ილიას ამ წერილიდან:

ქერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ესლავე გინდა თავს უწყევლო. ეგ ევრადერი ძალგულოვნობაა. განა წინაღუე არ იცოდო, რომ მაგ გზახუდ. რომელსაც შენ დაადევ, ათასი ვაი-ვაგაზიხი, ბეზლი, ცილო. ლანქლა და თრევა დაგხედებოდა ჭილდოდ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბევი არ ახალია, ძველია.

ან კიდევ:

თუ შენ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშინ მიხედები, რა სურვილი და რა ვრძნობა მაწერიანებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას სმარობს: „გამარჯებოთო“, მაგრამ ამ სალაშს გამოთხოვებ-სას თავის ღღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლდან გარბის: იმას „მშვიდობათო“ ეტყვიან. მსურს, რომ შენ ისე მოიქცე, რომ შევექლოს შენთვის თქმა „გამარჯებოთ“ და არა „მშვიდობოთ“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, სანამ ნიკო ნიკოლაძე ამ წერილს გამოაქვეყნებდა, ილიას მასთან მიმოწერა ჰქონდა და წერილს ყოველთვის ასე იწყებდა: „ძმაო ნიკო!“ ხოლო მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძე ჩამოშორდა ქართულ პრესას, 1883 წელს ილიას მიერ მიწერილი წერილი ასე იწყება: „პატივცემულო ნიკოლოზ იაკობიჩი!“. აქ ილია ნიკოს უკვე „თქვენობით“ მიმართავს. შეიცვალა ურთიერთობა ავტორსა და ადრესატს შორის და შეიცვალა მიმართვაც.

ქართველი საზოგადო მოღვაწეების ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში უთუოდ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიმოწერას ორ დიდ პიროვნებას შორის: მხედველობაში გვაქვს ილია ჭავჭავაძისა და ვასილ მაჩაბლის მიმოწერა.

ვინაიდან ილიას ვასილ მაჩაბლისადმი მიწერილი წერილების უმეტესობა საქმიანი ხასიათისაა, ბუნებრივია, ილია იმდენად არ ზრუნავდა სტილსა და მის დახვეწაზე, ამიტომ ენა ამ წერილებში

⁸ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. 10, თბ., 1961, გვ. 485.

შედარებით თავისუფალია, უფრო უბრალო, სადა, ვიდრე მისსავე სხვა წერილებში. სტილი მეტად დაახლოებულია სასაუბრო მეტყველებასთან. დიალექტიზმები და ბარბარიზმები არ შეინიშნება, გარდა ერთადერთი შემთხვევისა (ადრესი), მაგრამ აღსანიშნავია, რომ ილია ამ ფორმას საზოგადოდ „მისამართის“ მაგივრად ხმარობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ თავად მას ეს სიტყვა არც კი მიაჩნია ბარბარიზმად. აქვე შეგვხვდება ისეთი ფორმები და გამოთქმები, რომლებიც ილიასათვის საკმაოდ უცხოა:

ბანკს უბრაველაუშინან (ერაც ვოლკოვი გდია) შეეხებტე; ვერ მოვიბირე; ლაუფაცურღეს.

და სხვა.

ცალკე განსახილველია მიმართვა და დამშვიდობება ვასილ მანაბლისადმი:

მავლსა შეილსა მამულს-შვილი შორდან სალამს გიყუფავ — ძმაო ვასილ!

ანდა:

გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ კავკასიის მთების იქით ერთი ერთგული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან ილიკო ქავეკავაძეს.

სამწუხაროა, რომ ასეთი გულითადი მეგობრობა შემდგომ უსიამოვნებით შეიცვალა.

ჩვენამდე მოღწეულია ილია ჭავჭავაძის წერილი ცოლისდის — ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკისადმი. აღსანიშნავია, რომ ილიას თითქმის ყველა წერილში (ოფიციალური კორესპონდენციის გარდა) მოიძებნება თითო-ოროლა საღალბო სტრიქონი, მაგრამ ზემოხსენებული წერილი თავიდან ბოლომდე იუმორისტულად არის დაწერილი. აქ ილია მაღალფარდოვან სტილს მიმართავს და აღწევს კიდევ მიზანს. ამის დასტურად ერთ ნაწყვეტს მოვიყვანთ ილიას წერილიდან:

თქვენი უღრსი ძმა ილია ქავეკავაძე კეთილ-მორწმუნე ღუშეთდამ უმდაბლეს სალამს გიძღვრით და სოვლად მოწყალე ღვთის მიერ ითხოვს თქვენის აღმატებულბერს კეთილ-განწყობლად სუღევას ქრმოთა და შვილებითურთ.

აქ იუმორისტული ეფექტი მიღწეულია არა იმდენად შინაარსობრივად, რამდენადაც ენობრივი გამოსატყულებით: მაღალფარდოვანი სტილით. მსგავს შემთხვევას ვხვდებით ილიას წერილში გიგო აფხაზისადმი, რომელიც ბიძის სახლის მეთვალყურედ იყო დატოვებული ყვარელში. უკვე მიმართვაში იგრძნობა წერილის ხასიათი:

დიდის ყვარლის მებატონის დიდ მოურავო, ბრწყინვალე თაველო გივო! პირველად უფალსა ჩვენსა ექსთხოვ თქვენის ბრწყინვალეების ზედნიერებით სუფევას...

იუმორით შეფერილ ამ წერილებში ილია არ არღვევს ქართული ენის ნორმებს, იცავს სალიტერატურო ენის სიწმინდეს, კრიდება ბარბარიზმებისა და დიალექტიზმების ხმარებას.

რაც შეეხება ალექსანდრე ნანეიშვილისა და ილია ოქრომჭედ-ლიშვილისადმი მიწერილ წერილებს, მათი სტილი ჭეშმარიტად ილიასეულია. შეიმჩნევა ძლიერი მსგავსება მწერლის მხატვრული პროზის ენასთან. ამის საილუსტრაციოდ ორიოდ ნაწყვეტს მოვიყვანთ:

არც ერთი ჩვენგანი არ იზარალებს, ნამეტნავად თქვენ, რომელსაც ხუმორტი თუმანი თთეეში — არის თუ არ არის — უნდა გეძლიოთ ჩემგან.

თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა; ხუმრობა გაშეებით და ძალიან დამაყალებ, თუ ეგ წიგნი მიშოვნე.

დახვეწილი ენით არის დაწერილი ილიას ფრიად მოკრძალებით სავსე წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი. ეს ჯერ კიდევ წერილის დასაწყისში ჩანს: „მოწყალეო ბატონო; დიმიტრი ივანეს ძევი“ მთლიანად წერილის სტილი რამდენადმე მაღალფარდოვანია:

დიდ ბოღიშს ვიხდი, რომ გაეკანდიერდი და თქვენის შინაურის საქმეების გამო გაგიბედეთ სიტყვა. ამ შემთხვევაში მე მამოქმედებს... ნდობა თქვენი, რომლითაც მე ღირს მყავით არა ერთხელ... ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგვეცეს უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზარუნელობა დაუბრკოლებლიე და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიე თქვენ არა ერთხელ დაგიბრკოლებით.

საქმიანი ხასიათით გამოირჩევა ილიას წერილები იონა მუწუნარგიასადმი. ენა ამ წერილებისა სასაუბროა და ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული:

დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაკირებების დღეს, ესტრით და ვლრიალებთ უშენობის გამო, მაგრამ რა გეწყობა?

შენი წერილი მივიღე და ეწუხეარ, რომ ეერათერს სანუგეშოს ვერ მოგწერ. აი, საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვგზავნიო...

და ა. შ.

ცალკე უნდა განვიხილოთ ილიას წერილები აკაკი წერეთლისა და მამიდიისადმი. აკაკი წერეთლისადმი მიწერილ წერილთან დაკავშირებით გვაგონდება ერთი ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან: ერთხელ ილიას იაკობ გოგებაშვილისაგან რაღაც ბარათი მოსვლია. ილიას პასუხის დაწერა განუზრახავს და ბარათის შედგენას, რომელშიც

სულ რამდენიმე სიტყვა იყო, თითქმის მთელ საათს მონდომებია. როცა ამის მიზეზი ჰკითხეს, მწერალს უპასუხია: იაკობი დიდი პიროვნებაა, მასთან დაკავშირებული ყოველგვარი საბუთი ადრე თუ გვიან გამოქვეყნდება და შთამომავლობა წაიკითხავს; ასე რომ, კაცმა ასეთ შემთხვევაში აწონილ-დაწონილი და ათასჯერ გადაკითხული პასუხი უნდა გაუგზავნოსო. ამას ადასტურებს ილიას წერილიც აკაკი წერეთლისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ილიას აკაკისთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, მისი წერილი გამოირჩევა უაღრესად თვაზიანი, დახვეწილი ენით. რა თქმა უნდა, მხოლოდ შემომოყვანილი შემთხვევით ვერ აიხსნება ეს ფაქტი, მას განსაზღვრავს თავად აკაკის პიროვნებაც. წერილის დასაწყისშივე ილია წერს:

ძმა აკაკი, მე შენ ვერ გაგვიადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაუგზავნე. სხვები სხვათა არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ.

მიუხედავად იმისა, რომ ილია აკაკის „შენობით“ მიმართავს, ხმარობს ზმნის ისეთ ფორმებს, რომლებიც მოსაუბრისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოწიწებაზე მიუთითებს. მაგ.: მოგართვი (და არა „გამოგიგზავნე“); იმყოფებოდი (და არა „იყავი“). სწორედ აკაკის პიროვნებისადმი მოწიწებისა და თავყვანისცემის გამომხატველია შემდეგი ფრაზები:

...მეთხოვნა გავგეშეენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიკის ნაშუქითა... წადილ მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი.

როგორც მოსალოდნელი იყო, წერილში არ შეინიშნება არც დიალექტიზმები და არც ბარბარიზმები. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სტილი არ არის ისე გადატვირთული მაღალფარდოვანი სიტყვებითა თუ გამოთქმებით, როგორც საერთოდ ასეთი სახის წერილებს ახასიათებთ. პირიქით, ენა შეძლებისდაგვარად დაახლოებულია სასაუბრო მეტყველებასთან. ილია მიმართავს აკაკის:

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ეუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება... მაინც და მაინც გთხოვ — დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ეყოფილხარ, ვარ და ვიქნები.

ასეთი, ერთი შეხედვით, უბრალო, სადა, ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოებული წმინდა, დახვეწილი ქართულით გამოსატყვის ილია იმ პატივისცემასა და მოწიწებას დიდი მგოსნისადმი, რასაც სხვები მაღალფარდოვანი ენით ცდილობენ მიაღწიონ.

ამავე თავისებურებით გამოირჩევა ილიას წერილები მამიდის — მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისადმი. აქ იგრძნობა ორმა პატივისცემა და მოწიწება აღმზრდელი მამიდის მიმართ. ჩანს, რომ ილიას ერთი ხელის მოსმით არ დაუწერია ეს წერილები; პირიქით; გულდაგულ შეურჩევია სიტყვები, ფრაზები, რასაც მისი ხელმოწერაც ადასტურებს:

თქვენი უმორჩილესი და მარადის ღრმად პატივისმცემელი შვილი ილია ჭავჭავაძე.

მიუხედავად იმისა, რომ აქაც, ისევე როგორც აკაკისთან, წერილი ახლობელი ადამიანისთვის არის მიწერილი, ილია ადრესატს მაინც „თქვენობით“ მიმართავს, თავაზის სიტყვებსაც ურევს, უხვად ხმარობს დადებითი ემოციების აღმძვრელ სიტყვებს:

რაც გებოძებინათ, დიდის მადლობით და სიამოვნებით მივიღე, მაგრამ თქვენმა მხიარულმა წიგნმა...

და ა. შ.

მამიდასთან მიწერილი წერილების ენა ყველაზე უფრო დაახლოებულია ილიას ნაწარმოებებისეულ ენასთან:

მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჯან, რომ ბოლოს, ერს თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენს ათასწიერი შრომისათვის ხელს გულზედ ერბო-კვერცხი იწეას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუეწეარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნათ, ეგ ეფრო განსაკუთრებით უკეთაი არის ჩემთვის.

III. წერილები ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი

სამწუხაროდ, ამ წერილების დიდი ნაწილი, კერძოდ — ქორწინებამდელი — რუსულად არის შედგენილი და ჩვენ, ბუნებრივია, არ გამოგვადგება. ამიტომ იძულებული ვართ, მხოლოდ ის წერილები განვიხილოთ, რომლებიც ქართულადაა დაწერილი. ისინი პირობითად ორ ქვეჯგუფად შეიძლება დაიყოს: I ქვეჯგუფში შევა ქორწინებამდელი წერილები, II-ში კი — ქორწინების შემდგომ დაწერილი წერილები.

I ქვეჯგუფში შემავალი წერილები უკლებლივ ყველა 1863 წელს მიეკუთვნება. ამ წერილთა შორის, რომელთა რიცხვიც პ. ინგოროვყვას რედაქტორობით გამოცემულ ილიას თხზულებათა სრულკრებულში 60-ს აღწევს, სულ რამდენიმე, კერძოდ 12 წერილია ქართულად შედგენილი. მაგრამ რუსულ ტექსტში ილიას ქართულად ჩაუწერია რამდენიმე სიტყვა, ხშირად რამდენიმე წინადადებაც კი, რაც უსათუოდ გათვალისწინებული იქნება განხილვისას.

სანამ ამ წერილების თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე განვიხილავედეთ, ჯერ ისინი შევუდაროთ ერთმანეთს ენის თვალსაზრისით და აღვნიშნოთ ის ცვლილებები, რომლებიც მათ შორის შეიმჩნევა. წესით, ეს ცვლილებები უნდა იყოს, ვინაიდან მათ შორის დროის დიდი მონაკვეთია — ქორწინებამდელი წერილები ყველა 1863 წელს არის შედგენილი, ხოლო ქორწინების შემდგომი კი — 1864-დან 1898 წლამდე (ბოლო თარიღიანი წერილი 1897 წელსაა დაწერილი). მიუხედავად ამისა, განსხვავება ამ ორ ქვეჯგუფის წერილებს შორის მხოლოდ შინაარსობრივი ხასიათისა თუ არის: I ქვეჯგუფის წერილები უმთავრესად სამიჯნურო-სატრფიალო ხასიათისაა, ხოლო II ქვეჯგუფისა — უფრო საქმიანი; ენობრივი განსხვავება კი მათ შორის ძალზე მცირეა. ენა იგივეა, სტილი არ შეცვლილა. საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ:

I ქვეჯგუფისა:

შენგან არ მივიერს, რომ მაგასა შეითხამ! მე რათახანია ავიხსენო მასკა და შენ დაგნახეუ ისე, როგორცა ვარ; ეხლა მასკის დახურვის დრო აღარ არის.

II ქვეჯგუფისა:

შენი წიგნი ორი კვირაა არ მამსვლია, ბოლოს გუშინ ორი ერთად მივიღე. მამწერე, შენი კვირიმე, როგორ გაატარებთ დროს მამათქვენთან.

სხვა ადრესატებისადმი მიწერილი წერილებისგან განსხვავებით, მეუღლესთან მიწერილ წერილებში უფრო ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სახის დიალექტიზმებს. ენაც უფრო ლალი, ბუნებრივია, რაც, ალბათ, იმით განისაზღვრება, რომ ადრესატი ილიასათვის ყველაზე ახლობელი პიროვნებაა.

ოლიო! იმ საძაველმა ერისთავმა მამატყუა და ტყუილად ამომათრია აქ, ბურკოგმა ისე გაიარა, რომ არც კი დაღა სტანციოში. მე იქნება სამშაბათს ჩამოვიდე, იქნება სულაც ვერ ჩამოვიდე ამ ცოტას ხანში.

ამ წერილების ენა მთლიანად მჭიდრო კავშირშია ილიას პროზის ენასთან, თუმცა, ცხადია, წერილების ენა უფრო შეუზღუდავი და თავისუფალია. მაგრამ ილიას ენისათვის დამახასიათებელი სისადავე, ლაკონიურობა, დახვეწილობა აქაც შენარჩუნებულია:

შენი წიგნი კარდანახილამ მომივიდა და ორნაირად მასიამოვნა: ერთი, რომ შენ მშვიდობით მისულხარ და მეორე მით, რომ ხუთი ურემი ღვინო მოგსვლია. კიდევ მადლობა ღმერთს!... ვერ წარმოიდგენ, რა რიგად გულჩათუთქეილი ვარ ამ ციესა და უმზეო ქვეყანაში და რა რიგად გული მაინდ მოისწრაფის, რომ დიდი ხნის უნახეი ოლიო ნახოს.

ქორწინებამდელი წერილების ქვეჯგუფში აღინიშნება შემდეგი სახის დიალექტიზმები: მკითხამ, მამიკედება, ვნახამ, გამართამ, მამეწონა, ვნახამთ და სხვ.

მიმართვები ტრადიციულია: „ოლიკო“, „ოლიკოჯან“, „ჩემო კარგო“, „ჩემო გვრიტო“ და ა. შ. ასევე დამშვიდობებაც: „შენი ილიკო ჭავჭავაძე“, „შენი სამუდამოდ ილიკო ჭავჭავაძე“. „შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე“ და ა. შ.

რაც შეეხება ილიას II ქვეჯგუფის წერილებს, ძირითადად ენობრივი ვითარება აქაც იგივეა. დიალექტური ფორმები, ასევე ბარბარიზმები — უპირატესად ყოფითი ხასიათისა — აქაც აღინიშნება, ამასთან, უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე სხვაგან. მაგ.: კარანდაშები, შაშკა, პროვაზი, კუნხა, მებელი, დაჩა, ჰოვოსკა, გრეკი, შუბა.

დიალექტურ ფორმათაგან აღსანიშნავია: შაფათი, მამწერე, მამივიდა და სხვ.

ამრიგად, ილიას ეპისტოლარული მემკვიდრეობის ენის შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას შემდეგი:

ილიას წერილების სტილი მისი ნაწარმოებების სტილს ემსგავსება და გამოირჩევა სისადავითა და ლაკონიურობით. ილიას წერილების ენა ცოცხალ, ხალხურ სასაუბრო მეტყველებასთან არის დაახლოებული (განსაკუთრებით ეს ითქმის II—III ჯგუფის წერილების შესახებ), რაც ზოგჯერ დიალექტური ფორმების მოჭარბებულ ხმარებაშიც ვლინდება. მაგრამ, საერთოდ, ილია ცდილობს დაიცვას ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდე და მინიმუმამდე დაიყვანოს დიალექტური ფორმებისა და ბარბარიზმების ხმარების შემთხვევები. ილიას წერილების ენა დიდ მსგავსებას ავლენს მისსავე მხატვრული პროზის ენასთან; ხშირად თითქმის გამეორებულია ფრაზები, სიტყვათა წყობა, რაც აშკარას ხდის იმას, რომ ილია თავის თხზულებებში ცოცხალი სამეტყველო ენით გვესაუბრება. საზოგადოდ, ილია გაურბის მაღალფარდოვანი სიტყვებით გადატვირთული ფრაზების ხმარებას, მისი ენა არის სადა, იმავდროულად დახვეწილი და სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებული.

თაბარ ზურაბიშვილი
ნაწილი ციხიშვილი

სამეცნიერო ენის სინტაქსური თავისებურებები

ცნობილია, რომ ყოველი ენის საფუძველს წარმოადგენს გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. როგორც გრამატიკული წყობა, ისე ლექსიკური შემადგენლობა ენაში სისტემას ქმნის. ენა არ წარმოადგენს სიტყვებისა და მათგან ნებისმიერად შედგენილი შესიტყვებების უბრალო, ქაოსურ გროვას. სიტყვათა ცვალებადობა ან სიტყვათა დაკავშირება წინადადებაში კანონზომიერად ხდება და ემორჩილება განსაზღვრულ ენობრივ წესებს. ენის შემადგენელი ნაწილები (სიტყვა, შესიტყვება, წინადადება...) ერთმანეთთან გარკვეულ კანონზომიერ ურთიერთობაში იმყოფებიან.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ აზრს ენა ყველა შემთხვევაში ერთნაირად უნდა გადმოსცემდეს. ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად არსებობს სხვადასხვა ენობრივი მოდელი. თითოეული მათგანი გამოიყენება რომელიმე ერთ, გარკვეულ სიტუაციაში, გარკვეული მიზნით, გარკვეული ფუნქციით... ენობრივ მოდელთა გამოყენების სხვაობა კი ქმნის მეტყველების სხვადასხვა ფუნქციურ სტილს.

ფუნქციურ სტილს განსაზღვრავენ, როგორც ენის ისეთ ქვესისტემას, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, ადამიანთა ურთიერთობის ხასიათით საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, გამიჯნულია სხვა ფუნქციური ქვესისტემებისაგან ლინგვისტურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ფუნქციური სტილი სტილისტიკური მნიშვნელობის მქონე ენობრივ საშუალებათა გარკვეული ერთობლიობაა.

ამყამად ძირითადად გამოყოფენ შემდეგ ფუნქციურ სტილებს: მხატვრულს, სამეცნიეროს, პუბლიცისტურს, საქმიან-საკანცელარიოს, სასაუბროს და სხვ.

თითოეული სტილი ხასიათდება მისთვის ნიშანდობლივი ლექსიკით, სიტყვათა წარმოების საშუალებებითა და სინტაქსური წყო-

ბით. ამა თუ იმ სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები შეიძლება სხვა სტილებშიც განმეორდეს, მაგრამ სტილებს ერთმანეთისაგან განასხვავებს ამ ენობრივი საშუალებების შერჩევა-შესამება.

როგორც აღნიშნეთ, ენის ერთ-ერთ ფუნქციურ სტილს წარმოადგენს სამეცნიერო სტილი. იგი ხორციელდება მეტყველების ისეთ ქანრებში, როგორიცაა: სამეცნიერო მონოგრაფიები, სტატიები, სადისერტაციო შრომები, სამეცნიერო მოხსენებები, ლექციები, გამოსვლები სამეცნიერო დისპუტებზე და სხვ.

ენობრივი საშუალებების შერჩევა, ბუნებრივია, ხდება ამა თუ იმ სტილის ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად. სამეცნიერო ენის ფუნქციური დანიშნულება კი, აუცილებელი წესი მსჯელობის (და არა თხრობის) წარმართვისა გულისხმობს სამეცნიერო ენის ისეთ ზოგად, საყოველთაოდ აღიარებულ ნიშან-თვისებათა რეალიზებას, როგორიცაა სიზუსტე, ობიექტური ანალიზი, აბსტრაქტიზება-განზოგადება, ლოგიკურობა.

როგორც აღნიშნავენ, სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები გამოირჩევა კომპოზიციური აგებულების თვალსაზრისითაც. ჩვეულებრივ, მათში გამოიყოფა: შესავალი, საკითხის ისტორია, ძირითადი ნაწილი (სადაც მეცნიერული მსჯელობაა გაშლილი) და დასკვნები.

ყოველი ფუნქციური სტილი შეარჩევს, იყენებს ენაში არსებულ (ან პოტენციურად არსებულ) გრამატიკულ-სტილისტიკურ საშუალებებს. ეს შერჩევა კი, უფრო ზუსტად, ამ შერჩევით გამოწვეული თავისებურებები, უკეთ ვლინდება გაბმულ ტექსტში, შესიტყვებასა, თუ წინადადებაში. ამიტომ ნებისმიერი ფუნქციური სტილის, მათ შორის სამეცნიერო სტილის თავისებურებები მკაფიოდ იჩენს თავს სინტაქსის სფეროში.

სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები — ობიექტურობა, ლოგიკურობა და აბსტრაქტულობა ბუნებრივად, მოითხოვს ენაში არსებული ისეთი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებას, რომლებშიც აღნიშნული ნიშნები უკეთ იქნება რეალიზებული.

ამიტომ სამეცნიერო ენისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ე. წ. უპირო წინადადებების ჭარბი გამოყენება. ეს ისეთი წინადადებებია, რომლებიც კონკრეტულობას მოკლებულნი არიან და მეტი განყენებისა თუ განზოგადების თვისებით ხასიათდებიან. აღნიშნული თვისება რამდენიმე კონკრეტული ენობრივი საშუალებითაა გამოხატული:

ა) განუსაზღვრელპირიანი წინადადებებით, რომელთა სტრუქტურიდან რეალურად გამოირიცხულია მოქმედი სუბიექტი, გრამატიკულად კი იგი არსებობს ძირითადად ზმნის აწმყოს ნაკეთის მრ. რიცხვის მესამე (ან პირველი) პირის ფორმით. მაგალითად:

წრეზე შტრიხებს ხაზავენ დამყოფი მანქანის საშუალებით (პრ. ასტრ.);
ლენის ეფექტს ექსპერიმენტული გზით გამოიკვლევენ და განსაზღვრავენ (ასტრ.); ზოგჯერ მაგლანის ღრუბლებს ჩენი გალაქტიკის თანამგზავრ გალაქტიკებად მიიჩნევენ (ასტრ.); „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე სტროფია მაქამერითმინი. რუსთველოლოგიაში ასეთი სტროფების ნამდვილობაში ექვი შეაქეთ (ივ. გიგინ.); დადგა ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების ისეთი ფაზა, საიდანაც გამოსავალს ორიენტაციის რადიკალურ შეცვლაში ხედავენ (ე. გოგობ.); თელიან, რომ ობიექტივი ან სარკე... კარგი ხარისხისაა, თუ მისი განუი აბერაცია არ აღემატება მილიმეტრის 10 ან 15 მეასედს (ასტრ.); ეგნატე ნინო-მეილის სახელი დაუპირისპირეს ილიას და ეგნატე გამოაქცადა მესტრამეტე საუკ საქართველოს უპირველეს მწერლად (ნ. გრიგალ.); იდეალურ იარაღს ეუწოდებთ უცდომილებო იარაღს (ასტრ.); ორივე კულმინაციაში დაკურების შემთხვევაში ეღებულობთ ვარსკვლავის დახრილობას (პრ. ასტრ.).

ბ) მოდალური სიტყვების შემცველი განუსაზღვრელპირიანი წინადადებებით: მოდალური სიტყვა + მასდარი ან ზმნის კავშირებითი კილოს ფორმა. მაგალითად:

მხოლოდ დაკვირვებებიდან... შეიძლება შევისწავლოთ მზის, მთვარისა და პლანეტის ხილული მოძრაობა... (პრ. ასტრ.); ...მისი ხელმძღვანელი იყო ი. ბრიუსი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პირველ სპეციალისტ ასტრონომად რუსეთში (პრ. ასტრ.); ყველა საკირო ცნობა მიმდინარე წლისათვის შეიძლება მოიძებნოს „ასტრონომიულ წელიწდულში“... (პრ. ასტრ.); ისინი ყველა ღიზისათვის შეიძლება განვიხილოთ როგორც პრაქტიკულად უსარყოფელ დაშორებული საგნები (პრ. ასტრ.); იმისათვის, რომ ფოტოფირფიტაზე განსაზღვრული ობიექტი აღებულთ, საკიროა შეექმნათ მასზე ამ ობიექტის ობტყური გამონახაზი (ასტრ.); ასტროფოტოგრაფიაში ორი ძირითადი მხარე ანუ ნაწილი უნდა გავარჩიოთ (ასტრ.); ეს წერტილი უნდა განვიხილოთ, როგორც დაკვირვების ადგილი (პრ. ასტრ.); ასეთ შემთხვევებში საკიროა ე. წ. ფოტომეტრიული სტანდარტის ანუ ხელოვნური შესადარი ვარსკვლავის გამოყენება (ასტრ.); აუცილებელია ამ პირობის დაცვა (ასტრ.); შესაძლებელია ამ საზღვრის კიდევ უფრო მეტად გადიდება (ასტრ.).

გ) პასიური კონსტრუქციით. ზმნის პასიური ფორმებიც (გარდამავალ ზმნებთან შედარებით) კონკრეტულობას მოკლებულია და აზრის, მსჯელობის განზოგადების საშუალებას უკეთ იძლევა¹. მაგალითები:

¹ ჩენი მიზანი, რა თქმა უნდა, არ არის პასიური ფორმების დაწერილებითი დახასიათება. (ეს მორფოლოგიური ანალიზის სფეროა). ამ შემთხვევაშიც და ქვემოთაც ზმნის ნებისმიერი ფორმა გვიანტერესებს მისი (და მისგან შედგენილი კონს-

F₁ და F₂ უშუალოდ აითვლება ფოტოფორფიტების მდებარეობის მიხედვით, ხოლო L₁ და L₂ გაიზომება ფოტოფორფიტებზე, F₁ უბრალოდ გამოითვლება (ასტრ.); ასეთი ღიზა იწოდება განმბნევე ღიზად (პრ. ასტრ.); პრაქტიკული ასტრონომია ...არის ასტრონომიის ის ნაწილი, რომელშიც განიხილება ასტრონომიულ დაკვირვებათა სხვადასხვა ზერებები... (პრ. ასტრ.); ბოლო ხანებში დიდი წარმატებით გამოიყენება პიერსენსიბილიზაცია ინერტული ვაზებით (ასტრ.); ნისლეულების აგებულების პრობლემები შედარებით გარკვეული გზით მუშავდება (ასტრ.); პრალაქსური სამკუთხედიდან ზენიტ-პოლუსი-მნათობი გამოიყენება ფორმულა (პრ. ასტრ.).

აღნიშნულ მიზანს ემსახურება ე. წ. აღწერილობითი ვნებიითე-ბიც:

შეკვეთილ იქნა სათანადო იარაღები და აგებულ იქნა მათთვის შესაბამისი სათავსოები (პრ. ასტრ.); 1701 წელს მოსკოვში დაარსებულ იქნა სანაოსნო სკოლა (პრ. ასტრ.); ამრგად, ...ასტროფიზიკის მთავარი წარმატება მიღწეულ იქნა ვარსკვლავთა... ფიზიკური ბუნების შესწავლის საკითხებში (ასტრ.); მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულ იქნა ობსერვატორიები... (პრ. ასტრ.); 1920 წელს ორგანიზებულ იქნა საბჭოთა დროის სამსახური (პრ. ასტრ.); გამოგონილ იქნა ვერნერი და შემდეგ მიკროსკოპი მიკრომეტრით (პრ. ასტრ.); აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული ასტრონომიის ამოცანები: შეიქმნას მიზანშეწონილი იარაღები, შემუშავებულ იქნას მათი მუშეობით დაკვირვების მეთოდები, შესწავლილ იქნას მათი ცდომილებების განსაზღვრის მეთოდები და მითითებულ იქნას ამ ცდომილებების გასაზომ სიდიდეებზე გაულების აცდენის საშუალებანი (პრ. ასტრ.).

სამეცნიერო ენის სტილური თავისებურება ვლინდება შემასმენლების სემანტიკურ შერჩევაშიც:

ა) სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ფართო, აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე ზმნების გამოყენება, როგორებიცაა: არსებობა, ქონა, გამოჩენა, ცვალება, გამოვლენა, დაკვირვება და სხვა. ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ ზმნათა სემანტიკის დაეიწროებისა თუ საერთოდ დაკარგვის ტენდენცია. სწორედ ამ უკანასკნელი პროცესის შედეგია სახელურ-ზმნური შესიტყვეებები, რომლებიც ასე ფართოდაა გავრცელებული სამეცნიერო მეტყველებაში და რომლებშიც ძირითადი სემანტიკური დატვირთვა სახელზე მოდის, ხოლო ზმნა მხოლოდ გრამატიკული კა-

ტრუქციების გამოყენების თვალსაზრისით. სპეციალური გამოკვლევა ამ საკითხის შესახებ იხ. თ. ლეინაძე, ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში, ქსკს, VIII, გვ. 133-161; მისივე, ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბ., 1989, გვ. 78-141.

ტივგორიების გადმოცემით კმაყოფილდება; ფაქტობრივად იგი ზმნურ-
რი სუფიქსის როლს ასრულებს.

ეს მოვლენა, გარდა იმისა, რომ სამეცნიერო სტილის აბსტრაქ-
ტულობისა და განზოგადების მაჩვენებელია, ამავე სტილისათვის
დამახასიათებელ სიზუსტეს უწყობს ხელს. ამ გზით შესაძლებელი
ხდება როგორც მოქმედებისა და მდგომარეობის ყოველგვარი ნიუ-
ანსის გადმოცემა, ისე სახელური ნაწილის ზედსართავი სახელით
განმარტება, რის უნარსაც ზოგჯერ მოკლებულია დასახელებულ
ფორმათა შესატყვისი ზმნები. მაგალითები:

დაეკირებათა სრული დამუშავება წარმოებს განსაკუთრებულ
ჟურნალში (პრ. ასტრ.); შეგვიძლია... ეაწარმოოთ მოცემული ამოცანისათვის
საპირით შედარება სექტრული ხაზების მდებარეობისა (ასტრ.); ელექტრო-
წესით აწარმოებენ ალუმინის დაშლას (ასტრ.); ამ დროს ხდება
დადგენა ცის მნათობის მდებარეობისა (პრ. ასტრ.); ახდენენ... ზეგაიშვია-
თებული ნიუთონების ფიზიკური და ქიმიური პირობების მოდელირებას
(ასტრ.); ეს გამოთვლები, ტარდება ლოგარითმებისა და არითმომეტრების
საშუალებით (პრ. ასტრ.); ხელოვნურად აწყობენ მხედველობის ეელის
განათებას (პრ. ასტრ.); ძუშაობა მიმდინარეობს ქვეყნის თით-
ქმის ყველა ობსერვატორიაში (პრ. ასტრ.); მნიშვნელოვან ცვლილებებს გა-
ნიცდის ჩვენთან უახლოესი ვარსკვლავი — მზეც (ასტრ.); თეორიული ასტრო-
ფიზიკა ახორციელებს ...თეორიულ გამოკვლევებს (ასტრ.).

ბ) ხშირად იხმარება არის ზმნის ფუნქციით წარმოადგენს
და შეადგენს ზმნები. წარმოადგენს ზმნის გამოყენება არის
ზმნის მნიშვნელობით ბუნებრივია უარყოფით კონტექსტებში. ამი-
ტომ სასაუბრო მეტყველებაში ამ ზმნას უმეტესად ირონიული სე-
მანტიკა ახლავს: დიდ ვინმეს (აც) წარმოადგენს, ბევრს ვე-
რაფერს წარმოადგენს, შენც ვითომ რამეს წარმოად-
გენ და მისთ. სამეცნიერო მეტყველებაში კი (სხვა ფუნქციური
სტილებისაგან განსხვავებით) მას ნეიტრალური სტილური დატვირ-
თვა აქვს, ხშირად იხმარება დეფინიციებში². მაგალითები:

ცვალებადობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ცეფეისის ვარსკვლავი
(ასტრ.); ...და, მაშასადამე, მათი პარალაქსები კიდევ უფრო მკირე კუთხეებს
წარმოადგენენ (ასტრ.); ეოლფის 457-ის მოცულობა მზის მოცულობის მხო-

² ბოლო დროს წარმოადგენს და შეადგენს ზმნებმა გაითარტოვეს მოხმარე-
ბის არე თითქმის ყველა ფუნქციურ სტილში და ლამის განდევნეს ხმარებიდან არის
ზმნა. ეს კვალიფიკირებულია, როგორც არასასურველი მოვლენა. იხ. ა. პაკიძე,
ზმნასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი თანამედროვე ქართული პრესის ენაში,
ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, III, თბ., 1980, გვ. 151-152; აგრეთვე,
ქსკს, წიგნი მეშვიდე, თბ., 1985, გვ. 390-392.

ლოდ ოცდაშვიდ მემილიარდებს შეადგენს (ასტრ.); ვარსკვლავის „როსის 614“ თანამგზავრის მასა მზის მასის რვა მესამედს შეადგენს (ასტრ.); კოსმოსურ მანძილების გამოთვლის საფუძველს შეადგენს ტრიგონომეტრიული მეთოდი... (ასტრ.).

გ) სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელია მოყვანა ზმნის (და მისგან ნაწარმოები მოყვანილი მიმღობის) გამოყენება ისეთ კონტექსტში, სადაც ობიექტი უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელია: ციტატა, აზრი (მოსაზრება), ნიმუში (მაგალითი)... მოგვყავს (მოყვანილია) და არა მოგვაქვს (მოტანილია)³.

სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელი ლოგიკურობა და მსჯელობის ნაწილებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის აუცილებლობა ბუნებრივად ითხოვს მაქვემდებარებელი კავშირებით აგებულ კონსტრუქციებს. ამიტომ სამეცნიერო ენაში ხშირად გამოიყენება რთული, კერძოდ კი, ქვეწყობილი წინადადებები. დამოკიდებულ წინადადებათა სახეებიდან ჭარბობს განსაზღვრებითი, დამატებითი, მიზეზისა და მიზნის გარემოებითი და პირობითი წინადადებები. ესეც, რა თქმა უნდა, შეპირობებულია სამეცნიერო სტილის ფუნქციური დანიშნულებით — გამოკვეთოს და მკითხველამდე (თუ მსმენელამდე) დაიყვანოს საკვლევი პრობლემის არსი; ახსნას, გააანალიზოს ესა თუ ის მოვლენა თუ ფაქტი; წარმოაჩინოს მოვლენებს (ფაქტებს) შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი... ეს ფუნქციური დანიშნულება უკეთ რეალიზდება ენაში სწორედ აღნიშნული სახეების დამოკიდებული წინადადებებით. მაგალითები:

განსაზღვრებითი:

ადამიანის თვალის გრძნობიერების ზღურბლს ის სინათლე შეესაბამება, რომელიც მე-6 ვარსკვლავიერი სიდიდის ვარსკვლავს აქვს (ასტრ.); ვარსკვლავიერი სიდიდითა ის ინტერვალის, რომელიც ჩვენს დროში შეისწავლება, ასტრონომიაში 51 ვარსკვლავიერი სიდიდითა (ასტრ.); ამ წინადადებაში გვაქვს ობიექტი, რომელიც მსაზღვრელი ახლავს... (ივ. გვიგინ).

დამატებითი:

მან ღრმად ჩაიხედა ცხოვრებაში და აღმოაჩინა, რომ ის უიმედოდ პირქუშია. მან დაგვანახა, რომ ადამიანის ტრაგედია გამოძლიანარობის... თვით მისი სულიერი ცხოვრების შინაგანი თვისებებისაგან... (გ. ქიქ.); მისი მოშორება ჰერტიცისაგან იმას ნიშნავს, რომ სხივი არ შედის სპექტროგრაფში (ასტრ.).

³ მაგალითი მოვლენების შესახებ იხ. შ. აფრილონიძე, „ლოგიკური ანომალიებისათვის“ ენაში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 1, გვ. 115-128.

მიზეზის გარემოებითი:

ეს კუთხეები არ არის ტოლი, იმიტომ, რომ ანათელები... მცდარია (პრ. ასტრ.); რადგან ელექტრონთა მასები რამდენიმე ათასჯერ ნაკლებია, ვიდრე ატომგულებისა, ამიტომ ...გამიშვებული ატომები... თითქმის იმავე მასების მატარებელი არიან... (ასტრ.); რადგანაც პრიზმის კამერაში დისპერსიის მიმართულება დახრილობათა წრის მიმართულებას მისდევს, ამიტომ მთელი ტელესკოპის გაღახრაც ამავე მიმართულებით მოგვიწევს... (ასტრ.).

მიზნის გარემოებითი:

იმისათვის, რომ ფოტოფირფიტაზე განსახილველი ობიექტივი აღვებქდოთ, საჭიროა შევქმნათ მასზე ამ ობიექტის ოპტიკური გამონახაზი... (ასტრ.); იმისათვის, რომ ღამით ობიექტივის ფოკუსში ჩანდეს ობობის ქსელის ძაფები, ხელოვნურად აწუბონ მხედველობის ველის განათებას (პრ. ასტრ.); რომ საქმის ერთარება ნათელი გახდეს, პირველ რიგში უნდა გაირკვეს სიტყვა ხეზის მნიშვნელობა (ივ. გიგინ.).

პირობითი:

თუ მნათი წერტილი ოპტიკურ ღერძს გარეთაა, მაშინ მისი გამონახაზიც ამ ღერძის გარეთაა (პრ. ასტრ.); თუ დიაფრაგმა სამკუთხოვანია, მაშინ მკილებთ სამ სხივს (პრ. ასტრ.); თუ შესერზე ეცემა არა მონოქრომატული, არამედ შედგენილი „თეთრი“ სინათლე, მაშინ... ფოტოკამერის ფოკალურ სიბრტყეზე მივიღებთ სპექტრად დაშლილ სხივთოვანს (ასტრ.); ...ზემოთქმულს თუ დავეთანხმებით, კიდევ უფრო პირობითად მოგვეჩვენება ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხი (ნ. გრიგალ.).

შედარებით იშვიათად გვხვდება დროის, ადგილისა და ვითარების გარემოებათა დამოკიდებული წინადადებები, თუმცა ზოგიერთი (მაგ., ისტორიული და ფილოლოგიური) დარგის სამეცნიერო ლიტერატურაში არც აღნიშნული სახის დამოკიდებული წინადადებებია ნაკლებ გავრცელებული. მაგალითად:

ასმა წელმა განვლო, რაც ენათმეცნიერება მკვიდრი სამეცნიერო დისციპლინის სახით ჩამოყალიბდა (არნ. ჩიქ.); იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, ამ კუთხეში სომხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა (ივ. ჭავჭავ.); სანამ მთიელების დამპყრობელი, „ავარის ხანი“, სახელმწიფო საბჭოს წევრი და ნამესტნიკის მოადგილე გახდებოდა... გრ. ორბელიანმა საქმად ოღროზოდრო ცხოვრების გზა განვლო (გ. ქიქ.); მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მკიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებს და, რასაკვირველია, გზებსაც ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მ-ბრუნებული (ივ. ჭავჭავ.); როგორც იმპერიალისტური რუსეთის გამობრძნედილ სარდალს და პოლიტიკოსს შეეფერებოდა, ის ერთი ხელით შეუბრალებლად სჯდა

ორჯულებს და მეორე ხელით ვალერსებოდა დამორჩილებულებს (გ. ქიქ.) ...უფრო დასაჯებელია, რომ კავკასიის ტერიტორიის ფარგლებში [ქქ], სადაც ბრინჯაოს ეპოქიდან ამდენი მნიშვნელოვანი საგანძური დარჩა, მხატვრულ ხელოსნობის ტრადიცია არ შეწყვეტილა მომდევნო ეპოქებშიც (გ. ქიქ.).

სამეცნიერო მსჯელობის მიმდინარეობა ხშირად იწვევს ერთ მთავარ წინადადებასთან რამდენიმე დამოკიდებულის ხმარებას. როდესაც დამოკიდებული წინადადებები ერთგვარია, ისინი ერთმანეთის სემანტიკურ გრადაცია-დაზუსტებას წარმოადგენენ. მაგალითად:

საქართველოს ამ პოლიტიკური დაკინებისა და განსაცდელის ხანაშიც რომ გუგარეთი მართლა კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით სომხურშივე მე-7 საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს (ივ. ჭავჭავაძე); არ ჩანს, რას ემყარება თეიმურაზი, რა არის მისი წყარო... (ივ. გიგინი); როცა ცნობიერებასთან შიშობის სკიოტიზმის დეგრადაცია, როცა მეტყველებაში სინამდვილის ასახვის შესახებ ვლადარაობთ... ამოსავალი სწორედ ასეთი ტიპის შესიტყვებაა (არნ. ჩიქ.); ...თუ ეს ასეა, მაშინ ხასების შესახებ ზემოთ უნდა ყოფილიყო საუბარი, სადმე ზემოთ ეს ხასები დასახლებული უნდა ყოფილიყვნენ (ივ. გიგინი).

სამეცნიერო სტილისათვის ნიშანდობლივია ისეთი რთული წინადადებებიც, რომლებშიც არსებითი ინფორმაცია გადმოცემულია დამოკიდებული ნაწილით, ხოლო მთავარი წინადადება ან გამოყენებულია წინამავალ კონტექსტთან კავშირისათვის, ან ამ საკითხთან დაკავშირებულ ავტორისეულ დამოკიდებულებას გამოხატავს; ხან კი გადმოცემული ინფორმაციის შესახებ დამატებით ცნობას გვაწვდის. მაგალითები:

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბევრ შემთხვევაში საქრო მომენტების აღნიშვნა... ხდება გაკლებით უფრო ზუსტად (პრ. ასტრ.); ჩვეულებრივ მრჩინიათ, რომ... ზენიტური მანძილის ცდომილება გამოიხატება ფორმულათ... (პრ. ასტრ.); აქედან გამომდინარეობს, რომ ორი მნათობის პირდაპირ აღვლენათა სხვაობა ტოლია მათი ზედა კულმინაციაში მერიდიანზე გაღის მომენტების სხვაობისა (პრ. ასტრ.); აქედან დაეასკენით, რომ დილია აგრეთვე ვარსკვლავთა სიმკვრივის სხვადასხვაობა (ასტრ.); ადელი მისახვედრია, რომ, რაც უფრო დილია ობექტისეფინა პრიზმა... მთ მეტია მისი ობექტის დიამეტრი (ასტრ.); ადელი დასანახია, რომ SiC მონაკვეთი წარმოადგენს დასაყრდენ ვარსკვლავთა პირდაპირ აღვლენების სხვაობას (ასტრ.); ადელი წარმოსადგენია, რომ, როდესაც ვლადარაობთ ვარსკვლავის იმ გამოსხვებაზე, რომელიც ჩვენამდე აღწევს, კვლისხმობთ ვარსკვლავის გარე ღეწების ერთგვარად შეჯამებულ გამოსხვებას (ასტრ.).

ამგვარი მთავარი წინადადებების უმრავლესობა ორ- ან სამწევრიანია და ისეთ მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს წარმოადგენს, როგორებიცაა: ანალიზი გვიჩვენებს / ცხადყოფს; სრულიად

უდავოა // სრულიად ნათელია; უნდა ითქვას // საჭიროა აღინიშნოს; ამ სიტყვებიდან / აქედან ჩანს და სხვ. მაგალითები:

ბუნებრივია, რომ ელექტროფოტომეტრული მეთოდი უნაკლოც არ არის (ასტრ.); აშკარაა, რომ ამგვარი შეთავსება... მით უფრო ადევილია, რაც უფრო ახლოა ფოკალური მრედი სწორ ხაზთან (ასტრ.); თავისთავად ცხადია, რომ ცოტად თუ ბევრად ზუსტი სპექტროფოტომეტრიული მონაცემების მისაღებად საჭიროა შევედლოს ამ შესუსტების აღრიცხვა (ასტრ.); თავისთავად ცხადია, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო საქართველო-სომხეთის საზღვრებში რაიმე ცვლილება მომხდარიყო (ივ. ჭავჭავაძე); სრულიად აშკარაა, რომ მეორე ტიპის სარიტმოსიტყვად დაიჭერების არ გამოდგება... (ივ. გვიგინი); ამ სიტყვიდან ჩანს, რომ ვახუშტი ორ მთას ასახელებს საქართველოს სამხრეთით... (ივ. ჭავჭავაძე); არსებობს აზრი, რომ ყოველივე აღმოსავლური საფუძველშივე უცხოა ჩვენთვის, ძალითაა თავს მოხევეული და ეს ნაძალადევი ზემოქმედება მხოლოდ ამახინჩებდა და ამახინჩებს ქართული კულტურის არსს (გ. ასათ.).

ამგვარი მთავარი წინადადებები სინტაქსური სინონიმებია ისეთი ჩართული სიტყვებისა (და გამოთქმებისა), როგორებიცაა: ჩანს, ნათელია, ცხადია, უდავოა, რა თქმა უნდა და სხვ. სინტაქსურ სხვაობას მათ შორის ზოგჯერ მხოლოდ მაქვემდებარებელი რომ კავშირი ქმნის ან ჩართულის თუნდაც ერთი დამხმარე სიტყვით (უმეტესად — ზმნისართით) გავრცობა. შდრ. მაგალითად: თავისთავად ცხადია, რომ... და ცხადია; სრულიად აშკარაა, რომ... და აშკარაა (უეჭველია / უდავოა) და სხვ.

სინტაქსური სინონიმია დამახასიათებელია სამეცნიერო ენისათვის. ზოგიერთ ნიმუშს ქვემოთაც შევეხებით.

სამეცნიერო სტილის ისეთი აუცილებელი მახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა ლოგიკურობა და განზოგადება, მყლავნდება შემანტიკურად აღმავალ კავშირში არა მარტო წინადადებებს შორის, არამედ სიტყვებს (წინადადების წევრთა) შორისაც. ამგვარ კავშირში მყოფი სიტყვები უმეტესად სახელებია. ამიტომ ე. წ. შერწყმული წინადადებაც ძირითადად ერთგვაროვანი სახელური წევრებით (განსაზღვრებებით, დამატებებით ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილებით) არის შედგენილი. მაგალითად:

ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების განუწყვეტელი პროცესი, დაეირვებათა სულ უფრო მძლავრი საშუალებებისა და კვლევის სულ უფრო სრულყოფილი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფენ შეუჩერებელ წინსვლას სამყაროს შეცნობის გზით (ე. ხარ.); აქ აღწერილით როდი ამოიწურება ვარსკვლავთა შესახებ ადამიანის მიერ მოპოებული ცოდნისა და ცნობათა სიმდიდრე და ვარსკვლავთ სამყაროში გამეფებული მოვლენების ნაირნაირობა (ე. ხარ.); გამოინახაში გამოვლილი და ფოტოლემენტზე დაცემული სინათლის ნაკადი მიადწევს წინასწარ შერჩეულ სიდიდეს (ასტრ.).

გვხვდება ზმნა-შემასმენლების მიხედვით შერწყმული წინადადებებიც:

ამასობაში ადამიანი აღგენდა მოვლენათა ურთიერთკავშირს, ამა თუ იმ კანონზომიერებებს, შეიცნობდა... მათ, იძენდა ახალ ცოდნას, კრებდა ახალ ცნობებს ცისა და ბუნების მოვლენებზე... (ე. ხარ.); ადამიანი ხელაღა, რომ მზე, მთაწარე და ცის სხვა მნათობები ამოდიან ცის ერთ — აღმოსავლეთ მხარეზე, შემოწევენ ცარგვალზე რკალებს და ჩადიან პორიზონტის ქვეშ, მის მოპირდაპირე — დასავლეთ მხარეზე (ე. ხარ.).

შეიძლება სასელური წევრების მიხედვით შერწყმული წინადადება ზმნის გარეშეც ფუნქციონირებდეს (როცა იგულისხმება არის ზმნა). მაგალითად:

სტილი მისი — ლაპიდარული, სადა, ნათელი, შთამბეჭდავი. ფრაზა — მრავლისმეტყველი, სიტყვა — არსის გადმოცემაში (ნ. გრიგალ.).

სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელი არ არის მარტივი გაურცობელი წინადადება. მოვიყვანთ მარტივი გავრცობილი წინადადების მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს:

შესიტყვებას ქმნის დამოკლებულება სიტყვათა შორის (არნ. ჩიქ.); ხუთნიშნა ლოგარითმების გამოყენება მთლიანად ვერ უზრუნველყოფს მიღებულ შედეგებში რკალის ერთ სეკუნდამდე სიზუსტეს (პრ. ასტრ.); ზენიტური მანძილი არ უნდა აღემატებოდეს მიკრომეტრული ხრახნის მუშა ნაწილის ნახევარს (პრ. ასტრ.); რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ერთობ მკრთალი ვარსკვლავის სიკაშკაშე უეცრად მატულობს რამდენიმე ათეულ ათასჯერ (ასტრ.).

მარტივ გავრცობილ წინადადებაში, როგორც მოყვანილი ნიმუშებიდანაც ჩანს, თავისებურია წევრთა განლაგება: ჩვეულებრივ, წინადადება იწყება არა ქვემდებარით, არამედ გარემოებით, დამატებით ან პრედიკატული წევრით. მაგალითად:

სპეციალურ ასტრონომიულ ობიექტებზე... შესაბამება სულ რამდენიმე ათეული მიწუტის სივანის ველი (ასტრ.); სავანის გამონასახის შექმნაში მთავარ როლს ბროლი ასრულებს (ასტრ.); ნეგატივის მეორე მხარეზე მოთავსებულია პირველის მსგავსი მეორე ობიექტი (ასტრ.); ძალზე ღრმა ბინდის პირობებში... ვერც კი ვარჩევთ ფერების სხვადასხვაობას (ასტრ.); ცის მნათობთა ზენიტური მანძილების გაზომვით შეიძლება განისაზღვროს დაკვირვების ადგილას განედი (პრ. ასტრ.); თანამედროვე კოგრებში ობიექტებზე დადგენილ ინჰარება აქრომატული ლინზა (პრ. ასტრ.); მორფოლოგიას საფუძვლად უდევს ფორმის სიტყვა; სხვა საძირკველზე აგებული მორფოლოგია არ არის მორფოლოგია (არნ. ჩიქ.).

მარტივი გავრცობილი წინადადება ხშირად იწყება მიზეზის, მიზნის, პირობის, შედარებისა და სხვა სახის კავშირებით ან ცალკე

მდგომი თანდებულებით; ახალი წინადადება თითქოს წინა წინადადების გაგრძელებას წარმოადგენს. ამგვარი სტილი ბუნებრივად გამოწვეულია მასალის გადმოცემის ლოგიკურობის მოთხოვნით⁴. მაგალითად:

...მაშინ კოლონატორის ობიექტის განათების არათანაბრობა უფრო მეტად იკონრებს უარყოფით გააღუნას სპექტრის ხაზების გაზომვაზე (ასტრ.); გარდა ამისა, ადგილი აქვს კიდევ ერთ ეფექტს (ასტრ.); ამის შედეგად თავს იჩენს ფოტოდენის ფლუქტუაციები (ასტრ.); ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა საათის გაჩერება (პრ. ასტრ.); ამიტომ მთელი ტელესკოპის გადასრაც ამავე მიმართულებით მოგვიწევს (ასტრ.); ამის შედეგად მიიღება მათი პირდაპირი აღვლენები და დახრილობები (პრ. ასტრ.); ამასთან დაკავშირებით სასარგებლო გაეცნოთ ამგვარ გადათვლათა წესს (ასტრ.).

მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ნათ. ბრუნვაში დასმულ (მართულ) მსაზღვრელთა სიუხვე, რაც მარტივი წინადადების გავრცობის ერთ-ერთი საშუალებაა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ამას ობიექტური საფუძველი აქვს, „რადგან მასში გამოხატულებას პოულობს სამეცნიერო სტილის ზოგადი ტენდენცია — რაც შეიძლება მინიმალური ენობრივი საშუალებებით გადმოსცეს მაქსიმალური მეცნიერული ინფორმაცია“⁵. მაგალითები:

სხიური სიჩქარეების განსაზღვრას საფუძვლად უდევს სპექტრული ხაზების ტალღის სიგრძეების საყრდენი სისტემის აგება (ასტრ.); ფოტომეტრის დროს... ერთმეორეს ვადარებთ ხელოვნური მუდმივი სინათლის წყაროს სხივის ინტენსივობას ამავე სხივის ინტენსივობასთან (ასტრ.); ცის სხეულების სინათლის სპექტრული ანალიზი მათი გამოკვლევის ერთ-ერთ უძლიერეს მეთოდს წარმოადგენს (ასტრ.).

მარტივი წინადადებების გავრცობა-გაგრძელებას იწვევენ და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნიან აგრეთვე ე. წ. სიტყვა-კავშირები (დაკავშირებით; საშუალებით / შემწეობით / მეოხებით / დახმარებით / გზით; განსხვავებით და მისთ.) და მიმღეობები (დაწყებული. მოყოლებული და სხვ.). მაგალითად:

ა) სიტყვა-კავშირებით შედგენილი კონსტრუქციები:

⁴ წინამდებარე და მომდევნო კონტექსტებს შორის ლოგიკური კავშირის დამყარებისა და ასეთ შემთხვევაში სიტყვასწავლების გამოყენების შესახებ იხ. შ. აფრიდონიძე, სტრუქტურული ანალიზი ახალ ქართულში, თბ., 1986, გვ. 22.

⁵ ე. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990, გვ. 99.

არსენა ისტორიული პიროვნება და მის შესახებ ილიას, ალექსანდრე ყაზბეგისა და, განსაკუთრებით, ბალხური „არსენას ლექსის“ მეოხებით, ქართულ მკითხველს მიხეილ ქაეახიშვილის რომანის შექმნამდე ჰქონდა წარმოდგენა (ნ. გრივალ.); ...ამ 35 წლის წინათ მგრძნობიარე ფოტოგრაფიული მეთოდის მეოხებით აღმოაჩინეს მეცხრე ცთომილიც — პლუტონი (ე. ხარ.); თანამედროვე ასტრონომიული იარაღების მეშვეობით ხერხდება კუთხეების გაზომვა... სიზუსტით (ასტრ.); ფოტოფიზიკურად მიღებული გამონასახის მეშვეობით შეგვიძლია გავზომოთ მხოლოდ განივი აბერაცია (ასტრ.).

ამგვარი სიტყვა-კავშირები შედარებით ნაკლებად გვხვდება სხვა ფუნქციურ სტილებში. სამეცნიერო ენაში კი მათ განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ტექსტის განსავითარებლად და შესაყრაჲად.

ბ) მიმღეობური კონსტრუქციები:

ყურადღებას იქცევენ ისეთი მიმღეობური კონსტრუქციები, რომლებიც ფუნქციით ევროპული ენების აბსოლუტივს (რუს. *депричастный оборот*) უახლოვდებიან და მოქმედების დროში უწყვეტობას, განგრძობითობას აღნიშნავენ:

...ლაზები, აფშილები და სხვა ტომები ძველი დროითგანვე მოყოლებული ქრისტიანები არიან (იე. ჟაეახ.); ქვემო ქართლის სომხეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა სამფლობელოს გამყოფელი საზღვარი იყო ძველი დროითგანვე მოყოლებული (იე. ჟაეახ.); შლაიხერიდან მოყოლებული ზმნას ენათმეცნიერება განსაზღვრავს როგორც პიროვან სიტყვას... (არნ. ჩიქ.); ძველ გამოცემებში, ეახტანგ მეექვსის გამოცემით დაწყებული, ყველგან ფლიდობა იკითხება (იე. გიგინ.).

ამავე ფუნქციით შეიძლება შეგვეხედეს მოქმედებით ბრუნვაში დასმული საწყისიც:

დ. კარიკაშვილმა... წვერგამო განმარტა, როგორც უწევრო; როგორც ჩანს, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონზე დაშყარებით (იე. გიგინ.); ბატონყმობის პრობლემის ამოფარებით, მწერალი ახერხებს... საერთო ეროვნული სატყეარის წარმოჩენას (ნ. გრივალ.); პლაზმის მოთაესებით... მაგნიტური ნალის პოლუსებში... ლაბორატორიაში წარმოქმნიან მზის პროტრუბერაციების მსგავს მოვლენებს (ასტრ.); კინგისეული ლუმელის გამოყენებით მიღებულია სპექტრის ლურჯ-მწვანე ზოლები (ასტრ.).

აღნიშნული კონსტრუქციების სინტაქსურ სინონიმებად (დროის გარემოების აღსანიშნავად) გვევლინება მასდარის ან აბსტრაქტული სახელის ნანათესაობითარი მიცემითი და შემთხვევაში სიტყვა-თანდებულობით შედგენილი შესიტყვებებიც. მაგალითად:

თრომბოფლებიტის დიაგნოსტიკაში სათანადო ჩვენებისას იყენებენ ფლუბოგრაფიას (კერძო); დაკვირვებათა შედეგების გამოთვლებთან შედარებისას თავს იჩენდა სამყაროს აგებულებაზე გეოცენტრული წარმოდგენის წინააღმდეგობები

და სიყალბე (ე. ხარ.); სუსტი სისხლმომარაგების გამო სწყლავი მილის გაშიშ-
ვლები სას მოსალოდნელია ნეკროზი (კერძო); პნევმონიის გაჭიანურების
სას... შეიძლება ევარაუდოთ მწვავე აბსცესი (კერძო); [ძირითად საკითხებზე]...
უფრო დეტალურად... რომანში აღწერილი მხატვრული სამყაროს ანალიზისას
ვისუბრებთ (ბ. გრიგალ).

ინფექციის შემთხვევაში... პროცესი პროგრესულობს და ლეტალ-
ობით მთავრდება (კერძო); სკენირება გვეხმარება როგორც ატიპიური ჩიყვის, ისე
აღენოშური ჩიყვის არსებობის შემთხვევაში (კერძო); ... დაბეჭ-
დების შემთხვევაში საშუალოდ დაასრულებდა თავის კარიერასაც
(ბ. გრიგალ); [რაც] გარკვევით ჩანს კაშკაშა ეარსკვლავისა და მილის დიდი გამ-
დიდებლობის შემთხვევაში (პრ. ასტრ.).

აბსოლუტივის ფუნქციით სამეცნიერო ენაში ხშირად გამოიყუ-
ნება ზმნას დართული რა ნაწილაკიანი კონსტრუქციებიც, რომელ-
თა მომრავლება სინტაქსური კალკირების შედეგი უნდა იყოს. ამ-
გვარ კონსტრუქციებს უფრო კანცელარიული, ოფიციალური სტილუ;
ჩი ელფერი აქვთ. ასეთებია:

ამგვარად, ჩვენ ვლბულობთ განედს, არ კიციტ რა დახრილობა (პრ.
ასტრ.); განესაზღვრეთ რა... მერიდიანებზე გაკლის მომენტებს რომელი-
მე საათო, შეგვიძლია განესაზღვროთ ამ საათის შესწორება (პრ. ასტრ.); ამ ჩნე-
და რა ცაში ბუნების არაჩვეულებრივ მოვლენებს... ადამიანი უყურებდა ცას
როგორც სამარადისოდ მოუწლომელს, შეუცნობადს და ზებუნებრივი ძალებით
დასახლებულ გარემოს (ე. ხარ.); ასრულდება რა ამ მითითებებს, პულკოვოს
ობსერვატორია იყო საუცხოო სკოლა რუსი გეოდეზისტებისათვის (პრ. ასტრ.)

სამეცნიერო ენაში აზრის ხაზგასმულად ლოგიკურ გამოხატვას
ემსახურება ჩართული სიტყვა-გამოთქმებისა და ჩართული წინადა-
დებების ხშირი გამოყენება. ჩვენს ხელთ არსებული მასალით ერ-
თხელ კიდევ დასტურდება, რომ ჩართულის სემანტიკური ჯგუფები
ერთგვარად ნაწილდება ფუნქციური სტილების მიხედვით: ამა თუ
იმ ფუნქციურ სტილში ჭარბობს ის სემანტიკური ჯგუფები, რომ-
ლებიც უკეთ შეესაბამებიან ამ სტილის ფუნქციურ დანიშნულებას.
სამეცნიერო ენაში, კერძოდ, ჭარბობს შემდეგი სახის ჩართულები:

1. ჩართულები, რომლებიც ლოგიკურ კავშირს ამყარებენ არა
მარტო ცალკეულ წინადადებებს შორის, არამედ აბზაცებს შორი-
საც, რომლებიც განსაკუთრებით ხშირია სამეცნიერო ენაში. ასე-
თებია:

ა) წყვილები — ერთი(ს) მხრივ და მეორე(ს) მხრივ; ჯერ
ერთი და მეორეც (მესამეც...); საერთოდ და კერძოდ; თავის მხრივ;
როგორც აღენიშნეთ (როგორც ზემოთ აღენიშნეთ); როგორც
ვთქვით და სხვ. მაგალითები:

ყველაფერი ეს აძლიერებს ფიზიკას... კერძოდ, ნოთიერების აგებულებისა და ელემენტების გამოვლინებათა შესწავლას (ასტრ.); საერთოდ, ასტროფიზიკა; დიდი კამერა წარმოადგენს... ჩვეულებრივ ასტრონომიულ მანს (ასტრ.); კერძოდ, ...კოლმატორში ზედიზედ გამოხილვა კი არ შედის, არამედ მხოლოდ სწავლა... (ასტრ.); მეორეს მხრივ, ვიცნობთ ისეთ ვარსკვლავებსაც, რომლებიც მზეს დიდად ჩამოუვარდებიან ნათობით (ასტრ.); ...უკლებს მხოლოდ შემოქმედების შედეგია, შემოქმედება, თავის მხრივ, სათავეს თავისუფლებაში იღებს... (ვ. გოგობ); ...როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირობები კამერაში დისპერსიის მიმართულება დახრილობათა წრის მიმართულებას მისდევს... (ასტრ.); ოპტიკურ ლერძს უწოდებენ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ობიექტის ღრუბრითა ზედაპირების სიმრუდის ცენტრებზე გამავალ მიმართულებას (ასტრ.).

ბ) დასკვნითი ხასიათის მსჯელობის წინ წამდგარებული — მაშასადამე; ასე რომ; ამრიგად / ამგვარად; დასასრულ; ერთი სიტყვით; მოკლედ; როგორც დავინახეთ / როგორც ვხედავთ (როგორც ხედავთ) და სხვ.

მაგალითები:

მაშასადამე, მზის სისტემის მთლიანი მასა უმეტესწილად მზეზე მოდის (ასტრ.); ამგვარად, ასტროფიზიკა არის მეცნიერება ცის სხეულთა ფიზიკური ბუნების შესახებ (ასტრ.); ასე რომ, კოლმატორის ობიექტივი თანაბრად, რომ იქნეს განათებული, კამერის ობიექტივი მოცემული... სინათლე არ იქნება თანაბრად განათებული (ასტრ.); ერთი სიტყვით, ვარსკვლავის... სხივები სწრაფად შესამჩნევად იცვლება წლის განმავლობაში (ასტრ.); ერთი სიტყვით, ქვეყანაში, სადაც აღამიანი პირუტყვევ მეტად არ ფასობს, სუყვარული. ეთილმომცლება, თავიუყვარობა, რაინდობა და თავისუფლებისადმი ღტობა... აღამიანსავე ტრადიციის საფუძვლად ქცეულა (ნ. გროგალ); და ბოლოს, აღნიშნეთ თავის კოდე ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი თვისება (ასტრ.); დასასრულ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აღამიანად ხანის შემოსევის შემდგომად და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრეთ წოდებული „სომხითი“. ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი და შამშადლო მასვე ეყუთვნოდა (ე. ჭავჭავ); როგორც ვხედავთ, აქ ეროვნული თვითშეფასების პრობლემა უფროთეს მასშტაბითა განხილული (გ. ასათ); როგორც ვხედავთ, დროით ტემპერატურა ახასიათებს ვარსკვლავის გამოხილვას სპექტრის გარკვეულ უბანში (ასტრ.).

2. ინფორმაციული ხასიათის ჩართულები, რომლებიც მიუთითებენ გადმოცემული აზრის წყაროზე. ასეთებია: განზოგადებული შინაარსის — ცნობილია, რომ; როგორც ვიცით; როგორც ამბობენ / აღნიშნავენ, ასევე — ავტორის (მისი) აზრით / სიტყვით, განმარტებით... მაგალითები:

შესწავლის ობიექტები, როგორც ვიცით, უჩვეულოდ დაშორებულია ჩვენგან... (ასტრ.); ვარსკვლავის წილის აგებულების ანუ, როგორც ამბობენ, ვარსკვლავის შიდა აგებულების პრობლემები განსაკუთრებით რთულია (ასტრ.); კ. ქიკინაძემ... ცალკე გამოყო და ახსნა „ვეფხისტყაოსნის“ მკაყამები. მისი განმარტებით, ჩვენთვის საინტერესო სტროფის პირველი ტაქსის. სამაღი არის

სამი ალი (ივ. ვიგნი); მისი ახსნით, პირველი... „ოსრის სასროლი რკინის ლარია“ (ივ. ვიგნი); ქართული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით, ...გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა... (ივ. ჭავჭავაძე).

3. ინფორმაციულ-შემფასებლური ხასიათის ჩართულები, რომლებიც მიუთითებენ ავტორის დამოკიდებულებაზე გამოთქმული აზრის, ინფორმაციის მიმართ. წყარო ინფორმაციისა უმეტესად თვით ავტორია.

ა) ჩართულით ხაზგასმულია, რომ მოწოდებული ინფორმაცია თვით ავტორისათვის ჯერჯერობით ვარაუდია. ასეთი ჩართულებია: ჩვენი ფიქრით / ჩვენი აზრით / ჩვენი ვარაუდით; ვფიქრობთ და მისთ.

ე ფ ი ქ რ ო ბ თ, ყველა ამდებულების გათვალისწინება სწორ ამოსაველ საწყისს მოაზრადებს იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს რელიგიის მიმართება კულტურასთან საერთოდ (ვ. გოგობ); მიმართულებითის დს თანხმონიან ფუძეებში წინ უძღვის ა, უნდა ე ი ფ ი ქ რ ო ბ თ, ისეთივე ბუნებასა, როგორცაა ქვის-ა, კედლის-ა (არნ. ჩიქ.).

ბ) გამოთქმული აზრი თვით ავტორისათვის უდავოა, სრული ჭეშმარიტებაა, და ჩართული სიტყვის (თუ წინადადების) მეშვეობით ამ აზრს, თვით მსჯელობას მკითხველისთვისაც სარწმუნოდ ხდის. ამ სახის ჩართულებია: რა თქმა უნდა; უდავოა; ცხადია და მისთ.

აქ რომ ტყუილ-მართალი ეფექტურადაა ერთმანეთში გადახლართული, ცხადია (ვ. გოგობ); რა თქმა უნდა, კირურგიულ კლინიკაში ასეთი გამოკვლევა ნაკლებადაა გამოყენებული (ერძო); ...იგი მაშინ ამ წერილებისათვის, რა თქმა უნდა, არაერთი (რუსული...) წყაროებით სარგებლობდა, უეჭველად, მისთვის ქართული ტერმინების საკითხი ძალიან მწვავედ იდგა... (ივ. ვიგნი); როგორც სამართლიანად შენიშნავენ, ასტრონომიული დაკვირვება... მეტს ვაძლევს... (ასტრ.).

4. ჩართული სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც ემსახურებიან სამეცნიერო მსჯელობის წარმართვის აუცილებელ მოთხოვნას — დაზუსტდეს, უკეთ ითქვას სათქმელი. ასეთი ჩართულებია: უფრო სწორად / უფრო ზუსტად / უკეთ (რომ ვთქვათ) და მისთ.

როგორია საკითხის ვითარება? უკეთ რომ ვთქვათ, როგორი შეიძლება იყოს მისი დასმა-გადაწყვეტა? (არნ. ჩიქ.); ...გრამატიკის იყენებდნენ კლასიკური ბერძნულს სამწერლო ენების ინტერპრეტაციისას, სხვაანაირად რომ ვთქვათ, იგი იყო ფილოლოგიის დამხმარე დისციპლინა... (არნ. ჩიქ.); თანდაყოლილი თიქარი, ანუ, უფრო სწორად, თანდაყოლა თიქარის პარკი, ვითარდება ჩანასახოვან პერიოდში (ერძო).

ყველა აღნიშნული სახის ჩართული სიტყვა-გამოთქმები გვხვდება სხვა ფუნქციურ სტილებშიც. მაგრამ სამეცნიერო ენაში მათ მეტი ლექსიკური მრავალფეროვნება ახასიათებთ.

სამეცნიერო ენისათვის, როგორც აღინიშნა, დამახასიათებელია აბზაცის სიხშირე. აბზაცი უმეტესად მოკლეა და წარმოადგენს ერთ სემანტიკურ მთლიანობას. მომდევნო აბზაცი ხშირად პირველის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. აბზაცების ლოგიკურად შეკერას (გარდა ზემოთ დასახელებული ზოგიერთი საშუალებისა) ემსახურება ნაცვალსახელების გამოყენებაც. მაგალითები:

ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ჰერიტეს ის ნაწილი... სიმბოლისათუც დასერულა (ასტრ.); ეს შემდეგნაირად ხერხდება... (ასტრ.); ეს აუცილებელია მეტორე იმირომ, რომ ლუპით დათავლიერება სავსებით მოსაწვდომია მხოლოდ სექტრის ეიზუალურ უბანში (ასტრ.); ის უნდა გვაძლევდეს სექტრული ხაზების ნომერულ მდებარეობათა შესაბამის ანათულებს (ასტრ.); იგი ერთგვარად აგრძელებს ტელესკოპის მილს (ასტრ.); მას თერთონ აქვს დიდი მხარი (ასტრ.); ასეთ უკიდურეს გაჭირვების და პოლიტიკური ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს საზღვრებში შედიოდა (ივ. ჭავჭავაძე).

სამეცნიერო ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის განხორციელება ხერხდება წინადადების (ან აბზაცის) ბოლო სიტყვის გამეორებით მომდევნო წინადადებაში (ან აბზაცში). სიტყვა შეიძლება განმეორდეს ჩვენებითი ეს ნაცვალსახელის თანხლებით:

კოსმოსის უსასრულო სიერცის ჩვენთან ანუ დედამიწასთან უახლოესი ნაწილი უკავია მზის ანუ ცდომილთა სისტემას. ეს სისტემა ცდომილთა ოჯახია (ე. ხარ.); ...ასეთ ლოგიკასთან დაახლოება გრამატიკისათვის ადელი სექმე იყო; ეს დაახლოება ორივე დისციპლინისათვის საზიანო აღმოჩნდა (არნ. ჩიქ.); ეახტანგ შეექვსესა და თეიმურაზ ბაგრატიონს ეს სიტყვა განმარტებული არა აქვთ. რაც მთავარია, ეს სიტყვა არ მოიპოვება არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (ივ. გიგინ.); ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების განუწყვეტელი პროცესი, ...კვლევის... სრულყოფილი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფენ შეუჩერებელ წინსვლას სამყაროს შეცნობის გზით. ეს წინსვლა გამოიხატება... ახალი მოვლენებისა და კანონზომიერებების აღმოჩენაში (ე. ხარ.).

გამეორებული სიტყვა ზოგჯერ ქმნის წინადადების ახალ კონსტრუქციას:

ქართული ლიტერატურის ამგვარ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს ჩვენი ერის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მოვლენები, რომლებიც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენენ ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ყოფაზე (ნ. გრიგალ.).

სამეცნიერო ენაში გამოყენებული ნაცვალსახელების სტილური ფუნქციის თვალსაზრისით საინტერესოა ავტორისეული მე-ს აღ-20. ქართული სიტყვის კულტურის საკითხებზე

ნიშვნა ჩვენ ნაცვალსახელით და, საერთოდ, მსჯელობის წარმართვა პირველი პირის მრ. რიცხვში. მაგალითად:

ჩვენ ვლაპარაკობთ ექსპერიმენტულ ასტროფიზიკაზე (ასტრ.); ჩვენ გეპირდება ვიციოდეთ არა პირდაპირ ალელუნათა სხვაობა... არამედ თვით პირდაპირი ალელუნები... (პრ. ასტრ.); ჩვენ აქ დაეასახელეთ მხოლოდ შესაძლებელი გაგებები... (ივ. გიგინ.); ასტრონომიული მეთოდით ვაკვირდებით მზის ატმოსფეროს უზარმაზარ ფენას... (ასტრ.); მიმოხილეთ დავიწყოთ მზის სისტემის მოკლე დახასიათებით (ასტრ.); მოვიტანოთ აქვე ასეთი გრაფიკის ერთი სახე (ასტრ.); შევთანხმდეთ და ჩაეთვალეთ მნათი წერტილის მანძილი დადებითად სხივის მიმართულების საწინააღმდეგოდ (პრ. ასტრ.); უნდა მკაცრად განვეასხვაოთ და არ ავურიოთ ორი ტერმინის მნიშვნელობა (პრ. ასტრ.); ვიცნობთ ისეთ ვარსკვლავებსაც, რომლებიც მზეს დღიად ჩამოუვარდებიან ნათობით (ასტრ.).

თუმცა, ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში ავტორის მსჯელობა პირველი პირის მხ. რიცხვშიც მიმდინარეობს. მაგალითად:

მე, როგორც მოგახსენეთ, უმთავრესად ლიტერატურას ვეყრდნობი... (გ. ასათ.); გლუხეაყის კვლობაზე, რომ ეწერ, — შესაძლოა გაგეკვირდეთ, ჭავახიშვილები ხომ თვადები იყვნენ და საბა რალამ გააგლუხეაყო, — იკითხავთ. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი (ნ. გრიგალ.).

ამგვარი სტილი მკითხველთან კონტაქტის გაძლიერების, მსჯელობის აქტუალიზების ერთ-ერთი საშუალებაა. ამასვე ემსახურება კითხვითი შინაარსის წინადადებების ხშირი ხმარება სამეცნიერო ენაში. კითხვითი წინადადებების საშუალებით ხდება საკითხთა დანაწევრება-დაკონკრეტება; აგრეთვე, გამოიკვეთება სადავო, გადასაჭრელი საკითხები; მკითხველი (თუ მსმენელი) თითქოს მონაწილე ხდება ავტორის მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევისა, ანალიზისა, მსჯელობისა.

კითხვითი წინადადება შეიძლება შეიცავდეს კითხვით სიტყვას, შეიძლება — არა. უკანასკნელ შემთხვევაში წინადადება ლოგიკური მახვილის მქონე სიტყვით იწყება. ზოგჯერ კითხვით წინადადებას წინ უძღვის მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმა — ისმის კითხვა (კითხვა ისმის). მაგალითები:

არის კი ქართულში სუბიექტი და ობიექტი, თუ — კი, რანაირია (მორფოლოგიურია თუ სინტაქსური, თუ ერთიცაა და მეორეც), რა შინაარსი აქვს ამ ცნებებს — აი, ეს არის სწორედ ძიების საგანი (არნ. ჩიქ.); რას შეეძლო წარმოეშვა ეს წაქრთხვა: დასახელებულ ხელნაწერებში, თუ ვივარაუდებთ, რომ იგი მეორეულია (ივ. გიგინ.); სად არის საჭირო პრიზმის დაყენება მინიმალური გადახრის კუთხით? (ასტრ.); მაგრამ სად არის ამ შემთხვევაში ფოკუსი? (ასტრ.); რაზეა დამოკიდებული ეს უნარი? (ასტრ.); რა იწვევს ასეთ დიდ განსხვავებას ნათობში? (ასტრ.); ამჟამად ორი ლიტერატურული ეპოქის მიჯნად 90-იანი წლებია მიჩნეული,

მაგრამ რა პირობით, რის გამო, რის საფუძველზე? იქნებ იმერტომ, რომ მე-19 ს-ის 90-იანი წლებიდან მართლა უახლოეს... საკითხებს წრე შემოდის? იქნებ ასახვის მეთოდები შეიცვალა რადიკალურად? (ნ. გრიგალი); მაგრამ კითხვა ისმის: შეიძლება კი, რომ სუფქო ხმოვნით დაწყებულ მომდევნო სიტყვას შეეხორცოს და ახალი სახეობა მივიღოთ სიტყვისა? [იქვე ავტორის პასუხით (თ. ზ., ნ. ც.)]: — ამის შემთხვევები ქართულში გვაქვს (ივ. გიგინ).

მკითხველის მსჯელობის თანამონაწილედ გახდომა, ერთგვარი დიალოგი მკითხველთან მარტო კითხვითი წინადადებებით როდი ხორციელდება. საინტერესოა ამ მხრივ მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც, როგორც სინტაქსური ერთეულები, ან რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილად გვევლინებიან და ჩართულთა სინონიმებს წარმოადგენენ (იხ. ზემოთ) ან დამოუკიდებელ მარტივ კონსტრუქციასაც ქმნიან. მაგალითად:

მაგრამ პირველსავე საკითხს დავუბრუნდეთ... (ივ. გიგინ); თავის დროზე ჩვენ დავინახავთ (მდრ.: ამაზე — ქვემოთ: ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). რა არსებითი სინტაქსური განსხვავებაა მრავლობის ამ ორ სახეობას (-ები და -ნის) შორის (არნ. ჩიქ.); კიდრე ამ საკითხზე ესაუბრებთ, უნდა გეახსოვდეს ის, რომ ლიტერატურულ ცხოვრებაში ყოველგვარ ზღვარსა თუ სამანზე საუბარი მეტისმეტად პირობითია (ნ. გრიგალი).

ყურადღებას იქცევს ამ მხრივ აგრეთვე ე. წ. შეკვეცილი ჰიპოტაქსის ნიმუშები:

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვახტანგის ვამოცემის კორექტურული შეცდომები ეკუმულურად გაღმოდოლა შემდგომს გამოეყმებში... (ივ. გიგინ); სხვა არა იყოს რა, ამ ტაეში მოსლოდნელა, რომ სტყვა, რომელც ატირებს სიტყვას მოსდევს, მრევენელობით მისი მსგავსი, სინონიმი იყოს... (ივ. გიგინ).

დიალოგი მკითხველთან ზოგჯერ „გაშინაურებულ“, ფამილარულ ტონში მიმდინარეობს:

მოდო, ნუ გამოვედევნებოთ იმს ვარკვევას, თუ რატომ მოინდა ქართულ კაცს სახელის მოპოება ყველაზე დიდ მზნად. იმის გამო, რომ ცოტანი ვართ და სათათოდ უნდა გამოვსდეთ, თუ კიდევ სხვა რაზე მიზეზით?.. (გ. ასათ); ვამაყობთ რენესანსული კულტურით? — კეთილი, მაგრამ ისიც ხომ ქრისტიანულმა შუასაუკუნეებმა შეამზადეს (ვ. გოგობ); აი, როგორ წარიმართება ეს მსჯელობა: მომავალი როდიაო ისე გამზადებული, როგორც, ვთქვათ, ამერიკა კოლუმბის წინ — მიდი მხოლოდ და დავხვდებთ! მომავალი მრავალშესაძლებლობიანია და ამიტომ საჭიროა აუცილებელი გარდაქმნები (ვ. გოგობ).

მკითხველთან კონტაქტის დამყარების აღნიშნული ხერხები, თუ, ერთის მხრივ, ტექსტის შეკვრას, მსჯელობის ცალკეულ ნაწი-

* ამგვარი ჰიპოტაქსის შესახებ იხ. ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990, გვ. 7 და შემდეგ.

ლებს შორის ლოგიკური კავშირის დამყარებას უწყობენ ხელს, მეორეს მხრივ, ემოციურად შეფერილს ხდიან სამეცნიერო ტექსტს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ემოციურობა არ არის დამახასიათებელი სამეცნიერო სტილისათვის; პირიქით, მას უცხოდაც კი თვლიან, რამდენადაც ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა თითქოს ხელს არ უწყობს სამეცნიერო სტილის მთავარი მიზნის განხორციელებას — უზრუნველყოს თხრობის სიზუსტე, ლოგიკურობა, ობიექტურობა და აბსტრაქტულობა. ზოგიერთი ავტორის მსჯელობა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით კატეგორიულია: როგორც აღნიშნავენ, შეიძლება ვილაპარაკოთ სამეცნიერო მეტყველებაში ექსპრესიულ საშუალებათა მხოლოდ შეღწევაზე... ექსპრესიული საშუალებების გამოყენება ბუნებრივად ითვლება მხოლოდ გარკვეული წარჩინების კონკრეტულ ტექსტებში — უფრო ხშირად პოლემიკურ სტატიებში, ლექციებსა და სამეცნიერო-პოპულარულ მოხსენებებში... მაგრამ ამგვარი თვალსაზრისის ავტორებიც თვლიან, რომ ემოციურ-ექსპრესიულ საშუალებებს მაინც აქვთ სამეცნიერო ენაში გარკვეული ფუნქცია: მათ იყენებენ აზრის ერთგვარი კონკრეტიზაციისათვის; ისინი ემსახურებიან იმას, რომ ავტორის აზრი იყოს უფრო გასაგები და აუდიტორიისათვის მისაწვდომი⁷.

მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს:

სახელის სიმარტვე თითქოს ზმნის სირთულემ აანაზღაურა: ქართული ზმნის ფორმათა ხლართში მეცნიერული ანალიზის შექმა ჭერაც ვერ გაატანა და, ალბათ, საკმაო დრო გაიელის, სანამ უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლებოდეს (არნ. ჩიქ.); ...ითხვა: რის პირი? სუბიექტისა თუ, ეთქვათ, ობიექტის, — უადგილო და უცხო იქნებოდა ინდოევროპეისტიკაში, უადგილო — იმიტომ, რომ იქ პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, და ეს პირი არის ქვემდებარის პირი; ზმნის პირი, წმინდა მორფოლოგიური მონაცემი, სინტაქსურ ცნებასაც იძლევა. მორფოლოგიური და სინტაქსური ერთურობა ეგუება, მორფოლოგიაც სადაა, სინტაქსიც ნათელი. ქართული ზმნა ან იანუსია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იანუსად იქცეს: მასში ერთი პირიც შეიძლება მოიპოვებოდეს და ორიცა... (არნ. ჩიქ.).

აზროვნების ამგვარი სახეობრიობა, სიტყვის პოეტურობა, რა თქმა უნდა, არ არის ტიპური სამეცნიერო სტილისათვის, მაგრამ მსგავს ნიმუშებზე ყურადღების შეჩერება მაინც საჭიროდ მივიჩნით, რადგან დასტურდება, რომ, ჯერ ერთი, გაჭირდება მკაცრი „სადემარკაციო-საზის“ გავლება სხვადასხვა ფუნქციურ სტილს შორის და, მეორეც, სტილი (სამეცნიეროც კი) მაინც ინდივიდუალურია.

⁷ А. Н. Кожин, О. А. Крылова, В. В. Однищев, *Функциональные типы русской речи*, М., 1982, გვ. 91—93.

სამედიცინო ტერმინოლოგიის სტილისტიკურ
თავისებურებათა ზოგი ასპექტი

ფუნქციონალურ სტილისტიკაში საგანგებო ყურადღებას იპყრობს სამეცნიერო ენა და სტილი, რომელსაც სხვა ფუნქციონალურ სტილთაგან მთელი რიგი თავისებურება განასხვავებს.

სამეცნიერო ლიტერატურის ენაზე დაკვირვება მრავალი კუთხითაა საინტერესო, მათ შორის ლექსიკის თვალსაზრისითაც. ჩვენ ამჯერად სამეცნიერო ენის ერთ უბანზე — ლექსიკაზე, კერძოდ კი ტერმინოლოგიურ ლექსიკაზე შევჩერდებით.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ტერმინოლოგია, რომელიც საგანგებოდ სწავლობს ტერმინთა წარმოშობის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხებს, შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ტერმინთა მიმართებას კონტექსტთან, მათი ფუნქციონირების სტილისტიკურ ასპექტს. სწორედ ამ მიმართებაში შევეცდებით დავაკვირდეთ ტერმინთა თავისებურებებს და საილუსტრაციოდაც შედარებით ვრცელ კონტექსტებს მოვიხმობთ.

ტერმინოლოგია დამოუკიდებელი დისციპლინაა თავისი მკვეთრად გამოხატული საზღვრებითა და ფუნქციით. ტერმინთა აზრობრივი სიზუსტე დიდად განსაზღვრავს სამეცნიერო მსჯელობის ღირსებებს.

ტერმინი სხვა ლექსიკურ ერთეულებთან შედარებით ყველაზე ინტერნაციონალურია. იგი მრავალ ენაში უმეტესად ერთსა და იმავე ძირს იყენებს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რომელ ენასთან კონტაქტების ან როგორი კონტაქტების შედეგად მკვიდრდება ესა თუ ის ტერმინი.

იდეალური ტერმინისათვის დამახასიათებელია მონოსემიურობა, ანუ ერთმნიშვნელობა. ტერმინის უმთავრესი მიზნისაკენ — სიზუსტისაკენ — სწრაფვის გამო ზოგჯერ მრავალსიტყვიან (მრავალკომპონენტთან) შესიტყვებებს, „მძიმე“ ფრაზეოლოგიზმებს ქმნიან, რაც წინააღმდეგობაში მოდის ტერმინთა წარ-

მოების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან პრინციპთან — ლაკონიურობასთან. ამგვარი (ვრცელი) ტერმინებით ოპერირება მეტად ძნელია და ამიტომაც ჩნდება შემსვედრი ტენდენციაც ტერმინთა შემოკლებისა (მაგ., სიზუსტისათვის ვამბობთ: „კარბიურატორიანი შიგაწვის ძრავა“. ეს ტერმინი ძალიან გრძელია, ამიტომ იხმარება მისი „დაწურული“ სახეობა — „კარბიურატორიანი ძრავა“. ასე მიიღება „ტერმინოლოგიურად დაუშლელი შესიტყვებანი“ (ტერმინი დ. ლოტეს ეკუთვნის¹).

რთული აგებულების ტერმინის შემადგენელ კომპონენტთა (როგორც აფიქსების, ისე შესიტყვების წევრებისა) შემოკლება-შემცირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ტერმინის შემუშავება-დამკვიდრებისას. იმის მიხედვით, თუ რა ნაწილი (რომელი ელემენტი) შეიძლება „დავთმოთ“ და რისი დატოვებაა აუცილებელი, შეიძლება გამოიკვეთოს ის ბირთვი, რომელიც ყველაზე დიდ დატვირთვას იღებს თავის თავზე ტერმინის წარმოებისას. ტერმინთა ლაკონიურობისაკენ სწრაფვა არ უნდა იწვევდეს მათ გაბუნდოვანებას, არ უნდა ქმნიდეს სინონიმთა „მოჭარბების“ საფრთხეს².

სამეცნიერო ტექსტების თანამედროვე ფორმებია: მონოგრაფიები, სტატიები, მოხსენებები, რეფერატები, ავტორეფერატები, თეზისები, რეზიუმე, ანგარიში კვლევითი მუშაობის შესახებ, დისერტაციები... და არც ერთი მათგანის წარმოდგენაც კი არ შეიძლება ტერმინთა გარეშე.

ჩვენ შევისწავლეთ სამედიცინო ტერმინოლოგია შემდეგი სამეცნიერო, კერძოდ — სამედიცინო ლიტერატურის მიხედვით: ყურნ. „საბჭოთა მედიცინა“ (1982 და 1987 წლების №№ 1, 12 ნომრები), გ. კვიციანიშვილისა და დ. სვანიძის წიგნი „მწვავე ინფექციური დაავადებები“ (1977). რ. დგებუაძისა და ა. აბესაძის „ქართულ-რუსულ-ლათინური მოკლე სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი“ (1988); გარკვეული ტიპის მასალა მოხმობილი გვაქვს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ნაშრომიდან „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, ტ. II (1988).

¹ Д. С. Лотте, Основы построения научно-технической терминологии, М., 1961, гл. 17.

² პ. შუხარდტის აზრით, „ტერმინოლოგიური ბუნდოვანება მეცნიერებისათვის იკრება, რაც ნისლი ზღვაოსნობისათვის. ის მით უფრო საშიშია, რომ, ჩვეულებრივ, მას სრულებით არ უწევენ ანგარიშს“ (დამოწმებულია დ. ლოტეს დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 19).

სამედიცინო ტერმინთა თავისებურებანი სავსებით შეესაბამება ზოგადად ტერმინთა ნიშან-თვისებებს და იმავე მიდრეკილებებს ავლენს, რაც ყველა დარგის ტერმინთათვის საერთო ტენდენციებად მიიჩნევა. კერძოდ, სამედიცინო ტერმინოლოგიას ახასიათებს: სისტემურობა, დეფინიციათა თანაარსებობა, მისწრაფება მონოსემიურობისაკენ საკუთარი ტერმინოლოგიური არის საზღვრებში, ექსპრესიის უქონლობა, სტილისტიკური ნეიტრალურობა³.

ტერმინი, როგორც ენის ერთეული, ემორჩილება მოცემული ენის ფონეტიკურსა და გრამატიკულ კანონებს. მისი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები ვლინდება სიტყვაწარმოების სფეროში (მაგ., არსებობს ოდენტერმინული მოდელებისათვის დამახასიათებელი აფიქსები: -ოზა, -ომა, -ემა...).

ტერმინთა წარმოება და გამოყენება შეგნებული აქტია, ესაა უმეტესად არა სტიქიური ფორმაწარმოება, არამედ მიზანმიმართული პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პარალელურად ვითარდება (ტერმინთა შემუშავება ხდება სტანდარტთა კომიტეტებში, ტერმინოლოგიურ განყოფილებებში და სხვ.).

ტერმინთა შესწავლისას განიხილება სამი ასპექტი:

1. სოციოლინგვისტური — სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენა.

2. ფსიქოლინგვისტური — დამოკიდებულება „ხელოვნური“ ენის განვითარებისადმი, რაც ძირითადად ენობრივი პოზიციის განსაზღვრას გულისხმობს: ხელი შეუწყობთ მეცნიერებაში ხელოვნური ენის (ენების) განვითარებას, თუ შევეცადოთ ძირითადად ბუნებრივი ენობრივი საშუალებებით გავართვათ თავი საქმეს (ხელოვნური ენებია: ლათინური — მედიცინაში, ინგლისური — კომპიუტერულ ტექნიკაში...).

3. ლოგიკურ-ლინგვისტური — ინფორმაციის მანქანური გადამუშავების, მანქანური თარგმანის და მისთ. საკითხები.

ეს სამი ასპექტი დღესდღეობით მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

ტერმინები, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ერთეულები, რომლებიც სპეციალური ცნებების გადმოსაცემად იხმარება, შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ხერხით:

1. ანალიზური — ეს არის ცნების გადმოცემის ისეთი ხერხი, როცა ცნების აღმნიშვნელი ცალკეული კომპონენტი ამ ცნების ცალკეულ ნიშანს (გვარობრივს ან სახეობრივს) მიემართება,

³ იხ. Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, გვ. 508.

ე. ი. გვაქვს „უბრალო“ ერთიანობა კომპონენტთა მნიშვნელობებისა (მაგ., ტექნიკაში: ელექტრული ძრავა. ძრავი — გვარუობრივი ნიშანია, ელექტრული — სახეობრივი. ასეთებივეა მედიცინაში: ატკერიული წნევა, ბინოკულარული მხედველობა, ბიოგენური სტიმულატორები და სხვ.⁴

2. ს ი ნ თ ე ზ უ რ ი ხერხი ცნების გადმოცემისა გულისხმობს, რომ სიტყვა ან შესიტყვება აღარ ატარებს შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკის კვალს და გადმოსცემს მხოლოდ საერთო მნიშვნელობას. ეს არის „სინთეზური ტერმინი“ (მაგ., ტექნიკაში ტერმინი პირველადი ძრავი კომპონენტთა მნიშვნელობებს აღარ ვარაუდობს, ძრავი აქ ისეთ მანქანას გულისხმობს, რომელიც არა-ელექტრული ენერჯიის წყაროს იყენებს, ე. ი. ეს ტერმინი სემანტიკურად და სემიოტიკურად მთლიანია⁵. მედიცინაში ბეზრედკას დე-სენსიბილიზაციის მეთოდი (ეწოდება რუსი მიკრობიოლოგის ბეზრედკას მიხედვით) გამოიყენება ორგანიზმში ანტიტოქსიკური ან ანტიბაქტერიული შრატების შეყვანისას ანაფილაქსიური რეაქციის ასაცილებლად; თორაკოკაუსტიკა — [ბერძნ. thorax, ნათ. thorakos — გულ-მკერდი, kaustikos — მწველი] — თორაკოსკოპით პლევრის შეხორცებების დიათერმოკოაგულაცია სამკურნალო მიზნით).

ამრიგად, ენობრივი ნიშანი, ანუ ნ ი შ ა ნ ი - ი ნ ფ ო რ მ ა ტ ო რ ი არის სემანტიკურად მთლიანი ენობრივი ერთეული, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს სიგნიფიკაციურ ფუნქციას, ე. ი. მას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რომელიც არ გამომდინარეობს მისი კომპონენტების მნიშვნელობებიდან.

ზოგი ტერმინი რთული ენობრივი ნიშნის შემადგენლობაში ასრულებს დისტინქციურ (აზრის განმასხვავებელ) ფუნქციას და მას ჰქვია ნ ი შ ა ნ ი - დ ი ს ტ ი ნ ქ ტ ო რ ი, ხოლო ის ენობრივი ერთეული, რომელიც მთლიანად კომპონენტთა მნიშვნელობებისაგან შედგება და აერთიანებს ამ კომპონენტებს სტრუქტურულ-სემანტიკურ მოდელად ან კონსტრუქციად, ე ნ ო ბ რ ი ვ ნ ი შ ა ნ თ ა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ შე ხ ა მ ე ბ ა ს წარმოადგენს⁶.

⁴ რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 51.

⁵ В. М. Овчаренко, Термины, аналитическое наименование и номинативное определение — კრებულები: Современные проблемы терминологии в науке и технике, М., 1969, გვ. 93.

⁶ В. М. Овчаренко, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

ტერმინთა სემიოტიკური ანალიზი სტატიკურ ასპექტში, სინქრონიულ დონეზე, მიზნად ისახავს ენობრივ ნიშანთა ინვენტარიზაციას ენის განსაზღვრულ მდგომარეობაში.

რა თქმა უნდა, სინქრონიულ დონეზე ტერმინი მინიმალურად მოტივირებულ ერთეულად წარმოდგება და სავსებით ეხმიანება ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, ცალსახა გაგებას, მაგრამ დიაქრონიული ანალიზისას აღმოჩნდება, რომ მოცემული ტერმინი „ისტორიულად“ გადის განვითარების გარკვეულ საფეხურებს სემანტიკური თუ სტრუქტურული თვალსაზრისით, საწყის ეტაპზე კი სავსებით მოტივირებული იყო.

ტერმინთა წარმოებაში უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი: მოტივირებული და მოტივირებულობის „გაქრობა“.

ჩვენ მიერ შესწავლილი სამედიცინო ლიტერატურიდან მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ტერმინები გამოიყო. ისინი საინტერესოა სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ყველა სახეობის სპეციალური დახასიათება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტერმინთა წარმოების ზოგად პრინციპებზე დამუშავებულია დიდძალი ლიტერატურა⁷.

აქ ყურადღებას გაეამახვილებთ ტერმინთა წარმოების იმ თავისებურებებზე, რომლებიც უშუალოდ ქართული სინამდვილითაა შეპირობებულნი და რომლებიც ქართულში სპეციფიკურ გამოხატულებას პოვენს.

⁷ ქართულ სამეცნიერო ტერმინთა თავისებურებებს ეძღვნება: ბ ფონსუა, სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში. — ეყე, XVII, 1970; ვუჯ. ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის. — მეცნიერება და ტექნიკა, 1952, № 7; რ. ლამბაშიძე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981, გვ. 154–166. აგრეთვე, არსებობს მრავალრიცხოვანი ლიტერატურა უცხო ენათა ტერმინოლოგიის ან ზოგადი ტერმინოლოგიის საკითხებზე: А. Мейс, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938; Новое в лингвистике, т. V (языковые универсалии, М., 1970; Как работать над терминологией, Основы и методы, М., 1968; Г. Л. Канделакн, К вопросу о номенклатурных наименованиях, Вопросы разработки научно-технической терминологии, Рига, 1973; შისიკე, Значение терминов и системы значений научно-технических терминологий: Проблемы языка науки и техники, М., 1970; შისიკე, Основные группировки терминологических единиц, упорядоченных терминологией, ВЯ, М., 1987; В. П. Даниленко, О терминологическом словообразовании, ВЯ, М., 1973; Ю. А. Бельчиков, Лексическая стилистика, М., 1988 და სხვ.

საკუთარსახელიანი შესიტყვევები. ტერმინოლოგიური სიტყვათ-შეხამებები, რომლებშიც ერთ-ერთი კომპონენტია ეპონიმი, ანუ სახელი ადამიანისა, რომელსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სათანადო სფეროში, ხოლო მეორე კომპონენტი აპელატივია, სამედიცინო ტერმინოლო-გიაში საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან (მაგ.: ბაზედოვის დაავადება...).

საკუთარ სახელთაგან ეპონიმურ ტერმინებში შეიძლება შეგვ-ხედეს გეოგრაფიული სახელებიც: ალექოს დაავადება (კანის ლეიშმანიოზების ფორმა, რომელმაც სახელი მიიღო სირიის ბაზრის ალექოს მიხედვით. იხ. ქართულ-რუსულ-ლათინური მოკლე სამედი-ცინო განმარტებითი ლექსიკონი).

საკუთარი სახელი, რომელიც ამ შესიტყვევებში აღნიშნავდა ერთეულ ან კონკრეტულ პირს, ან ასევე კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს, შიდასემანტიკური გარდასახვების ნიადაგზე სრულიად გადააზრებულ იქნა და თანამედროვე ენაში ფაქტობრივ აღარც არის საკუთარი სახელი, არამედ აღიქმება, როგორც ხარისხობრივი ნი-შანი, რამდენადაც კავშირი საწყის წერტილთან — სახელების ობიექტთან — დარღვეულია⁸.

აღნიშნული ტიპის შესიტყვევებს ზოგი ტერმინებად არ მიიჩ-ნეეს და მათ ფრაზეოლოგიზმებად თვლის. ა. სმირნიცკი, ლ. დუბ-როვინა ამგვარ სინტაგმებს „ტრადიციულ სიტყვათშეხამებებად“ აცხადებენ, ნ. ამოსოვა კი მათ სპეციფიკურ დარგთან — „ფრაზეო-მატიკასთან“ აკავშირებს, რამდენადაც ფრაზეოლოგიის სხვა ნიმუ-შებისაგან ისინი არაიდომატურობითაც გამოირჩევიან⁹.

ფიქრობთ, ე. წ. ეპონიმიან შესიტყვევათა მიჩნევა ტერმინებად შესაძლებელია, რადგანაც ისინი „სინთეზური“ სიტყვათშეხამებებია, ანუ შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობებთან კავშირი დაკარ-გულია, მიღებულია ახალი ცნება, საერთო სემანტიკა (და არა ცალკეულ კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამი).

საერთოდ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკუთარ სახელებს ტერმინთწარმოების დიდი პოტენცია აღმოაჩნდა. ამ უნარს ისინი თითქმის ყველა ენაში ავლენენ. როგორც ჩანს, არაექსპრესიული და კონკრეტული ხასიათი საკუთარი სახელებისა მათი ტერმინად გადა-ქცევის პირობაა. მაგალითად:

⁸ A. Gardiner, The Theory of Proper Name, Oxford. 1954, გვ.8.

⁹ Стили научной речи. М., 1978, გვ. 148.

მაზოხიზმი < ავსტრიელი მწერალი ლ. ზახერ-მაზოხი (1836—95) — ამ დაავადების აღმწერი, პარკინსონიზმი < ინგლისელი ექიმი ჯ. პარკინსონი (1755—1824), სადიზმი < ფრანგი მწერალი მარკიზი დე სადი (1740—1814), ფარადიზაცია < ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი მ. ფარადეი (1791—1867), პასტერიზაცია < ფრანგი მიკრობიოლოგი და ქიმიკოსი ლ. პასტერი (1822—1895) და სხვ.

სამედიცინო ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბერძნული მითოლოგიური სახელებისაგან ნაწარმოებ სპეციალურ ლექსიკას. ეს ტერმინები მოტივირებულია. ცნობილია, რომ ბერძნული მითოლოგიური სახელები სემანტიკურად დატვირთული საკუთარი სახელებია და, საერთოდ, ონომასტიკურ მასალაში ინფორმაციულობის გარკვეულად აწეული ხარისხით ხასიათდება. მაგალითად:

ჰელიოზი — მზის დაკერა; მისგან წარმოებულია: ჰელიოთერაპია, ჰელიოქსანტოზი¹⁰. ჰიმენე — საქალწულე აკი (ბერძნ. მითოლოგიაში — ჰიმენოსი — ქორწინების ღმერთი), ჰერმეფროდიტიზმი (ჰერმესისა და აფროდიტეს შვილი — ჰერმეფროდიტე), ურანიზმი (ურანოსი — ცის ღმერთი), აქილეესის რეფლექსი, მედუზას თავი და სხვ.

საკუთარ სახელთა გარკვეული ნაწილი, ზოგჯერ უაფიქსოდაც გატერმინდება. ამის მაგალითია: კიური, რენტგენი და სხვ.

საკუთარ სახელებს კომპოზიციის შემადგენლობაშიც ვხვდავთ, როცა მეორე კომპონენტი დაავადების სახეობაზე მიუთითებს:

ჰაიმორიტი (ნ. ჰაიმორი (1613—1685) — ინგლისელი ანატომი, ilis ბერძნ. ანთება), შვანგლიომა (თ. შვანი (1810—1882) — გერმანელი ფიზიოლოგი, gliu ბერძნ. წებო, oma — სიმსივნე).

მაგრამ ყველაზე მრავლად მაინც მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი კონსტრუქციები გვხვდება, სადაც ეპონიმი უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

საკუთარსახელიან ტერმინოლოგიურ შესიტყვეებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

¹⁰ ქართულში მზის ღმერთის სახელი ლიტერატურულ წყაროებში -ოს-ით გადმოდის, მაგრამ ზ-ს გამოიხედა ამ ლექსემაში ბერძნული ანთროპონიმის ქართულად გადმოღების წესის ღარღეუა კი არ უნდა იყოს, არამედ ამ ანთროპონიმის გაპატერმინებელი -ოზ აფიქსის გამოყენების შედეგი (მდრ.: ლეიკოციტოზი. ერიტროციტოზი), თუმცა -ოზ სუფიქსი (-ოს-ის ნაცვლად) ქართულ მთარგმნელობით ტრადიციამაც დასტურდება (ანგელოზი, რომანოზი...).

1. შესიტყვების ერთი კომპონენტი საკუთარი სახელია, მეორე კი — დაავადების ან მკურნალობის ამა თუ იმ ფორმის აღმნიშვნელი კონკრეტული სახელი — ტერმინი.

მაგ.: ლუდვიგის ანგინა (ангина Людвига — angina Ludovici). ერლიხის დიაზორეაქცია, ბილროთის ოპერაცია, ვერტჰაიმის ოპერაცია, ალექსანდროვ-შაუტა-ვერტჰაიმის ოპერაცია, ჟანეს მეთოდი...

შესაძლებელია საზოგადო სახელი დაავადების ერთ-ერთ მახასიათებელს, სპეციფიკურ ნიშანს აღნიშნავდეს: ბენტრევის რეფლექსი, ვოდაკის რეფლექსი, აბადის სიმპტომი, არგაილ-რობერტსონის სინდრომი, ვესტფალის სინდრომი, კენედის სინდრომი და სხვ.¹¹.

2. შესიტყვების ერთი კომპონენტი საკუთარი სახელია, მეორე კი — ზოგადი სახელწოდება: ავადმყოფობა, სნეულება, დაავადება. მაგალითად: აიზელინის ავადმყოფობა, შამბერგის სნეულება, რეკლინჰაუზენის დაავადება...

რუსული სამედიცინო ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელი болезнь, заболевание ქართულში სამ ლექსემას გვაძლევს. ესენია: ავადმყოფობა, სნეულება, დაავადება. ამ სინონიმურ სიტყვათა სემანტიკური იდენტურობა მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა: სამედიცინო ტერმინოლოგიური ლექსიკონების მასალასა და სპეციალურ ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ლექსემები მაინც გარკვეული პრინციპითაა შერჩეული:

ა) „ავადმყოფობა“ განსაკუთრებით ხშირია ისეთ შესიტყვებებში, სადაც კონკრეტული, „ვიწრო“ პათოლოგიაა აღნიშნული: აკოსტას ავადმყოფობა, შენგლეინ-გენოსის ავადმყოფობა, ვერლჰოფის ავადმყოფობა და სხვ. (შდრ.: რუსულში: Болезнь Акоста, болезнь Шенглейна-Генوخа, болезнь Верльгофа).

ბ) „სნეულება“, რომლის სემანტიკური დატვირთვაც „ავადმყოფობის“ მსგავსია, გაცილებით იშვიათად გვხვდება თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურაში: ბრაიტის სნეულება, დერკუმის სნეულება, შამბერგის სნეულება, შილდერის სნეულება და სხვ. (შდრ.: რუს.: болезнь Брайтона, болезнь Деркумова, болезнь Шамбергера, болезнь Шилдера).

¹¹ მაგალითები მოხმობილია რ. დგებუაძე-ა. აბესაძის დასახელებული ლექსიკონიდან, სადაც პოსტპოზიციური წყობის შესიტყვებანი ემფატურია ას. გარეშეა მოყვანილი.

გ) მსგავს წარმოებებში (შესიტყვეებში) გვხვდება აგრეთვე ლექსემა „დაავადება“: ბესტერევის დაავადება, ადისონის დაავადება, რეინოს დაავადება და სხვ. (შდრ.: რუსულში: Болезнь Бехтерева, болезнь Аддисона, болезнь Рейно)¹².

მაგრამ, თუ საკუთარსახელიან შესიტყვებაში რუსული «ნი-ლзнь» „სნეულებას“ და „დაავადებასთან“ შედარებით ქართულში „ავადმყოფობად“ ორჯერ მეტად გადმოდის, სამაგიეროდ, ავადმყოფის აღმნიშვნელ სუბსტანტივად ხმარებისას ეს ლექსემები კიდევ უფრო მკვეთრ სხვაობას იძლევიან.

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონსა“ და სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ „დაავადების“ თანამედროვე სამედიცინო გაგებით მხოლოდ „სნება“, „სნეულება“, „სნეულია“ წარმოდგენილი, სადაც „სნეულობა“ განმარტებულია, როგორც „სენთ დართვა“ (საბა); ხოლო „სენი“ განსაზღვრულია შემდეგნაირად: „რააცა ავადობა დაესენების ცხო(ვ)ელსა“, ანუ გარდაედების სენად, ვიტყვით ყოველთა ქცეულებათა ბუნებისათა: ნ. სოკოს სენი (ბუასილთან), სნეულება, სნეული, უსნო“.

„უსნო“ საბასთან განიმარტება ამგვარად: „უენებელ და უსნო“ — უსენო მგონია, ხოლო „უენებელი“ — ვნება-უქონელი“.

ზედსართავი სახელის „ავის“ კომენტირებისას საბა მიუთითებს ამ სიტყვის უარყოფით მნიშვნელობაზე („არაკეთილი“). მაგრამ არ აკავშირებს მას ავადმყოფობასთან (დაავადებასთან); საინტერესოა, რომ ამ სიტყვის უარყოფით წარმოებას — უავადო-ს მიწერილი აქვს „არა ავად მყოფი“.

„ენება“, როგორც ავადმყოფობის აღმნიშვნელი ტერმინი, არც თანამედროვე და არც ძველ ქართულში არ გვხვდება. მას შემდეგ, რაც სიტყვები „სნეულება“, „სნება“, „ავადობა“, „ენება“ საერთოენობრივი მასალიდან ვიწრო (მედიცინის) სამეცნიერო ენაში გადავიდა, ისინი ჯერ სინონიმები გახდნენ, ხოლო შემდეგ თითოეულ მათგანს ტერმინად ქცევის მიდრეკილება გამოაჩნდა, ანუ თითოეულმა მიისაკუთრა ერთადერთი ცნების აღნიშვნა.

ძველი ქართული ენისათვის „სნეული“, „სნეულება“, „სნება“ ინტერპრეტირებული იყო, როგორც ავადმყოფობა, დაავადება, ავადყოფნა¹³. რამდენადაც თარგმნილსა და ორიგინალურ სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში ასე თუ ისე უკვე დამკვიდრდა სამივე

¹² რუსული მაგალითები მოხმობილია ნაშრომიდან: М. Д. Машковская, Лекарственные средства, М., 1978.

¹³ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

შესატყვისი და ნორმატიული რეკომენდაციებიც დაგვიანებულია, ენამ თავად მოახდინა მათი დიფერენცირება და მეტ-ნაკლები სიმკვეთრით გამოიჯნა მათი მოხმარების სფეროები.

ასე მივიღეთ „სნეულება“ დაავადებათა ერთიანი ჯგუფის კრებით აღმნიშვნელად: კუჭ-ნაწლავური სნეულებანი, სისხლ-ძარღვთა სნეულებანი..., თუმცა თანამედროვე ქართულში ანალოგიური დატვირთვით „დაავადების“ მრავლობითურ ფორმასაც იყენებენ („დაავადებანი“) და არასოდეს ამავე მიზნით არ ხმარობენ „ავადმყოფობანი“ ფორმას.

რაც შეეხება დაავადებათა ცალკეულ სახეს, აქ იხმარება „ავადმყოფობა“, თუმცა დღესდღეობით ამ სამი ლექსემის ხმარება ფაქტობრივად ავტორთა თვალსაზრისსა და გემოვნებაზეა მინდობილი. და მაინც, სტატისტიკა იძლევა მათი კლასიფიცირების საშუალებას: „ავადმყოფობა“ (რომელიც მიღებულია რთულ მიმლეობაზე -ობა სუფიქსის დართვით) ეპონიმიან სინტაგმებში ორჯერ აღემატება „სნეულება“ და „დაავადება“ ტერმინებს.

მიმლეობად და სუბსტანტივად ხმარებისას „ავადმყოფი“ გაბატონებული ფორმაა, იშვიათია — „დაავადებული“, ხოლო „სნეული“ თითქმის ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

ამჟამად „ავადმყოფი“ აღნიშნავს ჯანმრთელ პაციენტსაც. „დაავადებული“ თანდათან იძენს რითიმე დასნებოვნებულის მნიშვნელობას. ეს კი იწვევს მისი, როგორც მსაზღვრელის, როლის გააქტიურებას და ისეთ სინტაგმებში ხმარებას, რომლებშიც საზღვრულად „ავადმყოფი“ იხმარება. მაგ., კურორტული მკურნალობა ნაჩვენებია ქრონიკული ჰეპატიტით დაავადებული ავადმყოფებისათვის“ (ყურნ. საბჭოთა მედიცინა, № 2, 1982).

ასეთი მრავალფეროვნება ავადობის (დაავადების, ავადმყოფობის, სნეულების) აღნიშვნაში მრავალი ევროპული ენისთვისაა დამახასიათებელი. მაგ., ინგლისურში გვაქვს: disease, sorve, fever, illness მათგან illness არაქტერმინოლოგიურია, ხოლო disease სიტყვასთან შედარებით მარკირებულიცაა, sorve — ყელის ტკივილს ან კუჭის წყლულოვან დაავადებას და ა. შ. აღნიშნავს, ხოლო fever — ციებ-ცხელებას... ასე რომ, ამ სიტყვათაგან თითოეული განსაზღვრულ კონტექსტში გვხვდება და, როგორც ჩანს, თარგმნისას სწორედ ამგვარი სხვადასხვაობის გათვალისწინების სურვილი იწვევდა ქართულშიც სხვადასხვა (სინონიმური) შესატყვისის გამოყენებას (სნეულება, ავადმყოფობა, დაავადება...).

დღეისათვის ლექსემები „სნეულება“, „სნეული“ (განსაკუთრებით მეორე, იხ. აკაკის „განთიადი“) არაქტერმინულია „ავად-

მყოფობა“ „დაავადებასთან“ შედარებით. „ავადმყოფი“ და „დაავადებული“ ამჟამად სშირად იხმარება მსგავს კონტექსტებში. თუმცა „დაავადებული“ თანდათან იკონკრეტებს მნიშვნელობას და სულ უფრო სშირად იხმარება „სენშეყრილის“ (зараженный) გაგებით, რაც იწვევს სათანადო სემანტიკურ ცვლილებებს მის სახელურ ფორმაში („დაავადება“), რომელიც მკვიდრდება მარკირებულ ტერმინად და ემიჯნება უფრო ლიტერატურულ „სნეულსა“ და „ავადმყოფს“.

* * *

სამედიცინო ტერმინთა მრავლობითური ფორმები. მრავლობითი რიცხვის გამოყენება სამეცნიერო ენაში სხვადასხვა საჭიროებით არის შეპირობებული. ერთ-ერთია მრავლობითის „ტერმინთა წარმოების“ უნარი, რაც აღნიშნულა კიდევ სპეციალურ ლიტერატურაში¹⁴. ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში მრავლობით რიცხვში ტერმინები რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება. სადაც მრ. რიცხვი მიუთითებს:

1. დასნებოვნების კერის მასშტაბურობას, სიმრავლეს:

ავადმყოფური პროცესის მექანიზმი აღსახება ბავშვის ცხვირის ლორწოვანებზე და ხოანებში... (გ. კერტიანი, დ. სვანიძე, მწევე ინფექციური დაავადებანი, თბ., 1977, გვ. 211).

2. პათოლოგიის გამოვლენის მასშტაბურობას, სიმრავლეს:

გამოწვეულია ლორწოვანებზე ნადებების წარმოშობის შედეგად... (იქვე, გვ. 82). მეორადი ინფექციით გამოწვეული გართულებებიდან გვხვდება პნევმონიები... (იქვე, გვ. 82).

3. ლათინური წარმოშობის ტერმინებში დაავადებათა ჯგუფს, სახეობას ან კლასს:

გართულებებიდან აღსანიშნავია დიზენტერიული პოლიართრიტები, ნევრიტები, კონიუნქტივიტები, ირიტები და კერატიტები (იქვე, გვ. 90).

4. მრავლობითი რიცხვის მეშვეობით რეალური სიმრავლის ჩვენებაც ხდება. ამის მაგალითად გამოდგება ისეთი ტერმინები, რომელთა მიერაც აღნიშნული ობიექტი მხოლოდობითში არც აღიქმე-

¹⁴ E. B. Красильникова; Некоторые проблемы изучения морфологии русской разговорной речи: Проблемы структурной лингвистики, М., 1981, გვ. 201; აგრეთვე: Н. В. Браккер, Синтез видовых значений глагола и числа от предикативного имени. НТИ, 1890, серия 2, № 9, გვ. 47.

ბა (ან არც არის მოცემული): ფილტვები (წყვილი ორგანო), თირკმლები, ყურები, ზემო კიდურები და სხვ., ტრაზე-ჰერინგის ტალღები, მეისნერის სხეულაკები, ბროდმანის ველები, კლარკის სვეტები და სხვ.

5. მრავლობითი რიცხვი მიუთითებს დაავადების გამოვლინებათა განმეორებადობას, სიხშირეს, პერიოდულობას:

ისეთი სიმპტომები, როგორცაა: შეტევითი ხასიათის ტკივილი მუცელში, პინტები, მოტყუებები, ლორწო... დაკავშირებულია ვეგეტატიური წარმოშობის გალიზიანებასთან (იქვე, გვ. 76). აუდმყოფს აქვს მოტყუებები, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და სწორი ნაწლავის კუნთების სპაზმური შეკუმშვები, კანთვებისა და ტენეზმების სახით (იქვე, გვ. 83).

დასახელებულ მაგალითებში მრავლობითით რომ სწორედ განმეორებადობა, ხანგრძლივობა, პერიოდულობაა ნაჩვენები, მტკიცდება ისეთ ნიმუშებში. სადაც მხოლოობითში მდგომ ტერმინს დროის ან ასპექტის აღმნიშვნელი მსაზღვრელი ან სუბსტანტივი ახლავს:

ლეილის ამებური აბსცესი ხშირი გართულებაა ამებაზის დროს... (იქვე, გვ. 97). მწვაე დიზენტერიის გადატანის შემდეგ 2—6 თვის განმავლობაში აუდმყოფს უეითარლება რეციდივები, რომლის სიხშირე და ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია (იქვე, გვ. 81).

საყურადღებოა, რომ ტერმინთა ერთი ნაწილი (მაგ.: ტკივილი, ლორწო, პირღებინება, გულისრევა, გალიზიანება (შდრ. გართულებები...) მრავლობითს ნაკლებად იგუებს. ჩვენს მიერ მიკვლეულ მასალაში ეს ლექსიკა ძირითადად მხოლოობითში გვხვდება (ზოგჯერ სიმრავლის ან განმეორებადობის მაჩვენებელ მსაზღვრელთან ერთად):

შესაძლებელია აუდმყოფს კონდეს გულისრევა და პირღებინება, მეორე ასაკის ბავშვებში კი კრუნჩხვები (იქვე, გვ. 82).

ამ მხრივ, საყურადღებოა სამედიცინო დაკვირვების ქვეშ მყოფი პირის აღნიშვნაც: რაც უფრო ზოგადია ინფორმაცია დაავადების შესახებ, მით უფრო ხშირია მისი მოხსენიება მხოლოობით რიცხვში:

აუდმყოფს აქვს მოტყუებები, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა... (იქვე, გვ. 83).

რაც უფრო კონკრეტდება ცდის პირის მონაცემები სქესის, ასაკისა და სხვ. მიხედვით, მით უფრო ხშირად მიმართავენ მრავლობით რიცხვს:

ბავშვებში გვხვდება ოტიტები; სტომატიტები... (იქვე, გვ. 87). ქალებში გართულებები ნაკლებია... (იქვე, გვ. 122).

აღბათ, ასევე შეიძლება ავსხნათ პათოლოგიის ზოგადი აღმნიშვნელის მისწრაფება მხოლოდითისაკენ, „ვიწრო“ მახასიათებელთა მრავლობითური ტენდენციის საპირისპიროდ. შდრ., მაგალითად: ტკივილი (ზოგადი სიმპტომი) და კრუნჩხვები (კონკრეტული, „ვიწრო“ სიმპტომი).

აღმყოფი უნიის საერთო სისუსტეს, ტკივილს მუცლის არეში, კრუნჩხვებს... (იქვე, გვ. 102).

6. რიცხვის გადმოცემის საკითხთან განიხილება -ობა-სუფიქსიანი წარმოების მქონე ტერმინების თავისებურებანი. მრავლობითი რიცხვის ფორმათა სემანტიკა ხშირად უტოლდება -ობა სუფიქსით წარმოებულ ლექსემებს, რომლებშიც ჩვეულებრივ, აბსტრაქტულობის მაწარმოებელი -ობა ამა თუ იმ მოვლენის განმეორებადობას, სისშირეს, პერიოდულობას, არაერთჯერადობას (ანუ მრავლობითობის გარკვეულ სახეს) მიუთითებს. ამ მხრივ აღსანიშნავია:

ა) ქართული (ან ძველად ნასესხები) წარმომავლობის ტერმინები:

პროდრომების პერიოდში არცთუ იშვიათია ფალარათობა, რომლის შემდეგ იწყება ყაბზობა (იქვე, გვ. 58). პერიოდული შეკრულობა და ფალარათობა, რომელიც ზოგჯერ დაკავშირებულია საკვებთან, პირის ღრუში მწარე გემო, ყრუ ტკივილი მუცელში, შებერილობა და სხვ. (იქვე, გვ. 86). მსხილ ნაწლავში მომხდარი ცვლილებები — ქიპრემია, სისლძარღვების გაფოხვადობა... (იქვე, გვ. 75). ორგანიზმისათვის დიზენტერიის მიმდებლობა მალაია (იქვე, გვ. 74) (შდრ.: ფალარათი, შეკრა, გაფოხვა, მიღება...).

-ობა მაწარმოებელი სიხშირე-სიმრავლის აღმნიშვნელად აქტიურად გვხვდება პოზიტიური თუ უარყოფითი სემანტიკის ლექსიკაში. მაგალითად:

ინუბაციურ პერიოდში დამახასიათებელია ძილიანობა, მოღუნება... (იქვე, გვ. 98). ზოგჯერ დაავადებას წინ უსწრებს მოკლეპროდრომული პერიოდი: საერთო სისუსტე, დამტკრეულობა, უშადობა, უძილობა და თავბრუ (იქვე, გვ. 78).

-ობა სუფიქსის ტერმინთმწარმოებლური უნარი ძველ ქართულ-შივეა გამქლავებული. იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენაში -ობა სუფიქსის ეს თვისება სამედიცინო ტერმინების მაგალითებითაცაა ნაჩვენები (მკურნალობა, მხედვარეობა, მხედველობა, მიზეზობა (= მიზეზად ყოფნა)¹⁵.

¹⁵ იხ. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 74—84.

-ობა-სუფიქსიანი წარმოებით მოვლენის პერიოდულობის, განმეორებადობის, სიხშირის (სიმრავლის) გადმოცემის შემთხვევები გვხვდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი კარაბადინის“ მაგალითებშიც:

თუ კაცსა უძილობა სკირდეს, ორჯელ დაემართების, ერთელ სიბერისა დროსა და ერთი || ავად ყოფაშიგან (კარაბადინი, გვ. 281). და მერმე იმ კაცმან იფარეზოს, რაგუარაჲ ფარეზისა წესისა, და საღამოსა ძილისა უამსა მიეც, რომე შექამოს და ზედა ნელთბილი წყალი შეასუი, დაიძინოს საღამდი საქმობასა დაიწყებდეს... (იქვე, გვ. 270).

ქართული -ობა სუფიქსი აღწევს ინტერნაციონალურ ტერმინებშიც:

აღინიშნება წყლებების ზედაპირის ნაყლები რეაქტიულობა... (იქვე, გვ. 85). ჩვენ ვახერხებთ... განუსაზღვროთ მიღებული კულტურის მგრძობელობა თუ რეზისტენტობა ამა თუ იმ პრეპარატისადმი (იქვე, გვ. 19). ვითარდება აცილოზი, აღინაშია, პროსტრაცია, აპატიურობა და კოლაფსი (იქვე, გვ. 70).

თანამედროვე სამეცნიერო ენაში (კერძოდ, სამედიცინო ტექსტებში) უკვე აშკარად ჩანს ინტერნაციონალურ აფიქსთა მოძალება, ზოგჯერ ისინი ჯაბნიან კიდევ ქართულ მაწარმოებლებს პროცესის, განმეორებადის, ხშირის მითითებაში (თუმცა ჯერაც მრავლადაა პარალელური წარმოებები):

ავადმყოფი უჩივის საერთო სისუსტეს, გულის რევას, ბოყინს, ყურყურს მუცელში და მეტეორიზმს (გ. კვიციანიშვილი, დ. სვანიძე, გვ. 102). ახასიათებს სიცხიანობა... მუცლის შებერილობა (მდრ. მეტეორიზმი — მუცლის შებერილობა), (თერაპიული ცნობარი, 1980, გვ. 115).

ენტეროვირუსული ინფექცია ხასიათდება დიდი კლინიკური პოლიმორფიზმით გამოწვეული მიზეზის პოლიტროპულობისა და პოლიტოპრობის გამო (იქვე, გვ. 258).

საზმის გაძლიერებასთან ერთად ვითარდება სისხლძარღვის კედლისა და პერეასკულური ქსოვილის შეშუპება, რასაც ახლავს კლინიკური პოლიმორფულობა („საბჭ. მედ.“, № 4, 1987, გვ. 11). (მდრ. პოლიმორფიზმი = ბერძ. polys — ბევრი, morphe — ფორმა, -ismus — მდგომარეობა).

7. ოდენტერმინული მაწარმოებელი -ოზ- განმაზოგადებელი, გამაერთიანებელი ფუნქციისაა, ტიპურობის, გარკვეული მდგომარეობისა თუ ვითარების სტაბილურობის მაჩვენებელია (ლეიშმანიოზი, ჰელმინთოზი...). -ოზ- აფიქსით მიღწეულია ამა თუ იმ დარღვევის განმეორებადობის, დაავადების გამომწვევ ბაქტერიათა (მიკრობთა...) სიმრავლისა და აქტივობის ჩვენება. ქართულ სინამდვილეში -ოზ-სუფიქსიან ტერმინებს მრავლობითის მაწარმოე-

ბელი -ებ დაერთვის და კლასობრივი მახასიათებლის, შემკრების უუნქციას ტვირთულობს:

კანის ლეიშმანიოზების¹⁶ (ქალაქური თუ უდაბნოს ტიპის) გამოწვევა-ეია ტროპიკული ლეიშმანი, ამერიკული ლეიშმანიოზების (ესპუნდია) გამოწვევა ბრაზილიური ლეიშმანია (გ. კერტ., დ. სენ., გვ. 324).

ამავე რიგისაა: პელმინთოზები, ნემატოდოზები, ცესტოდოზები, ტრემატოდოზები, რიკესიოზები და სხვ. ...

მ. როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართული სამედიცინო ლიტერატურის ენა ნაკლებად მიმართავს -ნ/თ-იან წარმოებას ტერმინებში და ტერმინოლოგიურ კონსტრუქციებს (სათანადო მაგალითებში) მთლიანად -ებ-იანი მრავლობითით აგებს.

ძველ ქართულში დაავადებათა სახელწოდებები განსაკუთრებით ხშირად სწორედ -ნ/თ-იანი მრავლობითით გადმოიცემოდა. მაგალითებს მოვიხმობთ XV ს-ის ქართული სამეცნიერო ნაშრომიდან — ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“:

იყოლით, რომე სიმსიენენი რ[ა]სთენ ფერნიცა არიან... გუარნი სიმსიენეთანი მრ[ა]ვ[ა]ლნი არიან... არს სიმსიენე მკურნე[ა]ლი, და სიმსიენე კმელი და ძნელი, და შეკრებულნი, სიმსიენე მ[ა]ვ[ა]ლნი, ადვილით-ადვილ[ა]დ რომელნი წაეკიდებთან წყლულსა თანა, და სიმსიენე, რომელი იქნების ქარის[ა]გან მ[ა]ვ[ა]ლი-საცა... (ტ. 11, 1988, გვ. 656).

მღრ.: თირკმლის სიმსიენეები მეტწილად ავთვისებიანია. ეტიოლოგია არ არის ცნობილი... (თერაპიული ცნობარი, გვ. 91). ფილტვის სიმსიენეები [არის]: ფილტვის კეთილთვისებიანი სიმსიენე და ფილტვის კიბო... შედარებით სხვა ავთვისებიან სიმსიენეებთან ფილტვის კიბო რამდენადმე ნელა იწვევს მდგომარეობის დამძიმებას... (იქვე, გვ. 75—76).

„სამკურნალო წიგნის — კარაბადინის“ ქვესათაურებშიც დაავადებათა და მათ წამლობათა სახელები ნარ/თანთან მრავლობითშია წარმოდგენილი:

კარი გუარიშნთა (ნიშანი პირველისა გუარიშნისა, ნიშანი საფლტოსისის გუარიშნისა, ნიშანი გუარიშნისა თანდა დიკონისა...), კარი — იარაჯნი და გოსაკსნელნი წამალნი (...ნიშანი იარაჯისა ვალიანოზისა დიდისა, ნიშანი იარაჯი არქალანისისა, ნიშანი იარაჯისა მწარისა...), კარი მატბუხთა, რომელნი არა გასაკსნელნი არიან... კარი ლუოკთა, რომელ არიან სალოკელნი (ნიშანი ლუოკისა, რომელ არს ტაბაშირისა, ნიშანი ლუოკისა, რომელ არს შამბალოთისა...).

¹⁶ ლეიშმანიოზი — leishmaniosis (W. B. Leishman — ინგლისელი ექიმი, 1865—1926) — ადამიანისა და ცხოველების. პროსტოზოული ინფექციური დაავადება, რომლის გამომწვევეია ლეიშმანიები (ინ. რ. დ გ ე ბ უ ა მ მ, ა. ა ბ ე ს ა მ ე, დასახ. ლექსიკონი).

აქედან, მრავლობითის გამოყენება დაავადებათა კლასის (შემკრები, გამაერთიანებელი შინაარსის) აღსანიშნავად გვიანდელი ფაქტი არ უნდა იყოს და ტიპოლოგიური თვალსაზრისით მრავალი ენის სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

დღევანდელი სამედიცინო ლიტერატურის ენისათვის ტიპობრივია -ებ-იანი მრავლობითის ხმარება დაავადებათა დასახელებებში, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო ფართო ჯგუფი იგულისხმება სნეულებებისა თუ სამკურნალო საშუალებებისა, მით უფრო ხშირია -ნ/თ-იანი მრავლობითის ხმარება („მცირე“, „ვიწრო“ ქვეჯგუფებისათვის კი — ებ-იანი მრავლობითისა): შდრ.: გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, მაგრამ: იშემიური დაავადებები, მწვავე ინფექციური დაავადებანი, მაგრამ: მალარიული დაავადებები, სისხლის (ტრანსმისიული) ინფექციური დაავადებანი, მაგრამ ამ ჯგუფში შემავალი: ენდემური დაავადებები, ანთროპონოზული დაავადებები, რიკეტსიოზული დაავადებები და სხვ.

ქართული ენის სამეცნიერო სტილისათვის ძველ ქართულში დამახასიათებლად მიჩნეული -ნ/თ-იანი მრავლობითი. დ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ, თუმცა XI—XII სს-ის სამწერლო ენაში -ებ-იანი მრავლობითი საკმაოდ გავრცელებულია და იოანე პეტრიწიც თავის ენაში თანამედროვე ფორმებს ანიჭებს მუდამ უპირატესობას, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ფილოსოფიურ შრომებში სულ რამდენჯერმე იყენებს ამ მრავლობითი რიცხვის ფორმებს და ეს შემთხვევებიც გარკვეული ალბათობით XVIII ს-ის გადამწერისაგან მომდინარედ არის მიჩნეული¹⁷.

-ებ-იანი და -ნ/თ-იანი მრავლობითის ხმარების ამგვარ თავისებურებათა ახსნისას დ. მელიქიშვილი მოიხმობს ჰ. ფოგტის დაკვირვებას ძვ. ქართული ენის ძეგლებზე: „თუ -ებ-იანი ფორმა ერთხელ იხმარა მთარგმნელმა, იგი მის გამოყენებას განაგრძობს რამდენსამე ხანს, სანამ ისევ მიღებული ჩვეულებრივი, უზუალური არ გაახსენდება და ისევ წესის მიხედვით არ დაიწყებს წერასო“¹⁸; და იქვე დასძენს, რომ შეიძლება მეორე ახსნაც არსებობდეს, კერძოდ: „ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში -ებ-იანი მრავლობითი -ნ/თ-იანის გვერდით ჩვეულებრივად იხმარებოდა მრავლობითის აღსანიშნავად, მაგრამ სინტაქსურ უფლებათა მკვეთრი სხვაობით.

¹⁷ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., II.

¹⁸ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

და ისიც, რომ იგი ზოგიერთ ავტორთან ნაკლებად გვხვდება, ზოგთან კი — მეტად. ლაპარაკობს სამეცნიერო ლიტერატურაში -ებ-იანი მრავლობითის დიალექტური წარმოშობის შესახებ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ. არნ. ჩიქობავას ნართანიან-ებ-იანი მრავლობითების ურთიერთმიმართებისა და სხვადასხვა სინტაქსური საკითხების კვლევასთან დაკავშირებით არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „ეს სუფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისაა და სალიტერატურო ქართულში დამკვიდრების თვალსაზრისით სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციას განეკუთვნება“¹⁹.

ამას შეიძლება დაემატოს ერთი ვარაუდიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში (კონკრეტულად სამეცნიერო ენაში) შესაძლებელია სხვადასხვა დიალექტური წარმოშობის ეს ორი ფორმანტი მოხმარების არეებს შემოსაზღვრავდა და მათი გამოყენება ერთსა და იმავე ტექსტებში შემთხვევით „განწყობაზე“ (პ. ფოგტის გამოთქმაა, იხ. დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11) კი არ არის დამოკიდებული, არამედ შეგნებულ (ან, ყოველ შემთხვევაში, ქვეცნობიერად გააზრებულ) აქტს წარმოადგენს.

ამის საბუთად შესაძლოა გამოდგეს არა მხოლოდ „ფართო“, „შემკრებლობით“ ცნებათა -ნ/თ-იანი წარმოებით გადმოცემის შემთხვევები, ხოლო „ვიწრო“ ცნებებისა — -ებ-იანი წარმოებით გადმოცემის უკვე დასახელებული მაგალითები, არამედ ძველ ქართულშივე დადასტურებული ნიმუშებიც:

-ნ/თ-იანი:

...ესე არს ს ნ ე ბ ა ნ ი კურკლისანი... (კარაბადინი, გვ. 655). და სენი მისთა მზლუ[ა]რთა და სენთა, და ნიშ[ა]ნი მ[ა]თი და წ[ა]მ[ა]ლნი მ[ა]თნი და კურნებანი მ[ა]თნი... (იქვე, გვ. 655).

-ებ-იანი:

ნახეარ ღრ[ა]მი ბარგუეტო, ოთხი ღრ[ა]მი ცუილო, და[ა]ღნეე, წამლები შიგან გაურეე, აბები ქენ, გა[ა]კმე... (კარაბადინი, გვ. 637). და აღუ ცეცსლო-საგა[ნ] და ქელები ზეთითა შემწენ და პატრუქები შექენ (იქვე, გვ. 637). და ესეცა იცოდით, რაღა ეს ძარღუები დავწერეთ, მათი გული ყველასი ღრუ არის (იქვე, გვ. 266).

¹⁹ იქვე, გვ. 14.

მართალია, -ნ/-თ და -ებ- სუფიქსების ტერმინთმწარმოებ-
ლური ფუნქციების განაწილების პროცესი გამოკვეთილი არ არის
ძველ ქართულში, მაგრამ იგი უკვე დაწყებულია და ამჟამად დღე-
ვანდელ ვითარებას, როდესაც ნართანიანი მრავლობითი მხოლოდ
ზოგადი სნეულებების, დაავადებების აღმნიშვნელად შემორჩა, ხო-
ლო „ვიწრო სემანტიკის“ სამედიცინო ტერმინებში დამკვიდრდა
-ებ-იანი მრავლობითი.

ქიმიის ტერმინოლოგიის სტრუქტურული ტიპები ქართულში

ქიმიის, ისევე როგორც სხვა დარგების, ტერმინოლოგიაში გვხვდება შემდეგი სტრუქტურული ტიპები:

1. ერთსიტყვიანი — მარტივი და ნაწარმოები — ტერმინები (რკინა, ლითიუმი...; ხსნარი...);

2. ორ-, სამ- და მეტსიტყვიანი ტერმინები — შესიტყვებები (ნატრიუმის ქლორიდი, სპილენძის შავი მადანი...);

3. შესიტყვებათა კომპრესიის შედეგად მიღებული კომპოზიტები (წყალხსნარები, წყალბადბრომმჟავა...).

წმინდა ფორმალური თვალსაზრისით უფრო თანამიმდევრული იქნებოდა ორი ტიპის გამოყოფა: ერთ- და ერთზე მეტსიტყვიანისა, ანუ ანალიტიკური ტერმინებისა (ე. წ. ანალიტიზმებისა). მაგრამ რეალური და, ამასთან, სპეციფიკური ვითარება ქიმიის ტერმინოლოგიაში ისეთია, რომ ერთსიტყვიანთა ერთ-ერთი ქვეტიპი — კომპოზიტები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ანალიტიზმების კომპრესიის შედეგადაა მიღებული, თავისი ცნებითი დატვირთულობით, გვარეობით-სახეობითი იერარქიის გამოვლენის უნარითა და სხვა ნიშნებით უფრო ახლოსაა ანალიტიკურ ტერმინებთან, ვიდრე ერთსიტყვიან, უფრო ზუსტად, ერთფუძიან (მარტივ თუ ნაწარმოებ) ტერმინებთან. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ არცთუ იშვიათად კომპოზიტის ფორმის მქონე ტერმინებს მოეპოვებათ პარალელური ვარიანტები ამოსავალი ანალიტიზმების სახით (მაგ., ლიმონმჟავა || ლიმონის მჟავა).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენეული კლასიფიკაცია ქიმიური ტერმინებისა სამწევროვანია, და არა ორწევროვანი, რაც, ვფიქრობთ, უკეთ ასახავს ობიექტურ ვითარებას და უფრო მკაფიოდ ავლენს ტერმინებით გამოხატული ცნებების სისტემურ ლოგიკურ კავშირებს.

ქიმიის ტერმინოლოგიის თავისებურება, მას მრავალი სხვა დარგის ტერმინოლოგიისაგან რომ გამოარჩევს, ერთგვარად აისახება სათანადო ფორმულებსა და პირობით აღნიშვნებში, რომლებიც წარმოადგენს ტერმინთა სიმბოლურ გამოსახულებებს.

განვიხილოთ თითოეული სტრუქტურული ტიპი ცალ-ცალკე.

1. ერთსიტყვიანი — მარტივი და ნაწარმოები ტერმინები

ა) ერთსიტყვიანი მარტივი შედგენილობის ტერმინები გვხვდება როგორც საკუთარი, ისე (და მეტადაც) ნასესხები ლექსიკიდან. საკუთარ ლექსიკად დღეს ჩაითვლება ყველა ის სიტყვა, — ქართულიცა და არაქართულიც. — წარმოშობით უცხოური, ძველისძველი ნასესხობები, რომლებიც ინტერნაციონალიზმებად არ ქცეულან. მაგ.: რკინა, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, კალა, თუთია, ტყვია, ტუტი, ფუძე...

ნასესხებ სიტყვებად, ჩვეულებრივ, ინტერნაციონალიზმები ივარაუდება: მეტალი, ფოსფორი, იოდი, ქრომი, ქლორი, კალიუმი, ნატრიუმი, მანგანუმი...

ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ქიმიური ელემენტების სახელწოდებებთან. ნაერთები, როგორც წესი, რთული შედგენილობის ტერმინებით გამოიხატება, თუმცა გამონაკლისები აქაც გვაქვს (მაგ., წყალი).

ბ) ერთფუძიან ნაწარმოებ ტერმინებში ხმარებული აფიქსების შერჩევის უნარისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს სიტყვაწარმოება, როგორც სხვადასხვა ნიშნის მიხედვით დიფერენცირების საშუალება.

აფიქსური სიტყვაწარმოებიდან ქიმიის ტერმინოლოგიისათვის ყველაზე სპეციფიკური და თვალში საცემია აფიქსთა სემანტიკური დიფერენციაცია, კერძოდ, მისი ერთი უჩვეულო შემთხვევა, რომელიც მქონებლობის -იან და -ოვან აფიქსების ხმარებასთანაა დაკავშირებული.

საერთო-სალიტერატურო ქართულში აღნიშნული აფიქსები თითქმის ერთი და იმავე სემანტიკის მქონენი არიან და არსებით სხვაობას არ იძლევიან. განსხვავებას (და მნიშვნელოვანსაც) ქმნის ამავე სუფიქსების ხმარება ქიმიის ტერმინოლოგიაში, მკავეებში უანგბადატომთა მოლეკლის შემცველობის განსხვავებული რაოდენობის აღსანიშნავად¹. შდრ.:

¹ რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 135.

ქლორ-იან-ი	და	ქლორ-ოვან-ი
ქრომ-იან-ი	და	ქრომ-ოვან-ი
ნახშირბად-იან-ი	და	ნახშირბად-ოვან-ი

ქიმიის ტერმინოლოგიისათვის ნიშანდობლივია -ა სუფიქსის გამოყენება, როცა იგი აღნიშნავს მსგავსებას რაიმე საგნისას სხვა საგანთან. მსგავსება შეიძლება იყოს ფერის, მოყვანილობის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგ.:

ლურჯ-ა	მწვან-ა
თეთრ-ა	კრიალ-ა ²

რიგი სუფიქსები ქიმიის ტერმინოლოგიაში აწარმოებენ როგორც ქართული, ისე უცხოური ფუძეებისაგან ერთ-ერთი ძირითადი კლასის მარილების სახელწოდებებს. ესენია უცხოური -ატ, -იტ, -იდ სუფიქსების ქართული ეკვივალენტები: -ის, -ონის და -ედ სუფიქსები. მაგ.: ბორისები, ქლოროენისები, გოგირდოენისები, ნახშირგოგირდედი და მისთ. მათგან პირველი ორი (-ის, -ონის), როგორც წესი, მრავლობითის ფორმით იხმარება, ხოლო მესამე (-ედ) თვითონ არის კრებითი სემანტიკის შემცველი და ამიტომ მას მრავლობითი რიცხვის ნიშანი საგანგებოდ აღარ სჭირდება (ვერცხლგოგირდედი, ნახშირგოგირდედი), თუმცა იშვიათ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს კიდევ მრავლობითში. (წყალბადგოგირდედი).

ბუნებრივია, მეცნიერების ენა ვერ დაელოდება საერთო ენის განვითარების სტაბილურსა და მყარ კანონებს და იგი ხშირად ტერმინის შესაქმნელად საკუთარ გზებსა და საშუალებებს იყენებს, თავისებურად ეპყრობა ენობრივ მასალას, ზოგჯერ ფუნქციებს უცვლის ტრადიციულ სიტყვაწარმოებას ან სიტყვათა მაწარმოებელ აფიქსებს, ხელოვნურად აგებს ტერმინთა მოდელებს³.

ასე რომ, ტერმინების შექმნა მთლიანად ენობრივი ოპერაციებია, რისთვისაც აუცილებელია ენობრივ საშუალებათა შეგნებული დიფერენცირება.

² ი. ჭიბუტი, -იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ლექსიკონისათვის ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. X, 1993, გვ. 169—188.

³ რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი..., გვ. 139.

2. ანალიტიკური ტერმინები (ანალიტიზმები), ანუ შედგენილი ტერმინები

შედგენილი ტერმინები, რომლებიც ერთზე მეტი კომპონენტი-საგან იწარმოება, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელ-წოდებით გვხვდება: „ტერმინოლოგიური გამოთქმები“, „ტერმინო-ლოგიური შესიტყვებები“, „აღწერითი (ერთ-, ორ- ან მეტსიტყვი-ანი) გამოთქმები“, „შედგენილი ტერმინები“, „ექსპლიკაციური ტერ-მინები“, „ანალიტიკური ტერმინები“ („ანალიტიზმები“).

ანალიტიკური ტერმინები წარმოადგენს ცალ-ცალკე გაფორმე-ბულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შედგება დამოუკიდებელი შინაშენელობის მქონე და დამხმარე ელემენტებისაგან და ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურია კომპოზიტიური სი-ტყვებისა. ასეთი ტერმინები ასრულებენ იმგვარსავე როლს, რო-გორსაც ერთწევრიანი, ანუ ერთსიტყვიანი ტერმინები (პიროგო-გირდმჟავა, ქვექლოროვანმჟავა, პიროსტიბიუმმჟავა, ქვემანგანუმ-მჟავა, ქვეფოსფორმჟავა, პიროდარიშხანმჟავა, პიროყურძენმჟავა, ზენახშირმჟავა, ზექლორმჟავა და სხვ.) და წარმოადგენენ ენის სის-ტემის შემადგენელ ნაწილს.

ძირითადად ამგვარი გავრცობილი კონსტრუქციების შემოღების აუცილებლობა ამა თუ იმ დარგის ლექსიკაში გამოწვეულია იმით, რომ ასეთი ფორმები ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემენ სპეცია-ლური ცნების დიფერენციალურ ნიშნებს, ე. ი. ისეთ ნიშნებს, რომ-ლებიც გამოარჩევს მას სხვა ცნებისაგან ყოველგვარი კონტექსტის გარეშე. ეს ზრდის ტერმინის სემანტიკური მოტივაციის ხარისხს, რაც ტერმინისათვის არსებითია.

აქ სარკვევი არაფერია: თვითონ დასახელება იმდენად ზუსტად შაორიენტირებელია, რომ მას დამატებითი საშუალებები (კონტექს-ტი, ამხსნელი სიტყვები...) არ სჭირდება.

ამგვარად, შედგენილი ტერმინი ხასიათდება გამჭვირვალე მო-ტივაციით, იგი მაქსიმალურად ზუსტად ასახავს აღსანიშნს ცნები-სას¹.

შედგენილი ტერმინები, როგორც ეს კარგადაა ცნობილი სამეც-ნიერო ლიტერატურიდან, ნებისმიერი დარგის ტერმინთა უმრავლესობას შეადგენს.

სწორედ ამგვარ ტერმინოლოგიურ გამოთქმათა წყალობით ხერხდება ცნებათა საკლასიფიკაციო სქემის წარმოჩენა, ერთგვარი

¹ რ. ლამბაშიძე, ანალიტიკურ ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური თავი-სებურებანი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. X, 1993, გვ. 217—226.

სისტემატიზაცია სემანტიკურად ახლოს მდგომი ტერმინებისა და ყალიბდება ის ცნებობრივი სისტემა, რომელსაც გვარეობით-სახეობით ცნებათა ურთიერთმიმართება ჰქვია. მაგალითად:

მ ა რ ი ლ ე ბ ი: ნატრიუმის ქლორიდი, კალიუმის სულფატი, კალციუმის სულფატი, სუფრის მარილი, მანგანუმის მარილი, სისხლის ყვითელი მარილი...

ფ უ ძ ე ბ ი: კალიუმის ფუძე, სპილენძის ფუძე, ჟანგ-სპილენძის ფუძე, თხევადი ფუძე...

მ ქ ა ვ ე ბ ი: ერთფუძიანი მჟავა, ციკლური მჟავები, თაფლის მჟავა, უჟანგბადო მჟავა, მთრიმლავი მჟავა, მგრგვინავი მჟავა, ორფუძიანი მჟავა...

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში პოსტპოზიციური ერთეულები — საზღვრულები — გვარეობით ცნებებს აღნიშნავს, დანარჩენი კი — სახეობითს (ესენი ძირითადად მსაზღვრულებია).

ანალიტიკური ტერმინების შექმნას აუცილებლობა განსაზღვრავს. ყოველ ცალკეულ ტერმინს ცალკე სახელი რომ ჰქონდეს, ეს შეუძლებელს გახდოდა მათ დახსოვებას⁵.

აღწერითი ტერმინების წყალობით ნებისმიერი გვარეობითი ცნებისაგან შეიძლება ადვილად შედგეს სახეობითი ცნება. ორსიტყვიანი, სამ- და მეტსიტყვიანი ტერმინოლოგიური გამოთქმები, ჩვეულებრივ, თავისუფალ შესიტყვებებს ან ფრაზეოლოგიურ შენაზარდებს წარმოადგენენ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ბუნებრივია, როდესაც თავისუფალ შესიტყვებებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ტერმინოლოგიის სპეციფიკა, სადაც შესიტყვებები, თუნდაც თავისუფალი, რაღაც გარკვეულ ჩარჩოებში ზის, მათი თავისუფლების ხარისხი ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ენის შესიტყვებებისა, რადგანაც ამა თუ იმ დარგის ლექსიკა მაინც ერთგვარად ჩაკეტილ სისტემას ქმნის და ამპლიტუდაც რაოდენობრივი მაჩვენებლის მერყეობისა შედარებით შეზღუდულია.

თავისუფალი შესიტყვებები არ აღნიშნავენ რაიმე რთული საგნის სახელწოდებას, როგორც ერთ სტრუქტურულ-სემანტიკურ მთლიანობას. ისინი ახასიათებენ, ანუ განსაზღვრავენ ძირითად, საყრდენ ცნებას, ანუ იმას, რაც ქმნის სინტაგმისა თუ შესიტყვების

⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ქიმიურ ტერმინთა რაოდენობა 2 მილიონზე მეტია (ზ. ლ. ა. Ц и с е т, О полевоm статусе терминологической лексики: Актуальные проблемы научно-технической терминологии (Тезисы докладов к зональному семинару, 4 февраля 1985 г., Пенза, стр. 65—67.

სემანტიკურ ცენტრს; ხოლო ფრაზეოლოგიზმები გამოირჩევა სემანტიკური მთლიანობით. ისინი სწორად გამოხატავენ ამა თუ იმ ერთი რთული სახელის მთლიან მნიშვნელობას.

შედგენილი ტერმინები იწარმოება სინტაქსური ურთიერთობების საფუძველზე: ესაა ძირითადად შეთანხმება ორ წევრს შორის. მაგ.: ზედსართავი + არსებითი სახელი (იშვიათი ლითონები), მართვა: არსებითი სახელი ნათესაობითში + არსებითი სახელი (ტყვიის კრიალა), ანდა ერთისა და მეორის ნაირგვარი კომბინაციით მიღებული მრავალკომპონენტიანი სხვადასხვა ფორმები (სპილენძის ფუძე კარბონატი, დაბალი დაქანგულობის ხარისხი...).

აქედან ყველაზე გავრცელებული სტრუქტურული ტიპებია ორკომპონენტიანი 1) ატრიბუტულმსაზღვრელიანი (ზედსართავი + არსებითი) და 2) მართულმსაზღვრელიანი (არსებითი ნათესაობითში + არსებითი). მაგალითად:

1. ინერტული გაზები, ანტიკოროზიული ლითონი, თხევადი ლითონი (ალუმინი ან თითბერი) და ა. შ.

2. ნატრიუმის მარილი, სპილენძის სულფატი, რკინის ალმადანი, ბარიუმის ზეჟანგი, კალიუმის მინა, ხსნარის სიმკვრივე, აზოტის ხსნარი და ა. შ.

იშვიათად გვხვდება ატრიბუტულმსაზღვრელიანი შესიტყვება — არსებითი + არსებითი (ტუტე ლითონი, ქვეყანგი ლითონი, ფუძე მარილი...).

შეიძლება შევადგინოთ ტერმინოლოგიური შესიტყვებების ტერმინოლოგიური გამოთქმების შემადგენელ კომპონენტებს შორის სინტაქსურ ურთიერთობათა სქემა (იხ. სქემა I).

მეტყველების ნაწილის მიხედვით სამსიტყვიანი ტერმინები შემდეგ კომბინაციებს იძლევა:

1. არს. + ზედს. + არს.: აირთა ფონეტიკური თეორია; სპილენძის შავი მადანი;

2. ზედს. + არს. + არს.: აბსოლუტური ნულის ტემპერატურა;

3. ზედს. + არს. + მასდ.: მსუბუქი ფრაქციების გამოსდა;

4. ზედს. + მასდ. + არს.: წითელი ვარვარების ტემპერატურა;

5. არს. + მასდ. + არს.: იონთა მოქმედების დამოუკიდებლობა;

6. ზედს. + ზედს. + არს.: რადიკალური ჯაჭვური რეაქცია;

7. მასდ. + არს. + არს.: გამოხდა წყლის ორთქლით;

8. მასდ. + მიმლ. + არს.: გამოხდა გაუსშოებულ არეში;

9. მიმლ. + ზედს. + არს.: შენადნობის ძირითადი ლითონი;

10. თანდებულიანი ფორმა: არს. (თანდ.) + მიმღ. † არს.: ვერცხლისებრ მზინავი ლითონი.

ბუნებრივია, ეს ხდება ფიქსაციის სფეროში (ე. ი. ლექსიკონებში), თორემ ფუნქციონირების სფეროში (სტატიებში, მონოგრაფიებში, სამეცნიერო ხასიათის სხვა ლიტერატურაში) კომბინაციები შეიძლება კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყოს.

სამსიტყვიან ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა კომპონენტებს შორის სინტაქსური ურთიერთობებისათვის იხ. სქემა II.

იშვიათად გვხვდება ოთხსიტყვიანი გამოთქმები იმ ტიპისა, როგორცაა:

ბუთილის პირველადი ნორმალური სპირტი — спирт первичный нормальный бутылочный;

ბუთილის მეორეული ნორმალური სპირტი — спирт вторичный нормальный бутылочный;

ჩონჩხედური ანიონ-ტეტრაედრული აღნაგობის სილიკატები (მინერ.) — силикаты с каркасной анион-тетраэдрической структурой;

ლენტური (ძეწკვებშეწყვილებული) ანიონ-ტეტრაედრული აღნაგობის სილიკატები — силикаты с ленточной (сдвоенно-цепочной) анион-тетраэдрической структурой.


ვინაიდან ფიქსაციის სფეროში ეს დიდი იშვიათობაა, ჩვენ მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

სტემებზე მოცემულია სინტაქსური ნომინაციის ყველაზე ძირითადი და დამახასიათებელი მოდელები ქიმიის ტერმინოლოგიისათვის.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება კონსტრუქციულად უფრო რთული ერთეულებიც, როგორცაა: გათრიმლული ქრომის ტყავი ფეხსაცმლის ზედაპირისათვის — кожа хромового дубления для верха обуви.

მათ უფრო აღწერითი ხასიათი აქვთ და სისტემას ვერ ქმნიან.


ამგვარად, საერთო სურათის შეფასება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქიმიური მეცნიერების ენა თუმცა ტიპოლოგიურად განსხვავებულია, ერთი მხრით, სალიტერატურო ენისაგან და, მეორე მხრით, სხვა ნებისმიერი დარგის ენისაგან, მასში ტერმინოლოგიური გამოთქმები უნივერსალურია და აგებულია ენაში არსებული გრამატიკული წესების მიხედვით. ეს განსაკუთრებით ხელშეასახებია კონკრეტული ფაქტების აღწერისას და ნებისმიერი სხვა დარ-




აქტიური აირი (შეთანხმება)
მანგანუმის აქსიზი (მართვა)

ნახევრად თხევადი

მეტყველების ნაწილების მიხედვით ეს სქემა ასე გაიშლება:





სპოლენძის ფუძე კარბონატი, სტიბიუმის განგალოუანი ნაერთები

ბრიტანული შენაღობის ნაკეთობა

ნატრიუმის კარბონატის წყალხსნარი

შაქრი მურა ნაჭმარი

გისა თუ სალიტერატურო ქართულის მასალასთან მათი შედარებისას. განსხვავებას აქ მხოლოდ ქიმიის ტერმინოლოგიის სემანტიკური სისტემა ქმნის და რაიმე სტრუქტურულ თავისებურებაზე საუბარი არ გვისდება.

3. კომპოზიტები

მეორე ძლიერი ტენდენცია, რომელიც ქიმიის ტერმინოლოგიის სტრუქტურაში შეიმჩნევა, ეს არის უჩვეულო სწრაფვა ანალიტიკურ ტერმინთა გაკომპოზიტებისაკენ.

სინტაქსური წესი და კომპრესიის შედეგად მიღებული კომპოზიტები, შეიძლება ითქვას, ქიმიის ტერმინოლოგიისათვის ყველაზე პროდუქტიული, ყველაზე მეტად დამახასიათებელი სიტყვაწარმოებითი მოდელია:

ალუმინმჟავა — алюминиевая кислота	სტეარინმჟავა — стеариновая кислота
აზოტმჟავა — азотная кислота	სულფოქსილმჟავა — сульфо- кисловая кислота
გოგირდმჟავა — серная кислота	ძმარმჟავა — уксусная кислота
ნახშირმჟავა — угольная кислота	ფოსფორმჟავა — фосфорная кислота

და სხე.

თხზული ტერმინების კომპონენტთა შერწყმა დაუბრკოლებლივ ხდება ყოველგვარ ფუძესთან — როგორც თანხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან (იხ. ზემოჩამოთვლილი ლექსემები), ისე ხმოვანზე ფუძეგათავებულ ერთეულებთან. მაგ.:

ერბომჟავა — масляная кислота	რკინამჟავა — железная кислота
კალამჟავა — оловянная кислота	რძემჟავა — молочная кислота
ოქრომჟავა — золотая кислота	ტყვიამჟავა — свицтовая кислота
პლატინამჟავა — платиновая кислота	ღვინომჟავა — вишная кислота

1970 წ. გამოცემული ქიმიის ტერმინოლოგიის მასალიდან მჟავა-ს მაგალითზე გამოთვლილ იქნა პროცენტულად ყველა ამგვა-

რი შერწყმის შემთხვევა და გაირკვა, რომ მართლმსაზღვრელიანი ტერმინები ერთ მთლიან კომპოზიტად არის გაფორმებული⁶:

აკრილალდეჰიდი — акриловый альдегид, ალუმინქლორიდი — хлористый алюминий, ნატრიუმამიდი — амид натрия, კალიუმმანგანიტი — манганит калия, ვერცხლქლორიდი — хлористое серебро, ვერცხლციანიდი — цианистое серебро, ბარიუმ-სილიციდი — силицид бария.

პირველ პარაგრაფში აღნიშნული თავისებურება -ოვან სუფიქსისა -იან სუფიქსთან მიმართებით კომპოზიტებშიც იჩენს თავს, ოღონდ აქ -იან სუფიქსის ნაცვლად ნულოვან დაბოლოებაზე გვისდება საუბარი. შდრ. წყვილები:

აზოტმჟავა — азотная кислота	აზოტოვანმჟავა — азотистая кислота
გოგირდმჟავა — серная кислота	გოგირდოვანმჟავა — сернистая кислота
კალამჟავა — оловянная кислота	კალოვანმჟავა — оловянистая кислота
ტყვიამჟავა — свинцовая кислота	ტყვიოვანმჟავა — свинцевистая кислота
რკინამჟავა — железная кислота	რკინოვანმჟავა — железнистая кислота

ქიმიის ტერმინოლოგიაში ყურადღებას იქცევს ზე- და ქვეპრეფიქსოიდებით წარმოება, სადაც მათ საპირისპირო ფუნქციები აქვთ: ზე- იხმარება ელემენტის უმაღლესი დაყანგულობის ხარისხის საჩვენებლად, ხოლო ქვე- — უდაბლესი დაყანგულობის ხარისხისა. მაგ.: ზეაზოტმჟავა, ზეაზოტოვანმჟავა, ქვეიოდმჟავა, ქვეიოდოვანმჟავა და ა. შ.

4. ტერმინის სივრცე

ქიმიის ტერმინოლოგიაში ზოგჯერ მთელი წინადადების ტოლი შესიტყვება ერთი სიტყვითაა გადმოცემული. სწორედ ამგვარი კომ-

⁶ სინტაგმადაა წარმოდგენილი მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის მჟავა დახასიათებულია რაიმე ნიშნის მიხედვით, ე. ი. როდესაც ატრიალურულ მსაზღვრელთან გვაქვს საქმე. ასეთი თითზე ჩამოსათვლელი (სულ 7) შემთხვევებია: მგრგვინავი მჟავა, ორფუძიანი მჟავა, მბოლავი მჟავა, აქროლადი მჟავა, ნამუშევარი მჟავა, განზავებული მჟავა, სამფუძიანი მჟავა; ეპონიზური ტერმინები: კლვეეს მჟავა, კოსის მჟავა, რეინევეს მჟავა...

პრესიის შედეგადაა მიღებული ისეთი ვრცელი ერთეულები, როგორცაა, მაგ., მინერალთა სახელწოდებები:

კალიუმტეტროქსოდიპიდროქროსმიაცი (VIII) — осмий (VIII), тетроксодигидроксиокашневый,

სამოქსონიტრიდოსმიუმჟავა — триоксонитридоосмиевая кислота,

ტრინიტროდიოქსიუმის მჟავა — тринитродиоксиевая кислота,

პენტანატრიუმტრიფოსფატი — пентанатрийтрифосфат.

კობალტისქლოროპენტამინოქლორიდი — хлоропентаминокобальтихлорид,

ტუტელითონტეტროქსიდიფთოროსმისები — тетроксидифтороалка.тн-солн осмия (VIII).

დიქლორიფენილდიქლორმეთილმეთანი — дихлордифенилди-хлорметилметан.

ქიმიური ტერმინების ასეთ ვრცელ დასახელებათა არსებობას უთუოდ ხელს უწყობს მათი აღწერის სისტემურობა.

როგორც ვხედავთ, ქიმიის ენაში არის ტენდენცია იმისა, რომ მთელი წინადადების ტოლი შესიტყვება ერთ სიტყვად გადაიქცეს. ამ სიტყვებს ეძლევათ ისეთი სახელწოდებების სახე, რომლებიც ზედმიწევნით აღნიშნავენ არა მხოლოდ ამა თუ იმ საგნებს, არამედ მათ მიმართებას სხვა ანალოგიურ საგნებთან, ე. ი. განსაზღვრავენ მათ ადგილს სისტემაში⁷.

ეს ტენდენცია ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი საჭიროებს ნომინაციის შეკუმშულ ფორმებს, რომლებიც გადმოსცემენ იმავე მოცულობის ინფორმაციას, როგორსაც მათი გაშლილი, გავრცელებული ფორმები, მაგრამ ისე, რომ იყენებენ უფრო მოკლე, ეკონომიურ ლინგვისტურ საშუალებებს. ეს ტერმინოლოგიური ლექსიკის საერთო თავისებურებაა, მაგრამ ქიმიის ენაში იგი განსაკუთრებულ სახეს იღებს.

შემოთ აღნიშნული რეგულარული შემთხვევების გარდა, გვხვდება გაკომპოზიტების ნაირგვარი სხვა შემთხვევებიც:

როგორც ქიმიის დარგის ინგლისური მასალის მიხედვითაა შენიშნული, მრავალკომპონენტიან ტერმინებში შემადგენელი კომ-

⁷ ტერმინის სიგარქსთან დაკავშირებით იხ. А. В. Суперанская, Терминология и номенклатура: Проблематика определения терминов в словарях разных типов, Л., 1976.

პონენტების შეერთება ხდება გარკვეული იერარქიული თანამიმდევრობით (მაგ.: თიოდივალერიანმჟავა, ტეტრანიტროდიამინკობალტიანი, პენტანატრიუმტრიფოსფატი, ჰექსამიაკატობალტიმარილები, სებაცინმჟავაჰექსამეთილენდიამინი და სხვ.).

მოცემულ ქიმიურ ნაერთებში თითოეული შემადგენელი ნაწილის ფუნქცია, რომელიც შეპირობებულია ექსტრალინგვისტური მიზნებით, ქიმიური დასახელების აგების პრინციპი და, მაშასადამე, თანამიმდევრობაც მისი შემადგენელი ნაწილებისა შეიძლება იცვლებოდეს, თანაც, იმგვარად, რომ ეს ტერმინოლოგიური ერთეული მთლიანად იზომორფული იყოს მისი სემანტიკური მნიშვნელობისა⁸.

როგორც საანალიზო მასალამ გვიჩვენა, ქიმიის ენაში თავს იჩენს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ, ანალიტიზმებად დანაწევრება და, მეორე მხრივ, კომპოზიტებად ქცევა. ე. ი. სწრაფვა როგორც დაგრძელებისაკენ, ისე სიმოკლისაკენ.

ცალკე უნდა გამოვყოთ საკითხი ტერმინის სიმოკლის შესახებ, რომელსაც არა აქვს კავშირი აზრობრივი კომპარეისის კომპაქტურობასთან. აქ მხედველობაში გვაქვს არა გაკომპოზიტება და შეზრდა სხვადასხვა ფუძეებისა, რაც, თავის მხრივ, ტერმინის ეკონომიურობაზე მეტყველებს, არამედ სიმოკლე და კომპაქტურობა ერთი რომელიმე მარტივი ფუძის ფარგლებში, ე. ი. როდესაც არ იცვლება ლოგიკური მიმართება ცნებასა და ტერმინს შორის და ხდება ტერმინის რომელიმე მორფემის შეკვეცა. ეს სრულიად ჩვეულებრივი შემთხვევებია, რასაც ვხვდებით ნებისმიერი ტერმინოლოგიის ფარგლებში. სანიმუშოდ დავასახელებთ ორიოდ მაგალითს: უხსნი (ნაცვლად უხსნარ-ისა ან უხსნად-ისა) და უჯერი (ნაცვლად არანაჯერ-ისა).

ტერმინის სიმოკლის საკითხი⁹ არაერთარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გათანაბრებული ელიფსისის მოვლენასთან. ელიფსისი ტერმინის სიმოკლეს კი არ გულისხმობს, არამედ რთული, მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური გამოთქმების რიცხოვრივ გამარტივებას, ანუ კონსტრუქციის ელემენტების გამოტო-

⁸ Г. Н. Агапова, Английская химическая терминология, как совокупность трех семиотических систем (автореферат канд. дисс.), М., 1975, гл. 9.

⁹ ტერმინის სიმოკლის საკითხები დეტალურადაა შესწავლილი შემდეგ შრომებში: Д. С. Лоттс, Краткие формы научно-технических терминов, М., 1971; В. П. Даниленко, О кратком варианте терминов: «Русская речь», 1972, № 5, гл. 76.

ვებას იმგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული მიმართება სათანადო ცნებასა და მის გამომსახველ ტერმინს შორის.

რაც შეეხება ფიქსაციის სფეროს (მხედველობაში გვაქვს სპეციალური ლექსიკონები), აქ ელიფსისის შემთხვევები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, როდესაც სახეობითი ცნების ნაცვლად გვარობითი ცნება იხმარება და აღარ მეორდება ის ძირითადი კომპონენტი, რომელიც ამ ორ ცნებას ერთმანეთისაგან განარჩევს. მაგალითად: материалы [огнеупорные] безобжиговые მასალები [ცეცხლგამძლე] უწევადი

материалы [огнеупорные] карбидные

მასალები [ცეცხლგამძლე] კარბიდული

და ა. შ.¹⁰

სხვადასხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედარება გვიჩვენებს, რომ ერთსა და იმავე ანალიტიკურ შესიტყვებაში შეიძლება სხვადასხვა კომპონენტი იქნეს გამოტოვებული. მაგ., ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულ ნაწილში გამოტოვებულია საზღვრული — материалы — და გვაქვს:

огнеупор (ный) карбидный

огнеупорные кремнеземистые

რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში კი გამოტოვებულია огнеупорные და გვაქვს: материалы безобжиговые და материалы карбидные.

მომდევნო მსჯელობისას შეიძლება მსაზღვრელი აღარ მეორდებოდეს, რადგანაც გამოთქმიდან ნათელია, რომელ სახეობაზეა ლაპარაკი. გამოიტოვება ის ელემენტი, რომელიც მეორდება ყველა გამოთქმაში. სწორედ ამის ხარჯზე ხდება ლექსიკონებში მრავალკომპონენტიანი ტერმინის ორსიტყვიან გამოთქმამდე დაყვანა.

ქიმიის ტერმინოლოგიის მიხედვით შემოკლების ყველაზე გავრცელებული სახე ჩანს მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ რთულ სიტყვად შერწყმის შემთხვევები. მაგ.:

ბენზინმდეგი (ბენზინის მიმართ მდეგი)

მჟავაგამძლე (მჟავას მიმართ გამძლე)

მჟავამდგრადი (მჟავას მიმართ მდგრადი) და ა. შ.

¹⁰ იხ. Русско-польский химический словарь, Варшава — Москва, 1972.

ეს ბუნებრივი პროცესია და არც ერთი ენა, ენის არც ერთი სფერო არ წარმოიღვინება ამ ბუნებრივი პროცესის გარეშე. ამ მხრივ, ცხადია, გამონაკლისს არც ქიმიის ტერმინოლოგიური სისტემა ქმნის.

ბოლო ხანებში შეინიშნება მიმდებარების ვრცელ ფორმებში ზმნისწინის ჩამოკვეცის ტენდენცია: მაერთებელი (< შემაერთებელი), მანაწილებელი (< გამანაწილებელი) || სანაწილებელი (< გასანაწილებელი), მათხვეადებელი (< გამათხვეადებელი) და სხვ.

ტერმინის შემოკლება საფრთხილო ენობრივი ოპერაციაა, რადგანაც მან რიგ შემთხვევაში შეიძლება გააბუნდოვნოს ტერმინის მნიშვნელობა. ამიტომ შემოკლებისას დაცულ უნდა იქნეს გარკვეული ენობრივი წესები¹¹.

ტერმინოლოგიის სტრუქტურის პრობლემების რკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს ა ბ რ ე ვ ი ა ტ უ რ ი ს საკითხს¹².

აბრევიაცია ბოლოსდაბოლოს ელიფსისის ერთ-ერთი სახეობაა. აბრევიატურა განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია. იგი ორი, სამი ან მეტი სიტყვის შემოკლებით მიიღება. მაგ.: ფნ (= ფეთქებადი ნივთიერება), კმ (= კალციუმის მარილები), გმ (= გოგირდის მკავები), ონ (= ორგანული ნაერთები), ქრ (= ქიმიური რეაქციები), მმ (= მკავეამარილები), შმ (= შერეული მარილები) და სხვ. ფაქტობრივად ესაა ა კ რ ო ნ ი მ ი ზ ა ც ი ა, ანუ სიტყვის შედგენა საწყისი ასოებისაგან.

აბრევიატურა ძირითადად წერისას იხმარება. აბრევიატურების შედგენა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. აუცილებელია ჯერ ტერმინის დადგენა, რათა შემდგომ მისი აბრევიაცია მოხდეს.

5. ზოგი სპეციფიკური სიტყვაწარმოებითი მოდელისათვის ქიმიის ტერმინოლოგიაში

1) კომპოზიტებზე მსჯელობისას ცალკეა გამოსაყოფი ბად (< მბად) ელემენტით ნაწარმოები ტერმინები: წყალბადი, ჟანგბადი, კაჟბადი, ნახშირბადი.

აღნიშნული წარმოება ქიმიის ტერმინოლოგიისათვის სპეციფიკურია. მასალა სულ რამდენიმე ერთეული მაგალითით განისაზღ-

¹¹ რ. ლ. მ. ბ. ა. შ. ი. ძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია..., გვ. 53.

¹² აბრევიატურასთან დაკავშირებით იხ. გ. წი ბ ა ხ ა შ ე ი ლ ი, აბრევიატურის საკითხისათვის ქართულში: თსუ შრომები, ტ. 114, 1965, გვ. 273—300.

ღვრება. ამ ფორმებში, რომლებიც რუსული ენიდან კალკირების გზითაა მიღებული, მოქმედებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელი მ-პრეფიქსია დაკარგული წყვილბაგისმიერი ბ-ს მეზობლობაში და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ბად-ფუძეს რთულ სიტყვებში სიტყვამაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია აქვს დაკისრებული, ე. ი. ბად-შეესატყვისება რუსულ -под სუფიქსოიდს¹³:

წყალბადი	— водород
ჟანგბადი	— кислород
ნახშირბადი	— углерод
კაჟბადი	— кремний

და ა. შ.

ეს წარმოება დღეს არაა პროდუქტიული და პრაქტიკულად მხოლოდ ამავე მაგალითებით შემოიფარგლება.

2) ცალკე უნდა აღინიშნოს გასუბსტანტივებულ ზედსართავთა ზმარების შესახებ. ესენია ფერების აღმნიშვნელი ზედსართავები, რომლებიც გვხვდება პოსტპოზიციურ კომპონენტებად ანალიტიკურ ტერმინებში:

თუთიის მწვანა	— зелень цинковая
სპილენძის მწვანა	— зелень медная
პარიზის მწვანა	— зелень парижская
თიმოლის ლურჯი	— тимоловый синий
კრეზოლის წითელი	— красный крезоловый
ქრომის მწვანა (იხ. აგრ. თეთრა)	— зелень хромовая
ინდური ყვითელი	— желтая индийская
სამეფო ყვითელი	— желтая королевская
თუთიის ყვითელი	— желтая цинковая
რეზორცინის ლურჯი	— резорциновый синий
მანგანუმის ყავისფერი	— коричневая марганцовая

და ა. შ.

¹³ რ. ნიკოლაძე, ზოგადი ქიმიის ქართული ტერმინოლოგია და ნომენკლატურა: საქ. სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინ-ტის შრომები, VI, 1950, გვ. 155.

დიდი ხნის განმავლობაში (1870 წლიდან) ჟანგბადის ცნებისათვის იხმარებოდა ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის მიერ შემუშავებული შჯავბადი, რომელიც ე. პეტრიაშვილმა ჟანგბადით შეცვალა და ამ სახით შემორჩა იგი დღევანდელობას. ჟანგბადი იყო დაფიქსირებული 1920 წ. გამოცემულ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ („სიტყვარში“).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, გასუბსტანტივებისას გრამატიკული (ფორმალური) საშუალება ხან გამოყენებულია (მწვან-ა), ხან კი — არა (ლურჯი, ყვითელი...). ამ მოვლენას ჩვენ სხვა დარგის ტერმინოლოგიაშიც ვხვდებით, მაგრამ ქიმიაში მას რეგულარული ხასიათი აქვს, კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფერების აღმნიშვნელ ზედსართავეებთან გვაქვს საქმე.

3) ჩვეულებრივი ფილოლოგიური ლექსიკონებისაგან განსხვავებით, ქიმიის ტერმინოლოგიისათვის ნიშანდობლივია მრავლობითის ფორმების ხმარება მეთაურ სიტყვად. მაგ.: მარილები, მჟავები, ფუძეები, გაზები, ხსნარები, საქარიდები, შენადნობები, ჟანგულები, ზემჟავები, ნაერთები, ამონიტები, პენტოზები...

ცხადია, ამ არასრულ სიაში მრავლობითის ფორმით ხმარებული ერთეულები მხოლოდობითიც იხმარება და ლექსიკონებშიც სწორედ ამ ფორმითაა ისინი შეტანილი, მაგრამ მრავლობითში წარმოდგენილ ამ სიტყვებს ტერმინოლოგიაში სხვა ფუნქცია ეკისრებათ, კერძოდ, კლასის, ჯგუფის, ოჯახის... დასახელებას წარმოადგენენ (ორგანული ან არაორგანული ნაერთებია).

მრავლობითის ფორმები არც სხვა დარგობრივი ტერმინოლოგიებისათვისაა უცხო, კერძოდ, სისტემატურია მათი ხმარება ბოტანიკურსა და ზოოლოგიურ ლექსიკონებში, მაგრამ განსხვავებას ქმნის მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსები. ამ დარგებში რეგულარულად იხმარება ნარიანი მრავლობითი გვარობითი ცნებების აღსანიშნავად (ბაიასებრნი, ვარდისებრნი, გვიმრანაირნი... კალიისებრნი, ობობასნაირნი და ა. შ.)¹⁴.

ამგვარად, მრავლობითის ფორმით შეტანილ სალექსიკონო ერთეულებს წმინდა ტერმინოლოგიური ფუნქცია აკისრიათ.

4) ქიმიის ტერმინთა მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის საკუთარი სახელებისაგან — უფრო ზუსტად, გვარების მონაწილეობით შედგენილი ტერმინები, რომლებიც ეპონიმების სახელითაა ცნობილი. ქიმიის ტერმინოლოგიაში თვალში საცემია ამგვარი ეპონიმური ტერმინების უჩვეულო სიხშირე: ჩუგაევის რეაქცია, კოსის მარილები, ბომეს გრადუსი, ავოგადროს კანონი, ზელინსკის აპარატი, ჰემპელის პიპეტი, ნიუტონის შენადნობი, მენდელეევის სისტემა, შეელეს მწვანა და მრავალი სხვა.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სათანადო საკუთარი სახელებითაა გამოხატული სრულიად სხვადასხვა კატეგორიის აღმნიშვნე-

¹⁴ მაგალითები დამოწმებულია ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიდან“ (1949 წ.) და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან (1975—1987).

ლი ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ პროცესებს, საგნებს, თვისებებსა და სხვა კატეგორიებს.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ეკონომებით ამა თუ იმ ცნების გამოხატვა ტერმინოლოგიის დამუშავების ადრინდელ საფეხურზე მიგვანიშნებს. უდავოა, რომ მათ ნაცვლად ცნების ძირითადი ნიშნების მიხედვით დახასიათებას თუ შეფასებას მეტი მეცნიერული ღირებულება აქვს. გვარებით გამოხატული ტერმინები არამარტივებული სიტყვებია, რომლებიც ბუნდოვანი სემანტიკისა და მწირი ინფორმაციის მატარებლები არიან.

6. პირობითი აღნიშვნები

ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს პირობითი აღნიშვნები და სიმბოლური დასახელებები. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, ფორმულები ივარაუდება. ფორმულები რთულ შედგენილობათა და ქიმიურ პროცესთა ასოითი ან ასოით-რიცხობრივი გამოსახულებებია და გვევლინება ქიმიის დარგობრივი ლექსიკის აშკარად გამოხატულ სპეციფიკად. ფორმულა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ნაერთის შედგენილობაზე. მაგ., წყლის ფორმულა H_2O გვამცნობს, რომ წყლის მოლეკულა შედგება წყალბადის ორი ატომისა და ჟანგბადის ერთი ატომისაგან; გოგირდმჟავას ფორმულიდან (H_2SO_4) ვიგებთ, რომ მასში შედის 2 ატომი წყალბადი + 1 ატომი გოგირდი + 4 ატომი ჟანგბადი. ამას გარდა, ცნობილია თითოეული ამ ელემენტის ატომური წონა და ამის მიხედვით ირკვევა ნაერთში ცალკეული ნივთიერების ფარდობა.

ფორმულები ერთგვარი სიმბოლური კოდებია, რომლებიც აზუსტებენ ცნების ერთმნიშვნელობიანობას, ე. ი. წარმოადგენენ უტყუარ საშუალებას ცნების ყველა ნიუანსის ამოსაცნობად. რაც უფრო რთულია ნაერთი კომპოზიტურად, მით უფრო გრძელია მათი ფორმულებიც. მაგალითად:

ყურადღებას იქცევს ფორმულებით გამოხატული მინერალების სახელები:

ფილიფსიტი — $(K_2, Ca) Al_2 Si_5 O_{14} \cdot 5H_2O$ ($K_2 Ca$) $[Al_2 Si_4 O_{12}] \cdot 4,5 H_2O$

ნატროლითი — $Na_2[Al_2 Si_3 O_{10}] \cdot 2H_2O$, $Na_3O \cdot Al_2O_3 \cdot 3SiO_2 \cdot 2H_2O$

მინერალების ფორმულები განსაკუთრებული სიგრძით ხასიათდება, რაც შეპირობებულია მათი რთული ქიმიური შედგენილობა-აგებულებით.

შეიძლება დაეასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ ქიმიის ტერმინოლოგიას ერთი შეხედვით თითქოს არა აქვს რაიმე განსაკუთრებული, მრავალფეროვანი საკუთარი სიტყვაწარმოებითი საშუალებები, ამჟამად, რომ ტერმინების ასაგებად და საწარმოებლად გამოყენებულია ზოგი ისეთი ხერხი, რომელიც არეგულირებს ცნებათა ლოგიკურ-იერარქიულ დამოკიდებულებას, აწესრიგებს ტერმინთა ხმარების ინდივიდუალურობას, ანიჭებს მათ ამა თუ იმ სემანტიკას და მიჯნავს ამ დარგის სპეციფიკას სხვა დარგების ტერმინოლოგიურ თავისებურებათაგან.

7. ქიმიის ტერმინოლოგიის ლექსიკოგრაფიული საკითხები

ანალიტიკური ტერმინები გარკვეულ სირთულეს ქმნიან ლექსიკონში მათი ფიქსაციის თვალსაზრისით. უკანასკნელი ხანების დარგობრივ ლექსიკონებში წარმმართველია ანალიტიკუმების დალაგება ე. წ. ბუდობრივი პრინციპით, ე. ი. სიტყვა-სტატიად ძირითადი ტერმინის — უპირატესად გვარობითი ცნების გამომხატველი არსებითი სახელის (ან მასდარის) გატანა, მსაზღვრელი ან სხვა თანმხლები სიტყვები მათთან იყრიან თავს, რომლებიც სასეობით ცნებებს აღნიშნავენ.

ამ პრინციპით ტერმინთა გაწყობა, ცხადია, არ გამორიცხავს დარგობრივ ტერმინოლოგიაში ფართოდ გავრცელებული მსაზღვრელების (ზედსართავეებისა და მიმლეობების) ცალკე ერთეულებად გატანას. ქიმიის ტერმინოლოგიაში ასეთებია:

მეორეული	— вторичный
პირველადი	— первичный
აალებადი	— воспламеняемый
უდნობი	— неплавкий
პოლარული	— полярный
პოლარიზებული (ვნ. გვ. მიმლ.)	— поляризованный
მაპოლარიზებელი (მოკმ. გვ. მიმლ.)	— поляризующий

და სხვ.

ბუდობრივი პრინციპით გამართლებულია ფერების აღმნიშვნელი ზედსართავეების გატანა სიტყვა-სტატიად, მით უფრო, თუ ისინი

გასუბსტანტივებულია. სათანადო მასალა ქიმიის ტერმინოლოგიის ქართულ-რუსულ ნაწილში ასეთ სახეს მიიღებს:

მწვანე, მწვანა	— зеленый, зелень
ლურჯი	— синий
წითელი	— красный
ყვითელი	— желтая...

აქ მოიყრის თავს ყველა ანალიტიკური ტერმინი, რომლის პოსტპოზიციურ ნაწილსაც წარმოადგენს მართული მსაზღვრელები (ქრომის, სპილენძის, მეთილის, მალაქიტის და ა. შ.).

როგორც ვხედავთ, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეტყველების ნაწილია გატანილი სიტყვა-სტატიად, ამოსავალი პრინციპი ბუდობრივი სისტემისა გულისხმობს, რომ უნდა მოიძებნოს სემანტიკური ცენტრი, ანუ ის ძირითადი ტერმინი, რომლის ირგვლივაც თავს მოიყრის ყველა დანარჩენი ლექსემა. ასეთ ცენტრად, როგორც წესი (ე. ი. ყველაზე ხშირად), არსებითი სახელი გვევლინება. ამ შემთხვევაში საყრდენი არსებითი სახელის მსაზღვრელი სიტყვები ინვერსიული წყობითაა წარმოდგენილი ლექსიკონში. ამ მხრივ ის წესი, რომელიც გატარებულია ქართულ სპეციალურ ლექსიკონებში, უფრო ზუსტად, დარგობრივი ტერმინოლოგიების ქართულ-რუსულ ნაწილში, ძალზე მწყობრი, თანმიმდევრული და მარტივი ჩანს: მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი ყველა შესიტყვება ინვერსიული წყობითაა მოცემული საზღვრულის მიერ წარმოქმნილ ბუდეში. იმისდა მიუხედავად, საზღვრულად არსებითი სახელია წარმოდგენილი, თუ — მასდარი¹⁵.

თუ ანალიტიკების საკითხი მეტ-ნაკლებად უმტიკივნეულოდაა მოგვარებული ლექსიკონში მათი ფიქსაციის თვალსაზრისით, იმავეს ვერ ვიტყვით კომპოზიტების შესახებ, რომელთაც რუსულ (და სხვა) ენაში ანალიტიკური ტერმინები შეესატყვისება. განსაკუთრებით ეს ეხება მჟავებს, რომლებიც ქართულში, შვიდიოდ გამოწკლანისის გარდა (იხ. ზემოთ), კომპოზიტებითაა გამოხატული. არსებობს სამი გზა კომპოზიტის გაფორმებისა ლექსიკონში: 1. ყველა მჟავას სახელწოდება ცალ-ცალკე გაფორმდეს და მათ თავ-თავისი ადგილი მიეჩინოს საერთო ანბანურ რიგში; 2. გამოიყოს კომპო-

¹⁵ ქართულ სპეციალურ ლექსიკონებში ბუდობრივი პრინციპით მასალის დალაგება შესახებ იხ.: რ. ლამბაშიძე, ანალიტიკურ ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი: ქსკ, წ. X, 1993, გვ. 217—226; ნ. ბურკულაძე, ტერმინოლოგიურ გამოთქმათა ძირითადი სტრუქტურული მოდელები და ლექსიკონში მათი ასახვის თავისებურებები: ქსკ, წ. X, 1993, გვ. 227—233.

ზიტის ბოლო კომპონენტი და ბუდის სახით გაფორმდეს, და 3. ყოველი მათგანი ცალკეც გაფორმდეს და ერთ ბუდეში თავმოყრის გზითაც.

ცხადია, წმინდა ფილოლოგიური ლექსიკონისათვის კომპოზიტის დაშლა და ერთ-ერთი კომპონენტის გამოყოფა საყრდენ სიტყვად გაუმართლებელი იქნებოდა, მაგრამ დარგობრივ ტერმინოლოგიებში გვარეობით-სახეობითი იერარქიული სისტემის გამოსავლენად (და, რა თქმა უნდა, ეკონომიურობის ინტერესებიდან გამომდინარე), მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული სამი გზიდან მეორეზე უნდა შევიჩერდეთ და კომპოზიტიდან გამოვყოთ ბოლოკიდური კომპონენტი — ჩვენს შემთხვევაში — „მჟავა“ და ცალკე ბუდედ გაუფორმოთ. ეს მით უფრო იქნება გამართლებული, რომ ზოგი ამგვარი კომპოზიტი პარალელურ ვარიანტსაც იძლევა ანალიტიზმის სახით (მაგ., ფოსფორის მჟავა || ფოსფორმჟავა და სხვ.), მეორეც: ზოგიერთი ასეთი ნაერთი ანალიტიზმებსაც წარმოადგენს (მაგ., ტყვიოვანი მჟავა, აქროლადი მჟავა და სხვ.). რაც მთავარია, ფაქტია, რომ თავისი ცნებითი შინაარსით სათანადო კომპოზიტებიცა და ანალიტიზმებიც თითქმის იდენტურია და მხოლოდ ღიზგვიტური ნიშნის მიხედვით ამ ნაერთების გამიჯვნა ძალზე ხელოვნური იქნებოდა.

ჩრება უკანასკნელი ოპერაცია წმინდა ტექნიკური ხასიათისა: კონკრეტულად როგორ გაფორმდეს კომპოზიტის საზღვრული წევრი?

ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ ასეთ დაწერილობას: ცალკე სიტყვა-სტატიად გატანისა და მისთვის რუსული (ან სხვა ენის) ადეკვატის მიწერის შემდეგ იგივე სიტყვა დაიწეროს წინ დეფისით (შეიძლება „პლუს“ ნიშნითაც), ხოლო სხვადასხვა ნაერთის ჩამოწერისას I კომპონენტს (მარტივს ან რთულს) მიეწეროს — უინტერვალოდ — გამეორების წილდა ნიშანი (´). ჩვენთვის საინტერესო „მჟავა“ კომპონენტის შემცველი კომპოზიტები ლექსიკონში ასეთ სახეს მიიღებენ:

-მჟავა: აზოტ´, იოდ´, ფოსფორ´, გოგირდ´ და ა. შ. (იგულისხმება, რომ დამოუკიდებელი ერთეული მჟავა ცალკეც გაიტანება, როგორც კლასი).

თუკი გვაქვს კომპოზიტიური და ანალიტიკური ვარიანტები, რომლებშიც პირველი კომპონენტი, როგორც წესი, ნათესაობითშია დასმული, მაშინ უფრო ვრცელი ერთეულის განმასხვავებელი ნაწილი მრგვალ ფრჩხილებში (ან ნახევრად კვადრატულ ფრჩხილებში) მოთავსდება. მაგ.: ლიმონ(ის)~, ფოსფორ(ის)~ და ა. შ.

ამ გზით სათანადო კლასიც ადვილად მოიძებნება და ლექსიკონებისათვის დამახასიათებელი ეკონომიურობის პრინციპიც დაცული იქნება.

მიხილ ზაბაშვილი

რუსული პირთა სახელების ქართულად გადმორცემისათვის*

ადამიანის ბევრი საკუთარი სახელი რუსულში, ისევე როგორც ქართულში, მოდის ძველი ებრაულიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან და, ამდენად, საერთოა ამ ორი ენისათვის. რუსულში სახელთა ერთი ნაწილი სლავური წარმოშობისაა ან საკუთრივ რუსულია. რუსული ონომასტიკონის კუთვნილებად არის ქცეული აგრეთვე (საკმაო რაოდენობით) თანამედროვე ევროპული (გერმანული, ფრანგული, ინგლისური...) ენებიდან მომდინარე სახელები.

თუ რუსული სახელების დიდი ნაწილის გადმოღება ქართულად სიძნელეს არ წარმოადგენს, ცალკეული სახელების ან სახელთა ჯგუფების გადმოცემისას ზოგი სირთულე იჩენს თავს. ყოველთვის არ არის შეთანხმებულობა რუსული ტექსტის მთარგმნელებს შორის; მხატვრულ ნაწარმოებთა მთარგმანებში, პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში. რადიო- და ტელეგადაცემებში ერთი და იგივე სახელები ხშირად სხვადასხვაგვარად არის გაფორმებული: ალექსეი და ალექსი, სერგეი და სერგი, ივანე და ივან-ი, მაქსიმე და მაქსიმ-ი, ფიოდორ-ი¹ და თედორე, ოლგა და ოლღა, ელისაბედ-ი და ელიზავეტა, ირინე და ირინა და ა. შ.

ასეთი სხვადასხვაობა სალიტერატურო ენაში სასურველი არ არის.

ეს საკითხი ჩვენს წინაშე დაისვა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მუშაობის დროს. საგანგებოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფს — კონა გიგინეიშვილს, ივანე გიგინეიშვილს, ამსტრიქონების ავტორსა და — პირველი ორის გარდა-

* მაღლობას მოვახსენებ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნეურების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანაშრომელს გურამ ბედოშვილს საყურადღებო შენიშვნებისათვის.

¹ ზოგჯერ „ფეოდორსაც“ ან „ფედორსაც“ შეხედებით, რაც ელემენტარული შეცდომაა.

ცვალების შემდეგ — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე კ ო ბ ა ხ ი ძ ე ს — დაე-
ვალა (სხვა ენებიდან მომდინარე საკუთარ სახელებთან ერთად)
ქსე-ში შესული რუს პირთა სახელებისა და მამის სახელების ქარ-
თულად გადმოცემის საკითხების მოგვარება.

ამ ჯგუფმა განიხილა სათანადო მასალა და წარმოადგინა რე-
კომენდაციები ადამიანის ყველა იმ რუსული საკუთარი სახელის
ქართულად გადმოცემის შესახებ, რომლებიც კი მოხვდა ქსე-ში.

მუშაობამ გვჩვენა, რომ ყველა სახელის გადმოლებას ერთი
საზომით ვერ მივუდგებოდით და რომ რუსული ან რუსულის გზით
შემოსული სახელები ქართულად გადმოცემის თვალსაზრისით უნდა
დაიყოს სამ ჯგუფად:

1. სახელები, რომლებიც არავითარ ან თითქმის არავითარ
ცვლილებას არ განიცდიან ქართულად გადმოცემისას. ასეთებია:

Абрам — აბრამ-ი, Адам — ადამ-ი, Борис — ბორის-ი,
Валентин — ვალენტინ-ი, Вячеслав — ვიაჩესლავ-ი, Дмитрий ან
Дмитрий — დიმიტრი, Евгений — ევგენი, Илья — ილია,
Кузьма — კუზმა, Леонтий — ლეონტი, Роберт — რობერტ-ი,
Федот — ფედოტ-ი, Юрий — იური²... Авдотья — ავდოტია,
Евгения — ევგენია, Ксения — ქსენია, Татьяна — ტატიანა,
Юлия — იულია და მრავალი სხვა.

2. სახელები, რომლებიც ერთგვარად განსხვავდებიან მათი
შესაბამისი ქართული სახელებისაგან და ქართულად უნდა გადმო-
ვიღოთ რუსული ფორმით:

Архип — არხიპ-ი (და არა: არქიფო), Гай — გაი (და არა:
გაიოზ-ი), Емельян — ემელიან-ი (და არა: ემელიანე), Кирилл —
კირილ-ი (და არა: კირილე), Максим — მაქსიმ-ი (და არა: მაქსი-
მე), Савва — სავა (და არა: საბა), Семён — სემიონ-ი (და არა:
სიმონ-ი), Сергей — სერგეი (და არა: სერგი³ ან სერგო), Силь-
вестр — სილვესტრ-ი (და არა: სილიბისტრო), Фадей — ფადეი
(და არა: თადეოზ-ი), Христофор — ხრისტოფორო-ი (და არა: ქრის-
ტეფორე)... Варвара — ვარვარა (და არა: ბარბარე ან ბარბალე),

² დაბოლოება ი, როდესაც სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ლეფსითაა გამო-
ყოფილი, ხოლო თუ იგი ფუნქციონირებს, დატოვებულია გამოუყოფლად (ამის შესახებ
იხ. ქვემოთ).

³ ლათ. Sergius-იდან რუსულში გვაქვს Сергей, ხოლო ქართულში დამკვიდრე-
ბულია სერგი (და აგრეთვე სერგო). ორივე ქართული ფორმაა რუსულში არის
კიდევ ერთი (ძველი) ფორმა ამ სახელისა — Сергий (ამჟამად სასულიერო პირებზე
თუ ჰქვიათ). ეს ფორმა ქართულში გვაქვს აგრეთვე „სერგი“-ს; -მის დაბოლოვ-
ებამ მოგვცა ი და ამით იგი დაემთხვა ქართულ „სერგი“ ფორმას.

ЛЮБИТЬ — ლიუბოვ-ი (და არა: ლუბა), МАРГАРИТА — მარგარიტა (და არა: მარგალიტა), МАРИНА — მარინა (და არა: მარინე), НИНА — ნინა (და არა: ნინო), ОЛГА — ოლგა (და არა: ოლლა)...

ეს წესი გატარებულია ქსე-ში, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: თუ ЕФИМИЙ და ЕФИМ გადმოღებულია რუსული ფორმით (ეფიმი, ეფიმი-ი), ასევე სახელები — ივნატ-ი, იპოლიტ-ი, კირილ-ი, ლეონიდ-ი, მარგარიტა, მაქსიმ-ი და ზოგი სხვა, ქართულ ყაიდაზეა გადმოტანილი ამავე რიგის სხვა სახელები: ალექსი, ანდრია, ათანასე, ბართლომე, გაბრიელ-ი, გერასიმე, დანიელ-ი, ესტატე, თედორე...

ახლა, გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ, ჩანს, რომ, თუ გვექნება იპოლიტ-ი, კირილ-ი, ლეონიდ-ი, მაქსიმ-ი... (რაც ეჭვს არ იწვევს). ასევე უნდა იყოს: გერასიმ-ი, ისიდორ-ი, ონისიმ-ი... თუ გვექნება სერგეი, უნდა გვექონდეს: ალექსეი და ანდრეი...

ეს სახელები (ალექსი, ანდრია, ათანასე, სერგი...), ჩვენი აზრით, მხოლოდ ქართული ონომასტიკონის კუთვნილებაა და რუს პირთათვის, რუსულ მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟებისათვის შეუფერებელია.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქართულში უკვე დამკვიდრებულია გამოჩენილ რუს პირთა (და რუსულ მხატვრულ ნაწარმოებთა პერსონაჟების) სახელები რუსული ფორმით: ანდრეი ბელი (მწერალი) და ანდრეი ბოლკონსკი (ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ პერსონაჟი), ემელიან პუგაჩოვი, ირინა არხიპოვა (მომღერალი), კირილ ლავროვი (მსახიობი) ან კირილ კონდრაშინი (დირიჟორი), ლიუბოვ ორლოვა (მსახიობი), მაქსიმ გორკი ან მაქსიმ მაქსიმოვი (მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ პერსონაჟი), მარინა ცვეტაევა (პოეტი), ოლგა ბერგოლცი (მწერალი) ან ოლგა ლეპეშინსკაია (ბალერინა), სავა მოროზოვი (მრეწველი და მეცენატი), სერგეი რახმანინოვი (კომპოზიტორი და პიანისტი), სერგეი ესენინი (პოეტი) ან სერგეი ბონდარჩუი (მსახიობი და რეჟისორი)...⁴.

3. სახელები, რომლებსაც მტკიცე, საუკუნოვანი ტრადიციის მიხედვით შეესაბამება ქართულად გაფორმებული სახელები:

Александр — ალექსანდრე (და არა: ალექსანდრ-ი), Виссарион — ბესარიონ-ი (და არა: ვისარიონ-ი), Владимир — ვლადი-

⁴ დოსტოევსკისა და შალაპინის სახელი Фёдор ქართულად გვხვდება როგორც ფიოდორ-ის, ისე თეოდორე-ს სახით, უპირატესობა, ჩვენი აზრით, უნდა მიეცეს პირველს.

მერ-ი (და არა: ვლადიმირ-ი)⁵, Георгий — გიორგი (და არა: გეორგი), Давид — დავით-ი (და არა: დავიდ-ი), ასევე: Иван — ივანე, Иосиф — იოსებ-ი, Михаил — მიხეილ-ი, Николай — ნიკოლოზ-ი, Павел — პავლე, Пётр — პეტრე, Екатерина — ეკატერინე, Елизавета — ელისაბედ-ი და ზოგი სხვა⁶.

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

როგორც ზემოთაც ითქვა, ამ ჯგუფში მოქცეული სახელების გადმოცემას ხანგრძლივი, მყარი ტრადიცია აქვს. მათი უმეტესობა რუსეთის იმპერატორებისა და მათი ოჯახის წევრთა სახელები იყო. ხშირად იხმარებოდა და ჩვენს მტყუყვლებაში დამკვიდრდა ქართული ფორმით. ამავე სახელებით არიან ცნობილი, რა თქმა უნდა, არა მარტო რომანოვების დინასტიის წარმომადგენლები. ქართული ენობრივი ტრადიციისათვის უცხოა: ალექსანდრ I ან ალექსანდრ II, III, ნიკოლაი I, ნიკოლაი II, პიოტრ დიდი ან პიოტრ ჩაიკოვსკი, იმპერატორი პაველ-ი ანდა ანტონ პაველის ძე ჩეხოვი, მიხაილ ლომონოსოვი ან მიხაილ ლერმონტოვი, ვისარიონ ბელინსკი, ივან მრისხანე, გეორგი პლესანოვი, ვლადიმირ ლენინი ან ვლადიმირ მაიაკოვსკი, ეკატერინა II...

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ზოგ გამოცემაში (ზოგჯერ რადიოში, ტელევიზიაში) რატომღაც მიაქციეს ყურადღება რამდენიმე (მხოლოდ რამდენიმე!) რუსულ სახელს, რომლებიც ტრადიციულად ქართული ფორმით გადმოდის, და ცდილობენ ხელოცნებად დაამკვიდრონ ქართულში რუსული ფორმით. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ისეთ სახელებს, როგორცაა: Николай, Михаил, Александр, Константин, Иван (შესაბამისად გადმოაქვთ: ნიკოლაი, მიხაილ-ი, ალექსანდრ-ი, კონსტანტინ-ი, ივან-ი) და არ ვხვდებიან ისეთ სახელებს, როგორცაა: Пётр, Павел, Владимир, Георгий, Давид, Иосиф, Яков და მრავალი სხვა. Николай-ს, Михаил-ისა და ზემოთ მოყვანილი ზოგი სხვა სახელის რუსული ფორმით გადმოღების მომხრეთა ლოგიკით უნდა იყოს: პიოტრ-ი, პაველ-ი, ვლადიმირ-ი, გეორგი, დავიდ-ი, იოსიფ-ი, იაკოვ-ი... ჩვენ გვეონია, რომ არაფრით არ არის გამართლებული ასეთი „ქითურგიული ჩარევა“ დიდი სწის წინათ დამკვიდრებულ წესში.

⁵ განსხვავებით რუსეთის ქალაქის სახელ Владимир-ისაგან, რომელიც ვლადიმირ-ად გადმოდის.

⁶ იხ. სახელთა აქვე დართული სია.

მათ საბუთად მოჰყავთ ასევე რამდენიმე პირუკუ შემთხვევა: ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი ხომ *Николюз*-ად არის რუსულში გადასულიო, ანდა *Константинэ Гамсахурдиа*, *Григол Орбелиანი* (*Григол Абашидзе* და, ამ ბოლო დროს, *Григол Робакидзе*). ჩვენ დავუმატებდით კიდევ *Эпнатэ*-ს (ეგნატე ნინოშვილისათვის). შეიძლება კიდევ თითო-ორი სახელის მოგონება (მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის ამ ბოლო დროს გამოცემულ კრებულზე ბლოგში მიუბეჭდათ *Михел Джавахишвили*, ანდა ივანე ჯავახიშვილის სახელს ზოგჯერ წერენ *Ипанэ*-ს სახით).

მაშასადამე, ასე გადააქეთ (ხელოვნურად) მხოლოდ ვარკვეულ პირთა (უპირატესად მწერლების) სახელები. ყველა სხვა პირის იგივე სახელები რუსული ფორმით გადმოიცემა. განა შეიძლება ერთი და იგივე სახელი სხვადასხვაგვარად ეღერდეს. ერთი მხრივ, ცბუქეულ გამოჩენილ პირთათვის და, მეორე მხრივ, სხვა არანაკლებ გამოჩენილ პირთა და „ჩვეულებრივ მოკვდავთათვის“? მრავალზე მრავალი ქართველი მოღვაწის სახელები სრულიადაც არ არის ქართული ფორმით გადასული. ზოგიერთ რამდენიმე მაგალითს: *Яков Гогобашвили*, *Георгий Леонидзе* ან *Георгий Чубинашвили*, *Георгий Ахвледиანი*, *Георгий Церетели*, *Константин (Котэ) Марджанишвили*, *Александр (Саидро) Ахметели* ან *Александр Джавахишвили*, *Давид Каднашвили*, *Николай Мухелишвили* ან *Николай Бердзенишвили*, *Михаил Чнаурели* ან *Михаил Тумანიшвили*...

ამდენად, არ არის მიზანშეწონილი რუსული სახელები ქართულად გადმოიცეს რუსული ფორმით, როდესაც გვაქვს მათი საყოველთაოდ გავრცელებული შესატყვისები და უნდა დარჩეს: *Николай* — ნიკოლოზ-ი, *Михаил* — მიხეილ-ი, *Александр* — ალექსანდრე... (და გვექნება, როგორც გვექონდა: ნიკოლოზ გისინოვი, მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე პუშკინი, ალექსანდრე ბლოკი და ა. შ.) და, პირიქით, თავს არ უნდა მოვასვიოთ რუსულენოვან მკითხველს უჩვეულო, ნაძალადევი ფორმები და ყველა შემთხვევაში უნდა ვწეროთ ნიკოლოზ-ი — *Николай*, მიხეილ-ი — *Михаил*, კონსტანტინე — *Константин*...⁷

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსულში ხშირად ვერ ავტოდებით სახელთან ერთად მამის სახელის მოხსენიებას და, თუ, მაგალითად, ქართული „კონსტანტინესათვის“ დავაკანონებთ

⁷ სახელები: *Николаз Бараташвили*, *Григол Орбелиანი* და რამდენიმე სხვა ისეა გავრცელებული, რომ გამოჩეკისებულა დარჩება.

Константино́с, აქედან მამის სახელი უნდა იყოს Константи́нович, Петр-დან — Петре́вич, Иван-დან — Иване́вич, Эпата-დან — Эпата́евич, რაც არაბუნებრივია, ნაძალადევია და უხერხული.

* * *

ქვემოთ მოგვყავს ადამიანთა რუსული და მათი შესაბამისი ქართული სახელები. ქსე-დან ამოკრებილი სახელები შევსებულია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან БСЭ, III გამოც., 1969—1978) და იმ სიიდან, რომელიც დართული აქვს რუსული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს (Орфографический словарь русского языка, М., 1988, გვ. 391—398).

წინასწარ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

თანხმოვანფუძიან სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი გამოყოფილია დეფისით (Адам — ადამ-ი, Аверьян — ავერიან-ი), მაგრამ, თუკი რუსულში სახელს იწ დაბოლოება აქვს, ქართულში მას შეესაბამება ი-ფუძიანი სახელი: Аверкий — ავერკი, Пафнутий — პაფნუტი (ასეთ სახელებში ი, რა თქმა უნდა, გამოყოფილი არ არის).

არის თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც რუსული ხმოვანფუძიანი სახელის შესატყვისად დამკვიდრებულია თანხმოვანფუძიანი ფორმა და პირიქით: Василий — ვასილ-ი (მოთხრ. ვასილმა), Тарас — ტარასი (ტარასიმ), Эраст — ერასტი (ერასტიმ)...

ერთი წყება სახელებისა რუსულში დამკვიდრებულია ორ-ორი (თანხმოვან- და ხმოვანფუძიანი) ფორმით: Влас და Власий, Варлам და Варлабий, Ефрем და Ефребий და მისთ. ქართულში მათ თანხმოვანფუძიანი შესაბამისი სახელები შეესატყვისებიან: ვლას-ი, ვარლამ-ი, ეფრემ-ი⁸, მაგრამ რუს პირთა და მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟთა სახელებად ხმოვანფუძიანები უნდა გადმოვცეთ ხმოვანფუძიანებად. გვექნება: ვლას-ი და ვლასი, ვარლამ-ი და ვარლამი, ეფრემ-ი და ეფრემი. ამდენად, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში გვექნება: Влас — ვლას-ი, ვლასმა, ვლასს; Ефрем — ეფრემ-ი, ეფრემმა, ეფრემს; Варлам — ვარლამ-ი, ვარლამმა, ვარლამს; Климент — კლიმენტ-ი, კლიმენტმა, კლიმენტს, მაგრამ: Власий — ვლასი, ვლასიმ, ვლასის; Ефре-

⁸ გვაქვს თითო-ოროლა საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც ასეთ წყვილთაგან ქართულში გაერცელებულია მხოლოდ ხმოვანფუძიანი სახელი: Климент და Климентий — კლიმენტი (მოთხრ. კლიმენტიმ), Харлаам და Харлаамий (ხარლამ-პიმ)...

შიი — ეფრემი, ეფრემიმ, ეფრემის; Варлаамий — ვარლამი, ვარლამიმ, ვარლამის; Климентий — კლიმენტი, კლიმენტიმ, კლიმენტის...

აქ მოყვანილი და მსგავსი ქართული სახელებისათვის ცოტა უჩვეულო ჩანს ი-ს მოუკვეცილობა (ანდა, პირიქით, კლიმენტ-, ხარლამ- ფუძეების შეკვეცა), მაგრამ, თუ გვსურს ადეკვატურად გადმოვცეთ სახელის რუსული ფორმა (რომელიც არსებითად ფორმა კი არ არის, წყვილის თითოეული წევრი დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილია რუსული ონომასტიკონისა), ამ „შეუსაბამობას“ უნდა შევეურიგდეთ.

მანის სახელები

რუსული სახელები	სახელთა სარეკონსტრუქციო ქართული ფორმები	ქართული შესატყვისები
1	2	3
Абакүм	აბაკუმი	აბაკო
Абрам	აბრამი	აბრამი
Абраһим	აბრაჰიმი	აბრაჰი
Аввакүм	ავაკუმი	ავაკო
Август	ავუსტი	
Авдэй	ადეი	ადეია
Авдий	ადეი	ადეია
Авель	აველი	აველი
Авёркний	ავერკი	ამბერკი
Аверьян	ავერიანი	
Авксентий	აექსენტი	აექსენტი და აქსენტი
Авраам	აერამი	აბრამი
Авраамий	აერამი	აბრამი
Агафáнгел	აგათანგელი	აგათანგელოსი და ალთანგელოსი (ძვ.)
Агафóн	აგათონი	აგათონი
Ада́м	ადამი	ადამი
до́льф	ადოლფი	
Адриáп	ადრიანი	
Ака́кий	აკაკი	აკაკი
Аки́м	აკიმი	
Аки́пф	აკიფი	აკინთე
Аки́пфий	აკიფი	აკინთე
Аксель	აქსელი	
Аксентий	აქსენტი	აექსენტი და აქსენტი
Алекса́ндр	ალექსანდრე	ალექსანდრე

1	2	3
Алексей	ალექსეა	ალექსა
Алкун	ალკუნი-ი	
Альберт	ალბერტი-ი	ალბერტი-ი
Альфред	ალფრედ-ი	
Амвросий	ამბროსი	ამბროსი
Амврий	ამანი	ამანი
Анастасий	ანასტასი	
Антоний	ანატოლი	ანატოლი
Андрей	ანდრეი	ანდრეა
Андрей	ანდრიან-ი	
Андрей	ანდრონი-ი	
Андрей	ანდრონი	
Андрей	ანდრონიკ-ი	ანდრონიკე (ძე.)
Андрей	ანდრე-ი	
Андрей	ანდრეოლისტი-ი	ანდრეოლისტი
Андрей	ანიკეი	
Андрей	ანიკი	
Андрей	ანიკიტა	
Андрей	ანისიმი-ონისიმი-ი	ონისიმი
Андрей	ანტიოხ-ი	
Андрей	ანტიპ-ი	ანტიპო, ანტიფო
Андрей	ანტიპა	ანტიპო, ანტიფო
Андрей	ანტიპი	ანტიპო, ანტიფო
Андрей	ანტონ-ი	ანტონ-ი
Андрей	ანტონინ-ი	
Андрей	ანუფრი, ოსუფრი	ონოფრე
Андрей	ანოლინარი	
Андрей	ანოლონი-ი	ანოლონი-ი
Андрей	არდალიონ-ი	არდალიონ-ი
Андрей	არეფ-ი	
Андрей	არეფი	
Андрей	არი	
Андрей	არისტარხ-ი	არისტარხ-ი და არისტარხო
Андрей	არისტარხი-ი	არისტარხი-ი
Андрей	არკადი	არკადი
Андрей	არნოლდი-ი	არნოლდი-ი
Андрей	არონ-ი	არონ-ი
Андрей	არსენი	არსენი
Андрей	არსენტი	არსენტი

1	2	3
Артамón	არტამონ-ი	
Артём	არტეომ-ი	არტეზ-ი
Артёмий	არტემი	არტემი
Артър	არტურ-ი	
Архип	არხიპ-ი	არქეპო და არქიფო
Аскольд	ასკოლდ-ი	
Афанасий	აფანასი	აფანასე
Афиногён	აფინოგენ-ი	აფინოგენ-ი
Африкан	აფრიკან-ი	
Бажён	ბაჟენ-ი	
Бенедикт	ბენედიქტ-ი	ბენედიქტე
Бернард, Бернгард	ბერნარდ-ი, ბერნგარდ-ი (და არა: ბერნჰარდ-ი)	
Богдан	ბოგდან-ი	
Болеслав	ბოლესლავ-ი	
Бонифат	ბონიფატ-ი	
Бонифатий	ბონიფატი	
Борис	ბორის-ი	ბორის-ი
Борислав	ბორისლავ-ი	
Бронислав	ბრონისლავ-ი	
Вавіла	ვავილა	ვაბილა
Вадим	ვადიმ-ი	
Валентин	ვალენტინ-ი	ვალენტინ-ი
Валериан	ვალერიან-ი	ვალერიან-ი და ვალერიანე
Валерий	ვალერი	ვალერი
Варлам	ვარლამ-ი	ვარლამ-ი
Варлаамий	ვარლამი	ვარლამ-ი
Варнава	ვარნავა	ბარნაბა და ბარნაბ-ი
Варфоломей	ვარფოლომეი	ბართლომე
Василий	ვასილი	ვასილი
Вацлав	ვაცლავ-ი	
Велизар	ველიზარ-ი	
Велимир	ველიმირ-ი	
Венедикт	ვენედიქტ-ი	ვენედიქტე
Вениамин	ვენეამინ-ი	ვენეამინ-ი
Вещеслав	ვენცესლავ-ი	
Викентий	ვიკენტი	ბიკენტი
Виктор	ვიქტორ-ი	ვიქტორ-ი
Викторий	ვიქტორი	ვიქტორ-ი

1	2	3
Викторин	ვიქტორინ-ი	
Викул	ვიკულ-ი	
Викұла	ვიკულა	
Вилён	ვილენ-ი	
Вилённ	ვილენინ-	
Вилим	ვილიმ-ი	
Вильгёльм	ვილგელმ-ი (და არა: ვილჰელმ-ი)	
Вильямн	ვილიამინ-ი	
Висарнон	ვისარიონ-ი	ბესარიონ-ი
Вит	ვიტ-ი	
Витáлий	ვიტალი	ვიტალი
Витовт	ვიტოტ-ი	
Витóльд	ვიტოლდ-ი	
Владилён	ვლადილენ-ი	
Владимир	ვლადიმერ-ი	ელადიმერ-ი
Владислáв	ვლადისლავ-ი	
Владлён	ვლადლენ-ი	
Влáс	ვლას-ი	ელას-ი
Влáсий	ვლასი	ვლას-ი
Вонифáт	ვონიფატ-ი	
Вонифáтнн	ვონიფატი	
Всёволод	ვსევოლოდ-ი	
Всеслáв	ვსესლავ-ი	
Вукóл	ვუკოლ-ი	ვეკოლ-ი
Внцеслáв	ვინცესლავ-ი	
Внчеслáв	ვინჩესლავ-ი	
Гаври́йл	გავრილ-ი	გაბრიელ-ი
Гаври́л, Гаври́ла	გავრილ-ი, გავრილა	გაბრიელ-ი
Гай	გაი	გაიოზ-ი
Галактио́н	გალაქტიონ-ი	გალაქტიონ-ი
Ганс	განს-ი (და არა: ჰანს-ი)	
Гедео́н	გედეონ-ი	გედეონ-ი და გედევან-ი
Гёлий	გელი	
Генна́дий	გენადი	გენადი
Гёнрих	გენრიხ-ი (და არა: ჰენრიხ-ი)	
Гео́ргий	გეორგი	გიორგი
Герáсим	გერასიმ-ი	გერასიმე

1	2	3
Гервісый Герман Гермаген Геротий Гизаинт Глеб Голций	გერვასი გერმანი გერმოგენ-ი გეროტი გეაკინტი-ი გლეგი გორაცი (და არა: პორაცი, პორაციუს-ი)	გერვასი გერმანე გერმოგენ-ი გეროტი
Горючий Гордей Гордый Гостомысл Гремислав Григорий Гурій Гурьян	გორგონი ვორდეი გორდი გისტომისლ-ი გრემისლავ-ი გრიგოლ-ი გური ⁹ გურიანი	გრიგოლ-ი
Давыд, Давыд Далмат Даниил Данил, Данила Демитрий Демид Демьян Денис Денисий	დავით-ი ღალმატი-ი ღანილ-ი ღანილ-ი, ღანილა დემენტი დემიდ-ი დემიანი-ი დენის-ი დენისი	დავით-ი ღანელ-ი ღანელ-ი დომენტი დომიდე დამიანე
Димитрий, Дмитрий Диомид Дионисий Дмитрий, Дмятрий Добромысл Добрыня Доминик Донат Доримедонт Дормедонт	დიმიტრი დიომიდი-ი დიონისი დიმიტრი დობრომისლ-ი დობრინია დომინიკ-ი დონატი-ი დორიმედონტი-ი დორმედონტი-ი	დიმიტრი და დემეტრე დიომიდე დიმიტრი და დემეტრე დორიმედონტი-ი დორმედონტი-ი

⁹ ქართულ ონომასტიკონში ეს სახელი არ გვხვდება. ქართ. გური სხვაა; იგი ან გურამის შემოკლებული სახეობაა, ან მეგრულ-ქანური წარმოშობისაა (ს. გულსა ნიშნავს).

1	2	3
<p>Дормидонт Дорофей Досифей</p>	<p>ღორმიდონტ-ი ღოროდეი ღოსიდეი</p>	<p>ღორმიდონტ-ი ღოროდე ღოსიდეონ-ი</p>
<p>Евгений</p>	<p>ევგენი</p>	<p>ევგენი</p>
<p>Евграф</p>	<p>ევგრაფ-ი</p>	<p>ევგრაფ-ი</p>
<p>Евграфий</p>	<p>ევგრაფი</p>	<p>ევგრაფ-ი</p>
<p>Евдоким</p>	<p>ევდოკიმ-ი</p>	<p>ევდოკიმე</p>
<p>Евдѣмий</p>	<p>ევლაშხი</p>	<p>ევლაშხი</p>
<p>Евлогий</p>	<p>ევლოგი</p>	
<p>Евмен</p>	<p>ევმენ-ი</p>	
<p>Евмений</p>	<p>ევმენი</p>	
<p>Евсей</p>	<p>ევსეი</p>	<p>ევსევი</p>
<p>Евстафий</p>	<p>ევსტაფი</p>	<p>ესტატე</p>
<p>Евстахий</p>	<p>ევსტახი</p>	<p>ესტატე</p>
<p>Евстигний</p>	<p>ევსტიგნეი</p>	
<p>Евстрѣт</p>	<p>ევსტრატ-ი</p>	
<p>Евстрѣтій</p>	<p>ევსტრატი</p>	
<p>Евѣхий</p>	<p>ევტიხი</p>	<p>ევტიხი</p>
<p>Евѣмий</p>	<p>ევფიმი</p>	<p>ეჭეთიმე</p>
<p>Егор</p>	<p>ეგორ-ი</p>	<p>იაგორ-ი</p>
<p>Егорий</p>	<p>ეგორი</p>	<p>იაგორ-ი</p>
<p>Елизар</p>	<p>ელიზარ-ი</p>	
<p>Елисей</p>	<p>ელისეი</p>	<p>ელისე</p>
<p>Елистрѣт</p>	<p>ელისტრატ-ი</p>	
<p>Елидифор</p>	<p>ელზიდოფორ-ი</p>	
<p>Емельян</p>	<p>ემელიან-ი</p>	<p>ემელიანე</p>
<p>Елифан</p>	<p>ეპიფან-ი</p>	<p>ეპიფანე</p>
<p>Епифаний</p>	<p>ეპიფანი</p>	<p>ეპიფანე</p>
<p>Еремей</p>	<p>ერემეი</p>	<p>ერემია და იერემია</p>
<p>Ермий</p>	<p>ერმი</p>	
<p>Ермил</p>	<p>ერმილ-ი</p>	<p>ერმილე</p>
<p>Ермила</p>	<p>ერმილა</p>	<p>ერმილე</p>
<p>Ермилиий</p>	<p>ერმილი</p>	<p>ერმილე</p>
<p>Ермишингельд</p>	<p>ერმიშინგელდ-ი</p>	
<p>Ермолай</p>	<p>ერმოლაი</p>	<p>ერმოლაშ-ი</p>
<p>Ерофей</p>	<p>ეროდეი</p>	<p>ეროდე</p>
<p>Ефѣм</p>	<p>ეფემ-ი</p>	<p>ეჭეთიმე</p>
<p>Ефѣмий</p>	<p>ეფიმი</p>	<p>ეჭეთიმე</p>
<p>Ефрем</p>	<p>ეფრემ-ი</p>	<p>ეფრემ-ი</p>
<p>Ефремиий</p>	<p>ეფრემი</p>	<p>ეფრემ-ი</p>

1	2	3
Захър	ზასარ-ი	ზაქარა
Захари́й	ზასარი	ზაქარია
Зенон	ზენონ-ი	ზენონ-ი
Зино́вий	ზინოვი	ზენობია და ზინობია
Зосим	ზოსიმ-ი	ზოსიმე
Зосима	ზოსიმა	ზოსიმე
Иаким	იაკიმ-ი	
Иакинф	იაკინფ-ი	იაკინფე
Ива́н	ივანე	ივანე
Игна́т	იგნატ-ი	ეგნატე
Игна́тий	იგნატი	ეგნატე
Игорь	იგორ-ი	იგორ-ი
Иерони́м	იერონიმ-ი	იერონიმე
Измаи́л	იზმაილ-ი	ისმაილ-ი
Измара́гд	იზმარაგდ-ი	
Изоси́м	იზოსიმ-ი	
Изо́т	იზოტ-ი	
Израи́ль	იზრაილ-ი	
Изясла́в	იზიასლავ-ი	
Иларио́н	ილარიონ-ი	ილარიონ-ი
Илья́	ილია	ილია
Иппоке́нтий	იპოკენტი	
Иоаким	იოაკიმ-ი	იოაკიმე და იოკიმე
Иоа́нн	იოან-ი	იოანე (ძე.)
Нов	იოვ-ი	იობ-ი
Нова́н, Нова́нн	იოვან-ი (და არა: იოპან-ი)	
Нона	იონა	იონა
Иосафа́т	იოსაფატ-ი	
Иосиф	იოსებ-ი	იოსებ-ი
Ипа́т	იპატ-ი	
Ипа́тий	იპატი	
Ипполи́т	იპოლიტ-ი	იპოლიტე
Иракли́й	ირაკლი	ირაკლი და ერეკლე
Иродио́н	იროდოონ-ი	იროდოონ-ი
Исаи́к	ისააკ-ი	ისაკ-ი
Исаи́кий	ისააკი	ისაკ-ი
Иса́й	ისაი	ისაია და ესაია
Иса́к	ისაკ-ი	ისაკ-ი
Исидо́р	ისიდორ-ი	ისიდორე
Иустин	იუსტინ-ი	იუსტინე

1	2	3
Казимір	კაზიმირ-ი	
Калип	კალიპ-ი	
Калдѣиик	კალინიკ-ი	კალენიკე
Каллиет	კალისტ-ი	
Каллистрат	კალისტრატ-ი	კალისტრატე
Кандидий	კანდიდი	კანდილ-ი
Каштон	კაპიტონ-ი	კაპიტონ-ი
Карл	კარლ-ი	კარლო
Карп	კარპ-ი	კარპეზ-ი
Каспар	კასპარ-ი	
Касьян	კასიან-ი	კასიანე
Кип	კიკ-ი	
Ким	კიმ-ი	
Кир	კირ-ი	
Кирѣак, Кирьяк	კირიაკ-ი	
Кирѣл	კირილ-ი	კირილე
Кирсан	კირსან-ი	
Клѣвдий	კლავდი	
Клим	კლიმ-ი	
Климент	კლიმენტ-ი	კლიმენტი
Климентий	კლიმენტი	კლიმენტი
Конрат	კონდრატ-ი	კონდრატე
Кондратий	კონდრატი	კონდრატე
Кѣнон	კონონ-ი	
Конрад	კონრად-ი	
Константин	კონსტანტინე	კონსტანტინე
Корнѣй	კორნეი	
Корнѣлий	კორნელი	კორნელი
Корнѣл	კორნილ-ი	კორნელი
Корнѣлий	კორნილი	კორნელი
Ксенофонт	ქსენოფონტ-ი	ქსენოფონტე
Кузьма	კუზმა	
Куприян	კუპრიან-ი	
Лавр	ლავრ-ი	ლავროსი
Лаврентий	ლავრენტი	ლავრენტი
Лазарь	ლაზარ-ი	ლაზარე
Ларион	ლარიონ-ი	
Лев	ლევ-ი	
Леон	ლეონ-ი	ლეონ-ი და ლევან-ი
Леонард	ლეონარდ-ი	

1	2	3
Леонид	ლეონიდ-ი	ლეონიდე
Леонтий	ლეონტი	ლეონტი
Леопольд	ლეოპოლდ-ი	
Левин	ლევიანი	
Левини	ლევის-ი	ლევინოს-ი
Лука	ლუკა	ლუკა
Лукаш	ლუკანი	
Лукьян	ლუკიანი	ლუკიანე
Любин	ლუბინი	
Любомыр	ლუბომირ-ი	
Любомысл	ლუბომისლ-ი	
Людан	ლუდანი	
Маар	მაერ-ი	
Маарийский	მაერიკი	
Май	მაი	
Макар	მაკარ-ი	მაკარ-ი
Макарий	მაკარი	მაკარი
Македон	მაკედონ-ი	
Макейм	მაქსიმ-ი	მაქსიმე
Максимилан, Максимьян	მაქს-მილიან-ი	
Мануйл	მანუელ-ი	მანუელ-ი
Марат	მარატ-ი	მარატ-ი
Мариан	მარიანი	
Марин	მარინ-ი	
Марк	მარკ-ი	მარკოზ-ი
Маркел	მარკელ-ი	
Маркиан	მარკიანი	
Марлен	მარლენ-ი	
Мартимьян	მარტიმიანი	
Мартин, Мартын	მარტინ-ი	
Мартиниан	მარტინიანი	
Мартирий	მარტირი	
Мартын, Мартин	მარტინ-ი	
Мартьян	მარტიანი	
Матвей	მატევი	მათე
Мелентий	მელენტი	მელენტი
Меркул	მერკულ-ი	
Меркурий	მერკური	
Мефодий	მეფოდი	მეფოდე

1	2	3
Мечисла́в	მეჩისლავე-ი	
Ми́лш	მილან-ი	
Ми́лш	მილენ-ი	
Ми́лш	მილი	
Ми́ша	მისა	მინა
Ми́ш	მისა	მინა
Ми́рш	მირონ-ი	მირონ-ი
Ми́росла́в	მიროსლავე-ი	
Ми́саи́л	მისაილ-ი	
Ми́трофа́н	მეტროფან-ი	მეტროფანე
Ми́трофа́ნი	მეტროფანი	მეტროფანე
Ми́хаи́л	მიხეილ-ი	მიხეილ-ი
Ми́х	მიხეი	
Мо́д	მოდესტ-ი	
Мо́й	მოისეი	მოსე
Мо́	მოკეი	
Мо́	მოკი	
М	მსტისლავე-ი	
Наза́р	ნაზარ-ი	ნაზარ-ი
Наза́ри	ნაზარი	ნაზარ-ი
На́р	ნარკის-ი	
На́	ნათან-ი	ნათან-ი
На́	ნაუმ-ი	ნაუმ-ი
Не́	ნესტერ-ი	
Не́	ნესტორ-ი	ნესტორ-ი
Не́	ნეფოდ-ი	
Не́	ნიკანდრ-ი	ნიკანდრო
Не́	ნიკანორ-ი	
Ни́	ნიკიტა	ნიკიტა
Ни́	ნიკიფორ-ი	ნიკიფორე
Ни́	ნიკოდიმ-ი	ნიკოდიმე
Ни́	ნიკოლოზ-ი	ნიკოლოზ-ი
Ни́	ნიკონ-ი	
Ни́	ნილ-ი	
Ни́	ნილონტ-ი	
Оле́	ოლეგ-ი	ოლეგ-ი
Оли́	ოლქი	
Они́	ონისიმ-ი, ანისიმ-ი	ონისიმე
Ону́	ონუფრი, ანუფრი	ონოფრე

1	2	3
Орѣст	ორესტი-ი	
Осин	ოსკი-ი	
Оскар	ოსკარ-ი	
Остап	ოსტაპი-ი	
Остромир	ოსტრომირი-ი	
Павел	პავლე	პავლე
Павлин	პავლინი-ი	
Павлов	პაოსი	
Павловский	პალავი	პალავი
Памфил	პამფილი-ი	
Памфилов	პამფილი	
Панкрат	პანკრატ-ი	
Панкратов	პანკრატე	
Пантелей	პანტელე	პანტელეონი-ი
Пантелеймон	პანტელეიმონი-ი	პანტელეიმონი-ი
Панфил	პანფილი-ი	
Парамон	პარამონი-ი	
Пармен, Пармён	პარმენი-ი, პარმიონი-ი	პარმენი-ი
Парфен	პარფიონი-ი	პარფენი-ი
Парфений	პარფენი	პარფენი-ი
Парфентий	პარფენტი	
Патрикей	პატრიკეი	
Патрикий	პატრიკი	
Пафутый	პაფუტე	
Пахом	პახომი-ი	პახომი-ი და პახუმ-ი
Пахомов	პახომი	პახომი-ი და პახუმ-ი
Перфильев	პერფილი	
Пётр	პეტრე	პეტრე
Пётрмен	პეტენი-ი	პიშენი-ი
Петриим	პიტირიმი-ი	
Платон	პლატონი-ი	პლატონი-ი
Полиевкт	პოლიევქტი-ი	პოლიევქტი-ი
Поликт	პოლიქტი-ი	პოლიქტი-ი
Поликар	პოლიკარპი-ი	პოლიკარპე
Поликарпов	პოლიკარპი	პოლიკარპე
Порфир	პორფირი-ი	პორფილე და პორფირი
Порфирий	პორფირი	პორფილე და პორფირი
Потап	პოტაპი-ი	
Потапов	პოტაპი	
Пров	პროვი-ი	

1	2	3
Прока	პროკლ-ი	პროკლე
Прокѡп	პროკოპ-ი	პროკოფი
Прокѡпий	პროკოპი	პროკოფი
Прокѡфий	პროკოფი	პროკოფი
Протас	პროტას-ი	
Прѡдѣр	პროხორ-ი	
Радѣй	რადი	
Радѣм	რადიმ-ი	
Радислав	რადისლავ-ი	
Радозѣн	რადოვან-ი	
Ратибѣр	რატებორ-ი	
Ратмир	რატმირ-ი	
Рафаѣл	რაფაილ-ი	რაფიელ-ი
Ричард	რიჩარდ-ი	რიჩარდ-ი
Роберт	რობერტ-ი	რობერტ-ი
Родіон	როდიონ-ი	როდიონ-ი
Роланд	როლანდ-ი	როლანდ-ი
Ромѣн	რომან-ი	რომან-ი და რომანოზ-ი
Ростислав	როსტისლავ-ი	
Рубѣн	რუბენ-ი	რუბენ-ი
Руѣм	რუემ-ი	
Рудольф	რუდოლფ-ი	
Руслѣн	რუსლან-ი	რუსლან-ი
Рѣрик	რიურიკ-ი	
Савѣа	სავა	სავა
Савѣагѣй	სავაგეი	
Савѣѣтѣй	სავატი	
Савѣл	სავიოლ-ი	სავლე
Савѣлѣй	საველი	საველი და სავლე
Савѣрѣй	სავერი	
Савѣн	სავინ-ი	
Савѣнѣн	სავინიან-ი	
Сакердѣн	სავერდონ-ი	
Салтѣн	სალტან-ი	
Самѣლა	სამოლა	
Самсѣн	სამსონ-ი	სამსონ-ი
Самсѣнѣй	სამსონი	სამსონ-ი
Самуѣл	სამუილ-ი	სამუელი
Светозѣр	სვეტოზარ-ი	

1	2	3
Спирїд	სვირც-ი	
Святопóлк	სვიატოპოლკ-ი	
Святослáv	სვიატოსლავ-ი	
Себастьян	სეზასტიან-ი	
Севастьян	სევასტიან-ი	სევასტი
Северїи	სევერინ-ი	
Северьян	სევერიან-ი	სევერიან-ი და სევერიანე
Селиван	სელივან-ი	
Селивѣт	სელივიორსტ-ი	
Селифан	სელიფან-ი	
Семѣн	სემიონ-ი	სიმონ-ი
Семїон	სემიონ-ი	სიმონ-ი
Серапион	სერაპიონ-ი	სერაპიონ-ი და სერაფიონ-ი
Серафїм	სერაფიმ-ი	
Сергѣй	სერგეი	სერგი და სერგო
Сѣргїй	სერგი ¹⁰	
Сигизмунд	სიგიზმუნდ-ი	
Сїдор	სიდორ-ი	ისიდორე
Сїла	სილა	
Сїлан	სილან-ი	
Сїлántїй	სილანტი	
Сїльван	სილვან-ი	სილოვან-ი
Сїльвѣстр	სილვესტრ-ი	სილიბესტრო
Сїмон	სიმონ-ი	სიმონ-ი
Смарáгд	სმარაგდ-ი	
Созон	სოზონ-ი	
Созонт	სოზონტ-ი	
Созонтїй	სოზონტი	
Сокрѣт	სოკრატ-ი	სოკრატ-ი
Соломон	სოლომონ-ი	სოლომონ-ი
Софон	სოფონ-ი	სოფონ-ი
Софонїй	სოფონი	
Софрон	სოფრონ-ი	სოფრონ-ი და სოფრომ-ი
Софронїй	სოფრონი	სოფრონ-ი და სოფრომ-ი
Спартáк	სპარტაკ-ი	სპარტაკ-ი
Спирїдон	სპირიდონ-ი	სპირიდონ-ი
Спирїдонїй	სპირიდონი	სპირიდონ-ი
Станїмїр	სტანიმირ-ი	
Станїслáv	სტანისლავ-ი	

¹⁰ იხ. ზემოთ, სქოლიო 3.

1	2	3
Слѣхий Степанъ Стойя Сисѣй	სტაბი სტეპან-ი სტოიან-ი სისთი	სტეფანე სისო
Тарасъ Твердиславъ Тимошѣй Теводоръ Телѣтний Тѣрпий Тѣтѣй Тимофѣй Тимуръ Титъ Тѣхонъ Тристанъ Трифонъ Трофѣй	ტარას-ი ტვერდისლავ-ი ტეოიშირ-ი ტეოდორ-ი ტერენტი ტირტი ტიგრი ტიმოფეი თემურ-ი ტიტ-ა ტიხონ-ი ტრისტან-ი ტრიფონ-ი ტროფეი-ი	ტარასი თედორე ტეონტი ტიმოთე თედორ-ი და თეიმურაზ-ი ტიტე ტიხონ-ი ტრისტან-ი ტრიფონ-ი ტროფიმე
Увѣя Ульянъ Устинъ	უვარ-ი ულიან-ი უსტინ-ი	
Фабѣянъ Фадѣй Фадѣоръ Фадѣнс Фадѣосѣй Фадѣосѣий Фадѣотъ Фадѣотѣй Фадѣулъ Фадѣликъ Феоктѣистъ Феотѣянъ Феотѣйлъ Феотѣилактъ	ფაბიან-ი ფაფეი ფიოდორ-ი ფედოს-ი ¹¹ ფედოსეი ფედოსი ფედოტ-ი ფედოტი ფედულ-ი ფელაქს-ი ფეოქტისტ-ი ფეოფან-ი ფეოფილ-ი ფეოფილაქტ-ი	ფადეონ-ი თედორე და თედორე ფეოდოტ-ი ფეოდოტ-ი ფელოქს-ი ფეოფანე ფეოფილე ფეოფილაქტე

¹¹ ქართულ ონომასტიკოში ეს სახელი არ არის. არსებობს ქალის სახელი ფედოსი, რომელიც ფედოსიას შემოკლებული სახეობაა.

1	2	3
Феранонт	ფერანონტი	ფერანონტი
Фердинанд	ფერდინანდი	ფერდინანდი
Федорет	ფედორეტი	ფედორეტი
Феликс	ფელიქსი	ფელიქსი
Фелипп	ფელიპი	ფელიპე
Филіпп	ფილიპი	ფილიპე
Фисс	ფისსი	
Флавиан	ფლავიანი	ფლავიანე
Флавіи	ფლავი	
Флегонт	ფლეგონტი	
Флорентий	ფლორენტი	
Флорентин	ფლორენტინი	
Флоріан	ფლორიანი	
Фóка	ფოკა	
Фомá	ფომა	ფომა
Фотуант	ფორტუანტი	
Фотий	ფორტი	
Фраци	ფრანცი	
Фридрих	ფრიდრიხი	
Фрол	ფროლი	
Харитон	ხარიტონი	ხარიტონი
Харитоний	ხარიტონი	ხარიტონი
Харламп	ხარლამპი	ხარლამპი
Христофор	ხრისტოფორი	ხრისტოფორე
Эдуард	ედუარდი	ედუარდი
Эльпидифор	ელპიდოფორი	
Эмилій	ემილი	ემილი
Эміль	ემილი	ემილი
Эммануил	ემანუილი	ემანუილი
Эрэм	ერამი	
Эрист	ერისტა	ერისტა
Эриест	ერნესტი	
	ერნესტი	
Ювенáлий	იუვენალი	
Юлиán	იულიანი	იულიანე
Юлий	იული	
Юлón	იულონი	იულონი

1	2	3
Юрий Юстиниан	იური იუსტინიან-ი	იური იუსტინიანე
Яким	იაკიმ-ი	
Яков	იაკობ-ი	იაკობ-ი
Якѹб	იაკუბ-ი	
Ян	იან-ი	
Януарий	იანუარ-ი	
Ярополк	იაროპოლკ-ი	
Ярослав	იაროსლავ-ი	იაროსლავ-ი

ქალის სახელები

რუსული სახელები	სახელთა სარეკომენდაციო ქართული ფორმები	ქართული შესატყვისები
1	2	3
Августа	ავგუსტა	
Августіна	ავგუსტინა	
Авдотья	ავდოტია	
Аврелія	ავრელია	
Аврѣя	ავრეა	
Аврора	ავრორა	ავრორა
Агата	აგაპა	
Агания	აგაპია	
Агата	აგატა	ალათი
Агѣфа	აგაფა	ალათი
Агѣфія, Агѣфья	აგაფია	ალათი
Аглайда	აგლაიდა	
Аглая	აგლაია	
Агна	აგნა	
Агнѣсса	აგნესა	აგნესა
Агния	აგნია	
Аграфѣна	აგრაფენა	აგრაფინა
Агриппіна	აგრიპინა	
Ада	ადა	ადა
Аделаида	ადელიდა	

1	2	3
Адэлла	ადელა	
Адэль	ადელი	
Адელფინა	ადელფინა	
Адіна	ადინა	
Адолия	ადოლია	
Адриана	ადრიანა	ანა
Аза	ანა	
Азалия	ანალია	
Азела	ანელა	
Аїда	აიდა	აიდა
Акилія	აკილია	
Аксїня	აკსინია	
Акуліна	აკულინა	
Алевтіна	ალექტინა	
Алекса́ндра	ალექსანდრა	ალექსანდრა
Алекса́ндріна	ალექსანდრინა	
Алексі́на	ალექსინა	
Алѣна	ალიონა	
Аліна	ალინა	
Аліса	ალისა	ალისა
Алла	ალა	ალა
Алфѣя	ალფეა	
Альбѣрта	ალბერტა	
Альбертіна	ალბერტინა	
Альбіна	ალბინა	
Альвіна	ალვინა	
Альфи́я	ალფია	
Ама́та	ამატა	
Аме́лфа	ამელფა	
Анаста́сія	ანასტასია	ანასტასია
Анато́лія	ანატოლია	
Ангѣла	ანგელა	
Ангелі́ка	ანგელიკა	
Ангелі́на	ანგელინა	ანგელინა
Андже́ла	ანჯელა	
Андре́я	ანდრეა	
Андро́на	ანდრონა	
Андро́ника	ანდრონიკა	
Анжелі́ка	ანჯელიკა	
Ані́ся, Ані́сія	ანისია	
Анна	ანა	ანა
Антиго́на	ანტიგონა	

1	2	3
Антоні́на	ანტონინა	
Антопи́да	ანტონიდა	
Антони́на	ანტონინა	ანტონინა
Анто́ния	ანტონია	
Анфи́ма	ანფიმა	
Анфи́са	ანფისა	ანფისა
Анфия	ანფია	
Аноли́и́вря	ანოლინარია	
Аноли́и́ня	ანოლინია	
Апра́ксия	აპრაქსია	
Апрѣ́ля	აპრელია	
Аре́нѣл	არგენტეა	
Аре́нѣта	არიანა	არიადნა
Аре́нѣт	არიანა	
Ария	არია	
Арийи́на	არმინია	
Аре́вня	არსენია	
Арте́мѣда	არტემიდა	
Арте́мѣя	არტემია	
Аста	ასტა	
Астра	ასტრა	
Афи́и́сия	აფანასია	
Аэли́та	აელტა	
Беѣ́та	ბეატა	
Беатри́са	ბეატრისა	ბეატრისა
Бѣла	ბელა	ბელა
Бене́дикта	ბენედიქტა	
Бѣрта	ბერტა	ბერტა
Блажи́на	ბლანდინა	
Богдѣ́на	ბოგდანა	
Божѣ́на	ბოჟენა	
Болесла́ва	ბოლესლავა	
Борисла́ва	ბორისლავა	
Боя́на	ბოიანა	
Бронисла́ва	ბრონსლავა	
Валѣ́сия	ვალენსია	
Валеи́на	ვალენტინა	ვალენტინა
Валѣ́рия	ვალერია	
Ванда	ვანდა	ვანდა

1	2	3
Варвара	ვარვარა	მარმარე და მარბალე
Васёна	ვასონა	
Васи́льда	ვასილდა	
Васи́льина	ვასილინა	
Васи́лица	ვასილისა	
Васи́дня	ვასილია	
Васи́лла	ვასილა	
Васса	ვასა	
Вацл́ва	ვაცლავა	
Веве́я	ვევეა	
Велими́ра	ველიმირა	
Велисла́ва	ველისლავა	
Вене́дикта	ვენედოქტა	
Вену́ста	ვენუსტა	
Венце́слава	ვენცესლავა	
Ве́ра	ვერა	ვერა
Верси́йка	ვერენიკა	
Верони́ка	ვერონიკა	ვერონიკა
Веро́ния	ვერონია	
Весели́на	ვესელინა	
Ве́ста	ვესტა	
Вести́та	ვესტიტა	
Ви́ва	ვივა	
Виве́я	ვივეა	
Вивиа́на	ვივიანა	
Вида́на	ვიდანა	
Викенти́я	ვიკენტია	
Виктори́на	ვიქტორინა	
Викто́рия	ვიქტორია	ვიქტორია
Ви́ла	ვილა	
Виле́на	ვილენა	
Виле́ния	ვილენინა	
Вильгельми́на	ვილგელმინა (და არა: ვილჰელმინა)	
Виолетта	ვიოლეტა	ვიოლეტა
Вирги́ния	ვირგინია	
Вирни́я	ვირინია	
Ви́та	ვიტა	
Вита́лика	ვიტალიკა	
Вита́лина	ვიტალინა	
Вита́лия	ვიტალია	

1	2	3
Витольда	ვიტოლდა	
Влада	ვლადა	
Владилéна	ვლადილენა	
Владимíра	ვლადიმირა	
Владисла́ва	ვლადისლავა	
Владле́на	ვლადლენა	
Вонсла́ва	ვონსლავა	
Вбля	ვოლია	
Вессла́ва	ვსესლავა	
Гаафа	გაათა	
Га́ла	გალა	
Гала́та	გალატა	
Галате́я	გალატეა	
Гали́	გალი	
Гали́на	გალინა	გალინა
Га́лла	გალა	
Га́я	გაია	
Гелáсия	გელასია	
Гемéля	გემელა	
Гемíна	გემინა	
Геня́	გენი	
Генна́дия	გენადია	
Геновéфа	გენოვეფა	
Генриéтта	გენრიეტა (და არა: ჰენრიეტა)	ჰენრიეტა
Гео́ргина	გეორგინა	
Ге́ра	გერა (და არა: ჰერა)	
Герма́на	გერმანა	
Гертру́да	გერტრუდა	
Ге́я	გეა	
Глафи́ра	გლაფირა	
Гликéрия	გლიკერია	
Глорио́за	გლორიოზა	
Голли́ндуха	გოლინდუხა	
Гонéста	გონესტა	
Гонора́та	გონორატა	
Горго́ния	გორგონია	
Горисла́ва	გორისლავა	
Гортéнзия	გორტენზია (და არა: პორტენზია)	

1	2	3
Градислава	გრადისლავა	
Грета	გრეტა	გრეტა
Далила	დალილა	დალილა
Дана	დანა	
Данья	დარია	დარია
Дебора	დებორა	
Дейна	დეინა	
Декабрина	დეკაბრინა	
Денсия	დენსია	
Денница	დენიცა	
Дзи	დჯი	
Джана	დჯანა	დჯანა
Дigna	დინგა	
Дина	დინა	
Диодора	დიოდორა	
Дионина	დიონინა	
Дия	დია	
Доброгнена	დობროგნევა	
Добромйла	დობრომლა	
Добромйра	დობრომირა	
Доброслава	დობროსლავა	
Доминика	დომინიკა	დომინიკა
Домити́лла	დომიტილა	
Домна	დომნა	დომნა
Домника	დომნიკა	დომნიკა
Домникня	დომნიკია	
Домнина	დომნინა	
Донара	დონარა	დონარა
Доната	დონატა	
Дора	დორა	დორა
Дорофея	დოროფეა	
Доса	დოსა	
Досифея	დოსიფეა	
Дросида	დროსიდა	
Дуклида	დუკლიდა	
Ева	ევა	ევა
Евангелия	ევანგელონა	
Езапфия	ეზაფთია	
Евгения	ევგენია	

1	2	3
Евдокія	ეცლოკია	ეცლოკია
Евдокія	ევეცი.ესია	
Евлáლი	ეველალია	
Евлáмшия	ეველამშია	
Евмéния	ევემენია	
Евмі́ннiя	ევემინია	
Евні́ка	ეენიკა	
Евнікiя	ეენიკია	
Евнóмнiя	ევენომია	
Евпрáкснiя	ეეპრაქსია	ეეპრაქსია
Елсéвнiя	ეესევეია	
Евстáфiя	ეესტაფია	
Евстóлнiя	ეესტოლია	
Евті́хнiя	ეეტიხია	
Евтрóпнiя	ეეტროპია	
Евфáлнiя	ეეფალია	
Евфíмнiя	ეეფ.შია	ეეფეშია
Евфросі́ннiя, Ефросі́ннiя	ეეფროსინია, ეფროსინია	ეეფროსინე
Екатері́на	ეკატერინე	ეკატერინე
Елéна	ელენე	ელენე
Елiзаветá	ელისაბედ-ი	ელისაბედ-ი
Елiкопíда	ელიკონიდა	
Елiстíма	ეპისტომა	
Елiстíмнiя	ეპისტოპია	
Ерміóннiя	ერმიონია	
Ефимі́я, Ефимьá	ეფიშია	ეეფეშია
Ефросі́ннiя, Евфросі́ннiя	ეფროსინია, ეეფროსინია	ეეფროსინე
Жáнна	ჯანა	ჯანა
Жозефі́на	ეოზეფინა	ეოზეფინა
Зарі́я	ზარიზა	
Заря́	ზარია	
Заря́на	ზარიანა	
Звездá	ზეეზდა	
Земфі́ра	ზემფირა	ზემფირა
Зенóна	ზენონა	
Зі́нна, Зінна́йда	ზინა, ზინაიდა	ზინა, ზინაიდა
Зшóвнiя	ზინოვია	
Злáта	ზლატა	
Збý	ზოია	ზოია

1	2	3
Ива	ივა	
Ивайна	ივანა	
Ида	იდა	იდა
Идѣя	იდუა	
Изабѣлла	იზაბელა	იზაბელა
Изіда	იზიდა	იზიდა
Изобѣда	იზობლდა	იზობლდა
Илі́рія	ილირია	
Илія	ილია	
Ильіна	ილინა	
Инга	ინგა	ინგა
Ині́сса	ინესა	ინესა და ინეზა
Инга	ინა	ინა
Иоанна	იოანა	
Иові́лла	იოვილა	
Іола	იოლა	
Іоли́нта	იოლინტა	
Іпполі́та	იპოლიტა	
Іраї́да	ირაიდა	
Ірїна	ირინა	ირინე
Ірма	ირმა	ირმა
Ісидора	ისიდორა	
Іфїгѣ́ннїя	იფიგენია	
Ія	ია ¹²	
Казмі́ра	კაზიმირა	
Калѣ́рїя	კალერია	
Калї́да	კალიდა	
Ка́ла	კალისა	
Калі́шнїя	კალინიკია	
Калї́ста	კალისტა	
Каллїсѣ́ннїя	კალისფენია	
Камա	კამა	
Камї́лла	კამილა	
Кандї́да	კანდიდა	
Капітолі́на	კაპიტოლინა	
Каролї́на	კაროლინა	კაროლინა
Касї́ннїя	კასინია	
Келестї́на	კელესტინა	

¹² ქართული სახელი ია მოდის უეაელის სახელიდან და, ამდენად, რუსულ Ия-სთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

1	2	3
Керкіра	კერკირა	
Кикілія	კიკილია	
Кіма	კიმა	
Кіра	კირა	კირა
Кири́акія	კირიაკია	
Кири́ана, Ки́рьяша	კირიანა	
Кири́лла	კირილა	
Кля́вдія	კლავდია	კლავდია
Клára	კლარა	კლარა
Кларі́са	კლარისა	
Клементі́на	კლემენტინა	
Клеопáтра	კლეოპატრა	
Кѡнкорді́я	კონკორდია	
Конста́нція	კონსტანცია	
Көрнѣлія	კორნელია	
Кристі́на	კრისტინა	ქრისტინე
	(და არა: ქრისტინა)	
Қсанфі́иша	ქსანფიშა	
Ксе́нія	ქსენია	ქსენია
Кумáва	კუშავა	
Д		
Даві́нія	ღავინია	
Дáвრა	ღავრა	
Дáда	ღადა	
Дарі́са	ღარისა	ღარისა
Даўра	ღაურა	ღაურა
Дѣ́да	ღედა	ღედა
Дѣ́йла	ღეილა	ღეილა
Лемі́ра	ღემირა	
Лені́на	ღენინა	
Леокáдія	ღეოკადია	
Леоні́да	ღეონიდა	ღეონიდა
Леоні́я	ღეონილა	ღეონილა
Леоні́иша	ღეონინა	ღეონინა
Леоні́и	ღეონია	
Лѣ́я	ღეა	
Ля́иша	ღიანა	ღიანა
Лі́вія	ღივია	
Лі́дія	ღიღია	ღიღია და ლიღა
Лили́ана	ღიღიანა	ღიღიანა
Лі́лія	ღიღია	ღიღია
Лі́на	ღინა	ღინა

1	2	3
Ліра	ღირა	
Лія	ღია	ღია
Лілія	ღიღია	
Лонгіна	ღონგინა	
Лора	ღორა	
Лота	ღოტა	
Луїза	ღეიზა	ღეიზა
Лукერья	ღუკერია	
Луკიანა	ღუკიანა	
Лукія	ღუკია	
Лукреція	ღუკრეცია	ღუკრეცია
Любана	ღუბაეა	
Любавь	ღუბოე-ი	ღუბა
Любоміла	ღუბომილა	
Любоміра	ღუბომირა	
Людміла	ღუდმილა	ღუდმილა
Люціна	ღუციანა	ღუციანა
Ліцია	ღუცა	ღუცა
Мара	მავრა	მავრა
Магда	მავდა	მავდა ¹²
Магдаліна	მავდალინა	მავდალიანა
Магна	მავნა	
Маїна	მაინა	
Маїя	მაია	მაია
Макріна	მაკრინა	მაკრინე
Максіма	მაქსიმა	
Маланія, Маланья	მალანია	
Маліна	მალინა	
Мальвіна	მალვინა	მალვინა
Маргаріта	მარგარიტა	მარგარიტა და მარგალიტა
Маріам	მარიამ-ი	მარიამ-ი
Маріамна	მარიამნა	
Маріана, Маріанка, Марьяна	მარიანა	
Марієтта	მარიეტა	
Маріна	მარინა	მარინე
Марнонїлла	მარიონილა	

¹² მავდა ზოგჯერ ქართული მავდანას შემოკლებული სახეობაა, ზოგჯერ კი — მავდალინასი.

1	2	3
Марія, Мяр'я	მარია	მარიაშ-ი
Марка	მარკა	
Маркел'яна	მარკელინა	
Марк'ია	მარკიანა	
Марк'ია	მარკიანა	
Мар'ენა	მარკენა	
М'арта	მარტა	მართა
Март'ина	მარტინა	
Мартин'яна	მარტინიანა	
М'არფა	მარფა	მართა
Мяр'я, Мар'я	მარია	მარიაშ-ი
Мар'яна, Мар'яна	მარიანა	
Мат'ильда	მატილდა	მატილდა
Матр'ена	მატრიონა	მატრონა
Матр'она	მატრონა	მატრონა
М'ая	მაია	მაია
Мед'я	მედეა	მედეა
Мел'ан'я, Мел'ан'я	მელანია	მელანია
Мелит'ина	მელეტინა	
Мерк'ური	მერკურია	
Мер'она	მერონა	
Мил'ана	მილანა	
Мил'ена	მილენა	მილენა
Мил'я	მილცა	მილცა
Мил'я	მილია	
Милосл'ава	მილოსლავა	
Милот'ина	მილუტინა	
М'ина, М'ინა	მინა	
Минод'ора	მინოდორა	მინოდორა
М'ირა	მირა	მირა
Мир'он'и	მირონია	
Миросл'ава	მიროსლავა	
М'ირა	მირა	მირა
Митрод'ора	მეტროდორა	
Михайл'ина	მიხაილინა	
Мл'ада	მლადა	
Мод'еста	მოდესტა	
Мойка	მოიკა	
М'он'ка	მონკა	მონკა
Мстисл'ава	მსტისლავა	
М'უза	მუზა	მუზა

1	2	3
Нада	ნადა	
Надежда	ნადეჟდა	ნადეჟდა
Наркисса	ნარკისა	
Настасия, Настасья	ნასტასია	ნასტასია
Наталья, Наталья	ნატალია	ნატალია
Нелли	ნელი	ნელი
Неня	ნენია	
Несийла	ნესილა	
Нина	ნინა	
Ника	ნიკა	
Нилა	ნილა	
Нинфа	ნინფა	
Нимфодора	ნიმფოდორა	
Нина	ნინა	ნინო
Нинель	ნინელი	ნინელი
Нонна	ნონია	
Нона	ნონა	ნონა
Норми	ნორმი	
Ноябряна	ნოიაბრიხა	
Нунехия	ნუნეხია	
Океана	ოქსანა	
Октавия	ოქტავია	
Октябрина	ოქტიაბრიხა	
Оливия	ოლივია	
Олимпиада	ოლიმპიადა	ოლიმპიადა
Олимпиадара	ოლიმპიდორა	
Олимпия	ოლიმპია	
Ольга	ოლგა	ოლღა
Ольда	ოლდა	
Офелия	ოფელია	ოფელია
Павла	პავლა	
Павлина	პავლიხა	
Пайсия	პაისია	
Паллада	პალადა	
Палладия	პალადია	
Пальмира	პალმირა	
Параскева	პარასკევა	პარასკევა
Патрикья	პატრიკია	
Пелагея	პელაგია	პელაგია

1	2	3
Перегрина	პერეგრინა	
Перпетуя	პერპეტუია	
Петра	პეტრა	
Петрина	პეტრინა	
Петроніа	პეტრონილა	
Петронія	პეტრონია	
Піама	პიამა	
Піша	პინა	
Плакіда	პლაკიდა	
Плакіла	პლაკილა	
Платоніа	პლათონიდა	
Победа	პობედა	
Полактія	პოლაქტია	
Поліксена	პოლიქსენა	
Поліксенія	პოლიქსენია	
Поліна	პოლინა	პოლინა
Полія	პოპლია	
Правдіна	პრავდინა	
Прасковія	პრასკოვია	პარასკევა
Пульхерія	პულხერია	
Радა	რადა	
Радана	რადანა	
Радислава	რადისლავა	
Радміла	რადმილა	
Радоміра	რადომირა	
Радосвѣта	რადოსვეტა	
Радослава	რადოსლავა	
Радость	რადოსტ-ი	
Райса	რაისა	რაისა
Рафаїла	რაფაილა	
Рахіл	რახილ-ი	რახილ-ი
Ревѣкка	რევეკა	რებეკა
Ревміра	რევმირა	
Регіна	რეგინა	
Рема	რემა	
Рената	რენატა	
Рііма	რიმა	რიმა
Рипсімія	რიფსიმია	რიფსიმე
Робѣрта	რობერტა	
Рогнеда	როგნედა	როგნედა

1	2	3
Рóза	როზა	როზა
Розали́на	როზალინა	როზალინა
Розали́нда	როზალინდა	
Роза́лия	როზალია	როზალია
Рози́на	როზინა	
Рокса́на	როქსანა	
Рома́на	რომანა	
Ростисла́ва	როსტისლავა	
Руса́на	რუსანა	
Русла́на	რუსლანა	
Руфи́на	რუფინა	
Руфини́ана	რუფინიანა	
Руфь	რუფი	რუფა
Сабина́	საბინა	
Савва́тия	სავატია	
Савѣ́ла	საველა	
Сави́на	სავინა	
Саломе́я	სალომე	სალომე
Сальви́на	სალეია	
Само́на	საშონა	
Са́ра	სარა	სარა
Сати́ра	სატირა	
Светисла́ва	სვეტისლავა	
Светла́на	სვეტლანა	
Светоза́ра	სვეტოზორა	
Святосла́ва	სვიატოსლავა	
Севастья́на	სევატიანა	
Севери́на	სევერინა	
Склетѣ́я	სეკლეტეა	
Склетѣ́нья	სეკლეტერია	
Селѣ́на	სელენა	
Селести́на	სელესტინა	
Сели́на	სელინა	
Серафи́ма	სერაფიმა	სერაფე
Сибѣ́лла	სიბილა	სიბილა
Си́льна	სილვა	სილვა
Сильва́на	სილვანა	
Сильвѣ́стра	სილვესტრა	
Си́львия	სილვია	
Симо́на	სიმონა	
Синкля́тикия	სინკლეთიკია	

1	2	3
Сіра	სირა	სირა
Слѣва	სლავა	
Скандѹлия	სკანდულია	
Снежѣна	სნეჯანა	
Сѣла	სოლა	
Соломонѣда	სოლომონიდა	
Сонѣатра	სონიპატრა	
Сѣфѣанѣя	სოფროსია	
Сѣдѣя	სოფია	სოფიო
Сѣлѣслава	სელანსლავა	
Стеѣла	სტელა	
Стеѣანიда	სტეპანიდა	
Стефѣანიда	სტეფანიდა	
Стефѣанѣя	სტეფანია	
Сусѣანა	სუსანა	სუსანა
Сусѣანѣя	სუსეანა	
Тайѣя, Тайѣя	ტაისია	
Тамѣра	თამარ-ი	თამარ-ი
Тарѣasia	ტარასია	
Татѣяна	ტატიანა	ტატიანა
Терѣза	ტერეზა	ტერეზა
Тѣрѣя	ტერია	
Тѣхомѣра	ტიხომირა	
Тѣхოსლѣва	ტიხოსლავა	
Тѣма	ტომა	
Транквилиѣя	ტრანკვილინა	
Триѣѣна	ტრიფენა	
Трофѣя	ტროფეა	
Улѣта	ულეტა	
Улѣяна	ულიანა	
Урѣანა	ურბანა	
Урсѣლა	ურსულა	
Устѣя	უსტიანა	
Устѣяна, Устѣпѣя	უსტინია	
Фабѣяна	ფაბიანა	
Фавѣста	ფავესტა	
Фавѣსტѣя	ფავესტინა	
Файна	ფაინა	

1	2	3
Фантіна	ფანტინა	
Феврѳнія, Феврѳнья	ფევერონია	თებრონე
Федѳза	ფედოზა	
Федѳра	ფედორა	
Федѳсія, Федѳсья	ფედოსია	ფედოსი
Федѳтія, Федѳтья	ფედოტია	
Федѳула	ფედოულა	
Фѳкла	ფიოკლა	თეკლე
Фекѳса	ფეკუსა	
Фелікса	ფელიქსა	
Феліца	ფელიცა	
Феліціата	ფელიცატა	
Феліціана	ფელიციანა	
Феліцітáта	ფელიციტატა	
Феліція	ფელიცია	
Фѳгнія	ფეოგნია	
Фѳдѳра	ფეოდორა	
Фѳдѳсія	ფეოდოსია	ფედოსი
Фѳдѳтá	ფეოდოტა	
Фѳдѳтія	ფეოდოტია	
Фѳдѳула	ფეოდოულა	
Фѳдѳулія	ფეოდოულია	
Фѳѳзвá	ფეოზვა	
Фѳѳктіста	ფეოქტიტა	
Фѳѳна	ფეონა	თეონა
Фѳѳнілла	ფეონილა	
Фѳѳнія	ფეონია	
Фѳѳпістія	ფეოპისტია	
Фѳѳфáннiя	ფეოფანია	
Фѳѳфáнiа	ფეოფილა	
Фѳѳфѳфа	ფეოფიფა	
Фѳѳсалѳнікá	ფესალონიკა	
Фѳѳсалѳнікiя	ფესალონიკია	
Фѳѳтіннiя, Фѳѳтінья	ფეტინია	
Фѳѳя	ფეა	
Фѳѳвá	ფევა	
Фѳѳвѳя	ფევეა	
Фѳѳлáრѳтá	ფილარეტა	
Фѳѳлѳппá	ფილოპა	
Фѳѳлѳппiя	ფილოპია	
Фѳѳлѳмѳнá	ფილომენა	

1	2	3
Филоніла	ფილონილა	
Филофėja	ფილოფეა	
Фіста	ფისტა	
Флєвня	ფლავია	
Флєна	ფლონა	
Флєра	ფლორა	ფლორა
Флорєнтіна	ფლორენტინა	
Флорєнція	ფლორენცია	ფლორენცია
Флоріана	ფლორიანა	
Флоріда	ფლორიდა	
Фоміда	ფომიდა	
Фортуната	ფორტუნატა	
Фотіна	ფოტინა	ფოტინე
Фотінія, Фотінья	ფოტინია	ფოტინე
Франціска	ფრანცისკა	
Фрїда	ფრიდა	ფრიდა
Фрїдерїка	ფრიდერიკა	
Хаврѳнїя	ხაერონია	
Харїсєса	ხარიესა	
Харїса	ხარისა	
Харїта	ხარიტა	
Харитїна	ხარიტინა	
Хіопія	ხიონია	ჰიონია
Хрїса	ხრისა	
Хрїсія	ხრისია	
Хрїстіана	ხრისტინა	
Хрїстїн:	(და არა: ქრისტინა) ხრისტინა (და არა: ქრისტინა)	ქრისტინე
Цвєта	ცვეტა	
Цветана	ცვეტანა	
Цєлєстїна	ცელესტინა	
Цєційнїя	ცეცილია	ცეცილია
Шарлѳта	შარლოტა	შარლოტა
Эвєліна	ეველინა	ეველინა
Эгїна	ეგინა	
Эдїт	ედიტ-ი	

1	2	3
Элеонора	ელეონორა	სელეონორა
Элисса	ელისა	
Элла	ელა ¹⁴	
Эллада	ელადა	ელადა
Эллина	ელ-ნა	
Элоиза	ელოიზა	
Эльвира	ელვირა	
Эмилиана	ემელიანა	
Эмилия	ემილია	ემილია
Эмма	ემა	ემა
Эшадфа	ენაფა	
Эра	ერა	ერა
Эриеста	ერესტა	
Эрнестина	ერესტინა	
Эсмеральда	ესმერალდა	
Эсфирь	ესფირი	ესთერი
Юдифь	იუდიფი	იუდიტი
Юлиана	იულიანა	
Юлия	იულია	იულია
Юния	იუნია	
Юния	იუნა	
Юнона	იუნონა	იუნონა
Юрия	იურია	
Юстинна	იუსტინა	იუსტინა
Ядвига	იადვიგა	
Яна	იანა	
Янина	იანინა	
Ярослава	იაროსლავა	

ჩვენ მიერ წარმოდგენილ სქემაში ზოგი რამ შეიძლება შესაცვლელი იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რუსული სახელების ქართულად გადმოცემის აქ წარმოდგენილი სურათი ძირითადად სწორად ასახავს თანამედროვე ვითარებას.

¹⁴ ქართულში გვხვდება სახელი ელა, მაგრამ იგი ელენე-ს დერეივტია.

ესპანური ბგერებისა და ბგერათკომპლექსების
გადმოცემა ქართულში

(ონომასტიკური მასალის მიხედვით)¹

ესპანური ენა ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენაა და, ბუნებრივია, იგი განსაკუთრებით აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ენობრივ კონტაქტებში. მაგრამ თუ ადრე ესპანურენოვანი ქვეყნების ონომასტიკონი — გეოგრაფიული სახელები, პირთა სახელ-გვარები და სხვ. — ქართულში უპირატესად შუამავალი ენის (უწინარეს ყოვლისა, რუსულის) მეშვეობით გადმოიცემოდა, დღეს, საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის უშუალო კონტაქტების დამყარებისა თუ განმტკიცების კვალობაზე ბუნებრივად ჩნდება მოთხოვნილება ესპანური საკუთარი სახელების ქართული წარმოთქმის მაქსიმალური მიახლოებისა დედნისეულ წარმოთქმასთან. ცხადია, სათანადო ანგარიში ეწევა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციებით დამკვიდრებულ ფორმებს².

ესპანურ მარტივ ხმოვანთა სისტემა ემთხვევა ქართულისას. თუ არ ჩავთვლით ამ ენებისათვის დამახასიათებელ მცირეოდენ

¹ ესპანურენოვანი ქვეყნების საკუთარი სახელების ჩერჯერობით ყველაზე სრული სია ესპანური ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართული შესატყვისებითურთ წარმოდგენილია „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონსა“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (რედაქტორები ა. კობახიძე, მ. კაბაშვილი), თბ., 1989.

² უცხოენოვანი საკუთარი სახელების, ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებით ჩვენთვის მთლიანად მისაღებია საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, რომელიც ასახულია ივ. გიგინეიშვილის პრინციპული ხასიათის ნაშრომში „უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელებს ქართულად გადმოცემისათვის“; კრებ. „ქართული სიტყვის ელტურის საკითხები“, წ. 1, თბ., 1972, გვ. 246—255; იხ. აგრ. ამავე პრინციპებს დამკველ სტატია ვ. კალანდაძისა და შ. აფრიდონიძისა „საკუთარ სახელთა ტრანსკრიფციისა და ადაპტაციისათვის“, გაზ. „ლიტერატურული საქარტელო“, 1982, 7/ჯ, გვ. 10—11.

საწარმოთქმო ნიუანსებს. რომლებიც ამა თუ იმ ფონეტიკურ პირობებში იჩენს თავს, ესპანური ხუთი არარედუცირებული და მკაფიო მარტივი ხმოვანი — a, e, o, i, u შეესაბამება ქართულ ა, ე, ო, ი, უ ხმოვნებს და ამ ასოებითვე გადმოიცემა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ორთოგრაფიის შესაძლებლობები მუდამ შეზღუდულია წარმოთქმის დიდ ვარიაციულობასთან შედარებით „ასო — ბგერის“ ღერძის ასიმეტრიულობის გამო, ესპანურიდან სხვა ენებზე სახელთა გადმოცემის ყველაზე დიდ ორთოგრაფიულ სირთულეს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ვოკალური შეერთებები, რომლებითაც ერთიანად „გამსჭვალულია“ ესპანური ენის, განსაკუთრებით კი — ლათინურამერიკული ვარიანტების ფონეტიკური სისტემა: ერთ ესპანურ სიტყვაში შეიძლება შეგვეხედეს ერთდროულად რამდენიმე ვოკალური შეერთება (დიფთონგები, ტრიფთონგები და ა. შ.). მაგ.: mayagüezano, yaguaurundi.

ვოკალურ შეერთებაში ჩვენ ვგულისხმობთ ორ- და მეტელემენტოვანი ვოკალიზებულ რთულ ბგერებს, რომლებიც ხასიათდება შემადგენელი ელემენტების საწარმოთქმო მთლიანობითა და შერწყმულობით, — მაშინაც კი, როცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარცვალთა რაოდენობით; მათში იოტიანი კომპონენტი ნარნარად გარდამავალი და ერთიანია და შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში მას მკაფიოდ გამოხატული მარცვალთშორისი მიჯნა არ გააჩნია³.

გამოყოფილ ესპანურ ვოკალურ შეერთებათა შემდეგი ძირითადი სახეები: 1. ორელემენტოვანი ვოკალური შესამებანი, რომლებიც იწყება იოტ-სეგმენტით. ესენია მონოსილაბური ერთფონემიანი ბგერათწარმონაქმნები yasco, yola, yimba ტიპის სიტყვებში; 2. ორ- და სამელემენტოვანი ვოკალური კომპლექსები (ტრადიციული ტერმინოლოგიით — „დიფთონგები“ და „ტრიფთონგები“) — მონოსილაბური ერთფონემიანი ბგერათწარმონაქმნები nielo, guay ტიპის სიტყვებში; 3. სამელემენტოვანი ვოკალური ჯგუფები, რომელთაც შუაში იოტ-კომპონენტი აქვთ. ესენია ბისილაბური ორფონემიანი ბგერათწარმონაქმნები mayu, saya, leyenda ტიპის სიტყვებში; 4. სამ- და ოთხელემენტოვანი ვოკალური ჯგუფები, რომლებიც შედგება მახვილიანი „სუსტი“ და უმახვილო „ძლიერი“ ელემენტებისაგან, ესენია ბი- და ტრისილაბური ორ- და სამფონე-



³ ეს ფაქტი დაადასტურა ესპანურ ვოკალურ შეერთებათა აქუსტიკურ-თესვების გამოსაყენად ჩვენ მიერ ჩატარებულმა ფონეტიკურმა ექსპერიმენტმა, რომელიც ეყრდნობა 3000 იზოლირებული სიტყვისა და 300 ფრაზის ანალიზს.

შიანი ბგერათწარმონაქმნები baquia, grúa, creía ტიპის სიტყვებში; 5. ორ- და სამეღემენტიანი ვოკალური რიგები — ბი- და ტრისილაბური ორ- და სამფონემიანი ბგერათწარმონაქმნები. museo, poeta, teatro ტიპის სიტყვებში; 6. მრავალეღემენტიანი ვოკალური შეერთებანი იოტ-კომპონენტითა და მის გარეშე — პეტროსილაბური მრავალფონემიანი ბგერათწარმონაქმნები mayuato, bayoya ტიპის სიტყვებში.

ვიდრე აღვწახედვით სხვადასხვა ესპანური ბგერათკომპლექსის ქართულ შესატყვისებს პირთა და გეოგრაფიული სახელების გადმოცემის მაგალითზე. განვიხილოთ ქართული ანალოგები ესპანური თანხმოვანი ელემენტებისა და კომპლექსებისა, აგრეთვე მრავალი ვოკალური შეერთების შემადგენლობაში შემავალი იოტისა, რომელსაც დღემდე არ გააჩნია მკაფიო ფონეტიკურ-ფონემატიური სტატუსი: კონკრეტულად მას ვერც თანხმოვანთა ჯგუფს ვერ მივაკუთვნებთ და ვერც ხმოვნებისას: იგი წარმოადგენს თავისებურ ბგერით ელემენტს, რომელიც იძენს სხვადასხვაგვარ საწარმოთქმო ფორმებს ამა თუ იმ სახის ვოკალურ შეერთებებში კონსონანტიზებულიობის (ან ვოკალიზებულიობის) მეტ-ნაკლები ხარისხით.

ორივე ენის ნორმატიული მითითებების მიხედვით, ესპანური ენის თანხმოვნები ქართულად შემდეგნაირად გადმოიცემა:

ამოსავალი ესპანური ნორმების მიხედვით, $b = v$ ორგვარად წარმოითქმის: ა) როგორც ძლიერი [h] სიტყვის ანლაუტში ან m, n, l სონორების შემდეგ სიტყვის შუაში და ბ) როგორც სუსტი [b] სიტყვის შუაში (ბოლოში იგი თითქმის არა გვხვდება: $haixab$). ამ საწარმოთქმო ვარიაციულობის გამო, რაც შეპირობებულია პოზიციური ან კონტექსტური (შეხამებითი) მომენტებით, თითოეული ესპანური ელემენტი — b, v — ორ-ორი ქართული ვარიანტით გადმოიცემა: ხან $ბ$, ხანაც — $ვ$ თანხმოვნით:



⁴ ელსევერით (*) აღნიშნულია თავადური $ვ$, რომელიც არ შეესაბამება კასტილიურის საწარმოთქმო ნორმებს ქართულ შესატყვისებში.

ანალოგიური პოზიციური და კონტექსტური ვარიანტები შეინიშნება ესპანური *i*-ს წარმოთქმაში: სიტყვის თავიიდურსა და შუა პოზიციებში *n, l* სონორების მომდევნოდ დასტურდება ძლიერი ვარიანტი, შუაში — სუსტი, ხოლო ბოლოვიდურ პოზიციაში — შესუსტებული. ქართულად სამივე ვარიანტი გადმოიცემა დ ასოთი: Domínguez --- დომინვეს-ი, Badajoz — ბადაზოს-ი, Madrid — მადრიდ-ი.

აღსანიშნავია, რომ ესპანური ბგერებისა და ბგერათკომპლექსების გრაფიკული გამოსახულების განსხვავებული სახეები სხვა ენებზე გადმოცემისას შეპირობებულია რამდენიმე მიზეზით: თვით ამოსავალ ერთეულთა პოზიციური თუ კონტექსტური (შეხამებითი) ვარიაციულობით, შუამავალი ენებიდან კალკირებით (მაგ., ქართულში სშირად მიმართავენ კალკირებას ინგლისურიდან და, განსაკუთრებით, რუსულიდან), ძველი (ტრადიციული) დაწერილობისა და „ასო — ბგერის“ შესაბამისობის შენარჩუნებით და მისთ.

ვარიაციების მეორე ტიპი — *e, i*-ს წინ ტიპობრივი წარმოთქმის ცვალება — შეინიშნება, გარდა ესპანურისა, მრავალ ევროპულ ენაში (ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულში და ა. შ.). ესპანურში *e* გრაფემა, ჩვეულებრივ, წარმოითქმის როგორც [k] და ქართულად გადმოიცემა *კ* ასოთი: *e, i*-ს წინ მას სხვა ბგერითი ვარიანტი მოეპოვება — [θ], რომელიც ემსგავსება, მაგრამ არ არის იდენტური ინგლისური თავიიდური ბგერისა სიტყვებში: think, thirty (ესპანურში ესაა ნუნისმიერი, ინგლისურში კი — კბილისმიერი). ქართულში ამ ბგერის ანალოგია *ს*. შდრ.: Camilo — კამილო და César — სესარ-ი. ჩვეულებრივ, ესპანური ალვეოლარული [θ] ელემენტი = გრაფემით გამოისახება, რაც შეესაბამება ქართულ *ს* ასოს: Zurbarán — სურბარანი, Zaragoza — სარაგოსა. ამ ბგერით მრავალი ესპანური გვარი ბოლოვდება და ყველა ისინი ქართულად *ს* ასოთი გადმოიცემა: Diaz — დიას-ი, Velázquez — ველასკეს-ი, González — გონსალეს-ი. ქართული *ს* გამოიყენება აგრეთვე ესპანური *s* გრაფემის გადმოსაცემადაც: José — ხოსე, Alonso — ალონსო. ხშირად მას მყლერი ზ ენაცვლება (ჩვეულებრივ, ინტერვოკალურ პოზიციაში): Luisa — ლუიზა, Baltasar — ბალტაზარ-ი, Iglesias — იგლესიას-ი, თარგმანთა მუშევრებით უკვე დამკვიდრებული ტრადიციის წყალობით, თუმცა თვით ესპანურში მყლეით თანხმოვნების წინ ვარიანტი [z] არც არსებობს. თუ არ ჩავ-

თვლით მის გამყვლებას მყვლი თანხმონების წინ (მაგ.: los dias, las mias).

ზემოაღნიშნული კონტექსტური ტიპი ვარიანტებისა (ბგერის ცვლილება *e, i*-ს წინ) დასტურდება *g* ბგერის შემთხვევაშიც, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოითქმის როგორც [g], ხოლო *e, i*-ს წინ — როგორც [x]. ეს უკანასკნელი ბგერა, საერთოდ, გამოიხატება ესპანური *j* გრაფემით. ქართულ ენაზე ესპანური *g* თანხმონის პირველი ვარიანტი გადმოიცემა *g* ასოთი, მეორე კი — *x* გრაფემით: Galicia — გალისია, Gabriel — გაბრიელ-ი; *e, i*-ს წინ: Cartagena — კარტახენა, Orgiva — ორხივა; ესპანური *j*-გრაფემიანი სახელები: Juan — ხუან-ი, Jiménez — ხიმენეს-ი. სხვა (შუამავალი) ენებიდან კალკირებისა და მთარგმნელობითი ტრადიციების გავლენა თავს იჩენს ისეთი სახელების ქართულ ვარიანტებში, როგორცაა: Argentina — არგენტინა, Gibraltar — გიბრალტარ-ი, სადაც ესპანური ნორმის შესაბამისი *x* ასოს ნაცვლად იხმარება *g*. თუკი *g*-ის წინ *e* ან *i* ხმოვანი გვაქვს, [g] წარმოთქმის შესანარჩუნებლად ესპანურ დაწერილობაში გამოიყენება „მუნჯი“ შუალედური *u* ელემენტი. ამრიგად, ესპანურ *guc, gui* ბგერათშეხამებათა ქართული შესატყვისები იქნება შესაბამისად *გუ, გი* შეხამებანი: Guernica — გერნიკა, Guillermo — გილიერმო.

„მუნჯი“ *u* მუდამ გვხვდება *q* გრაფემასთან შეხამებაშიც და ბგერათკომპლექსები *quc, qui* ქართულში უნდა გვაძლევდეს *კუ, კი* შეხამებებს: Quintana — კინტანა, Enrigue — ენრიკე. მაგრამ უკვე აღნიშნული მიზეზების გამო (სხვა ენებიდან კალკირება, სახელთა ჩვეული, ტრადიციული ჟღერადობა, „ასო — ბგერა“ შესაბამისობის შენარჩუნება, ძველი ესპანურის, როგორც ლათინური პერიოდიდან გარდამავალი ენის გავლენა და სხვა) ესპანური „მუნჯი“ *u* ბგერა *quc, qui* შეხამებებში, ისევე როგორც რეალიზებულ *u*-ს *gua, guo* შეხამებებში, ქართული ვ-თი გადმოსცემენ: Guadalquivir — გვადალკვივირ-ი. ამრიგად, მონაცვლე *u, v, b* გრაფემები ერთ [v] ბგერად ერთიანდება, რომელიც ქართულში ვ ასო-ბგერით გადმოიცემა: Guatemala — გვატემალა, Valencia — ვალენსია, Habana — ჰავანა.

ადვილად გადმოსაცემი გრაფემები *f, k* (ეს უკანასკნელი მხოლოდ ესპანურისათვის უცხოურ სიტყვებში გვხვდება), *l, m, n, p, r* (სიტყვის შუაში და ბოლოში) გადმოიცემა შესაბამისი ქართული ფ, კ, ლ, მ, ნ, პ, ტ, რ ასოებით: Federico — ფედერიკო, Paco — პაკო, Tacanas — ტაკანას-ი...

ესპანური ch, rr დიგრაფები წარმოითქმის როგორც შესაბამისად [ჩ] და როტაციული [ჩ] (როგორც მარტივი r სიტყვის თავეში) და ქართულად გადმოიცემა შესაბამისად ჩ და ნარტივი რ ასოებით, რაც შეესატყვისება ქართული მართლწერის ნორმებს: Chile — ჩილე (ესპანურსა და ქართულ ვარიანტებს შორის სრული შესატყვისობაა და რუსულის კალკის გავლენაზე ვერ ვილაპარაკებთ: რუსულში ეს სახელი Чили ვარიანტითაა ცნობილი!), Rio Grande — რიო-გრანდე, Monterrey — მონტერეი.

h „მუნჯი“ ბგერაა ესპანურში და არ იკითხება. საერთოდ, სათანადო ესპანური სახელები ქართულად სწორად გადმოიცემა: Hernández — ერნანდეს-ი, Hidalgo — იდალგო, Huelva — უელვა, Alhama — ალამა და სხვ. მაგრამ დაწერილობისა და სხვა ენებიდან კალკირების გავლენით სდება კიპერკორექცია, რის შედეგადაც არარსებული ბგერა აღდგება და ქართულად მ ასოთი გადმოიცემა: Habana — ჰავანა, Honduras — ჰონდურას-ი.

x გრაფემა ესპანურში შეესატყვისება ორ ბგერითს ელემენტს — [ks], ხოლო t-ს წინ [k] გამოითვლება: Extremadura — ესტრემადურა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრაფემები ñ, y და დიგრაფი ll, ვინაიდან მათი ბგერათშესატყვისები სხვა ენაზე გადატანისას გარკვეულ სიძნელეებს იწვევს. ll დიგრაფი ესპანურში წარმოადგენს ერთიან მარტივ, და არა ორმაგ პალატალურ [l] ბგერას. მას ანალოგები სხვა ენებში არ გააჩნია. ამიტომაც ხშირად ორი ბგერითი ელემენტით გადმოიცემა. ქართულში ესპანურ ll-ს შეესაბამება ლი შესამება: Murillo — მურილიო, Llano Blanco — ლიანო-ბლანკო, Bermejillo — ბერმესილიო.

ñ გრაფემა ასევე შეესაბამება ერთიან პალატალურ ესპანურ [ɲ] ბგერას, რომელიც ქართულად გადმოიცემა ნი შესამებით: Muñoz — მუნიოს-ი და სხვ.

ესპანური ÷ გრაფემა ქართულად ი ხმოვნით გადმოიცემა: Yaque del Norte — იაკე-დელ-ნორტე, Mojocoya — მოხოკოია. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ იოტის უართოდ გავრცელებული ვარიაციულობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ესპანური პროვინციებისა და რეგიონების ტერიტორიაზე, lleísmo-სა და yeísmo-ს მოვლენები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. lleísmo ეფუძნება ფონემური [l] — [y] ოპოზიციისა და შესაბამისად [l] — [y] ფონეტიკური რეალიზაციების შენარჩუნებას: pollo [poˈllo] — poyo [poyo].

yeismo-ს მოვლენა ითვალისწინებს ორ ფონემას შორის ფუნ-
ქციური სხვაობის მოშლას და მის დაყვანას ერთ საწარმოთქმო
ფორმაზე [y] ფრიკატივის ან ნარნარა გარდამავალი [i+y] ელემ-
ენტის სახით: pollo, poyo [poyo] ანდა [poi+yoi]. ამიტომ არც-
თუ იშვიათად ლათინურამერიკულ ზოგად სიტყვებსა და საკუთარ
სასელებში შეიძლება შეგვხვდეს ჰიპერკორექტული (ანუ შეცდო-
მით „აღდგენილი“) II ვარიანტი, რომელშიც მახვილიანი i-ს
(იშვიათად é-ს) შემდეგ გვაქვს II ან y: Maria — Marila
[marija], dia — diya [diya].

იოტის წარმოთქმასთან დაკავშირებულ ამ და სხვა მოვლენა-
თა გავრცელების შესწავლის შედეგად ლათინური ამერიკისათვის
ვიღებთ ასეთ სურათს:

1. Ieismo-ს მოვლენა: ტერიტორიის უდიდესი ნაწილი —
რესპუბლიკა ბოლივია, რესპუბლიკა პარაგვაი; ტერიტორიის ნაწი-
ლი — რესპუბლიკა კოლუმბია (აღმოსავლეთი კორდილიერები),
რესპუბლიკა ეკვადორი (მთიანი ნაწილი), რესპუბლიკა პერუ
(მთიანი ნაწილი), რესპუბლიკა ჩილე (მცირე ტერიტორია სანტ-
იაგოს სამხრეთით), არგენტინის რესპუბლიკა (ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთი).

2. yeismo-ს მოვლენა: ტერიტორიის უდიდესი ნაწილი — მექ-
სიკის შეერთებული შტატები, ცენტრალური ამერიკა, კარიბის
აუზი. რესპუბლიკა ვენესუელა, რესპუბლიკა ჩილე; ტერიტორიის
ნაწილი — რესპუბლიკა კოლუმბია (კაუკა-ვალის ზონები, ქვეყნის
სანაპირო ნაწილი), რესპუბლიკა ეკვადორი (სანაპირო ზოლი),
რესპუბლიკა პერუ (ლიმის ზონა და სანაპირო ზოლის ჩრდილოე-
თი), არგენტინის რესპუბლიკა (ჩრდილო-დასავლეთი და დასავ-
ლეთი).

ესპანეთის პროვინციების ტერიტორიაზე ეს მოვლენა ძირითა-
დად ზეპირ ფორმებში ვლინდება. ამიტომ წერილობითი შესაბა-
მისობანი კასტილიურ ლიტერატურულ ნორმას მიჰყვება და სხვა
ენაზე გადატანისას იოტის დიალექტურ ვარიანტებს ამ შემთხვე-
ვაში არ ვითვალისწინებთ.

ასლა კი დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულ ესპანურ ვოკალურ
შეერთებებს და განვიხილოთ მათი ქართულად გადმოცემის შესაძ-
ლებლობანი.

1. ორელემენტიანი ვოკალური შეერთებანი თავკიდური იოტ-
სეგმენტით. ისინი უმრავლეს შემთხვევაში გვხვდება ესპანური
სიტყვების თავში, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ლათინურ ამე-
რიკაში ფართოდ გავრცელებული yeismo-ს მოვლენის ([i] > [y],

გადასვლის) გამო ისინი თავს იჩენს როგორც სხვა სახის ვოკალური შეერთების შემადგენლობის ერთ-ერთი ნაწილი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. იოტის წარმოთქმა ორელემენტიან ვოკალურ შეერთებაში ნაკლებ ვოკალიზებულია ვოკალური შეერთების სხვა სახეებთან შედარებით და ეს სეგმენტი ფაქტობრივ შეეზრდება ბირთვულ ვოკალურ ელემენტს: ya, ye, yo, yi, yu. რუსულში მათ მიახლოებით შეესაბამება გრაფემები я, е, ё და ю, ხოლო უფრო დაზუსტებული ვარიანტის შემთხვევაში — წინამავალი „მოკლე ი“ სხვადასხვა სახის ვოკალური ელემენტებით. ქართულში ეს უნდა იყოს ძალზე მოკლე და სრიალა ბგერა, რომელიც წერაში ი გრაფემით გამოიხატება: Yaco -- იაკო, Yepomera -- იეპომერა, Yotala -- იოტალა, Yucalan -- იუკატანი.

2. ორ- და სამელემენტიანი ვოკალური კომპლექსები. მათი ტრადიციული სახელწოდებები -- „დიფთონგები“ და „ტრიფთონგები“ -- ჩვენ სიტყვა „კომპლექსით“ შევცვალეთ, რათა გამოვვსახა მათი ძლიერი შეზღუდულობა და ერთიანობა. ერთი ელემენტის მცორეში ნარნარა გადასვლის უნარი, რაც შეინიშნება ფორმანტების სურათებზე ამ ვოკალურ შეერთებათა აკუსტიკური ანალიზისას. აღმაველი და დამავალი ორ- და სამელემენტიანი ვოკალური კომპლექსები შეიცავენ „ნახევართანხმოვან“ და „ნახევარხმოვან“ ელემენტებს. რუსულში ისინი შესაბამისად „რბილი ნიშნით“ (ь) და „მოკლე ი“ გრაფემით გადმოიცემა, ან -- ორსავე შემთხვევაში -- მოკლე y-თი. ქართული შესატყვისები ამ „ნახევართანხმოვნებისათვის“ იქნება ი, ხოლო „ნახევარხმოვნებისათვის“ -- უ. ამრიგად, თვით ვოკალური კომპლექსები ქართულად გადმოცემისას გარდაიქმნება ამ სეგმენტებისა და ბირთვული (ვოკალური) ელემენტების შემცველ შესამებებად: Encarnación -- ენკარნასიონი, Guardia -- გუარდია, Paysandú -- პაისანდუ, Babahoy -- ბაბაიო, Eusebio -- ეუსებიო, Paraguay -- პარაგვაი.

3. სამელემენტიანი ვოკალური ჯგუფები, რომელთა შუაშიც იოტ-კომპონენტია. ეს ჯგუფები გვხვდება ესპანური სიტყვების შუაში და ბოლოში. ისინი შეიცავენ ნარნარა გარდამავალ ელემენტს, რომელიც აერთიანებს ყველა ბირთვულ (ვოკალურ) ელემენტს. გადმოსაცემი და გადმომცემი ენების საწარმოთქმო ნორმების შეუსაბამობებს კიდევ უფრო ზრდის ამ ესპანურ ვოკალურ შეერთებათა გადმოტანისას იოტის ფართო ვარიაციულობა. ესპანურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემისას იკარგება მათ

შეძალდენლობაში შენაჯალი ელემენტებისა და მათი გადასკლების საწარმოთქმო თავისებურებები. ამიტომაც შესაძლებელია მხოლოდღა ამ უკანასკნელთა შემოკლებული წარმოთქმისა და თვით ვოკალურ შეერთებათა აჩქარებული და ერთიანი წარმოთქმის რეკომენდება. ქართულად გადმოღებისას ზემოჩამოთვლილი კომპლექსების შემცველი სახელები ასე გამოიყურება: Cayya — გოია, Mayagüez — მაიაგუეს-ი, El Papayo — ელ-პაპაიო. ამავე მონაკვეთში უნდა შევეხოთ იოტის შემცველ ნრაველელემენტიან ვოკალურ შეერთებებს, რომელთა მრავალნარცკლიანობის გამოც წარმოთქმა კიდევ უფრო აჩქარებულია და კომპლექსები ქართულად გადმოიცემა იმავე გრაფიკული საშუალებებით, რომლებითაც სამელემენტიანი ვოკალური ჯგუფები. მაგ.: Guayaquil — გუაიაკილ-ი, Cayey — კაიეი.

4. მახვილიანი „სუსტი“ და უმახვილო „ძლიერი“ ვოკალური ელემენტების შემცველი ორ- და სამელემენტიანი ვოკალური ჯგუფები. მათი თავისებურება ისაა, რომ მახვილიან პოზიციებში „სუსტი“ ელემენტები (i, ü) ძლიერდება, ხოლო უმახვილი პოზიციაში „ძლიერი“ ელემენტები (a, e, o) სუსტდება. ამიტომ ქართულ ანალოგებად გვექნება სრული ვოკალური ვარიანტები, რომლებიც წერაში ი და უ ასოებით გამოიხატება: Maria — მარია, Garcia — გარსია. Bahía Honda — ბაია-ონდა, Raúl — რაულ-ი.

5. ორ- და სამელემენტიანი „ძლიერი“ ვოკალური ელემენტების შემცველი ვოკალური რიგები. თითოეული ამ ელემენტთაგანი ქმნის მარცვლის ბირთვს და სხვა ენებზე მეტ-ნაკლებად სრული სმოვნითი ერთეულებით გადმოიცემა. ამიტომაც ამ ვოკალურ შეერთებათა გადმოღებისას ესპანურ-ქართული შესატყვისები მეტ სიზუსტეს იძენს: Andrea — ანდრეა, Narváez — ნარვაეს-ი, Jaén — ხაენ-ი.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, მივიღებთ ესპანურ-ქართულ შესატყვისთა მოკლე ზოგად სტემას, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი ენიდან მეორეზე საკუთარ სახელთა გადმოღებისას. ეს სქემა შეიცავს როგორც ტრადიციით უკვე დამკვიდრებულ ქართულ ვარიანტებს, ასევე იმ ვარიანტებსაც, რომლებიც მაქსიმალურად უახლოვდება ესპანურ საწარმოთქმო ნორმებს.

ს მ ო ვ ნ ე ბ ი

ქართული ხმოვნები მეტ-ნაკლებად ადეკვატურად გამოხატავენ ესპანური ხმოვნების თავისებურებებს კასტილიური ნორმის

ფარგლებში. ასე რომ, გვექნება მარტივი შესატყვისები: ა — ა, ც — ე, ი — ო, ! — ი, უ — უ.

თანხმოვნები და თანხმოვანთკომპლექსები
(ანბანურად)

- b — ქართულში იძლევა მერყევ -- ბ და ვ ვარიანტებს. შდრ.: Toboso — ტობოსო და Córucha — კორდოვა. ესპანური ნორმის მიხედვით, სიტყვის თავში ბ გრაფემა უნდა იხმარებოდეს: Badajoz — ბადაჯოსი
- c — გადმოიცემა ქართული კ ასოთი, ხოლო c, i-ს წინ — ს ასოთი (თუმცა იგი ვერ გადმოსცემს ამ ესპანური ბგერის თავისებურებებს). შდრ.: Alcalá — ალკალა და Cervantes — სერვანტესი, Cid — სიდი
- ch — შეესაბამება ქართულ ჩ-ს: La Mancha — ლა-მანჩა
- d — გადმოიცემა ქართული დ ასოთი: Calderón — კალდერონი, Toledo — ტოლედო
- f — მისი ქართული ანალოგია ფ — ქართული ენის საწარმოთ-ქმო ნორმების შესაბამისად: Felipe — ფელიპე, San Fernando — სან-ფერნანდო
- g — შეესაბამება ქართულ გ-ს: Góngora — გონგორა; c, i-ს წინ უნდა გადმოიცეს ხ ასო-ბგერით: Angel — ანხელი, მაგრამ ზოგჯერ, ტრადიციული ვარიანტების შენარჩუნებისას, ხ-ს გ ენაცვლება: Argentina — არგენტინა
- h — ნულოვანი ნიშანია და ქართულში არ გადმოიცემა: Huesca — უესკა. ზოგჯერ, ჰიპერკორექციის დროს, შეცვლით ხდება ჰ-ს „აღდგენა“ (ან ტრადიციული ვარიანტიის მიხედვით): Habana — ჰავანა
- j — გადმოიცემა ხ თანხმოვნით, ესპანური ნორმის შესაბამისად: Méjico — მეხიკო
- k — გვხვდება მხოლოდ ესპანურისათვის უცხოენოვან სიტყვებში და ქართულად კ თანხმოვნით გადმოიცემა: Kant — კანტი, Karachi — კარაჩი
- l — სრული შესატყვისობაა ესპანურსა და ქართულს შორის; გადმოიცემა ლ თანხმოვნით: Lugo — ლუგო
- ll — ქართული შესატყვისისი ლი შესაძება არ ასახავს ამ თავისებური ესპანური ბგერის წარმოთქმის ყველა ნიუანსს: Mallorca — მალიორკა

- m — სრული შესატყვისობაა ამ ესპანურ თანხმოვანსა და ქართულ მ-ს შორის: Mérida — მერიდა
- n — სრული შესატყვისია ქართული ნ: Unamuno — უნამუნო
- ñ — ქართული ნი შესამება მხოლოდ მიახლოებით თუ ასახავს ესპანურ წარმოთქმას: Logroño — ლოგრონიო
- p — მიახლოებითაი შესატყვისია ქართული პ: Pamploña — პამპლონა
- q — იხმარება მხოლოდ მომდევნო u-სთან ერთად და ქართულში კ თანხმოვნით გადმოიცემა: Quito — კიტო
- r — ქართული შესატყვისი რ არ გადმოსცემს ამ ესპანური ბგერის თავისებურებებს სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, რომელშიც ესპანური საწარმოთქმო ნორმების მიხედვით ისეთი განსაკუთრებული როტაციული ბგერა იგულისხმება, სხვა ენებში რომ შესატყვისი არ მოქმედება: Ebro — ებრო, Rodrigo — როდრიგო
- rr — ზემოაღნიშნული ბგერის იდენტური ერთიანი როტაციული ბგერა, რომელიც ქართულად მარტივი რ თანხმოვნით გადმოიცემა: Navarra — ნავარა
- s — მხოლოდ მიახლოებით თუ შეესაბამება ქართულ ს-ს (ესპანურში იგი თავისებური შიშინა ბგერაა): Luis — ლუის-ი. ზოგჯერ ხდება მისი არასწორი გამჟღერება ინტერვოკალურ პოზიციაში ტრადიციული ფორმის მიხედვით და ქართულად ზ თანხმოვნით გადმოიცემა: Baltasar — ბალტაზარ-ი. ზოგჯერ კი გვხვდება პარალელური ვარიანტები. შდრ.: Andalusía — ანდალუსია (თანამედროვე ხმარებაში) და ანდალუსია (ტრადიციული ვარიანტი)
- t — მიახლოებითი შესატყვისია ქართული ტ: Tajo — ტახო
- v — ჟღერადობით ემთხვევა ესპანურ b-ს კასტილიური სტანდარტების მიხედვით; ლათინურამერიკულ ვარიანტებსა და ძველ ესპანურში b და v ბგერების წარმოთქმა განსხვავებულია. ქართულში იგივე ვარიანტი გვაქვს, რაც b ბგერისათვის: Vizcaya — ბისკაია
- x — გადმოიცემა, ჩვეულებრივ, ks დიგრაფით და შეესაბამება ქართულ ქს კომპლექსს: México — მექსიკა; t-ს წინ [k] არ გამოითქმის და გადმოიცემა ქართული ს თანხმოვნით: Extremadura — ესტრემადურა
- y — იოტი მხოლოდ პირობითადაა შეტანილი თანხმოვნით ელემენტთა ჯგუფში. ესპანურში მას წარმოთქმის ძალზე ფართო

სპექტრი აქვს, შედის ვოკალურ შეერთებათა შემადგენლობაში. ქართულად გადმოიცემა ი ხმოვნით (არ ასახავს ესპანური წარმოთქმის ყველა ვარიანტს): Yaco — იაკო
 z — ესპანური [0] ბგერა, ანალოგიურია c ბგერის წარმოთქმისა c და i-ს წინ და გადმოიცემა ქართული ს თანხმოვნით: შდრ.: Cádiz — კადის-ი და Jerez — ზერეს-ი. ზოგჯერ ს უმართებულოდ მყდრდება ინტერვოკალურ პოზიციაში ტრადიციული ფორმის მიხედვით და ქართულად ზ თანხმოვნით გადმოიცემა: Mendoza — მენდოზა

კონსონანტურ-ვოკალური შეხამებანი

guc, gui — ქართულ ენაზე სხედასხეაგვარად გადმოიცემა: ხან, შესაბამისად. გე, გი, ხანაც — გუე, გვი ბგერათშეხამებებით (გე, გი ვარიანტები შეესაბამება კასტილიურ საწარმოთქმო ნორმას): შდრ.: Miguel — მიგელ-ი და მიგუელ-ი (შეცდომაა), Guillermo — ვილიერმო და Guinea — გვინეა. ეს უკანასკნელი არ არის ესპანური სიტყვა. მიზანშეწონილია სწორ შესატყვისებად დარჩეს გე, გი შეხამებები

gua, guo — აქაც ქართულში მერყევი ვარიანტები გვაქვს: გუა და გვა შეხამებები (გუა შეესაბამება კასტილიური წარმოთქმის ნორმებს). შდრ.: Guadalete — გუადალეტე და Guadalajara — გვადალახარა. გუო/გვო კომპლექსები საკუთარ სახელებში თითქმის არ გვხვდება

güe, güi — „მუნჯი“ (ამ შემთხვევაში) u-ს წარმოსათქმელად მას თავზე დაესმის სათანადო ნიშანი. ქართულად ეს შეხამება უნდა გადმოიცეს შესაბამისად გუე და გუი ბგერათშეხამებებით: Sangüesa — სანგუესა, Güicán — გუიკან-ი

que, qui — ეს ბგერათშეხამებები ქართულში დიფერენცირებულად გადმოიცემა: ხან კე, კი, ხანაც — კვე, კვი შეხამებებით (კე, კი ვარიანტები თავსდება კასტილიურ საწარმოთქმო ნორმათა ფარგლებში). შდრ.: Quevedo — კვეედო, Don Quijote — დონ-კიხოტ-ი და Guadalquivir — გვადალკვიერ-ი

ვოკალური შეერთებანი

იოტიანი 2-ელემენტიანი ვოკალური შესამებები — თავკიდური ესპანური იოტ: სეგმენტი ქართული ი ხმოვნით გადმოიცემა, ხოლო მთლიანად შესამება — ქართულ ხმოვნებთან მისი შეერთებით (ქართ. ვარიანტი არ ასახავს ამ შეერთებათა ფაქიზ ნიუანსებს): Yucatán — იუკატანი

2/3-ელემენტიანი ვოკალური კომპლექსები — „ნახევართან-ხმოვანი“ და „ნახევარხმოვანი“ ესპანური ელემენტები, რომლებსაც ეს კომპლექსები შეიცავს. ფაქტობრივ ნიველირებულია და კომპლექსის ყოველი მოკლე ელემენტი გადმოიცემა თითო ქართული ი ან უ გრაფემით: Monterrey — მონტერეი, Oviedo — ოვიედო, Nicaragua — ნიკარაგუა, Ecuador — ეკვადორი

იოტიანი 3-ელემენტიანი ვოკალური ჯგუფები — ესპანური იოტის ინტერვოკალური ქართული ანალოგი ი არ შეესაბამება კასტილიურ საწარმოთქმო ნორმებს, განსაკუთრებით, როცა შუალედური ელემენტი მეტ კონსონანტიზებულ თვისებებს იძენს: Goya — გოია

2/3-ელემენტიანი ვოკალური ჯგუფები — მათი გადმოცემა ქართული ი და უ ელემენტებით უახლოებს ამ ვარიანტებს ესპანურ ნორმებს: Valparaiso — ვალპარაისო, Raúl — რაული

2/3-ელემენტიანი ვოკალური რიგები — ამ ესპანურ ვოკალურ შეერთებათა ვოკალური ელემენტების ქართული შესატყვისები შეესაბამება ესპანურ საწარმოთქმო ნორმებს: Montevideo — მონტევიდეო

მრავალელემენტიანი ვოკალური შეერთებანი იოტ-სეგმენტითა და მის გარეშე — შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს შენაერთები შედგება მცირე ვოკალურ შეერთებათაგან, ოღონდ მხოლოდ პირობითად. ამიტომ ზემოაღნიშნულ ვოკალურ შეერთებებთან დაკავშირებული შენიშვნები ამათზედაც ვრცელდება: Guayaquil — გუაიაკილი

უკანასკნელ ხანებში, ენათა განვითარების კვალობაზე, შეინიშნება კალკებისა და სხვა ენათა სისტემების გავლენით დამკვიდრებული არაზუსტი ვარიანტებისაგან თავის დაღწევისა და ამ ვარიანტების შემცირების ტენდენცია ფონეტიკური და წერილობითი შესატყვისების გაწონასწორების გზით. ეს კი ხელს უწყობს წყაროების ორთოეპიული ნორმების დაცვას, უცხოურ ენათა დაუფლების დონის ამაღლებას და მშობლიური ენის სისტემის სრულყოფას მეტყველების კულტურის თვალსაზრისით.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ო

- ი. აბაშ. — ირაკლი აბაშიძე
აგრ. — აგრეთვე
აკაი — აკაი წერეთელი
ალგებრა — ალგებრა და ანალიზის საწყისები, IX კლასის სახელმძღვანელო,
თბ., 1976
კ. ამირეჯ. — ჰაბუა ამირეჯიბი
ამოც. კრებ. ქიმიაში — ამოცანებისა და საყარეშობების კრებული ქიმიაში,
VIII—X კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1985
ანდ. — ანდაზა
არაბ. — არაბული
არჩ. — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და
ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1936
გ. ასათ. — გურამ ასათიანი
ლ. ასათ. — ლადო ასათიანი
ასტრ. — ე. ხარაძე, ასტრონომია, X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1987
ა. შ. — ასე შემდეგ
„ახ. იევრ.“ — გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“
„ახ. კომ.“ — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“
„ახ. საქართვე.“ — გაზეთი „ახალი საქართველო“
ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი
რ. ბარამ. — რევაზ ბარამიძე
ბაქ. — იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა,
თბ., 1962
ა. ბელ. — აკაი ბელიაშვილი
ა. ბენდ. — ავთანდილ ბენდუქიძე, მათემატიკა — სერიოზული და სახალისო,
თბ., 1988
ბერძნ. — ბერძნული
ბრ. — ბრუნვა
გადატ. — გადატანით, გადატანითი მნიშვნელობით
გაზ. — გაზეთი
კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია
„განთ.“ — ჟურნალი „განთიადი“
გ. გეგეშ. — გურამ გეგეშიძე
მ. გელოვ. — შირზა გელოვანი
გეოგრ. — გეოგრაფია, გეოგრაფიული
გერმ. — გერმანული
გვ. — გვერდი

- ივ. გიგინ. — ივანე გიგინიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975
- ი. გოგებ. — იაკობ გოგებაშვილი
- ი. გოგობ. — ვაჟა გოგობერიშვილი, რელიგიის პრობლემები მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, თბ., 1989
- ნ. გრიგ. — ნოდარ გრიგალაშვილი, სკოლაში შესასწაველი ქართული მწერლები, I, თბ., 1990
- ი. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი
- დ. გურ. — დავით გურამიშვილი
- დასახ. — დასახელებული
- „დრონი“ — გაზეთი „დრონი“
- ნ. დუმბ. — ნოდარ დუმბაძე
- ე. ი. — ესე იგი
- ეკლ. — წიგნი ეკლესიასტე, დაბადება (ბიბლია), II, ტფილისი, 1884
- ენიმეის მოამბე — ჟურნალი „ენის, ისტორიისა და შატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“
- ე. წ. — ეგრეთ წოდებული
- „ვაზ. ლ.“ — გაზეთი „ვაზი და ლენო“
- ვაჟა — ვაჟა-ფშაველა
- ვახტ — ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975
- ეტი — ვეფხისტყაოსანი
- ზ. ასტრ. — ევგენი ხარაძე, ზოგადი ასტრონომია, თბ., 1982
- ზედმიწ. — ზედმიწევნით
- ზოგ. ბიოლ. — ზოგადი ბიოლოგია, X—XI კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1988
- თ. თარხნ. — თამარ თარხნიშვილი
- „თბილ.“ — გაზეთი „თბილისი“
- ე. თოფ. — ვარლამ თოფურია
- თსუ შრომები — ჟურნალი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“
- თუშ. — თუშური
- თქვენ — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970
- თხზ. — თხზულებანი. თხზულებათა
- ი. იაშვ. — ი. იაშვილი
- იკე — ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“
- იკეწ — ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელწოდული“
- ილია — ილია ჭავჭავაძე
- რ. ინან. — რევაზ ინანიშვილი
- ინგლ. — ინგლისური
- ინეერს. — ინეერსიული ლექსიკონი, შედგენილი ბიძ. ფოჩხუას მიერ, თბ., 1967
- ო. იოს. — ოტია იოსელიანი
- იტალ. — იტალიური
- იხ. — იხილე
- „კავკ.“ — გაზეთი „კავკასიონი“
- ზ. კაქ. — ზურაბ კაკაბაძე
- ა. კალანდ. — ანა კალანდაძე
- კარაბადინი — ზაზა ფანასკერტელი (ციციშვილი), სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, ტ. II, თბ., 1988

- კერძო ქირ., — მიხეილ ჩაჩავა, კერძო ჟიურგია, თბ., 1983
- ლ. კვასტ. — ლილა კვანტალიანი
- ლ. კვაჭ. — ლევან კვაჭაძე
- გ. კერტი, დ. სვან. — გ. კერტიანილი, დ. სვანძე, მწვევე ინფექციური დაავადებები, თბ., 1977
- კომენი — ქართული ჰაგოგრაფიული ძეგლები, I, კ. კეკელიძის გამოცემა, 1918
- ე. კოდ. — ედუარდ კოდუა
- „კომ.“ — გაზეთი „კომუნისტი“
- კრ., კრებ. — კრებული
- კუთხ. — კუთხური
- მ. ლებან. — მურმან ლებანიძე
- „ლელო“ — გაზეთი „ლელო“
- გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
- „ლიტ. საქ.“ „ლს“ — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
- ნ. ლომ. — ნიკო ლომოური
- მ. — მათეს სახარება, იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატ-ბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შანიძის გამოცემა, თბ., 1945
- მაგ. — მაგალითად
- მათეშ. — მათემატიკა, II კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1964
- „მამ.“ — გაზეთი „მამული“
- „მაცნე“ — ჟურნალი „მაცნე“, ქართული ენისა და ლიტერატურის სერია
- მ. მაქაე. — მუხრან მაქაეარაიანი
- მელან. — მელანია
- მისთ. — მისთანანი, მისთანათა
- რ. მ-შე. — რევაზ მიშველაძე
- „მნათ.“ — ჟურნალი „მნათობი“
- მოქმ. — მოქმედებითი ბრუნვა
- მრ — მარკოზის სახარება, იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შანიძის გამოცემა, თბ., 1945
- მრავლ. — მრავლობითი რიცხვი
- მ. მრეველ. — მაყვალა მრეველიშვილი
- ლ. მძინ. — მათემატიკის ამოცანათა კრებული, ლ. მძინარიშვილის რედაქციით, თბ., 1988
- ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა
- ნაშრ. — ნაშრომი
- „ნორჩ. ლენ.“ — გაზეთი „ნორჩი ლენინელი“
- ოლ., ორთ. — ე. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968
- თ. ოქროშ. — თამარ ოქროშიძე
- პოლონ. — პოლონური
- პრ. ასტრ. — ბლაჟუკო, პრაქტიკული ასტრონომიის კურსი, თარგმ. გ. კვარცველასი, თბ., 1976
- ჟ., ჟურნ. — ჟურნალი
- რადიოგად. — რადიოგადაცემა
- თ. რაზიკ. თედო რაზიკაშვილი
- რედ. — რედაქტორი
- რუს. — რუსული

ს. (ს) — საუკუნე(ებ)ი

საბა — სულხან-საბა ორბელიანი

„საბჟ. მეღ.“ — ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“

სამხრ. — სამხრეთი

ზ. სარჯვ. — ზურაბ სარჯველაძე

„საქ. ავტ.“ — ჟურნალი „საქართველოს ავტატორი“

„საქართვ.“ — გაზეთი „საქართველო“

„საქ. რესპ.“ — გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

სახ. — სახელობითი ბრუნვა

„სახ. გან.“ — გაზეთი „სახალხო განათლება“

„სკ. და ცხოვრ.“ — ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“

„სოფლ. ცხოვრ.“ — გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

სპარს. — სპარსული

სრ. — სრული

ტ. — ტომი

გ. ტაბ. — გალაკტიონ ტაბიძე

ტ. ტაბ. — ტიციან ტაბიძე

ტელეგრაფ. — ტელეგრაფიკული, სატელევიზიო გადაცემა

უნგრ. — უნგრული

უსლ — უესო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მიხ. ქაბაშვილი, თბ., 1989.

ფ. ფანჯ. — გურამ ფანჯიკიძე

ფიზ. გეოგრ. — ფიზიკური გეოგრაფია, V კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1984.

ფილოს. ისტ. — ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962

ფრანგ. — ფრანგული

„ქალთა გაზ.“ — გაზეთი „ქალთა გაზეთი“

„ქართ. ფილმი“ — გაზეთი „ქართული ფილმი“

ქეზლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით.

I—VIII, თბ., 1950—1964

ლ. ქიან. — ლეო ქიანელი

ქიზ. — ქიზიყური

ვ. ქიქ. — გერონტი ქიქოძე, წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბ., 1985.

ქ. მკ. — ნიკოლოზ კანდელაკი, ქართული მკვერმეტყველება, თბ., 1958.

ქსკს — კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I—X, თბ., 1972-93.

ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959

რ. ლაშბ. — როგენდა ლაშბაშიძე

თ. შარაძ. — თინათინ შარაძენიძე

შდრ. — შედარე

„7 დღე“ — გაზეთი „შვიდი დღე“

შმღ. — შემდეგ

„შუშან.“ — იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“

არნ. ჩიქობ. — არნოლდ ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში,

I, თბ., 1968

ს. ჩიქ. — სემონ ჩიქოვანი

ო. ჩხ. — ოთარ ჩხეიძე

თ. ჩხეჩხ. — თამაზ ჩხეჩხელი

ძე. — ძველი

404

ძვ. მსოფლ. ისტ -- ძველი მსოფლიოს ისტორია, V კლასის სახელმწიფო, თბ., 1983

წ. — 1. წელი; 2. წიგნი

გ. წერეთ. — გიორგი წერეთელი

წ. წ. — წლები

ტ. პანტ. — ტარეელ პანტურია

რ. კეიშე. — რევაზ კეიშილი

დ. კონქ. — დანიელ კონქაძე

ხალხ. — ხალხური

„ხანძთ.“ — გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

ე. ხარ. — ევგენი ხარაძე, სამუაროს აგებულება მეცნიერების თვალთ, თბ., 1965

ივ. ჯავახ. — ივანე ჯავახიშვილი

მ. ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი

რ. ჯაფარ. — რევაზ ჯაფარიძე

გ. ჯიბლ. — გიორგი ჯიბლაძე

პოლანდ. — პოლანდიური

БСЭ — Большая советская энциклопедия, тт. 1--30, 1970—1978, М.-Л.

ВЯ — журнал «Вопросы языкознания»

Л. — Ленинград

ЛЭ — Литературная энциклопедия в 30 томах, гл. ред. А. В. Луначарский, т. IX, М., 1935

М. — Москва

НТИ — Научно-технический институт

т. — том

EA — The Encyclopedia Americana, ed. in chief A. H. McDonald, B. L. in 30 volumes, New York-Chicago, 1945

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

3

I

ლია ლევაია — ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან (ნორმალიზაციის პრინციპები ვაზ. „ველში“)	16
რუსუდან სალინაძე — მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესა მშობლიური ენის საკითხების შესახებ	43
ალექსანდრე კობახიძე — როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს?	54
მარინე კერესელიძე — სონორი თანხმოვნებისა და ხმოვნების უმარტებულო ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში	76
მზექალა შანიძე — ი-ხმოვანდუმიანი საზოგადო სახელები ქართულში	80
ქეთევან დათუკიშვილი — რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის ქართულში	89
ასმათ ვაპირძე — მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები	94
მურმან სუხიშვილი — ერთი ტიპის გაორკეცებული სიტყვების შესახებ ქართულში	114
ვიოლა კალანდაძე — სომრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -გან-თანდებულარი კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში	124
ლელია გეგუჩაძე — ერთი კლასიკური ფორმის შესახებ თანამედროვე ქართულში	158

II

იევანე გიგინეიშვილი — არქაიზმების საკითხისათვის	165
მუქია აფრიდონიძე — რიტორიული კითხვები ქართულში: სტრუქტურა და გამოყენება	194
სალომე ოშიაძე — პოლსენის, ომონიისა და პარონიის ფუნქციები მსატერულ ტექსტში (ტაროელ ვანტურის პოეზიის მიხედვით)	207 ¹
მელიტა კობალაძე — „სობრძნე სიცრუისას“ სტილისათვის	229
ელენე კომორიძე — თამაზ ბიბლურის „წელიწადის დრონი“ (ენობრივ-სტილისტიკური ანალიზი)	247
რამაზ ქურდაძე — ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკიდან	263
ნინო ჯორბენაძე — ილია ჭავჭავაძის ენისა და სტილის ზოგი თავისებურება პირადი წერილების მიხედვით	276
თამარ ზურაბიშვილი, ნელი ცქიტიშვილი — სამეცნიერო ენის სინტაქსური თავისებურებები	298

მ ა ნ ა ნ ა ტ ა ბ ი ძ ე — ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის სტილისტიკურ თავისებურებათა ზოგი ასპექტი	309
მ ა ი ა კ ი ვ ე ა ძ ე — ქიმიის ტერმინოლოგიის სტრუქტურული ტიპები ქართულში	327

III

მ ი ხ ე ი ლ კ ა ბ ა შ ვ ი ლ ი — რუსული პირთა სახელების ქართულად გადმოცემისათვის	349
ნ ი ნ ო ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი — ესპანური ბგერებისა და ბგერათკომპლექსების გადმოცემა ქართულში (ონომასტიკური მასალის მიხედვით)	388
შემოკლებანი	401